

პროფ. ს. ი. კოვალიძე

ანტიკური საზოგადოების ისტორია

საბერძნეთი. ელინიზმი. რომი

I

საბერძნეთის ისტორია

პროფ. ს. ი. კოვალოვი

საბერძნეთის ისტორია

თ ა რ გ მ ნ ი ლ ი

მეორე შესწორებული გამოცემიდან

თბ. სახ. უნივ. ძველი ისტორიის კათედრის მიერ

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

I. რა არის „ანტიკური საზოგადოება“	1
II. ანტიკური ისტორიის წყაროები	5
III. ბერძნული და რომაული ისტორიოგრაფია	12
1. ბერძნული ისტორიოგრაფია	12
2. რომაელების ისტორიოგრაფია	27
IV. ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია საშუალო საუკუნეებსა და ახალ დროს	36
1. ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია საშუალო საუკუნეებში	36
2. ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმის რღვევა-დაშლის ეპოქაში (XIV—XVII საუკ.)	37
3. ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია კაპიტალიზმის ეპოქაში (სამრეწველო კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი)	40
V. მარქსიზმი და ძველი ქვეყნიერების მეცნიერული ისტორიის შექმნა	58

ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი

I. ძველი საბერძნეთის გეოგრაფიული და სოციალური გარემო	67
II. კრეტე-შიკენის ეპოქა	72
III. ჰომეროსის საკითხი და ჰომეროსის საზოგადოება	99
IV. VIII—VII ს. ს. საბერძნეთი	117
V. VII—VI საუკ. რეფორმები	132
VI. სპარტა და საბერძნეთის სხვა ჩამორჩენილი მხარეები	162
VII. ბერძენ ირანელთა ომიანობა	180
VIII. აყვავების ხანის საბერძნეთის ეკონომიკა	196
IX. პერიკლე და ათენის დემოკრატია	222
X. პელოპონესის ომი	240
XI. კრიზისი IV საუკუნეში	265
XII. აყვავების დროინდელი საბერძნეთის იდეოლოგია	281
XIII. მაკედონია და საბერძნეთი	338
XIV. ალექსანდრეს ლაშქრობა აღმოსავლეთში და „მსოფლიო მონარქია“	354
ძველი საბერძნეთის ისტორიის ქრონოლოგია	375

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს პროფ. ს. ი. კოვალოვის მიერ 1934/1935 სასწავლო წელს წაკითხულ ლექციათა კურსს. მასში მოცემულია ვრცელი ისტორიოგრაფიული შესავალი ანტიკური საზოგადოების ისტორიისა და ძველი საბერძნეთის ისტორია, მოკიდებული კრეტე-მიკენის პერიოდიდან და გათავებული ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილით.

წიგნი ნაფარაუდევია საისტორიო ფაკულტეტთა სტუდენტებისა და საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქმნას აგრეთვე თვითგანვითარებისათვისაც.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რა არის „ანტიკური საზოგადოება“.

ჩვენს კურსს ეწოდება „ანტიკური საზოგადოების ისტორია“. სიტყვა „ანტიკური“ ზუსტად რომ გადმოეთარგმნოთ (იგი ნაწარმოებია ლათინური სიტყვისაგან antiquus, ფრანგ. antique „ძველი“), მაშინ ეს სახელწოდება აღნიშნავს „ძველი საზოგადოების ისტორიას“. ეს, რა თქმა უნდა, პირობითი ცნებაა. ჩინეთის, ინდოეთის ან ეგვიპტის უძველესი ისტორიაც ძველი საზოგადოების ისტორიაა, მაგრამ ანტიკური საზოგადოების ისტორიის ქვეშ ჩვეულებრივად იგულისხმება მარტო ბერძენ-რომაელთა საზოგადოების ისტორია, შარტო ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია. სიტყვის ასეთი ხმარება წარმოიშვა მიტომ, რომ დასავლეთ ევროპის საისტორიო მეცნიერება ძველ საზოგადოებათ, შორის ყველაზე უფრო ადრე გაეცნო ბერძენ-რომაელთა საზოგადოებას. ამიტომაც სიტყვა „ძველი“ (ანტიკური) იხმარება მარტო საბერძნეთისა და რომის მიმართ, ბერძნულ-რომაული საზოგადოებისა, ბერძნულ-რომაული კულტურის მიმართ.

სანამ თვით კურსს შევეუდგებოდეთ, ჯერ შევჩერდეთ იმაზე, თუ რა ადგილი უკავია საბერძნეთისა და რომის ისტორიას კაცობრიობის განვითარების საერთოდ ისტორიულ პროცესში.

ბერძენ-რომაელთა საზოგადოება მონათმფლობელური საზოგადოება იყო. ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებანიც მონათმფლობელურნი იყვნენ. ამრიგად, ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და საბერძნეთისა და რომის ისტორიის სახით ჩვენ გვაქვს მონათმფლობელურ საზოგადოებათა ისტორია.

მაშ რაში-ღა მდგომარეობს ბერძნულ-რომაული საზოგადოების სპეციფიკა? რაშია ამ საზოგადოებისა და მისი ისტორიის თავისებურებანი?

ძველ-აღმოსავლური საზოგადოებანი, მაგალითად, ბაბილონისა, ეგვიპტისა და სხვანი, იყვნენ პრიმიტიულ-მონათმფლობელური საზოგადოებანი. ეს იყო კლასობრივ, მონათმფლობელურ საზოგადოებათა განვითარების პირველი სტადია. ძველი აღმოსავლეთის პრიმიტიულ-მონათმფლობელურ საზოგადოებებს ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორიცაა, თემის მყარი ხასიათი, სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფორმა და საკუთრების თემობრივ-სახელმწიფოებრივი ფორმები (მიწის სახელმწიფოებრივი კუთვნილება, სავაჭრო მონოპოლიები და სხვ.).

ქველი აღმოსავლეთისათვის ტიპური იყო აგრეთვე მონობა-მოვალეობის განვითარება, შინათემობრივი, შინასახელმწიფოებრივი მონობის განვითარება. სწორედ ეს მოვლენა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურ საზოგადოებათა დაღუპვისა.

დასასრულ, ქველი აღმოსავლეთის ისტორიისათვის ნიშნობლივი, დამახასიათებელი იყო განვითარების შედარებითი სიმდოვრე, ერთგვარი ციკლიურობა, წრისებრობა. ისტორიულ მოვლენათა განმეორებადობა: მაგალითად, ქველი ეგვიპტის ისტორიაში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი პერიოდულად განმეორებული გაერთიანებანი და ხელახალი დაქსაქსვა-დაშლანი. მართალია, ყოველი ახალი გაერთიანება უფრო მაღალ საფეხურზე წარმოიშვებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც საერთო პროცესში უეჭველად იყო ერთგვარი ციკლიურობა.

ასეთია ის ძირითადი ნიშნები, რომელნიც ახასიათებენ ქველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურ საზოგადოებებს.

თუ ანტიკურს, ე. ი. ბერძნულ-რომაულს. საზოგადოებას ავიღებთ. როგორც ერთს მთლიან რასმე. რომელიც იტევს ხმელთაშუა ზღვის მთელს რაიონს. მაშინ საზოგადოებრივი განვითარების ეს სტადია უფრო მაღალი გვევლინება, ვიდრე ქველი აღმოსავლეთის საზოგადოებებისა.

ბერძნულ-რომაული საზოგადოებისათვის, ქველი აღმოსავლეთის საზოგადოებათაგან განსხვავებით, დამახასიათებელია თემობრივი ურთიერთობის ადრეული დაშლა. მაშინ როდესაც აღმოსავლეთში თემობრივ ურთიერთობას მედგრად იცავდნენ, მტკიცედ ინახავდნენ და ეს ურთიერთობა მძიმედ და ნელ-ნელა უთმობდა გზას დაშლის პროცესს. საბერძნეთსა და რომში მათი ისტორიის ადრეულა ხანაშივე ხდება თემის დაშლა. ამისდა შესაბამისად ქველ საბერძნეთსა და რომში შედარებით აღმოსავლეთთან უფრო სრულად მიმდინარეობდა ინდივიდუალური კერძო საკუთრების განვითარება.

მართალია, საბერძნეთისა და რომის ისტორიაშიც მრავლად მოიპოვება თემობრივ-სახელმწიფოებრივი საკუთრების არსებობის მაგალითები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს ყოფილიყო, რადგან თემობრივ-სახელმწიფოებრივი საკუთრება წარმოადგენს მონათმფლობელური საკუთრების სპეციფიკურ ფორმას, მაგრამ აქ, საბერძნეთსა და რომში, ეს საკუთრება უფრო განვითარებული, უფრო ინდივიდუალიზირებული ფორმით ჩანდა.

აუცილებლივ საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ანტიკური საზოგადოება, მისი განვითარებული ფორმა არ იცნობდა შინაგან მონობა-მოვალეობას, რაც ეგოდენ დამახასიათებელი იყო ქველი აღმოსავლეთისათვის. თუმცა საბერძნეთსა და რომში მათი ისტორიის დასაწყისში ვხედავთ მონობაში გარდამავალ სავალო კაბალის განვითარებას ისევე, როგორც ქველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებშიაც, მაგრამ ანტიკური საზოგადოების უშუალო მწარმოებელი მედგარი რევოლუციონური ბრძოლით ახერხებს თავისი არსებობის შენარჩუნებას, როგორც წერილი თავისუფალი მწარმოებლისას. მონობა-მოვალეობა მოსპობილ იქმნა, ყოველ შემთხვევაში ანტიკური სამყაროს უფრო მოწინავე, წამყვან ნაწილებში მაინც, და ამ დროიდან მოკიდებული მონობის განვითარება წარიმართა უცხოელების, სხვა მეთემეთა,

უცხო ტომელთა მონობის ხაზით. რასაკვირველია, მონობის ასეთი ფორმები არსებობდა ძველ აღმოსავლეთშიაც, მაგალითად, ეგვიპტესა და ბაბილონში. მაგრამ მაშინ როდესაც ძველ აღმოსავლეთში საგარეო მონობის განვითარებასთან ერთად ვითარდება შინაგანი მონობაც, ქვეყნის ძალ-ღონეს რომ ასუსტებს და აწელებს.—საბერძნეთსა და რომში ეს პროცესი შეჩერებულ იქმნა და მონობა განვითარდა საგარეო მონობის, უცხოელთა მონობის ხაზით. ამ ფაქტს კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური საზოგადოების მთელი შემდგომი ისტორიისათვის.

შემდეგ: ანტიკური დროისთვის, წინააღმდეგ ძველი აღმოსავლეთისა, და-მხასიათებელია სახელმწიფოს სხვა ფორმა. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთში მონათმფლობელური სახელმწიფოს ტიპიურ ფორმას წარმოადგენდა დესპოტიის ტიპის სამხედრო-ბიუროკრატიული ცენტრალიზებული მონარქია,—ანტიკურ საზოგადოებისათვის მისი აყვავების ხანაში უცხო იყო მართვა-გამგებლობის მონარქიული ფორმა. ანტიკური სახელმწიფოს ტიპიურ ფორმას წარმოადგენდა რესპუბლიკა. ქალაქ-სახელმწიფო, პოლისი. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საბერძნეთსა და რომში საერთოდ არ ყოფილა მონარქიული ფორმები. საბერძნეთშიც და რომშიც იყო მონარქიები, მაგრამ ეს მონარქიები არ ყოფილან ტიპიური, რადგან ისინი წარმოიქმნენ მარტო მაშინ. როცა ანტიკური საზოგადოება შედგა დაქანების, დაქვეითების გზაზე, როცა მისი მზე ჩადიოდა. მაგალითად. რომის იმპერია გაჩნდა მონათმფლობელური საზოგადოების რღვევა-დაშლის დროს. თავისი აყვავება-წარმატების დროს კი ანტიკურ საზოგადოებას პოლიტიკურ ზედნაშენად ჰქონდა რესპუბლიკა. დემოკრატიზმის სხვადასხვაგვარი ხარისხითა, დაწყებული V-IV საუკუნეთა ათენის რესპუბლიკის უაღრესად დემოკრატიული ფორმებიდან და ვათავებული სპარტისა, კორინთოსი და სხვა რესპუბლიკების არისტოკრატიულ-ოლიგარქიული ფორმებით.

დასასრულ. რომ მოვათავოთ ანტიკური საზოგადოებისა და ძველ-აღმოსავლური საზოგადოების ერთმანეთთან შედარება. საჭიროა აღინიშნოს ისიც. რომ ბერძნულ-რომაული საზოგადოების განვითარების ტემპები გაცილებით უფრო ჩქარი იყო, ვიდრე ძველი აღმოსავლეთისა. თანაც კულტურული განვითარების ხარისხიც გაცილებით უფრო მაღალი ჰქონდა. საბერძნეთისა და რომის ისტორიაში სულიერი კულტურის ისეთ მაღალ ღონეს ვხედავთ, როგორაც მკვლევარს არ ხვდება არსად ძველ აღმოსავლეთში. ძველ-აღმოსავლურ და ბერძნულ კულტურათა თანამიმდევრობა ექვს გარეშეა, აღმოსავლეთის სულიერი კულტურის არაერთი ელემენტი ენათესავენა ბერძნულ კულტურას (სხვაგვარად არც შეიძლება იყოს ყოფილიყო. რადგან ორივე ეს საზოგადოება მონათმფლობელური იყო), მიუხედავად ამისა საბერძნეთმა და რომმა გადაჭარბებით აჯობეს ძველ-აღმოსავლურ კულტურას და მის მიღწევებს და მოგვცეს ურიცხვი ისეთი ნიმუში. რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს მთელი კაცობრიობის ისტორიაზე ჩვენ დრომდისაც კი.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ. რომ ანტიკური საზოგადოება, მართლაც, წარმოადგენს მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ სტა-

დას, ვიდრე ძველი აღმოსავლეთისა იყო. უფრო მეტიც ითქმის: საბერძნეთმა და რომმა მონობა მიიყვანეს თავის ისტორიულ აღსასრულამდე. მონობა, განსაკუთრებით კი მისი რომაული ფორმა, გადაიქცა ისეთ სისტემად, რომელმაც მოიცვა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. მონობამ თავის თავი ამოსწურა სწორედ ანტიკურ საზოგადოებაში და ამიტომაც ხმელთაშუა ზღვის რაიონში, მეტადრე კი მის დასავლეთ ნახევარში, წარმოიქმნა უაღრესად სრული წანამძღვარები მონათმფლობელური ფორმაციიდან ფეოდალურ ფორმაციაზე გადასვლისათვის. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ დასავლეთ-ევროპული ფეოდალიზმი წარმოადგენს უაღრესად განვითარებული ტიპის ფეოდალიზმს და არც ისაა შემთხვევითი, რომ მის ნანგრევებზე ევროპის დასავლეთში უფრო ადრე, ვიდრე სხვა მის ნაწილებში, წარმოიშვა კაპიტალიზმი.

საბერძნეთისა და რომის ანტიკურმა მონობამ უფრო ღრმად გააფხვიერა წინაკლასობრივი საზოგადოების ნიადაგი და ამით საფუძველი შეუშენა ფეოდალიზმისა. შემდეგ კი კაპიტალიზმის განვითარებას. ამიტომაც უაღრესად მართალია ენგელსი, როცა ის „ანტი-დიურინგში“ ამბობს: „ანტიკური მონობა რომ არ ყოფილიყო, არც თანამედროვე სოციალიზმი იქნებოდაო“. ამ მტკიცებას აქვს უდიდესი ისტორიული აზრი, რადგან ამით ენგელსი ხაზს უსვამს კანონზომიერების აზრს, განვითარების იმ სტადიის აუცილებლობას, რომელსაც ჩვენ ანტიკურ საზოგადოებას ვუწოდებთ.

II

ანტიკური ისტორიის წყაროები

როგორც საერთოდ ყველა საისტორიო წყარო, ანტიკური ისტორიის წყაროებიც ნაწილდება ოთხ ძირითად კატეგორიად. ეს წყაროებია:

- 1) წერილობითი წყაროები;
- 2) ნივთიერი წყაროები (მატერიალური ძეგლები);
- 3) ეთნოგრაფიული მონაცემები;
- 4) ენა.

მართალია, არის კიდევ მეხუთე რიგის წყაროები — ეგრეთწოდებული ზეპირი წყაროები (ეპოსი, ლეგენდები და მისთანანი), მაგრამ, რამდენადაც მათ ანტიკური დროიდან ჩვენამდე უკვე წერილობითი სახით მოაღწიეს, შეიძლება ისინი ამიტომ წერილობით ძეგლებს მივაკუთვნოთ. საჭიროა მარტო ხაზი გაესვას მათი წარმოქმნის სპეციფიკურობას და მათ თავისებურებას.

ამ ოთხი რიგის წყაროებში კლასობრივი საზოგადოების ისტორიისათვის პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს წერილობით წყაროებს. თავის მხრივ ეს წყაროები ორ ჯგუფად განიყოფება.

პირველი ჯგუფი — ესაა პირველი რიგის წყაროები ანუ პირველწყაროები, ე. ი. ის წერილობითი მოწმობანი, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს არა ვადამუშავებული. არა ინტერპრეტირებული სახით, არამედ მათი ნამდვილი სახით. ჩვენ რომ ავიღოთ ბერძენ ან რომაელ ისტორიკოსების — თუკიდიდეს, პეროდოტეს, ტაციტეს და სხვათა თხზულებანი, ისინი პირველ წყაროებს არ წარმოადგენენ: ისინი გადმოგვცემენ ანტიკური ისტორიის ფაქტებს, მაგრამ ეს ფაქტები უკვე ინტერპრეტირებულია თითონ ისტორიკოსების მიერ. მაგრამ, აი ათენის სახალხო კრების რომელიმე დადგენილება, ტექსტუალურად, სიტყვასიტყვით ჩაწერილი და ჩვენამდე მოსული, ქვაზე გაკეთებული, ამოკვეთილი წარწერის სახით, — ეს უკვე პირველწყაროა. დადგენილებამ ჩვენამდე მოაღწია ნამდვილი, განუმარტებელი სახით. აი რატომაა საჭირო განსხვავება პირველწყაროსა და მეორად წყაროს შორის.

პირველწყაროების უაღრესად მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენენ წარწერები. ისტორიული ფაქტები მათში უფრო ნამდვილი სახით არის დაცული. ანტიკური წარწერები იჭრებოდა ხანდახან ხეზე და ლითონზე, მეტწილად კი ქვაზე იკვეთებოდა. ასეთი გზით იწერებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა დადგენილებები, კანონები, საზაფხულო ხელშეკრულებანი და მისთანანი.

არის კერძო წარწერებიც: მონების განთავისუფლება, ღვთაებისადმი მინაძღვენი, საფლავის წარწერები. წარწერათა უმრავლესობა თავმოყრილია და გამოცემულია დიდი და მცირე კორპუსების ან კრებულების სახით. ყველაზე უფრო დიდი კორპუსებია „Inscriptiones graecae“ („ბერძნული წარწერები“ და „Corpus inscriptionum latinarum“ („ლათინურ წარწერათა კორპუსი“).

გარდა წარწერათა ამ საერთო კორპუსებისა არის კერძო კრებულებიც დ ი ტ ე ნ ბ ე რ გ ე რ ი ს, შ ი შ ე ლ ი ს, დ ე ს ა უ ს ი და სხვათა. ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან წარწერებს. რომელნიც ამოკრეფილია ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით, ან ქრონოლოგიური პრინციპის კვალობაზე, ან კიდევ შინაარსისდა მიხედვით. წარწერათა პირველად დამუშავებას აწარმოებს ისტორიის დამხმარე დისციპლინა — ე პ ი გ რ ა ფ ი კ ა. ის გვასწავლის, თუ როგორ უნდა იქმნას წაკითხული წარწერა, როგორ იქმნას იგი აღდგენილი, თუ მას წაბლა-ლული ადგილები აქვს, რა დროით იქნეს დათარიღებული და ა. შ. ეპიგრაფიკა საკმაოდ რთული, მაგრამ ამასთანავე ერთად თვალსაჩინოდ ტექნიკური დისციპლინაა, რომლის მეოხებით შესაძლებელი ხდება წარწერების გამოყენება როგორც საისტორიო წყაროებისა.

პირველწყაროთა მეორე სახეობას წარმოადგენენ პაპირუსები; ესაა საბუთები, რომელნიც დაწერილია განსაკუთრებული ხარისხის საწერ მასალაზე, რაიც მზადდებოდა ნილოსის მცენარე პაპირუსისგან. პაპირუსებმა ჩვენამდე მოაღწიეს თითქმის განსაკუთრებით მარტო ეგვიპტიდან. ჩვენ გვაინტერესებს ის პაპირუსები, რომელნიც დაწერილია უმთავრესად ბერძნულ და ლათინურ ენებზე. ჩვენ დრომდე შემონახულ პაპირუსების ნაწილი შეიცავს სიტყვაკაზმულს ან სამეცნიერო ნაწარმოებებს (ჩვეულებრივად მათ ნაწყვეტებს). მაგალითად. პაპირუსმა შემოგვინახა არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“. რა თქმა უნდა, ეს პაპირუსები პირველწყაროებს არ წარმოადგენენ. მაგრამ მათ მეორე, უფრო დიდ ნაწილს შეადგენენ საქმიანი დოკუმენტები: კონტრაქტები, აქტები, საქმიანი კორესპონდენცია და სხვა. პაპირუსების ეს ნაწილი წარმოადგენს უძვირფასეს პირველწყაროს, უმთავრესად ელინიზმის ისტორიის დარგში.

პაპირუსებს სწავლობს სპეციალური დამხმარე მეცნიერება — პ ა პ ი რ ო ლ ო გ ი ა. იგი მოითხოვს ენის საფუძვლიან ცოდნას, რადგან პაპირუსები ხშირად დაწერილია დამახინჯებული ენით, თავისებური შრიფტით და ჩვენამდე მათ მოაღწიეს მეტწილად ძალიან დასახიჩრებული, დაზიანებული სახით.

პირველწყაროთა მესამე სახეობას წარმოადგენენ წ ე რ ი ლ ე ბ ი. ჩვენამდე მოსულია ძველი დროის დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა წერილების მთელი რიგი. ასეთებია წერილები ციცერონისა (რომაელი ვექლისა და სახელმწიფო მოღვაწისა, რომელიც ცხოვრობდა ჩვენ წელთაღრიცხვამდე I საუკ.-ში) და პლინიუს უმცროსისა, ტრაიანეს ხანაში რომ ცხოვრობდა (ჩვ. წელთაღრიცხვით II საუკ.). წერილები პირველწყაროს წარმოადგენენ, მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ ისეთი ადამიანების წერილები, როგორიც იყვნენ ციცერონი ან პლინიუსი, საგანგებო დამუშავების შედეგია, და, მაშასადამე, შეიცავენ მრავალ სუბიექტურ მომენტს.

პირველწყაროს წარმოადგენენ აგრეთვე მემუარებიც. მაგრამ ესენი წერილებზე უფრო ნაკლებად შეიძლება მთლიანად მივეუყენოთ პირველწყაროს ცნებას. მემუარების ყოველი ავტორი სუბიექტურია, რადგან ჩვეულებრივად მემუარების დიდი ნაწილი ასახავს თითონ ავტორისავე ნამოქმედარს. ასეთია, მაგალითად, იულიოს კეისრის შენიშვნა-ჩანაწერები გალებისა და სამოქალაქო ომების შესახებ. მემუარები პირველწყაროა. მაგრამ ისინი საჭიროებენ დიდ კრიტიკულ დამუშავებას.

ასეთია პირველწყაროების ძირითადი ჯგუფი.

მეორე რიგის წყაროებს ანუ მეორე წყაროებს წარმოადგენენ ლიტერატურული ნაწარმოებნი. წყაროების ამ ჯგუფში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ანტიკური ეპოქის საისტორიო ნაწარმოებებს. ესენი სალიტერატურო წყაროებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია. ისინი ჩვენ მეორე რიგის წყაროებად უნდა მივიჩნიოთ მიტომ, რომ მათი საშუალებით ფაქტები მეორე ხელიდან გამოდის და მჟღავნდება, ფაქტები უკვე განმარტებულ-ახსნილია თითონ ისტორიკოსების მიერ. ანტიკური დროის საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ ცალკე იქნება თქმული.

მეორე ადგილი უკავიათ ანტიკური დროის სამეცნიერო ნაწარმოებებს, მაგალითად, პლინიუს უფროსის „საბუნებისმეტყველო ისტორიას“ (ჩე. დრ. I საუკ.), სტრაბონის „გეოგრაფიას“ (ჩე. წელთაღრიცხვამდე I საუკ.). პავზანიას „ელადის აღწერილობას“ (ჩე. დრ. II საუკ.) და სხვა ამ სახის ნაწარმოებებს. თუმცა მათ სპეციალური ხასიათი აქვთ. მაინც მათში ჩვენ მრავალ ძვირფას საისტორიო მასალას ვპოვებთ ხოლმე. ეს ჩვენ არ უნდა გვაოცებდეს, რადგანაც ანტიკური მეცნიერება ნაკლებად იყო დიფერენცირებული და პლინიუსის ნაწერებშიაც კი მრავალ საისტორიო ცნობებს ვხვდებით, სტრაბონსა და პავზანიასზე ხომ ლაპარაკი აღარ უნდა.

სიტყვაკაზმული ნაწარმოებნი ერთგვარი გაგებით საისტორიო წყაროებსაც წარმოადგენენ, რადგანაც მათში ასახულია ის დრო, როცა ცხოვრობდა ესათუის მწერალი. მაგალითად, არისტოფანეს კომედიები უძვირფასეს წყაროს წარმოადგენენ. ვინაიდან აქ წარმოდგენილია პელოპონესის ომის დროინდელი ათენის საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ბრძოლა: „ილიადას“ და „ოდისეას“ მნიშვნელობა იმიტომ კი არა აქვთ, რომ ისინი გვეხმარებიან ამათუიმ ისტორიული ამბის დადგენაში, არამედ მიტომ, რომ მათი მიხედვით ჩვენ ვსწავლობთ იმ საზოგადოებას. იმ წრეს, რომელმაც ეს პოემები წარმოქმნა; დემოსთენეს სიტყვები ძვირფას მასალას შეიცავენ ჩე. წელთაღრიცხვამდე IV საუკ. საბერძნეთის ეკონომიკის დარგში; იუვენალის სატირები გვაცნობენ ჩე. დრ. II საუკ. იმპერიის ეპოქის საზოგადოებას და სხვა.

ყველა წერილობითი ძეგლები მეტნაკლებად საჭიროებენ კრიტიკას. მკტადრე ეს ესაჭიროებათ მეორე რიგის წყაროებს. რადგანაც ივინი შეიცავენ ისეთ ფაქტებს, რომელთაც განიცადეს მწერლის შემოქმედებითი გადამუშავება. ამიტომ მათში შეიძლება იყოს სუბიექტურ-კლასობრივი ხასიათის სხვადასხვაგვარი დამახინჯებანი, რომელნიც ავტორმა შეიტანა შეგნებულად ან შეუგნებლად. გარდა ამისა ანტიკური დროის საისტორიო ნაწარმოებთა წყაროებად გამოყე-

ნების დროს მარქსისტულმა კრიტიკამ ანგარიში უნდა გაუწიოს ანტიკური ისტორიოგრაფიის პრიმიტიულ ხასიათს; ამ ისტორიოგრაფიამ, თუნდაც მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა თუკიდიდემ, პოლიბიოსმა, ხომ ვერ შესძლო ამაღლებულიყო ისტორიული კანონზომიერების სწორ გაგებადღე. ამის შედეგი ის იყო, რომ ისტორიული სინამდვილის ფაქტები, გარდა იმისა, რომ სუბიექტურ-კლასობრივად დამახინჯდა, სრულებით მართებულად არ ყოფილა ახსნილ-განმარტებული სწორედ იმიტომ, რომ ძველ ისტორიკოსებს არ შეეძლოთ გაეგოთ მათი შინაგანი კანონზომიერი კავშირი.

პირველწყაროები ნაკლებად საჭიროებენ კრიტიკას, თუმცა აქაც შესაძლებელია სინამდვილის დამახინჯებანი. მაგალითად, რომაელი იმპერატორების წარწერები ხანდახან შეიცავენ გამოგონილ ფაქტებს, რომელნიც წარწერებში მოხსენებულია მარტო იმიტომ, რომ ეს იმპერატორი განდიდებულ იქმნას. აირატომმა წერილობით წყაროების კრიტიკა ისტორიკოსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინასწარი ამოცანა.

წყაროების კრიტიკა ჩვეულებრივად ორგვერია: 1) კრიტიკა გარეგანი და 2) კრიტიკა შინაგანი.

გარეგანი კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიკოსი აღადგენს ამათუიმ წყაროს სრულ ტექსტს, წაიკითხავს მას, დაადგენს ან, ყოველ შემთხვევაში, დაათარილებს მინც გარკვეული დროით. როცა ტექსტი წამსდარი არაა, და გარკვეულად გვიჩვენებს ვინ და როდის დასწერა იგი, მაშინ გარეგანი კრიტიკის ამოცანა საკმაოდ იოლია. მაგრამ როცა ტექსტი ძალიან არის დაზიანებული ან გადაწერისას დამახინჯებული, როცა მისი ავტორი უცნობია და არც პირდაპირი მითითებაა ტექსტის შედგენის დროზე, — მაშინ ისტორიკოსს უწევს ხანგრძლივი და რუდუნებითი კვლევა-ძიება. ეს კვლევა-ძიება მოითხოვს იმენის საუკეთესო ცოდნას, რომელზედაც ტექსტია დაწერილი. იმ ასოთა დამწერლობის კარგ ცნობას, რომელნიც იხმარება წარწერებში, პაპირუსებსა და ხელნაწერებში, ბოლოს, მოითხოვს ცოდნას ერთობლივ იმ წყაროებისას, რომელნიც ეკუთვნიან ტექსტის ნაგულისხმევ ხანას.

რაც შეეხება შინაგან კრიტიკას. უნდა ითქვას, რომ ეს უფრო ძნელი საქმეა. მის ამოცანას შეადგენს საკვლევი წყაროს სინამდვილის დადგენა. ამას ჩვეულებრივად ასე ახერხებენ: წყაროს ჩვენებას ადარებენ იმ სხვა წყაროების მოწმობასთან, რომელნიც იმავე ფაქტებზე მოგვითხრობენ და რომელთა სინამდვილე წინათ უკვე იყო დადგენილი. მაგრამ ასე მოქცევა შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში. თუ მოგვეპოვება რამდენიმე ან თუნდაც ორი პარალელური წყარო. მაგრამ ანტიკურ ისტორიაში ასეთი ბედნიერი მდგომარეობა ძალიან იშვიათად არის ხოლმე. უფრო ხშირად და თითქმის ყოველთვის მოგვეპოვება მარტო ერთი წყარო, რომელიც მოგვითხრობს ამ ფაქტზე ან ამ ეპოქის შესახებ. ანდა ჩვენ ხელთაა რამდენიმე წყარო, მაგრამ ყველა ეს წყაროები მომდინარეობენ რომელიმე სხვა, უფრო ადრეულა წყაროსგან, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. ასეთ შემთხვევაში ისტორიკოსი დგას შინაგანი კრიტიკის თითქმის ამოუხსნელი ამოცანის წინაშე და იძულებულია იხელმძღვანელოს ამ წყაროს მიმართ მარტო, საეგებიო მოსაზრებებით.

წყაროთა მეორე კატეგორიაა ნივთიერი ძეგლები. წერილობითი ძეგლების წინაშე მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი იშვიათად თუ საკიროებენ სინამდვილის კრიტიკას, ე. ი. შინაგან კრიტიკას. თუ კი რომელიმე ნივთი, საგანი მოპოვებულია თხრების საშუალებით, ეს უკვე თითქმის აბსოლუტური გარანტიაა იმისა, რომ ნივთი ნატყუარი არ არის, არამედ არის ნამდვილი ნივთი, ანტიკური დროიდან მოსული. მარტო იმ შემთხვევებში, როცა საგანს „სხვის ხელიდან“ მივიღებთ შეძენით. ჩუქებით და სხვა ამგვარი გზით და ჩვენ არა ვართ მტკიცედ დარწმუნებულნი იმაში, რომ იგი მოპოვებულია გათხრების დროს ან ნაპოვნია ძველ სამოსახლო ადგილას. მაშინ შეიძლება ადამიანი დაექედეს მის სინამდვილეში. მეცნიერებას ახსოვს ისეთი შემთხვევები, როცა დიდ მუზეუმებსაც კი დიდ ფასებში შეუძენიათ ანტიკური ნივთები. რომელნიც შემდეგში აღმოჩენილან მეტად ხელოვნურად გაკეთებულ ნატყუარ ნივთებად. ესეც კია, ასეთივე შემთხვევები არის წერილობით წყაროების მიმართაც.

ამათუიმ ნივთისა ან ხელნაწერის ნატყუარობის დადგენა ჩვეულებრივად წარმოებს გარეგანი და შინაგანი კრიტიკის კომბინირებულ ხერხ-საშუალებათა გამოყენების გზით.

ანტიკური ისტორიისათვის ნივთიერი ძეგლებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ და ისინი აქ უფრო მეტ როლს თამაშობენ, ვიდრე ახალ ისტორიაში. ამ მხრივ ნივთიერი ძეგლების ხედვითი წონა ერთნაირი არაა. იგი არაჩვეულებრივ დიდაა წინაკლასობრივი საზოგადოების ეპოქის მიმართ, სადაც წერილობითი წყაროები თითქმის არ მოიპოვება. სამაგიეროდ უმნიშვნელოა მე-19 და მე-20 საუკუნის ისტორიის მიმართ. აქ ნივთიერი ძეგლები თითქმის არავითარ როლს არ თამაშობენ, ვინაიდან მოიპოვება წერილობითი წყაროების მდიდარი მასალა. ამ მხრივ ანტიკურ დროს შუა ადგილი უკავია.

ანტიკური ისტორიის ზოგიერთი პერიოდიდან წერილობითი წყაროები ან სრულიად არ გადარჩენილა, ან თუ მოსულა ჩვენ დრომდე, ისიც მეტად უმნიშვნელო რაოდენობით, ანდა დაწერილია ისეთ ენაზე, რომელიც ჩვენთვის უცნობია. ამიტომაც არის ისეთი ეპოქები, რომელთა შესწავლისას საკირო ხდება მარტო ნივთიერი ძეგლებს მიმართოს კაცმა. ამ შემთხვევაში სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ხანდახან შეუძლებელია ძეგლის სათანადო ინტერპრეტაცია. ხშირად ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრიდ ვთქვათ. თუ რას წარმოადგენს ეს საგანი, რა დანიშნულება აქვს მას, როგორ საზოგადოებრივ ურთიერთობას შეესაბამება იგი. მაგალითად, კრეტე-მიკენის ეპოქა საბერძნეთში წარმოდგენილია მარტო ნივთიერი ძეგლებით. ვინაიდან ის წერილობითი წყაროები, რომელთაც ამ დროიდან ჩვენამდე მოაღწიეს. მეცნიერებას დღემდე არ შეუძლია წაიკითხოს. ამრიგად მარტო ნაეთიერი მასალის მიხედვით გვიწევს მსჯელობა მთელს ხანგრძლივ ეპოქაზე, ამ დროის სოციალურ-ეკონომიური წესწყობილებისა და სხვა ამგვარის შესახებ.

ანტიკური ისტორიის ნივთიერი ძეგლები საკმაოდ მრავლად მოიპოვება. მათი წავლობს სპეციალური დამხმარე მეცნიერება, ანტიკური არქეოლოგია. მის ამოცანას შეადგენს მოიძიოს და ახსნა მისცეს ძველი დროის ნივთიერი ნაშთებს.

ნივთიერსა და წერილობით ძეგლებს შორის შუა ადგილი უჭირავს საისტორიო წყაროთა განსაკუთრებულ სახეობას — მონეტას, ფულს. არის ანტიკური მონეტები უწარწეროდ, რომელთაც აქვთ მარტო რაღაც გამოსახულება. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ნაბღვილ ნივთიერ ძეგლთან. მაგრამ მონეტების უმრავლესობას მოეპოვება წარწერები. მაშინ მათ ორგვარად შეიძლება მივუდგეთ. თუ ჩვენ ასეთ მონეტებს გამოვიკვლევთ იმ მხრივ, თუ რა ფორმისანი არიან, როგორი მოჭრილობისა, პროცენტულად რამდენია შიგ ვერცხლი. რა სტილის გამოსახულებაა ზედ გამოყვანილი და სხვა ამგვარი, — მაშინ ჩვენ საქმე გვექნება ნივთიერ ძეგლთან. მაგრამ, თუ ჩვენ მას მივუდგებით წარწერის შინაარსის მხრივ (მაგალითად, რომის იმპერატორის სახელის), მისი შრიფტისა და ამგვარის მხრივ, ეს მაშინ ნიშნავს, რომ მონეტას ვუყურებთ, როგორც ეპიგრაფიკულ, ე. ი. წერილობით ძეგლს. მონეტები ანტიკური ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან დამხმარე წყაროს წარმოადგენენ. მათი დახმარებით, მაგალითად, შეიძლება კაცმა დაადგინოს რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ვაჭრობა, გამოარკვიოს სავაჭრო გზების მიმართულება და მისთანა. ხანდახან მარტო მონეტების წყალობით ვიგებთ ელინისტური მეფეების სახელებს და მათი მეფობის დროის თანამიმდევრობას. მონეტებს ფულებს სწავლობს ცალკე დამხმარე დისციპლინა — ნ უ მ ი ზ მ ა ტ ი კ ა.

ეთნოგრაფიული მონაცემები — ეს ის ცნობებია, რომელთაც ჩვენ გვაწვდის მეცნიერება ეგრეთწოდებულ ჩამორჩენილ ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. ხშირად ეთნოგრაფიის როლს ანტიკური ისტორიისათვის ჯეროვნად ვერ აფასებენ. ეს დიდი შეცდომაა. საკმარისია მივუთითოთ ენგელსის შრომაზე „ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე“, რომელიც არ შეიძლებოდა მას დაეწერა, თუ ფართოდ არ გამოიყენებდა ეთნოგრაფიულ ცნობებს, მეტადრე მასალას ჩრდილო ამერიკის ინდიელების წესწყობილების შესახებ, რაიც ენგელსმა ჰპოვა მორგანთან. ის ფორმულა, რომელიც მარქსმა მოგვცა: „ბერძნულ გვარში უდაოდ გამოსჩანს ველური (მაგალითად, იროკეზიო),“ (ენგელსი, ოჯახის წარმოშობა, თავი IV), ბრწყინვალედ ამტკიცებს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ეთნოგრაფია თამაშობს, კერძოდ გვაროვნული წესწყობილების გადანაშთების შესწავლა, ბერძნულ და რომაულ ისტორიის ადრეულა პერიოდის ისტორიული ანალიზის დარგში.

ახლა ჩვენ დაგვრჩა ორიოდ სიტყვა ვთქვათ საისტორიო წყაროთა მეოთხე კატეგორიაზე — ენაზე. ენობრივი მასალა, თუ კი ის წესიერად იქნება გამოყენებული, მეტად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს. ენობრივი ფაქტების მიმართ ასეთ სწორს, მართებულ მიდგომას გვაძლევს აკადემიკოს ნ. ი. მარის მიერ შექმნილი ზოგადი მოძღვრება ენის შესახებ. ჩვენ არ გვაქვს საშუალება დაწვრილებით შევჩერდეთ აქ ნ. მარის თეორიაზე, ვიტყვი მარტო იმას, რომ ნ. ი. მარმა შექმნა ახალი მოძღვრება ენის შესახებ, რომელიც საძირკველშივე არღვევს ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გაბატონებულს ეგრეთწოდებულ ენის ინდოევროპულ თეორიას. ეს უკანასკნელი დგას კარჩაქეტილ რასობრივ ენების აღიარების თვალსაზრისზე. ინდოევროპული თეორიის

აზრით, ენების თვითთული „ოჯახი“ წარმოშობილია რასობრივი „წინარენის-გან“, ე. ი. პირველადი ენისგან, რომელზედაც ოდესღაც ლაპარაკობდა თვითთული „რასა“, თავის „წინარსამშობლოში“ მცხოვრები. შემდეგ რასები განსახლდნენ თავის თავდაპირველი ბინადრობის ადგილებიდან, თავის „წინარსამშობლოებიდან“. ასეთი განსახლების (მიგრაციის) წყალობით წინარენები ვაი-ყო წარმოებულ ენებზე, რომელნიც ერთი მეორეს ენათესავენოდნენ, მაგრამ აბსოლუტურად უცხონი იყვნენ ყველა სხვა „ოჯახისთვის“.

ინდოევროპული თეორიის საწინააღმდეგო ბრძოლის დროს ნ. მარმა შექმნა თავისი მატერიალისტური თეორია ენისა; ის ენას უყურებს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას. იგი უარყოფს ენის რასობრივ ხასიათს, უარყოფს აბსოლუტურად კარჩაკეტილ ენების არსებობას და მრავალნაირ აკამაინოს ენებს უყურებს, როგორც ერთობლივი ენის განვითარების ცალკე სტადიებს.

აი ძირითადად ამაშია ნ. მარის მოძღვრების დედაარსი. რააც ხდის მას საბრძოლო პოლიტიკურ იარაღად კონტრრევოლუციონურ რასობრივი თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც კაცობრიობას ჰყოფს „მაღალ“ და „დაბალ“ რასებად; ამასთანავე ერთად ნ. მარის თეორია მძლავრი იარაღია ისტორიული განვითარების კანონზომიერების გამოვლენა - გამომჟღავნებისათვის. კერძოდ ნ. ი. მარი ფართოდ იყენებს მის მიერ შექმნილ ეგრეთწოდებულ მეტაფორებს პალეონტოლოგიის მეთოდს, რომლის საშუალებით შესაძლებელია ხდება სტრუქტურების ისტორიულ განვითარების თვალის გადევნება და აგრეთვე საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მათ შესაბამ ცნებებისაც. ასეთი გზით ხერხდება მრავალი მოვლენის გამომჟღავნება. რომელთა დადგენა სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა. მარის მეთოდი ძალიან ბევრსა შევლის ანტიკურობის შესწავლასაც; გვეხმარება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრაში. როგორცაა. მაგალითად, საკითხი ბერძნების წარმოშობა-ჩამომავლობის შესახებ. ინდოევროპულ თეორიას ბერძნები გამოჰყავს დუნაიდან, შიში „წინარსამშობლოდან“ და აიძულებს მათ საბერძნეთში გადასახლდნენ, აქ მოიჯანონენ და კულტურა. რომელიც უცხო არის საბერძნეთის მკვიდრი მოსახლეობის ენისა და კულტურისთვის. ნ. მარი, პირიქით, დგას იმ თვალსაზრისზე, რომ ბერძნები დამოუკიდებლევ განვითარდნენ ადგილობრივ მოსახლეობისგან და ბერძნული ენის წარმოშობა მას ესმის როგორც გარკვეული სტადია იმ უქველესი ენების განვითარებაში, რომლებზედაც ლაპარაკობდნენ ხმელთაშუაზღვის მცხოვრებნი.

III

ბერძნული და რომაული ისტორიოგრაფია

1. ბერძნული ისტორიოგრაფია

უკვე ბერძნებს შორის საისტორიო აზროვნების პირველი ჩანასახი უნდა ვეიოთ იმ თქმულებებში ღმერთებსა და გმირებზე, იმ პირველადს მითებსა და გადმოცემებში. რომელნიც შეადგენენ ბერძნული ეპოსის — „ილიადისა“ და „ოდისეის“ და ეპიკური შემოქმედების სხვა ნაწარმოებთა მთავარ მასალას. ამ თქმულებებში ჯერ კიდევ გულუბრყვილო ბერძნის აზრი ცდილობდა პასუხი გაეცა მის ამაღელვებელ კითხვაზე, თუ საიდან წარმოიშვა ესათუის ქალაქი, გეარო, ოჯახი ან ჩვეულება. ამ ცდებში, როცა ქალაქის დაფუძნება ან ცალკე ოჯახებისა და გეარების წარმოშობა უკავშირდება რომელიმე ღვთაების ან გმირის (ნახევარღმერთის) სახელს, გამომჟღავნდა მისწრაფება ადამიანისა გასცეს პასუხი იმ კითხვას, რომელიც ძველითგანვე კაცობრიობას აღელვებდა, კითხვას არა მარტო ჩვენს გარემო მდებარე სამყაროს წარმოშობისას, არამედ თითონ საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს პირველი ცდები სავსებით არადაამაკმაყოფილებელნი იყვნენ და, რა თქმა უნდა, მათში უნდა ვხედავდეთ ანტიკური ისტორიოგრაფიის ჩანასხვას.

ბერძნული ისტორიოგრაფიის პირველი ჩანასახები ჩვენ გვაქვს სათანამდებო პირთა სია-ნუსხებში, რომელთაც ძველითგანვე ადგენდნენ ბერძნულ ქალაქებში და რომელნიც თითონ ბერძნებისათვის წარმოადგენდნენ და რამოდენიმედ ჩვენთვისაც დღეს წარმოადგენენ ბერძნული ისტორიის ძირითად საქრონოლოგიო ქარგას.

საქმე ისაა, რომ ბერძნებში კარგა გვიან ხნობამდე არ ყოფილა საერთო წელთაღრიცხვა. ამიტომაც თვითეული ქალაქ-სახელმწიფო თავის წელთაღრიცხვას ცალკე აწარმოებდა. ამ წელთაღრიცხვის საფუძველს შეადგენდა მაგისტრატების სახელებით წლების აღნიშვნა, სახელდება. მაგისტრატები კი იყვნენ ქალაქის (სახელმწიფოებრივ) სათანამდებო პირები, რომელთაც ჩვეულებრივად ირჩევდნენ ყოველწლიურად. სათანამდებო პირების სწორედ ასეთმა სია-ნუსხებმა (ხანდახან ასეთ თანამდებობის პირებად იყვნენ დიდ-დიდი ტაძრების ქუჩუმები. ხან შეჯიბრებისას გამარჯვებულები, მაგალითად, ოლიმპიაში) თვითე-

ული ბერძნული ქალაქისათვის წარმოქმნეს ის საქრონოლოგიო ჩონჩხი. რომელიც არსებითად წარმოადგენს ანტიკური ისტორიის პირველ საძირკველს.

ჩვენ, მაგალითად, ვიცით, რომ სპარტაში დაახლოებით VIII საუკუნე (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) შუა ხანებში იწყებენ ეფორების სია-ნუსხების წარმოებას (ხუთი ეფორი იყო სპარტის სახელმწიფოს უმაღლესი სათანამდებო პირი).

ათენში დაახლოებით VII საუკუნე დასაბამიდან იწყეს არქონტების სია-ნუსხის წარმოება (იყო ცხრა არქონტი, ამათში ერთი მთავარი, ესენი ყველანი იყვნენ ათენის სახელმწიფოს უმაღლესი მაგისტრატები).

ოლიმპიაში, სადაც ეწყობოდა ცნობილი შეჯიბრება-ოლიმპიის ასპარეზობა VIII საუკუნე დასაწყისიდან (ტრადიციულ თარიღად მიჩნეულია 776 წ.). წარმოებს ასპარეზობისას გამარჯვებულთა სიები. ქალაქ არგოსში წარმოებდა ქალღმერთ პერას ქურუმ-ქალების სიები და სხვა. ყველა ეს სიები მერე საფუძველად დაედო, ქარგად იქცა უფრო გვიანდელი დროის ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის.

პირველ ბერძენ ისტორიკოსებად იყვნენ ეგრეთწოდებული ლოგოგრაფოსები. ტერმინი „ლოგოგრაფოსები“ ჩვეულებრივად ითარგმნება სიტყვა „პროზაიკოსად“. ამ ტერმინით ბერძნებს უნდოდათ ხაზი გაესვათ იმისთვის, რომ ლოგოგრაფოსები პროზით წერდნენ განსასხვავებლად იმ ეპიკურ პოეტებისაგან, რომელნიც სარგებლობდნენ ლექსთწყობით.

პირველი ლოგოგრაფოსები ჩნდებიან VI საუკუნეში მცირე აზიის ქალაქებში. მცირე აზია მაშინ წარმოადგენდა საბერძნეთის მოწინავე ნაწილს და სავსებით ბუნებრივიცაა, რომ სწორედ აქ ყველაზე უფრო ადრე ჩაისახა ისტორიოგრაფია.

მცირე აზიის ბერძნული ქალაქების ლოგოგრაფოსები ადგენდნენ ცალკეულ ბერძნულ ტომებისა და ქალაქების ისტორიებს თქმულებათა დამუშავების საფუძველზე და სათანამდებო პირთა იმ სიების გამოყენებით, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

მაგრამ ლოგოგრაფოსებისათვის მთავარ მასალას შეადგენდა არა სათანამდებო პირთა სიები; ეს სიები გამოიყენა უფრო გვიანდელი დროის ბერძნულმა ისტორიოგრაფიამ, როცა იგი საკმაოდ მომავრდა და წელში გაიშალა. VI საუკუნე ლოგოგრაფოსები ჯერ კიდევ ცდილობენ ისტორია შეადგინონ უმეტესად ყოველნაირ ადგილობრივ ლეგენდარულ და ნახევრად ლეგენდარულ თქმულებათა, გადმოცემათა და სხვა ამგვარის დამუშავების საფუძველზე. სავსებით გასაგებია, რომ ასეთ ლოგოგრაფოსებს თითქმის სრულიად არ ჰქონიათ საისტორიო კრიტიკა და რომ მათში საკმაოდ ძირმოდებული იყო ზებუნებრივი მოვლენის ელემენტები.

ლოგოგრაფოსების ნაწარმოებებმა ჩვენამდე მოაღწიეს მარტო ნაწყვეტებად. VI საუკუნე ლოგოგრაფოსებს შორის ყველაზე უფრო ცნობილი იყო ჰეკატე მილეთელი (მცირე აზიის ქალაქ მილეთიდან), რომელიც VI საუკუნე ბოლოს ცხოვრობდა და ეკუთვნოდა ლოგოგრაფოსების ეგრეთწოდებულ უფროს თაობას.

შემდეგ ცნობილია კიდევ ჰელანიკე კუნძულ ლესბოსიდან. რომელიც ცხოვრობდა V საუკ. მეორე ნახევარში. ის ეკუთვნოდა ლოგოგრაფოსების უმცროს თაობას. ლოგოგრაფოსების ეს ჯგუფი, რომელიც უკვე V საუკ.-ში წერდნენ, უფრო მეტადაა დაუფლებული საისტორიო მეთოდებს, ვიდრე უფროსი ლოგოგრაფოსები, თუმცა ეს მეთოდები ჯერ კიდევ სრულყოფილი ვეოა. ჰეროდოტე. რომელსაც ჩვეულებრივად „ისტორიის მამათმთავარს“ უწოდებენ. არსებითად უმცროსი ლოგოგრაფოსია. იგი ასეთად გვევლინება მისი კრიტიკის შედარებით არა სრულყოფილების წყალობითაც, ადგილობრივი მასალის გამოყენების მიხედვითაც და მთელ რიგ სხვა ნიშნების მიხედვითაც.

მაგრამ მეორე მხრივ ჰეროდოტეს აქვს რაღაც ახალი. ისეთი რამ, რის მეოხებითაც იგი გამოირჩევა საუკეთესო ლოგოგრაფოსებს შორისაც კი. აი სწორედ ამ ახალმა მოუპოვა კიდევ მას ისტორიის მამათმთავარის საპატიო სახელწოდება.

ჰეროდოტე წარმოშობით იყო ქალაქ ჰალიკარნასიდან. მცირე აზიის სამხრეთ-დასვლეთ ნაწილში რომ მდებარეობდა. ცხოვრობდა ის დაახლოებით 485 და 425 წლებს შუა.

იგი ეკუთვნოდა იმ ოჯახს. რომელიც დაზარალებულა V საუკ. პოლიტიკური ბრძოლის დროს. ამიტომაც მოუხდა მას სამშობლოდან გაძევაში ცხოვრება. ის ბევრს მოგზაურობდა და თავის ისტორიას წერდა ათენში.

ჰეროდოტეს ისტორია ცხრა წიგნისგან შესდგება. უნდა ითქვას, რომ ანტიკური „წიგნები“ სრულებითაც ის არ არის. რასაც წარმოადგენს ჩვენი დროის წიგნი. ანტიკური წიგნი ეს უფრო დიდი თავია წიგნისა. ამიტომაც, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ. რომ ჰეროდოტეს ისტორია ცხრა წიგნისგან შესდგებაო, ეს იმას ნიშნავს: რომ იგი შეიცავს ცხრა დიდ თავს. რომელიც თანამედროვე გამოკვლევებში შეადგენენ ჩვეულებრივად ორ ტომს. თვითუფრო წიგნს აქვს რომელიმე მუხის სახელი შერქმეული: კლიო, ევტერპა. ტალია, მელპომენა, ტერფსიქორა, ერატო. პოლიპიმნია. ურანია, კალიოპა. ამიტომაც ჰეროდოტეს ნაწარმოებს ხანდახან „მუხებს“ უწოდებენ.

რა შინაარსისაა ჰეროდოტეს შრომა და რა იძლევა იმის საბუთს. რომ იგი „ისტორიის მამათმთავრად“ არის შერიცხული? ჰეროდოტეს ნაწარმოები ეხება ბერძენ-ირანელთა ომებს, უფრო ზუსტად — ამ ომების პირველ ნახევარს. ქრონოლოგიურად იგი შეიცავს პერიოდს დაახლოებით VI საუკ. შუა ხანებიდან მოკიდებული ვიდრე 478 წლამდე. ჰეროდოტეს მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს. რომ ის პირველი იყო, რომელმაც მოგვცა არა ადგილობრივი ისტორიის მიმოხილვა, როგორსაც ჩვეულებრივად იძლეოდნენ ხოლმე ლოგოგრაფოსები. არამედ მთელი ბერძნული სამყაროს საერთო ისტორიის მიმოხილვა. უფრო მეტიც ითქმის: ის თავის შრომაში იძლევა თავისი დროის „მსოფლიო“ ისტორიის მიმოხილვას. ჰეროდოტემ მოგვცა მაშინ ცნობილი კულტურული სამყაროს ისტორია, ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთ ნახევრის ისტორია. უდებს რა თავის შრომას საფუძვლად ბერძენ-ირანელების ომების ისტორიას. ის გზადაგზა საკმაოდ დიდ ექსკურსებსაც ახდენს ძველი ირანისა და

ახვა ქვეყნების ისტორიაშიც. მთელი მეორე წიგნი, მაგალითად, ეგვიპტეს ეხება, მეოთხე წიგნი სკვითებს, ე. ი. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს.

ეს ექსკურსები მთელი ნაწარმოების არქიტექტონიკის თვალსაზრისით საკმაოდ დიდ ნაკლს წარმოადგენენ, მაგრამ ამასთანავე ერთად ღირსებასაც შეიცავენ, ვინაიდან აქ გვეძლევა მსოფლიო ისტორიის მასალა, თუმცა ეს უკანასკნელი ისტორია დროის მეტად მცირე მანძილზეა აღებული. აი რითი განირჩევა ჰეროდოტე ვარკვეულად ლოგოგრაფოსებისგან, რომელთაც ახასიათებს ვიწრო-ადგილობრივი თვალსაზრისი. უმთავრესად ამ უნივერსალურმა თვალსაზრისმა შესძინა ჰეროდოტეს ისტორიის მამათმთავარის სახელწოდება.

ახლა ვნახოთ, რა მიაჩნია ჰეროდოტეს ისტორიის მიზნად. თავის ნაწარმოების დასაწყისშივე იგი წერს: „ქვემოთხსენებულ რკვევა-ძიებას ჰეროდოტე პალიკარანასელი წარმოადგენს იმიტომ, რომ დროის გამო არ წაიბლალოს ჩვენს მხსიერებაში ადამიანთა ნამოქმედარ-ნაღვაწევი და აგრეთვე რომ ქებაშეუსხმელად არ მიეცეს დავიწყებას უდიდესი და განცვიფრების ღირსი ნაგებობანი, რაიც ნაწილობრივად ელინების, ნაწილობრივ კი ბარბაროსების (უცხოელების) მიერაა შესრულებული. უმთავრესად კი იმიტომ, რომ არ იქმნეს დავიწყებული ის მიზეზი, რომლისა გამო ატყდა მათ შორის ომი“.

ამრიგად, ისტორიის ამოცანას ის შეადგენს, რომ ადამიანთა ხსოვნაში არ წაიშალოს წარსულის დიადი საქმეები. აი საისტორიო მონათხრობის პრიმიტიული. მეამიტი მიზანი. რომლითაც ყოველთვის იწყებს ხოლმე კაცობრიობის ისტორია. ეს მიზანი მეტისმეტი სიცხადით და ეპიკურ უბრალოებით აქვს ჰეროდოტეს გადმოცემული.

როგორ-ღა, რა გზით აღწევს ჰეროდოტე თავის მიზანს — გვაუწყოს დიადი და სასიქადულო საქმეები არა მარტო ბერძნებისა, არამედ ბარბაროსებისაც? უნდა ითქვას, რომ ჰეროდოტეს მეთოდები ჯერ კიდევ მეტად გულუბრყვილოა. ეს გარემოება გეაიძულებს იგი ლოგოგრაფოსებს დაუახლოვოთ. ჰეროდოტე ლოგოგრაფოსებისგან განსხვავდება თავისი უნივერსალური მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისით, ხოლო ლოგოგრაფოსებთან მას აახლოვებს მისი მეთოდების გულუბრყვილობა. მეამიტომ, მისი არაკრიტიკული მიდგომა.

ჰეროდოტესათვის მეტად დამახასიათებელია ერთი შენიშვნა, რომელსაც ის იძლევა თავისი ისტორიის მეშვიდე წიგნში: „მე მოვალე ვარ გადმოვცე ის, რასაც ლაპარაკობენ. ოღონდ არა ვარ მოვალე ყველაფერს ვერწმუნო“. მაგრამ რადგან ის მოვალეა ყველაფერი. რასაც ლაპარაკობენ, გადმოვცეს. მკითხველებიც ვალდებული არიან ის იკითხონ. რასაც იგი გადმოვცემს. ოღონდ ყველა ამას ისინი არ არიან ვალდებულნი დაუჯერონ. საკითხავია: მაშ. რაღას-ღა უნდა დაუჯერონ? ამისთვის ჰეროდოტეს არავითარი კრიტერიუმი არა აქვს, და ის მართლაც წარამარა ყოველივე იმას გადმოვცემს, რაც მას გაუგონია. უნდა ითქვას, რომ მან ბევრი იმოგზაურა. იყო ეგვიპტეში, ბაბილონეთში, ბევრი რამ აქვს ნანახი თავისი საკუთარი თვალით. ის, რაც მას თითონვე უნახავს, ჩვეულებრივად ღირსია ყოველგვარი რწმენა-ნდობისა. მაგრამ ის, რაც მას გაგებული აქვს სხვების ნაამბობით და რასაც ის, ადგილობრივი ენების — ბაბილონურისა და ეგვიპტურის — უცოდინარი, სრულიად არაკრიტიკულად

ეკიდებოდა, ყოველივე ეს ნაკლებ სანდო და სარწმუნოა. აი რატომაა, რომ ჩვენ ვხედავთ მეტად ძვირფას მასალას, რაიც არა მარტო ძველ ისტორიაში. არამედ ეთნოგრაფიაშიაც, იმდროინდელ ჩამორჩენილ ხალხების: მაგალითად, სკვითების ყოფა-ცხოვრების დარგში ჩვენი ცოდნისათვის უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს; მაგრამ ამ ძვირფას ცნობებთან ერთად ჩვენ ვხედავთ აუარებელს საანეგლოტო მასალას, რაიც მას სრულიად არაკრიტიკულად აქვს მოცემული. ჰეროდოტეს მეამიტობა ხანდახან იქამდეც კი მიდის, რომ, როცა რამეს მოგვითხრობს, ის გვაწვდის რამდენიმე ერთი მეორის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვერსიას და მკითხველს სრულ გაუგებრობაში სტოვებს: მან აღარ იცის, რომელი ვერსია აირჩიოს, რომელს მათგანს ერწმუნოს?

საერთო კონცეფციის თვალსაზრისითაც ჰეროდოტეს აქვს მრავალი ნაკლი. მას აქვს შეგნება ისტორიული განვითარების რაღაც კანონზომიერებისა, მაგრამ ეს „კანონზომიერება“ არაჩვეულებრივად პრიმიტიულია. ისტორიის მთელი მოძრაობა ჰეროდოტეს მიაჩნია ღმერთების ნება-სურვილზე დამოკიდებულად, მაგრამ ამასთან ერთად თითონ ეს ნება-სურვილიც მეტად გულუბრყვილო ფორმით არის გამომჟღავნებული. ჰეროდოტე ფიქრობს, რომ ღვთაების ნება-სურვილის ატრიბუტს, მის ძირითად თვისებას შური და შურიანობა შეადგენს. მას ჰგონია, რომ ღმერთები შურიანები არიან და ცდილობენ ადამიანის დამცირებას. ამიტომაც ადამიანებს მართებთ მეტისმეტად არ გაამაყდნენ: დაიწყებენ თუ არა ისინი გულზვიადობას და ქედმაღლობას, ღმერთები მათ ხელათვე სჯიან. ირანის მეფე ქსერქსემ 480 წ. მოაწყო უდიდესი ლაშქრობა საბერძნეთზე და იგი დამარცხებულ იქმნა. ქსერქსეს ყოველი მარცხი, ჰეროდოტეს გაგებით, მის გულზვიადობით, სიამაყით აიხსნება. ქსერქსემ იმით, რომ ჰელესპონტზე ცნობილი ხიდი ააგო და უშველებელი არმია შეჰქმნა, შეურაცხყო ღმერთები და ღმერთებმაც იგი დასაჯეს. ამრიგად, თუ კი ჰეროდოტეს აქვს ისტორიული განვითარების კანონზომიერების ოდნავი და ყრუ შეგნება, ისიც იმდენად გულუბრყვილოა, იმდენად უხეშია, ის თითონ იმდენად დატყვევებულია ანთროპომორფული წარმოდგენით (ღმერთები შურიანები არიან), რომ მართლაც ჯერ კიდევ შეუძლებელია რაიმე ლაპარაკი ნამდვილ ისტორიულ კანონზომიერების შეგნებაზე.

თავისი პოლიტიკური შეხედულებით ჰეროდოტე ასანავს და გამოსთქვამს ბერძნულს, კერძოდ, ათენურ თვალსაზრისს. აქედან გამომდინარეობს მისი მიდრეკილება ბერძენ-ირანელთა ომების დროს ბერძნული აგრესიის ფაქტების მიჩქმალვისა და V ს. ათენის „დიდმპყრობელური“ პოლიტიკის გამართლებისა.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საბერძნეთისა და რომისთვის ტიპიურია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმის, მათ შორის მეცნიერების, განვითარების არაჩვეულებრივ ჩქარი ტემპები. ისტორიის მაგალითი ამ დებულებას სავსებით ცხადად გვიმტკიცებს.

ჰეროდოტე ცხოვრობდა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დაახლოებით 485 — 425 წლებს შუა, როცა საისტორიო მეცნიერება ჯერ კიდევ ახლად იდგავდა ფეხს, თითქმის ჯერ არტახებში იყო. თქმა იმისა, რომ ჰეროდოტე არის მეცნიერული ისტორიის დამაარსებელი, არას გზით არ შეიძლება, იმიტომ რომ

ამ ისტორიის ერთ-ერთ წანამძღვარს წარმოადგენს ისტორიკოსის კრიტიკული მიდგომა იმ მასალისადმი, რომელსაც ის გადმოგვცემს. პეროდოტეს ასეთი კრიტიკული მიდგომა არა აქვს, ამიტომაც მის ნაწარმოებს სულ დიდი-დიდი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ და მარტო მასალა მომავალი ისტორიისათვის.

მაგრამ ჩვენ რომ ავიღოთ ისტორიკოსების ის თაობა, რომელიც პეროდოტეს მოსდევდა უშუალოდ, ავიღოთ კერძოდ თუკიდიდე, რომელიც 20-25 წლით პეროდოტეზე უფრო გვიან დაიბადა, დაახლ. 460 წ., მას უკვე მოეპოვება ყოველივე ის, რაც საჭიროა კრიტიკული ისტორიის შექმნისათვის. რაღაც ოციოდე წლის მანძილზე ბერძნების საისტორიო აზროვნება მეტად წინ წავიდა. პეროდოტეს მომდევნო ისტორიკოსების თაობამ შეჰქმნა ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ბერძნული ისტორიოგრაფიის რეალისტური მიმართულება, რომელმაც თუკიდიდეს სახით, ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენლის სახით, მიაღწია ისტორიული აზროვნების უდიდეს სიმაღლეს.

ათენელი თუკიდიდე დაიბადა ძვ. წელთაღრიცხვით 460 წლ. ახლო ხანებში. ხოლო გარდაიცვალა ალბად 396 წ. IV ს. დასაწყისში. მან დასწერა პელოპონესის ომის ისტორია. ეს ომი ყველაზე უფრო დიდი ომი იყო და საბერძნეთის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი, მას აწარმოებდა სპარტას მეთაურობით პელოპონესის კავშირი ათენის საზღვაო კავშირის წინააღმდეგ. რომელსაც შესვეურებდა ათენი და რომელიც აერთიანებდა ეგეოსის რაიონის თითქმის ყველა სანაპირო და კუნძულის სახელმწიფოებს.

თუკიდიდემ, რომელიც თითონვე იყო პელოპონესის ომის მონაწილე, რვა წიგნში აღწერა ამ ომის პირველი 20 წელი, მოკიდებული დასაწყისიდან — 431 წლიდან ვიდრე 411 წლამდე (ომი კი გათავდა 404 წ.).

თუკიდიდე რომ პეროდოტეს შეეადაროთ, მაშინ მართლაც მოგვიხდება იმის თქმა, რომ საისტორიო მეცნიერება ძალიან წინ წავიდა. რამდენადაც თუკიდიდე, მდიდარი მონათმფლობელი, გარკვეული კლასის წარმომადგენელი იყო, შეიძლება ითქვას, რომ ამ კლასის ფარგლებში გარკვეული ჯგუფისაც კი (ის წარმოადგენდა ათენის საზოგადოების ზომიერ-დემოკრატიულ წრეების ინტერესებს), იმდენად არ შეიძლება, რომ მისი კლასობრივი პოზიციები არ გამოემყდებებოდა ამათუიმ პიროვნებისა ან ამათუიმ აზბის შეფასებაში. დაძახაიათებელია. მაგალითად, თუკიდიდეს მკვეთრად გამონათული უარყოფითი განწყობა ათენის ეგრეთწოდებულ რადიკალურ დემოკრატიის ბელადების — კლეონისა და სხვათა მიმართ, მისი უარყოფითი განწყობილება და დამოკიდებულება „ბრბოსთან“, მისი სიმპათიები 411 წ. მომხდარ ოლიგარქიულ გადატრიალების ჩამდენთა მიმართ. თუმცა უნდა ისიც აღინიშნოს, რომ სხვა ძველ ბერძენ ისტორიკოსებთან შედარებით თუკიდიდე უფრო ობიექტურია.

თუკიდიდეს თავის პირველ წიგნში აქვს ერთი საგულისხმიერო ადგილი. სადაც ის წერს: „რაიცა შეეხება ომის განმავლობაში მომხდარ ამბებს, მე ჩემი ამოცანის შესაბამისად არ მიმანდა ჩამეწერა ის, რასაც კი გავიგებდი იმისგან, ვისაც კი წაუაწყებოდი, ან ის, რაც მე შემეძლო მეფიქრა, არამედ ვწერდი იმ ამბებს, რომელთა თვალთმნახველი თითონ მე ვიყავი, და იმას რაც სხვები-

სგან მქონდა გაგონილი. იმასაც ჯერ ზუსტად. რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო. გამოვიკვლეე-გამოვიძიებდი თვითნებულ ფაქტს. ცალკე აღებულს. კვლევა-ძიება ძხელი იყო. მიტომ რომ ცალკეულ ფაქტების თვალთმინახველნი ერთსა და იმავე ამბავს ერთნაირად არ გადმომცემდნენ, რადგანაც ყოველ მათგანს შეეძლო ფაქტი გადმოეცა იმისდამიხედვით. თუ რომელ მებრძოლ მხარეს ეკუთვნოდა მისი სიმპათია, ანდა საკუთარ მეხსიერებაზე დანდობით. იქნებ ჩემი მონათხრობი. არაკებს მოკლებული. სმენისთვის ნაკლებად სასიამოვნოდ ეჩვენოს ვისმე: სამაგიეროდ მას საკმაოდ სასარგებლოდ მიიჩნევს ყველა ის. ვინც მოისურვებს ნათელი წარმოდგენა იქონიოს წარსულზე, რაიც შეიძლება. ადამიანის ბუნების თვისებისდამიხედვით. ოდესმე გამეორდეს მომავალში სწორედ იმავე ან მსგავსი სახით“.

ამ ნაწყვეტში მოცემულია ისტორიული კრიტიკის თავისებური თეორია. მაგრამ თუკიდიდე არა ჯერღება მარტო თეორიას, არამედ მას იყენებს პრაქტიკაშიაც და ამისთვის ხმარობს ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად ყველა მეთოდს. პირველწყაროებსაც და—ასე გასინჯეთ—მოწმეების ჩვენებათა და პირისპირებასაც კი და სხვა ამგვარს.

ჩვენ შეგვიძლიან პელოპონესის ომის ისტორიის აღდგენა თუკიდიდეზე დამყარებით მიტომ. რომ მისი სახით ჩვენ ვხედავთ ერთ-ერთს ისეთს ანტიკურ ისტორიკოსს. რომელიც უაღრესად ობიექტურია და კრიტიკულად უდგება მასალას. რა-თქმა უნდა, თუკიდიდესაც აქვს ფაქტიური შეცდომები, მაგრამ ეს შეცდომები არსებითი არაა. მთელ რიგ შემთხვევებში მეცნიერება ადასტურებს თუკიდიდეს ჩვენებათა სიზუსტეს. როცა ამ ჩვენებებს ვაღარებთ ისეთ საწარმო მასალასთან, როგორიც წარწერებია

საკიროა ყურადღება მიექცეს პირველი წიგნიდან ამ ეს-ეს არის ციტირებულ ნაწყვეტიდან უკანასკნელ ფრაზას: „სამაგიეროდ მას საკმაოდ სასარგებლოდ მიიჩნევს ყველა ის. ვინც მოისურვებს ნათელი წარმოდგენა იქონიოს წარსულზე. რაიც შეიძლება. ადამიანის ბუნების თვისებებისდამიხედვით. ოდესმე გამეორდეს მომავალში სწორედ იმავე ან მსგავსი სახით“.

აქ გარკვეულად გამოსჩანს ისტორიული კანონზომიერების იდეა. მართალია, ამ კანონზომიერების გაგება ჯერ კიდევ არაა საკმაოდ განვითარებული, იგი არსებითად სწორიც არაა, რადგანაც სიმძიმის ცენტრი გადააქვს „ადამიანის ბუნების თვისებებზე“ და ისტორიულ მოვლენათა განმეორებადობაზე. ჩვენ ახლა ვიცით, რომ საქმე განმეორებადობაში კი არაა და არც ადამიანის ბუნების თვისებებში. არამედ საზოგადოებრივი განვითარების კანონებში. ყოველ შემთხვევაში მაინც ისტორიული კანონზომიერების ფორმულირება პირველად თუკიდიდეს ეკუთვნის.

ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმას. რომ თუკიდიდე ოდნავადაც არა კმაყოფილდება ამ ფორმულირებით. ფაქტების კონკრეტულ გადმოცემისას ის თითონვე გვერდს უხვევს ისტორიული კანონზომიერების ამ ფორმულირებას, რაიცა დამყარებულია ადამიანის ბუნების თვისებებზე. როცა თუკიდიდე მოგვითხრობს ისტორიულ ამბებს, ის მთელ რიგ შემთხვევებში ხშირად მიმართავს ამბების ასახსნელად წმინდა მატერიალური ხასიათის მიზნებებს. მაგალითად, ის

უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს გეოგრაფიულ გარემოს. ქალ: კორინთოს ამალღება-გაძლიერებას თუკიდიდე ხსნის მისი მარჯვე გეოგრაფიული მდებარეობით ყელზე, სადაც ადრე გაჩნდა ბაზარი.

თუკიდიდე აგრეთვე ითვალისწინებს ეკონომიური მომენტების დიდ როლს. პირველ წიგნში. მაგალითად, ის ამბობს: „ფულის მოგების მისწრაფება იწვევდა იმას, რომ უფრო სუსტები მონებად იყვნენ უფრო ძლიერებთან. მაშინ როდესაც უძლიერესნი. თავიანთ სიმდიდრეზე დანდობილნი. იმორჩილებდნენ პატარა ქალაქებს“.

თუკიდიდე ამბების ახსნას ეძებს არა რომელიმე იდეალურ მიზეზებში, არამედ ცდილობს გამოამჟღავნოს მათი მატერიალური სარჩული, ქვედა პირი. ძესაშე წიგნში მას აქვს ერთი შესანიშნავი ადგილი. სადაც ის ხსნის იმის მიზეზს, თუ რატომ გაგზავნეს ათენელებმა ექსპედიცია სირაკუზში: „ათენელებმა --- წერს თუკიდიდე, — გემები გაგზავნეს ტომობრივი ნათესაობის მომიზეზებით. ნამდვილად კი მათ ეწადათ წინააღმდეგობა გაეწიათ სიცილიიდან პელოპონესში პურის ჩამოტანისათვის. აგრეთვე წინასწარ ესინჯათ. ხომ არ შეიძლებოდა მათ სიცილია დაემორჩილებინათ“.

როცა ჩვენ ვილაპარაკებთ ბერძნულ იდეოლოგიაზე. შევეცდებით ავხსნათ ეს ერთი შეხედვით გაუგებარი ამბავი — რატომ შეეძლო ძველ-ბერძნულ საზოგადოების ისტორიკოსს, მეტად პრიმიტიულ და მონობაზე დაფუძნებულ საზოგადოების ისტორიკოსს, ამალღებულიყო საისტორიო აზრის ასეთ სიმალღემდე. ახლა კი დავადასტურებთ მარტო თითონ ფაქტს. ხოლო მის ახსნა-განმარტებას შემდეგისთვის გადავდებთ.

რეალისტური სკოლის სხვა ისტორიკოსები თუკიდიდეზე დაბლა დგანან. კერძოდ საჭიროა მოვიხსენიოთ ქსენოფონტეს სახელი. ის იყო ათენელი. დაიბადა დაახლ. 430 წ., ხოლო გარდაიცვალა IV ს. შუა ხანებში. ალბად 350 წ. ახლო ხანებში.

ქსენოფონტე თუკიდიდეს გამგრძელებელია. თავის „ბერძნულ ისტორიაში“ („ელლენიკა“-ში), რომელიც შეიღი წიგნისგან შესდგება, ის თხრობას იწყებს იქიდან, სადაც თავდება თუკიდიდეს მონათხრობი. ქსენოფონტე თავის ისტორიას იწყებს 411 წლიდან და მოჰყავს იგი 362 წლამდე.

„ბერძნული ისტორიის“ გარდა ქსენოფონტემ დასწერა კიდევ მთელი რიგი ნაწარმოებნი. ამათ შორის უნდა აღინიშნოს „ანაბასისი“. ესაა აღწერილობა იმ ლაშქრობისა. რომელიც აზიის შუა გულისკენ წარმართა ირანის ტახტის ერთ-ერთმა მოცილემ. კიროს მცირემ და რაზედაც ჩვენ თავის დროზე უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ. ქსენოფონტეს ეკუთვნის აგრეთვე სამეფუარო ხასიათის თხზულებანი („მოგონებანი სოკრატეზე“). შრომები ეკონომიკის დაზღში („შემოსავლებზე“), და სხვანი, რაზედაც ჩვენ ახლა აღარ შეეჩერდებით.

თუმცა ქსენოფონტეც ეკუთვნის თუკიდიდესგან მომაჟალ რეალისტურ ისტორიის სკოლას. მაგრამ როგორც ისტორიკოსი ის გაცილებით უფრო დაბლა დგას თუკიდიდეზე.

ქსენოფონტე ეკუთვნოდა ათენის საზოგადოების არისტოკრატიულ ფენებს. და მისი არისტოკრატიულ-რეაქციონური თვალსაზრისი, რომელიც განსა-

კუთრებით ჩანს მის სიმპათიებში სპარტას მიმართ, წინდაწინვე გასსაზღვრავს მის მიერ გამოყენებულ ისტორიულ ფაქტების შერჩევას და მათ შეფასებას. თვით მეთოდი საისტორიო კრიტიკის, თხრობის ხასიათი, მისი სიმშრალე ყოველივე ეს ქსენოფონტეს წარმოგიდგენს მეორე ხარისხის ისტორიკოსად თუკიდესთან შედარებით.

რომ გადავიდეთ ბერძნული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების საკითხზე. საკიროა აღინიშნოს. რომ IV ს. დასაწყისში, საბერძნეთში, მრავალ მიზეზის წყალობით, კერძოდ კი კლასობრივი ბრძოლის არაჩვეულებრივი გამწვავების გამო. ვხედავთ პოლიტიკური ლიტერატურის აყვავება გაფურჩქვნას. ჩნდება პამფლეტები, გამოდის პოლიტიკური სიტყვები და პუბლიცისტური ნაწარმოებები.

ამ მიმართულების მწერლებს შორის მეტადრე ცნობილია ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და IV საუკ. პირველი ნახევრის მწერალ-პუბლიცისტი ისოკრატე. ის იყო დამაარსებელი მწერალთა იმ სკოლისა, რომელსაც ახასიათებს მეტად გამაზვილებული, პოლიტიკურ-რიტორიკული მიმართულება. ისოკრატეს სკოლიდან წარმოიქმნა ბერძნული ისტორიოგრაფიის რიტორიკულა მიმართულება. რომელიც ძალიან განსხვავდება მის წინა მიმართულებისგან. ზემოთ რომ რეალისტური ვუწოდეთ. რიტორიკული მიმართულების მწერლებისთვის დამახასიათებელია მიდრეკილება მოგვეცენ გასართობი, ბევრ ადგილას განგებ გაზვიადებული, ხშირად მაღალ-მაღალ ფრაზებით გაბერილი ისტორია. რომელიც გარეგნულად შეიძლება ყოფილიყო კიდეც ძალიან ეფექტური. მაგრამ. რა თქმა უნდა. მეტად ჩამოუვარდებოდა რეალისტურ სკოლას ობიექტური სინამდვილის თავისი შესაბამისობით.

რიტორიკული მიმართულების ისტორიკოსებს შორის ორი უნდა დავასახელოთ. სამწუხაროდ. მათმა ნაწარმოებებმა ჩვენამდე არ მოაღწიეს, მათ შესახებ ჩვენ ვმსჯელობთ მარტო საცოდავ და უმნიშვნელო ნაწყვეტების მიხედვით. მაგრამ თავის დროზე იმათ უდიდესი გავლენა იქონიეს სხვა ბერძენ ისტორიკოსებზე და ანტიკური ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე. ეს ორი ისტორიკოსია თეოპომპე და ეფორი.

თეოპომპე წარმოშობით იყო კუნძულ ქიოსიდან. მცირე აზიაში რომაიგი ცხოვრობდა IV საუკ. მეორე ნახევარში და დასწერა მან საბერძნეთის ისტორია 12 წიგნად, ამასთანავე ქსენოფონტესავით ისიც იწყებს იმ ადგილიდან. სადაც თუკიდიდე გაჩერდა. ეს სხვათა შორის ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთია იმისი, თუ რა გავლენა იქონია თუკიდიდემ ბერძნულ ისტორიოგრაფიაზე. თეოპომპე საბერძნეთის ისტორიის იწყებს 411 წლიდან და მოჰყავს იგი 394 წლამდე.

განსაკუთრებთ თვალსაჩინო იყო მისი მეორე ნაწარმოები: ფილიპე მაკედონელის, სახელწვან ალექსანდრე მაკედონელის მამის, ისტორია. ფილიპეს ისტორია („ფილიპიკა“) მოცემულია 58 წიგნად.

თეოპომპეს ახასიათებს ტენდენციურ-არისტოკრატიული თვალსაზრისი. ამ მხრივ ის უფრო ქსენოფონტეს მოწაფეა, ვიდრე თუკიდიდესი. თეოპომპეს უდიდესი პოპულარობა ძველ დროს უმთავრესად აიხსნება იმ ინტერესით, რო-

ქელსაც იგი იჩენდა პიროვნების მიმართ. ამასთან დაკავშირებულია მისი ისტორიის ფსიქოლოგიაში. მას სიმძიმის ცენტრი გადააქვს ისტორიულ პიროვნებაზე და ამიტომაც იგი ბუნებრივად ეძებს ისტორიულ მოვლენათა მიზეზებს: ასხნას პიროვნების ფსიქოლოგიაში.

11¹ საუკ. მეორე ნახევრის მეორე ისტორიკოსი, რომელიც ასევე გამოვიდა ისოკრატეს პოლიტიკური სკოლიდან, იყო ეფორი. ამან ბერძნულ ისტორიაზე უფრო მეტი გავლენა მოახდინა, ვიდრე თეოპომპემ.

ეფორმა საბერძნეთის ზოგადი ისტორია 30 წიგნად დასწერა მოკლებული უძველესი დროიდან და 340 წლით გათავებული. ეს. არსებითად რომ ითქვას. მთელი საბერძნეთის პირველი ზოგადი ისტორიაა, ვინაიდან თუკიდიდეს და ქსენოფონტეს ისტორიული ნაწარმოებნი. თითონ ჰეროდოტესაც კი, თუმცა ზოგადობის ელემენტები ჰეროდოტესაც ჰქონდა. წარმოადგენენ მხოლოდ და მარტო ცალკე ამბებისა, ცალკე ხალხების ისტორიებს. ყოველ შემთხვევაში საბერძნეთის ისეთი ისტორია, რომელიც შეიცავდა ყველა ბერძნული სახელმწიფოს განვითარების მიმოხილვას, ეფორამდე არ ყოფილა. აი რატომ მოახდინა მან უდიდესი გავლენა ისტორიოგრაფიის გვიანდელ განვითარებაზე.

ჩვენ აღარ მოვიხსენიებთ ნაკლებად მნიშვნელოვან ისტორიკოსებს. მაკრამ რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა ითქვას ერთ მწერალზე, რომელიც თუმცა არ ყოფილა ისტორიკოსი ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. მაგრამ რომელმაც თავისი გენიის არაჩვეულებრივი უნივერსალობის წყალობით ისტორიის დარგშიაც ძალიან ბევრი-რამ გააკეთა. მე მხედველობაში მყავს არისტოტელე, რომელზედაც თავის დროზე ჩვენ უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ, როგორც ფილოსოფოსზე.

384-322 წლებში მცხოვრებ არისტოტელეს უამრავ სამეცნიერო შრომებს შორის მოეპოვება ორი შრომა. რომელნიც ერთგვარად ისტორიულ ნაშრომს წარმოადგენენ: „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ და „პოლიტიკა“.

„ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ შეიცავს ათენის კონსტიტუციის ანალიზს. მაგრამ ამ ნაწარმოების შესავალი, პირველი ნაწილი იძლევა ათენის ისტორიას. რადგან. საბედნიეროდ, არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ თითქმის სრულად არის შენახული (იგი იპოვნეს XIX საუკ. 90-იან წლების დასაწყისში), ამიტომ ეს წყარო ჩვენთვის არაჩვეულებრივ ძვირფას განძს წარმოადგენს.

არისტოტელეს მეორე ნაწარმოები. „პოლიტიკა“, არის ნაშრომი ნაწილობრივად სახელმწიფო სამართლის დარგში. ნაწილობრივად კი სოციალოგიის დარგში. აქ არისტოტელე ანალიზს ახდენს მართვა-გამგეობის სხვადასხვა ფორმებისას. მაგრამ რადგანაც „პოლიტიკაში“ არისტოტელე მრავალ საისტორიო მასალასაც გვაუწყებს. ამიტომ ეს ნაწარმოები რამოდენიმედ მაინც შეიძლება ისტორიულ ნაწარმოებადაც ჩაითვალოს.

არისტოტელე გამოხატავდა ბერძნული მონათმფლობელობის საშუალო ფენების ინტერესებს, რამაც თავი იჩინა მის პოლიტიკურ მხედველებაში და მის მიერ ბერძნული ისტორიის ამბების გაშუქებაში. არისტოტელეს თანაგრძნობა ზომიერი დემოკრატიის მხარეზეა, აქედან გამომდინარეობს მისი სიმ-

პათიები სოლონისა. კლისთენესა, პერიკლესა. ნიკიასა და სხვათა მიმართ და უარყოფითი განწყობა კლეონისადმი.

არსებითად არისტოტელეთი თავდება „კლასიკური“ საბერძნეთის ისტორიული აზროვნების განვითარება. IV საუკუნეში ბერძნული ისტორია გადადის ახალ, ეგრეთწოდებულ ელინისტურ სტადიაში. ელინიზმის დახასიათებასა და ისტორიას მიეძღვნება ჩვენი კურსის ცალკე განყოფილება. აქ კი ჯერჯერობით საჭიროა მარტო ის აღინიშნოს, რომ ელინიზმის ისტორიას ანუ ელინისტური ეპოქის ისტორიას უწოდებენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნახევრის — სიცილიის, საბერძნეთის და წინა აღმოსავლეთის - ისტორიას, მოკიდებული დაახლოვებით ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან. ე. ი. IV საუკ. მეორე ნახევრიდან ვიდრე რომაელთა მხრივ მომხდარ დაპყრობამდე.

ეს ხანა იდეოლოგიის დარგში ხასიათდება კერძოდ ზუსტ მეცნიერებათა ანუ ცოდნათა განვითარებით. ისტორიოგრაფიაში ეს გამოისახა იმით, რომ თავი იჩინა საკმაოდ დიდმა ინტერესმა წმინდა ქრონოლოგიუო პრობლემების მიმართ. ელინიზმის ხანაში იყო მთელი რიგი მეცნიერები, ხანდახან არა სპეკულაციისტი-ისტორიკოსებიც კი, რომელნიც ქრონოლოგიის პრობლემებზე მუშაობდნენ. ასეთ მეცნიერთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, მაგალითად, III საუკ. მეორე ნახევრის ცნობილი გეოგრაფოსი ერატოსტენე თავისი „შრომით „ქრონოგრაფია“ და სხვანი. ყველა ამ შრომამ ის გააკეთა, რომ ანტიკურ დროსვე თითონ ანტიკური ისტორიის ქრონოლოგიური მთავარი სამიჯნო მომენტები, იმის გამო, რომ გამოყენებულ იქნა, კერძოდ, სათანამდებო პირთა სია-ნუსხები (დიმიტრი ფალერნელის „ათენელ არქონტების ნუსხები“, IV საუკ. ბოლო). დადგენილი იყო საკმაო სიზუსტით.

მაგრამ ელინიზმის დროის ისტორიოგრაფიისათვის უფრო დამახასიათებელია მეორე რამ. ესაა ისტორიული აზროვნების მიერ გადალახვა ბერძნული სამყაროს ძველი და ვიწრო ჩარჩოებისა. ძვ. წელთაღრ. III-II საუკ. ეპოქისათვის დამახასიათებელია უნივერსალური, მსოფლიო ისტორიის შექმნა, ასეთი უნივერსალური ისტორიის შექმნის ცდას ჩვენ გვაძლევს ჰეროდოტე. მაგრამ ეს ცდები მეტად გულუბრყვილო, ძალიან სუსტი ცდები იყო. მსოფლიო ისტორიის (რა თქმა უნდა, ამ სიტყვის განსაზღვრული და შეზღუდული გაგებით) შექმნა იწყება მარტო ელინიზმის დროიდან. ელინიზმის ხანაში მყარდება ფართო ეკონომიური და კულტურული კავშირი საბერძნეთსა და აღმოსავლეთს შორის და ერთიან პოლიტიკურ სისტემაში ებმება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის უზარმაზარი მსოფლიო, ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან დაწყებული და ანდოეთით გათავებული. ყოველივე ეს იმის მხევენებელი იყო, რომ ისტორიული ჰორიზონტი გაფართოვდა არაჩვეულებრივი, წინათ წარმოუდგენელი მასშტაბით. ამას თავისი გამოსახულებაც უნდა ეპოვნა ისტორიოგრაფიის დარგში. რაც გამოვლინდა კიდევ მსოფლიო ისტორიის დაფუძნების ცდებში.

ამ დარგში ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ დიდ ფიგურებს. უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ტიმეოსი, რომელიც სიცილიიდან იყო, ქალაქ ტავრომენიონიდან. იგი ცხოვრობდა IV საუკ. მეორე ნახევარსა და III საუკ. პირველ ნახევარში. მან დასწერა „ისტორია“ 38 წიგნად. ეს ნაწარმოები უმთავ-

რესად სიცილიას ეხებოდა. არსებითად ეს კიდევ არ იყო ნამდვილი მსოფლიო ისტორია ამ სიტყვის თუნდაც ანტიკური გაგებით. ეს იყო სიცილიის ისტორია, ოღონდ შიგ ჩართული ჰქონდა მას კართაგენისა და იტალიის ელემენტარული ისტორიაც.

ტიმეოსი იქნებ იმდენად თავისი უნივერსალური თვალსაზრისით არ იყოს საინტერესო, რამდენადაც მით, რომ მან პირველმა შემოიღო თვლა და დროის ანგარიში ოლიმპიადების მიხედვით. შემოიღო საერთო ქრონოლოგია. ტიმეოსის წინა მწერლებს (ისტორიკოსებს), როგორც უკვე აღნიშნული იყო, არ ჰქონდათ საერთო ქრონოლოგია. ისინი დროს აღრიცხავდნენ ადგილობრივ ერათა მიხედვით. ტიმეოსმა ქრონოლოგიურ სისტემას საფუძვლად დაუდო ოლიმპიის ასპარეზობაში გამარჯვებულთა სიები და პირველმა გამოიყენა ოლიმპიადების ქრონოლოგიური ქარგა. ე. ი. ოთხწლიანი ხარვეზები. რომლითაც განიყოფებოდა წინა ასპარეზობა მეორე მომდევნოსგან. დაწყებული 776 წლიდან. ამ გვარად მიღებულ იქნა შემდეგი ქრონოლოგიური ქარგა: პირველი ოლიმპიადა შეიცავს 776, 775, 774 და 773 წლებს; მეორე ოლიმპიადა — 772, 771, 770 და 769 წლებს და ა. შ. ვიდრე ტიმეოსის დრომდე. ასეთი სისტემით, როცა, მაგალითად, ნაჩვენები იყო 23-მე ოლიმპიადის მესამე წელიწადი. მისი გამოანგარიშება ადვილი იყო, რადგან 776 წელი გამოსავალ წერტილად ითვლებოდა, როგორც ერას დასაწყისი.

ტიმეოსის შემდეგ ოლიმპიადებით თვლა-ანგარიში დროისა უფრო და უფრო შემოდის ისტორიული კვლევა-ძიების ხმარებაში და ამრიგად ჰქმნის საერთო ქრონოლოგიურ საფუძველს მთელი ანტიკური ისტორიისათვის.

ელინიზმის დროის მსოფლიო ისტორიის ნამდვილი წარმომადგენელი იყო პოლიბიოსი. სახელოვანი ისტორიკოსი, რომელიც არსებითად ეკუთვნოდა უკვე რომაულ ეპოქას. ის ცხოვრობდა 205 და 125 წლებს შუა და იყო საბერძნეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწე. თავისი ცხოვრების საუკეთესო დრო, აყვავება-გაფურჩქვნის ხანა, მან რომში გაატარა, იყო დაახლოვებული სციპიონების წრესთან, რომის საზოგადოების მმართველი წრის ჯგუფთან. როგორც ამ ჯგუფთან დაახლოვებული პიროვნება, პოლიბიოსი იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკის კურსში იყო.

პოლიბიოსმა თავის ამოცანად დაისახა—დაეწერა ძვ. წელთაღ. III საუკ. მეორე ნახევრისა და II საუკ. პირველი ნახევრის ისტორია, ისე, რომ პასუხი გაეცა კითხვაზე: „როგორ, როდის და რატომ მოექცა დედამიწის ყველა ცნობილი ნაწილები რომაელთა ბატონობის ქვეშ?“ ის გვაძლევს ჩვენ რომაელების დაპყრობის ისტორიის პირველი პუნიკური ომიდან დაწყებული — 264 წლიდან (თუმცა პირველი პუნიკური ომი მას მოკლედ აქვს მონათხრობი) და მოჰყავს ეს ისტორია II საუკ. 40-იან წლებამდე. საბერძნეთის დაპყრობის მომენტამდე. ეს იყო რომის ისტორიაში გადაწყვეტილ გარდატეხის მომენტი. ამ დროიდან იწყება რომის ისტორია, როგორც მსოფლიო სახელმწიფოს ისტორია. და აი პოლიბიოსიც ცდილობს გასცეს პასუხი კითხვაზე: რატომ გამოვიდნენ რომაელები გამარჯვებულნი კართაგენთან და აღმოსავლეთთან ბრძოლაში და შეიქმნენ მსოფლიო სახელმწიფოს მფლობელები? საკითხის თითონ დაყენება

და ის გარემოება. რომ პოლიბიოსს ყველა ამ ამბების, რომის მიერ ყველა ამ დაპყრობათა გადმოცემა-თხრობისას უნდა ელაპარაკნა მთელი იმდროინდელი კულტურული სამყაროს ისტორიაზე. უკვე წინასწარ განსაზღვრავდა პოლიბიოსის თხრობის მსოფლიო-ისტორიულ ხასიათს.

სამწუხაროდ. ჩვენამდე პოლიბიოსის დიდი ისტორიიდან მოაღწია ძალიან ცოტა-რამ. იგი დაწერილი იყო 40 წიგნად. მაგრამ ამათგან სრულად მოვიდა ჩვენამდე მარტო პირველი 5 წიგნი. დანარჩენ წიგნებიდან გადარჩა მეტნაკლებად ვრცელი ფრაგმენტები (ნაწყვეტები).

პოლიბიოსი არის თუკიდიდეს მასშტაბის ისტორიკოსი. მისი სახით ჩვენ გვყავს ანტიკური ისტორიული აზროვნების მეორე ბუმბერაზი.

პოლიბიოსმა შეხძლო გამოეყენებინა ბერძნული ისტორიოგრაფიის მთელი მის წინა ყოფილი განვითარების გამოცდილება; ამასთანავე ერთადღის იდგა თავის დროის ისტორიულ ამბების შიგ შუა გულში. ახლოს იდგა რომთან, იმდროინდელი მსოფლიო ისტორიის ცენტრთან. ყოველივე ამან პოლიბიოსს შეუქმნა მეტად ხელსაყრელი პირობები იმისი, რომ მისთვის შესაძლებელი ყოფილიყო ფართო ისტორიული ჰორიზონტისა და გაქანების ნაწარმოების მიცემა თავისი მუშაობის მეთოდებით პოლიბიოსი უახლოვდება თუკიდიდესს.

ის თუკიდიდესავით კრიტიკულად ეკიდება ყველაფერს და ნდობით. სხვაზე დამყარებით არაფერს გვაუწყებს. ყოველ ფაქტს ის ყოველმხრივად ანალიზს უკეთებს და ცხრილავს და ის, რაც პოლიბიოსს აქვს დადგენილი, საკმაოდ სარწმუნო ცნობას წარმოადგენს. „ისტორიკოსის ამოცანა; — ამბობს პოლიბიოსი. — იმაში კი არ მდგომარეობს, რომ საკვირველ საგნებზე მოთხრობით მიში და ძრწოლა მოჰგვაროს მკითხველებს. არც იმაში. რომ გამოიგონოს მართლის მსგავსი ამბები.... არამედ იმაში, რომ ზუსტად გვაუწყოს მართო ის, რაც იყო სინამდვილეში გაკეთებული ან თქმული, რაგინდ ჩვეულებრივი ყოფილიყო ყოველივე ეს“.

პოლიბიოსი დგას ისტორიული პროცესის კანონზომიერების აღიარების თვალსაზრისზე. ამ კანონზომიერების ბუნებრივ მიზეზებზე დამოკიდებულების თვალსაზრისზე. მას ეუკთვნის ტერმინი „პრაგმატიკული ისტორია“. რომლის ქვეშ ის გულისხმობს ამბების თხრობას მათი მიზეზობრივი დაკავშირებით. გარდა ამისა. პოლიბიოსს ჩანასახის სახით მოეპოვება ეგრეთ-წოდებული „ციკლისებრი თეორია“. ისტორიულ წრისებრ მიმოქცევათა. თეორია, რომელსაც ბურჟუაზიულ ისტორიკოსებში ეგოდენ დიდი პოპულარობა და გასავალი ჰქონდა და ახლაც აქვს. ესეც კია, რომ ეს პოლიბიოსის ნაწერში მეტად გულუბრყვილო სახით არის გამოვლენილი. პოლიბიოსი ფიქრობს. რომ სახელმწიფოები ეხელქვეითებიან ბუნების სწორედ იმავე კანონს. რომელსაც მრჩილებენ ცოცხალი ორგანიზმებიც. მათი ზრდისა, განვითარების ხანას თან მოსდევს თანდათანობითი დაცემა-დაქვეითება და დაღუპვის ხანა. ეს „კანონი“. რა თქმა უნდა, სწორი არაა. მაგრამ აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თვით კანონზომიერების იდეა. ამასთანავე ერთად პოლიბიოსი თუკიდიდესავით ამბების თხრობის დროს გვერდს უვლის თავის საერთო კონცეფციას და დგება ისტორიული პროცესის რეალურ მამოძრავებელ მიზეზების დადგენის აუცილებელ საჭიროების

თვალსაზრისზე. ჩვეულებრივად ეს მიზეზები მას ჩამალული აქვს მომქმედ პირთა ვსიკოლოგიაში. სახელმწიფოს ამათუიმ მდგომარეობაში, ჯარის ძალასა და ორგანიზაციაში და სხვა ამგვარში. მაგრამ ხანდახან პოლიბიოსი ახსნა-განმარტებისათვის იყენებს ისეთ მომენტებსაც: როგორცაა გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები და; აგრეთვე კლასობრივი ბრძოლა.

პოლიბიოსის გავლენა ანტიკურ ისტორიოგრაფიაზე არაჩვეულებრივ დიდი იყო და როგორც თუკიდიდეს შემდგომი ისტორიკოსები თავის თხრობას იწყებდნენ იმ მომენტიდან, რაზედაც თუკიდიდე შეჩერდა. ახლაც პოლიბიოსის შემდგომი ისტორიკოსების მთელი რიგი განაგრძობდა მის ისტორიას.

პოლიბიოსის გამგრძელებელთა შორის საჭიროა უპირველეს ყოვლისა აღვნიშნოთ ფილოსოფოს-სტოიკოსის პოსიდონის საინტერესო ფიგურა. პოსიდონი ჩამომავლობით იყო სირიის ქალაქ აპამეიდან და ცხოვრობდა დაანლოვებით ძველთაღრიცხვით 135-45 წლებს შუა, რომის ისტორიის უაღრესად საინტერესო და ძეტად შფოთიერ დროს. პოსიდონიმ განაგრძო პოლიბიოსის შრომა და დასწერა „ისტორია“ 52 წიგნად. მოკიდებული 145 წლიდან ვიდრე სულას დრომდე (I საუკ. 80-იან წლებამდე).

წინააღმდეგ სხვა ანტიკურ ისტორიკოსებისა. რომელთაც აინტერესებდათ მარტო გარეგანი, პოლიტიკური ისტორია. პოსიდონი თავის შრომაში დიდ ადგილს უთმობდა მეურნეობას, სახელმწიფოებრივ ურთიერთობას, კულტურის საკითხებს და მრავალ ეთნოგრაფიულ ცნობას იძლევა. პოსიდონი განსაკუთრებით იმითია შესანიშნავი. რომ მან მოგვცა ძველთაღრიცხვით II და I საუკ. მონათა აჯანყების დაწვრილებითი ისტორია.

სამწუხაროდ პოსიდონის „ისტორიათაგან“ ჩვენამდე მოაღწია უმნიშვნელო ნაწყვეტებმა. ეს დანაკარგი საისტორიო მეცნიერებისათვის აუნაზღაურებელია.

პოსიდონით ფართოდ ისარგებლა დიოდორე სიცილიელმა. რომელიც ცხოვრობდა ძველთაღ. I საუკ.-ში. მან დასწერა „საისტორიო ბიბლიოთეკა“, 40 წიგნისგან შემდგარი. იწყებოდა იგი მითოლოგიური დროიდან. თავდებოდა ძველთაღრიცხვით 60 წლით და შეიცავდა აღმოსავლეთისა, საბერძნეთისა და რომის ისტორიას. ამრიგად დიოდორეს „საისტორიო ბიბლიოთეკა“ იძლევა მსოფლიო ისტორიის მიმოხილვას ამ სიტყვის იმ დროისთვის ზუსტი მნიშვნელობით. „ბიბლიოთეკიდან“ ჩვენამდე მოაღწია მარტო პირველმა ხუთმა წიგნმა და აგრეთვე მეთერთმეტე წიგნიდან მოკიდებული მეოცემდე. სულ ამგვარად გადარჩა ჩვენამდე 15 წიგნი. გარდა ამ სრულად მოსულ წიგნებისა ჩვენამდე მოვიდა აგრეთვე მთელი რიგი ფრაგმენტები და კერძოდ ის ნაწყვეტები. სადაც ლაპარაკია სიცილიის მონათა პირველ და მეორე აჯანყებებზე და სადაც დიოდორე მთლიანად პოსიდონიზეა დანდობილ-დამყარებული.

დიოდორე სიცილიელი დიდ ისტორიკოსთაგანი არაა; მან თავისი წყაროები გამოიყენა არასაკმაო კრიტიკით. თანაც მათ თითქმის არასდროს არ ასახელებს. დიოდორე ძალიან ნაკითხი კაცი იყო. მან ფართოდ ისარგებლა ეფორხასა და თეპომპეს ნაწერებით და მთელი მის წინა დროის ბერძნული ისტორიოგრაფიათ. სამწუხაროდ, დიოდორეს შესწავლა მოითხოვს გამუდმებულ დამატებით

რკვევა-ძიებას იმ წყაროების დასადგენად, რომლებზედაც დამყარებულია მის „საისტორიო ბიბლიოთეკის“ ესა თუ ის ადგილი. დადგენა იმისი, თუ ვის ემყარება იგი, მკვლევარისათვის მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგანაც დიოდორე ჩვენი ცნობებისთვის, მთელ რიგ ამბებს რომ შეეხება, მთავარი წყაროა, ხოლო სიცილიაში მომხდარ აჯანყებათათვის ერთად-ერთ წყაროს შეადგენს.

სიცილიის მონათა აჯანყებების აღწერისას დიოდორე მთლიანად მონათმფლობელების პოზიციებზე დგას. მაინც მას ესმის და გაეგება, რომ ამ აჯანყებათა მიზეზი არის მონათა და მონათმფლობელების ინტერესთა წინააღმდეგობა—დაპირისპირებანი და ის უკიდურესი სახის ექსპლოატაცია, რომელსაც განიცდიდნენ მონები სიცილიაში.

ჩვენ აღარ შევჩერდებით. მთელ რიგ მეორე ხარისხოვან ანდა ჩვენამდე არ მოსულ მწერლებზე იმ ისტორიკოსთა შორის, რომელნიც მსოფლიო ისტორიას მისდევდნენ, მაგრამ საჭიროა შევჩერდეთ კიდევ პლუტარქოსზე. პლუტარქოსი, ჩამომავლობით ბეოტიელი (ქალ. ქერონეადან), ცხოვრობდა ჩვ. დროის II საუკ. მეორე ნახევარსა და II საუკ. დასაწყისში. ის იყო დიდი მოხელე ტრაიანისა და ადრიანეს დროს. იმპერიის ეგრეთ-წოდებულ „ბედნიერ ხანაში“.

პლუტარქოსის მიერ დაწერილ მრავალ ნაწარმოებთა შორის არაერთმა მოაღწია ჩვენამდე, ამათში არის ბიოგრაფიათა ტიპის საისტორიო შრომები, რომელნიც ცნობილია სახელწოდებით „ცხოვრების პარალელური აღწერილობანი“ ანუ მოკლედ „პარალელური ცხოვრებანი“. „პარალელურ ცხოვრება“-ში დაპირისპირებული არიან ბერძენი და რომაელი სახელმწიფო მოღვაწეები და ბიოგრაფიებიც შერჩეულია სახელმწიფო მოღვაწეობის მსგავსების კვალობაზე. ასე, მაგალითად, თეზეოსის ბიოგრაფია უპირისპირდება რომულის ბიოგრაფიას. დემოსთენეს ბიოგრაფია — ციცერონის ბიოგრაფიას, ალექსანდრე დიდის ბიოგრაფია — იულიოს კეისრის ბიოგრაფიას. თუმცა ხანდახან მსგავსება მეტი-მეტად შორეულია და წმინდა გარეგნული ხასიათისაა, მაინც თხზულებას აღნაგობის პრინციპი სწორედ ასეთი იყო.

სულ ჩვენამდე მოაღწია 50 ბიოგრაფიამ, ამათში 46 ბიოგრაფია წყველულია და პარალელიზმის პრინციპის მიხედვით არის აგებული, ხოლო 4 ცალკეული ბიოგრაფიაა ისეთ მოღვაწეებისა, რომელთაც პლუტარქოსმა პარალელი ვერ მოუძებნა. თუმცა ის დიდი პოპულარობით. სარგებლობდა ანტიკურ დროშიც და უფრო გვიანდელ ხანებშიც, რადგანაც ცოცხლად, სხარტულად წერდა, ეხერხებოდა თავის ადგილას ანეკდოტის ჩართვა და სხვა ამგვარი. მაინც პლუტარქოსი დიოდორესავით მეორე ხარისხოვანი ისტორიკოსია. პირველ ყოვლისა მას მეტად ძლიერად ატყვია მარქსის მიერ აღნიშნული მორალით გამსჭვალული ტენდენციები (იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, сочинения, т. I, 1928, стр. 83). მერმე, თუმცა პლუტარქოსი დიოდორესგან განსხვავებით ხშირად ასახელებს და აღნიშნავს თავის წყაროებს, მაინც მას არ შეიძლება ყოველთვის ენდოს ადამიანი. ვინაიდან იგი წყაროებს არაკრიტიკულად ეკიდება.

ძველი ისტორიის მრავალ საკითხებში პლუტარქოსის ბიოგრაფიები თითქმის ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენენ. ამიტომაც, მიუხედავად მისი არაერთ ნაკლებლოვანებისა, მაინც გვიხდება ფართოდ გამოყენება მის წიგნებში არსებულ მასალისა.

2. რომაელების ისტორიოგრაფია.

რომაული ისტორიოგრაფია ბერძნულისგან განსხვავებით წარმოიქმნა მატრიანდან. ე. ი. ამბების მოკლე წლითი-წლობითი ჩანაწერებიდან. ბერძნებს არ ჰქონიათ მატრიანე. ყოველ შემთხვევაში მას ჩვენამდე არ მოუღწევია და არც ძალგვიდს დავადგინოთ საბერძნეთში მისი არსებობის რაიმე ნიშან-კვალი. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ბერძნული ანუ საბერძნეთის ისტორიის წარმოქმნაზე, ჩვენ მარტო აღნიშნავთ სათანამდებო პირთა სია-ნუსხებს, რომელნიც ბერძენ ისტორიკოსებისთვის წარმოადგენდნენ საქრონოლოგიო ქარგას, მერე გაჩნდნენ ლოგოგრაფოსები და ჰეროდოტე. ე. ი. წარმოიშვა თხრობითი და გაბმული ისტორია.

სხვაგვარად იყო საქმე რომში. ადრიდგანვე, დაასლოვებით ძვ. წელთაღრიცხვით V საუკ. შუა ხანიდან, იქ უკვე არსებობდა პონტიფიკების (რომაელ ქურუმების) მატრიანე. პონტიფიკები წლებს აღნიშნავდნენ კონსულების სახელების მიხედვით და თვითეული წლის ქვეშ წერდნენ მათი თვალსაზრისით უაღრესად შესანიშნავ ამბებს: ტიბრის ადიდებას და ნაპირებიდან გადმოსვლას. შიმშილობის, ომიანობის, ორთაფიანი ბავშვის დაბადების ცნობას და სხვა ამგვარს. ამ ჩანაწერებში არაერთარი სისტემა არ ყოფილა. განურჩევლად იწერებოდა მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ამბები. ასეთი მატრიანის არსებობა ექვს გარეშეა. საკითხავი მარტო ისაა, თუ როდის გაჩნდა იგი. არის აზრი, თითქოს მისი წარმოება დაიწყეს ძვ. წელთაღ. 464 წლიდან. თუმცა ეს თარიღი ჯერ კიდევ არაა საესებით დასაბუთებული. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მესამე საუკუნის დასაწყისიდან მატრიანეს აწარმოებენ უკვე საკმაოდ დაწერილებით და რეგულარულად.

ამ მშრალი მატრიანის ლიტერატურული დამუშავებისგან წარმოსცნა რომის „ნაციონალური“ ისტორია. მატრიანის დამუშავებას რომში აწარმოებდნენ ეგრეთ წოდებული ანალისტები. მათ ჩვეულებრივად ორ ჯგუფად ჰყოფენ: უფროს და უმცროს ანალისტებად.

ანალისტების უფროსი თაობა გვაძლევს ჯერ კიდევ საკმაოდ მშრალ მასალას. მათ მატრიანე მარტო ოდნავ აქვთ ლიტერატურულად გადამუშავებული. უფროს ანალისტებში ყველაზე უფრო ცნობილი იყო ფაბიუს პიქტორი. რომელიც ცხოვრობდა ძვ. წელთაღრიცხვით III საუკ. ბოლოს. საგულისხმეოა, რომ რომის ისტორიას იგი წერდა ბერძნულ ენაზე. ეს დამახასიათებელი ფაქტი იმავე გვიჩვენებს. თუ რა დიდი გავლენა ჰქონია ბერძნულ კულტურას რომისაზე III საუკ.-ში.

ამავე დროს, III საუკ. ბოლოს და II საუკ. დასაწყისში, უფროს ანალისტების შრომათა საფუძველზე წარმოიშვა და განვითარდა კატონ ცენზორის ანუ კატონ უფროსის სამწერლო მოღვაწეობა. კატონი იყო იტალიის აგრარულ-მონათმფლობელური წრების წარმომადგენელი, „ნაციონალური“ კონ-

სერვატული პოლიტიკის მომხრე და დიდი გავლენაც მოახდინა მან რომის მთელ საზნაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე. კერძოდ კატონმა დასწერა ჩვენთვის კარგად ცნობილი ტრაქტატი სოფლის მეურნეობის შესახებ. ის მოღვაწეობდა აგრეთვე საისტორიო სარბიელზედაც. მან ლათინურ ენაზე დასწერა ნაწარმოები სახელწოდებით „Origines“, რაც გადათარგმნისას ნიშნავს „წარმოშობათ“ ანუ „დასაბამთ“ (ე. ი. რომის დასაწყისს). „Origines“ ასახავს კატონის ნაციონალურ-კონსერვატულ თვალსაზრისს. აქ იგი ქება-ღიძობას ასხავს ნაციონალურ-რომაულ ელემენტებს ბერძნული გავლენისათვის დასაპირდაპირებლად. კატონი გვევლინება აქ ყოველივე ბერძნულის მედგარ მოწინააღმდეგედ და სასტიკად ამხედრებულია ბერძნული გავლენის გავრცელების წინააღმდეგ. „Origines“ ჩვენამდე მოსულია უმნიშვნელო ნაწყვეტებად. დაწერილია ეს შრომა შვიდ წიგნად, თანაც, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ამაზე მსჯელობა. კატონი აქ სარგებლობდა პირველწყაროებით: ყოველგვარი დოკუმენტებით, წარწერებით და სხვა ამგვარით.

ისტორიის დამუშავებაში შემდგომი ნაბიჯი გადადგეს უმცროსმა ანალისტებმა. ისინი წერდნენ სულას ეპოქაში (ძვ. წელთაღრიც. 1 საუკ. 80-იან და 70-იან წლებში). უმცროსი ანალისტები, უფროსებისგან განსასხვავებლად, გუბილევან დალაგებულს. ცოცხლად და გამართობელად დაწერილს. ლიტერატურულ მოთხოვნებს. მაგრამ ისინი ხშირად რიტორიკას აძლევენ თავს და ფაქტებსაც წამდაუწუმ აყალბებენ.

სწორედ უმცროსი ანალისტების მიერ იყო შექმნილი ის ლეგენდები რომის დაარსების შესახებ და რომის ისტორიის პირველ საუკუნეთა თაობაზე, რუპელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ჩვენამდე მოსულ რომის ისტორიკოსების ლივიუსისა და სხვათა — მონათხრობს.

უმცროს ანალისტებში უნდა დავასახელოთ ვალერი კნციატო, ლიცინი მაკრი და სხვ. მათი ნაწარმოებნი ისევე, როგორც უფროს ანალისტების ნაწარმოებნი, ჩვენამდე თითქმის არ მოსულა.

რომის ისტორიოგრაფიის წარმოქმნაზე ლაპარაკისას საჭიროა კიდევ აღვნიშნოთ მარკოზ ტერენცი ვარონის მოღვაწეობა, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წელთაღრიცხვით 116 და 27 წლებს შუა. ვარონი იყო ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი, მეტად შრომის მოყვარე და უამრავი ნაწარმოებიც დასწერა მან. ის იყო ფილოლოგიც, ისტორიკოსიც, პოეტიც, მათემატიკოსიც, თეორეტიკოს-აგრონომიც. ვარონი წარმომადგენელია იმ რომაული უნივერსალური სწავლულობისა. რომელიც ცდილობდა რამდენადაც შეიძლებოდა ფართოდ დაუფლებოდა ბერძნების კულტურულ მემკვიდრეობას. რომმა რომ მიიღო, და გადაემუშავებინა იგი ნაციონალურ-რომაული განხრით. ამ თვალსაზრათით ვარონის გავლენა რომის კულტურის განვითარებაზე უდიდესი იყო. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის „სიძველეთ“ — „Antiquitates rerum humanarum et divinarum“ 41 წიგნად. რომელიც შეიცავდნენ უდიდეს მასალას რომის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ყოფა-ცხოვრების ისტორიის დარგში.

ძველი წელთაღრიცხვით 1 საუკუნეში ჩნდება რომის ნამდვილი ლიტერატურული ისტორია. 1 საუკ. ისტორიკოსებში პირველ ყოვლისა უნდა გაიხსენებ-

ნათ სალუსტი კრისპი, რომელიც ცხოვრობდა 86 და 35 შუა წლებში. მან სამ-საისტორიო შრომა დასწერა: „კათილინას შეთქმულების შესახებ“. „ეუგურტას ომი“ და „ისტორიები“ -- ეს უკანასკნელი ხუთ წიგნადაა და შეიცავს ამბებს 78 წლიდან, სულას გარდაცვალების შემდგომი დროიდან. ვიდრე წლამდე. პირველმა ორმა ნაწარმოებმა — „კათილინას შეთქმულების შესახებ“ და „ეუგურტას ომი“ — ჩვენამდე მოაღწიეს და ორივენი რომის ისტორიისათვის წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან წყაროებს.

რაცა შეეხება „ისტორიებს“, ესენი ჩვენამდე გადარჩა მარტო ნაწილობრივად. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ სალუსტი თავის „ისტორიებში“ გვაძლევს დაწვრილებით თხრობას სპარტაკის აჯანყების შესახებ. თუმცა ამ თხრობის მცირე ფრაგმენტებმა მოაღწიეს ჩვენამდე. მაგრამ ეს ნაწყვეტები იმდენად უმნიშვნელოა, რომ აჯანყების სრული სურათის წარმოდგენა იმის მიხედვით ჩვენთვის შეუძლებელი საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ სალუსტი კლასობრივად გარდუვალად შეზღუდულია და მას აქვს თავისი სუბიექტივიზმი (ის იყო იულიოს კეისარის მომხრე და ძალიან მიკერძობით უდგებოდა ავგუსტ პირადად მას, ისე მის მოწინააღმდეგეებს), ის მაინც, საერთოდ რომ აქვას, საკმაოდ კეთილსინდისიერი ისტორიკოსია. რომელმაც კარგად გამოაყენა თავისი წყაროები. ყოველ შემთხვევაში საგულისხმეოა, რომ იმ ნაწყვეტების მიხედვით, სპარტაკის აჯანყებას რომ შეეხება და ჩვენამდე მოაღწია შეიძლება კაცმა იფიქროს და დაასკვნას, რომ სალუსტიმ სპარტაკის პიროვნება საკმაოდ ობიექტიურად წარმოგვიდგინა.

დახლოვებით ამავე ხანას ემთხვევა იულიოს კეისარის სალიტერატურო მოღვაწეობაც. მან დაგვიტოვა მემუარები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს. ესენია: „მოგონებანი ვალეების ომის შესახებ“ (შვიდ წიგნად) და „მოგონებანი სამოქალაქო ომის შესახებ“ (სამ წიგნად).

თუმცა კეისარის თხზულებებს თან ახლავს მემუარების ყველა ნაკლი. მაგრამ იმის გამოისობით, რომ იგი იმდროინდელი ამბების შიგ შუაგულში იდგა, იძლევა უდიდეს მასალას, რომელიც დიდ ინტერესს წარმოადგენს. მიუხედავად სუბიექტიურად გადასხვაფერებულ ფაქტებისა. კეისარი სამაგალითო სტილისტია. იგი წერს რომის ლიტერატურის ეგოთწოდებულ „ოქროს საუკუნის“ „ოქროს ხანის“ ენით. ეს ენა მეტად მარტივია, ნათელი, მოწონილი და ამათა-ნაევე მხატვრულიც.

ძვ. წელთაღ. 1 საუკ. შუა ხანებში ცხოვრობდა რომის მეორეპარაქლონი ისტორიკოსი კორნელი ნეპოტი. მან დასწერა 25 ბიოგრაფია „შესანიშნავი პირების შესახებ“. ბიოგრაფიათა უმრავლესობა მიეძღვნება ბერძენ მოღვაწეებს და მათ მნიშვნელობა აქვთ ბერძნული ისტორიისათვის, მაგრამ მათ შორის არის რომელიღაც ბიოგრაფიებიც. კორნელი ნეპოტი არაა სარწმუნო მწერალი, მას აქვს მორალიზაციის ტენდენცია, უყვარს ისტორიული ანეკდოტები. მაგრამ თავისი ბიოგრაფიები დაწერილი აქვს მშვენიერი ენით.

ყველა ამ ისტორიკოსის მოღვაწეობამ შეუშინა ნიადაგი რომას ერთ-ერთ-ყველაზე უფრო დიდ ისტორიკოსს—ტიტე ლივიუსს, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წელთაღრიცხვით 1 საუკ. მეორე ნახევარში და ახალი წელთაღრიცხვით

საუკ. დასაწყისში (დაიბ. 59 წ. ძვ. წელთაღრ. გარდაიცვალა 17 წელს ახ. წელთაღრ.), ლივიუსმა დაწერა 142 წიგნად რომის ისტორია მოკიდებული ქალაქის დაფუძნებიდან ვიდრე 9 წლამდე (ძვ. წელთაღრიცხვით). ამ დიდი ნაწარმოებიდან ჩვენამდე მოაწია მარტო 35 წიგნმა და ნაწყვეტების მთელმა რაგმა. გარდა ამისა შენახულია თითქმის ყველა წიგნის შინაარსის თხრობა. რაიც შეასრულეს სხვა მწერლებმა შემდეგ ხანებში.

ლივიუსი სრულიადაც არ არის პირველხარისხოვანი ისტორიკოსი. მეტადრე თუ მას შევადარებთ თუკიდიდეს ანდა პოლიბიოსს. ორივე ამათ იგი ძალიან ჩამოუვარდება. ლივიუსის დიდი პოპულარობა ძველად და ახალ დროს შემდეგით აიხსნება. მან დასწერა მეტად ცოცხალი და ლამაზი ენით რომის პირველი დიდი „ნაციონალური“ ისტორია და მისმა შრომამ უდიდესი გავლენა იქონია გვიანდელ ისტორიოგრაფიაზე. გარდა ამისა ლივიუსი იყო ერთ-ერთი იმ პირველ რომაელ ისტორიკოსთაგანი. რომელსაც აღორძინების ხანაში გაეცნო დასავლეთ-ევროპის მეცნიერება.

ლივიუსს ახასიათებს გამოსარჩლებითი ტენდენციურ-პატრიოტული თვალსაზრისი. ის ცდილობს დაგვანახვოს ძველი რომაული სიქველე და ვაჟაკობა. როცა ის აგვიწერს რომის წარმოცუნების ამბავს, ცდილობს დაამტკიცოს ავგუსტუსის ჩამომავლობის ღვთაებრივობა. საჭირო იყო ეჩვენებინა, რომ ავგუსტი, რომელიც იულიუსების გვარს ეკუთვნოდა, საბოლოო ანგარიშით ღმერთების ჩამომავალი იყო. მთელი ეს ლეგენდების ჯაჭვი, რომელიც დაკავშირებულია რომის წარმოშობასთან და ანალისტების მიერაა შეთხზული. ლივიუსმა გამოიყენა ყოველივე უკრიტიკოდ და იგიც გადაიქცა რომის ისტორიის პირველ საუკუნეთა შესახებ ისტორიული ტრადიციის ერთ-ერთ დამაარსებლად. მაგრამ ეს ტენდენცია არ არის სწორი. უტყუარი. თავისი ისტორიის უფრო გვიანდელ ნაწილებში ლივიუსი უფრო მართლის მთქმელია. მაგრამ აქაც ბერი-რამ დამოკიდებულია იმ წყაროებზე, რომლებითაც იგი ჩვეულებრივად სარგებლობდა კრიტიკის არასაკმაო მომარჯვებით. ამიტომაც, როცა, მაგალითად, მეორე პუნიკური ომის აღწერილობისას ლივიუსი პოლიბიოსიდან იწერს ცნობებს, ის მაშინ გვაწვდის საესებით კეთილსინდისიერ მასალას. სხვა შემთხვევაში კი მისი ცოდნა გაცილებით ნაკლებია. ლივიუსის დიდ ნაკლს შეადგენს რიტორობა და მორალიზაცია.

მაგრამ ლივიუსის პირველი წიგნების კორექტივს წარმოადგენს ჩვენთვის მეორე წყარო — დიონისე ჰალიკარნასელი, ლივიუსის თანამედროვე. ბერძენი. ჩამომავლობით ჰალიკარნასიდან. იგი ცხოვრობდა რომში და რომაულ თვალსაზრისისა იყო. თუმცა ბერძნულად წერდა. დიონისემ დაწერა „რომის არქეოლოგია“ 20 წიგნად. ამათში მთლიანად მოსულია ჩვენამდე მარტო 10. თითონ სიტყვა „არქეოლოგია“ არ უნდა გვესმოდეს ჩვენი თანამედროვე გაგებით და სხვით. არქეოლოგიად ბერძნები და რომაელები გულისხმობდნენ უძველესი დროის ისტორიას. „რომის არქეოლოგია“ შეიცავს იტალიის ისტორიას „წინა ისტორიული“ დროიდან მოკიდებული ვიდრე პუნიკურ ომების დაწყებამდე და იძლევა მეტად მდიდარს კულტურულ-ისტორიულ მასალას. დიონისე და ლივიუსი ნაწილობრივად წერენ რომის ისტორიის ერთსა და იმავე პერიოდებზე.

შავკამ რომ შევადაროთ, თუ როგორ გადმოგვეცემენ ისინი ამბებს, იქნება ეს მეფეთა ხანა ან პატრიციებისა და პლუბების ერთმანეთ შორისი ბრძოლის დრო. — ყველა უპირატესობა პირველს უნდა ვარგუნოთ. დიონისე უკეთ იყენებს წყაროებს. ფაქტების ახსნა-განმარტებისას ლივიუსზე უფრო თავისუფალია და დამოუკიდებელი. აი რატომაა დიონისე კორექტივი (და თითქმის ერთადერთი კორექტივი. თუ პლუტარქოსს სათვალავში არ ჩავადგებთ) ლივიუსის ხუთი წიგნისათვის.

იმპერიის ხანაში პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ისტორიკოსს კორნელი ტაციტუსს. რომელიც ცხოვრობდა ახ. წელთაღრიცხვით 55 და 138 წლებს შუა. იმპერიის მაქსიმალური „ისტაბილიზაციის“ ხანაში. ტაციტუსი თავის თანამედროვეებში დიდად სახელმოხვეჭილი იყო და ეს დიდი პოპულარობა მას დიდხანს შერჩა. მას ეკუთვნის რამდენიმე წერილი ნაწარმოები: მისი სიმამრის აგრიკოლას ბიოგრაფია. ეთნოგრაფიული თხზულება გერმანიის შესახებ. რომელიც უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს ძველი გერმანელების შესახებ არსებულ ჩვენი ცნობებისათვის და სხვ. მაგრამ ტაციტუსი განსაკუთრებით ცნობილია როგორც ორი დიდი ნაწარმოების: „ისტორიათა“ და „ანნალების“ ავტორი. „ისტორიები“. 16 წიგნად რომაა, შეიცავენ დროს ნერონის სიკვდილიდან მოკიდებული დომიციანის სიკვდილამდე (ჩვ. წელთაღ. 68-96 წ. წ.).

„ანნალებიც“ აგრეთვე 16 წიგნად არის და შეიცავს დროს აგვუსტის გარდაცვალებიდან დაწყებული ნერონის გარდაცვალებამდე (14-68 წლ. ჩვ. წელთაღრიცხვით). ორივე ნაწარმოებზეა ჩვენამდე მოაღწია. სამწუხაროდ. არასრული სახით.

სახელმოხვეჭილობა ტაციტუსს სავსებით დამსახურებული აქვს. როგორც ისტორიკოსი ის ძალიან კეთილსინდისიერია. ბევრი-რამის ის თითონვე იყო მოწმე. ბევრი-რამ უშუალოდ მონაწილეთაგან ჰქონდა განაგონი და ძალიან ფართოდ იყენებდა ის დოკუმენტალურ მასალას.

ტაციტუსის ფართო პოპულარობა კიდევ იმითაა გამოწვეული, რომ ის იყო სიტყვის ნამდვილი ხელოვანი. მისი „ანნალებისა“ და „ისტორიათა“ ზოგიერთი გვერდი წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს. იმ ვარემოებამ, რომ იგი უფრო ხელოვანი იყო. ვიდრე ისტორიკოსი, ხოლო პოლიტიკური მსოფლმხედველობით — რესპუბლიკური ოპოზიციის წარმომადგენელი. მის ისტორიას დააჩნია თავისი ბეჭედი მკვეთრი სუბიექტივობისა. ტაციტუსი იყო იმ რესპუბლიკანური სენატის ძველი დიდკაცობის წარმომადგენელი. რომელიც ამკარად ოპოზიციონურად იყო განწყობილი არა მარტო იმპერატორების მიმართ, არამედ ყველა იმათ მიმართაც, ვინც ამ იმპერატორებს ვარს ეხვივნენ: განტევებულ (გააზატებულ, განთავისუფლებულ) მონების ანუ ლიბერტინების მიმართ. პროვინციულ საქმის კაცებისა და მისთანათა მიმართ. აი რატომაა. რომ ტაციტუსს მრავალი იმპერატორის სახე დამახინჯებულად აქვს მოცემული. უამრავ შემთხვევებში იმპერატორების მოღვაწეობა ისე აქვს დახატული. თითქოს მთელი საქმე ამათუიმ იმპერატორის სუბიექტურ ნაკლსა და მანკზე ყოფილიყოს დამოკიდებული. ტაციტუსს აქვს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური თვალსაზრისი. ამიტომაცაა, რომ, მაგალითად, ნერონი წარმოდგე-

ნილი ჰყავს როგორც რომელიმე მტაცებელი და სისხლისმსმელი მხეცი. ამასთანავე მისი ტერორი. მისი საქმეანობა, რესპუბლიკური ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული. განმარტებულია, როგორც წმინდა წყლის სუბიექტური მოღვაწეობა. თითქოს იგი გამოწვეული იყოს მისი ხასიათის ზღაპრული და წარმოუდგენელი გათახსირებით და გაქსუებით, რაც, აშკარაა, არაა სავსებით მართალი და სწორი. თუმცა 1 საუკ. რომის იმპერატორები ოდნავადაც არ ბრწყინავდნენ და ვერც მოაწონებდნენ თავს სიქველით და სათნოებით, ყოველ შემთხვევაში. არც ჩვენი საქმეა მათი დაცვა, მაინც ტაციტუსმა ვერ შესძლო თავის სუბიექტურ თვალსაზრისზე მალლა დამდგარიყო და ეჩვენებინა, რომ იმპერატორების მოღვაწეობა ამ ეპოქაში იყო კლასობრივად განსაზღვრული და ნაკარნახევი და ობიექტურადაც აუცილებელი.

ტაციტუსის უმცროსი თანამედროვე იყო მეორე, იმდენად არა დიდი და თვალსაჩინო, რამდენადაც დიდად სახელგანთქმული, რომელი ისტორიკოსი გაიუს სვეტონი ტრანკვილი. სვეტონი ცხოვრობდა დაახლოებით 75 და 160 წლებს შუა ხანებში. მან დაგვიტოვა „12 კეისრის ცხოვრების აღწერილობა“- მოკიდებული იულიოს კეისრიდან და გათავებული დომიციანეთი.

სვეტონი იყო კართან დაახლოებული დიდი მოხელე. ადრიანეს დროს მას ეკავა სასახლის ერთ-ერთი კანცელარიის უფროსის თანამდებობა. სვეტონი ჩამომავლობით იყო განტევებულ მონათაგანი, დაახლოებული იყო იმპერატორთა კარზე და ბუნებრივია, რომ, წინააღმდეგ ტაციტუსისა, ითვლებოდა იმ „ახალი კაცთა“ ჯგუფის წარმომადგენლად, რომელნიც დაწინაურდნენ იმპერიის დროს. ნაწილობრივ იყვნენ ფულის კაპიტალისტები, ნაწილობრივ კი განტევებული მონები. იმპერიის ახალ ბიუროკრატიული აპარატის კადრებს რომ შეადგენდნენ. ამიტომაც სვეტონის თვალსაზრისი, შეხედულება იმპერიაზე სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ტაციტუსის თვალსაზრისი. მას უფრო უნდა ეწოდოს არსებული წესწყობილების იდეოლოგი, თუმცა — ესეც კია — ყველა იმპერატორს ერთნაირად როდი ეკიდება.

როგორც ისტორიკოსი, სვეტონი განუზომელად და შეუდარებლივ ჩამოუვარდებოდა ტაციტუსს. მას სამართლიანად ეძახიან სასახლის კოროების შემკრეფს. მის მიერ დაწერილი 12 კეისარის ბიოგრაფიები წარმოადგენენ კრებულს მრავალნაირ ანეკდოტებისა და კოროებისას, რომელნიც ითხზებოდა საიმპერატორო კარის კულისებში. ესაა ერთ-ერთი იმის მიზეზი, თუ რატომ სარგებლობდა იგი დიდი პოპულარობით. სვეტონიმ თავის ბიოგრაფიებში თავი მოუყარა უდიდეს მასალას, და მიუხედავად მისი ანეკდოტიურობისა. მაინც ჩვენთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმპერიის პირველი საუკუნის ხანაში.

II საუკ. ისტორიკოსებს შორის საჭიროა მოვიხსენიოთ კიდევ აპიანე (იგი ცხოვრობდა დაახლოებით II საუკ. შუა ხანებში). იგი იყო ეგვიპტიდან ერთ ხანად ცხოვრობდა რომში და ადვოკატობას მისდევდა, ხოლო შემდეგ ხა-

ნებში შეიქმნა იმპერატორის დიდი მოხელე. მას იხსენიებს მარქსი ენგელსთან გაგზავნილ წერილში 1861 წ. 27 თებერვლის თარიღით, სადაც ის შემდეგას სწერს: „სამაგიეროდ საღამოობით დასვენების მიზნით გატაცებით ვეწაფებოდ-აპიანეს „სამოქალაქო ომები რომში“-ს ბერძნულ ორიგინალს. ძალიან ძვირ-ფასი წიგნია! ის ტომით ეგვიპტელია. შლოსერი ამბობს, რომ მას „სული არა აქვს“, ალბად იმიტომ რომ ის ცდილობს ამ სამოქალაქო ომების მატერია-ლური სარჩულის მიგნებას“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი. ტ. XVIII, გვ. 15).

თუმცა აპიანე ხანდახან ურევს ფაქტებს და დაუდევარიცაა, მაინც იგ-მეტად ძვირფას წყაროს წარმოადგენს. მას ახასიათებს არაჩვეულებრივი რეა-ლისტური მიდგომა ამბების წარმოსახვისას. ამ თვალსაზრისით მას მართლაც „სული არ გააჩნია“ იმ გაგებით, რომ მას რიტორიულობა, ენაწყლიანობა არა აქვს. ის საღად, ფხიზლად და მშრალად გვიხატავს ამბებს და ყველგან ცდი-ლობს მიაგნოს მათ მატერიალურ საფუძველს.

აპიანემ ბერძნულ ენაზე დასწერა „რომის ისტორია“ 24 წიგნად; რაიც მას ვანლაგებულ-გაწყობილი აქვს ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით, ე. ი. ცალ ცალკე ხალხების მიხედვით; ამ ისტორიამ ჩვენამდე მხოლოდ ნაწილობრივად მოაღწია. „რომის ისტორიის“ უმნიშვნელოვანეს განყოფილებას თუ ნაწილს შეადგენენ 13-17 წიგნები, რომელნიც მან მიუძღვნა სამოქალაქო ომებს და წარმოადგენენ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ჩვენთვის ძვ. წელთაღრიცხვით II-საუკუნეთა ისტორიაში.

უკვე იმპერიის დაცემა-დაქვეითების ხანაში ცხოვრობდა ისტორიკოსი დიონ კასი. იგი ცხოვრობდა II საუკ. შუა ხანებში. მისი გარდაცვალების წელი-წადი ზუსტად არაა ცნობილი, ის კი ვიცით, რომ იგი სწერდა II ს. ბოლოს და III ს. დასაწყისში. დიონ კასის ეკუთვნის „რომის ისტორია“ ბერძნულ ენა-ზე. იგი შესდგებოდა 80 წიგნისგან და მოყვანილია ჩვ. წელთაღრ. 222 წლამდე. სრულად გადარჩენილია მარტო წიგნები მოკიდებულ 37-ტიდან 59-ტამდე. რომელნიც ეკუთვნიან გვიანდელი რესპუბლიკისა და ადრეული იმპერიის ხანას. დანარჩენი წიგნებიდან მოსულია მარტო ნაწყვეტები. ბიზანტიელ მწერლებ-ს მიერ ამოკრეფილ მასალებში.

დიონ კასი ეკუთვნის რომის ისტორიოგრაფიის დაქვეითების ხანას. მის ისტორიაში აწერილია უმთავრესად გარეგანი ფაქტები: ომები, კარის ამბები და სხვა ამგვარი. ყველგან გამოსჩანს მისი მიდრეკილება სასწაულთა აღწერის მიმართ. მართალია, დიონ კასი ცდილობს მიჰბადოს პოლიბიოსსა და ოუკიდ-იდეს. მაგრამ ეს მიბაძულობა მარტო გარეგნულია.

უკანასკნელი დიდი რომაელი ისტორიკოსი იყო ამიანე მარცელინი, რომელიც IV საუკ.-ში ცხოვრობდა (დაიბადა დაახლოვებით 330 წ.). მან რომის ისტორია დასწერა 31 წიგნად. იგი იწყებოდა 98 წლიდან ახ. წელთაღრიცხვა და მოყვანილია 378 წლამდე. ჩვენამდე მოსულია მარტო უკანასკნელი 18 წიგ-ნი. IV საუკუნეში რომის კულტურის დიდი დაქვეითება და დაცემა აშკა-რად ეტყობა ამიანეს ენას. მისი ენა ღლარკნილია, მძიმე, ძნელად გასაგები. მაგრამ ამასთან ერთად ამიანე ძალიან ფხიზელი და საღი გონების პატრონია,

რეალისტია. ობიექტურია; იგი რიგიანი წყაროებით სარგებლობს და ამიტომაც მისი წიგნები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ IV საუკ. რთულ და მდიდარ ისტორიისათვის.

ხსენებულ ისტორიკოსებს გარდა, რომის უკანასკნელ საუკუნეებში ცხოვრობდა კიდევ რამდენიმე ავტორი. რომელთაგან ჩვენ დრომდე მოაღწია საისტორიო შრომებმა; ესენი იყვნენ: პეროდიანე, აგრელი ვიქტორი, ევტროპი, ოროზი და სხვ. მაგრამ ყველა ესენი კომპილატორები არიან, რომელთაც მივმართავთ მხოლოდ და მარტო იმიტომ, რომ უკეთესი წყაროები არ მოიპოვება.

როგორ და რითი უნდა დახასიათდეს ანტიკური დროის ისტორიოგრაფია მთლიანად? თუმცა დიდი მრავალფეროვნება და სიჭრელეა ანტიკურ ისტორიკოსების ინდივიდუალურ თავისებურებათა მხრივ, მაინც ანტიკურ ისტორიოგრაფიას უეჭველად მოეპოვება რამდენიმე საერთო ნაკეთი. მართალია, ცალკეული თავისი წარმომადგენლების სახით, მეტადრე კი თუკიდიდესა და პოლიბიუსის სახით, ამ ისტორიოგრაფიამ დიდ სიმალეს მიაღწია, მაგრამ მისი საშუალო დონე მაინც გაცილებით უფრო დაბალი იყო ამ უკანასკნელებისაზე.

საერთოდ და მთლიანად ანტიკური ისტორიოგრაფია შემდეგნაირად უნდა იქნას დახასიათებული:

1) ისტორიული კანონზომიერების ვერგაგება;

2) წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომის უქონლობა;

3) მიდრეკილება და მისწრაფება იმისკენ, რომ ნაწარმოები დაიწეროს გასართობი სახით, რაც წარამარა უბრალო ანეკდოტისებურ ფორმას იღებს: სვეტონი, პლუტარქი და მთელი რიგი სხვა ისტორიკოსები ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ;

4) მორალიზაცია, მიდრეკილება იმისი. რომ ისტორიულ პიროვნებებსა და ამბებს მიეცეს გარკვეული ეთიკური შეფასება ობიექტური თვალსაზრისის საზიანოდ;

ანტიკური ისტორიოგრაფიის სუბიექტურ კლასობრივი თვალსაზრისის ხომ თავისთავად ისედაც იგულისხმება.

ყველა ეს ნიშნები გამომდინარეობენ როგორც ანტიკური საზოგადოების განვითარების დაბალი დონიდან, ისე იმ ძირითადი ამოცანიდან, რომელსაც თავისთვის ისახავდა ანტიკური ისტორიოგრაფია. ანტიკური დროის ისტორიკოსისათვის ისევე, როგორც ანტიკური მკითხველისათვის, ისტორია მეცნიერებას როდი წარმოადგენდა: იგი იყო საინტერესო სიტყვა-კაზმული ან სამოძღვრებელი საკითხავი. ახ. წელთაღ. II საუკ. ერთი მახვილგონიერი ბერძენი მწერალი, ლუკიანი, წერს: „ისტორიკოსებში ის კი არ უნდა იქნეს გამოკვლეულ-გამოძიებული, თუ ისინი რას-ღაპარაკობენ, არამედ ის, თუ როგორ ღაპარაკობენ. თუკიდიდესა და პოლიბიუსის მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ფორმალურ ისტორიული კრიტიკის ძირითადი მეთოდები ანტიკურ ისტორიოგრაფიას უკვე ჰქონდა გამოუმუშავებული. მიუხედავად ამისა ჩვეულებრივი ისტორიკოსება, ცდილობდნენ რა მკითხველისთვის მიეწოდებინათ გასართობი საკითხავი. მასალას უდგებოდნენ არაკრიტიკულად. მთელ რიგ მსგავს ვარიანტებთან ისინი ხშირად არჩევდნენ არა ისეთს, რომელიც უფრო მართლის მსგავსი და სინამდვი-

ლესთან ახლო იყო, არამედ ისეთს, რომელიც მათ ეჩვენებოდათ და მიაჩნდათ უფრო საინტერესოდ, უფრო გამართობელად და მკითხველს უფრო მეტად გაიტაცებდა და მოხიბლავდა.

შემდეგ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თვისება, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივად დაკავშირებული იყო გასართობი საკითხავის მიწოდების სწრაფვასთან. ანტიკური ისტორიოგრაფია უმთავრესად იძლევა პოლიტიკურ ისტორიას. ის, რასაც ჩვენ შინაგან ისტორიას ვუწოდებთ — ეკონომიკის, კულტურის ისტორიას, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებათა ისტორიას და სხვა ასეთს, — იგი ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა უმრავლესობას არ მოეპოვება. ეს თვისება ისევე, როგორც ანტიკური ისტორიოგრაფიის სხვა დანარჩენი დამახასიათებელი მხარეები, იქიდან გამომდინარეობდა, რომ ეს უკანასკნელი (ისტორიოგრაფია) წარმოადგენდა მონათმფლობელთა კლასის იდეოლოგიას. იდეოლოგიას იმ კლასისა, რომელიც, მეტადრე კი მმართველი მისი ზედაფენა, შორს იდგა მატერიალურ წარმოებაზე და თვალსაჩინოდ პარაზიტული კლასი იყო; ეს კი თავის წარუხოცველ ბეჭედს ასევე იმ იდეოლოგიურ მასალას, რომლის სოციალურ დაკვეთას აძლევდა ანტიკური საზოგადოების ეს მმართველი ჯგუფი. მისთვის უნდა მიეწოდებინათ ისეთი მასალა, რომელიც მას გაართობდა. გაიტაცებდა, მისთვის საინტერესო იქნებოდა, არ იქნებოდა დაკავშირებული იმასთან, რაც ანტიკურ საზოგადოებაში სძულდათ და ეზიზღებოდათ, როგორც მონათა ხედოი და კერძი, — მატერიალურ წარმოებასთან, მეურნეობის პრობლემასთან და სხვა ასეთთან.

IV.

ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია საშუალო საუკუნეებში და ახალ დროს

1. ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია საშუალო საუკუნეებში

სულიერი კულტურის დაცემა საშუალო საუკუნეების ადრეულ და ნაწილობრივად განვითარებულ ეპოქაში, კერძოდ კი საისტორიო აზროვნების დაქვეითება იმაში გამოიხატა და გამომჟღავნდა, რომ ანტიკური ისტორიოგრაფიის ტრადიციები თვალსაჩინოდ შეწყდა. ძველ ისტორიაზე მეცადინეობა ახლა გადაიქცა მსოფლიო ქრონიკების შედგენად, რასაც წერდნენ უმთავრესად ბიზანტიაში, სადაც ჯერ კიდევ გადარჩენილი იყო ანტიკური ტრადიციის ნაწყვეტები თუ ნაფლეთები. ეს მსოფლიო ქრონიკები ანუ მსოფლიო ისტორიის მიმოხილვანი, მოყოლებული ადამიდან, თითქმის ყოველგვარ ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას მოკლებული არიან და ანტიკური დროის საშუალო ღირსების ნაწარმოებებზე გაცილებით უფრო დაბლა დგანან. ეს ქრონიკები წარმოადგენენ ვულგარულს, თეოლოგიურს, ქრისტიანული თვალსაზრისით გაკლენთილ, მოკლე და მშრალ აღწერილობას ამბავ-მოვლენებისას. მაგრამ თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ზოგიერთი ბიზანტიელი ქრონისტი სარგებლობდა ჩვენთვის უცნობი მასალით, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი წყაროების ნაკლებობას, ცხადია, ამ ქრონიკებსაც ძალა-უნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე.

საშუალო საუკუნეთა დროის ქრონისტებს შორის უნდა აღვნიშნოთ ბიზანტიელი მწერალი გიორგი სინკელი, რომელიც IX საუკ. ცხოვრობდა, და ზონარა, ესეც ბიზანტიელი მწერალი იყო, ოღონდ უფრო გვიანდელი დროისა (XII საუკ.).

ბიზანტიაში უყვარდათ განმარტებითი ლექსიკონების შედგენა; ეს ლექსიკონები მცირე ენციკლოპედიების მსგავსი იყო და ამ მიზნისთვის იყენებდნენ ანტიკური დროის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას. ზოგიერთმა ასეთმა ლექსიკონმა ჩვენამდეც მოაღწია და ესენიც ანტიკურ ისტორიაში რაიმე საინტერესო მასალას მაინც იძლევიან. ასეთ ლექსიკონებს შორის უფრო ცნობილია ორი: ერთი—ბიზანტიის პატრიარქის ფრტის (IX ს.) ლექსიკონი და მეორე სერდას (X ს.) ლექსიკონი.

ლექსიკონებს გარდა, სადაც გამოყენებულია ჩვენთვის უცნობ წყაროთაგან ამოღებული მასალები, საჭიროა მოუთითოთ კიდევ ექსცერპტების კრებუ-

ლებზედაც, ე. ი. ანტიკური მწერლების ნაწარმოებთაგან ამონაკრეფზე. საშუალო საუკუნეებში, როცა ჩაკედა დამოუკიდებელი სამეცნიერო შემოქმედება, მაშინდელი განათლებული ხალხი, უმთავრესად ბერები, დიდი სიყვარულითა და გულისხმიერებით აკეთებდნენ ვრცელ ამონაწერებს ბერძენ მწერალთა თხზულებებიდან. ამგვარად შესდგა, მაგალითად, ფოტი პატრიარქის ცნობილი „ბიბლიოთეკა“. რადგანაც ის სარგებლობდა ისეთი მწერლებით, რომელთა ნამდვილ ხელნაწერებს ჩვენ დრომრე არ მოუღწევიათ, ამიტომ მის „ბიბლიოთეკას“ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ასეთივე ტიპისაა ბიზანტიელ იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის (X საუკ.) „ენციკლოპედია“, რომელიც შეიცავს ანტიკური მწერლების მრავალ ძვირფას ნაწყვეტს.

უნდა საერთოდ ითქვას, რომ ანტიკური მწერლების ძირითადი ხელნაწერები საშუალო საუკუნეთა დროიდან მომდინარეობენ. ჩვენ ძალიან ცოტა მოგვეპოვება ისეთი ხელნაწერი, რომელიც უშუალოდ ანტიკურ დროისა იყოს. ანტიკური დროიდან, ნამდვილი დოკუმენტების სახით, მოსულია ჩვენამდე ანწარწერები — შეტად განსაზღვრული და არადალაგებული მასალა, ან პაპირუსები, რომელნიც აგრეთვე ძალიან მცირე მასალას იძლევიან. დანარჩენი კი, რაც ჩვენა გვაქვს, თითქმის მთლიანად ის ისტორიკოსები და ნაწარმოებნი, რომელთაც დღემდე მოაღწიეს, ზემოთ რომ იყვნენ ხსენებულნი, ჩვენამდე გადაჩენილი არიან საშუალო საუკუნეთა დროის პირებში (ასლებში), რომელთაც ადგენდნენ ბერები დაწყებული ადრეული საშუალო საუკუნეებიდან ვიდრე XV საუკ.-მდე. ამ დროის მანძილზე იყო სწორედ შედგენილი ძველი მწერლების ძირითადი „კოდექსები“ (ნუსხები). მართალია, ესენი ჩვენამდე მოვიდნენ შეტად ცუდ მდგომარეობაში, მრავალი ხელნაწერი წამხდარია დროისგან, ამასთანავე ბერები ხშირად ნაკლებ მცოდნე და განათლებული ხალხი იყვნენ, ცუდად იცოდნენ ლათინური და ბერძნული ენები და გადასწერდნენ ხოლმე ძალიან დაუდევრად. ამიტომაცაა ხოლმე საჭირო დიდი სამუშაოს ჩატარება ანტიკური ხელნაწერების აღდგენისა და შესწორებისათვის. მაინც, რაც უნდა იყოს, ანტიკური სამყაროს ძირითადი ისტორიოგრაფიული მასალა ჩვენ მოგვეპოვება სწორედ ამ საშუალო საუკუნეთა გადამწერლების წყალობით.

2. ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია დასავლეთ-მცროსის ფეოდალიზმის რღვევა-დაშლის ეპოქაში (XIV-XVII საუკ.)

ეს ეპოქა იწყება ეგრეთწოდებული აღორძინებით ანუ ჰუმანიზმით. იტალიაში XIV საუკ.-დან, სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე, ვხედავთ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას. ამ განვითარებამ დაჰბადა მსოფლმხედველობის ახალი ფორმები, იდეოლოგიის ახალი ფორმები, რადგანაც აქ XIV საუკუნისთვის უკვე თავს იჩენს ბურჟუაზია. თავდაპირველად იტალიაში, ეკონომიურად უფრო დაწინაურებულ ქვეყანაში წარმოშობილი ეს ახალი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა აშკარად მტრული ფორმებით დაუპირისპირდა საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობას, ფეოდალურ მსოფლმხედველო-

ბას. ჰუმანიზმი მტრულად იყო განწყობილი სარწმუნოებრივი, საეკლესიო იდეოლოგიის იმ გაბატონების მიმართ, რომელიც დამყარებული იყო ფეოდალურ ხანაში. ჰუმანიზმი მტრობდა ასკეტიზმს და იმ გათანაბრებას, იმ ნიველაციას, პიროვნების იმ ჩანშობა-ჩაკვლას, რაც დამახასიათებელი იყო საშუალო საუკუნეთა დროისთვის.

ახალგაზრდა კლასის ეს ახალი მსოფლმხედველობა, წინააღმდეგ საშუალო საუკუნეთა ყველა ძველ ავტორიტეტებისა — ეკლესიის, დაბადების ანუ ბიბლიის და დამახინჯებულ არისტოტელესი, — აყენებს მთელ რიგ სრულიად ახალ დებულებებს; ამ დებულებებით ეს მსოფლმხედველობა საბოლოო ანგარიშში მოითხოვდა პიროვნების განმტკიცებას, კვლევა-ძიების თავისუფლების გამოცხადებას, კრიტიკის თავისუფლებას, სრულღირებული ადამიანის გამოშვებას, ისეთი ადამიანისა, რომელიც სრულღირებული იქნებოდა სულიერი თვალსაზრისითაც და ფიზიკური თვალსაზრისითაც, ისეთი თავისუფალი ადამიანის, რომელიც გაბედულად იბრძოლებდა იმისთვის, რაც მას ჭეშმარიტებად მიაჩნდა, და ყოველგვარ ავტორიტეტს უარჰყოფდა.

ჰუმანიზმის დროიდან მოკიდებული იწყებენ ანტიკური კულტურის მასალის ფართოდ გამოყენებას. ეს მასალა იტალიაში ხომ იქვე, ხელ ქვეშ ჰქონდათ. ყოველ მონასტერში შეიძლებოდა საშუალო საუკუნეთა დროის ანტიკური ხელნაწერების შოვნა, რომის თვითეულ მოედანზე შეგეძლოთ გენასათ ანტიკური კულტურის ნივთიერი ძეგლები. იტალიაში მთელი გარემო, მკვლევარს რომ გარს ერტყა, ჰბადებდა და იწვევდა ინტერესს ანტიკური დროის დიადი მემკვიდრეობის მიმართ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ გარეგან მომენტს არ ექნებოდა ისეთი მნიშვნელობა, რომ აღორძინების დროის ადამიანებს არ ეგრძნოთ თავიანთი ნათესაეობა ანტიკური ადამიანის მსოფლმხედველობასთან. თუმცა ანტიკური საზოგადოების ეკონომიური ბაზისი და XIV-XV საუკ. იტალიის ეკონომიური ბაზისი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იყვნენ (იქ იყო მონათმფლობელური საზოგადოება, აქ კი ჩნდებოდა ბურჟუაზიული საზოგადოება), მაინც ანტიკურ ხანაში, წარმოების მონათმფლობელური წესის სპეციფიკურ პირობების ძალით, იდეოლოგიაში იყო მთელი რიგი ისეთი მომენტები, რომელნიც მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგიას აახლოვებდნენ ახალგაზრდა ბურჟუაზიულ საზოგადოების იდეოლოგიასთან. აზრის თავისუფლება, კვლევა-ძიების თავისუფლება, სრულფასიანი პიროვნების განმტკიცება, სულსა და სხეულს შორის ჰარმონია, მთელი ანტიკური მსოფლმხედველობის საერო ხასიათი — ყოველივე ეს მეტისმეტად მოქმედებდა აღორძინების დროის ადამიანზე.

XIV და XV საუკ. ხანაში იტალიაში, უფრო გვიან კიდევ დანარჩენ ევროპაშიაც განვითარდა და ძირი მოიღვა ანტიკური სამყაროს ნამდვილმა კულტმა. მდიდარი ხალხი მთელ თავის შეძლებას ხარჯავდა ანტიკურ ხელნაწერების შექმნაზე. ხალხი იქამდეც კი მიდიოდა, რომ ისეთ სარწმუნოებას ჰქმნიდა, რომლის ღვთაებად აღიარებულ იქმნა ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი. ახლა პლატონის სახელს იფიცავდნენ, ერთი მეორეს ეძახოდნენ

„პლატონის მიერ ძმებს“ იმის მსგავსად, როგორც საშუალო საუკუნეებში ბო-
რები ერთმანეთს უწოდებდნენ „ქრისტეს მიერ ძმანო“-ს.

XV საუკ. მრავალმა მწერალმა იტალიაში ლათინური ენა უფრო უკა-
თესად იცოდა, ვიდრე მშობლიური იტალიური. ეს იყო მასობრივი გატაცება,
ოლონდ, ცხადია, არა იმ გაგებით, თითქოს მას მასები გაეტაცნოს და მოეცუა.
მან მოიცვა იტალიის საზოგადოების მარტო ინტელიგენტური ზედაფენა. ასეთი
მოვლენა სავსებით ბუნებრივი იყო. იგი აიხსნება საზოგადოებრივი ფსიქოლო-
გიის განვითარების კანონებით. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ, რომელიც ახ-
ლა ჩნდებოდა, ანტიკურ სამყაროში, ანტიკურობაში ჰპოვა ძლიერი იარაღი სა-
შუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

უნდა ითქვას, რომ აღორძინების დროის თითონ მიდგომა ანტიკურ სამ-
ყაროსადმი არსებითად შეუძლებლად ზდიდა ობიექტურსა და კრიტიკულ. ე. ი.
მეცნიერულ მიდგომა - მოქცევას მასთან. რაკი არსებობდა მარტო ბრმა თაყვა-
ნისცემა, 'ცხადია, აქ კრიტიკა ფეხს ვერ მოიკიდებდა, იქ მას ადგილი არც
ეჭნებოდა. ამიტომაც აღორძინების დროის სამეცნიერო ნაწარმოებთათვის და-
შახასიათებელია ანტიკური სამყაროს უკიდურესი იდეალიზაცია: ყოველივე ან-
ტიკური კარგია, რადგანაც იგი ანტიკურია. საბერძნეთი და რომი წარმოდგენი-
ლია, როგორც ნეტართა ქვეყანა, სადაც ადამიანები კი არა ცხოვრობენ, არა-
მედ მშვენიერი ღმერთები, თეთრტანისამოსში გამოწყობილნი რომ დაიარებიათ
მშვენიერ ქალაქთა ქუჩებში, რომლებიც ბრწყინვალე მზით არიან განათებული.

გარდა ამისა, აღორძინების ხანას ახასიათებს ანტიკურ სამყაროსადმი მი-
მართ ვიწრო ფილოლოგიზმი. ლათინურსა და ბერძნულ ენებს სწავლობდ-
ნენ, როგორც სანიმუშო ენებს, სწავლობდნენ ანტიკურ მკერმეტყველებას
მხოლოდ და მარტო სტილის თვალსაზრისით. ასეთი ვიწრო ესთეტიკური ფი-
ლოლოგიზმი, რა თქმა უნდა, საშუალებას არ იძლეოდა იმისას. რომ ანტიკურ
დროს და კულტურას ისტორიულად მისდგომოდნენ, აი რატომ იყო, რომ აღო-
რძინების ხანაში ანტიკური დროის ისტორია არ არსებობდა და ყოველივე ის.
რაც კი ამ სახელით არის ცნობილი, იყო მარტო ანტიკური მწერლების გამეორე-
ბა და სხვა არაფერი. აღორძინების ხანაში ჩვენ ვერ ვხედავთ, როგორც წესად
ქემოდებულს, ვერავითარ კრიტიკულ მიდგომას მასალისადმი და მის ორჯანულ
დამუშავება-გამოყენებას. რა თქმა უნდა, ყოველ წესს აქვს თავისი ვაჰონაქ-
ლისი, აღორძინების ხანაშიაც (განსაკუთრებით მის გვიანდელ პერიოდში)
იყო რამდენიმე მეცნიერი, რომელნიც აშკარად გამოირჩეოდნენ დანარჩენებში-
ვით, რომ ცდილობდნენ მოეცათ ანტიკური სამყაროს (ანტიკას) კრიტიკული
ანალიზი და არა მარტო აღტაცებაში მოსულიყვნენ მისით. მაგრამ ეს ცდებ-
ა არ მიმართებოდა იმდენად ანტიკური ისტორიის მეცნიერულად აგების ხაზით.
რამდენადაც ცალკეულ სპეციალურ პრობლემათა კრიტიკული ანალიზის.
კეოძოდ ქრონოლოგიისა და ტექსტის კრიტიკის ხაზით.

ასეთი წყების მეცნიერთა ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი
იყო ფრანგი მეცნიერი სკალიგერი (XVI ს. მეორე ნახევარი). სკალიგერი, რო-
გორც ჰუგენოტი, იძულებული შეიქნა პოლანდიაში გახიზნულიყო, სადაც მან
ხელი მიჰყო სამეცნიერო მოღვაწეობას. მან თავის ძირითად ამოცანად დაისახა

ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა. სკალიგერს ეკუთვნის რამდენიმე შრომა ამ საკითხში, სადაც იგი იძლევა მსოფლიო ქრონოლოგიის მეცნიერულად დასაბუთებულ მიმოხილვას. თავის შრომებში სკალიგერი ემხრობოდა ელინიზმის დროის ქრონოლოგიურ შრომებს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ელინიზმის ხანაში როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საისტორიო ცოდნის განვითარებასთან დაკავშირებით, გაიზარდა და ვაძლიერდა ინტერესი ზუსტი წელთაღრიცხვის მიმართ. სკალიგერი განაგრძობდა ელინისტური დროის ქრონოგრაფიკების სამუშაოებს და თანაც მათ ანვითარებდა და ამით დასდო მტკიცე საქრონოლოგიო საფუძვლები, საიდანაც წარმოიშვა თანამედროვე ისტორიოგრაფია. ჩვენთვის განსაკუთრებული ფასი და ღირებულება აქვს სკალიგერის შრომის იმ ნაწილს, სადაც ლაბარაკია ანტიკაზე, ანტიკურ სამყაროზე.

უნდა მოვისხენიოთ კიდევ მეორე მეცნიერი, იხგლისელი, კემბრიჯის პროფესორი ბენტლეი, რომელიც ცხოვრობდა XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII საუკ. პირველ ნახევარში და, მაშასადამე, ჰუმანიზმის ჩარჩოებს გაცილებული.

ბენტლეის მთავარი დამსახურება ის იყო, რომ მან შესძლო დაემტკიცებინა სიცილიის ტირანის ფალარისის (ძვ. წელთაღრიცხვით VI საუკ.) და ძველი ისტორიის სხვა მოღვაწეთა „წერილების“ ნატყუარობა, სიყალბე; ამგვარად იგი არის ტექსტის თანამედროვე კრიტიკის დამაარსებელი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გვიანა დროის აღორძინების მოღვაწეთა დიდ დამსახურებას შეადგენს ანტიკურ მწერალთა ტექსტების გასწორება და გამოცემა.

3. ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფია კაპიტალიზმის ეპოქაში (სამრეწველო კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი)

კაპიტალიზმის ეპოქაში ანტიკური სამყაროს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის განვითარებამ განვლო სამი ძირითადი ეტაპი:

1. სამრეწველო კაპიტალიზმის ხანა, დაწყებული XVII საუკ. დასასრულიდან, საფრანგეთის პირველი რევოლუციიდან ვიდრე პარიზის კომუნამდე.

2. იმპერიალიზმის განვითარების ეპოქა — 19 საუკ. 80-იან წლებიდან ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და ომის შემდგომი კაპიტალიზმის საერთო კრიზისამდე.

3. კაპიტალიზმის კრიზისისა და პროლეტარულ რევოლუციათა ეპოქა — 1918 წლიდან ჩვენ დრომდე.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია მევეთრ საზღვარს ავლენს ძველ და ახალ წესწყობილებას შორის, ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

საფრანგეთის რევოლუციასთან დაკავშირებულია ანტიკური სამყაროს ევრეთ-წოდებული „მეორე აღორძინება“, როცა ბურჟუაზიული საზოგადოება საბოლოოდ ყალიბდება და ხელახლა იყენებს საამისოდ ანტიკური იდეოლოგიის უამრავ და დიდ მასალას. საკმარისია აღინიშნოს, რომ საფრანგეთის რევოლუციის იდეოლოგია ანტიკური იდეების ძლიერ გავლენას განიცდის.

გაეიხსენოთ „განმანათლებლები“, მაგალითად, მონტესკიე, რომელმაც დასწერა „ფიქრები რომაელთა სიდიადისა და მათი დაცემის მიზეზთა შესახებ“, მოვიგონოთ პლუტარქის პოპულარობა საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეთა, კერძოდ იაკობინელთა შორის. ყველა ესენი პლუტარქის გატაცებით კითხულობდნენ, ვინაიდან მის ნაწერში პოულობდნენ ნიმუშებს იმ რესპუბლიკური სიქველისა, რომლის აღდგენა მათ სწადდათ საფრანგეთში.

სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის მთლიანად დამახასიათებელია. უპირველეს ყოვლისა, ანტიკურ სამყაროსადმი კრიტიკული მიდგომა. თუ აღორძინების ეპოქისათვის ჩვენ უკვე დავადგინეთ კრიტიკული მიდგომის. უქონლობა და ძველის წინაშე ბრმა თაყვანისცემა, ძველის მოთაყვანეობა, სამაგიეროდ სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქისათვის, XIX საუკუნის ეპოქისათვის მთლიანად, დამახასიათებელია უკვე ანტიკური მემკვიდრეობის კრიტიკა. ეს იწვევს უფრო რეალისტურ მიდგომას ანტიკური ცხოვრების მოვლენებისადმი. მართალია ცალკეულ შემთხვევებში ჩვენ ვხედავთ ისევ ანტიკური სამყაროს ძველ იდეალიზაციას, მაგრამ მთლიანად მეცნიერება ახლა უკვე გაცილებით უფრო ობიექტურად უდკება იმ მასალას, რომელსაც იგი სწავლობდა.

შემდეგ საჭიროა აღინიშნოს წყაროთა მოცულობის დიდი გაფართოება და გაზრდა, რაც დამაჩასიათებელია სწორედ XIX საუკ.-თვის. მაშინ როდესაც XIV-XVI საუკუნეებში მეცნიერებას საქმე ჰქონდა უმთავრესად მარტო ლიტერატურულ წყაროებთან, ხოლო სხვა მასალას ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, — ახლა, XIX საუკ.-ში, ჩვენ ვხედავთ, რომ გაჩნდა წყაროთა ისეთი არაჩვეულებრივი მნიშვნელოვანი სახეობა, როგორსაც წარმოადგენენ წარწერები. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა ცალკე დამხმარე დისციპლინაც — ეპიგრაფიკა, რომელიც სპეციალურად სწავლობდა წარწერებს და მიუთითებდა, თუ როგორ უნდა. წაკითხულიყო ეს წარწერები, როგორ განმარტებულიყო და ა. შ. XIX საუკ. სულ ბოლო ხანებში გვევლინება საისტორიო წყაროთა სრულიად ახალი სახეობა — პაპირუსები. მაგრამ მათი შესწავლა ემთხვევა უკვე მომდევნო ეპოქას და ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

XIX საუკ. მეორე ნახევრისათვის ტიპიურია აგრეთვე ნივთიერი ძეგლების უდიდესი ზრდა. საარქეოლოგიო მასალის მთელი ეს ზრდა, რაიცა უმთავრესად გათხრებთან იყო დაკავშირებული, გამოიწვია უმთავრესად ევროპის კაპიტალის შექრამ ხმელთაშუა ზღვის აუზის ზღმოსავლეთ ნახევარში. წყაროების ასეთ გაფართოებას არ შეიძლებოდა გავლენა არ ჰქონოდა თითონ ანტიკური ისტორიოგრაფიის გაფართოებაზე იმ მხრივ, რომ შესასწავლად დასახული იყო ისტორიის ახალი ნაწილები. მაგალითად, ისტორიის ისეთი განაკვეთი, როგორც ელინიზმის ისტორია, ე. ი. ალექსანდრე მაკედონელის შემდგომი ეპოქის ისტორია ვიდრე აღმოსავლეთში რომის დაპყრობათა. დრომდე, აი ამ განაკვეთის შესწავლა პირველად დაიწყო მარტო XIX საუკ.-ში. ისეთი განაკვეთები, როგორც ანტიკური დროის ეკონომიური ისტორია ან როგორც ანტიკური ხელოვნების ისტორია, ჩნდება უმთავრესად ამავე ხანებში.

ყოველივე ეს ერთად აღებული ჰქმნიდა წინამძღვრებს ანტიკური სამყაროს მეცნიერული ისტორიის წარმოშობისათვის. რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიამ შეჰქმნა ანტიკური დროის ნამდვილად მეცნიერული ისტორია. — ამის გაკეთება ძალედა მარტო მარქსიზმს, — მაგრამ მეცნიერული ისტორიის წინამძღვრები მაინც იყო შექმნილი XIX საუკ.-ში.

ასეთ საერთო ხასიათის შენიშვნების შემდეგ გადავიდეთ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტების ანალიზზე ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფიის დარგში XVIII საუკ. ბოლო დროიდან მოკიდებული ვიდრე XIX ს. 80-იან წლებამდე.

აქ უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ორი მეცნიერი, რომელთაც თუმცა ისინი არ ყოფილან მკვლევარები ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, მაინც თავისი შრომებით უდიდესი გავლენა მოახდინეს არა მარტო ანტიკურ სამყაროს ისტორიოგრაფიის წარმოშობაზე, არამედ „მეორე აღორძინების“ ეპოქის მთელ სასულიერო ცხოვრებაზე.

პირველი მეცნიერის სახელაა — იოჰან ვინკელმანი, ანტიკური ხელოვნების ისტორიის ფუძემდებელი. 1764 წ. გამოვიდა მისი შესანიშნავი ძეგლად დროის ხელოვნების ისტორია — „Geschichte der Kunst des Albertum.“ ვინკელმანმა სალიტერატურო ძეგლებისა და რომაული სკულპტურის (მოჭანდაკეობის) მაშინ ცნობილი ნიმუშების საფუძველზე საძირკველი ჩაუყარა ანტიკური ხელოვნების ისტორიას. ამ ჟამად ვინკელმანის შრომა მოძველებულად მით უფრო, რომ იგი აგებულია რომის მასალაზე. ნამდვილ ბერძნულ ხელოვნებას მაშინ ჯერ კიდევ თითქმის ვერ იცნობდნენ. მაგრამ თავის დროზე ვინკელმანის შრომამ დიდი გავლენა მოახდინა. ვინკელმანმა პირველმა წამოაყენა ფუძეულება (და დაამტკიცა კიდევ იგი კონკრეტულ მასალაზე), რომ ხელოვნების მკიდრო კაეშირი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. გარდა ამისა ვინკელმანი იყო ხელოვნების კრიტიკის დამაარსებელი. მან დაანახვა ევროპის საზოგადოებას, სახელდობრ რაში მდგომარეობდა ანტიკური ხელოვნების სილამაზე და რა პრინციპები უძევს მას საფუძველად. ამ გვარად ანტიკის წინაშე ძველი ბრმა მოთაყვანეობის; თაყვანის ცემის შესაცვლელად მოიმართებოდა მისი გაცილებით უფრო შეგნებული შეფასება.

მეორე, თავისი ეპოქისათვის არანაკლებ ცნობილი წიგნი იყო ინგლისელი ისტორიკოსის ედუარდ გიბონის „რომის იმპერიის დაცემა და განადგურების ისტორია“, რომელიც გამოვიდა XVIII საუკ. 70-იან და 80-იან წლებში. ამ წიგნს არა აქვს დამოუკიდებელი გამოკვლევის ხასიათი, მაგრამ მისი გავლენა ძალიან დიდი იყო არა მარტო თანამედროვეებზე, არამედ შემდგომ თაობებზეც. გიბონი იღვავ XVIII ს. რაციონალიზმის პოზიციებზე. უარყოფითად ეკიდებოდა ქრისტიანობას და ანტიკურ დროის მაღალ კულტურას უპირისპირებდა „ბარბაროსებს“. „დაცემის ისტორია“ წარმოადგენს ფართო ისტორიული სინთეზის პირველნაშრომს. გიბონის გავლენას კიდევ ის ზრდიდა და ამოღიერებდა, რომ მისი წიგნი დაწერილი იყო ბრწყინვალე, მხატვრული ენით.

ანტიკური ისტორიოგრაფიის განვითარების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია გერმანელი მეცნიერის ფრიდრიხ-აევუსტ ვოლფის სახელთან.

იყო ფილოლოგი, მაგრამ ანტიკური ისტორიისათვის ფილოლოგიურ შრომებსა ჰქონდათ და დღემდისაც აქვს დიდი მნიშვნელობა.

1795 წ. ვოლფმა გამოსცა „Prolegomena ad Homerum“ — „შესავალი ჰომეროსისთვის“. ამ წიგნში მან განავითარა და დასაბუთა მასზე ადრევე გამოთქმული ის აზრი, რომ ჰომეროსის ეპოსი — „ილიადა“ და „ოდისეა“ — არ წარმოადგენს ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფს, არამედ იგი შედგება უსახელო პოეტებისა და მომღერალთა მთელი რიგი თაობების კოლექტიური შემოქმედებისა; ამ პოეტებსა და მომღერლებში ჰომეროსი შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი ჯგუფის, ერთ-ერთი სკოლის მეთაურის როლში, მაგრამ არასგზით, და არავითარ შემთხვევაში ეპოსის ერთპიროვნული შემოქმედი და ავტორი. ამ უადრესად მნიშვნელოვანმა აზრმა, რომელიც ვოლფმა დაამტკიცა ბერძნული ეპოსის მასალაზე, უდიდესი როლი ითამაშა არა მარტო ჰომეროსის საკითხის როგორც ასეთის, ისტორიაში, არამედ საერთოდ საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეშიაც.

ანალოგიური მნიშვნელობა აქვს გერმანელი მეცნიერის ბარტოლდ-გეორგ ნიბურის შრომასაც, რომელმაც 1811 წ. გამოსცა თავისი „Römische Geschichte“-ს ოთხტომეულიდან პირველი ტომი.

ნიბურმა ანტიკური ისტორიისათვის იგივე გააკეთა. რაც ვოლფმა ფილოლოგიისა და ანტიკური ლიტერატურისათვის. ნიბურმა კრიტიკული ანალიზი გაუკეთა რომის ისტორიის პირველ საუკუნეთა ისტორიულ ტრადიციას, რომელიც შემონახული ჰქონდათ ლივიუსსა და დიონისე პალიკარნასელს და რომელსაც ნიბურამდე სარწმუნოდ თვლიდნენ. მისი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დაგვანახვა რომის ადრეული ისტორიის მრავალი ფაქტის ლეგენდარული ხასიათი და სარწმუნო მასალა აქ არასარწმუნოსა და დაუჯერებელს ჩამოაცილა. ამგვარად პირველი საძიკველი ჩაეყარა რომის ისტორიის მეცნიერულ ისტორიას და ამასთან ერთად საისტორიო მასალაზე გამომუშავდა მეცნიერული კრიტიკის საფუძვლები. რომის ისტორიოგრაფიის მომდევნო განვითარება მთლიანად ნიბურისგან მომდინარეობს და მის შრომას დღემდე შენარჩუნებული აქვს ერთგვარი სამეცნიერო მნიშვნელობა და ღირებულება.

ამასთანავე ერთდროულად დადგინდა რომის ისტორიის პირველი საერთო მომენტები, იქმნებოდა და მზადდებოდა წინამძღვრები ბერძნული ისტორიის შექმნისათვისაც. 1825 წ. გამოვიდა ბერძნულ წარწერათა კრებულის „Corpus inscriptionum graecarum“-ის პირველი ტომი. ეს იყო ბერძნული წარწერების პირველი მეცნიერულად დასაბუთებული გამოცემა. იგი შეასრულა კერმანელმა მეცნიერმა ავგუსტ ბიოკმა. „Corpus inscriptionum graecarum“-ის მოვლენა, მისი გამოსვლა ნიშნავდა ახალ დამხმარე საისტორიო დისციპლინას გაჩენას; ეს იყო ბერძნული ეპიგრაფიკა, რომელიც ბიოკმა დააფუძნა.

ბერძნულ წარწერების შესწავლა წარმოადგენდა წინამძღვარს საბერძნეთის ეკონომიურ ისტორიაში პირველი შრომის გაჩენისათვის. მისი ავტორი იყო იგივე ბიოკი, რომელსაც წარწერებზე მუშაობის დროს საშუალება ჰქონდა სრულიად ახალ საისტორიო მასალას ვაცნობოდა. ბიოკის შრომას ეწოდება „Die Staatshaushaltung der Athenre“ — „ათენელების სახელმწიფოებრივი

მეურნეობა“. მისი პირველი ორი ტომი გამოვიდა 1817 წ. მიუხედავად იმისა, რომ ბიოკი წერს ათენის სახელმწიფოებრივ მეურნეობის შესახებ. ჩვენ მის ნაშრომს უფრო ფართო და მეტი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ. იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ისეთი გამოკვლევა, რომელიც ეხება საერთოდ ძველი ბერძნული ეკონომიკის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებს, დადგანაც კარგად ვიცით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკურა საზოგადოების ისტორიაში სახელმწიფო მეურნეობას და სახელმწიფო საკუთრებას.

დაასლოვებით ამავე დროს ძველი ისტორია გამდიდრდა მთელი ახალი ეპოქის „აღმოჩენით“. XIX ს. 30-იან წლებში იწყოა გამოსვლა გერმანელი მეცნიერის იოჰან-გუსტავ დროიზენის დიდმა შრომამ სათაურით „Geschichte des Hellenismus“ — „ელინიზმის ისტორია“. რა თქმა უნდა, ისტორიის ის ხანა, რომელსაც დროიზენმა ელინისტური ხანა უწოდა, წინათაც იყო ცნობილი. მაგრამ მას ძალიან ცუდად და სუსტად იცნობდნენ. დამახასიათებელია, რომ ვინკელმანი ამბობდა, რომ ალექსანდრეს შემდგომი ეპოქა საინტერესოს არაფერს არ წარმოადგენს. მართლაც, III და II საუკუნეები (ძველი წელთაღრიცხვით), „კლასიკური“ საბერძნეთის დაცემის ეპოქა, ის ხანა, როცა ხმელთაშუაზღვრის ისტორიის სიმძიმის ცენტრმა აღმოსავლეთში გადინაცვლა. V-IV საუკუნეთა ხელოვნების მოთაყვანებისათვის, როგორც იყო ვინკელმანი, ვერავითარი ინტერესის შემცველი ვერ იქნებოდა. და აი დროიზენს ის დადი დამსახურება მიუძღვის, რომ მან პირველმა დაადგინა ელინისტური ეპოქის ისტორიის ძირითადი ეტაპები და აღნიშნა მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

როცა ვლაპარაკობთ გერმანიაში ანტიკურ სამყაროს შესწავლაზე XIX საუკ. პირველ ნახევარში, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გავლენა, რომელიც ამ მიმართულებით იქონია ჰეგელმა. თავის „ლექციებში ისტორიის ფილოსოფიის შესახებ“ მან, როგორც ეს ცნობილია უკვე, ის აზრი განავითარა, რომ ისტორიული პროცესი არის აბსოლუტური სულის თვითგანვითარება და სხვა არაფერი. თუ ეს აბსოლუტური სული აღმოსავლეთში იმყოფებოდა ჯერ კიდევ „ბავშვობის“ მდგომარეობაში, სამაგიეროდ საბერძნეთსა და რომში მან უკვე მიაღწია თავის „სიკვაბუქს“ და „დავაჟაცებას“, ე. ი. მიაღწია თვითშემეცნებას. ამ კონცეპციის საფუძველზე, რომელშიც გამოსჭვივდა მართლა იდეალისტურად დამახინჯებული გავება ისტორიული კანონზომიერებისა, ჰეგელმა დაწერილებითი ანალიზი მოახდინა ანტიკური საზოგადოების ისტორიაში ცალკეულ ეპოქებისა. ამასთან ერთად მას ეკუთვნის მთელი რიგი უაღრესად გონებამახვილი, ხანდახან პირდაპირ გენიალური დაკვირვებანი.

გერმანიის პოლიტიკური ჩამორჩენილობა XIX საუკ. პირველ ნახევარში იმის მიზეზი იყო, რომ ანტიკური სამყაროს შესწავლის დარგში ინტერესი უმთავრესად მიმართული იყო ისეთ პრობლემათა დამუშავების ხაზით, რომელთაც პოლიტიკური აქტუალობა არ ჰქონდათ.

სხვაგვარად იყო საქმე ინგლისში. უფრო განვითარებულ პოლიტიკური ცხოვრება ინგლისელ ისტორიკოსების ყურადღებას წარმართავდა ისეთ ვი-

თო ისტორიულ პრობლემების ხაზით, რომელნიც შესაძლებლად ვახლადნივ ძველი დროის თანამედროვე ეპოქასთან დაკავშირებას.

1846 წ. გამოვიდა ჯორჯ გროტის დიდი „History of Greece“ — „საბერძნეთის ისტორიის“ 1 ტომი (სულ გამოვიდა 12 ტომი; უკანასკნელი — 1856 წ.)

გროტი საინტერესოა არა მარტო იმით, რომ პირველმა მოგვცა საბერძნეთის დიდი ისტორია. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში აშკარად იქნა თავი იმან, რაც არ მოიპოვებოდა გერმანელ მეცნიერთა შრომებში: მიღრვეილებამ საკვლევ საისტორიო პრობლემათა პოლიტიკურ აქტუალუზაციისადმი. მას წყალობით, რომ XIX საუკ. 30-იან და 40-იან წლების ინგლისში უაღრესად მწავე ფორმით იშლებოდა და ფართოვდებოდა პოლიტიკური ბრძოლა, აქ უფრო ადრე, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში, ანტიკური ისტორია აშკარად იყო გამოყენებული, როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღი. ეს, ცხადია, იმას კი არა ნიშნავს, რომ გერმანიაში ანტიკური დროის შესწავლა მოკლებული იყო კლასობრივ ხასიათს: მთელი „მეორე აღორძინება“ მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლის ნიშნის ქვეშ და წარმოადგენს ფეოდალიზმთან მებრძოლი პურჟუაზიის იდეოლოგიურ იარაღს. ოლონდ ჩამორჩენილ გერმანიაში ანტიკური მემკვიდრეობის გამოყენების ფორმები სხვა იყო შედარებით ინგლისის ფორმებთან.

ჯერ კიდევ გროტზე ადრე ინგლისელმა მეცნიერმა მიტფორდმა, XVIII ს. ბოლოს, გამოუშვა „საბერძნეთის ისტორია“. მიტფორდი იყო ტორი, ე. ი. ეკუთვნოდა ინგლისის რეაქციონური არისტოკრატის პარტიას. ამიტომაც მან მოგვცა საბერძნეთის ისტორია ტენდენციურ-კონსერვატორულად გაშუქებული. მთელი მისი სიმჰათიები მთლად არისტოკრატული სპარტის მხარეზეა. ხოლო დემოკრატულ ათენს მიტფორდი აშკარად უარყოფითად ეკიდება.

პირიქით ეკიდება არისტოკრატისა და დემოკრატის გროტი. ის ბანკირი იყო, ხოლო თავისი პოლიტიკური რწმენა-შეხედულებებით რადიკალი. ამიტომაც გროტი თავის საბერძნეთის ისტორიაში ცდილობს დაამტკიცოს მიტფორდის დიამეტრალურად საწინააღმდეგო თეზისი. მისი აზრით, ყველაზე უფრო სრულყოფილი იყო ათენის დემოკრატული წესწყობილება და ყოველივე ძვირფასი, ყოველივე ღირებულება, რაც კი ბერძნულ კულტურას ჰქონდა შექმნილი, შექმნილი იყო დემოკრატის მიერ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გროტი უკიდურესად აიდვალებს ათენის დემოკრატის.

მაგრამ უკვე XIX საუკ. ნახევრისთვის გერმანიაშიც გაჩნდა წინამძღვრები ძველი ისტორიის აქტუალუზაციისათვის. ამ წინამძღვრებმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მკვლევართა ყურადღება დროებით წარმართეს კიდევ უმთავრესად რომისკენ. აქ ნიადაგი უკვე თვალსაჩინოდ იყო შემზადებული ნიბურის მიერ. მაგრამ ამ უკანასკნელმა მოგვცა მარტო რომის ადრეული რესპუბლიკის ისტორია. ახლა ლაპარაკი იყო რომის ზოგად ისტორიაზე. ამ ისტორიის შექმნა ანუ დაწერა დაკავშირებულია თეოდორ მომზენის სახელთან (იგი დაიბადა 1817 წ., ხოლო გარდაიცვალა 1903 წ.). როგორც ბიოკი იყო ბერძნული ეპიგრაფიკის დამფუძნებელი, ისე მომზენი იყო ლათინური ეპიგრაფიკის შემოქმედი. 1863 წ. გამოვიდა „Corpus inscriptionum latinarum“ — „ლათინურ წარწერათა კრების“ პირველი ტომი, რომელიც შედგენილ იყო მომზენ-

აის ხელმძღვანელობით და მისივე დამუშავებული იყო. ამით დაიწყო „Corpus-ის“ უშველებელი ფოლიანტების მთელი სერიის გამოქვეყნება, რომელთა შორის თითონ მომზენის სიცოცხლეშივე და მისივე რედაქციით გამოვიდა 20 ტომი. წარწერათა ამ მონუმენტალური და სამაგალითოდ გამოცემული კრებულის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი განძია ძველი ისტორიის მეცნიერებისათვის.

წარწერათა გამოცემის გარდა მომზენმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე დასწერა აუარებელი სპეციალური შრომები, რომელნიც რომის ისტორიას მიუძღვნა. მათ რიცხვში არის ისეთი უშველებელი შრომები, როგორც „რომის სახელმწიფო სამართალია — «*Römisches Staatsrecht*» სამ ტომად, რაიცა გამოვიდა 1871 და 1888 წლებს შუა ხანებში. მაგრამ განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა მისმა „რომის ისტორიამ“ — „*Römische Geschichte*“. მისი პირველი სამი ტომი გამოვიდა 1854-1856 წლებში. მეორე ამას მოჰყვა საკმაოდ დიდი შესვენება და 1885 წ. მომზენმა გამოუშვა უკვე მეხუთე ტომი. პირველი სამი ტომი მას მიყვანილი აქვს იულიოს კეისრამდე, მეხუთე კი ეხება იმპერიის დროის რომის პროვინციათა ისტორიას. მეოთხე ტომი, რომელშიც უნდა ყოფილიყო იმპერიის ისტორია მთლიანად, მომზენმა ვეღარ დასწერა.

თავის „რომის ისტორიაში“ მომზენმა მოგვცა რომის რესპუბლიკას ისტორიის პირველი ზოგადი მიმოხილვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან სუბიექტურად უდგებოდა რომის მრავალ მოღვაწეს და მათ არამართებულად აშუქებდა. მისმა წიგნმა, რომელიც დიდი ბრწყინვალეობით, იშვიათი მხატვრული ძლიერებით და მკაფიო მეტყველებით არის ნაწერი და უამრავ ფაქტებს უყრის თავს, უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე. მისი ცალკე ნაწილები დღემდეც კი არაა მოძველებული.

ძალიან საგულისხმეო და საინტერესოა, თუ რატომ არ დასწერა მომზენმა მეოთხე ტომი, რატომ არ დასწერა მან რომის იმპერიის ისტორია? ამ საკითხს ჩვენ ხელახლად მივყავართ ანტიკური ისტორიის, როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღის, გამოყენების პრობლემასთან. საქმე ისაა, რომ მომზენი თავისი პოლიტიკური მრწამსით ეკუთნოდა გერმანიის ბურჟუაზიის იმ ჯგუფს, რომელმაც 1848 წ. მარცხიანი რევოლუციის შემდეგ, მას მერე, რაც მან მარცხი განიცადა გაერთიანებული გერმანიის შექმნის ცდის დროს, წაშალა ეგრეთ-წოდებული „დემოკრატიული მონარქიის“ ლოზუნგი, ე. ი. წამოაყენა იდეა იმისი, რომ გერმანია აუცილებლივ უნდა გაეერთიანებინა ძლიერ მონარქიულ ხელისუფლებას, რომელიც დამყარებული იქნებოდა საყოველთაო სარჩევნო უფლებაზე. მომზენი აკი შეეცადა კიდევ ამ იდეის გატარებას თავის რომის ისტორიაში. მისთვის რომის რესპუბლიკის მთელი ისტორია არის არსებითად კეისრის ეპოქის სამზადისი. მომზენისათვის კეისარი იყო „დემოკრატიული“ მონარქის იდეალი ე. ი. იდეალი სწორედ იმ მონარქოსისა, რომელზედაც ოცნებობდა XIX საუკ. გერმანიის ბურჟუაზია. ახლა არას ვიტყვით იმაზე, რომ მომზენი სასტიკად სცდებოდა. ის აიდეალიზირებდა კეისარს და თუმცა ის გვერდები, რომელნიც ამ მოღვაწეს მიეძღვნა, მართლაც მეტად ბრწყინვალე გვერდებია ყველა იმაში, რაც კი მომზენს დაუწერია, მინც იგი

ძღვევა კეისრის სუბიექტურად დამახინჯებულ სახეს. და აი როცა მომზენის წინაშე წამოიჭრა ამოცანა კეისრის შემდგომი რომის ისტორიის განვითარებისა, მან დაინახა, რომ შემდგომი მასალის მიხედვით დემოკრატიული მონარქიის განვითარების ჩვენება შეუძლებელი საქმე იყო, ვინაიდან კეისრის შემდეგ დემოკრატიული მონარქიისგან აღარაფერი-ლა დარჩა. თუნდაც დაეუშვათ, რომ კეისარი მართლაც „დემოკრატიული მონარქოსი“ იყო: ეს მონარქია გადაიქცა აბსოლუტურ მონარქიად, ტირანიად, დესპოტიად.

ამრიგად, მომზენს არ შეეძლო იმპერატორის ეპოქის გამოყენება თავისი კონცეპციისათვის. პირიქით, ამ ეპოქის ისტორიული მასალა საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. სწორედ ამ პოლიტიკურმა მოსაზრებებმა შეუშალეს ხელი მომზენს იმპერიის ისტორიის დაწერაში. მომზენის მაგალითი საუკეთესო მაგალითია იმისი, თუ XIX საუკუნის ნახევრის გერმანიაშიც როგორ იყო ანტიკური ისტორია გამოყენებული, როგორც კლასობრივი ბრძოლის აშკარა იარაღი.

გერმანიაში რომის ისტორიის დამუშავებასთან ერთად არ შეწყვეტილა არც საბერძნეთის შესწავლა. 1852 წ. გამოვიდა მაქს ლუნკერის დიდი „სიძველეთა ისტორიის“ („Geschichte des Altertums“) პირველი ტომი. პირველი ოთხი ტომი მიძღვნილია აღმოსავლეთის ისტორიისადმი, დანარჩენი ხუთი ტომი კი—საბერძნეთისადმი. ლუნკერი პირველი შეეცადა საბერძნეთის ისტორია დაეკავშირებინა ძველი აღმოსავლეთის ისტორიასთან. 1857-1867 წლების მანძილზე გამოვიდა ერნსტ კურციუსის „Geschichte der Griechischen Geschichte“, რომელიც ძვირფასია ძველი საბერძნეთის კულტურული ცხოვრების მშვენიერი სურათებით.

ცალკე უნდა იქნას მოხსენებული 1877 წ. გამოქვეყნება დიდი ამერიკელი მეცნიერის ლუის ჰენრი მორგანის შრომისა სათაურით — „ძველი საზოგადოება“. ეს გამოკვლევა, როგორც ცნობილია, საძირკველს უყრის გეოგრაფიული საზოგადოების ისტორიის მატერიალისტურ გაგებას. ენგელსი არაჩვეულებრივ მაღლა აყენებდა მორგანს და თავის შრომაში — „ოჯახისა, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაში“ მას ეყარებოდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩვენი მეცნიერების ისტორიაში იწყება საარქეოლოგია მასალის ფართოდ გამოყენება. იგი დაკავშირებულია აღმოსავლეთისკენ იმ მისწრაფება-ლტოლვასთან, რომელიც დამახასიათებელია ჩასახული იმპერიალიზმის პოლიტიკისათვის. 1871 წ. გერმანელი არქეოლოგიის ჰენრიხ შლიმანის ვათხრებით იწყება ახალი ხანა მეცნიერებაში. შლიმანმა თავისი თხრები დაიწყო მცირე აზიაში, ძველი ტროის ნაგარაუდევ ადგილას. მერე კი ეს თხრები გადიტანა საბერძნეთის ხმელეთზე, მიკენსა და ტირინთოში. შლიმანის თხრებმა მოგვცეს სრულიად ახალი მასალა და მეცნიერებას აღმოუჩინეს ბერძნული საზოგადოების უძველესი ხანა. ის ხანა, რომლის არსებობის შესახებ წინათ მარტო მიხვედრილები იყვნენ.

შლიმანის თხრების დროსვე იწყება დიდი მასშტაბით თხრები ოლიმპიაში. კუნძულ დელოსზე და პერგამში. ეს თხრები იძლევიან ისეთ მასალას, რომელიც კლასიკური საბერძნეთის ხანას ეკუთვნის და წარმოადგენს ძვირფას და-

მატებას წერილობითი წყაროებისას. ეს თხრები გაფართოვდა უკვე მაშინ, როცა დაიწყო ანტიკური სამყაროს შესახებ ბურჟუაზიული მეცნიერების განვითარების შემდგომი ხანა. ომის წინააღმდეგელი იმპერიალიზმის ხანა.

ამ დროისთვის უწინარეს ყოვლისა დამახასიათებელია უფრო მეტად ფრთხილი და წინდახედული კრიტიკული მიდგომა წყაროებისადმი, რაპაც თავი იჩინა ვოლფის, ნიბურისა და სხვათა შრომებშივე. მაგრამ ომის წინანდელი იმპერიალიზმის ხანაში, რომელიც წარმოადგენს ანტიკური სამყაროს ბურჟუაზიული მეცნიერების უმაღლესი გაფურჩქვნა-აყვავების ხანას, წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა უკვე ნელნელა გადადის სკეპტიციზმში, რომელიც მეცნიერების თვით საძირკველსა და საფუძვლებს ძირს უთხრის. ამას შეიძლება ვუწოდოთ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის განხრწნის დასაწყისი, რაიც ემთხვევა მისი უდიდესი აყვავების მომენტს. ასეთი ზეკრიტიციზმის უფრო მკაფიო მაგალითს წარმოადგენს იტალიელი ისტორიკოსი ეტორე პაისი, რომელმაც 90-იანი წლების მიწურულში იტალიურ ენაზე გამოაქვეყნა ორ ტომად შრომა „*Historia di Roma*“ — „რომის ისტორია“ — და განაგრძო იგი მთელ რიგ გვიანდელ შრომებში, ვიდრე ომის შემდგომ ხანამდე. პაისს ნიბურისა და მომზენის სალი იდეები ლოგიკურ აბსურდამდე მიჰყავს და მიდის იმ ისტორიული ტრადიციის ყოველგვარი უტყუარობის უარყოფამდე, რომელიც ლაპარაკობს რომის ისტორიის ადრეულ პერიოდებზე; იგი იქამდეც კი მივიდა, რომ რომის უტყუარი ისტორიის დასაბამად მიაჩნია მარტო III საუკ. ძველი წელთაღრიცხვით, ხოლო მეფეთა პერიოდისა და რესპუბლიკის პირველი ორი საუკუნის ისტორიას მთლიანად და საესებით უარპყოფს.

შემდეგ ამ ეპოქისათვის მარჩენებელია საარქეოლოგიო მასალის მეტად დიდ გაფართოვება და ზრდა. XIX ს. ბოლოდან იწყება დიდი თხრების მთელი სერია საბერძნეთსა, მცირე აზიასა და მესოპოტამიაში (შუამდინარეთში). ახლად არსდება ან ფართოვდება მთელი რიგი ეგრეთწოდებული საარქეოლოგიო ინსტიტუტები და საარქეოლოგიო საზოგადოებები. ყოველივე ეს იყო იმპერიალიზმის იმ ეკონომიური და პოლიტიკური ლტოლვა-მისწრაფების, იმ *Disaugs nach Osten*-ის გამოხატულება, რომელიც დაკავშირებული იყო ბაიდადის გზის მშენებლობასთან, ეგვიპტისათვის ინგლისისა და საფრანგეთის ერთმანეთში ბრძოლასთან და სხვა. ამგვართან. ამ დროს ბურჟუაზიული არქეოლოგები და ისტორიკოსები არსებითად იყვნენ იმპერიალიზმის თავისებური აგენტები. მაშინ როდესაც იმპერიალისტები ბაიდადის გზას აშენებდნენ, არქეოლოგები თხრიდნენ მცირე აზიას, ხოლო ისტორიკოსები ჰქმნიდნენ პან-ბაბილონიზმის კონცეპციას და ამტკიცებდნენ, რომ „ნათელი აღმოსავლეთიდანაა“.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისის თხრებთან დაკავშირებით გაჩნდა პაპირუსები, როგორც წყაროთა ახალი სახეობა.

პაპირუსების დიდი უმრავლესობა ეგვიპტიდანაა, სადაც ისინი გადაარჩნენ ქვიშნარი, ნიადაგისა და მშრალი ჰაერის წყალობით. არის ეგრეთწოდებული დემოტიკური პაპირუსები, ე. ი. ადგილობრივი პაპირუსები, ეგვიპტურ ენაზე რომაა დაწერილი. მაგრამ ჩვენ ამჟამად გვიანტერესებს ის პაპირუსები, რომელიც დაწერილია ბერძნულ და ნაწილობრივად ლათინურ ენებზე და ემთხვევა ან

ელინისტურ ეპოქას, ე. ი. ეგვიპტეში ბერძენებისა, მაკედონელების და რომაელ-თა ბატონობის ხანას. ეს პაპირუსები გვაძლევენ ძვირფას მასალას, უმთავრესად პირველწყაროებს, რადგანაც ამათზე იწერებოდა ყოველგვარი აქტები, კონომიური, იურიდიული და სახელმწიფო ხასიათისა და შინაარსის საბუთები, დოკუმენტები. პაპირუსების მეოხებით ზოგიერთ ნაწილებში ჩვენ კარვად ვიცნობთ ელინისტური ეგვიპტის ეკონომიკას.

პაპირუსების შესწავლის ნიადაგზე გაჩნდა მთელი დამხმარე დისციპლინა, პაპიროლოგია, რომელსაც ჰყავს მთელი რიგი დიდი მეცნიერები, როგორც მაგალითად, გერმანელი მეცნიერი ვილკენი, ინგლისელი მეცნიერი გრენფელი და სხვანი. საბჭოთა პაპიროლოგებს შორის უნდა დავასახელოთ ლენინგრადელი მეცნიერი ო. ო. კრიუგერი.

პაპირუსების შესწავლის საფუძველზე ვითარდება ელინიზმის ისტორიის გაღრმავებული დამუშავება, რომელსაც დროიზენმა მიუძღვნა მარტო პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა და რომელმაც ამისთვის გამოიყენა ლიტერატურული წყაროები. გაჩნდა და გამოქვეყნდა ისეთი დიდი ნაწარმოებნი, როგორიცაა ფრანგი მეცნიერის ბუშე-ლეკლერკის შრომა „Histoire des Lagides“ „ლაგიდების ისტორია“ (ლაგიდები ანუ პტოლემები ეს იყო დინასტია, რომელიც მეფობდა ელინისტურ ეგვიპტეში); გერმანელი მეცნიერის კერსტის შრომა „Geschichte des Hellenismus“ — „ელინიზმის ისტორია“ და სხვ. სადაც ელინისტური ეპოქა, მეტადრე ეგვიპტეში, საკმაოდ საფუძვლიანად არის დამუშავებული და არა მარტო პოლიტიკური ისტორიის მხრივ, არამედ ეკონომიკის მხრივაც.

არქეოლოგიურმა გამოკვლევებმაც აგრეთვე თვალსაჩინოდ გააფართოვეს და დააზუსტეს ჩვენი ცოდნა მიკენის პერიოდის შესახებ. ინგლისელი ევანსის გათხრებმა კუნძულ კრეტეზე, XX საუკ. პირველ წლებიდან რომ დაიწყო, აღმოაჩინეს კრეტისაზე უფრო ძველი კულტურა, თუმცა იგი კრეტეს კულტურის მონათესავეა, — ესაა კულტურა, რომელსაც ევანსმა უწოდა მინოსის კულტურა (ამაზე დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

შემდეგ: ომის წინანდელი იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელია ანტიკური ისტორიის იმ მხარის განვითარება, რომლის დამუშავება დაიწყო ჯერ კიდევ ბიოკმა თავის წიგნში ათენის სახელმწიფო მეურნეობის შესახებ. XIX ს. ბოლო დროიდან დაწყებული ბურჟუაზიული მეცნიერება ფართოდ აყენებს ანტიკური დროის ეკონომიურ პრობლემებს. ჩნდება ისეთი სპეციალური შრომები, როგორიცაა ფრანკოტის თხზულება ძველი საბერძნეთის მრეწველობის შესახებ, გიროს შრომების მთელი რიგი, რომელნიც ეხებიან ნაწილობრივად საბერძნეთის აგრარულ პრობლემას, ნაწილობრივად ბერძნულ მრეწველობას, რამდენიმე წერილი ედუარდ მეიერისა, ამ ეპოქის ყველაზე დიდი ბურჟუაზიული მეცნიერისა, და აგრეთვე მთელი რიგი სხვა შრომები, რომელნიც მიეძღვნა განსაკუთრებით ეკონომიურ პრობლემებს.

მაგრამ ამას გარდა ბურჟუაზიულ მეცნიერთა ზოგად თხზულებებში ანტიკური სამყაროს ისტორიის შესახებ რომ აქვთ, იმავე ედუარდ მეიერის, ბელონის, პიოლმანის და სხვათა შრომებში, ეკონომიურ პრობლემებს ახლა იმდენად

ღალი ადგილი ეთმობათ. რომ ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს მრავალი ბურჟუაზიული მეცნიერი დამდგარიყოს ეკონომიური მატერიალიზმის თეალსაზრისზე. ცალკე შემთხვევებში მართლაც ასე იყო, განსაკუთრებით რუს მეცნიერთა შორის. რუსეთში, როგორც ცნობილია, XX საუკ. პირველ წლებში, 1905 წ. წინა ხანებში, ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთა ძალიან რადიკალურად იყო განწყობილი. ეს, მაგალითად, დაეტყო ვიპერის შრომებს, რომელიც ცნობილია თავისი სასკოლო სახელმძღვანელოებით. „კლასიკური ეპოქის საბერძნეთის ისტორიაში“ და „რომის იმპერიის ისტორიის ნარკვევებში“ ეს საკმაოდ ახლოს დგას ეკონომიური მატერიალიზმთან. (ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვიპერი თეთრი ემიგრანტი შეიქნა და გადავიდა კონტრრევოლუციოზურ, ფამისტურ პოზიციებზე, რაიც ასახულიცაა 1925 წ. მის შრომაში „კულტურა და კომუნიზმი“, ტ. I, ძველი დრო).

თუ რუსეთისათვის ბურჟუაზიული მეცნიერების ასეთი დროებითი გამეზარცხენება გასაგებია, მაშინ რით უნდა აიხსნას ანტიკური სამყაროს შრავალ დასაველეთ-ვეროპული ისტორიკოსის ეკონომიური განხრა?

პირველ ყოვლისა ეს აიხსნება მეცნიერების ბუნებრივი განვითარებით. თითონ მასღა იძულებულყოფდა ბურჟუაზიულ მეცნიერებს ემუშავნათ ეკონომიურ პრობლემებზე. ამასთანავე XX საუკ.-თვის ეკონომიკის როლი უკვე ძალათი ეზზირებოდა ყველას თვალში, ასე რომ მისი იგნორაცია, უგულვებელყოფა ძველ ისტორიაში შეუძლებელი საქმე იყო. გარდა ამისა საჭიროა ერთი გარემოებაც იქნეს ვათვალისწინებული. თუმცა ამ ეპოქის ბურჟუაზიული ისტორიკოსები ყოველნაირად ემიჯნებოდნენ მარქსიზმს, და ყოველნაირადაც ებრძოდნენ მას, მაინც მარქსიზმმა მათზე უეჭველად ერთგვარი ვავლენა იქონია. კვლევის მარქსისტული მეთოდი ისეთ ბრწყინვალე შედეგებს იძლეოდა. რომ ბურჟუაზიული მეცნიერებიც კი იძულებული ვახდნენ, თუმცა დამახინჯებული და დასაქურისებული სახით, იგი პრაქტიკაში გამოეყენებინათ. ცხადია, ისინი იღებდნენ მარქსისტული მოძღვრებიდან მარტო იმ მხარეს, რომელიც მათ „უმწიკვლო“ და „უმანკო“ ეგონათ. — ეკონომიკის ვადამწყვეტი ვავლენის აღიარებას. — ამასაც ისინი იყენებდნენ ზერელედ და არათანმიმდევრობით.

მარქსიზმის ასეთი „აღიარება“, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ ისტორიკოგრაფიას ხელს არ უშლიდა მასთან ებრძოლა მთელი თავისი ძალ-ღონით.

მე-19 საუკ. ბოლო დროიდან ანტიკური ისტორია ბურჟუაზიულ მეცნიერთა ხელში უფრო და უფრო აქტუალური ხდებოდა. ასეთი პოლიტიკური აქტუალიზაციის ტრადიციები, რომელთა სათავე მიმდინარეობს ჯერ კიდევ მიტოროდისა, გროტისა და მომზენისგან, იმპერიალიზმის ეპოქაში, ომებისა და რევოლუციების ეპოქაში, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ ვანმტკიცებულიყო. მაგრამ თუ გროტი და მომზენი ებრძოდნენ ჯერ კიდევ ნახევრად ფეოდალურ აზნაურობას, მათი მემკვიდრეები და მომდევნონი ბრძოლას იწყებენ უკვე პროლეტარიატთან. ხანდახან ეს პოლიტიკური გამახვილება სავესებით მკაფიოდ და აშკარად იჩენს ხოლმე თავს. ავიღოთ, მაგალითად. პიოლმანი, ცნობილი გერმანე-

ლი ისტორიკოსი, „საბერძნეთის ისტორიის ნარკვევის“, „ანტიკური სოციალიზმისა და კომუნიზმის ისტორიის“ და მთელ რიგ სპეციალურ ნაშრომების ავტორი. „ანტიკური სოციალიზმის ისტორიაში“ პიოლმანი არსებითად არც მალავს, რომ მან ეს შრომა დასწერა იმ მიზნით, რომ მარქსიზმი „დაარღვიოს“, „უარპყოფს“. ამისათვის იგი ახდენს ანტიკური სამყაროს მოდერნიზაციას, ზ. ი. მას „თანამედროვედ“ ხდის, „ათანამედროვეებს“. ანტიკურ სამყაროში იგი პოულობს „კაპიტალიზმს“, „ფაბრიკებს“, „პროლეტარიატს“. პიოლმანი იქამდეც კი მიდის, რომ ბერძენ მწერლების ნაწარმოებებში პოულობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გოთას პროგრამას! ყოველივე ამის მიზანი სავსებით ნათელია: რადგანაც ანტიკურმა პროლეტარიატმა, მიუხედავად თავისი „სოციალიზმისა“, ვერ მოიპოვა განთავისუფლება, მაშასადამე, თანამედროვე პროლეტარიატის ბრძოლაც განწირულია, დამარცხდება. სოციალიზმი არ შეიძლება იქნეს, რადგანაც იგი ძველ დროში ვერ მოიპოვეს, მისი მოპოვება ძველად ვერ შესძლეს! ასეთი მსჯელობის აშკარა შეცდომა, სიტლანქე და გულუბრყვილობა ერთბაშად ეცემა ადამიანს თვალში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ეცემოდა თვალში და დღემდე არც ეცემა თვალში ბურჟუაზიას, რომელიც დაბრმავებულია პროლეტარიატისადმი კლასობრივი სიძულვილით. მოდერნიზაცია გადაიქცა ანტიკურ სამყაროს ბურჟუაზიულ ისტორიკოსების საყვარელ მეთოდად მოკიდებული მე-19 საუკუნე ბოლო დროიდან და ასეთივე რჩება იგი დღემდეც. პიოლმანი ძალიან გულახდილი კაცი იყო. ამ ეპოქის სხვა ისტორიკოსებს, მაგალითად ედუარდ მეიერის მის მრავალ ტომიან „ძველი დროის ისტორიაში“ — „Geschichte des Altertums“-ში მოდერნიზაცია ასე აშკარად არა ჩანს. სამაგიეროდ ის მით უფრო საშიში და სახიფათოა.

ანტიკური დროის მოდერნიზაცია მკიდროდ არის დაკავშირებული ციკლიზმის თეორიასთან, რომლის შორეული წინაპარი იყო, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ჯერ კიდევ პოლიბიოსი, ხოლო ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია იგივე ედუარდ მეიერი. საბოლოოდ რას წარმოადგენს ეს საწინააღმდეგო იდეა? მისი დედაარსი ისაა, რომ იგი უარპყოფს ყოველგვარ ისტორიულ პროგრესს. იგი ცნობს თანდათანობით წინსვლით მოძრაობას მარტო ერთი რომელიმე საზოგადოების განსაზღვრულ ჩარჩოებში. მაგალითად, გაჩნდება ანტიკური საზოგადოება თავისი გვაროვნული ფორმით. შემდეგ იგი გაივლის ფეოდალურ სტადიას, მერე კაპიტალისტურს, ბოლოს, შინაგანი დაუძღურების ძალით, იხრწნება, იშლება, მიდის უკან, იღუპება, ისე კი, რომ ევროპულ „ციკლში“ მან ხელახლა იწყოს თავიდან ეს წრე — იქ საზოგადოება ხელახლა გადის გვაროვნულ სტადიას, ფეოდალიზმს, კაპიტალიზმს და ა. შ. და ა. შ.

ციკლიზმის თეორიამ აშკარად გამოამჟღავნა თავისი რეაქციული ხასიათი. ბურჟუაზიას უნდა მიეღო იგი იმ მომენტიდან, როცა მის წინააღმდეგ გაილაშქრა ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავემ — პროლეტარიატმა და ბურჟუაზიასაც შიში შეეპარა ისტორიული პროცესისა, ვინაიდან დაუსრულებელი პროგრესის აღიარება ნიშნავს იმას, რომ აღიარო — ბურჟუაზიულ საზოგადოებას ბოლო და დასასრული აქვსო. ახლა ჩვენთვის გასაგებია, თუ რატომ

ანტიკურ ბრძოლის მოდერნიზაცია შინაგანად დაკავშირებული ციკლიზმთან: თუ კი ყოველივე მეორდება, მაშასადამე, ანტიკურ სამყაროს უნდა გაეველო ფეოდალიზმიც, კაპიტალიზმიც და სოციალ-დემოკრატიაც კი უნდა წარმოეშეა!

მაგრამ იმპერიალისტური ეპოქის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყველა წარმომადგენელი როდი იდგა ციკლიზმის რეაქციულ პოზიციებზე. ნაწილობრივად ჯერ კიდევ არსებობდა ბურჟუაზიული მეცნიერების ძველი პროგრესიული მიმდინარეობა. ამ უკანსკნელი მიმართულების ერთ-ერთი მეტად თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო კარლ ბიუხერი, ცნობილი ისტორიკოს-ეკონომისტი, რომელმაც შექმნა ეკონომიური განვითარების თავის საკუთარი სქემა: კარჩაკეტილ შინაურულ, საოჯახო (ოიკოსურ) მეურნეობის სტადიიდან ქალაქის საშუალო საუკუნეთა მეურნეობის სტადიით ნაციონალური ბურჟუაზიული მეურნეობის სტადიისაკენ. ანტიკური ისტორიოგრაფიისათვის იმასა აქვს მნიშვნელობა, რომ ბიუხერმა, წინააღმდეგ მოდერნიზატორებისა, ხაზი გაუსვა, თუმცა ამას ძალიან აზვიადებდა კიდევ, ანტიკური მეურნეობის ნატურალურ, კარჩაკეტილ ხასიათს. საერთო კონცეფციის თვალსაზრისით, თუმცა მცდარი იყო მისი სქემა, ბიუხერი უდაოდ უფრო პროგრესიულ პოზიციებზე იდგა, ვიდრე ედუარდ მეიერი. მაინც ბიუხერის სკოლა (რომელიც სხვათა შორის გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებდა ედუარდ მეიერთან ანტიკური ეკონომიკის ხასიათის საკითხის ირგვლივ) არ იყო გაბატონებული. გაბატონებული იყო ედუარდ მეიერის რეაქციული კონცეფცია, ანტიკური ისტორიის მოდერნიზატორების კონცეფცია, რომელიც ასახავდა ევროპის ბურჟუაზიული ინტელიგენციის დაცემულობის სულისკვეთებას.

ანტიკურ სამყაროს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყველა ის ნიშნები, რომელნიც ეს-ეს არის ახლა გამოვარკვეით და დავადგინეთ იმპერიალისტური ეპოქისათვის — ისტორიული კრიტიკის არაჩვეულებრივი განაფულობა და გამახვილება, ეკონომიურ პრობლემებისადმი ინტერესის აღძვრა, წყაროთა უდიდესი გაზრდა და გაფართოება, საერთო-ისტორიულ კონცეფციათა საჭიროება-მოთხოვნილების გაჩენა — ყოველივე ეს ომისწინანდელი იმპერიალიზმის ხანაში წინამძღვარებს უქმნიდა ძველი მსოფლიო ისტორიის დარგში მთელი რიგ დიდ სინთეტურ შრომათა წარმოშობას. აქ უნდა მივკუთვნოთ ისეთი კაპიტალური შრომები, როგორიცაა ედუარდ მეიერის „Geschichte des Altertums“, ბელონის „Geschichte der Geschichte“ (ბელონი ზომიერი ტიპის მოდერნიზატორია) და მაქს ვებერის მთელი რიგი შრომები. ვებერი — ძალიან დიდი სოციოლოგი და ეკონომისტი, იგი ნეოკანტიანობის პოზიციებზე იდგა. იდგა იმ იდეალურ ტიპიურ კატეგორიათა (ფეოდალიზმის, კაპიტალიზმის) აღიარების პოზიციებზე, რომელნიც უცვალვალად მოქმედებენ მთელი ისტორიის მანძილზე. ეს იგივე ციკლიზმის თეორიაა, ოღონდ მან უფრო ფაქიზი ფორმა მიიღო.

შემდეგ საჭიროა მოვიხსენიოთ ფერეროც, იტალიელი ისტორიკოსი, თავისი მრავალტომიანი შრომით — „რომის სიდიადე და დაცემა“ „Crandezza et Decadenza di Roma“, რაიც მიეძღვნა რესპუბლიკის დასასრულისა და იმპერიის დასაწყისის ხანას. ფერერო — ნიჭიერი მოდერნიზატორია, რომელმაც

შაც მოგვცა რომის ურთიერთობათა უაღრესად მკაფიო, ოღონდ სრულიად უმართებულო სურათი.

სხვა დანარჩენ მეცნიერებს ჩვენ გამოვტოვებთ, ოღონდ აღვნიშნავთ კიდევ ოტტოვან ზეესს, რომელმაც 1895 წ. დაიწყო თავისი შრომის „ანტიკური მსოფლიოს დაცემის ისტორიის“ — „Geschichte des Untergangs des Antiken“-ის გამოქვეყნება. ზეეი იმითია საინტერესო, რომ მის ნაწერებში პირველად ვხვდებით იმ „კონცეფციას“, რომელიც ჩვენ თვალწინ გადაიფურჩქნა ტურფა ყვავილივით ომის შემდეგ ხანაში ანტიკური მსოფლიოს ფაშისტური ისტორიკოსების შრომებში. ზეეი ფიქრობს, რომ ანტიკური სამყაროს დაღუპვის მთავარი მიზეზი იყო „საუკეთესოთა განადგურება“. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ რომის სამოქალაქო და საგარეო ომებში მოხდა ანტიკური საზოგადოების მმართველი ზედაფენის განადგურება, ე. ი. მოხდა „უმდარესთა“ თავისებური შერჩევა: ძველი არისტოკრატია დაიღუპა, ხოლო „ბრბო“, მასსა გადარჩა. იგი აღმოჩნდა ხელმძღვანელობას მოკლებული, მოხდა კულტურის „განიავება“ და დაქვეითება და ანტიკური საზოგადოებაც დაიღუპა.

1918 წლიდან დაწყებულს კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, ცხადია, არ შეიძლება და თავისი დაღი არ დაესვა ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფიაზე. ამან პირველ ყოვლისა თავი იმაში იჩინა, რომ სამეცნიერო მუშაობა რაოდენობით შემცირდა. შემცირდა არქეოლოგიური სამუშაოები. თუმცა მართალია ამერიკამ, რომელიც ომიანობის დროს გამდიდრდა, სწორედ ომის შემდგომ ხანებში მოაწყო მთელი რიგი დიდი გათხრები, მაგრამ ევროპის სახელმწიფოები, მეტადრე გერმანია და საფრანგეთი, რომელიც სხვებზე უფრო მეტად დაზარალდნენ კრიზისისგან, თითქმის ჩამოსცილდნენ მსხვილ არქეოლოგიურ საქმიანობას. ძალიან შემცირდა და შენედა პაპირუსების გამოკვლევა, ხოლო ის პაპირუსები, რომელთაც ბეჭდავენ, გამოდის გაცილებით უფრო მდარე სახით, ვიდრე ომამდე გამოდიოდა. თვალსაჩინოდ იკლო სპეციალურ შრომათა რიცხვმაც. ესეც კია, ომის შემდეგაც გამოდის ცალკე დიდი შრომები სპეციალურ საკითხებზე. საჭიროა აღინიშნოს, მაგალითად, გერმანელი მეცნიერი პანებრევი (Hasebroek), რომელმაც რამდენიმე შრომა დასწერა საბერძნეთის ეკონომიურ ისტორიაში, ამერიკელი ტენეი ფრანკი (Tenney Prank), რომელიც რომის ეკონომიკაზე მუშაობს, ფრანგი ოლლო (Holleaux), რომელმაც საინტერესო შრომა გამოსცა ძვ. წელთაღრ. III საუკ. საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ, და სხვანი.

ყველაზე უფრო მეტად ბურჟუაზიულ მეცნიერებას კრიზისი დაეტყო სინთეზურ შრომათა მხრივ. დიდი განზოგადოებული ხასიათის შრომები ომის შემდგომი დროისა სრულიად სხვა სახისა და შინაარსისაა, ვიდრე ომის წინანდელი დროის შრომები იყო. იქ ჩვენ ვხვდებით ისეთ თვალსაჩინო თხზულებებს, როგორცაა ედუარდ მეიერის „Geschichte des Altertums“, შეიძლება მისი კონცეფციის უარყოფა, მაგრამ იმის უარყოფა კი შეუძლებელია, რომ მან მოგვცა ანტიკური სამყაროს თაობაზე მთელი ბურჟუაზიული მეცნიერების მონუმენტალური სინთეზი, სინთეზი, რომელიც შემოქმედებით არის გადამუშავებული და თავიდან ბოლომდე აღბეჭდილია ერთი მთლიანი გეგმით და მთლიანი იდეით.

ჩვენს დროში ბურჟუაზიული მეცნიერებიდან უკვე ჰქრება ასეთი ხასიათის ნაწარმოებნი. სინთეზური შრომები ახლაც გამოდის, მაგრამ მათ სხვა ხასიათი აქვთ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ცნობილი ფრანგული სერია, რომელიც გამოდის ანრი ბერარის რედაქციით. ამ სერიას ეწოდება „L'Évolution de l'humanité“ — „კაცობრიობის ევოლუცია“, ხოლო ქვესათაურად აქვს „კოლექტიური სინთეზი“. იგი შეიცავს ცალ-ცალკე მონოგრაფიებს, რომელნიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვითაა განლაგებული და ეხება ძველი ისტორიის პრობლემებს, მოკიდებული პირველყოფილ დროიდან და გათავებული რომით.

მართალია ბერარის სერიაში გვხვდება მთელი რიგი საინტერესო შრომები. მაგალითად, მორგანის შრომა „წინახისტორიული“ კაცობრიობის შესახებ, უუგესი — ელინიზმის თაობაზე, გლოტცესი — ეგერის კულტურის შესახებ, მაგრამ მთლიანად იგი მაინც მარტო კომპილაციას წარმოადგენს და სხვას არაფერს. გაცხოველებულ მეცნიერებულ შემოქმედებას, რომლითაც აღბეჭდილია ბურჟუაზიული მეცნიერება თავისი აყვავება-გაფურჩქენის ხანაში, აქ ჩვენ ვერ ვხედავთ. აქ არის მარტო შეჯამება და თავმოყრა ბურჟუაზიული მეცნიერების შედეგებისა, მაგრამ იგი არაა გაერთიანებული რომელიმე საერთო იდეით, არაა ასხმული რომელიმე საერთო ღერძზე. ასეთი მთლიანობა მას არ მოეპოვება.

ასეთივე ხასიათი აქვს ცნობილ „ქემბრიჯის ძველ ისტორიას“ — „The Cambridge ancient history“. მას ბექდავს კემბრიჯში ინგლისელ მეცნიერთა ერთი ჯგუფი და იგი შეიცავს მთელ რიგს დიდი მონოგრაფიებისას. ყველა ეს მონოგრაფიები მიძღვნილია ძველი ქვეყნიერების ისტორიისადმი. ძველი აღმოსავლეთის ისტორიიდან მოკიდებული რომამდე. ამასაც იგივე ნაკლულოვანებანი აქვს, როგორც ბერარის სერიას: ამ შემთხვევაშიაც ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ცალკე მონოგრაფიები, რომელნიც ხანდახან საკმაოდ კარგ მონოგრაფიებს წარმოადგენენ, მაგრამ საერთოდ კი ეს შრომა არის უდიდესი და უამრავი მასალის კრებული, რომელსაც არა აქვს მთლიანობა, არ გააჩნია საერთო იდეა და არც მთლიანი მეთოდი.

ანტიკური სამყაროს შესახებ ომის შემდგომი დროის ბურჟუაზიული მეცნიერების დაცემა-დაქვეითება ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს იმაში. რომ ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა მთელი რიგ შრომებს აქვთ პოლიტიკური კონტრარევოლუციონური პამფლეტის აშკარად გამოსახული ხასიათი. ძველი ისტორიის მასალის გამოყენებას ბურჟუაზიის პოლიტიკური მიზნებისათვის ჩვენ ვხედავდით ომის წინანდელ დროშიც, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი; მაგრამ ამან განსაკუთრებით უფრო მკვეთრი სახე მიიღო უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიის ფაშიზაციასთან დაკავშირებით, როცა დღის წესრიგში დაისვა საკითხი პროლეტარული რევოლუციის საწინააღმდეგო ბრძოლისა. აქ მეთოდი ძველივე რჩება, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ პიოლმენის და სხვათა მაგალითზე, ე. ი. ძველი ისტორიის მოდერნიზაცია, კაპიტალისტური საზოგადოების ცნებებისა და კატეგორიების იქ შეჩოჩება-შეპარება; ასეთი ცნებებია: ფაბრიკები, ბურჟუაზია, პროლეტარიატი, სოციალიზმი და სხვა ამგვარი პროლეტარული რევოლუციის ჩათვლით. ახალი აქ მარტო ის მხეცური სიძულვილია

პროლეტარიატის მიმართ, რომლითაც გაყენებულია ფაშისტური ისტორიოგრაფია. ეს სიძულვილი იმას აკეთებს, რომ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს მრავალ ნაშრომს ეკარგება ისტორიული ნაშრომის ხასიათი და პოლიტიკურა პამფლეტების სახე ეძლევა. ასეთ ისტორიკოსთა მკაფიო მაგალითს წარმოადგენს როსტოვეცი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი. კადეტ-პარტიის წევრი. 1919 წ. ის საზღვარგარეთ მიდის ემიგრაციაში და გადაიქცევა საბჭოთა ხელისუფლების უბოროტეს მტრად. 1926 წ. როსტოვეციმა ინგლისურ ენაზე გამოუშვა დიდი შრომა სათაურით: „რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიური ისტორია“ — „The social and economic history of the Roman Empire“ (შემდეგში იგი გადაიდარგმნა გერმანულსა და იტალიურ ენებზე). როსტოვეცი ძალიან განათლებული და ნიჭიერი ისტორიკოსია. მის მიერ შეგროვილია არაჩვეულებრივ დიდი მასალა და (ზოგიერთ ნაწილებში) მის შრომას გარკვეული ღირებულება აქვს.

მაგრამ მთლიანად მთელი ეს უშველებელი წიგნი, 600 გვერდიანი, მარტო ერთ მიზანს ემსახურება: მას უნდა დაამტკიცოს, რომ რომის იმპერია და ნაშასადამე, ანტიკური კულტურაც დაიღუპნენ იმ პროლეტარული რევოლუციის წყალობით, რომელიც რომში მოხდა ჩვ. წელთაღრიცხვით III საუკ.-ში. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი აზრის „დამტკიცება“ შეიძლება მარტო უნაშის მოდერნიზაციის საშუალებით და გზით, იმ მოდერნიზაციის გზით, რომელსაც ერთვის თან ფაქტების დამახინჯება და გადარევა. როსტოვეცის აზრით, რომის საზოგადოებამ ჯერ ფეოდალიზმის სტადია გაიარა. „ბურჟუაზიული რევოლუციის“ შედეგად (როსტოვეცი ასე უწოდებს ძვ. წელთაღრიცხვით II-I საუკუნეთა სამოქალაქო ომებს) ფეოდალური ურთიერთობა შესცვალა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ. რომში განვითარდა და გაიზარდა პროლეტარიატი, რომელიც აჯანყდა ჩვ. წელთაღ. III საუკ.-ში და რომელმაც რომის საზოგადოების შეძლებული და განათლებული ფენები მასობრივად ამოწყვიტა. ამის შედეგად მოხდა კულტურის საშინელი დაცემა, საყოველთაო გავლურება და, საბოლოო ანგარიშით, ანტიკური ცივილიზაციის დაღუპვა. როსტოვეცს აქედან გამოჰყავს პირდაპირი პოლიტიკური დასკვნა: როგორც რომში პროლეტარულმა რევოლუციამ დაღუპა რომის კულტურა, ისე რუსეთში ბოლშევიზმმა დაღუპა რუსეთის კულტურა. ამიტომაც მსოფლიო ბურჟუაზია უნდა შემჭიდროდეს და დაირაზმოს, რათა პროლეტარიატი მოგერიებულ იქნას. რომელიც, როსტოვეცის აზრით, მარტო სხვადასხვა კულტურებსა ღუპავს და სხვას არაფერს აკეთებს!

ამგვარად მეცნიერული ტექსტის 600 გვერდი არის მსოფლიო და მარტო მოწოდება-მიმართვა ბურჟუაზიისადმი და მეტი არაფერი. როსტოვეციმა თავის შრომაში ფართოდ გამოიყენა ოტტო ზეეკის აზრი „საუკეთესოთა ამოწყვეტის“ შესახებ. თავის მხრივ არც ეს უკანასკნელი ჩამორჩა დროს. 1921 წ. მან თავისი დიდი შრომიდან — „ანტიკური ქვეყნიერების დაცემის ისტორიიდან“ ამოიღო ერთი ნაწილი და გამოსცა ეს ამონაკრეფი ასეთი სათაურით „ქრისტიანობის

დანვითარების ისტორია“. ეს წიგნი სავსეა სსრკ-ზე და კომუნიზმზე ტლანქი და უხეში თავდასხმებით.

ომის შემდგომი დროის ისტორიოგრაფიის დარგიდან შეიძლება კიდევ მრავალი ანალოგიური მაგალითის მოყვანა, მაგრამ ეს ორი დასახელებული მაგალითიც საკმარისია იმისთვის, რომ ნათელაყოს კაცმა მისი დაცემა-დაქვეითების უკედურესი საზღვარი. თანამედროვე ბურჟუაზიული „მეცნიერების“ ფაქისტური ანტიპროლეტარული, ანტიმარქსისტული ტენდენცია უფრო და უფრო აღვირწავეარდნილი ხდება და ამ „მეცნიერებას“ იძულებულაყვფს დაადგეს ისტორიული პროცესის უხეში ფალსიფიკაციის გზას.

საჭიროა კიდევ რამდენიმე სიტყვა ითქვას ანტიკური ისტორიოგრაფიის რუსული ბურჟუაზიული სკოლის შესახებ. იგი გვიან გაჩნდა, მარტო XIX საუკ. ბოლოს და მას ორიგინალური არსებითად არაფერი მოუცია, იგი არის მხოლოდ გამოძახილი დასავლეთ-ევროპულ მეცნიერებისა. აქ უნდა აღვნიშნოთ ისტორიკოსი ფ. ფ. სოკოლოვი, რომელიც პროფესორად იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში XIX ს. ბოლოს და XX ს. თავში (გარდაიცვალა 1909 წ.). შედარებით უფრო ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის აკადემიკოსი ს. ა. ებელიოვი. სპეციალურ ნაშრომთა და პოპულარულ ნარკვევების ავტორი („ათენის ისტორიიდან“, „აქაიკა“, „არქეოლოგიის შესავალი“ და სხვა). უნდა მოხსენებულ იქნას აგრეთვე ხარკოველი პროფესორი ვ. ა. ბუზესკული, რომელიც დიდი ხანი არაა რაც გარდაიცვალა აკადემიკოსის წოდებით. მას ეკუთვნის რამდენიმე დიდი ნაშრომი: „საბერძნეთის ისტორიის შესავალი“ («Введение в историю Греции»), „არისტოტელეს ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ («Афинская политика Аристотеля») და სხ. მის პოპულარულ წერილთა კრებულს „ანტიკა და თანამედროვეობა“-ს («Античность и современность») ახასიათებს: როგორც ნაკლი, ანტიკური ცხოვრების მოდერნიზაცია.

ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი მ. მ. ხვოსტოვი იყო ერთ-ერთი იმ მკვირვრიცხოვან რუს მეცნიერთა შორის, რომელნიც ელინიზმის ეპოქაზე მუშაობდნენ. მან მოგვცა ორი ძვირფასი მონოგრაფია: „ბერძნულ-რომაული ეგვიპტის აღმოსავლური ვაჭრობის ისტორია“ — «История восточной торговли Греко-римской Египта» და „საფეიქრო მრეწველობა ბერძნულ რომაულ ეგვიპტეში“ «Текстильная промышленность в греко-римском Египте».

რუს მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომელიც ეკუთვნოდა ბურჟუაზიულ სკოლას, რევოლუციის დასაწყისში ემიგრაციაში წავიდა. ვიპერსა და როსტოვევზე ჩვენ უკვე გვქონდა ბაასი. აქ ახლა საჭიროა კიდევ იქნეს აღნიშნული ფ. ფ. ზელინსკი. ის არც ყოფილა ანტიკური დროის ისტორიკოსი ამ სიტყვის ზუსტი და საკუთარი მნიშვნელობით. მისი ინტერესი წარზიდული იყო ანტიკური კულტურის მიმართ ამ ცნების ფართო გაგებით (ლიტერატურა, სარწმუნოება, ენა). ომის წინანდელ ხანაში ზელინსკის ნახევრად პუბლიცისტურმა და ძლიერი მოდერნიზაციით აღბეჭდილმა წერილებმა დიდი როლი შეასრულეს ანტიკური სამყაროს პოპულარიზაციის მხრივ. ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეებში.

უნდა აღინიშნოს, რომ 1928-1930 წლებში ჩვენში, სსრკ-ში, იყო ცდა ბურჟუაზიული მეცნიერების აღდგენისა, ოღონდ რამოდენიმედ „მოდერნიზი-

რებული“ საბიით. ეს ცდა დაკავშირებული იყო **Раишиоп**-ის ისტორიის ინსტიტუტის მოღვაწეობასთან (**Раишиоп** ეწოდებოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების რუსეთის ასოციაციას ანუ რუსულად **Российская ассоциация научно-исследовательских институтов общественных наук**). აქ, ამ ასოციაციაში, თავი შეაფარა მთელმა რიგმა წმინდა ბურჟუაზიული ბიშარტულების მოხუცმა და ახალხაზრდა მეცნიერებმა, უკეთეს შემთხვევაში ისეთებმა, რომელთაც ოდნავ დაჰკრავდა ეკონომიური მატერიალიზმის იერი. ეს გარე შოება მიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ამ **Раишиоп**-ის ისტორიის ინსტიტუტის მრავალი მუშაკი მონაწილეობას იღებდა „საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ პირველ ტომების შედგენაში მისი პირველი რედაქციის დროს და ამ რიგად მათ სრული შესაძლებლობა ჰქონდათ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ევრცელებინათ თავიანთი ანტიმარქსისტული აზრ-შეხედულებანი. ამ ჯგუფის მუშაკთა შორის საჭიროა მოხსენებულ იქმნან: პ. ფ. პრეობრაჟენსკი, დ. პ. კონჩალოვსკი და გ. მ. პრიგოროვსკი.

მარქსიზმი და ახელი ჰმეუნიერების მეცნიერული ისტორიის შექმნა

იმ დროს, როცა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია თავისი აკვევება-გაფურჩქენის ხანაში წინამძღვარებს ჰქმნიდა ანტიკური საზოგადოების მეცნიერული ისტორიის ასაგებად (პრაგმატიული ისტორიის დამუშავება, საისტორიო კრიტიკის შეთოდების დამუშავება, ცალკე საკითხების გამოკვლევა), სწორედ ამ დროს მარქსიზმმა მოახდინა უდიდესი გადატრიალება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში და ამით მოგვცა კიდევ თითონ საფუძვლებიც საბერძნეთისა და რომის მეცნიერული ისტორიისათვის.

მარქსიზმის საერთო მეცნიერებამ — დიალექტიკურმა მატერიალიზმმა და საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა მოძღვრებამ ანტიკური ისტორიის მიმართ გამოყენებისას პირველად მოგვცა შესაძლებლობა იმისი, რომ მას მივდგომოდით, როგორც კანონზომიერ პროცესს, ე. ი. ბირველად მოგვცა შესაძლებლობა იმისი, რომ აგვეგო ანტიკური საზოგადოების ნამდვილი მეცნიერული ისტორია.

„მარქსმა, — წერს ვ. ი. ლენინი, — ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდების მექანიკურ აგრეგატზე... რომელიც შემთხვევით ჩნდება და იცვლება, პირველმა დააყენა სოციოლოგია მეცნიერულ ნიადაგზე, მოგვცა ცნება საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისა, როგორც გარკვეული საწარმოო ურთიერთობის ერთობლივობისა, და გამოარკვია, რომ ასეთ ფორმაციათა განვითარება არის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი...“ (ლენინი, რანი არიან „ხალხის მეგობრები“, თხზ., ტ. I, გვ. 62-63 რუსული გამოცემით). „საწარმოო ურთიერთობათა ყოველი ასეთი სისტემა. — აქბობს იგი სხვა ადგილას, — მარქსის თეორიის მიხედვით, წარმოადგენს ცალკე სოციალურ ორგანიზმს, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული კანონები ჩასახვისა. ფუნქციათა შესრულებისა და უმაღლეს ფორმაში გადასვლისა, სხვა სოციალურ ორგანიზმად გადაქცევისა. ამ თეორიამ სოციალურ მეცნიერებას მიუყენა განმეორებადობის ის ობიექტური, საერთო მეცნიერული კრიტერიუმი. რომლის სოციოლოგიისადმი მიყენების შესაძლებლობას უარყოფდნენ სუბიექტივისტები“; (ლენინი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი, თხზ., ტ. I, გვ. 284).

მარქსისა და ენგელსის მატერიალისტურმა დიალექტიკამ მკვლევარს ხელთ მისცა სოციალური კანონზომიერების შემეცნების ძლიერი იარაღი. „გან-

საკუთრებული კანონები... ჩასახვისა, ფუნქციათა შესრულებისა და უმაღლეს ფორმაში გადასვლისა, სხვა სოციალურ ორგანიზმად გადაქცევისა“ ხომ სხვა არა არის-რა, თუ არა მატერიალისტური დიალექტიკის კანონები, თვითეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ძირითადი წინააღმდეგობის კონკრეტული ფორმის მოძრაობის კანონები.

ამ ნაირად: თუ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიისათვის ანტიკური საზოგადოება იყო მარტო ერთგვარი კულტურულ-ისტორიული კომპლექსი, „ინდივიდუების მექანიკური აგრეგატი“, სამაგიეროდ მარქსისა და ენგელსისათვის ეს საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას, სოციალურ ურთიერთობათა გარკვეულ სისტემას, რომელიც ვითარდება გარკვეული კანონების თანახმად.

აი ამაშია ის უდიდესი გადატრიალება, რომელიც მარქსმა და ენგელსმა მოახდინეს ანტიკურ ისტორიოგრაფიაში: მხოლოდ მათი მოძღვრების მეოხებით ეს ისტორიოგრაფია ისევ, როგორც სხვა რომელიმე ისტორიოგრაფია. შეიქმნა ნამდვილ მეცნიერებად, ანტიკური საზოგადოების მეცნიერულ ისტორიად.

ამასთანავე ერთად მარქსისა და ენგელსის შრომებში ჩვენ გვაქვს ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიის მთელი რიგი საკითხების კონკრეტული დამუშავება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური სამყაროს შესახებ ჩვენი მარქსისტული ისტორიოგრაფიის აღმოცენებისათვის. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარქსისა და ენგელსის შრომები: „ოჯახისა, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“. „გერმანული იდეოლოგია“. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. „კაპიტალი“. „ანტი-დიუ-რინგი“, „ბუნების დიალექტიკა“ და სხვა ნაწარმოებნი.

მარქსიზმის ფუძემდებელთა მოძღვრებაში ანტიკური საზოგადოების შესახებ საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს შემდეგი მხარეები. მარქსმა და ენგელსმა შექმნეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნება „ანტიკური სამყაროს სათემო და სახელმწიფოებრივი საკუთრებისა“, რომელიც ამომწურავად არის განვითარებული „გერმანულ იდეოლოგია“-შივე და საშუალებას იძლევა გამოვამყლანოთ ანტიკური სამყაროს მონათმფლობელური საკუთრების სპეციფიკათვისებურება, როგორც საწარმოო ურთიერთობათა მთელი სისტემის გამოხატულებისა. „საკუთრების მეორე ფორმა ესაა ანტიკური სამყაროს სათემო და სახელმწიფოებრივი საკუთრება, რომელიც აღმოცენდება, ხელშეკრულების დადებისა ან დაპყრობის გზით, რამდენიმე ტომის ერთ ქალაქად გაერთიანების წყალობით და რომლის დროსაც რჩება მონობაც. სათემო საკუთრებასთან ერთად ვითარდება უკვე მოძრავიც, ხოლო შემდეგში უძრავი კერძო საკუთრებაც მაგრამ როგორც ნორმასგან განსხვავებული და სათემო საკუთრებისადმი დამორჩილებული ფორმა. სახელმწიფოს მოქალაქეები მარტო ერთობლივ ფლობენ თავის მომუშავე მონებს და უკვე ამის ძალით შებოჭილნი არიან სათემო საკუთრების ფორმით. ესაა სახელმწიფოს იმ აქტიურ მოქალაქეთა საზიარო კერძო საკუთრება, რომელნიც მონების წინაშე და მათი გამოსივლით იძულებულნი არიან შეინარჩუნონ ასოციაციის ესკუბუნებრივად წარმოშობილი ფორმა. ამიტომაც ამ საძირკველზე დაფუძნებული მთელი აღნაგობა საზოგადოებისა.

და ამასთან ერთად ხალხის ხელისუფლებაც; ეცემა და ქვეითდება იმდენადვე; ოამდენადაც ვითარდება უმთავრესად უძრავი კერძო საკუთრება“. (კ. მარქსი და ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, თხზ., ტ. IV, გვ. 12-13).

აქ ციტირებულ ნაწყვეტს უდიდესი კოლოსალური მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური სამყაროს მეცნიერებისათვის. აქაა გადაშლილი მთელი დედაარსი მონათმფლობელური საკუთრებისა, როგორც კოლექტიური საკუთრებისა, და მისი წინააღმდეგობანი; აქ ნაჩვენებია პოლისის, ანტიკური ქალაქ-სახელმწიფოს, კლასობრივი ბუნება, მისი წარმოცენებისა და დაშლის პროცესები.

მარქსი და ენგელსი პირველები იყვნენ, რომელთაც მეცნიერულად დაადგანეს ბერძნულ-რომაული საზოგადოების გენეზისი. განსაკუთრებით დაწვრილებით ეს მოცემულია „ოჯახის წარმოშობაში“. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მოდერნიზატორული ცდების წინააღმდეგ, რომელსაც ადრეულ ბერძნულსა და ადრეულ რომაულ საზოგადოებებში უნდა დაინახოს ფეოდალური ურთიერთობა, აი ასეთი ცდების საწინააღმდეგოდ და დასაპირისპირებლად ენგელსმა ფართო შედარებით — ისტორიულ მასალაზე გვიჩვენა, დაგვანახა, რომ ბერძნულ-რომაული ისტორიის ადრეული ხანა ეს იყო გეაროვნული წესწყობილების ხანა. ამასთან დაკავშირებულია ისიც, რომ ენგელსს საბერძნეთსა და რომში გეაროვნულ წესობილებიდან მონათმფლობელურ წესობილებაზე გადასვლა ესმის, როგორც რევოლუციონური გადასვლა, როგორც პირველი სოციალური რევოლუცია ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში.

„ანტი-დიურინგში“ ენგელსი მონობას განიხილავს, როგორც კანონზომიერ მოვლენას ადამიანთა ყველა საზოგადოების ისტორიაში და უჩვენებს კლასობრივი საზოგადოების განვითარების დასაწყის სტადიებში მის გარღვევლობას და პროგრესიულობას. „მონობის გარეშე, — ამბობს ის, — ვერ იქნებოდა ვერც ბერძნული სახელმწიფო, ვერც ბერძნული ხელოვნება და მეცნიერებაო, მონობის გარეშე ვერც რომი იქნებოდა. ხოლო იმ საძირკვლის გარეშე, რომელიც ჩაუყარეს საბერძნეთმა და რომმა, ვერ იქნებოდა აგრეთვე თანამედროვე ევროპაცა. ჩვენ არ უნდა გვავიწყვდებოდეს, რომ მთელი ჩვენი ეკონომიურა, პოლიტიკური და გონებრივი განვითარება გამომდინარეობდა ისეთ წინასწარ მდგომარეობიდან, როდესაც მონობა იმდენადვე აუცილებლივ საჭირო იყო, რამდენადაც იგი საყოველთაოდ აღიარებული იყო. ამ აზრით და გაგებით ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ანტიკური მონობის გარეშე არ იქნებოდა არც თანამედროვე სოციალიზმი“. (კ. მარქსი და ე. ენგელსი, ანტი-დიურინგი, ტ. XIV, გვ. 183, შდრ. მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ. ქართული გამოცემა, ტფ., 1937 წ., გვ. 214).

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელნი არაერთხელ შეჰხებიან იმ საკითხებს, რომელნიც დაკავშირებულია ანტიკური საზოგადოების ტექნიკასა და ეკონომიკასთან. განსაკუთრებით ბევრი გვხვდება ცალკე შენიშვნები და ექსკურსები ამ თემაზე „კაპიტალში“. კერძოდ საჭიროა აღინიშნოს: ანტიკური ტექნიკის პრიმიტიული ხასიათსა და მონური შრომის ნაკლები ნაყოფიერების გამოვლენა; მონათმფლობელური მეურნეობის, როგორც ნატურალური მეურნეობის გაგება და ბრძოლა პირველ ბურჟუაზიულ მოდერნიზატორებთან, კერ-

ძოდ მომზენთან, რომელთაც ანტიკურ საზოგადოებაში „კაპიტალიზმი“ „აღ-
მოაჩინეს“, სავაჭრო და სავაზშო კაპიტალების როლი წარმოების აზიურ წეს-
ში; ანტიკური საზოგადოების ეკონომიკაში მიწათმოქმედების მნიშვნელობის გა-
მორკვევა; სოციალურ-ეკონომიური კატეგორიის — „მონისა“ და მონური შრო-
მის ექსპლოატაციის ფორმების ამომწურავი ანალიზი და ა. შ.

ანტიკური საზოგადოების ისტორია პირველად მარქსისა და ენგელსის
შრომებში გამოჩნდა და გამოვიდა, როგორც კლასობრივი ბრძოლის ისტორია.
ანტიკური საზოგადოების ძირითადი სოციალურ-კლასობრივი ანტაგონიზმის, თა-
ვისუფალთა და მონებს შორის ანტაგონიზმის შესაბამისად ამ ბრძოლის გენერა-
ლური ხაზიც მიიმართება ამ ორ ანტაგონისტურ კლასს შორის. ამასთანავე
მარქსსა და ენგელსს არაერთხელ ხაზი გაუსვამთ ანტიკური საზოგადოების
კლასობრივ ურთიერთობათა მთელი სირთულისათვის, აქ ამ საზოგადოებაში.
ბრძოლა თავისუფალი მოსახლეობის ცალკე ჯგუფებს შორის იშლებოდა და
ვითარდებოდა ძირითადი ანტაგონიზმის ფონზე.

მარქსი და ენგელსი არაერთხელ შეპხებიან აგრეთვე მონათმფლობელური
საზოგადოების დაღუპვის პრობლემასაც. განსაკუთრებით ვრცლად აქვს ეს ვა-
კეთებული ენგელსს „ოჯახის წარმოშობაში“. აქაც ამით ჩაუყარეს საფუძველი
ამ პროცესის მეცნიერულ გაგებას. წინააღმდეგ დაპყრობის მექანიკური თეო-
რიისა, რომელიც გაბატონებული იყო ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, ამით სიმძი-
მის ცენტრი გადააქეთ თითონ მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების
შინაგან კანონებზე. მონობის წინააღმდეგობანი — აი ძირითადი მიზეზი საბერ-
ძნეთისა და რომის დაღუპვისა. „ბარბაროსთა“ დაპყრობა ამთავრებს პროცესს
და თანაც წარმოადგენს მის კანონზომიერ შემადგენელ ნაწილს.

თუმცა მეორე ინტერნაციონალის ისტორიკოსები თავიანთ თავს აცხადებ-
დნენ მარქს-ენგელსის საქმის პირდაპირ გამგრძელებლად, ნამდვილად კი მათ ნა-
შრომებში მარქსისტულმა მეცნიერებამ დიდი ნაბიჯი გადადგა უკან, მარქსიზ-
მის ოპორტუნისტული დამახინჯების მიმართულებით. მატერიალისტური დია-
ლექტიკის რევიზიამ, უარყოფამ ან, უკეთეს შემთხვევაში, სოციალურ-ეკონო-
მიურ ფორმაციათა მოძღვრების უგულვებელყოფამ, პოლიტიკურმა ოპორტუ-
ნიზმმა, — ყოველივე ამან საბედისწერო გავლენა მოახდინა ყველა იმ საისტო-
რიო შრომათა მეცნიერულ ღირებულებაზე, რომლებიც გამოვიდა დასავლეთ-
ევროპული ომის წინანდელი სოციალ-დემოკრატიის ბანაკიდან.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს კაუტსკი. მის დიდ ნაშრომს, ან-
ტიკურ სამყაროსადმი რომაა მიძღვნილი. ე. ი. „ქრისტიანობის წარმოშობას“
ახასიათებს რევიზიონიზმის ყოველნაირი ნაკლი და მანკი. ანტიკური საზოგადოე-
ბა აქ წარმოდგენილია არა როგორც სოციალურ-ეკონომიური ფორმაცია, არა-
მედ, ბურჟუაზიულ მკვლევართა მსგავსად, როგორც ეკონომიურ, სოციალურ-
პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენათა უბრალო კომპლექსი. განვითარების
დიალექტიკა არ მოიპოვება. მის მაგიერი ადგილი ეკონომიურ მატერიალიზმს
უკავია. ანტიკური დროის კლასობრივი ბრძოლის წამყვანი და პროგრესიული
როლი სრულიად უარყოფილია, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს რომის სა-
ზოგადოების დაღუპვის მიზეზთა ახსნაში. აქ გაბატონებულია თავისებური ეკო-

ანომიური ავტომატიზმი, რომელთანაც მექანიკურად შეერთებულია დაპყრობის ლეორია.

ომის წინანდელი კაუტსკიანობის ყველა ეს ნიშნები უფრო გაშლილი ფორმით ჩანს კაუტსკის ნაწარმოებში ომის შემდგომ „ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში“ კაუტსკის ლოგიკურ ბოლომდე მიჰყავს თავისი ანტი-მარქსისტული კონცეფცია ანტიკური დროის შესახებ. უფრო აშკარად ეს ჩანს სოციალური რევოლუციის უარყოფასა და იმ ჩიხის შესახებ „მოდერნებაში“, რომელშიაც თითქოს ემწყვდევა ანტიკური საზოგადოება. „თუ კი სოციალური რევოლუციის დედაარსს — წერს კაუტსკი, — დავინახავთ არა მარტო სახელმწიფოებრივ გადატრიალებაში, არამედ ამ გადატრიალების მომდევნო ახალ წარმოქმნაშიაც, მაშინ სოციალური რევოლუცია იქნება მხოლოდ ისეთი რამ, რაც სტენაზე ჩნდება მარტო სამრეწველო კაპიტალთან ერთად, და სხვა არაფერი... თუმცა აღმოსავლეთის სახელმწიფოებსა და ანტიკურ სამყაროში წარმოადგება მეტად მაღალი ცივილიზაცია, მაინც ყოველ ამ სახელმწიფოში ეს ცივილიზაცია ჩიხში ემწყვდევა და ილუპება სახელმწიფოსთან ერთად და ვერ პოულობს გამოსავალს სოციალურ რევოლუციის გზაზე. ამ ჩიხიდან გამოჰყავს არა რევოლუციის შიგნიდანვე, არამედ გარეგან ბიძგს, სახელდობრ იმას, რომ ცივილიზაციის მქონე ოლქს იპყრობენ ისეთი ტომები, რომელნიც ბარბაროსობის ამათუიმ საფეხურზე დგანან და ახალ სასიცოცხლო ძალებს ჰმატებენ ჰელს ძირმომპალ სახელმწიფოს, თუმცა ამასთანავე, რასაკვირველია, ძალიან ცოტა-რამ და გადარჩება ხოლმე ამ დრომოკმულ და განწირულ ცივილიზაციისაგან; სახელმწიფოებრივსა და სოციალურ დარგში განვითარების ახალი ციკლი იწყება, დაახლოვებით სწორედ იმავე პუნქტიდან, საიდანაც ამ განვითარებას იწყებდა დანგრეული სახელმწიფოც“. (კ. კაუტსკი, ისტორიის მატერიალური გაგება, 1931, გვ. 419, 618).

აქ უკანასკნელ ფრაზაში გაისმის რამდენიმე „ახალი“ ნოტიც: ისტორიული განვითარების პროგრესიულობის უარყოფა. კაუტსკი სავსებით ეთანხმება და უხმატკბილდება ციკლიზმის კონტრარევოლუციონურ თეორიას.

მარქსისა და ენგელსის ნამდვილი გამგრძელებელი რევოლუციონური თეორიისა და პრაქტიკის ყველა დარგში იყო ვ. ი. ლენინი. დიადია მისი მემკვიდრეობა ძველ ისტორიაშიც, თუმცა მას მარქსსა და ენგელსზე ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა ანტიკურ სამყაროზე მუშაობა-მეცადინეობისა. ანტიკური სამყაროს მეცნიერებისათვის ლენინის მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან მატერიალისტური დიალექტიკა და ფორმაციათა მოძღვრება უფრო მეტად აღამაღლა. მატერიალისტური დიალექტიკის თანმიმდევრობითმა გამოყენებამ ანუ. მიყენებამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ მოვლენების მიმართ ლენინს შესაძლებლობა მისცა უფრო ღრმად და ფართოდ დაეყენებინა ისტორიული კანონზომიერების პრობლემა. ამის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს გენიალური ლექცია „სახელმწიფოს შესახებ“, სადაც ლენინი საზოგადოების განვითარებას იხილავს, როგორც ერთს მთლიანს კანონზომიერ პროცესს. მონათმფლობელური საზოგადოების ლოკალური შეზღუდვა მარტო ანტიკური საბერძნეთისა და რომის ჩარჩოებით ამ რიგად ისპობა (აქ ლენინი

ანვითარებს ენგელსის დებულებას), და ბერძნულ-რომაული საზოგადოება აღ-
ჭოწნდება მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის მხოლოდ
ერთერთ კონკრეტულ-ისტორიულ ფორმად.

ი. ბ. სტალინმა, ლენინის საუკეთესო მოწაფემ, უფრო მეტად
ვანავითარა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სოციალურ რევოლუციის შესა-
ხებ. თავის ისტორიულ გამოსვლაში დამკვირვებელ კოლმეურნეთა პირველ ყრი-
ლობაზე 1933 წ. მან გამოსთქვა დებულება მონათა იმ რევოლუციის შესახებ.
რომელმაც ბოლო მოუღო ანტიკურ საზოგადოებას: „მონათა რევოლუციამ
მოსაძო მონათმფლობელობა და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათ-
მფლობელური ფორმა“. (სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთე
რუსული გამოცემიდან, გვ. 622). ამ თეზისში არა მარტო თავისი მომთავრება
შპოვა სოციალური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ, არამედ.
განკერძობებით, აღმოჩენილ იქნა ანტიკური საზოგადოების ფეოდალურ საზოგა-
დოებაში გადასვლის ძირითადი კანონი, კანონი, რომელიც ანალოგიურია ყვე-
ლა სხვა ფორმაციათა შენაცვლებების კანონებისა, კათესკიანობას საბოლოო მახ-
ვილი ჩაეცა, ხოლო ანტიკური სამყაროს მეცნიერებას გაეხსნა ფართო გზა კონ-
კრეტულ გამოკვლევათათვის.

საკავშირო კომპარტიის (ბ) XVII ყრილობაზე თავის მოხსენებაში
ამხანაგმა სტალინმა ხაზი გაუსვა ანტიკური საზოგადოების შემუსვრის პროცესის
სხვა მხარეს: „...არა-რომაელები, ე. ი. ყველა ბარბაროსები“ გაერთიანდნენ სა-
ერთო მტრის წინააღმდეგ და ქეჟა-ქუხილით დაამხეს რომი“ (იქვე გვ. 645).
ამხანაგ სტალინის ორივე გამოსვლა ავსებს ერთი მეორეს, ვინაიდან
ორგანვე ლაპარაკია ერთდამივე პროცესის ორ მხარეზე, რომელნიც ერთმა-
ნეთს შორის დაკავშირებულნი არიან შინაგანი კანონზომიერი კავშირით. მარქ-
სისტულ-ლენინური მეცნიერება ახლა დაუფლებულია იმ მიზეზთა ერთობლივო-
ბის ღრმა გაგებას, რომელთაც მონათმფლობელური საზოგადოება დალუპვამდე
მოიყვანეს.

ამრიგად, მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის შრომებში ჩაყრილია
ანტიკური დროის ნამდვილი მეცნიერული ისტორიოგრაფიის საფუძვლები. შე-
ქმნილია ბაზისი მონათმფლობელური საზოგადოების კონკრეტული ისტორიის
ასაგებად. ანტიკური ქვეყნების ისტორიკოს-მარქსისტების საბრძოლო ამოცანას
არმოდგენს ახლა ამ კონკრეტული ისტორიის დაწერა.

ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი

1

1. ძველი საბერძნეთის გეოგრაფიული და სოციალური ბაზემო

როგორი იყო გეოგრაფიული პირობები იმ რაიონისა. სადაც მიმდინარეობდა ძველი საბერძნეთის ისტორია? ეს რაიონი იყო ეგეოსის ზღვის; ახლანდელი არქიპელაგის, ოლქი.

ეს რაიონი წარმოადგენს ერთს მკიდრო გეოგრაფიულ კომპლექსს, რომელიც შეკავშირებულია ცენტრალური ზღვით და შეიცავს: ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ეგეოსის ზღვას თავისი უამრავი კუნძულებით, რომლითაც იგი დაფენილია და მცირე ზოის დასავლეთ სანაპიროს. ამავე რაიონს აკრავს სრუტეების სისტემა: ჰელესპონტო (ახლანდელი დარდანელი), პროპონტიდა (მარმარილოს ზღვა) და თრაკიის ბოსფორი, პროპონტიდას პონტოსთან (შავ ზღვასთან) რომ აერთებს.

ეგეოსის კომპლექსი თუმცა გეოგრაფიულად მთლიან ერთეულს წარმოადგენს. მაინც შესდგება სხვადასხვა გვარ ნაწილებისაგან.

დავიწყოთ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილიდან, ე. ი. საბერძნეთის ხმელეთიდან. ესაა ეგეოსის აუზის ძირითადი ნაწილი, სადაც მიმდინარეობდა საბერძნეთის ისტორიის ძირითადი მომენტები.

საბერძნეთის ხმელეთი მთაგორიანია, ცუდად და ნაკლებად ირწყვება, ნაკლებ ნაყოფიერი მხარეა, მეტად დახრამული სანაპირო ხაზით, მთაგრეხილებით, რომელნიც მიიმართებიან ყოველნაირი მიმართულებით სამხრეთიდან, ჩრდილოეთისკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ეს ხმელეთი განიყოფება სამ ძირითად ნაწილად:

1) ჩრდილო საბერძნეთად.

2) შუალა საბერძნეთად ანუ საკუთრივ ელადად და

3) სამხრეთ საბერძნეთად ანუ პელოპონესად (თანამედროვე მორეა), რომელიც ელადას უერთდებოდა ისთმით, ე. ი. კორინთოს ყელით.

მთაგრეხილების სიტემები თვითეულ აქ დასახლებულ ნაწილს თავის მხრივაც ჰყოფდნენ მთელ რიგ უფრო განკერძოებულ გეოგრაფიულ ერთეულებად.

ჩრდილოეთი საბერძნეთი ორ ნაწილად იყოფა: ეპირად და თესალიად. რომელთაც სამი მხრიდან მთის ქედები აკრავთ.

შუალა საბერძნეთიც აგრეთვე მთელ რიგ ოლქებად იყოფოდა. უფრო მოდიდო ოლქები მდებარეობდა ელადის აღმოსავლეთ ნაწილში. ესენია ატიკა

და ბეოტია. დანარჩენმა ოლქებმა თავიანთი როლი საბერძნეთის ისტორიაში უფრო გვიან შეასრულეს.

რამდენიმე ნაწილისგან შესდგებოდა პელოპონესიცი. ამათ შორის უმნიშვნელოვანესები იყვნენ: არგოლიდა, ლაკონიკა (ქალაქ სპარტათი), მესენია და აქკადია.

უფრო წვრილი ოლქები ჩვეულებრივად სამი მხრიდან მთებით იყო შემოზღუდული, ხოლო მეოთხე მხარე ზღვაზე გადიოდა. ასეთი პროფილი საბერძნეთისთვის ტიპური იყო. ეს ყოველ ოლქს მახლობელ მეზობლებისგან თიშავდა და მათ აშორებდა, ამავე დროს კი გასავალს უხსნიდა სხვადგომი გზებისკენ, რომელთაც იგი მიჰყავდათ შორეულ ზღვის გადაღმა ქვეყნებში. ქვეყნის ასეთი ხასიათი წარმოადგენდა ერთ-ერთ წინამძღვარს იმ სეპარატიზმისას, იმ მიდრეკილებას ეკონომიური და კულტურული ავტარკიისას, რომელიც ეგოდენ დამახასიათებელია საბერძნეთისთვის. რასაკვირველია, არ შეიძლება ეს სეპარატიზტული ტენდენციები მთლიანად მარტო გეოგრაფიით აიხსნას. აქ ამას საფუძვლად სხვა მიზეზები ედო: მაგრამ გეოგრაფიული გამოთიშულობა შეეძველია ერთგვარ როლს თამაშობდა და აძლიერებდა ასეთი სეპარატიზმის ეკონომიურ წინამძღვარებს.

საბერძნეთის ხმელეთის დასავლეთის სანაპიროს აქვს საკმაოდ დიდად დახრამული და დაკლაკნილი სანაპირო ხაზი (კიდები). გარდა ამისა მის გაყოლებაზე მიიმართებუ მთელი რიგი კუნძულები: კერკირა, ლევკადა, კეფალენია, იტაკა—ოდისევსის ლეგენდარული სამშობლო.

მაინც მიუხედავად დახრამულ-დაკლაკნილი კიდებისა საბერძნეთის დასავლეთი ნაპირები ზღვაოსნობისთვის არაჩვეულებრივ არაჩელსაყრელი და არასამარჯვო იყო. ნაპირები იყო მთაგორიანი, ფრიალო და ნავსადგურისათვის მარჯვე უბეები ნაკლებად ჰქონდა. კორინთოს ყურე, რომელიც თითქმის შუაზე ჰყოფს მთელ საბერძნეთს, მეტად დიდი და ნავსადგურად გამოუსადეგარი იყო, ხოლო პატარა პატარა ყურეები ცოტა მოიპოვებოდა. სანაპირო ხაზის ასეთი თავისებურება აძნელებდა და აფერხებდა ზღვაოსნობის განვითარებას საბერძნეთის დასავლეთ ნაწილში. პელოპონესის სამხრეთი სანაპიროც აგრეთვე არაა სამარჯვო ზღვაოსნობისათვის.

აღმოსავლეთი ნაპირი უფრო მეტადაა დახრამული და დაკლაკნილი დასავლეთისაზე, სამაგიეროდ ის მეტისმეტად მდიდარია მარჯვე უბეებით, ნაკლებ ტყიანია და არც ისე ფრიალოა, როგორც დასავლეთის ნაპირი.

ჩვენ რომ დასავლეთს მივაგო-მოვაგლოთ თვალი, დავინახავთ, რომ საბერძნეთის დასავლეთ ნაპირსა და იტალიისა და სიცილიის სანაპიროებს შორის ზღვაზე სრულიად არაა კუნძულები. თუ მხედველობაში მივიღებთ ზღვაოსნობის ტექნიკის პრიმიტიულობას ძველად, როცა დასცურავდნენ ნაპირების გაყოლებაზე და კუნძულიდან კუნძულამდე და ვერ ბედავდნენ ღია ზღვაში გასვლას, ე. ი. როცა დასცურავდნენ ეგრეთწოდებული კაბოტაჟური წესით, — მაშინ ბუნებრივი და გასაგებიცაა ის, რომ საბერძნეთსა და იტალიას შორის მისვლა-მოსვლა მეტად გაძნელებული იყო.

ახლა რომ ეგეოსის ზღვას გადავხედოთ, იქ ჩვენ სრულიად სხვა სურათი წარმოგვიდგება. საბერძნეთის ხმელეთის თითქმის ყოველ კონცხს გაგრძელებასავით აქვს მთელი წყება კუნძულებისა, რომელნიც ჯაკევივით არიან გადაჭიმულნი ზღვის მთელ სივრცეზე და მცირე აზიამდე აღწევენ: ევბეის გრძელი კუნძული, კიკლადის კუნძულების წყება.

მცირე აზიის სანაპირო წააგავს საბერძნეთის აღმოსავლეთ სანაპიროს. ესეც დახრამულ-დაკლაკნილია, მდიდარია კარგი უბეებით და მის ახლო-მახლო ჩაირგებულა მთელი რიგი კუნძულები: ლემნოსი, ლესბოსი, ქიოსი, სამოსი და როდოსი. ეს დიდი კუნძულები წვრილ კუნძულებთან (სპორადებთან) ერთად წარმოქმნიან მცირე აზიის თავისებურ გაგრძელებას და კიკლადის კუნძულებთან თითქმის გადაკდობილნი არიან. როცა ძველი საბერძნეთის მეზღვაური შავ ზღვისკენ ან მცირე აზიისკენ მისცურავდა, მას ერთი წუთითაც კი თვალთაგან არ ეკარგებოდა, არ ეფარებოდა ხმელეთი, დედამიწა. — იმდენად ბევრი იყო კუნძულები, ისე იყვნენ ესენი ერთი მეორესთან ახლო, რომ მეზღვაურის წინაშე ტატნობზე ყოველთვის მოჩანდა რომელიმე კუნძულის ხმელეთი, როგორც საიმედო შუქურა, და ეს გარემოება იმ შორეულ დროს არაჩვეულებრივ აადვილებდა ზღვაოსნობას აღმოსავლეთის მიმართულებით.

რას წარმოადგენდა საბერძნეთის ხმელეთი მისი ნიადაგის თვისება-ხასიათის თვალსაზრისით? თითონ საბერძნეთში ცოტა მოიძებნებოდა ისეთი ოლქები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იქ მარცვლოვან კულტურათა (ხორბლის, ქერის) მოყვანა.

შედარებით ნაყოფიერ ოლქებს, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, წარმოადგენდა თესალიაში პენეის ველი, კუნძულ ევბეის ნაწილი, ევროტის ველი ლაკონიაში და მესენია. დანარჩენ ოლქებში ნიადაგი ისეთი იყო, რომ მარტო ზეთისხილისა და ყურძნის მოყვანა თუ შეიძლებოდა. დასავლეთის მთის კალთებზე შეიძლებოდა მესაქონლეობა მარტო, ისიც წვრილი მესაქონლეობა — თხისა და ცხვრის მოშენება. ამ ფრიადო, ციკაბო კალთების ხასიათი თითქმის შეუძლებლად ხდიდა მსხვილფეხა საქონლის მოშენებას.

ნიადაგის არანაყოფიერება გვიხსნის, თუ რატომ იყო საბერძნეთი აღრითგანვე იძულებული გარედან, მეზობელ, უფრო ნაყოფიერ, ქვეყნებიდან ეზიდნა თავისთვის საპირო პური. ამრიგად, ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებანი ქმნიდნენ სტიმულს პურის იმპორტის განვითარებისათვის.

მაგრამ ამავე დროს საბერძნეთი მდიდარი იყო მთა-მადნეულით. ლაკონიაში იყო რკინა, ატიკაში — ვერცხლი, თრაკიაში, ეგეოსის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე — ოქრო. გარდა ამისა საბერძნეთი მდიდარი იყო თინით, საშენი ქვით და მარმარილოთი.

ეს ორი გარემოება — პურის ნაკლებულობა და ტექნიკური წედლეულის სიუხვე — ხელს უწყობდა საბერძნეთის ვაჭრობის განვითარებას აღრითგანვე. პური უნდა შემოეზიდათ იმის ნაცვლად, რაც ადგილობრივ მოიპოვებოდა და მხადდებოდა. ზეთისხილის, ზეთი, ღვინო, რკინის, თინის და მარმარილოს ნაწარმოები შეადგენდნენ საბერძნეთის ექსპორტის ძირითად საგნებს. ამას უნდა დაერთოს ბერძნებში ზღვაოსნობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები,

რასაც ჰქმნიდნენ აღმოსავლეთი სანაპიროს კიდეთა ხასიათი და ეგეოსის ზღვის ურიცხვი კუნძულები.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე აღმოსავლეთის სიახლოვე. ე. ი. სოციალური გარემოს სიახლოვე.

საბერძნეთი აღმოსავლეთთან დაკავშირებული იყო თითონ გეოგრაფიული სისტემით — ზღვით, კუნძულებით. ის უშუალოდ იყო დაკავშირებული მცირე აზიასთან, ხოლო მცირე აზია წარმოადგენდა აღმოსავლეთ საზოგადოებას ავანპოსტს დასავლეთში. ეგეოსის ზღვას სამხრეთიდან ეკრა კრეტეს კუნძული, ხოლო კრეტე ბუნებრივი ხიდი იყო ეგვიპტეში გადასასვლელად. ყოველივე ეს განსაზღვრავდა აღმოსავლური ელემენტების გავლენას: აღმოსავლურ ტექნიკისას, ხელოსნობისას, ვაჭრობისა და სულიერი კულტურისას. და რადგან საბერძნეთი საისტორიო ასპარეზზე რამოდენიმედ უფრო გვიან გამოვიდა აღმოსავლეთის ქვეყნებზე, მაშინ, როცა აღმოსავლეთში უკვე იყო საკმაოდ განვითარებული საზოგადოება, ამას არ შეეძლო არ ჰქონოდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

აღმოსავლურმა გავლენამ დააჩქარა საბერძნეთის განვითარება. ეს თავს იჩენდა არა მარტო იმაში, რომ აღმოსავლურ ბაზრებთან ურთიერთობა და კავშირი უკვე იძლეოდა სტიმულს ბერძნული ვაჭრობის ზრდისათვის, არამედ ჩანდა იმაშიც, რომ ბერძნებს შეეძლოთ გამოეყენებინათ და ესარგებლნათ აღმოსავლეთში უკვე დაგროვილი კულტურით.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ძველი საბერძნეთის გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოზე, აუცილებლივ საჭიროა აქვე გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება. ეგეოსის რაიონს. ხმელთაშუა ზღვის მთელ სისტემაში ეკავა საშუალოდ მდგომარეობა. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ხმელთაშუა ზღვის რუკას—იტალიას, სიცილიას, თანამედროვე ტუნისს, ხოლო მერე თუ თვალს გადავაქვლებთ აღმოსავლეთს, მცირე აზიას, სრუტეების სისტემას და შავ ზღვას, აშკარად დავინახავთ, რომ საბერძნეთის ხმელეთსა და ეგეოსის ზღვის მთელ რაიონს საშუალოდ მდებარეობა ჰქონდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ამ ცენტრალურ მდებარეობას საბერძნეთი გამოჰყავდა როგორც ეტაპი ვაჭრობასა და კულტურულ ურთიერთობა-კავშირში ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებს შორის. თავის დროზე ჩვენ ვნახავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგალითად, ქალაქ კორინთოს, რომელსაც სამესვეურო, ხელმძღვანელი ადგილი ექირა ისომზე, კორინთოს ყელზე და რომელმაც ხელთ იგდო ვაჭრობა დასავლეთთან კორინთოს ყურეს გაყოლებაზე და იმის იქითაც ადრიატიკის ზღვის ნაპირებზედაც ვიდრე სამხრეთ იტალიასა და სიცილიამდე.

ახლა თუ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაც აქ ითქვა საბერძნეთის ისტორიული განვითარების გეოგრაფიულ წინამძღვრების შესახებ, მაშინ ეს წინამძღვრები შეიძლება ოთხ ძირითად მომენტად ჩამოვაყალიბოთ:

1) აღმოსავლეთ და სამხრეთ (ეგვიპტე) კულტურულ საზოგადოებათა სიახლოვე;

2) ნიადაგის სიმწირე, მიწათმოქმედებისთვის არა ხელსაყრელი პირობები და ამა-მადნეულის სიმდიდრე, სიუხვე.

3) ზღვაოსნობისთვის მარჯვე ზღვა და

4) საბერძნეთის საშუალოდ მდებარეობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

II. კახეთ-მიქენის ეპოქა

პირველი კითხვა, რომელიც ადამიანს აღედრება, როცა საბერძნეთის ისტორიას იწყებს, ეს ის კითხვაა, თუ რა დროიდან, რა მომენტიდან უნდა იქნეს იგი დაწყებული. ეს კითხვა სრულიადაც არაა უქმი, რადგან ჯერ კიდევ არ შეიძლება იგი სავსებით გადაწყვეტილად ჩაითვალოს. ამ საკითხის ირგვლივ დღემდეც კი დიდი დავა და კამათია საისტორიო მეცნიერებაში.

პრობლემის დედაარსი შემდეგში მდგომარეობს. დიდი ხანი არაა, სულ რაღაც 70 წელია მას მერე, რაც საბერძნეთის ისტორიას იწყებდნენ ევრეთწოდებულ ჰომეროსის ეპოქიდან, რომელსაც ათარბლებდნენ ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით XII-XI საუკუნეებით.

ესევე კია, ჯერ მაშინვე იყო მთელი რიგი ისეთი ფაქტები, რომელნიც ლაბარაკობდნენ იმაზე, რომ საბერძნეთის ისტორია საჭიროა გაცილებით უფრო ადრეულ დროიდან იქნეს დაწყებული. პირველ ყოვლისა უნდა დთქვას, რომ თითონ ბერძნებსვე ჰქონდათ იმის წარმოდგენა, რომ საბერძნეთის ხმელეთის პირველი მცხოვრები ისინი არ იყვნენ, რომ მათზე ადრე ამ მიწა-წყალზე ბინადრობდა სხვა, მაღალი კულტურის მქონე ხალხი. ამის წარმოდგენა დაცული იყო ისტორიულ ტრადიციაში, ეპოსში, ლეგენდაში, სარწმუნოებაში. მსგავსი წარმოდგენა შეიძლება აღედგინა ძველი ძეგლების ნაშთებზე დაკვირვებასაც: ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის ხანაში მრავალ ადგილას არსებობდა რომელიღაც შენობების ნანგრევები. მათი კედლები ამოყვანილი იყო მსხვილი ქვით, რამაც ბერძნებს საბუთი მისცა იმის თქმისა, რომ ეს შენობები ააგეს კიკლოპებმა, ცალთვალა ბუმბერაზებმა, მიტომ რომ მათ ეჩვენებოდათ, რომ უბრალო მომაკვდავ ადამიანს არ შეეძლო ასეთი უშველებელი და ძლიერი კედლების აგება. ჩვეულებრივად ბერძნები თავიანთი ქვეყნის უძველეს მცხოვრებლებს პელასგებს უწოდებდნენ.

რომელიღაც ძველი მაღალი კულტურის არსებობის წარმოდგენას ბერძნები უფრო ხშირად უკავშირებდნენ კუნძულ კრეტეს და მის ძლიერ მეფე მინოსს, რომელმაც შეჰქმნა დიდი საზღვაო სახელმწიფო, ამას იხსენიებენ ბერძენი ისტორიკოსები, მაგალითად, თუკიდიდე, ამის ხსენება გვხვდება ჰომეროსის ეპოსშიც, ლეგენდაშიც.

აქგავიხსენებთ ერთ ლეგენდას, მეფე მინოსთან რომაა დაკავშირებული. ათენში ოდესღაც განაგებდა მეფე ეგეოსი, რომელსაც ჰყავდა ვაჟი თეზეოსი. ამ დროს ათენი დამოკიდებული იყო მეფე მინოსზე. მას ქალაქ

კოსსი კრეტესე მოწყობილი ჰქონდა ლაბორინტი — უშველებელი სასახლე უამრავი დერეფნებით და ოთახებით და ამ ლაბორინტში ცხოვრობდა საშინელებათა-მინოტავრა (მინოსის ხარი) ადამიანის ტანით და ხარის თავით. ათენელებს მეფე მინოსისათვის უნდა ესადათ საშინელი და დამამკირებელი, სამარცხენო ხარკი. ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ მათ უნდა გაეგზავნათ მინოტავრისთვის შესაქმელად შვიდი ქაბუკი და შვიდი ქალიშვილი. ისინი კოსში მიჰყავდათ გემით, რომელსაც სამგლოვიარო აფრა ჰქონდა გაკეთებული. კოსში ჩასვლისას ლაბორინტში გზავნიდნენ, რომელიც ისე იყო დახლართული. მიხვეულ-მოხვეული, რომ იქიდან შერე გამოსვლა მათ აღარ შეეძლოთ. აქვე შესჰამდა მათ მინოტავრა.

ორჯერ მოუხდა მეფე ეგეოსს ამ მძიმე ხარკის გასტუმრება. ამ დროისთვის თეზეოსი წამოიზარდა კიდეც, რომელმაც განიზრახა ათენის განთავისუფლება ამ საშინელი ხარკისგან. ის ნებაყოფლობით ჩაერია მორიგისად გასაგზავნ მსხვერპლთა შორის, შვიდი ვაჟისა და შვიდი ქალიშვილის რიცხვში, რომელსაც კრეტეზე უნდა გამგზავრებულ იყვნენ. მეფე ეგეოსი გულისტკივილით დაჯანსაღდა ამას, ოღონდ მიმავლებს პირობა ჩამოართვა, რომ თუ კი ყოველივე მშვიდობით დათავდა და თეზეოსი გადარჩებოდა, მაშინ გემზე სამგლოვიარო აფრა თეთრი აფრით უნდა შეეცვალათ.

სამწუხარო და სამგლოვიარო გემი ჩავიდა კრეტეზე. იქ თეზეოსი გაეცნო მინოსის ქალს. მეფის ასულს არიადნეს. არიადნემ შეიყვარა თეზეოსი და გადასწყვიტა მისი გადარჩენა. ამისთვის მას საიდუმლოდ მისცა ერთი გორგალი ძაფი და თან დაარიგა. როცა ის ლაბორინტში შესდგამდა ფეხს, ძაფის ბოლო სადმე შესავალთან დაება და სასახლის სიღრმეში შესვლისას დაეწყო გორგალის ნელნელა შლა. თეზეოსი სწორედ ისე მოიქცა, როგორც არიადნემ ურჩია. ის შეხვდა მინოტავრს, მოჰკლა იგი და დაშლილი ძაფის საშუალებით მშვიდობიანად უკანვე დაბრუნდა.

კრეტიდან მათ, რასაკვირველია. გამოქცევა მოუხდათ, რადგანაც მინოსი საშინლად განრისხდა. გზად ეს გამოქცეულები მიაღწენ კუნძულ ნაქსოსს, სადაც თეზეოსმა, ღმერთ დიონისეს ბრძანების თანახმად, დასტოვა არიადნე, თითონ კი გზა განაგრძო. არიადნე დიონისეს ცოლი შეიქნა, თეზეოსი ჩავიდა ათენში. მთელი ამ დროის განმავლობაში ეგეოსი შვილს ელოდებოდა. დაინახა თუ არა, რომ გემი უკან ბრუნდებოდა სამგლოვიარო აფრებით (სინარულის გამო დააეწყდათ მისი შეცვლა), სასოწარკვეთილი ეგეოსი ზღვაში გადაეარდა, რომელსაც ამ დროიდან ეწოდა ეგეოსის ზღვა.

ეს ლეგენდა ნათელსა ჰფენს ბერძნების წარმოდგენას იმ „წინაბერძნულ“ კულტურაზე, რომელიც კრეტესთან იყო დაკავშირებული, და გვიჩვენებს (რასედაც შემდეგში გვექნება ლაპარაკი) იმას, თუ ლეგენდა ხანდახან როგორ ასახავს და გამოთქვამს ობიექტურ სინამდვილეს, რასაკვირველია. დამახინჯებულიად.

კრეტეს გარდა, ბერძნულ ეპოსსა და ტრაგედიაში შემონახულია აგრეთვე მოგონებანი „უხვ-ოქროიანი მიკენის“ შესახებ, სადაც მეფობდა ბერძნების წი-

ნამძღლოლი ტროაზე ლაშქრობის დროს, მეფე აგამემნონი, მოგონებანი თითო-
ტროასა და უძველესი კულტურის სხვა ცენტრების შესახებ.

მანც მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დიდძალი მითითება ბერძნებამ-
დღე საბერძნეთის არსებობაზე, ისტორიოგრაფია ამ საკითხზე არ მუშაობდა.
რადგანაც თითქმის ყველა მითითებას ლეგენდარული ხასიათი ჰქონდა, ხოლო
არქეოლოგია XIX ს. შუა ხანამდე ძალიან სუსტად იყო განვითარებული.

და სწორედ არქეოლოგიამ გადასწყვიტა ეს საკითხი. 1871 წ. დაიწყო
თხრები გერმანელი არქეოლოგის პენრიხ შლიმანისა, რომელმაც აღმოაჩინა
ტროა და მიკენი, აღმოაჩინა სწორედ ის სამყარო, რომელზედაც ყრუდ ლაპარა-
კობდა ბერძნული ლეგენდა. შლიმანი იყო მოხალისე-არქეოლოგი, მან თავისი
ისწავლა ეს საქმე. მან თავისი კარიერა დაიწყო იმით, რომ იყო ვაკარი და
სპეკულიანტი და XIX ს. 60-იან წლებში დიდძალი ქონება შეიძინა. უძთავ-
რესად იჯარების დროს ამერიკაში მომხდარ სამოქალაქო ომთან დაკავშირებით.
მაგრამ შლიმანი იყო არა მარტო სპეკულიანტი. ახალგაზრდობიდანვე მას გულ-
ში ჩაბეჭდილი ჰქონდა ოცნება ჰომეროსის დროინდელი ტროას გათხოვისა, რად-
გან იგი დარწმუნებული იყო მის ისტორიულ არსებობაში, თავის საეპიკო ოპო-
რატიების დროს მან მრავალი ევროპული ენა შეისწავლა: ბოლოს. ლათინუ-
რი და ბერძნული ენებიც კი ისე შეითვისა, რომ შეეძლო ჰომეროსი დედანწი-
ვე წაეკითხა.

1869 წ. შლიმანმა მიატოვა თავისი საქმეები და საკმაოდ დიდი თანხა
რეალიზაცია მოახდინა. 1870 წ. ის გაემგზავრა თურქეთში (ოსმალეთში), მოი-
პოვა ადგილობრივი მთავრობის (თურქების) ნებართვა და 1871 წ. დაიწყო ჰისარ-
ლიყის ბორცვის თხრა მცირე აზიის სანაპიროზე, დარდანელისავე შტრიხ-
ლოს. შლიმანის აზრით აქ უნდა ყოფილიყო ტროას ნაშთები. გათხრებმა ხე-
ლათვე ბრწყინვალე შედეგი მისცეს. შლიმანმა ბორცვს ქვეშ აღმოაჩინა ცნო
კულტურის ფენა, ამასთანავე უკანასკნელი (ყველაზე მაღლა, ზემოთ მდებარე)
ფენა რომის დროს ეკუთვნოდა, ქვეითა ფენები უფრო ძველი დროისანი იყვნენ.
პირველი ფენა იყო უკვე თვით ხმელეთზე, როგორც არქეოლოგები იტყვიან
სოლმე.

გათხრების დროს ნაპოვნი იყო შენობათა, ქალაქის გალავნის კედლების
ნაშთები, აგრეთვე ოქროს და ვერცხლის ნივთები. შლიმანი დარწმუნებული
იყო, რომ მან წამდვილად ამოთხარა ტროა. ის მართალიც იყო: მან მართლაც
აღმოაჩინა ძველი ტროა. ოღონდ შლიმანი შესცდა იმ ფენის დადგენაში, რო-
მელიც უნდა მიეკუთვნოს ჰომეროსის დროინდელ ტროას. ის ფიქრობდა, რომ
ჰომეროსის ტროას წარმოადგენს მეორე ფენა (არქეოლოგიურ ფენათა თვლა
იწყება ქვეიდან, ხმელეთიდან), რადგანაც აქ ნაპოვნი იქმნა ვერცხლისა და ოქ-
როსგან ნაკეთი საგნები. ნამდვილად კი, თუ კი რომელიმე ფენა შეიძლება ჰომე-
როსის ხანას მიეკუთვნოს. ეს იქნებოდა მეექვსე ფენა, რადგანაც შლიმანმა არ
იცოდა გათხრების ისე წარმოება, რომ არქეოლოგიის წესები დაეცვა. და ის
ცდილობდა რაც შეიძლება მალე აღმოეჩინა ჰომეროსული ტროა, ამიტომ
მეექვსე ფენის თვალსაჩინო ნაწილი მან დაანგრია. ეს იყო გამოუსწორებელი
არქეოლოგიური შეცდომა. მანც, ასე იყო თუ ისე. შლიმანმა აღმოაჩინა ძველი

კულტურა სწორედ იმ ადგილას, სადაც, ყველა მონაცემის მიხედვით. მდებარეობდა ტროა.

ამის შემდეგ შლიმანი თხრის მიკენს, ტირინს (მიკენის ახლოს), არქომენს (ბეოტიაში) და ხელახლად ისევ ტროას. საბერძნეთის ხმელეთზეც იყო აღმოჩენილი ძველი კულტურის ძლიერი ნაშთები, მსგავსი იმ ნაშთებისა, რომელიც ნაპოვნი იყო ტროაში. ამრიგად აღმოჩნდა კულტურა, რომელიც შლიმანის განმარტებით იყო ძვ. წელთაღრიცხვით მეორე ათასეული წლის ბოლო დროინდელი კულტურა და რომელიც მან აღიარა ჰომეროსულად. ე. ი. იმ კულტურად, რომელიც ასახულია ჰომეროსის პოემებში — „ილიადასა“ და „ოდისეაში“.

შლიმანი გარდაიცვალა 1890 წ. მისმა თანაშემწემ — სწავლულმა არქიტექტორმა დიორჰფელდმა — განაგრძო მისი გათხრები და გზადაგზა ასწორებდა მას, რაც შლიმანმა თავისი უცოდინარობით წაახდინა.

მალე საქმეს ხელი მოჰკიდეს მთელმა რიგმა არქეოლოგებმა. ახალი კულტურის გამოკვლევა-დადგენაში მთელი ეპოქა შეჰქმნა ინგლისელი არქურ ევანსის გათხრებმა; მან 1900 წლიდან დაიწყო კუნძულ კრეტეს გათხრა. სხვადასხვა ცნობები ევანსს მიუთითებდნენ, რომ ამ ძველი, კულტურის ნამდვილ კერად უნდა მიჩნეულიყო სწორედ კრეტე.

ევანსმა კრეტეზე აღმოაჩინა მთელი რიგი კულტურული ცენტრები, კეოძოდ კნოსი, ფესტოსი და სხვა უფრო წვრილ-წვრილი ცენტრები.

ევანსთან ერთდროულად ეგეოსის ზღვის თითქმის მთელ ტერიტორიაზე მუშაობდნენ სხვა არქეოლოგებიც და ყველგან იპოვნეს უძველესი კულტურის კერები: ატიკაში, ბეოტიაში, პელოპონესში. კუნძულებზე. ეს კულტურა, თავისი ორი ძირითადი ცენტრის კუნძულ კრეტესი და ქალაქ მიკენის — სახელისდაძიხედვით ჩვეულებრივად იწოდება კრეტე-მიკენის კულტურად. ხანდახან მას ეძახიან აგრეთვე ეგეოსის კულტურასაც.

რალა იყო ნაპოვნი კრეტე-მიკენის კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში?

კრეტეზე ორ ადგილას — კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში კნოსში და სამხრეთით ფესტოსში აღმოაჩინეს იმ გრანდიოზულ საბინაო შენობათა ნანგრევები, რომელთაც ჩვეულებრივად „სასახლებს“ უწოდებენ (რამდენად მართებულია ასეთი სახელწოდება, ამას ჩვენ შემდეგ დავინახავთ).

განსაკუთრებით დიდია კნოსის „სასახლე“, რომლის ზოგიერთი ნაწილი კოფილა ორ და სამსართულიანი და რომელსაც ეკავა ფართობი 24 ათასი კვადრატული მეტრის სივრცით. მისი აღწერილობა მოცემული აქვს ევანსს ღრდოთხ-ტომიან შრომაში — „მინოსის სასახლე“ — „The Palace of Minos“.

„სასახლე“ ფესტოსში უფრო მომცროა, მაგრამ ისიც ძალიან დიდია. ამ ორი უშველებელი ნაგებობის გარდა კრეტეზე იპოვნეს აგრეთვე მთელი რიგი უფრო მომცრო, პატარა „სასახლეები“ ანუ „ვილები“.

მათ მეზობლადვე, მათთან ახლოს, იპოვნეს რამდენიმე სამოსახლო ადგილი, არქეოლოგების თქმით, „ქალაქური ტიპისა“.

„სასახლეების“ ნანგრევებში იპოვნეს მრავალი მშვენიერი გამოხატულება კედლებზე (ფრესკები). რომელნიც დიდი ხელოვნებით და ოსტატობითაა შესრულებული. მხატვრული ფერადი ორნამენტებით შემკული ქურჭლები, დამწერლობით აკრებულული თიხის ფირფიტები და უამრავი სხვა საგნები, რომელნიც მოწმობენ, როგორც ჩანს, კრეტეს კულტურის არაჩვეულებრივ სიდიადეს და სიმაღლეს.

მიკენმაც უაღრესად დიდი არქეოლოგიური მასალა მოგვცა. იქაც იყო „სასახლე“, თუმცა რამდენიმედ სხვა ტიპისა. კნოსის „სასახლესთან“ შედარებით. მიკენის სასახლე ნაკლებ ფართოა. მას უკავია ბორცვის წვერი, უფრო კონცენტრირებულია, უფრო შემქიდროვებულია და გარს შემოვლებული აქვს უფრო მაგარი კედლები, (გალავანი), ასე რომ ციხე-დარბაზის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამიტომაც გერმანელი არქეოლოგები მიკენის სასახლეს უწოდებენ ბურგს, ფეოდალურ ციხე-დარბაზს.

მიკენში შლიმანმა აღმოაჩინა ცნობილი გუმბათოვანი აკლდამები. ეს აკლდამები, უშეჭლებელი ნაგებობანია, ამასთანავე განსაკუთრებით დიდია ის აკლდამა, რომელსაც შლიმანმა უწოდა მეფე ატრევისის, აგამემნონის მამის, სავანძური ანუ საჭურჭლე. მისი შესავლის სიგანე უდრის 6 მეტრს, ხოლო სიგრძე — 35 მეტრს. თითონ აკლდამა სიმაღლით 15 მეტრისაა და დიამეტრიც ამავე ზომისა აქვს. უშველებელი ქვის კოჭი, რომელიც აკლდამის კარზეა დადებული და მას ჰფარავს, იწონის დაახლოებით 120.000 კილოგრამს. „სავანძურსა“ ანუ „საჭურჭლეში“ შლიმანმა იპოვა დიდძალი მხატვრულად ნაკეთები მოწყობილობა, ოქროს და ვერცხლის ნივთები, ხოლო გუმბათი აკლდამის შიგნიდან მოფენილი იყო ოქროში დაფერილი უთვალავი ბრინჯაოს ვარდულებით. სხვათა შორის, მიკენში იპოვნეს უდიდესი ფრესკები, საერთო სიგრძით 40 მეტრიანი, რომელნიც გამოხატავენ სხვადასხვა გვარ სცენებს.

უძველესი არგოლიდის მეორე დადი ცენტრი იყო ტირინსი, რომელიც მდებარეობდა მიკენის სამხრეთით, ზღვასთან ახლოს. იქ აღმოაჩინილ იქმნა მიკენის ტიპის „სასახლე“, ოღონდ იმაზე უფრო ძლიერი. მას გარს შემოვლებული აქონდა უდიდესი კედლები, რომელნიც ამოყვანილია უშველებელი ქვის ლოდებით. ტირინსშიაც იპოვნეს მიკენის ტიპის ფრესკები: ესენი გამოხატავენ სამხედრო სცენებს, რომელნიც ძალიან მოგვაგონებენ „ილიადაში“ აღწერილ სცენებს.

კრეტე-მიკენის კულტურის გავლენა, როგორც ჩანს, ეგეოსის აუზის საზღვრებს სცილდებოდა. მისი ნიშან-კვალი ნაპოვნია ხმელთაშუაზღვეთის სხვადასხვა ნაწილებში: ეგვიპტეში, კუნძულ კვიპროსზე, ფინიკიის სანაპიროზე, სიცილიაში, სამხრეთ იტალიასა და სხვა ადგილებში.

ამრიგად: რომ ვიქონიოთ მსჯელობა და წარმოდგენა კრეტე-მიკენის კულტურაზე, საამისოდ ჩვენ მოგვეპოვება დიდი არქეოლოგიური მასალა. ამას უნდა დაერთოს ეპოსი და ლეგენდა. მაგრამ სამწუხაროდ წერილობითი პირველწყაროების გამოყენება და სარგებლობა არ შეგვიძლია, ვინაიდან ის საკმაოდ მრავალრიცხოვანი საბუთები, რომელნიც ჩვენ გვაქვს კრეტედან, ჯერჯერობით არაა ამოშიფრული, ამოცნობილ-ამოკითხული.

ამიტომაც, როცა ვცდილობთ პასუხი გავცეთ კითხვას, თუ განვითარების რა სტადიაზე იდგა კრეტე-მიკენის საზოგადოება, ჩვენ იძულებულნი ვართ დავჯერდეთ მარტო არქეოლოგიურ მასალას, რომელიც სულ სხვადასხვა გეარა ახსნა-განმარტების შესაძლებლობას იძლევა, აქედან გამომდინარეობს ის უდიდესი სიძნელენი კრეტე-მიკენის ეპოქის ისტორიული ინტერპრეტაციისა, რომელნიც ჯერ კიდევ ვერაა დაძლეული და მგონი საერთოდ არასდროსაც არ გაიკვება და არ იქნება დაძლეული, თუ კი არ მოხერხდა კრეტეს დამწერლობით შესრულებულ ტექსტების ამოშიფრვა, ამოკითხვა.

დავიწყეთ კრეტე-მიკენის კულტურის პერიოდიზაციის პრობლემიდან.

არის ერთი დარგი, სადაც შეიძლება ასეთი პერიოდიზაციის დადგენა. ეს დარგი გახლავთ მატერიალური წარმოების დარგი, თუ ჩვენ ავიღებთ მთელ იმ უშველებელ მასალას ნივთიერი ძეგლებისას, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება კრეტედან; მიკენიდან და სხვა ცენტრებიდან, და შევეცდებით ამ მასალის კლასიფიკაციას წმინდა არქეოლოგიური ნიშნების, ე. ი. გარეგანი ფორმალური ნიშნების მიხედვით, მაშინ აქ ზოგი-რამის გაკეთება შეიძლება.

საყოველთაოდ აღიარებულია ევანსის მიერ დადგენილი პერიოდიზაცია არქეოლოგიური მასალისა. მართალია, ეს პერიოდიზაცია მარტო კრეტეს კულტურას ეხება, მაგრამ შეიძლება მასზე დამყარებით დანარჩენ ცენტრებისთვისაც მოვიცეთ პერიოდიზაცია.

თავის პერიოდიზაციას ევანსი საფუძვლად უდებს „მინოსის კულტურის“ („მინოს“-ის სახელიდან) ცნებას. ამ კულტურის განვითარებას ის ძირითადად ჰყოფს სამ პერიოდად:

- 1) მინოსის ადრეული,
- 2) მინოსის საშუალო,
- 3) მინოსის გვიანი.

თვითეული პერიოდი თავის მხრივ სამ განყოფილებად იყოფა, რომელნიც აღინიშნება რომაული ციფრებით: I, II, III. ამგვარად ცხრა განყოფილებას ეიღებთ

მაგრამ არც ეს ცხრა განყოფილება არის ხოლმე ყოველთვის საკმარისი. ამიტომ ევანსს შემოაქვს კიდევ ქვეგანყოფილებანი, რომელთაც აღნიშნავს ასოებით A, B, C.

როგორ-ღა დავადგინოთ და გავარკვიოთ თვითეული პერიოდის აბსოლუტური ქრონოლოგია? აქ შესაძლებელია მარტო დაახლოებითი დათარიღება, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად განსაზღვრავს და განმარტავს ეგვიპტის ისტორიის ეპოქათა სინქრონიზმი. როცა ჩვენ ეგვიპტის ფენებში (და პირუკუ) ვიპოვით კრეტეს შესაბამ ნივთებს, რაკი ვიცით ეგვიპტის ქრონოლოგია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით, ეგვიპტის ქრონოლოგიაზე დამყარებით, დავადგინოთ კრეტეს ისტორიაში სამი ძირითადი პერიოდის ქრონოლოგიაც.

მინოსის ადრეული პერიოდი, ტლანქად რომ შემოიხაზოს, თარიღდება ძვ. წელთაღრ. შესამეათასეული წლებით.

მინოსის საშუალო პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება 500 წლის მანძილით—2100 წელსა (ეგვიპტეში VII დინასტიის ხანა) და 1600 წელს შუა.

მინოსის გვიანი პერიოდი იტევს 400 წელს — 1600-დან 1200 წლამდე. XI საუკ.-თვის მინოსის კულტურა პქრება (რატომ და როგორ — ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი).

მაგრამ ევანსის მინოსის კულტურა უკვე ბრინჯაოს კულტურაა (უნდა შევნიშნოთ, რომ კრეტე-მიკენის კულტურა საერთოდ მთლიანად ეკუთვნის ბრინჯაოს ხანას; რკინა იქ თითქმის არაა. იგი ჩნდება მარტო სულ ბოლონდელ ფენებში). მაგრამ ბრინჯაოს გაჩენამდე კრეტეზე იყო ნეოლითური ხანა, ქვის კულტურის ხანა. ამ დროს ჩვეულებრივად ათარიღებდნენ დიდი პერიოდით VIII ათასეულიდან ვიდრე III ათასეულ წლებამდე. პალეოლითის კვალი კრეტეზე ვერ იპოვნეს.

თუ ევანსის პერიოდიზაციას ავიღებთ გამოსავალ წერტილად, მაშინ შეიძლება დადგენა კრეტე-მიკენის კულტურის სხვა ცენტრების პერიოდიზაციისაც.

მიკენისათვის პერიოდიზაცია შემდეგნაირად არის აგებული.

პირველ ყოვლისა იყო „წინამიკენური“ ხანა (მას ასე იმიტომ ეწოდება, რომ ამ დროს ჯერ კადეც არ იყო მიკენის კულტურის სპეციფიკა). ეს წინამიკენური ხანა შეესაბამება დაახლოვებით შემდეგ დროს: მინოსის ადრეული პერიოდიდან მოკიდებული ვიდრე მინოსის გვიანი პერიოდის შუა ხანამდე (1400 წლამდე).

შემდეგ მიდის მიკენის ადრეული ხანა, რომელიც თარიღდება დროით — მინოსის გვიანი პერიოდის შუა ხანიდან 1200 წლამდე.

მიკენის შუალა ხანას ჩვეულებრივად ცალკე არ გამოყოფენ, რადგანაც არ მოგვეპოვება იმის საბუთი, რომ იგი გამოიყოს ცალკე, როგორც დამოუკიდებელი ნაკვეთი დროისა. ამიტომაც მიკენის შუალა ხანას ქრონოლოგიურად აერთიანებენ მიკენის გვიანი ხანასთან. ამრიგად: მიკენის ადრეული ხანას მისდევს მიკენის გვიანი ხანა, მოკიდებული XII საუკ.-დან ვიდრე X საუკ.-მდე და სცილდება მინოსის გვიანი პერიოდის ჩარჩოებს.

უახლესი გათხრების საშუალებით დადგენილია, რომ მიკენის კულტურის კვალი საბერძნეთის ტერიტორიაზე ჩანს XI საუკუნეშიაც. ამრიგად, მიკენის გვიანა ხანა გრძელდება მეორე ათასეულის დასასრულამდე.

დანარჩენი საბერძნეთისთვის მიიღება თავისი პერიოდიზაცია: ელადის ძველი ხანა. შუალა ხანა და გვიანა ხანა. მაგრამ რადგანაც ჩვენ საქმე არ გვექნება ამის შესაბამ მასალასთან, ამიტომ ამ პერიოდიზაციაზე არას ვიტყვი.

გადავიდეთ ახლა-თვისეული პერიოდის მოკლე დახასიათებაზე, ოღონდ დრომდე კი დავეციოთ წმინდა, არქეოლოგიურ ჩარჩოებში.

კრეტეს ნეოლითი წარმოადგენს ჩვეულებრივ ევროპული ტიპის ნეოლითს, იმ ნეოლითის მსგავსს, რომელიც დამახასიათებელი და ნიშნობლივია დუნაის რაიონისთვის. მაგრამ გარდა ამისა კრეტეს ნეოლითში საჭიროა აღინიშნოს ჩრდილრ აფრიკის ნეოლითის ერთგვარი გავლენა.

მეოთხე ათასეულ წელთა მიწურულიდან კრეტეზე იწყება ლითონზე გადასვლა. ეს გადასვლა ერთბაშად არა ხდება, ჩვეულებრივად არის ხოლმე საშუალოდ ხანა, როცა პირველად იწყებენ სპილენძის გამოყენებას, ოღონდ

სპილენძის იარაღები ქვის იარაღებთან ერთად არსებობენ. ასეთ ხანას უწოდებენ ენეოლითს ანუ ქალკოლითს (სპილენძ-ქვის ხანას). ენეოლითი კრეტეზე არის მინოსის ადრეულა პერიოდშიც კი მის პირველ და მეორე განყოფილებათა მანძილზე. ენეოლითის ხანაში სპილენძ-ქვის ნაკეთობათა ხასიათი უკვე შესაძლებლად ხდის მათ ლოკალურ დაზუსტებას. თუ ენეოლითის ხანისათვის ეგეოსის აუზში არავითარ ლოკალურ ცენტრების გამოყოფა არსებითად არ შეგვიძლია, სამაგიეროდ მეოთხე ათასეულ წელთა მიწურულიდან თანდათანობით გამოიყოფა და ყალიბდება ოთხი რაიონი:

- 1) კრეტე.
- 2) კიკლადები.
- 3) ტროა I (ტროას პირველი ფენა).
- 4) საბერძნეთის ხმელეთი.

ასე ჩაისახება ოთხი ტერიტორია. კრეტე-მიკენის კულტურის ოთხი კერა, რომელნიც თანდათან გამოდიან თავისი ადგილობრივი თავისებურებით.

მინოსის ადრეული ხანის ბოლოს (მინოსის ადრეული ხანა III) ჩნდება ბრინჯაო, რომელიც სწრაფად გამოდევნის სპილენძსა და ქვას. ამავე ეპოქას ემთხვევა კნოსში იმ მომავალ გრანდიოზულ მშენებლობითი კომპლექსის პირველი ჩანასახების გაჩენა, რომელსაც ჩვეულებრივად „სასახლეს“ უწოდებენ. ამავე დროით თარიღდება ეგრეთწოდებული ტროა II, ე. ი. ტროას მეორე ფენა.

მინოსის ადრეული პერიოდის ბოლოს ასევე შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს დიდ კოლექტიურ სამარხთა გაჩენა. ასე, მაგალითად, კრეტეზე გვხვდება დიდი საფლავები, სადაც 500-მდე ჩონჩხი დაითვლება.

იდეოლოგიის მხრივ ამ ხანას ახასიათებს პირველ იეროგლიფულ ნიშნების გაჩენა.

მესამე ათასეული წლების სულ ბოლოს, დაახლოებით 2100 წ., კრეტე გადადის განვითარების ახალ პერიოდში — მინოსის შუალა ხანაში. ამ დროისთვის სრული სახით მოჩანს ეგეოსის კულტურის სხვა კერებს შორის კრეტეს აშკარა თავისებურობა.

მინოსის შუალა ხანის კერამიკას ახასიათებს „კამარეს“ სტილი. მას ასე იმიტომ დაერქვა, რომ ამ სტილის პირველი ვაზები იპოვნეს თანამედროვე კრეტეზე პატარა ბერძნული სოფლის კამარეს ახლოს.

„კამარეს“ სტილი განირჩევა ქურჭლის ფერადოვანი ორნამენტაციით. მკენარეთა და ცხოველთა იმ სტილიზებული მოტივების გამოყენებით, რომელნიც აღებულია უმთავრესად ზღვის ფლორიდან და ფაუნიდან. ის განუსაზღვრელად დაშორდა ენეოლითურ ქურჭლების ერთფეროვან გეომეტრიულ სტილს.

მინოსის შუალა ხანაში შენდება კნოსისა და ფესტოსის უზარმაზარი „სასახლეები“. რომელთა ჩანასახები, როგორც ეს უკვე ვნახეთ, წარმოიქმნა ჯერ კიდევ წინა ეპოქაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კნოსის სასახლის საერთო ფართობი უდრის 24.000 კვადრატულ მეტრს. მის შიგნითა ეზოს ზომა 1800 კვადრატულ მეტრს შეიცავს (60X30). თითონ „სასახლე“ წარმოადგენს სადგომთა მეტად რთულ

კომპლექსს: აქ არის საცხოვრებელი დარბაზები. სიწმინდეთა აადგურები, დერეფნები, საკუქნაოები და „სეფე დარბაზებიც“ კი, ევანსის თქმა რომ ვიხმართ. მინოსის შუალა პერიოდს ნაწილობრივად შეესაბამება წინამიკენური აუროლი ხმელეთზე.

მინოსის ადრეულ ხანაში უკვე წინაურდება არგოლიდა, პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლური ნაწილი, ცენტრებით მიკენში და ტარინსში. აქ ამ ხანაშივე ჩნდება აგრეთვე მომავალი „ბურგები“ ჩანასახი. რადგანაც კრეტეს „სასახლეთა“ ანალოგიური ჩანასახები გაჩნდა რამდენიმე საუკუნით ადრე, ამიტომ აქედან ის გამომდინარეობს, რომ საბერძნეთის ხმელეთი თავისი განვითარებით კრეტეს რამოდენიმედ ჩამორჩა.

მინოსის გვიანდელი ხანა წარმოადგენს კრეტეს კულტურის განვითარების უმაღლეს წერტილს. ამ დროს ფართოვდება კნოსისა და ფესტოსის „სასახლები“.

ხელოვნება უაღრესად აყვავებულია, კნოსიდან და ფესტოსიდან ჩვენამდე მოსულია კედლის მხატვრობის მრავალი ნიმუში. ერთი ფრესკი წარმოგვიდგენს ქაბუკს, რომელსაც ძლივს მიაქვს მძიმე ფიალა. მეორე ფრესკაც აგრეთვე ქაბუკს გვიჩვენებს, მაგრამ ეს, ჩანს, უნდა ეკუთვნოდეს კრეტეს წარჩინებულთა წრეს. მას თავზე ახურავს თავისებური თავის სამკაული ფრთებით, რომლებიც ძალიან წააგავენ იმ ფრთებს, ინდიელები რომ ატარებენ, აქვს წერილი ტანი, რაც ნიშნობლივია კრეტეს მამაკაცებისათვის.

ამავე დროით უნდა დათარიღდეს სახელგანთქმული „ფიალები ვაფიოდან“. ეს ფიალები ნაპოვნია პელოპონესში, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ მოხვდა კრეტედან. ფიალები ნამდვილ შედეგს წარმოადგენენ მინოსის კულტურისას. ქურქლებზე გამოყვანილია რელიეფები, რომელნიც წარმოსახავენ სცენებს ხარებთან ერთად. სურათები განცვიფრებას იწვევენ თავისი რეალიზმით და დინამიკით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მინოსის კულტურამ უთვალავი რაოდენობით დაგვიტოვა ხარის გამოხატულება სულ ნაირნაირ მდგომარეობაში. განსაკუთრებით საგულისხმოა ის სურათები, რომელნიც გვიხატავენ, როგორც ჩანს, რაღაც ასპარეზობას ხარებთან ერთად. ქაბუკები და ახალგაზრდა ქალები რაღაც თავსამტკრევე ვარჯიშობებს ასრულებენ: ხტებიან გაქანებულ ხარებზე, თავდაყირა დგანან რქებზე ხელ-მოვლებულები და ა. შ. ამ გამოხატულებათა აზრი საესებით ვერაა გასაგები და ნათელი, მაგრამ, უეჭველია, რაღაც საკულტო ხასიათი უნდა ჰქონდეთ.

ამასთან დაკავშირებით უნებურად აგონდება ადამიანს მინოტავრის ლეგენდა. ხომ არ არის ლაბირინთის სახით წარმოდგენილი კნოსის „სასახლის“ რთული და დაწლართული კომპლექსი? მაშინ დამაკმაყოფილებელი ახსნა მოენახება მინოტავრის წარმოდგენასაც, რომელიც იყო საკვირველი ქმნილება ადამიანის ტანით და ხარის თავით, მოენახება როგორც კრეტეზე არსებულს ხარის კულტის ფანტასტიურ ასახულობას. ასე ასახავს დამახინჯებული ფორმით ლეგენდა ისტორიულ სინამდვილეს.

მინოსის ხელოვნების (შუალა და გვიანა დროის) სურათებს შორის გვაოცებს ქალის ფიგურების დიდი რაოდენობა. ეს ფიგურები გვხვდება კედლის

მხატვრობაში, პატარა ქანდაკებათა სახით, ბექედების ტვიფარებზე და სხვა ამგვარზე. ეს ფიგურები მოქერილი ტანით არიან წარმოსახულნი, აცვიან მათ მეტად ღია კორსაჟები და „კლიოშის“ ყაიდის ქვედა-ტანის ნაოჭიანი კაპები, ყოველივე ეს იმდენად თანადროულად ეჩვენება ადამიანს, რომ არქეოლოგები ამის გამო უკიდურეს მოდერნიზაციაში ვარდებიან. ერთ-ერთ ასეთ ფიგურას, ერთი არქეოლოგი ასე აგვიწერს: „შავგვრემანი ქაბუკის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს ჰაეროვანი და, თითქოს კნოსის სასახლის ფაბრიკის ქანდაკებააო, ნაზ-თეთრი ერთ-ერთი სეფე ქალთაგანი. მისი ცხვირი სრულიადაც არაა ბერძნული ცხვირი ოდნავი კეხით, აქვს შავი დანისლული თვალები და მარჯვნივით წითელი პატარა პირი სრული ტუჩებით. ნავარცხნი თმა, თითქოს ბოლო დროის მოდებს დასწროო, აფუებულა და კულულებად აყრია წელზე. დიდი კულული კეკლუცად დახუჭუჭებული შუბლზეა გადმოწეული. ესაა მინოსელი „მანდილოსანი“, რომელიც გადარჩენილია ჩვენამდე მარტო ზედატანით და რომელსაც ფრანგი არქეოლოგები „პარიზელ ქალს“ უწოდებენ. მას აცვია თხელი ცისფერა ტანისამოსი, ბროწეულისფერით შეხამებული, თავისებური გადაწეული საყელოთი, თითქოს კვანძით არის იგი შეკონილიო“.

ნამდვილად კი ყველა ეს კარის ქალები ანუ „სეფე-ქალები“ და „პარიზელი ქალები“ წარმოადგენენ ქალღმერთის განსახიერებათ ან მის ქურუმ-ქალებს და არა სხვა რაიმეს.

კრეტზე დიდხანს გაისაძლისა მატრიარქატის გადნაშთებმა და ქალის გამონატულებათა დიდი რაოდენობა დაკავშირებულია კრეტეს ქალ-ღმერთის კულტთან.

მინოსის გვიან ხანას ეკუთვნის საინტერესო მოწმობა კრეტესა და ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ. XV საუკ. ეგვიპტის აკლდამების კედლებზე არაერთხელ გვხვდება „კეფტიუ ხალხის“ გამონატულება, რომელნიც აღვენს მიართმევენ ფარაონსა და მის მოხელეებს. თუ ფიგურების გარეგნობისა და მათი სამოსის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ „კეფტიუ“ არიან კრეტელები და არა სხვა ვინმე.

მინოსის გვიანი პერიოდის უკანასკნელ სტადიას ქრონოლოგიურად ემთხვევა,* როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, მიკენის გვიანი პერიოდის დასაწყისი. ამ მომენტისათვის მიკენის კულტურა, რომელიც წინათ თავისი განვითარებით ჩამოუვარდებოდა მინოსისას, დიდ სიმაღლეს აღწევს.

მიკენის გვიან პერიოდს ეკუთვნის მიკენისა და ტირინსის უშველებელი სასახლეები თავისი ძლიერი კედლებით, რომელნიც ამოყვანილია ეგრეთწოდებული „კიკლოპიური წყობით“. ეს ნაგებობანი თავისი ხასიათით განსხვავდებიან კრეტეს „სასახლეებისგან“. მაშინ როდესაც, მაგალითად, კნოსის „სასახლე“ წარმოადგენს სადგომთა ნაკლებად დაკავშირებულ კომპლექსს, შედარებით ნაკლებად არის გამაგრებული და თითქმის ერთვის მის მომიჯნავედ მდებარე „ქალაქის“ სამოსახლო პუნქტს, — ტირინსისა და მიკენის „სასახლეებს“ უფრო კომპაქტური და უფრო კონცენტრირებული ხასიათი აქვთ. ამ ნაგებობათ გარს ავლია მონუმენტალური კედლები, ისინი ბორცვის ცხემებზეა გაშენებული და საკმაოდ დიდი სივრცით დაშორებულია სამოსახლო პუნქტს, რომელიც დაბლა

მდებარეობს. ამ რიგად ეს ნაგებობანი მეკეთრად არის გამოყოფილი მთელი დასახლებული კომპლექსისგან. მაშინ როდესაც კნოსის „სასახლე“ ჯერ კიდევ ნაკლებად არის დიფერენცირებული. ეს ფაქტი აუცილებლივ საჭიროა აღინიშნოს მიტომ, რომ აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა განვითარების სხვადასხვა სტადიებზე — მიკენისა და კნოსისაზე.

მიკენის გვიანდელი ეპოქით უნდა დათარიღდეს ტროას მეექვსე ფენაც, სწორედ ის ფენა, რომელიც შლიმანმა დაანგრია, რადგან მას იგი არა ჰომეროსისეულ ტროად ცნობდა. მაგრამ სწორედ ეს ფენა ყველაზე უფრო ახლოს უდგება იმ საისტორიო მასალას, რომელსაც გადმოგვცემენ „ილიადასა“ და „ოდისეას“ უფრო ძველი ნაწილები. მიკენისა და ტირინის ფრესკები წარმოადგენენ ჰომეროსის ნამდვილ ილუსტრაციებს. შემდეგში ჩვენ კიდევ აღვნიშნავთ მთელ რიგ იმ დამთხვევებს, რომელიც არსებობს ჰომეროსის ეპოსის აღწერილობათა და არქეოლოგიურ მასალებს შორის.

მიკენის გვიანდელი ხელოვნება განცვიფრებას იწვევს ადამიანში თავისი რეალიზმით. საკმარისია მოვიხსენიოთ მიკენის ცნობილი ხანჯლები მათზე გამოხატული ნადირობით ლომებზე ან და ვერცხლის ჭურჭლის ერთი ნატეხი, სადაც წარმოდგენილია ციხის გარემოცვა.

მიკენის ხელოვნებას უეჭველია ეტყობა კრეტეს ძლიერი გავლენის კვალი. მაგრამ მიკენის გვიანდელი ეპოქისათვის მან უკვე მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა. უფრო მეტს ვიტყვი. XII ს.-დან მოკიდებული მინოსის ნახელავეები ჰქრება დ მათ სანაცვლოდ შემოდის მიკენისა. ჩვეულებრივ ამას ამით ხსნიან, რომ ამ ხანებში კრეტე მიკენელების მიერაა კოლონიზირებული. ბოლო ხანებში წამოყენებულია ახალი აზრი, რომ კრეტეს დაპყრობა, მისი დიდუფლება არ მომხდარა, ხოლო მინოსის კულტურის გაქრობა მოხდა შედეგად მისი შინაგანი ტრანსფორმაციისა მიკენურად. ეს ძალიან საინტერესო და რთული პრობლემაა, რომელსაც ჩვენ შემდეგში შევხვებით.

ერთი-რამ კი უეჭველია. მიკენის ნახელავი XII საუკ.-ში ვრცელდება კრიტეზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და მცირე აზიის სანაპიროში.

ხეთის მეფეთა დოკუმენტები მოწმობენ, რომ ყოფილა მრავალნაირი კავშირი მიკენელებსა და იმ ხეთებს შორის, რომელნიც ცხოვრობდნენ მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში.

მიკენის ნახელავი ჩნდება სირიასა. ეგვიპტესა, ნუბიაში, ადრიატიკის ზღვის დალმაციის სანაპიროზე, სიცილიაში, სამხრეთ იტალიასა და სარდინიაში. ეს მოწმობს მიკენელების რალაც არაჩვეულებრივად ფრთო „ექსპანსიას“.

მაგრამ ჯერ თავი დავანებოთ ამ საკითხს და შევეცადოთ ამის გამორკვევას, თუ როგორი საზოგადოებრივ-ეკონომიური წესწყობილება იყო კრეტე-მიკენის საზოგადოებაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ კი ნიეთიერ მასალას წერილობითი მოწმობანი არ ავსებენ (ხოლო ასეთი შემთხვევა ჩვენ გვაქვს კრეტესა და მიკენში), მაშინ ძნელია ამის ახსნა და ამოცნობა, რადგან ნიეთიერი ძეგლები შესაძლებლად ხდიან სულ სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას. კრეტე-მიკენის კულტურის მაგალითი ამის ბრწყინვალედ დამამტკიცებელი საბუთია. ესეც კია, კრეტესი და მიკენის სოციალურ-ეკონომიურ წყობილების

საკითხს ართულებს არა მარტო ის, რომ ჩვენ მოგვეპოვება მარტო ცალმხრივი არქეოლოგიური მასალა, არამედ ისიც კიდევ, რომ არის რამდენიმე მეცნიერის წინასწარ აკვიატებული აზრი, რომელთაც სურთ რათაც არ უნდა იქნეს კრეტესა და მიკენში დაინახონ ის, რის დანახვაც მათ უნდათ, და არა ის, რაც იქ იყო სინამდვილეში.

კრეტე-მიკენის საზოგადოების წყობილებას განმარტავდნენ და ახლაც სსნიან სულ სხვადასხვანაირად. ერთ წყებას დამტკიცებულად მიაჩნია იქ ფეოდალიზმის არსებობა, მეორეებს — აბსოლუტური მონარქიისა, მესამეებს — დემოკრატიული რესპუბლიკისა. იტალიელი მეცნიერი მოსსო იქამდეც კი მივიდა, რომ კრეტეზე დამტკიცა „წინა ისტორიული სოციალიზმი“. მისი არგუმენტაცია ბოლოს ისაა, რომ „ხალხს ადვილად შეეძლო სასახლეში შესვლა“, რადგანაც კნოსისა და ფესტოსის „სასახლეებში“ ბლომადაა ქვის საჯდომები. ამ აბდაუბდაში არის მარტო ერთი სამართლიანი აზრი: მოსსო მართებულად და სწორედ დააკვირდა კნოსისა და ფესტოსის „სასახლეთა“ დემოკრატიულ ხასიათს.

შესაძლებელია თუ არა კრეტეზე და მიკენში ფეოდალიზმის არსებობის დაშვება? ოდესღაც თითონ ამ შრომის ავტორი და საბჭოთა სხვა ისტორიკოსები ასეთ თვალსაზრისზე იდგნენ. მაგრამ ჩვენ არ ვითვალისწინებდით იმას, რომ ფეოდალიზმი არის საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, რომელიც მოითხოვს საწარმოო ძალთა მეტად მაღალ ღონეს და შეიძლება წარმოიქმნას მარტო სანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად. აბსოლუტურად შეუძლებელი საქმეა კაცმა ფეოდალური ურთიერთობა კრეტესა და მიკენში მიიჩნიოს უფრო უწინარესად, ვიდრე „კლასიკური“ საბერძნეთის მონათმფლობელური წყობილება. ამის დაშვება ნიშნავს მთლიანად ისტორიული პროცესის ზარქსის-ტულ-ლენინური გაგების დაპირისპირებას და წინააღმდეგობას.

როგორც ჩანს, სინამდვილესთან უფრო ახლო და მართლის მსგავსი იქნება ის, თუ დაუშვებთ, რომ განვითარებულ კრეტე-მიკენის საზოგადოებაში იყო მონათმფლობელური ურთიერთობა. ერთი შეხედვით კაცს ეჩვენება, რომ კრეტესი და მიკენის საზოგადოებანი უეჭველად კლასობრივი საზოგადოებანია, რაც შეიძლება დამტკიცდეს მათი ნივთიერი კულტურის თითონ ხასიათითვე.

ვის შეეძლო ტირინის „სასახლეს“ უშველგებელი კედლების ამოყვანა, თუ არა მონებს და ყმა გლეხებს? განა შეიძლებოდა იმდროინდელ პირობებში მათი აგება თავისუფალი შრომის დახმარებით? ძნელი დასაშვებია, რომ კრეტესი და მიკენის რთული და ბრწყინვალე მატერიალური კულტურა წარმოიშვა პრიმიტიული წინაკლასობრივი საზოგადოების პირობებში. მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ კი ჩვენ წინდაწინვე გამოვიცხებთ ფეოდალიზმის წარმოშობა, მონობა რჩება.

მაგრამ კრეტეზე და მიკენში შესაძლებელ მონობის გამო შეიძლება ერთი წინასწარი შენიშვნის გაკეთება. როცა ჩვენ ვაწარმოებთ „კლასიკური“ საბერძნეთის ადრეული პერიოდის, ე. ი. IX-VIII საუკ., ძეგლების ანალიზს, არ შეიძლება ამ ძეგლებში ვიპოვოთ რამდენიმედ განვითარებულ მონათმფლობელურ ურთიერთობის ანარეკლი. პირიქით, 1-ლი ათასეული წლების დასაწყისისა

საბერძნეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური წესწყობილება ჩვენ გვეხატება, როგორც გვაროვნული წყობილება, ე. ი. თავისი დედაარსით წინაკლასობრივი წყობილება. მაშასადამე, თუ კი მეორე ათასეული წლების საბერძნეთში დაუშვებთ მონათმფლობელურ ურთიერთობათა სისტემას, მაშინ ჩვენ წინ წამოიჭრება ძნელი ამოცანა იმის ახსნა-განმარტებისა, თუ რატომ მოხდა ერთსა და იმავე რაიონში განვითარების წინაუქმო პროცესი, ე. ი. სოციალური დეგრადაცია: მონათმფლობელურ ურთიერთობიდან გვაროვნულ ურთიერთობაზე გადასვლა, კლასობრივი საზოგადოებიდან წინაკლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა. ამასთანავე ერთად V-IV საუკ. საბერძნეთის განვითარებული მონათმფლობელური ურთიერთობა სრულებით სხვა სურათს იძლევა მატერიალური კულტურისას, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვხვდებით კრეტესა და მიკენში მეორე ათასეულ წლებში.

ყველა ამ მოსაზრებებთან დაკავშირებით ქეშმარიტებასთან ახლო მდგომად გვეხატება ის ჰიპოთეზა, რომელიც ბოლო ხანებში წამოაყენა ლენინგრადელმა მეცნიერმა, პროფესორმა ბ. ლ. ბოგაეესკიმ. ის ფიქრობს, რომ კრეტეზე, მიკენში და ეგეოსის რაიონში საერთოდ ძვ. წელთაღრიცხვით III და II ათასეულ წლებში იყო გვაროვნული საზოგადოება მისი განვითარების სხვადასხვა სტადიებით, მოკიდებული მატერიალურ ადრეულა გვაროვნული საზოგადოებიდან და გათავებული პატრიარქატის დაშლა-რღვევით და ტერიტორიალურ (სამეზობლო) თემად გადასვლით.

მაგრამ ბოგაეესკის ჰიპოთეზა ერთი შეხედვით სრულიად მუდღებელი გვეჩვენება. დაუჯერებელ ამბად გვეჩვენება, რომ კრეტე-მიკენის ეპოქის უდიდესი ნაგებობანი შეიძლება შექმნილიყო სხვა რომელიმე გზით და პირობებში და არა კლასობრივი ექსპლუატაციის პირობებში. განვითარების იმ პრიმიტიული სტადიისათვის, რომელიც ჩვეულებრივად დაკავშირებულია გვაროვნული საზოგადოების ცნებასთან, დაუჯერებლად გვეჩვენება: „ქალის ბრწყინვალე ტუალეტების“ არსებობა. აგრეთვე შესანიშნავ რეალისტურ სურათებისა, ხელოვნებით ნაკვეთი ქურქლის და სხვა ამგვარის არსებობა.

მაინც შეიძლება მთელ რიგ პარალელების გატარება, შეიძლება მოვიშველიოთ დიდი შედარებით ისტორიული მასალა, რომელიც დაგვანახებს, რომ გვაროვნული საზოგადოების გვიანდელ სტადიაში ვხედავთ არა მარტო კრეტეზე და მიკენში, არამედ ბევრ სხვა ადგილებშიაც ისეთ ნაგებობათ, რომელნიც თავისი გრანდიოზულობით არ ჩამოუვარდებიან კრეტე-მიკენისას.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს. მკითხველებმა ალბად იციან ეგრეთწოდებულ მეგალითურ (მსხვილ ქვიან) ნაგებობათა მენჰირების, დოლმენების და კრომლეხების ტიპის ნაგებობათა არსებობა. ეს ნაგებობანი დაკავშირებულია გვაროვნულ კულტურასთან და ცალკე შემთხვევებში თავისი ზომა-მოცულობით განცვიფრებაში მოყვავართ. ბრეტანში, მაგალითად, არის მენჰირების სახელგანთქმული მინდორი. რამდენიმე ათასი ქვის უშველებელი სვეტები მწყრივად ჩარიგებულია ოთხი კილომეტრის მანძილზე და ნამდვილ ხეივნებს წარმოქმნიან. ზოგიერთი მენჰირის სიმაღლე 21 მეტრს აღწევს და გაკეთებულია უშველებელი წონის მთლიანი ქვის ლოდებისგან.

სავსებით ზუსტად არის დადგენილი, რომ მეგალითური ნაგებობანი თა-
რილდება გვიანი გვაროვნული დროით. აქედან ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დას-
კვნა: მსხვილი ნაგებობანი შესაძლებელია წინაკლასობრივ საზოგადოებაშიც. რა
ვხვით, როგორ შეიძლებოდა მათი შექმნა? ცხადია, გვაროვნული თემების თავი-
სუფალი წევრების უბრალო მასობრივი კოოპერაციის გზით. შესაძლებელია მო-
წერი შრომის ნაწილობრივი გამოყენებით, რადგანაც გვიანდელ გვაროვნულ
საზოგადოებაში უკვე ჩნდებიან მონები. მაშასადამე, არაა საჭირო ვიგულის-
ხმოთ ღრმა კლასობრივი დაყოფა ფენებად იმისთვის. რომ აეხსნათ კრეტე-მი-
კენის ეპოქაში მსხვილ ნაგებობათა აშენების შესაძლებლობა.

სრულებითაც არაა საჭირო ყოველნაირი გვაროვნული საზოგადოება წარ-
წოვიდგინოთ ერთი ტიპისად. რასაკვირველია, შუა ან ჩრდილოეთ ევროპის გვა-
როვნული საზოგადოება უფრო პრიმიტიული იყო. მაგრამ რატომ არ შეიძლება
დაუშვათ, რომ იმ ხელსაყრელ პირობებში, რომელნიც არსებობდა კრეტეზე,
საბერძნეთის ხმელეთის სამხრეთ ნაწილსა და მცირე აზიაში, არ შეიძლებოდა
განვითარებულყოფილ გაცილებით უფრო მაღალი ტიპის გვაროვნული ურთიერთო-
ბა? გავიხსენოთ ის. რასაც ზემოთ ვლაპარაკობდით აღმოსავლურ კულტურათა
სიახლოვისა და ბერძნულ საზოგადოებაზე მათი გავლენის შესახებ. ასეთ ხელ-
საყრელ გარემოში ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო. რომ ეგეოსის რაიო-
ნის გვაროვნულ საზოგადოებას, რომელიც თავისი დედაარსით ისევ გვაროვნუ-
ლად რჩებოდა, ჰქონოდა, ასე ეთქვათ. გაცილებით უფრო მდიდარი და ბრწყინვა-
ლედ „გაფორმება“.

მსგავს მოსაზრებათა შეუქმნით ბოგაევსკის ჰიპოთეზა აღარ გვეჩვენება
ისე დაუჯერებლად. როგორც ის შეიძლებოდა ერთი შეხედვით გვეჩვენებოდა.
რემდგომი მსჯელობა უფრო მეტად გვარწმუნებს მის ქვეშარტებასთან სიახ-
ლოვეში.

ენახოთ ახლა, როგორ აგებს ბოგაევსკი. მატერიალურ კულტურის ძეგ-
ლებზე დამყარებული, კრეტესი და მიკენის სოციალურ-ეკონომიური განვითარ-
ების საერთო სქემას. ეს სქემა მოცემული აქვს თავის წერილში „კრეტეზე და
მიკენში წარმოების პირველყოფილ-კომუნისტური წესი“ («Первообытно-коммуни-
стический способ производства на Крите и в Микенах»), რომელიც მოთავსებუ-
ლია კრებულში «Карл Маркс — Академия Наук СССР».

ამ სქემის ძირითადი დებულებანი. შემდეგია. კრეტეს ნეოლითისა და
ენეოლითისათვის ე. ი. დაახლოვებით ძვ. წელთაღწ. მესამე ათასეული წლე-
ბამდელი ეპოქისათვის; ბოგაევსკი ადგენს მატრიარქალური გვაროვნული წყობი-
ლების არსებობის ფაქტს, რასაც ასახიათებს შემდეგი ნიშნები:

- 1) თოხნითი მიწათმოქმედება ქალისა;
 - 2) წვრილი მესაქონლეობა (მსხვილი საქონელი ჯერ არაა);
 - 3) ნადირობისა და შეყრილობის უპირატესი როლი;
 - 4) „დიდი სახლები“, როგორც საერთო ბინის ფორმა, რაც დამახასიათებელია მატრიარქალური, პირველყოფილ - კომუნისტური ურთიერთობისათვის;
- მინოსის ადრეული ეპოქისათვის ბოგაევსკი ადგენს შემდეგ ნიშნებს:
- 1) ხარის დაქერა და მოთენიერება-შეჩვევა;

- 2) მამაკაცის ეკონომიური მნიშვნელობის ზრდა;
- 3) მატრიარქატის დაცემის დასაწყისი;
- 4) დიდი საერთო ბინების გაქრობა და „მცირე სახლებით“ მათი შენაცვლება;

5) მომცრო გვაროვნულ მოსახლეობათა წარმოქმნა (ენოსსა, ფესტოსში და სხვა ადგილებში მომავალი „სასახლეების“ პირველი ჩანასახები).

მინოსის შემდგომი, ე. ი. შუალა, ეპოქისათვის შეიძლება დადგინდეს:

- 1) ხარის მოშინაურება და მსხვილი მესაქონლეობის განვითარება;
- 2) გუთნის გაჩენა და გუთნური მიწათმოქმედების განვითარება;
- 3) პირველი ტყვეების — მონების — გაჩენა;
- 4) მატრიარქატის დაცემა და პატრიარქატის წარმოშობა; საშინაო თემის გაჩენა;

5) ტომობრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და ტომთა უფროსების ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობის გაძლიერება;

6) ტომობრივი მოსახლობანი („სასახლეები“ ენოსში, ფესტოსში და სხვა ადგილებში).

მინოსის გვიანდელ პერიოდს, კრეტის კულტურისთვის რომ უკანასკნელ პერიოდს წარმოადგენს, შემდეგი ახასიათებს:

- 1) პატრიარქალური საშინაო თემის შემდგომი განვითარება და მისი გაღაზრდა სოფლის თემად;
- 2) მონობის შემდგომი ზრდა;
- 3) ტომთა კავშირების ანუ ფედერაციათა გაჩენა;
- 4) ტომის ბელადის (წინამძღოლის) მნიშვნელობის შემდგომი გაძლიერება;
- 5) სამხედრო შეტაკებათა ზრდა და გაზვიარება.

ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ მინოსის გვიან პერიოდში უკვე დაიწყო კლასების ჩამოყალიბება, და თუმცა საზოგადოება ჯერ ისევ წინაკლასობრივია, მაინც უკვე არსებობს ყოველნაირი წინამძღვარი კლასობრივ დაჯგუფებათა წარმოსაქმნელად.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მიკენის განვითარება, რომელიც პირველად კრეტესთან შედარებით უკან ჩამორჩენილი იყო, მინოსის გვიანდელი პერიოდიდან მოკიდებული უფრო ჩქარა მიდის და კრეტეს წინ უსწრებს კიდევ უველა დიდ ცენტრში (მიკენში, ტირინსში) ამ დროს უკვე ჩნდება ძლიერი კარხაკეტილი გვაროვნული არისტოკრატია. ეს სოციალური პროცესი ძალიან ცხადად ემჩნევა „სასახლეთა“ ხასიათსაც. ბოგაევსკი, ჩვენი აზრით, ძალიან მარჯვედ ხსნის იმ სხვაობას, რაიც აქვს ენოსისა და მიკენის გვაროვნულ მოსახლეობათა (სამოსახლო პუნქტების) არქიტექტორულ კონსტრუქციებს. რამდენადაც კრეტეზე გვარის წარჩინებულნი ჯერ კიდევ მკვეთრად არ გამოყოფილან გარშემო მცხოვრებთა წრიდან, იმდენად „სასახლეთ“ არ წარმოადგენს ციხეს და ნაკლებად არის დაშორებული დანარჩენ სამოსახლო ადგილს. მიკენში და ტირინსში კი „სასახლე“ უკვე ციხეა; იგი დგას ბორცვზე, რომელიც მაღლიდან დაჰყურებს გარემოს, თითქოს ბატონიაო, და საქმაოდაც დაშორებულია სამოსახლო ადგილს: იგი ძვეს ბარში, ბორცვის ძირას.

ამას ისიც უნდა მიემატოს, რომ მიკენის გვიანდელ ხანაში გაცილებით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს დიდი სახლელული თემის უფრო წვრილ ოჯახებად დანაწილება-დაქუცმაცების პროცესი. ამასთან დაკავშირებით წინ წავიდა სოფლის (ტერიტორიალური) თემის წარმოდგენა.

ახლა ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რატომ არაა ტერმინი „სასახლე“ მართებული და სწორი კრეტესა და მიკენის მსხვილ საბინაო ნაგებობათა მიმართ. სასახლე ეწოდება მონარქოსის ბინას, საცხოვრებელ სადგომს. მაშინ როდესაც კრეტეზე შეიძლება დაუშვათ მარტო ტომის ბელადის არსებობა, რომელსაც გარს ახვევიან გვარის წარჩინებულნი, კნოსისა, ფესტოსის, მიკენის და სხვა „სასახლეები“ წარმოადგენენ მარტო ორგანიულად გაზრდილ შენობათა კომპლექსს, სადაც ცხოვრობენ თავიანთი წინამძღოლის მეთაურობით გვარის წარჩინებულნი, და სხვა არაფერს. სწორედ ასევე ტერმინი „ქალაქი“ აბსოლუტურად შეუფერებელია ჩვეულებრივი ტიპის გვაროვნულ სამოსახლო ადგილების მიმართ, კრეტეზე და საბერძნეთის ხმელეთზე რომაა. ცნება „ქალაქი“ გულისხმობს ხელოსნობის განცალკევებას სოფლის მეურნეობისგან, ე. ი. საწარმოო ძალების განვითარების ისეთ დონეს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული კრეტე-მიკენის ხანაში. ქალაქი ამ სიტყვის საკუთარი და ნამდვილი მნიშვნელობით ჩნდება მარტო „არქაული“ საბერძნეთის ხანაში, ე. ი. არა უადრეს XI-VIII საუკუნეებისა.

ბოგავესკის ჰიპოთეზა ყველაზე უფრო მისაღები მეცნიერული ჰიპოთეზაა მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპში, ვინაიდან იგი დამაკმაყოფილებლად ხსნის მთელ რიგ ფაქტებს, რომელთაც სხვაგვარად სრულიად ვერ ავხსნიდით. კერძოდ ამ ჰიპოთეზის მეოხებით სრულიად აღარაა საჭირო საბერძნეთის განვითარებაში უკუსვლითი მოძრაობის შესაძლებლობის დამწვება.

ახლა გადავდივართ უკანასკნელსა და ყველაზე უფრო რთულ საკითხზე, თუ ვინ იყვნენ კრეტელები და მიკენელები მათი „რასობრივი“ ანუ ეთნიური განკუთვნილების მხრივ და რა მიმართება ჰქონდათ მათ ამ თვალსაზრისით ბერძნებთან. ამ საკითხთან მკიდროდ არის დაკავშირებული მეორე საკითხიც: კრეტე-მიკენის კულტურის დაღუპვის მიზეზებისა და ამ კულტურის კავშირისა ბერძნულ კულტურასთან.

ამ კითხვების გარკვევა-გადაწყვეტის დროს ბურჟუაზიული მეცნიერება იმყარება ინდო-ევროპულ თეორიას, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ ლაპარაკი. საჭიროა მარტო ის გავიხსენოთ, რომ ენისა და აზროვნების განვითარებაზე არსებული შეხედულება, რომელიც გაბატონებულია იქ, მათ უკავშირებს რასის ცნებას. როგორც გარკვეული კარჩაკეტილი და გამძლე ჯგუფისას, რომელსაც, ამ მიმართულების წარმომადგენელთა აზრით, აქვს არა მარტო ბიოლოგიური, არამედ კულტურულ-ისტორიული ხასიათიც. რასის ცნება უკავშირდება რასობრივი ენის ცნებას. თვითეთლი რასა თავდაპირველად ცხოვრობდა თავის „წინარსამშობლოში“. სადაც იგი ლაპარაკობდა განსაკუთრებულ და განკარძობებულ „წინარენაზე“. თვითეთლი რასა „წინარსამშობლოდან“ იწყებს განსასაღებს ფართო ტერიტორიაზე. იყოფა ტომებად, ხოლო რასობრივი ენა მის წილებშიც ტომობრივ ენებზე; ეს ენები წარმოშობის ერთ-

თობლივობის წყალობით ინარჩუნებენ ერთგვარ მახლობელობას, ოღონდ ახალ პირობებში იღებენ მთელ რიგ სპეციფიკურ თავისებურებათ.

ინდო-ევროპულ თეორიას იყენებენ ეგეოსის ზღვის ეთნიური შემადგენლობის ასახსნელად. ამ თეორიის თანახმად ეგეოსის რაიონის სამხრეთი და ჩრდილოეთი დასახლებული იყო სხვადასხვა რასების წრმომადგენლებით. მაშინ როდესაც კრეტზე მინოსის კულტურის მატარებლად იყო ეგრეთწოდებული მცირე აზიური რასა (რა არის მცირე აზიური რასა — ეს ცხადი და გარკვეული არაა თითონ ინდო-ევროპული თეორიის დამცველებისთვისაც კი), საბერძნეთის ხმელეთზე ბინადრობდა ინდო-ევროპული რასა („ძველი გერმანელები“, თანამედროვე ნაციონალ-სოციალისტურ მეცნიერთა აზრით). იგი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაჩნდა მესამე ათასეულ წლების დასაწყისში მომხდარ გადასახლების შედეგად. ინდო-ევროპელები ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე თითქოს მოვიდნენ თავიანთი „წინარსამშობლოდან“, რომელიც დუნაის რაიონში იმყოფებოდა. ესეც კია, ინდო-ევროპელთა „წინარსამშობლოს“ საკითხის შესახებ მკვეთრი და საშინელი აზრთა სხვაობა არსებობს: ერთნი მათ სამშობლოდ თვლიან შუა აზიას, მეორენი ამ სამშობლოს ათავსებენ ბალტიის ზღვის მიდამოებში, ხოლო მესამენი — დუნაის რაიონში.

დავუშვათ, რომ უკანასკნელი აზრი სწორია. ამგვარად: ინდო-ევროპელების სამხრელი შტო მესამე ათასეულ წელთა დასაწყისში გადადის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და დასაბამს აძლევს მიკენის მოსახლეობას (აქვეელთა ტომი). მაშასადამე, მიკენელები თავიანთი რასობრივი წარმოშობით განსხვავდებიან კრეტელებისგან, რაკი ეკუთვნიან „კეთილშობილ“ ინდო-ევროპულ რასას. ჩინი სახლდებიან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და, ჯერ კრეტეს ზეგავლენით, მერე კი დამოუკიდებლივ, ჰქმნიან მალა „არიულ“ კულტურას, რომელიც ბოლოსდაბოლოს იმორჩილებს მთელ რაიონს ეგეოსის ზღვისას.

ამით არა თავდება საქმე. XI საუკ.-ში ხდება ეგრეთწოდებული „დორიელთა შესევა-დაპყრობა“. თურმე მესამე ათასეულ წლებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოსულა მარტო ერთი ჯგუფი ამ ინდო-ევროპელებისა, მოსულან ეგრეთწოდებული აქვეელნი, ერთ-ერთი ტომი მომავალი ბერძნებისა. XII ანუ XI საუკუნეებში ხდება მიგრაციის გამეორება. ჩრდილოეთიდან, ებრიდან და თესალიიდან, შუა და სამხრეთ საბერძნეთში შემოიქრება დორიელთა ნაკლებ-კულტუროსანი ბერძნული ტომი, რომელიც უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე აქვეელნი, აქ აღრევე რომ მოვიდნენ. ცეცხლითა და მახვილით გაივლიან პელოპონესს, დაანგრევენ ძველ მიკენურ ცენტრებს და ნაწილობრივ დაიმორჩილებენ, ნაწილობრივ კი განსდევნიან ადგილობრივ აქვეელთა მოსახლეობას. ამრიგად მოხდება მიკენის კულტურის დაღუპვა. ხოლო XI საუკ. ტომობრივ გადანაცვლებათა შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდება ბერძნთა ტომობრივი ჯგუფები: დორიელები, ეოლელები, იონელები და აქვეელნი.

რა ფაქტებით-ლა შეიძლება დასაბუთდეს აქ ეს-ეს არის გადმოცემული ინდო-ევროპული კონცეფცია? უპირველეს ყოვლისა ის, როგორც ჩანს, მტკიცდება მით, რომ ჰომეროსის ეპოსში დორიელები არ იხსენიებიან პელოპონესში.

პომეროსის მიხედვით. პელოპონესი დასახლებულია აქვევლებით. მაგრამ უფრო გვიანდელი წყაროები იმას ლაპარაკობენ, რომ პელოპონესის მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილი ეკუთვნოდა დორიელთა ტომს. მაშასადამე, ის ხომ საი-დანმე უნდა გაჩენილიყო აქ.

ამ ფაქტის ასახსნელად ბერძენმა მწერლებმა ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს. კ-ში შექმნეს ლეგენდა დორიელთა შესვლა-დაპყრობის შესახებ. მოკლედ ლეგენდა შემდეგში გამოიხატება. შეიღები არგოსის გმირის-ნახევარ ღმერთის პერსეუსი, რომელმაც მრავალი საგმირო საქმე მოიმოქმედა, მისი სიკვდილის შემდეგ პელოპონესიდან განდევნა მეფე ევროსთეოსმა. ჰერაკლეს ბიძაშვილმა და დაუძინებელმა მტერმა, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ჰერაკლეს ჩამოშვებები წინ გაუძღვებთან მაშინ შუა საბერძნეთში (დორიდაში) მცხოვრებ დორიელთა ტომს, გადალახავენ კორინთოს ყურეს და დაიპყრობენ პელოპონესს და ამრიგად დაიბრუნებენ თავისი მამის სამემკვიდრეოს, იმ მიწებს, რომელნიც უფლებით მათ ეკუთვნოდა.

ჰერაკლიდების შესახებ ლეგენდა, რომელიც პირველად გაჩნდა V ს. საუკ-ში, შემდეგ კანონიკურად გადაიქცა და გადმოვიდა თანამედროვე მეცნიერებაში, რომელმაც დორიელთა დაპყრობა-შემოსევა ისტორიულ ფაქტად მიიღო, ხოლო ლეგენდარული წერილმანები ჰერაკლიდების შესახებ უკუაგდო.

მეორე ფაქტი, რომელიც მოჰყავთ დორიელთა გადასახლების სასარგებლოდ. — ესაა მიკენური ცენტრების დაცემა-დაქვეითება. გვიანდელ ხანებში მრავალი მიკენური სამოსახლო ადგილი ნანგრევებს წარმოადგენდა ან და სულს-და დაფავდა. ეს, როგორც ჩანს, შეიძლება მომხდარიყო მარტო რომელიმე შემოსევა-დაპყრობის შედეგად. დორიელები აქ ძალიან დროზე გაჩნდნენ.

შემდეგ საბუთად მოჰყავთ „კულტურის დაქვეითება“. რაიც თურმე იყო პირველი ათასეული წლების დასაწყისში და აიხსნება არაკულტურულ დორიელების შემოსევით. რომელთაც თან მოიტანეს უფრო პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ფიქრობენ, რომ ეს დაქვეითება აშკარად ჩანს დიპილონის კურკლებში (სახელწოდება წარმოიშვა ათენში არსებულ დიპილონის კარიბქისგან. სადაც იპოვნეს მათი პირველი ნიმუშები: ხანდახან მათ წოდებენ გეომეტრიული სტილის კურკელსაც). დიპილონის ვაზათა ორნამენტი სწორსაზოვანია, სურათები შესრულებულია არაჩვეულებრივ მარტივი ხერხების გამოყენებით. თუ ესენი შევადარებთ მიკენურ კურკლებს, რომელნიც განირჩევიან თავიანთი რეალისტური ორნამენტით და მხატვრული შესრულებით, — მაშინ დიპილონის ვაზანი უეჭველად უკან დახევის, დაქვეითების მაჩვენებელი იქნებოდა.

ამავე პირველი ათასეული წლების დასაწყისის ხანაში საბერძნეთში ჩნდება პაწია ქანდაკებანი, რომელნიც ადამიანებსა და ცხოველებს წარმოსახავენ; ეს ქანდაკებანი გაცილებით უფრო ტლანქად ნამუშეაჩივია. ვიდრე მიკენური ნახელაგები.

„დორიელთა“ შესევა-დაპყრობის მომხრეებს მოჰყავთ კიდევ ერთი ფაქტი. ეგვიპტური წყაროებიდან ვიცით, რომ XIII ს. ბოლოს და XII ს. და-

საწყისში ეგვიპტეს თავს ესხმოდნენ „ზღვის ხალხები“. თავდასხმა მეტად სერიოზული იყო. ეგვიპტელებმა იგი მოიგერიეს მარტო მაშინ, როცა მთელი თავისი ძალონე მოიკრიფეს. ეგვიპტის წყაროებს ამ ხალხების სახელები მოჰყავთ; სახელები ემსგავსებთ ბერძენ ტომთა: აქვევლთა, დორიელთა და სხვ. სახელებს. ინდო-ევროპული თეორიის წარმომადგენლები ამ ეგვიპტურ მოწმობას იყენებენ დორიელთა შესევა დაპყრობის ფაქტის დასადასტურებლად და აგრეთვე გარედან მოწოლის გამო მიკენის კულტურის დაღუპვის ასახსნელად. დორიელთა შესევის შედეგად თითქოს დიდი ცვლილებები მომხდარა საბერძნეთში მცხოვრებ ტომებს შორის: ნაწილი დაიმორჩილეს, ნაწილი ზღვას იქით გადასასლდა, ხოლო ზოგიერთი ჯგუფი ეგვიპტეს თავს დაესხა. ამავ ტომობრივ გადაჯგუფებას უკავშირებენ ფილისტიმელების გაჩენას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ასეთია ის ფაქტები, რომელთა საფუძველზე ბურჟუაზიული მეცნიერებაც დიდი ააგოს კრეტე-მიკენის კულტურის დაღუპვის მიზეზების ახსნა-განმარტებანი.

ახლა შევეცადოთ ავხსნათ ეს ფაქტები სხვა თვალსაზრისიდან გამოსვლით. ინდო-ევროპული თეორიის ძირითად დებულებებს ჩვენ უარვყოფთ. ჩვენ უკუვაგდებთ რასის ცნებას, როგორც კულტურული ფაქტორისა და ისტორიული კატეგორიის ცნებას და მას ვცნობთ მარტო ერთგვარ ბიოლოგიურ ცნებად. ისიც ძალიან გაურკვეველ ცნებად. კულტურის ისტორიაში რასას არსებითი გავლენა არ ჰქონია. ჩვენ უკუვაგდებთ რასობრივი ენის ცნებასაც. ძალიან ხშირად ერთი და იგივე რასა სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობს, ხოლო სხვადასხვა რასები ერთ და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. რასისა და ენის ცნებები ოდნავადაც არა ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენ უკუვაგდებთ „წინარენის“ ცნებას, როგორც მეცნიერულ ფიქციას. ოდესღაც, XIX საუკ. შუა ხანებში, იგი ნაყოფიერი იყო, რადგან გვიხსნიდა მთელ რიგ ენობრივ მოვლენებს. მაგრამ იმის შემდეგ გაჩნდა უამრავი ახალი ფაქტები, რომელნიც ვერას გზით ვერ ეგუებოდნენ ენის ინდო-ევროპულ თეორიას. ინდო-ევროპული თეორიის თვალსაზრისით, თავისი „წინარსამშობლოსა“ და „წინარენის“ მოძღვრებით, როგორ ავხსნათ, მაგალითად, პირინეის ბასკების ენის ნათესაობა მთელ რიგ კავკასურ ენებთან? ან კიდევ ავსტრალიური ენების ნათესაობა სამხრეთ აფრიკულ ენებთან? აქ ხომ ვერავითარი მიგრაცია ვერ უშველის!

ჩვენ ძირითადად გამოვდივართ ნ. ი. მარის თეორიიდან და ენის განვითარების სქემა წარმოდგენილი გვაქვს საწინააღმდეგოდ იმ სქემისა, რომელსაც ინდო-ევროპული თეორია გვიხატავს. მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი ენის განვითარებას წარმოგვიდგენს პირამიდის სახით, წვერზე რომაა დაყენებული (წვერშია „წინარენა“, და მისგან ვითარდებიან წარმოებული ენები), ნ. ი. მარი აყირავებს ამ პირამიდას, მას ფუძეზე აყენებს და ამბობს, რომ თავდაპირველად იყო მრავალი პირველადი ენა და პროცესი მიმდინარეობდა არა ერთობლივი ენის დიფერენციაციის გზით, არამედ წინაუქმო, ტომობრივ და ნაციონალურ ენებად თანდათან გაერთიანებული მრავალი ენის ინტეგრაციის გზით. რათა

შემდგომი დაგვირგვინდეს მომავალი კომუნისტური საზოგადოების ერთობლივი ენის წარმოქმნით.

გამოვდივართ რა ენის ახალი მოძღვრების ძირითად დებულებებიდან, ჩვენ უნდა უარეყოთ ის როლიც, რომელსაც თამაშობს „დორიელთა შემოსევა-დაპყრობა“ და იქნებ თითონ შემოსევა-დაპყრობაც.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა უკუევაგდოთ მიგრაციასა თეორია. ეს რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარეყოფთ ყოველგვარ მიგრაციას. განა ცოტა იყო ისტორიაში ტომთა დიდი გადაჯგუფება-გადანაცვლების შემთხვევები, რომელთაც ისტორიულ კონიუქტურაში თვალსაჩინო ცვლილებები შექმნდათ. მაგრამ ჩვენ უარეყოფთ მიგრაციულ თეორიას. როგორც უნივერსალურ ხერხ-საშუალებას კულტურულ მოვლენათა ასახსნელად.

ავილოთ შემდეგი მაგალითი. ცნობილია, რომ ყინულოვან ხანაში არსებობდა ნეანდერთალელთა პალეოლითური კულტურა. ყინულის შემდგომ ხანაში მას სცვლის კრომანიონის კულტურა. მიგრაციული თეორია იმის მაგივრად, რომ ადრეული პალეოლითის გვიანდელ პალეოლითში გადასვლის პროცესი ასახნას იმავე პალეოლითური კულტურის შინაგანი განვითარებით, მიმართავს მიგრაციის საშუალებით მის წმინდა მექანიკურ ასხნას. იგი ამტკიცებს, რომ სადღაც აღმოსავლეთში ცხოვრობდა კრომანიონელთა რასა, რომელიც მერე ევროპაში გადავიდა, გასწყვიტა ნეანდერთალელთა რასა და თან მოიტანა ახალი კულტურა. მაგრამ ეს ხომ ვერაფერს ვერა ხსნის! მერე თითონ „აღმოსავლეთში-ლა“ როგორ გაჩნდა კრომანიონელთა რასა და მისი კულტურა? დამოუკიდებელი გაჩნდა, თუ ისიც მიგრაციის გზით? თუ დამოუკიდებელი წარმოიშვა. მაშინ რაღა საჭიროა ამ პროცესის გადატანა აღმოსავლეთში? თუ მიგრაციის გზით გაჩნდა, მაშინ მივიღებთ პროცესის დაუსრულებელ უკუგადაწყევას. ე. ი. მოჯადოვებულ წრეს. მიგრაციები, რომელთაც იყენებენ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაჩენის მიზნითა ასახსნელად, ახალი კულტურის ასახსნელად. მეტადრე როცა ეს მიგრაციები წარმოებს კაცობრიობის ისტორიის ადრეულ პერიოდში, სინამდვილეში არაფერს არ გვიხსნიან.

სინამდვილეში არსებობდა კი ეს ცნობილი დორიელთა შესევა-დაპყრობა? რამდენად აქვს ნიადაგი ბერძენ მწერალთა მოწმობებს?

ჯერ კიდევ გერმანელი მეცნიერი ბელოხი XIX ს. ბოლოში უარსკოცდა დორიელთა შესევა-დაპყრობის ფაქტს. თითონ ლეგენდა უპირველეს ყოვლისა გაჩნდა იმის შედეგად, რომ აუცილებელი შეიქნა ახსნა, თუ რატომ ჰომეროსს არა ჰყავს დორიელები პელოპონესში. გარდა ამისა საჭირო იყო იმის ახსნაც, თუ რატომ შუა საბერძნეთში ოლქს ეწოდება დორიდა. თუმცა ისტორიულ ხანაში იქ ეოლელები ცხოვრობდნენ და არა დორიელები. ცხადია, ლეგენდის ბინადრით, ამ ოლქზე გაიარეს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალმა დორიელებმა, თუმცა დორიდა პატარა მთავორიანი და უნაყოფო ქვეყანაა. სადაც მთელი ტომი ვერას გზით ვერ დაეტეოდა.

უკანასკნელ ლეგენდის გაჩენა შეიძლება გამოწვეული იყო პოლიტიკური მიზეზებითაც. შემთხვევითი როდია, რომ ის VIII ს.-ში ჩნდება. ამ დროს პელოპონესში გაშმაგებული და მედგარი ბრძოლა იყო ცალკე თემებს შორის

(სპარტა, არგოსი). ყოველი მებრძოლი მხარე ცდილობდა თავისი უფლებები ამათუიშ ტერიტორიის მფლობელობაზე დაესაბუთებინა და მიმართავდა საბერძნეთში არაჩვეულებრივად პატივცემულ პერაკლეს. რომელიც ოდესღაც თურმე პელოპონესისი მეფობდა, ხოლო მისი ჩამომავლები. დაიბრუნეს. თუ არა თავისი სამკვადრბელი. შეიქნენ პელოპონესის მმართველ გეართა წინაპრებად.

ყველა ეს მოსაზრებანი იძულებულსა გეყოფენ დიდი ეჭვი შევიტანოთ „დორიელთა შესევა-დაპყრობაში“, ყოველ შემთხვევაში იმ სახით მაინც, როგორც მას იღებს თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერება.

ოოცა ჩვენ რომელიმე ახალ თვალსაჩინო კულტურულ მოვლენას ვხსნიოთ, უნდა ვეცადოთ გამოვიდეთ იმ საზოგადოების განვითარების შინაგან პროცესებიდან, რომელშიაც თავს იჩენს ეს მოვლენა.

დაკესხებანი, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ ეს დასესხებანი უმოაყრესად მარტო წერილობანებს ეხება. არ შეიძლება მექანიკურად გადატანილ იქმნას განვითარების მთელი სტადია ერთი საზოგადოებიდან მეორე საზოგადოებაში.

მართლაც, ისტორიულად არის ხოლმე ფაქტები მთელ საზოგადოებათა მოსაზობა-განადგურებისა გარეგან შემოსევათა წყალობით.

მაგალითად, გაუგებარი და საოცარი იქნებოდა უარგვეყო ესპანელების მიერ XVI საუკ.-ში ამერიკაში პტეკებისა და ინკების კულტურის განადგურება-მოსპობა. მაგრამ ეს ჩვეულებრივად იმ შემთხვევაში ხდება, როცა ხელთა გვაქვს დამპყრობელთა და დაპყრობილთა მკვეთრი, აშკარა სხვაობა ეკონომიურ და კულტურული დონის მხრივ. მაგრამ მაშინ კი, როცა ეს დონე მეტწაკლებად თანასწორი და ერთნაირია. რამოდენიმედ თვალსაჩინო ცვლილებათა შეტანა იმ ქვეყნის საზოგადოებრივ წესწყობილებაში; სადაც დამპყრობელები მიგრაციით გაჩნდნენ, ვერ მოხდება.

უნდათ დაგვაჯერონ, რომ „დორიელთა შესევა-დაპყრობის“ წყალობით დაიღუპა კრეტე-მიკენის საზოგადოება. ნაგულისხმევი „დორიელები“, ცხადია, მიკენელებზე დაბლა იდგნენ, ვინაიდან სხვა შემთხვევაში აღარ მოხდებოდა კულტურის „დაქვეითება“ ან „დაცემა“

მაგრამ როგორღა შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ პაწაწინამ, თუნდაც „მამაცმა“ ტომმა შესძლო ძლიერი მიკენური ცენტრების განადგურება? აშკარაა, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მარტო იმიტომ, რომ კრეტე-მიკენის საზოგადოება შიგნითვე უკვე იყო მოუძღურებული.

მაშასადამე, აქაც გვმართებს მივმართოთ იმ შინაგან პროცესების გამოკვლევას, რომელნიც ეგეოსის რაიონში ხდებოდა ძვ. წ. მეორე ათასეული წლების ბოლო ხანებში.

შევეცადოთ ამის გაკეთებას ძირითადად ნ. ი. მარის თეორიაზე დამყარებით. უპირველეს ყოვლისა უნდა სრულიად უკუთვადოთ ის რაღაც ორი „რასის“ არსებობა ეგეოსის აუზში. ჩვენ აბსოლუტურად არავითარი საფუძველი არ მოგვეპოვებთ ასეთი არსებობის დასაშვებად. თითონ ცნება „რასა“. თუნდაც იგი ავიღოთ მარტო ბიოლოგიური გაგებით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს თავისი გაურკვეველობის გამოისობით. ანთროპოლოგები ვერას გზით ვერ შე-

თანხმებულან ვერც იმაში. თუ რამდენია ძირითადი რასა, ვერც იმაში. თუ რა განსასხვავებელი ნიშნები აქვთ მათ. ზოგი მეცნიერი ოთხ რასას ითვლის, ზოგი რამდენიმე ათეულს. ერთნი რასის ნიშნად თვლიან კანის ფერს, მეორენი — სახის მოხაზულობას, მესამეებს ასეთ ნიშნად მიაჩნიათ თმები, მეოთხეებს ყველა ეს ერთად აღებული ნიშნები და ა. შ. აქ გაბატონებულია სრული აბნეულ-დაბნეულობა და არც ჩვენი, ისტორიკოსების, საქმეა მისი უფრო დამძაფრება და გართულება.

ამგვარად, ეგეოსის ზღვის რაიონში, როგორც ყველგანაც ამ უძველეს ეპოქაში, ჩვენ უნდა დავუშვათ მრავალი სულ სხვადასხვა ეთნიური ჯგუფი სრულიად მიუხედავად მათი „რასობრივ“ მიკუთვნებისა. ეს ჯგუფები ისტორიულად გადიან განვითარების ორ ძირითად სტადიას, რომელთაც პირობით შეიძლება ვუწოდოთ „კრეტესი“ და „მიკენის“ სტადიები. კრეტეს სტადია უფრო ადრეულია, მიკენისა — უფრო გვიანდელი. ისინი ერთი მეორისაგან განირჩევიან ენის, აზროვნების და მატერიალურ და სულიერ კულტურის სხვა ელემენტების განვითარების მხრივ.

კრეტეს განვითარების სტადია შეესაბამება უფრო პრიმიტიულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ის შეესაბამება გეაროვნულ წყობილებას მატრიარქატის ძლიერი ელემენტებით. მიკენის სტადიის გვიანდელი პერიოდი გვიჩვენებს გეაროვნული წყობილების დაშლის ინტენსიურ პროცესს, როცა ოჯახი გეარს გამოეყოფა, ჩამოყალიბდება სოფლის თემი, როცა გამოიყოფა არისტოკრატიული ოჯახები, შემდეგში რომ საზოგადოების კლასობრივ ზედაფენას შეადგენენ. მიკენის სტადია კრეტეს სტადიასთან შედარებით გეაროვნული წყობილების დაშლაში წარმოადგენს შემდგომს წინ გადადგმულ ნაბიჯს.

კრეტეს სტადიაში ჩანს განვითარების ის უძველესი საფეხური, რომელსაც ნ. ი. მარი პირობითად რაფეტიდურს უწოდებდა და შეხების მრავალი წერტილიც გააჩნია კულტურის უძველეს განვითარებასთან იტალიაში. პირინეის ნახევარკუნძულზე, შუამდინარეთში (მესოპოტამიაში) და ევროპის, აზიის და აფრიკის სხვა ადგილებში.

ამ უძველეს ხანაში ხმელთაშუაზღვეთში მრავალი სხვადასხვა ტომი არსებობდა: პელასგები საბერძნეთის ხმელეთზე, კრეტელები, ეტრუსკები იტალიაში, ბასკები პირინეის ნახევარკუნძულზე, შუმერები წინა აზიაში და სხვ. მაგრამ ეს ეთნიური ჯგუფები წარმოადგენდნენ მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტს ერთი და იმავე სოციალური სუბსტრატისას და იდგნენ ენისა და აზროვნების განვითარების ერთსა და იმავე სტადიაზე.

ენის ახალი მოძღვრების განსხვავება ძველისგან საბოლოოდ გამოიხატება შემდეგში. ინდო-ევროპული თეორიისათვის ინდო-ევროპული, თურქული, სემიტური და სხვა ენები წარმოადგენენ მარტო კარჩაკეტილ რასობრივ „ოჯახებს“ ენებისას და სხვას არაფერს; მარის მოძღვრების თვალსაზრისით კი ესაა ერთი და იმავე ენობრივი პროცესის განვითარების სტადიები, იმ განვითარების სტადიები, რომელიც ძირითადად წარმოებს იმანენტურად, ე. ი. იმ წინააღმდეგობათა განვითარების შინაგან კანონების მიხედვით, რომელნიც არსებობენ ყოველამათივით სტადიაში.

მიკენის კულტურის გაჩენა, რომელიც არსებითად არის ბერძნული კულტურის ადრეულა სტადია; ესაა ძირითადად, იმ განვითარების შინაგანი პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ისე, რომ საგარეო ელემენტებს რამოდენიმედ მაინც გადამწყვეტად მონაწილეობა არ მიუღიათ ამაში, თუმცა შეიძლება ზრდილოელი ხალხების ცალკეული ჩაწვევებაც ყოფილიყო კლასობრივი საზოგადოების გაჩენის პროცესში მიგრაციული გადანაცვლება სავსებით შესაძლებელია. გვაროვნული წყობილების დაშლის დროს გამოიყოფა არისტოკრატია, რომელსაც გაუჩნდება დაპყრობითი მიდრეკილებანი და ამიტომაც შინაგან მიგრაციებს შეუძლიანთ დიდი როლი ითამაშონ. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ ძირითადად პროცესი მაინც იმანენტური იყო.

მიკენის სტადია არის კრეტეს ხანაში ეგეოსის რაიონში მყოფ იმავე ეთნიურ პელასგურ ელემენტების განვითარების შემდგომი საფეხური. მიკენის ენა წარმოადგენს უკვე ახალ ქმნილებას შედარებით კრეტეს ენასთან, რომელიც იაფეტიდურ სისტემას ეკუთვნოდა. მიკენის ენა, როგორც ბერძნული ენის უშუალო წინამორბედი, ჩანს, უკვე ეკუთვნოდა ენების ინდო-ევროპულ სისტემას, იმ სისტემას, რომელიც წინა, სტადიებისგან განირჩევა ფლექსიათა განვითარებით. ძირთან დაბოლოების უფრო ორგანიული შეერთებით, მორფოლოგიის, სინტაქსის მეტი განვითარებით და სხვა ამგვარით. ესაა ენის განვითარების უფრო მაღალი საფეხური, რომელიც გამოწვეულია საბოლოო ანგარიშში გვაროვნული ურთიერთობის დაშლით. ამ პროცესს მოსდევს ახალ კულტურულ ელემენტების გაჩენა, მიკენის სტილის წარმოშობა, მასალის დამუშავების ახალი ხერხები და ა. შ.

მიკენის ეპოქაში ვითარდება ის „ექსპანსია“, მიკენური ელემენტების ის ფართოდ გავრცელება, რაზედაც ჩვენ წინათ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მიკენში ამ დროს გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესი უფრო შორს მიდის, სანამ კრეტეზე. შეძლებული არისტოკრატიული ზედაფენის, გაჩენა მიკენის საზოგადოებაში კბადებს დაპყრობითი ტენდენციების განვითარებას. იწყება ფართო მიკობრული თარეშები, რომელნიც სცილდება საბერძნეთის ხმელეთს, მიკენის კულტურულ ოლქებს.

ამ თარეშთა შედეგად იპყრობენ ტროას, რამაც თავისი გამომახილი ჰპოვა ჰომეროსის ეპოსში. კრეტეც იქნებ ასევე შეიქნა მიკენის დამპყრობელთა მსხვერპლი. ესენივე თავს დაესხნენ ეგვიპტესა და სირიას. მიკენის ელემენტები ფართოდ ვრცელდება ხმელთაშუა ზღვის მთელ აღმოსავლეთ ნახევარში და დასავლეთშიაც კი შეიქრებიან. ვიდრე სიცილიამდე, სარდინიამდე და ადრიატიკის სანაპიროებამდე.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მიკენის „ექსპანსია“ მეტისმეტად გაზვიადებული აქვს ბურჟუაზიულ მეცნიერებას, რომელიც უვლგან „იმპერიალიზმს“ სედავს. მიკენის ცალკეული ნახელავი შეიძლება სულ შემთხვევით გაჩნდა ხმელთაშუაზღვეთის შორეულ ოლქებში.

ხეთის მეფეთა საარქივო მასალები ძალიან საინტერესო მასალას გვაძლევს. გერმანელმა მეცნიერებმა ვეიდნერმა და ფორერმა რამოდენიმე წლის წინათ ამოიკითხეს მცირე აზიაში ნაპოვნი ლურსმული დოკუმენტები, ხეთების ენაზე

რომაა. თუ ვეინდერისა და ფორერის ახსნა-განმარტება სწორია, მაშინ ამ დოკუმენტებით შეიძლება დადგინდეს ფაქტი ხეთის მეფეთა ფართო დიპლომატიურ და სამხედრო ურთიერთობა-დამოკიდებულებისა მიკენური ტომების ორ ძლიერ კავშირთან. ჩრდილოელ ფედერაციას XV საუკ.-ში ცენტრად ჰქონდა ბეოტია, საბერძნეთის შუა ნაწილში, და მისი გავლენა ვრცელდებოდა მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილამდე. სამხრეთი ფედერაცია თავისი ცენტრით მიკენში არსებობდა XIII საუკ.-დე და მისი ძალა-უფლებაც აგრეთვე მცირე აზიამდე ვრცელდებოდა.

ვეიდნერი და ფორერი ამტკიცებენ, რომ ხეტის დოკუმენტებში მათ ნახეს ატრევსის სახელი. იგი მართალია იკითხება იქ როგორც „ატრასიისი, მაგრამ ეს, ცხადია, ხეტიზირებული მიკენური სახელია ატრევსისა, რომელიც „ილიადას“ მიხედვით აგამემნონის მამა იყო.

ყველა ამ ფაქტების შუქფენით ტროას განადგურება მიკენის ტომთა კავშირის მიერ. რაიც ეპოსშია აწერილი, მეტად ახლოსა ქეშმარიტებასთან.

ორი ძლიერი ფედერაციის ნაგულისხმევი არსებობა უფრო მეტად ამოიწვევს ქეშმარიტების იერს დორიელთა შესევა-დაპყრობას. ტრადიციულ წარმოდგენის თანახმად, დორიელები გამოვიდნენ დორიდის ოლქიდან, აქ კი ისინი მოხედნენ მრავალი აქა-იქ მოგზაურობის შემდეგ ეპირიდან თესალიაში, თესალიიდან დორიდაში. სადაც მათ ბინა დაიდეს. და მხოლოდ უკვე აქედან შეიქრნენ პელოპონესში.

დორიდა პატარა მთაგორიანი ქვეყანაა 200-მდე კვადრატული კილომეტრის ფართობით, სრულიად შეუძლებელია დაეუშვათ, რომ ასეთ პატარა ოლქიდან დორიდაში. სადაც მათ ბინა დაიდეს, და მხოლოდ უკვე აქედან შეიქრნენ პეგურა მსხვილი ფედერაციები.

მაგრამ მაინც როგორ-ღა აიხსნას „კულტურის დაქვეითების“ ფაქტი მიკენის ეპოქიდან ბერძნულ ეპოქაში გადასვლის დროს?

უწინარეს ყოვლისა: იყო კი სინამდვილეში კულტურის ასეთი დაქვეითება და, თუ იყო, ხომ არაა იგი გაზვიადებული?

ინდო-ევროპული თეორიის წარმომადგენლებს, რომელნიც სცნობენ დორიელთა შესევა-დაპყრობას. რასობრივ მიგრაციას და მისთანას, არ შეუძლიათ საზი არ გაუხვან იმ სხვაობას, რომელიც არის მიკენისა და ადრეულა-ბერძნულ კულტურას შორის, და ყოველნაირად ჩქმალავენ მათ შორის არსებულ მსგავსებას. ამავე დროს კი მსგავსება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ეს ეჩვენება გაფრთხილებულსა და წინდაწინვე შემზადებულ თვალს. ტირინსის და მკენის ვაზანი ესაა ჰომეროსის ილუსტრაციები. მათზე გამოხატული სამხედრო სტენები სავსებით ემთხვევიან ჰომეროსის აღწერილობას. მიკენისა და ადრეულა-ბერძნულ სტადიათა შორის სხვაობა ყველგან როდი შეიძლება აღაშინა ნახოს. მართალია, ტირინსი და მიკენი უფრო გვიანდელ ბერძნულ სახეობებში არაერთაბა როლს არ თამაშობენ, მაგრამ არის მთელი. რიგი სხვა ადგილები, სადაც მიკენის ტრადიცია გრძელდებოდა კლასიკურ ხანებშიაც. ათენში კათხრების დროს ბერძნული ფენის ქვეშ იპოვნეს მიკენური ფენა, მაშასადამე, აქ განვითარების მიკენურ სტადიას უშუალოდ ცვლის ბერძნული სტადია.

ათენში მიკენურა ფენის არსებობა ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთია დორიელთა შესევა-დაპყრობის წინააღმდეგ. ტრადიცია ამბობს, რომ დორიელებმა გვერდი აუქციეს ატიკასაო, ამავე დროს კი აქაც ხელში გვიპირავს მიკენურ-სტადიის აღრეული-ბერძნული სტადიით შენაცვლება.

მერე რას ნიშნავს ცნებები „კულტურის ცვლა“: „კულტურის დაცემა“ და „მისთანა? ყოველივე ეს მეტის-მეტად გაურკვეველია. პირველ ათასეულ წელთა დასაწყისში საბერძნეთის ზოგიერთ ადგილას ჩვენ მართლაც ვხედავთ დიპილონისა ანუ გეომეტრიული სტილის გაჩენას, რომელიც უფრო პრიმიტიულია გვიანი-მიკენური ქურჭლის სტილთან შედარებით. ეს უკანასკნელი (გვიანა მიკენური ქურჭელი) ძალიან „მოკაზმულ-შემკულია“, მდიდრად არის ორნამენტებით მორთული. დიპილონისა კი გაცილებით უფრო სადაა. დიპილონისა აქვს ხაზოვანი ორნამენტი, უბრალო სქემატური სურათი. მაგრამ სიუფეტები ხშირად ისეთივე რჩება.

ერთხანად დიპილონის სტილს უყურებდნენ, როგორც „გლახურ სტილს“. რომელიც საბერძნეთში ჩრდილოელმა ხალხებმა შემოიტანეს. ასლა ამ აზრზე ხელი აიღეს, რადგან დიპილონის ვაზათა სიუფეტები ხშირად, თითქმის წარმარა არ განირჩევა ტირინისისა და მიკენის ფრიზებისა და კომეროსისგან მათზე გამოხატულია ცხედრის დასაფლავების პროცესები, ომის სცენები. იგივე დიდკაკები არიან წარმოდგენილი, როგორც წინათ. მაშასადამე, ლაპარაკი შეიძლება სურათის მარტო გამარტივებაზე (უკეთ — საგნის წარმოსახვის თითონ მანერის შეცვლაზე), მაგრამ აქ მგონი რომ ვერ მიუდგება „კულტურის დაცემის“ ცნება.

ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო პოულობენ ისეთ მასალებს, რომელნიც ამტკიცებენ მკვიდრო კავშირს მიკენისა და აღრეული-ბერძნულ სტილს შორის. ამ უკანასკნელს აქვს უთვალავი რაოდენობით გარდამავალი ფორმები, საშუალებდო რგოლები, რომელნიც წარმოქმნიან სრული თანამონაცვლეობის სურათს ბერძნული კულტურის მიკენურისგან განვითარებაში.

ბოლოს. განა შეიძლება საწარმოო ძალთა დაცემაზე ლაპარაკი მიკენის ეპოქის ბერძნული ეპოქით შენაცვლებისას? ვფიქრობთ, რომ არა.

მოვიყვანთ ერთ ფაქტს: კრეტე-მიკენის კულტურა რკინას თითქმის არ ცნობს. რკინის ნივთები, რკინის ნახელავი ძალიან განსაზღვრული რაოდენობით ჩნდება მარტო მიკენის ხანის ბოლოს, მაგრამ პირველი ათასეული წლების დასაწყისში რკინა თანდათან შემოდის ბერძნულ ცხოვრებაში.

თუ ავიღებთ „ილიადასა“ და „ოდისეას“ და IX და VIII საუკ. გათხრების მასალას, დავინახავთ, რომ რკინის საგნების რაოდენობა ყოველ საუკუნეში უფრო და უფრო იზრდება და ხშირდება. განა შეიძლება ეს ფაქტი საწარმოო ძალთა დაცემას ნიშნავდეს? პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ რკინით შეცვლა ბრინჯაოს ნიშნავს ზრდას, რადგან იწყება ახალი, უფრო სრულყოფილი ლითონის გამოყენება.

და თუ ასეა, მაშინ ის ცნობილი „კულტურის დაცემა“, ე. ი. სინამდვილეში, სტილის გამარტივება ოდნავადაც „დაცემა“ კი არ ყოფილა, არამედ იყო ანარეკლი რაღაც პროგრესულ ცვლილებებისა სოციალურ სტრუქტურაში.

თუ ჩვენ უკუვაგდებთ დორიელთა შესევა-დაპყრობის ჰიპოთეზას, მაშინ ჩალა გზით, რა საშუალებით-ღა აეხსნით ბერძენ ტომთა იმ განაწილებას, რომელსაც ვხედავთ „ჰომეროსის შემდგომ“ ეპოქაში? მართლაც, რატომ არ იცნობს ჰომეროსი დორიელებს პელოპონესში? ამ კითხვის გარკვევა-გადაწყვეტილას ჩვენ ვერავითარი მიგრაციები ვერ გვიშველიან. მას რომ პასუხი გავცეთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ტომთა ჩამოყალიბების პროცესი ყოველთვის წარმოებს გეაროვნული წყობილების დაშლის ხანაში. გეაროვნული წყობილების დაშლისას არაჩვეულებრივ ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი ეთნიური ჯგუფების დაშლა და ახალ, უფრო ფართო ჯგუფების გაჩენა, მათი შეჯვარდინება და სხვა ამგვარი. საბერძნეთში ეს პროცესი ემთხვევა სწორედ მიკენის გვიანდელსა და ადრეულა-ბერძნულ პერიოდებს. პირველი ათასეული წლების დასაწყისში ბერძნული ტომების ჩამოყალიბება ძირითადად თავდება და წარმოიქმნება ის დაჯგუფება მათი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია გვიანდელი წყაროებიდან. აი რატომ არ იცნობს ჰომეროსი დორიელებს პელოპონესში. ეპოსის ძირითადი ბერძნული შექმნის ხანაში მართლაც პელოპონესში არ ყოფილან დორიელები, არ ყოფილან მიტომ, რომ მაშინ საერთოდ ბუნებაში არც არსებობდა ისეთი ეთნიური ერთეული, რომელიც უფრო გვიან ჩამოყალიბდა.

მაინც რითი განსხვავდება განვითარების ბერძნული სტადია მიკენურისგან? რომ შევაჯამოთ, შეიძლება ეთქვას, რომ ეს განსხვავება ოდნავადაც არაა პრინციპული. მეორე ათასეულ წელთა ბოლოს და პირველ ათასეულ წელთა დასაწყისში ირც ახალი „რასა“ გაჩენილა და არც ახალი „კულტურა“. არაერთარი „ჩრდილოელი“ ტომი არ შექრილა საბერძნეთში და არც მიკენური ცენტრები გაუნადგურებია მას. სულ დიდი-დიდი ამ ხანებში ხდებოდა შინაგანი გადანაცვლებანი ჩამოსაყალიბებლად გამჯდებულ ტომებისა და ეგეოსის ზღვის რაიონში და მის მახლობელ ოლქებში. სულ დიდი-დიდი ახლა ცალკე ტომობრივი ჯგუფები ჩრდილოეთ საბერძნეთიდან კანტი-კუნტად გადადიოდნენ შუა საბერძნეთში, ხოლო შუადას სამხრეთ საბერძნეთში. გეაროვნული საზოგადოების შიგნით კი მიმდინარეობდა გეაროვნული ურთიერთობის დაშლის მძაფრი პროცესი. ძველი გეაროვნული კულტურის მძლავრი ცენტრები დაეცნენ ნაწილობრივ ან ანლად ჩამოყალიბებულ ტომთა ინტენსიური გადანაცვლების წყალობით, ნაწილობრივ კი (და ეს ყველაზე უფრო მთავარია) თითონ გეაროვნული კულტურის შინაგანი დაშლის მეოხებით. გამოვიდა ოჯახი გვარის წინააღმდეგ და სოფლის თემი გეაროვნულ თემს დაუპირდაპირდა. ეს ნიშნავდა ძველი გეაროვნული კავშირებისა და მათ მიერ შექმნილ კავშირსა და დიადი კულტურის დაღუპვას. დაეცა კრეტის „სასახლეები“ და მიკენის „ბურგები“. დაეცა იმდენად არა მეკობრების თარეშთა და ტომთა შორისი ომების გამო. რამდენადაც მიტომ, რომ ისინი წარმოადგენდნენ ძველი მმართველი გვარების საყრდენს. გვარის შესანაცვლებლად მოდის ოჯახი და არისტოკრატიული გვარების ძალა-უფლებას ცვლის არისტოკრატიული ოჯახების ძალა-უფლება. საზოგადოების ძირითადი სტრუქტურა არ იცვლება, იგი არაერთიად კიდევ წინაკლასობრივად რჩება, მაგრამ წამოიჭრება მრავალი ახალი მომენტი, რომელიც ცვლის სამოსახლო ადგილების ხასიათს, ყოფა-ცხოვრების ფორმებს, ხე-

ლოვნების სტილს და მისთანას. მთელ რიგ შემთხვევებში მართლაც ხდება ნივთიერი და სულიერი კულტურის „დაქვეითება“. მაგრამ ეს დაქვეითება დაახლოვებით ისეთივე რიგისაა, როგორისაც არის პალეოლითური ხელოვნების მდიდარი რეალისტური სტილის გადასვლა ნეოლითის მშრალ და სქემატურ სტილზე: „დაქვეითება“ სინამდვილეში ნიშნავდა საწარმოო ძალების ამალღებას, საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას.

კრეტე-მიკენის გვაროვნული „ზედაფენების“ „შემკული“ და ფერადოვანი კულტურა (მეტადრე მისი მიკენური სტადიისა) არსებითად ძალიან შეზღუდული იყო. გვარის დაშლა და სოციალური ცხოვრების სიმძიმის ცენტრის გადატანა სასოფლო თემში ნიშნავდა კულტურული ბაზისის გაფართოვებას, მის შედარებით „დემოკრატიზაციას“, თუმცა ამ ტერმინს ძალიან პირობითი და შეზღუდული გაგებით ეხმარობთ. რადგან ადრეულა ბერძნული საზოგადოებაც ისევე არისტოკრატიულ საზოგადოებად რჩებოდა. მაინც ეს შედარებითი „დემოკრატიზაცია“ საკმარისი იყო იმისთვის, რომ თვალსაჩინოდ შეეცვალა „მიკენის“ კულტურის მთელი გარეგანი სახე და იგი „ბერძნულ“ კულტურად გადაექცია.

„ჰომეროსისეულ“ ეპოსში, „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ასახულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზი დამატებით საბუთებს იძლევა კრეტე-მიკენის საკითხში აქ გამოთქმული თვალსაზრისის სასარგებლოდ. მაგრამ სანამ ამ ანალიზს შეუდგებოდეთ, საჭიროა შევხერდეთ ეგრეთწოდებულ „ჰომეროსის საკითხზე“.

III. ჰომეროსის საკითხი და ჰომეროსის საზოგადოება

ჰომეროსის საკითხს აქვს თავისი გრძელი ისტორია. ჰომეროსის სახელს უკავშირდება ბერძნული ეპოსის ორი ნაწარმოები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს „ილიადასა“ და „ოდისეას“ სახელით. თვითვეული მათგანი წარმოადგენს დიდ ეპიკურ პოემას, მოცულობით 24 კარს. ხოლო ყოველი კარი შეიცავს საკმაოდ დიდ რაოდენობით ლექსებს, ტაეპებს (370-დან 900-მდე).

„ილიადასი“ და „ოდისეას“ შინაარსი საყოველთაოდ ცნობილია. ორივე ეს პოემა დაწერილია ჰეგზამეტრით, ე. ი. ექვსმუხლიანი ლექსით. ყოველი მუხლი შეიცავს ერთ გრძელსა და ორ მოკლე მარცვალს ან ორ გრძელ მარცვალს.

რუსულად ჰეგზამეტრის გადმოცემა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მისი გადმოცემა გეისდება აქცენტის, მახვილის საშუალებით. „ილიადას“ დასაწყისი გნედიჩის თარგმანით ასე გაისმის:

Грехъ, сгншшя, вшпшй Ахшлеса, Пелеша ешш!

რისხვა მიმღერე, მუზავ, აქილესის პელესის ძისა!

მაგრამ ბერძნულ ენაზე, სადაც არის გრძელი და მოკლე ხმოვანები, ჰეგზამეტრი იკითხება თითქმის აუაჯით, ე. ი. სიმღერისებრი გაბმით და გრძელ და მოკლე ბგერების გამოყოფით. „ილიადას“ იგივე დასაწყისი ასე უნდა იქნას წაკითხული: Μηνεν, αειδε, μη'α. Ηελγηιδεω Αχιλληος.

„ილიადა“ და „ოდისეა“ შედგენილია ონურ დიალექტზე. მაგრამ პოემებში არის ეოლური დიალექტის ელემენტებიც.

„ილიადა“ და „ოდისეა“ ბერძნული ეპოსის ერთადერთი ნიმუშები როდია, თუმცა ჩვენამდე მარტო მათ მოაღწიეს. ჩვენ ვიცით, რომ არსებობდა სხვა ეპიკური პოემებიც — „თებაიდა“, „კიპრიები“, „მცირე ილიადა“ და სხვ. ამ პოემათა სიუჟეტები ნაწილობრივ აისახა ბერძნულ ტრაგედიებსა და ლეგენდაში. მაგრამ თითონ პოემები ჩვენამდე არ მოსულა.

რაში გამოიხატება საბოლოოდ ჰომეროსის საკითხი? ძირითადად ესაა ჰომეროსის პიროვნების პრობლემა, ხოლო ეს პრობლემა წარმოადგენს ანარეკლს უფრო ფართო საკითხისას, თუ როგორ იყო შედგენილი ჰომეროსის ეპოსი. თითონ ბერძნებს ეჭვი არ ჰქონიათ იმისი, რომ ჰომეროსი ისტორიული პიროვნება იყო. მათი აზრით, „ილიადა“ და „ოდისეა“ შესთხზა ბრმა მომღერალმა ჰი-

მეროსმა, რომელიც IX საუკ.-ში ცხოვრობდა, ამასთანავე შვიდი ქალაქი ერთი მეორეს ეცილებოდა სახელისა და პატრივისათვის — არა მე ვარ მისი სამშობლო, არა მეო.

ძვ. წ. V საუკ.-მდე ბერძნები ჰომეროსს მიაწერდნენ არა მარტო „ილიადას“ და „ოდისეას“, არამედ სხვა ეპიკურ ნაწარმოებებსაც. მაგრამ V საუკ.-ში კრიტიკული აზროვნება უკვე იმდენად განვითარდა, რომ შეუძლებლად ეჩვენებოდათ მთელი ეპოსის შექმნა ერთი პიროვნებისათვის მიეკუთვნებინათ. ამიტომ V საუკ.-ში ჰომეროსს თვლიდნენ მარტო „ილიადას“ და „ოდისეას“ შემომქმედლად.

მაგრამ მეორე საუკ.-ში, ელინისტურ ეპოქაში, ალექსანდრიის ლიტერატურული კრიტიკისა და ფილოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით, ჩნდებიან მეცნიერები, რომელთაც უწოდებენ „ქორიძონტებს“, „გამმიჯვენელებს“. „ქორიძონტების“ სკოლა იქიდან გამოდიოდა, რომ „ოდისეა“ თავისი ხასიათით რამოდენიმედ განირჩევა „ილიადასგან“. ამ საფუძველზე ამ სკოლის წარმომადგენლები ჰომეროსს მიაწერდნენ მარტო „ილიადას“, ხოლო „ოდისეას“ — სხვა ავტორს. მაგრამ ამ მიმდინარეობამ ვერ ჰპოვა საბერძნეთში საერთო თანაგზრძობა. ქორიძონტების წინააღმდეგ გამოვიდა II საუკ. სახელოვანი ალექსანდრიელი კრიტიკოსი, არისტარქოსი, რომელიც კვლავინდებურად ჰომეროსს თვლიდა ორივე პოემის ავტორად. მაგრამ, არისტარქოსის აზრით, „ოდისეა“ ჰომეროსმა დასწერა სიბერეში, ხოლო „ილიადა“ — ახალგაზრდობაში და ამით აიხსნება მათ შორის არსებული სხვაობაო.

ამას იქით ანტიკური სამყარო ჰომეროსის საკითხში არ წასულა.

აღორძინების ხანაში ჰომეროსზე საერთოდ იგივე შეხედულება იყო გაბატონებული: მას თვლიდნენ ისტორიულ პიროვნებად, „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორად.

მაგრამ XVII საუკ.-ში პირველად გაისმა სკეპტიკური ხმები. ფრანგი აბატი დ'ობინიაკი, ხოლო XVIII საუკ.-ში იტალიელი სოციოლოგი ვიკო ექვემდებარება გამოსთქვამენ იმ საკითხის გამო, შეიძლება თუ არა „ილიადა“ და „ოდისეა“ ინდივიდუალურ შემომქმედს მიეწეროს.

XVIII ს. მეორე ნახევარში გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰერდერმა გამოსთქვა აზრი — საჭიროა გაიმიჯნოს „სასაღზო“ პოეზია „ხელოვნური“ პოეზიისგანო.

ჰერდერის თვალსაზრისი ჰომეროსის მიმართ განავითარა ფრიდრიხ აეგუსტ ვოლფმა, რომელმაც 1795 წ. გამოსცა თავისი „Prolegomena ad Homerum“, სადაც მან განავითარა იმ კოლექტიური წერილების თეორია, რომელიც საფუძველად უძველეს ილიადასს“ და „ოდისეას“ შექმნას. ვოლფი თავის აზრს ასაბუთებდა მთელი რიგი მოსაზრებებით. ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ჰომეროსის ეპოქაში მწერლობა არ არსებობდა, ხოლო თუ იგი მაინც იყო, იყო იმდენად არასრულყოფილი სახით, რომ შეუძლებელი დაეუშვათ მისი პოემების დაწერაო.

ამიტომ უნდა უკუგდებულ იქნას აზრი ეპოსის ერთად-ერთი შემომქმედის შესახებ: რაკი არ შეიძლება პოემების ჩაწერა, მით უფრო შეუძლებელი იქნებოდა ზეპირად ამ უშველებელი მასალის შეთხზვა, რომელიც ათიათასობით შეიცავს ტაეებს, ლექსებს.

ვოლფის შრომის დადებითი მხარე მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ თავმოყრილია ცალ-ცალკე საგმირო ამბები, რომელნიც წესრიგში მოიყვანეს ათენში პისისტრატეს დროს (ძვ. წ. VI ს.). ეს საგმირო ამბები წინა საუკუნეებში გამოთქვეს ლექსად უსახელო პროფესიონალმა-მომღერლებმა (რაფსოდებმა). შექმნის პროცესში საგმირო ამბები ჯგუფებად ერთიანდებოდა. ამგვარად ნელნელა შეიქმნა საგმირო ამბავთა ორი ციკლი: ერთი ტროას დანგრევასთან დაკავშირებული, მეორე კი ოდისეის ტროიდან დაბრუნებასთან. საბოლოოდ ეს ორივე პოემა დამუშავდა პისისტრატეს დროს.

ვოლფს ჰომეროსი ისტორიულ პიროვნებად მიაჩნდა. ის მარტო არ თვლიდა ჰომეროსს მთლიანად პოემების ავტორად. მისი აზრით, ჰომეროსი იყო ცალკეულ სიმღერათა გენიალური შემომქმედი და მომღერალთა რომელიმე სკოლის მეთაური.

აი ვოლფის აზრები, რომელნიც ბევრ რამეში დღემდე არაა შერყეული, თუმცა მის თეორიაში შემდგომ შეტანილ იქმნა თვალსაჩინო დაზუსტებანი.

XIX საუკ.-ში ბურჟუაზიული მეცნიერების შეხედულება, თვალსაზრისი ჰომეროსის საკითხზე გაიყო. გაჩნდა ორი სკოლა. ერთი სკოლა — ვოლფელებისა აღიარებდა ეპოსის შექმნის კოლექტიური პროცესის აზრს და ამით ხაზს უსვამდა ჰომეროსის პოემების ხალხურ ხასიათს. მეორე სკოლა, ეგრეთწოდებულ „უნიტარიების“ სკოლა (ნაწარმოებია ლათინური სიტყვისაგან *unus*, რაც ნიშნავს ერთს), თვლიდა რა ჰომეროსს ისტორიულ პიროვნებად, ხაზს უსვამდა პოემების ინდივიდუალური ავტორობის აზრს.

XIX ს. 30-იან წლებში ვოლფელები თავის მხრივაც ორ სკოლად დაიყვნენ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად როგორ უნდა წარმოედგინათ ჰომეროსის ეპოსის ჩამოყალიბების პროცესი. ერთი მიმდინარეობა, რომელიც ცნობილია „მცირე სიმღერათა თეორიის“ სახელით (ამ თეორიის დამაარსებელი თუ შემქნელი არის 30-იან წლების გერმანელი მეცნიერი ლახმანი), ამტკიცებდა, რომ ჰომეროსი არის მხოლოდ უსახელო მომღერლების უპიროვნო სახე და სხვა არაფერი, ხოლო „ილიადა“ და „ოდისეა“ შესდგება მექანიკურად დაკავშირებულ პატარ-პატარა სიმღერებისგანო. სხვათა შორის საგულისხმეოა, რომ ნ. ი. მარი ლინგვისტურ ანალიზზე დამყარებით „ჰომეროსის“ სახელს თარგმნის სიტყვა „მომღერალით“ და ამით ისიც ამ სახელს ზედსართად სახელად აღიარებს.

მეორე მიმდინარეობამ, 30-იანი წლების გერმანელ მეცნიერის ჰერმანის ბეთაურობით, წამოაყენა მარცვლის თეორია. ამ უმად ეს თეორია გაბატონებულად ითვლება. ჰერმანი და მისი მიმდევრები აღიარებენ, რომ ლახმანის

მცირე სიმღერათა თეორია ხსნის და განმარტავს ჰომეროსის პოემებში არსებულ წინააღმდეგობებს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ ამ თეორიის დახმარებით შეუძლებელია მთლიანობის იმ ელემენტების ახსნა, რომელნიც არის ორივე პოემაში. მაგალითად, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ „ილიადასაც“ და „ოდისეასაც“ ორივეს აქვთ თავთავიანთი მთლიანი სიუჟეტები, როგორღა შეიძლებოდა ეს სიუჟეტი წარმოქმნილიყო ცალკე სიმღერათა მექანიკური გაერთიანებიდან? ამიტომაც, ამტკიცებს მარცვლის თეორია, თვითნებური პოემის ცენტრში ძვეს ძირითადი სიმღერის სახით „მარცვალი“, ხოლო ამ ძირითად სიუჟეტზე საუკუნეთა განმავლობაში ეფინებოდა მთელი რიგი სხვა თქმულებანი. ხანდახან ეს თქმულებები ძირითად სიუჟეტს ორგანიზულად უკავშირდებოდნენ, ხან კი წმინდა მექანიკურად ეფინებოდნენ ზედ და ამით აიხსნება ის წინააღმდეგობანი, რომელნიც ჰომეროსის პოემებში გვხვდება.

მარცვლის თეორია, რომელიც შემდეგ განავითარეს გროტმა, ფიკმა, რობერტმა და სხვებმა, ძირითადად სწორი თეორიად უნდა ჩაირველოს.

შეუდგეთ ახლა იმ არგუმენტების უფრო დაწვრილებით გარჩევას, რომელთაც აყენებენ როგორც უნიტარიები, ისე ვოლფელები.

რა საბუთებს აყენებენ უნიტარიები, რომელთა გავლენა ბუჩუაზიულ მეცნიერებაში, აქვე ვიტყვით, ბოლო ხანებში გაძლიერდა? ისინი ამტკიცებენ, რომ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ არის მთელი რიგი ისეთი მომენტები, რომელთა ახსნა შეუძლებელი იქნება სხვაფრივ, თუ არ დაუშვით ერთპიროვნული მთხზველის არსებობა. ერთ პოემასაც და მეორესაც აქვს გარკვეული მთლიანი სიუჟეტი. ერთს პოემასაც და მეორეშიც ჩვენ გვხვდება რთული სახეები და პოეტურ ხერხების განვითარებული სისტემა: მეტაფორები, ჰიპერბოლები, შედარებანი. პოემათა ენა ერთნაირია. ყოველივე ეს, უნიტარიების აზრით, ლაპარაკობს პოემათა ხელოვნურობისა და მთლიანობის სასარგებლოდ.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მთლიანობისა და ხელოვნურობის ელემენტები, რასაც ხაზს უსვამენ უნიტარიები, ჰომეროსის ეპოსში არის. მაგრამ არა ნაკლებ ძალუმად გამოსჩანს საწინააღმდეგო მომენტებიც. ასე მაგალითად, რამდენჯერმე თხრობა წყდება და მერე ისე, რომ მას კვლავ აღარ უბრუნდებიან; არის შემთხვევები, როცა მომდევნო თხრობაში ავიწყდებათ ის, რაც წინა თხრობაში იყო ნათქვამი, ამის კლასიკურ მაგალითს ვხედავთ „ილიადას“ მე-5 და მე-13 სიმღერებში. მე-5 სიმღერაში გმირი პილემენე მოკლულია, ხოლო მე-13 სიმღერაში ის ისე ჩანს, თითქოს არასდროს არ მომკვდარიყო. ასეთ წინააღმდეგობათა მაგალითების მოყვანა ბევრისა შეიძლებოდა. მათი ახსნა გაჭირდება, თუ დაუშვებთ, რომ ეპოსის ან, უკიდურეს შემთხვევაში, „ილიადის“ ავტორი ერთი პირი იყო. გარდა ამისა „ოდისეა“ „ილიადაზე“ ახალგაზრდაა. ამავე დროს ორივე პოემაში შეიძლება ადვილად მოინახოს ისეთი დანაფენები, რომელნიც სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნის. ამიტომაც ვოლფის თეორია, მეტად რე მისი ის სახესხვაობა, რომელსაც წარმოადგენს მარცვლის თეორია, უფრო დამაკმაყოფილებლად ხსნის ჰომეროსის ეპოსის ხასიათსაც და მისი წარმოშობას პროტესსაც. რაც შეეხება ხელოვნურობის ელემენტებს, რომელნიც ჰომეროსს

უღაოდ მოეპოვება, მათი ახსნა შეიძლება პოემათა უფრო გვიანდელი დამუშავებით.

მეტნიერების თანამედროვე დონეზე მდგომთ ეპოსის შექმნის პროცესს უნდა წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ამგვარად. მისი ძირითადი ბირთვი (მეტადრე უფრო ძველი „ილიადის“ ბირთვი) შესდგა მეორე ათასეულ წელთა დასასრულსავე მიკენის გვიანდელ თქმულებებისგან, რომელნიც გროვდებოდა სხვადასხვა გადმოცემათა ირგვლივ, მათ შორის ტროას გარემოცვის გადმოცემის ირგვლივ (ტროას სახელია ილიონი, აქედანაა წარმოებული „ილიადაც“). ეს გადმოცემა, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ კიდევ, ჩანს, ასახავდა რეალურ ისტორიულ ფაქტს.

მაგრამ შემოქმედების პროცესი არა ნელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიაც. პირველი ათასეული წლების დასაწყისში გრძელდება გაცხოველებული ხალხური შემოქმედება და მიმდინარეობს პროფესიონალური მომღერლების (რაფსოდების) მიერ ცალკეულ საგმირო ამბების გაფორმება. ესეთი მომღერლის ტიპი მოცემულია „ოდისეაში“ (დემოდოკე). ეს რაფსოდები მოგზაურობდნენ ერთი არისტოკრატიული სახლიდან მეორეში და წარჩინებულთა ნაღმებზე მღეროდნენ თავის მიერ გამოთქმულ საგმირო ამბებს. ალბათ ყოველ ქალაქს ჰქონდა თავისი მომღერლების სკოლა და ყოველ ქალაქში ამუშავებდნენ პოემათა რომელიმე ციკლს. შესაძლებელია, რომ თებში, მაგალითად, ამუშავებდნენ „თებაიდას“, მცირე აზიაში — „ილიადას“ და სხვ.

რომელ სკოლაშიაც არ უნდა წარმოებულაყო ეპიკური პოემების შექმნა, უველგან პოემის შექმნის პროცესი იყო სიტყვიერი, ზეპირი. ჩვენ ვიცით რაფსოდების მშვენიერი მეხსიერება (ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საგმირო ამბების ჩვენებურ ჩრდილოელ „მთქმელების“ მიხედვით), ეუშვებთ იმას, რომ თვითეული სკოლა ამუშავებდა თქმულების რომელიმე ერთს ციკლს და ამიტომ შეიძლება ისიც ვაგიგოთ და ავხსნათ, თუ ეს რთული და მდიდარი მასალა რატომ და როგორ შერჩა ხანგრძლივად ცალკე მომღერლების მეხსიერებაში

უფრო გვიან — VII ან VI საუკუნეებში — ბერძნულ ქალაქებში ჩასწერეს ცალკე საგმირო ამბავთა ციკლები. ჩაწერა მოხდა ათენში, რომელიც ამ დროისთვის უკვე წარმოადგენდა ერთ-ერთ უფრო დაწინაურებულ ბერძნულ ცენტრს. აქ პისისტრატეს დროს ჩასწერეს და რედაქციაც გაუკეთეს „ილიადას“ და „ოდისეას“. მაგრამ არა გვაქვს არავითარი საბუთი იმისი, რომ ვიფიქროთ, თითქოს პოემათა ტექსტის ალექსანდრიული რედაქცია, ძვ. წ. მეორე საუკუნის დროისა, საესებით ემთხვევა და შეესაბამება პისისტრატეს დროინდელ ტექსტს, რადგანაც ჰომეროსის დამუშავება-გადამუშავება პისისტრატეს ეპოქის შემდეგაც გრძელდებოდა. ის ტექსტი, რომელიც ითვლება კანონიკებრ დადგენილად, ჩამოყალიბდა ალექსანდრიულ ეპოქაში, არა უადრეს ძვ. წ. მეორე საუკუნისა, და ამ სახით უკვე მოაღწია ჩვენამდე.

თუმცა „ოდისეა“ საერთოდ ყალიბდებოდა იმავე გზით, როგორც „ილიადაც“, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ძირითადი ბირთვი რამოდენიმედ უფრო გვი-

ან ჩამოყალიბდა. უპირველეს ყოვლისა, „ოდისეა“ უფროა შეწყობილი, ვიდრე „ილიადა“. აქ ნაკლებადაა წინააღმდეგობანი და ცალკე ნაწილები უფრო უკეთესად არის ერთი მეორეზე „მორგებული“. თითონ ენასაც „ოდისეისას“ უფრო მეტი კვალი აქვს ხელოვნურობისა და იგი უფრო განვითარებულია. გარდა ამისა შინაარსითაც „ოდისეა“ უფრო მომწიფებულ საზოგადოებაზე მიგვიტოთებს, ვიდრე არის „ილიადაში“ ასახული საზოგადოება.

„ოდისეა“ ადასტურებს ბერძნების გეოგრაფიული ჰორიზონტის გაფართოვებას. „ილიადაში“ არ იხსენიება ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი ნაწილი, „ოდისეაში“ კი უკვე სიცილიაზეა ლაპარაკი. სიცილიას კი ბერძნები გაეცნენ მარტო VIII საუკ.-ში. „ოდისეაში“ ჩვენ ვხვდებით ეპარ-პროფესიონალების ხსენებას, რომელნიც „ილიადაში“ სრულებით არ არიან. „ოდისეაში“ „ილიადასთან“ შედარებით უფრო მეტი როლი აქვს მიკუთვნებული რკინას. მართალია, ამ ლითონის ხმარებას ორივე პოემაში ვხვდავთ, მაგრამ მაშინ როდესაც „ილიადაში“ რკინა ძალიან იშვიათად იხსენიება, „ოდისეაში“ იმ ადგილთა რიცხვი, სადაც იგია მოხსენებული, დაახლოვებით სამნახევარჯერ უფრო მეტია.

ბოლოს, „ოდისეაში“ ჩვენ ვხვდავთ გაცილებით უფრო განვითარებულ მონობას, ვიდრე „ილიადაში“. მართალია, არც „ოდისეაშია“ მონობა ჯერ კიდევ გაბატონებული ფორმა, მაინც ყოველ შემთხვევაში იქ იგი გაცილებით უფრო მეტ როლს თამაშობს, ვიდრე „ილიადაში“.

რამდენად-ღა შეიძლება ჰომეროსის ეპოსი ჩაითვალოს ისტორიულ წყაროდ? მარტო მაშინ, როცა ამ კითხვაზე გავცემთ პასუხს, შევძლებთ შეუდგეთ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოკვლევას, რომელთაც თავისი ასახულება ჰპოვეს „ილიადასა“ და „ოდისეაში“:

როგორც ზემოთვე იყო ხსენებული, შეიძლება დავუშვათ, რომ „ილიადას“ საფუძვლად უძველეს მიკენელთა „ფედერაციის“ მიერ ტროას განადგურების ისტორიული ფაქტი. ტროას არსებობა არქეოლოგიურად დადგენილია. დადგენილია მიკენის მეექვსე ფენის არსებობა, არქეოლოგიურად დადგენილია ქალაქის დანგრევის ფაქტი.

ამას თუ იმასაც დავურთავთ, რაც ხეტის დოკუმენტებში ამოიკითხეს ფორემა და ვეიდნერმა, „ილიადას“ „ისტორიულობა“ უფრო მეტად გაიზრდება. მაგრამ, რასაკვირველია, ამაში როდია ეპოსის, როგორც საისტორიო წყაროს მთავარი ღირებულება. თუ კი „ილიადაში“ აისახა კიდევ ზოგიერთი ისტორიული ფაქტი და სახელი, ყოველივე ესეც იმდენადაა შემთხვევითი ხასიათისა და იმდენადაა ლეგენდით დამახინჯებულ-გადასხვაფერებული, რომ სრულებით შეუძლებელი საქმეა ამ მხარეს დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნოს. „ოდისეას“ მიმართ ხომ ამ მხრივ უფრო უარესი მდგომარეობაა. აქ ისტორიულ ფაქტებს, როგორც ასეთებს, ჩვენ სრულებით ვერ ვხვდავთ. სიუჟეტი და ოდისეას ყველა თავგადასავალი ისეა ფანტასტიკურად წარმოდგენილი, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება აქ რაიმე რეალური ამბების ასახვაზე.

ჰომეროსის ეპოსის მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი წარმოადგენს საისტორიო წყაროს გარკვეული ეპოქის ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა დახასიათებისათვის.

რომელ ეპოქას-ღა შეიძლება მივუყენოთ ჰომეროსის ეპოსი? !

მისი უძველესი ბირთვი, ექვს გარეშეა, ეკუთვნის მიკენის გვიანდელი პერიოდის ბოლოს, ე. ი. ძვ. წ. XII-XI საუკუნეთა ეპოქას. ეს შეიძლება დამტკიცდეს „ილიადის“ სიუჟეტით, აქ შეხვედრილ სახელებით, ტროას აღწერილობით, არისტოკრატის „სასახლეთა“ („ოდისეაში“ ალკინოეს სასახლე) წარმონახვით, არქიტექტურული დეტალების აღწერილობით, ლითონის ტექნიკისა და ლითონის ნახელავის ხასიათით („ილიადაში“ აქილეესის ფარის მომზადება) და მისთანათი.

ეს მასალა უდაოდ მოწმობს იმას, რომ ეპოსის უძველესი ფენები ისტორიულად სწორედ (თუ გამოვიციხებით მხატვრულ გადაჭარბებათ), ისტორიულად მართებულად ასახავენ გვიანდელ-მიკენურ ყოფა-ცხოვრებას.

მეორე მხრივ, მთელი რიგი მონაცემები იმას ლაპარაკობენ, რომ საგმირო ამბების უაღრესად ინტენსიური შემოქმედება ემთხვევა უმთავრესად X, IX და VIII საუკუნეებს, როცა ხდება ძველი მიკენური საგმირო ამბავთა მასალის გაფორმება. ეს შემოქმედება გადაშლილა უმთავრესად მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებში, რომელნიც ამ ხანაში ეკონომიურად უფრო განვითარებული და უფრო კულტურული ქალაქები იყვნენ. ამას უმთავრესად ის გარემოება ადასტურებს, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ შედგენილია იონიურ დიალექტზე. მასასადამე, ეპოსის საშუალო ქრონოლოგიური ფენები ასახავენ X-VIII საუკუნეების მცირე აზიის სოციალურ გარემოს.

დასასრულ, ჰომეროსს აქვს ძალიან „ახალგაზრდა“ ადგილებიც. ასეთია, მაგალითად, „ილიადის“ მეორე სიმღერაში ეგრეთწოდებული „გემების კატალოგი“, ე. ი. სია იმ ბერძნულ სახელმწიფოებისა, რომელთაც ტროასკენ თავიანთი გემები გაგზავნეს; ეს სია თუ ნუსხა აშკარად გვიანდელი დროისა და ხასიათისაა. უცილობელი ცნობები იძულებულსა გვყოფენ იგი მიწაკუთვნოთ VIII საუკუნეს და იქნებ ნაწილობრივად VI საუკუნე დასაწყისსაც. ესეც კია, ასეთი გვიანდელი ადგილი ბევრი არაა.

ამრიგად, ჰომეროსის ეპოსის ძირითადი მასა ახასიათებს უმთავრესად პირველ ათასეულ წელთა დასაწყისის ეპოქას და ნაწილობრივად მეორე ათასეულ წლების ბოლოსას.

რალას წარმოადგენს თავისთავად ჰომეროსის საზოგადოება? როგორია ის ძირითადი ნიშნები ყოფა-ცხოვრებისა, ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებისა, რომელნიც ასახულია „ილიადასა“ და „ოდისეაში“?

ესაა ნატურალურ-კარჩაკეტილი საზოგადოება. ყოველივე, რაც კი მეურნეობაში სჭირდება ადამიანს, მზადდება საკუთარი ძალ-ღონით. „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ჩვენ ვხვდებით „მეფეთა“ პრიამესა და ალკინოეს მეურნეობის აღწერილობას. ესაა კარჩაკეტილი მეურნეობანი, სადაც მხეველები (მონა-ქალები) და მონები, ხანდახან თითონ ბატონიც კი იმზადებენ ყოველივეს მათთვის. საჭიროს. მეფეებს აქვთ საფეიქრო სახელოსნოებიც, ბაღებიც, ბოსტნებიც, და პირველი საჭიროების არც ერთი საგანი მათ არ მოსდით სხვა მხრიდან, სხვისგან. ვაჭრობა არსებობს, მაგრამ ვაჭრობენ მარტო ფუფუნების ნიეთებით.

„ოდისეაში“, მაგალითად, მოთხრობილია, თუ თითონ მეფე ოდისევსმა როგორ დაიმზადა თავისთვის საწოლი ან მეფის ასული ნავსიკა, ალკინოეს ქალი, მხველებითურთ როგორ რეცხს სარეცხს. ასეთი პატრიარქალობა ხანს უსვამს მთელი ჰომეროსისეული საზოგადოების ნატურალურ კარჩაკეტილ ხასიათს.

ამასთანაა დაკავშირებული ხელოსნობის სუსტი დიფერენციაცია. მართალია, ჰომეროსი იხსენიებს პროფესიონალ-ხელოსნებს. ისეთი შემთხვევებიც კი გვხვდება, როცა ხელოსნის ნახელაფი მზადდება გასასყიდად, მაგრამ ეს გამო-ნაკლისია. ხელოსნობა გასყიდვისათვის ჩვეულებრივად არ არსებობს, არ არის. ხელოსნებიც ძალიან ცოტანი არიან. ჩვენ ვხვდებით მქედლებს, სარაჯებს, დურგლებს, მეჭურჭლეებს, ოქრომქედლებს და ამავე კატეგორიაში არიან მოქცეული ექიმებიც და გზირებიც. მარტო ისიც კი, რომ ეს უკანასკნელნი ხელოსნებთან არიან გათანაბრებულნი, უკვე თავისთავად საკმაოდ ახასიათებს ხელოსნობის სუსტ დიფერენციაციას. მაგრამ თითონ ხელოსნებიც კი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, მაგალითად, ოქრომქედლები მოგზაური ხელოსნები არიან. ჩვეულებრივ ისინი მუშაობენ შემკვეთელის მასალით და შემკვეთელისავე სახლში. ესეც ახასიათებს ხელოსნობის სუსტ დიფერენციაციას.

სახელოსნო ტექნიკა დაბალ დონეზე დგას. სახელოსნო იარაღი ცოტაა. ისიც ნაკლებად არის დიფერენცირებული. ძირითად მასალას წარმოადგენს ბრინჯაო. რკინა შედარებით იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით „ილიადაში“. ამ უკანასკნელში იგი უფრო ფუფუნების საგნად გვევლინება. „ოდისეაში“ რკინა უფრო ხშირად გვხვდება, მაგრამ იქაც ლითონის ხსენებათა დიდი უმრავლესობა სწორედ ბრინჯაოზე მოდის. („ილიადაში“ რკინის თითო ხსენებაზე მოდის ბრინჯაოს 14 ხსენება, „ოდისეაში“ — 4).

ჰომეროსისეული მეურნეობის ნატურალურ-კარჩაკეტილ ხასიათთან დაკავშირებულია ვაჭრობის სუსტი განვითარებაც. ჰომეროსი არ იხსენიებს ფულის არსებობას. მართალია, ერთ-ორ ადგილას არის ტალანტების ხსენება. მაგრამ აქ, აშკარაა, თავს იჩენს აღმოსავლეთის გავლენა. ვაჭრობა არის წმინდა გაცვლითი: მონებს სცვლიან სპილენძის. ნახელაფებზე, საქონელზე, ღვინოს—რკინაზე, მონებზე, მაგრამ მუდმივი ექვივალენტი, ღირებულება-ფასეულობის საერთო საზომი ჰომეროსისეულ საზოგადოებას ჯერ არ შეუქმუშავებია. ვაჭარი-პროფესიონალები თითქმის არ არიან. ვაჭრებს ძალიან ხშირად იხსენიებენ „ოდისეაშიც“ კი, „ილიადაზე“. ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ჩვეულებრივ გვხვდება უცხოელი ვაჭრები (ფინიკიელები). ბერძენი ვაჭრები თითქმის არ არიან; „ოდისეაში“ მარტო ერთგან გვხვდება ბერძენ-ვაჭრების ხსენება. როცა ჰომეროსი ლაპარაკობს ვაჭრობაზე, მას აქ ჩვეულებრივად ეწევა არისტოკრატია, რომელიც ვაჭრობს ომში მონაპოვარი ნადავლით. საერთოდ ჰომეროსისთვის ომი, დარბევა და ვაჭრობა ერთი მეორისგან განუყოფელი-რამაა. პროფესიონალურ-ვაჭრებს შორისაც კი არ შეიძლება საზღვრის დადება ვაჭრობასა და მეკობრეობას შორის.

ევმეოსი, ოდისევსის მონა, გეიაძობს, თუ როგორ ჩაეარდა ის მონობაში. ოდესღაც ის მეფის შვილი იყო. მათთან კუნძულზე მოვიდნენ ფინიკიელი ვაჭრები. როცა მთელი საქონელი გაჰყიდეს, მათ წასვლისას მხევლის დახმარებით იგი შეიპყრეს და მერე მონად გაჰყიდეს. ამგვარად, პროფესიონალი ვაჭრებიც კი, თუ შემთხვევით მიეცათ, არ ერიდებიან და არ ყოყმანობენ ხელოვნად იგდონ ის. რაც ემარჯვებათ, უარს არ ამბობენ ძარცვაზე.

ჰომეროსისეული მეურნეობის ძირითად სახეს წარმოადგენს მიწათმოქმედება. განსაკუთრებით ხშირად იხსენიება იგი „ოდისეაში“, სადაც მას საკმაოდ განვითარებული ხასიათი აქვს. გვხვდება ნიადაგისთვის სასუქის ხმარებაც კი.

ძალიან სადაოდ აქვს ჰომეროსს მოცემული სოფლის თემის საკითხი. პირდაპირი მითითება ამ სოფლის თემზე არაა არც „ილიადაში“, არც „ოდისეაში“ მაგრამ ზოგიერთი ტერმინი ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჰომეროსისეულ საზოგადოებაში იყო რაღაც ელემენტები სათემო ურთიერთობისა, ასე, მაგალითად, იქ გვხვდება ნაკვეთის ცნება. მის აღსანიშნავად ჰომეროსი ხმარობს სიტყვა „კლეროს“-ს, რაც ნიშნავს, არსებითად რომ ითქვას, „წილს, ხვედრს“ ორთონ ამ სიტყვის ხმარება მიწის ნაკვეთის აღსანიშნავად, ექვს გარეშეა, ლაპარაკობს მის თემობრივ წარმოშობაზე.

ამასთან ერთად იხმარება კიდევ ტერმინი „ტემენოს“, რაც აგრეთვე „ნაკვეთს“ ნიშნავს. მაგრამ სიტყვა „ტემენოს“-ის ქვეშ (ბერძნულ სიტყვა „ტემნო“-დანაა წარმოებული, რაც ნიშნავს კრას, ჩამოკრას, ჩამოთლას) უფრო უიდა ვიგულისხმობთ „ჩამოკრილი“, „ჩამოთლილი“ ნაკვეთი, ნაკვეთი, რომელიც პირადად საკუთრებაში გადავიდა, მაშინ როდესაც ცნება „კლეროსი“ სათემო საკუთრების ელემენტს შეიცავს.

ამ ორი ტერმინის ხმარება მით უფროა მაჩვენებელი, რომ ჰომეროსი იხსენიებს „გაუყოფელ მიწებს“. ამ მიწებიდან ცალკე პირებს ეძლევათ ნაკვეთები. აშკარაა, ესაა სათემო მიწები, სადაც ჩვეულებრივ პირობებში საქონელს აძოვებენ.

ამგვარად, თუმცა ჰომეროსისეული საზოგადოება უკვე იცნობს მიწის ინდივიდუალურ საკუთრებას, მაინც მასთან ერთად განაგრძობს არსებობას სოფლის თემის ძლიერი ელემენტებიც. მერე თითონ ამ მიწის ინდივიდუალურ საკუთრებასაც ჰომეროსის თხზულებებში თავისებური ხასიათი აქვს. იგი არაა გზით არ შეიძლება გავიგოთ ბურჟუაზიული კერძო საკუთრების აზრით მისი განუსაზღვრელი გასხვისების უფლებითურთ. ჰომეროსისეული საკუთრება არის საოჯახო საკუთრება და, როგორც ასეთი, იგი უქვევლია მთელ რიგ შეზღუდვებს ემორჩილება. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ საბერძნეთში ჯერ ჰომეროსის შემდგომ დროინდელ ეპოქაშივე არსებობდა მიწის საკუთრებაზე განკარგულების უფლების სხვადასხვანაირი შეზღუდვა. ოჯახის მესვეურს, მაგალითად, უფლება არ ჰქონდა თავისი მიწა ვისთვისაც ესურვებოდა ეანდერძა: იგი უნდა ოჯახში დარჩენილიყო ან, უკიდურეს შემთხვევაში, გვარს უნდა

დარჩენოდა. ათენში მარტო სოლონის რეფორმამ 594 წ. შემოიღო ანდერძის თავისუფლება, ისიც მაშინ, თუ ანდერძის დამდებს შვილები არ გააჩნდა.

ჰომეროსის ოჯახი ჩვეულებრივად გვევლინება ეგრეთწოდებულ „მცირე“ მონოგამიური ოჯახის სახით. მაგრამ არის მითითება პოლიგამიური ტიპის „დიდი“ პატრიარქალური ოჯახის არსებობაზედაც. ასეთი დიდი პატრიარქალური ოჯახის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ტროას „მეფის“ პრიამეს ოჯახი, პრიამე ცხოვრობს ერთი საერთო მეურნეობით თავისი ორმოცდაათი დაცოლშვილებული ვაჟით და თორმეტი გათხოვილი ქალით. მას ჰყავს რამდენიმე ცოლი და საყვარელი ანუ ხასა.

ჰომეროსისეულ საზოგადოებაში არსებობს გვაროვნული წყობილების ძლიერი ელემენტები. არის მატრიარქატის ზოგიერთი გადანაშთიე კი. ეს ჩანს იქიდან, რომ აღიარებულია ნათესაობა დედის ხაზით, როგორც ნათესაობის უაღრესად მნიშვნელოვანი ფორმა. ჰომეროსი არაერთხელ ამბობს, რომ ერთი დედის შვილები ყველაზე უფრო მახლობელი ნათესავეები არიანო.

ჰომეროსთან ჩვენ ვხვდებით აგრეთვე სისხლის აღებასაც და გვაროვნულ ორგანიზაციებსაც; ესენია: გეარები, ფრატრიები (გაერთიანებული გეარები) და ფილეები (ტომები). გვაროვნული ორგანიზაციები ყველაზე უფრო ხშირად იხსენიება ომთან დაკავშირებით. ჰომეროსისეული ჯარი ხანდახან სდგება ფრატრიებისა და ფილეების მიხედვით. გარდა ამისა მათ (ფრატრიებსა და ფილეებს) აქვთ კიდევ სარწმუნოებრივი ხასიათიც.

როგორია ჰომეროსისეული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა? მას უსაფუძვლოდ კი არ ეძახიან არისტოკრატიულ საზოგადოებას. მართლაც, „ილიადასა“ და „ოდისეაში“ პირველ რიგში დგას არისტოკრატია. უბრალო ხალხი, საზოგადოების დაბალი ფენები თითქმის არა ჩანან.

გასაგებია, თუ ჰომეროსის პოემებში რატომ არაა ასახული დაბალი ფენების ყოფა-ცხოვრება. ესაა გამოწვეული „სოციალური შეკვეთით“, რომელიც პოეტსა და მომღერალს მისცა იმ ეპოქის ბერძნულმა საზოგადოებამ, როცა ეს ეპოსი იქმნებოდა. იგი ითხოვებოდა წარჩინებულთათვის და მათივე ინტერესებისათვის; ამ წარჩინებულთა კრებებსა და ნადიმებზე იმღეროდნენ ხოლმე მას რაფსოდები. ამიტომაც რაფსოდები აღწერდნენ და ქებას უმღერდნენ მარტო მას, რაც ამ წარჩინებულთ აინტერესებდათ, ხოლო დაბალი ფენების ყოფა-ცხოვრება მათ, რასაკვირველია, არ ეინტერესებოდათ.

რას წარმოადგენს ჰომეროსისეული არისტოკრატია? მის აღსანიშნავად ეპოსში ვხვდებით მთელ რიგ ტერმინებს: „საუკეთესონი“, „წინამძღოლნი“ ანუ „ბელადნი“, „მმართველები“, „ბასილევსი“ (ჩვეულებრივად მას თარგმნიან სიტყვა „მეფით“, თუმცა ეს თარგმანი ზუსტი არაა).

ეკონომიური თვალსაზრისით ეს „საუკეთესო“ ხალხი ხშირად იწოდება „მრავალ ნაკვეთიანად“ (პოლიუკლეროი). ხშირად შეიძლება შეგვხვდეს ასეთი თქმა: „მდიდარი ნაკვეთი“, „ფართო მიწისორი“ და სხვ. ზევკორამ აქ უნდა პოეტურ გადაჭარბებას მიეკუთვნოს. როცა პოეტს უხდება მიწის ნაკვეთის რეალური ციფრის მოცემა, მაშინ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს ნაკვეთი არსებითად თურმე არც ისე დიდი ყოფილა. მართალია, აქ საქმეს ის ართულებს, რომ თი-

თონ ტერმინოლოგია ჰომეროსისა არაა გარკვეული და ცხადი, მერე ჰომეროსისეული ეპოქის მიწის ზომაც ჩვენ თითქმის არ ვიცით. მაგრამ იმ კონკრეტულ მითითებათა მიხედვით, რაიც მოიპოვება, შეიძლება დავასკენათ, რომ მაქსიმალური ზომის ნაკვეთი, რომელსაც კი ჰომეროსი იხსენიებს, არ აღემატება რამდენიმე ათეულ ჰექტარს.

როგორცა ჩანს, მიწა კი არ წარმოადგენს ჰომეროსისეულ წარჩინებულთა სიმდიდრის მთავარ საფუძველს, არამედ უმთავრესად მოძრავი ქონება: საქონელი, იარაღი, ძვირფასი ნივთები, მონები. როცა აღწერენ ალკინოეს, ოდისეუსის და სხვა „მეფეების“ სიმდიდრეებს, მაშინ უპირატესად ლაპარაკობენ მათი სადგომ დარბაზების მოწყობილობაზე, საქურქლეებში ძვირფასი ნივთების რაოდენობაზე, საქონლის ჯოგებსა და ფარაზე და სხვ. ეს ბუნებრივია, რადგან ჰომეროსისეული საზოგადოების პრიმიტიული ხასიათი შესაძლებლობას არ აძლევს მსხვილ მიწათმფლობელობას ფრთები გაშალოს. ერთეულთა ხელში მიწის კონცენტრაცია ჯერ შორსაა.

ამასთან დაკავშირებით დგას საკითხი ჰომეროსისეული საზოგადოების უშუალო მწარმოებლისა. ასეთ მწარმოებელს ძირითადად წარმოადგენს წვრილი თავისუფალი მიწათმფლობელი. ჩვენ არავითარი მონაცემი არ მოგვეპოვება (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი კდილობს კიდევ ასეთი მონაცემები მონახოს) იმისი, რომ რაიმე კვალს მივაგნოთ არისტოკრატიისგან გლეხობის ყმურ ან კაბალურ დამოკიდებულებას. მართალია, არის ცალკე ჩამოგდებული სიტყვა-იმის შესახებ, რომ „ქალაქთა“ მცხოვრებლები თავიანთ „უფალთ“ აძლევენ „ძღვენს“, „მდიდარ ხარკს“ და მისთანას. მაგრამ, როგორც ვიცით, ტაციტუსის დროის გერმანელებიც საჩუქრებს სძლეიდნენ ხოლმე თავიანთ წინამძღოლებს. ამასა და ბატონყმურ დამოკიდებულებას შორის ჯერ კიდევ დიდი ზღვარი ძვეს.

მაგრამ საინტერესოა ის, რომ წვრილ თავისუფალ მწარმოებელ გლეხებს შორის ჰომეროსის მიხედვით უკვე არის ერთგვარი დიფერენციაცია. ცნება „პოლიუკლერო“ (მრავალნაკვეთიანებთან) ერთად არის ცნება „აკლეროი“ — „უნაკვეთონი“ — ც.

ეპოსში გვხვდება მოჯამაგირეთა, „თეტების“ ცნებაც. ესენი არსებობის საშუალებებს შოულობენ დაქირავებული შრომით. უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი ალბათ იყვნენ მცირე ნაკვეთის პატრონი უღარიბესი გლეხები, რომელნიც იძულებულნი არიან იმუშაონ თავიანთ უფრო შეძლებული მეზობლების მიწა-წყალზე.

ასლა გადავიდეთ მონობის საკითხზე. როგორც იგი ჰომეროსის პოემებშია წარმოდგენილი. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ „ოდისეაში“ მონები საკმაოდ ხშირად არიან მოხსენებულნი, ყოველ შემთხვევაში უფრო ხშირად, ვიდრე „ილიადაში“. მაგრამ „ოდისეაც“ კი არ იძლევა იმის საკმაოდ საფუძველს, რომ ვამტკიცოთ — ეპოსში მონათმფლობელური საზოგადოება არის ასახული.

ყურადღება რომ მივაქციოთ მონათა რაოდენობას, მაშინ იმ შემთხვევებში, როცა კი ზუსტი ციფრებია მოცემული, ჩვეულებრივ დასახელებულია რგვალი რიცხვი 50. 50 მხევალი (მონა-ქალი) ჰყავდა ალკინოეს, ამდენივე ჰყავს

ოღისევეს, ეს ციფრები ექვებს გვიძრავენ. ხომ არ არის აქ პოეტური დარგვა-
ლება რიცხვისა? ყველა სხვა შემთხვევებში კი ჰომეროსი ლაპარაკობს მარტო
კალკულულ მონებზე.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საქმე ციფრებში როდია. უფრო მნიშვნე-
ლოვანია მეორე საკითხი: რამდენად არიან მონები წარმოებაში გამოყენებულ-
ნი? სანამ მონები შინა მოსამსახურეებს წარმოადგენენ, ხოლო ძირითადი მწარ-
მოებელი არის წვრილი თავისუფალი მიწათმოქმედი,—ჯერ კიდევ ვერ ვიტ-
ყვით, რომ ესაა ნამდვილი წარმოებითი მონობა, ასეთი მონობა ჯერ შორსაა:
შეიძლება კაცმა ილაპარაკოს მარტო პატრიარქალურ მონობაზე, მაგრამ არა
მონათმფლობელური სისტემის შესახებ.

თუ ჰომეროსისეულ საზოგადოებას ჩვენ ამ თვალსაზრისით მიუღდებოთ,
მაშინ იძულებული გავხდებით აღვიაროთ, რომ მონები წარმოებაში შედარე-
ბით ნაკლებად არიან ჩაბმულნი. თუმცა არის იმის ხსენება, რომ მხევლები ქსო-
ვენ, მუშაობენ „წისქვილებში“: მარკვალს ფქვავენ. (უნდა შევნიშნოთ, რომ
ჰომეროსისეულ ეპოქაში არსებობდა მარტო ხელის წისქვილები -- ხელ-
საფქვავეები).

მაგრამ ჩვენ სრულიად არა გვაქვს მითითებანი იმაზე, რომ მონები ან
მხევლები ჩაბმულნი იყვნენ სოფლის მეურნეობაში. ყოველთვის, როცა კი ჰომე-
როსი გვაწვდის მიწათმოქმედებითი სცენების აღწერილობას, მუშა-ხელს წა-
ომოადგენენ არა მონები.

ამრიგად ჰომეროსისეულ საზოგადოებაში მონები წარმოადგენენ უპირა-
ტესად შინამოსამსახურეებს და ჩაბმულნი არიან საოჯახო მეურნეობაში. ამი-
ტომაც არ შეიძლება ლაპარაკი მონათმფლობელური სისტემის შესახებ „ოღი-
სეას“ მიმართაც კი: აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჯერ ისევ პატრიარქალურ მონი-
ბასთან.

ამას ამტკიცებს ბატონებსა და მონებს შორის არსებულ ურთიერთობათა
ზასიათიც. „მეფის ასული“ ნავსიკა მხევლებთან ერთად რეცხავს სარეცხს, ხო-
ლო ამის შემდეგ ბანაობენ, დაიზელენ ტანს ზეთით და ბურთს თამაშობენ.
ასეთი მაგალითების მოყვანა უამრავად შეიძლებოდა. აქედან ჩანს, რომ ჰომე-
როსის დროს ჯერ კიდევ არაა გათხრილი ის უფსკრული, რომელიც განვითა-
რებულ მონათმფლობელურ საზოგადოებაში მოწასა და ბატონს შორის აღი-
მართება.

რაც შეეხება პოლიტიკურ წესწყობილებას (ჰომეროსისეული საზოგადოე-
ბის მიმართ ეს ტერმინი შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ პირობითად), აქაც ჩვენ
ხელთა გვაქვს ის სისტემა, რომელსაც მარქსი და ენგელსი უწოდებენ „სამხედ-
რო დემოკრატია“.

„ილიადასა“ და „ოღისეაში“ გამოყვანილია სახალხო კრება. მაგრამ მისი
როლი თვალსაჩინოდ ნაკლებ მნიშვნელოვანია. მართალია, „ილიადაში“ მას
უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „ოღისეაში“, — ამჟამაა იმიტომ, რომ
იქ სამხედრო მდგომარეობაა და სახალხო კრებაც, როგორც მხედართა კრება.
ერთგვარ როლს თამაშობს. მერე კიდევ „ილიადა“, როგორც უკვე ვნახეთ, უფ-
რო დიდია ხოვანებით „ოღისეაზე“, და გვაროვნული დემოკრატის ელემენ-

ტემატ აქ ნაკლები დაშლა განიცადეს. „ოდისეაში“ კი სახალხო კრება სრულიად ათვალწუნებული და მივიწყებულია უკან მიგდებულსავეთ. 20 წლის განმავლობაში, რომელთაგან ოდისეესმა ათი წელიწადი გაატარა ტროსთახ, ათი წელიწადი კი აქა-იქ მოგზაურობაში, სახალხო კრება კუნძულ იტაკაზე არც ერთხელ არ შეკრებილა, „ილიადაშიც“ კი, სადაც სახალხო კრება ჯერ ასე იკრიბება, მისი ავტორიტეტი დიდი არ არის. ამის ნათელ სურათს წარმოადგენს სახალხო კრების აღწერილობა „ილიადას“ მეორე სიმღერაში, სადაც ოდისეესი კრების ჩვეულებრივ წევრებს კვერთხითა სცემს.

სამხედრო დემოკრატიის მეორე ელემენტს, ჰომეროსის მიხედვით, წარმოადგენს უხუცესთა საბჭო. თითონ ტერმინი აქ იმას აღნიშნავს, რომ ჩვენ საქმე ვვაქვს გარკვეულ გეოგრაფულ ინსტიტუტთან, — სადაც უნდა შედიოდნენ „უხუცესები“, ე. ი. გვართ მეთაურები. მაგრამ ჰომეროსს ასე არა აქვს, და, არსებითად რომ ითქვას, მისი უხუცესთა საბჭო არის არისტოკრატიების საბჭო, რომელიც იკრიბება ბასილევსთან. აქ შედიან წარჩინებულები — არა მარტო მოხუცი ხალხი, აოამედ ახალგაზრდებიც. საბჭოს აქვს საკმაოდ დიდი უფლებები და ფაქტიურად იგი სწვევტს ყველა უალრესად მნიშვნელოვან საკითხებს.

ამასთან დაკავშირებულია ბასილევსის მდგომარეობის საკითხიც. ეს ტერმინი ჩვეულებრივად ითარგმნება სიტყვა „მეფეთი“. თარგმანი სრულებითაც არაა ზუსტი. რადგანაც სიტყვა მეფე გულისხმობს თვითმპყრობელურ მონარქიულ ხელისუფლებას. რაიც ჰომეროსისეული ეპოქის ბერძენ ბასილევსებს სრულიად არ გააჩნდათ. „ოჯახისა, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაში“ ენგელსს მოჰყავს მარქსის სიტყვები: „ევეროპელი მეცნიერები, რომელნიც უმეტეს წილად ჩამომავლობით არიან კარის ლაქიები, მსახურები, ბასილევსს ჰქმნიან მონარქოსად ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს რესპუბლიკანელი—იანკი მორგანი“ (ფ. ენგელსი, ოჯახის... წარმოშობა, ქართული გამოცემა, 1932 წ. გვ. 122). ბასილევსი ტომის წინამძღოლია. ის, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო წინამძღოლია. მერე არის თემის წარმომადგენელი ღმერთების წინაშე, და, ბოლოს, მსაჯული, მოსამართლე. ეს ინსტიტუტი ჩვენ გვხვდება ყველა ხალხებს შორის გეოგრაფული წყობილების განვითარების გვიანდელ ეტაპზე. ჰქონდა ეს ინსტიტუტი ბერძნებსაც.

მაგრამ ჰომეროსისეული ბასილევსის ძალა-უფლება საკმაოდ ძლიერ არის შეზღუდული. უხუცესთა საბჭო, წარჩინებულთა საბჭო, თითქმის არაფრის წამოწყების ნებას არ აძლევს ბასილევსს, თუ მისი თანხმობა არ იქნა. იმ შემთხვევებში, როცა წარჩინებულნი კმაყოფილნი არ არიან ბასილევსისა, ისინი მას ძალიან აბუჩად იგდებენ. ამრიგად ტომის წინამძღოლის ძველი ძალა-უფლება თავისი არტახებით შებოქილი ჰყავს მზარდ არისტოკრატისა.

ყოველივე იმას, რაც ჩვენ ვთქვით ჰომეროსისეული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ, ერთად რომ თავი მოუყაროთ, საკიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გეოგრაფულ წყობილებასთან სასოფლო თემის სტადიაში. მაგრამ ის უკვე დაშლის პროცესში იმყოფება. საზოგადოებამ, რომელიც წარმოსახულია „ილიადასა“ და „ოდისეა-

ში“, საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ არისტოკრატიული ელემენტების გაძლიერების მიმართულებით, მდიდარ საგვაროვნო ზედაფენის გამოყოფის ხაზით. მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა პროცესის დამთავრება. ამას გვეუბნება წვრილი ინჟინერობის თავისუფალი მდგომარეობა, გვაროვნული არისტოკრატის ელემენტები და სხვა.

უკვეელია, რომ ჰომეროსისეულ საზოგადოებაში კლასების წარმოქმნის პროცესი საკმაოდ წინ წავიდა. უკვე არიან მონები. მართალია, მონობას შენარჩუნებული აქვს პატრიარქალური ხასიათი, მაინც რაც უნდა იყოს მონები უკვე კლასს წარმოადგენენ. მაგრამ შეიძლება კი იმის თქმა, რომ ჰომეროსისეული საზოგადოება უკვე წარმოადგენს კლასობრივ საზოგადოებას ამ სიტყვის ზუსტი გაგებით? რასაკვირველია, არა. კლასობრივი საზოგადოება საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ამიტომ არც სახელმწიფოა ჩამოყალიბებული. სავსებით ზუსტად ასახავს საქმის ამ მდგომარეობას ენგელსი, როცა იგი წერს:

„ამრიგად, საგმირო ეპოქის ბერძნულ საზოგადოებრივ წყობილებაში ჩვენ ვხედავთ მთელი თავისი სიძლიერით გვაროვნულ ორგანიზაციას, მაგრამ ამასთანავე ერთად მისი ნგრევის დასაწყისსაც: მამის უფლებას შვილების მიერ ქონების დამკვიდრებით, რაც ხელს უწყობდა ოჯახში შეძლება-სიმდიდრის დაგროვებას და ოჯახს აძლიერებდა გვარის წინააღმდეგ; ქონებრივი სხეობა გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ წესწყობილებაზე მემკვიდრეობითი (ჩამომავლობითი) აზნაურობისა და მონარქიის პირველ დასაბამთა წარმოქმნის საშუალებით; იქმნებოდა მონობა ჯერ მარტო სამხედრო ტყვეებისა, მაგრამ ეს უკვე თავის მხრივ შესაძლებლად ხდის თვისტომთა მონებად ქცევას და — ასე გასინჯეთ — მონათესავეებისაც კი; წინანდელი ომი ერთი ტომისა მეორე ტომის წინააღმდეგ უკვე გადაგვარდა და იქცევა სისტემატურ მეკობრეობად ხმელეთსა და ზღვაზე საქონლის, მონების და სიმდიდრის ხელში ჩაგდების მიზნით, ომი იქცევა რეგულარულ ხელობად; ერთი სიტყვით ახლა სიმდიდრეს, როგორც უმაღლეს სიკეთეს, ხოტბას ასხამენ და ათაყვანებენ და ბოროტად იყენებენ ძველ გვაროვნულ წესწყობილებას სიმდიდრე-შეძლების ძალმომრეობითი ძარცვის გასამართლებლად. მარტო ერთი-რამ აკლდა — აკლდა დაწესებულება. რომელიც არა თუ მარტო უზრუნველყოფდა კერძო პირების მიერ ახლად შეძენილ შეძლებას გვაროვნული წყობილების კომუნისტურ ტრადიციებისგან, არა მარტო წმინდად და შეუბღალავად გამოაცხადებდა წინათ ათვალწუნებულ კერძო საკუთრებას და ამ წმინდად და შეუბღალავად გამოაცხადებას დასახავდა ყოველგვარი კაცობრივი საზოგადოების უმაღლეს მიზნად, არამედ საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარების ბეჭედსაც კი დაასვამდა საკუთრების შეძენის ახალ ფორმებს, რომელნიც ერთი მეორეზე ვითარდებოდნენ, მაშასადამე, დაადისტურებდა სიმდიდრის დაგროვებასაც, რომელიც განუწყვეტლივ ძლიერდებოდა; აკლდა დაწესებულება, რომელიც სამარადისოდ გახდიდა არა მარტო საზოგადოების კლასებად დაყოფას, ახლა რომ იწყებოდა, არამედ შეძლებული კლასის უფლებასაც შეუძლებელთა ექსპლოატაციისას და პირველთა ბატონობას უკანასკნელებზე.“

და ასეთი დაწესებულებებზე განხილვა. გამოძებნილ იყო სახელმწიფო (იქვე, ქართ. გამოცემა. გვ. 124-126).

ჩვენ უკვე გამოვარკვეით, რომ „ილიადაში“ და „ოდისეაში“ თვალსაჩინოდ ასახულია კრეტე-მიკენის საზოგადოება. ესაა უცილობელი დებულება, რომელსაც მეცნიერებაში არაფერია უარყოფის. მაგრამ ჰომეროსის ეპოსში აისახა უფრო გვიანდელი ეპოქაც, ე. ი. პირველ ათასეულ წელთა პირველი საუკუნეები — X, IX და VIII საუკუნეები. ეს დებულება გამომდინარეობს ყოველივე იმიდან, რაც ჩვენ ვიცით ეპოსის ჩამოყალიბების შესახებ. მთელი რიგი მოსაზრებანი იმის სასარგებლოდ ღაღადებენ, რომ საგმირო ამბავთა შემოქმედების უაღრესად ინტენსიური პროცესი ემთხვევა პირველ ათასეულ წელთა დასაწყისს. მაგრამ საგმირო პოემები, რომელნიც ამ ეპოქაში ითხზებოდა, უმეტეს შემთხვევებში ასახავდა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათ, რაიც ეპოსის შემოქმედებს თავიანთი საკუთარი თვალთა აქონდათ ნანახი. ამიტომაც, თუმცა ამ პოემებს საფუძვლად უძვეეს ჯერ კიდევ ძველი მიკენური ეპოსის ბირთვი, მაგრამ ამ ბირთვზე ზედიზედ ეფენებოდა პოეტების თანამედროვე ეპოქის ანარქიკულობიც. ეპოსის გულუბრყვილო შემოქმედებს არ შეეძლოთ შეგნებულად მოეხდინათ არქაიზაცია თავისი დროისა, ეპოქისა, ე. ი. მათ არ შეეძლოთ შეგნებულად ჩამოეცილებინათ ის, რასაც ისინი თავიანთ გარშემო ხედავდნენ, და სპეციალურად შეეტანათ ეპოსში მარტო ის, რაც მათ იცოდნენ ძველ დროთა შესახებ. როგორ წარმოიშევა ეპიკური შემოქმედება? პოეტი აღწერს გმირებსა და ღმერთებს, ხოლო მათ ყოფა-ცხოვრებას იღებს მის გარშემო არსებულ სინამდვილიდან. ამგვარად, თუ საგმირო ამბავთა შემოქმედება უაღრესი ინტენსივობით მიმდინარეობდა X-VIII საუკუნეებში, მაშინ მას უნდა აესაზა უმთავრესად სწორედ ეს ეპოქა. მაშასადამე, ჰომეროსისეულ შემოქმედებაში თავისი ისახულობა ჰპოვა ძალიან ფართო ეპოქამ, მოკიდებული მინოსის გვიანდელი დროიდან, დაახლოებით XII საუკუნიდან და გათავებული VIII საუკუნით (მისი ჩათვლით).

მეორე მხრივ ჩვენ გამოვარკვეით, რომ ეპოსში წარმოსახული საზოგადოება არის გვიანა-გვიანდელი საზოგადოება მისი დაშლის სტადიისა.

ამ ორ დებულებას შეიძლება მესამეც დაეუმატოთ. ჰომეროსის ეპოსში ჩვენ ვერ ეპოვობთ ვერავითარ განსხვავებას სხვადასხვა ეპოქათა შორის. მეცნიერებაში უამრავი ცდა იყო იმისი, რომ ესა თუ ის ნაწილი ეპოსისა, მისი ესა თუ ის ფენა მიეკუთვნებინათ გარკვეული საუკუნისათვის. მარტო ათასში ერთხელ თუ შეიძლება ითქვას, რომ ამდაამ სიმღერის ესა თუ ეს ლექსები თუ ტაეპები უფრო ძველი წარმოშობისაა, ხოლო ესა და ეს ლექსები VIII საუკუნეზე ხნიერი არააო.

მაშასადამე, ჰომეროსისეული საზოგადოება, თუმცა მისი ცალკე შემადგენელი ნაწილები ძალიან ჰრელია, — მთლიანი საზოგადოებაა, ამიტომაც ის საზოგადოება, რომელიც ჰომეროსის ეპოსშია ასახული, ე. ი. XI-VIII საუკუნთა საზოგადოება, ძირითადად დგას განვითარების ერთსა და იმავე სტადიაზე და თავისი შემადგენლობით ერთნაირია.

აქედან შემდეგი დასკვნები გამოდინარეობს: 1) განვითარების მიკენურსა და ადრეულ-ბერძნულ სტადიებს შორის არაა მკვეთრი სხვაობა—არც ეთნოური, არც კულტურული; 2) გვიანი-მიკენური საზოგადოება ადრეული-ბერძნულ საზოგადოებასავე არის გვაროვნული საზოგადოება, რომელიც დაშლის სტადიაში იმყოფება. მაშასადამე, ჰომეროსის ეპოსის ანალიზი ადასტურებს კრეტე-მიკენის კულტურის მიმართ იმ დასკვნებს, რომელნიც ჩვენ მივიღეთ ზემოთ სხვა წყაროების საფუძველზე.

ჰომეროსის ეპოსის მასალას უდგება, ხოლო ხანდახან გვიანდელ ნაწილებში ემთხვევა კიდევ ის ნაწარმოებნი, რომელთაც ჰესიოდეს მიაწერენ. ჰესიოდე, როგორც ჩანს, ისტორიული პიროვნება იყო და ამ თვალსაზრისით მისი შემოქმედება ხელოვნურია, რითაც იგი განირჩევა ჰომეროსის ხალხური ეპოსისგან. მაშინ როდესაც ჰომეროსის ეპოსი ითხზებოდა ზეპირად, საუკუნეთა მანძილზე, მომღერლებისა და პოეტების მთელი თაობების მონაწილეობით, ჰესიოდეს ნაწარმოებები დაწერილია ერთი ადამიანის მიერ გარკვეულ ეპოქაში. ჰესიოდე ცხოვრობდა VIII და VII საუკუნეთა მიჯნაზე ბეოტიაში, შუა საბერძნეთის საკმაოდ ჩამორჩენილ მიწათმომქმედ ოლქში.

ჰესიოდე, როგორც შეიძლება აღამიანმა იმსჯელოს. მის ნაწარმოებთა მასხედით, იყო საკმაოდ შეძლებული წერილი მიწათმფლობელი. მას ეკუთვნის ორი უცილობელი ნაწარმოები (ვამბობთ „უცილობელი“ მიტომ, რომ არის რამდენიმე ლექსი, რომელთაც ბერძნები ჰესიოდეს მიაწერენ, მაგრამ რომელნიც მას არ ეკუთვნიან): „სამუშაონი და დღეები“ და „თეოგონია“ („ღმერთების წარმოშობა“).

საკმაოდ მოზრდილი პოემა „სამუშაონი და დღეები“ დიდაქტიკური ხასიათისაა, ზნეობის დამრიგებელი. მისი პირველი ნაწილი შეიცავს ათას რჩევა-დარიგებას სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა შემთხვევებისთვის. მეორე ნაწილი მიეძღვნის საკითხს „სუბუქ“ ანუ „იოლ“ და „მძიმე“ დღეების შესახებ.

რაც შეეხება „თეოგონიას“, ეს სულ სხვა ხასიათის ნაწარმოებია, იგია რელიგიური, სარწმუნოებრივი შინაარსის თხზულება. აქ ჰესიოდეს შეჯამებული აქვს მთელი სამითოლოგო მასალა, რაც კი ეპოსში არის, და მოჰყავს იგი გარკვეულ ნოსტემაში.

„სამუშაონი და დღეები“ მდიდარ საყოფა-ცხოვრებო და ეკონომიურ მასალას შეიცავენ. ჰესიოდე როცა ყოველნაირ პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას მეტნაკლები სისწორითა და სიზუსტით უნდა აესახნა კიდევ ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთაც იგი აკვირდებოდა და ხედავდა.

როგორი-ღა იყო ბეოტიის საზოგადოება VIII ს. ბოლოს და VII ს. დასაწყისში, რომელიც ასახული ჰყავს ჰესიოდეს? უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ესაა გლეხური საზოგადოება, თავისუფალ წერილ მიწათმფლობელთა საზოგადოება, და თითონ ჰესიოდეც ხომ ასეთივე წერილი მიწათმფლობელია, ოღონდ შეძლებული. ჰესიოდეს ნაწარმოებში ისევე, როგორც ჰომეროსისაში, ჩვენ ვერავითარ ნიშან-კვალს ვერ ვხედავთ იმისას, რომ ყოფილიყოს რაიმე ბატონყმური ურთიერთობა; რაიმე ყმური დამოკიდებულება. ჰესიოდეს ნაწერში ისევე, როგორც ჰომეროსის ეპოსში, საერთოდ გაბატონებულია ნატურალურ-

კარჩაკეტილი მეურნეობა. ჰესიოდეს თხზულებაში ისევე, როგორც ჰომეროსთანაში, ხელოსნები ნაკლებ თვალსაჩინო როლს თამაშობენ. მაგრამ ჰომეროსთან შედარებით ჰესიოდეს საზოგადოებას ერთი ნაბიჯი აქვს წინ გადადგმული, უფრო დაწინაურებულია იგი შრომის განაწილების მხრივ, მეურნეობის ამ კარჩაკეტილობის გარღვევის მხრივ ჰესიოდეს ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ უკვე ფულადი მეურნეობის ელემენტებს და მათ შევკრას ხალხის ცხოვრების შუა შუა გულში. გლეხობა უკვე ებმება ამ ფულადი მეურნეობის ორომტრიალში.

ამ მხრივ ნიშნობლივია ის დიდი როლი, რომელსაც ჰესიოდე აკუთვნებს ზღვაოსნობას. რამდენიმე ათეული ლექსი მის ჰომემაში მიძღვნილი აქვს იმას რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა შეინახოს კაცმა ნაღი ნაპირზე, როგორ უნდა მისი დატვირთვა, წელიწადის რა დროა უფრო მარჯვე და ხელსაყრელი ზღვაოსნობისთვის და რა დრო არა და სხვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰესიოდეს არ უყვარს ზღვა. იგი ზღვაოსნობას, ზღვაში მოგზაურობას უწოდებს საზიფათოს, უფროს და მისთანას. ამაში აისახა იმ გლეხის, იმ ჩვეულებრივი მიწის მუშის, მიწათმოქმედის ფსიქოლოგია, რომელიც ზღვას არ შესჩვევია. ეს არაა რომელიმე ოდისეგის ფსიქოლოგია, იმ ოდისეგის, რომელიც ზღვას შეეისისლხორცა, შეეზარდა. და მიუხედავად ამისა ჰესიოდე მაინც იძულებულია ზღვაოსნობას უძღვნას მრავალი რჩევა-დარიგება.

თითონ ჰესიოდეს ნაწარმოებივე გვაძლევს ჩვენ იმის ახსნა-განმარტებას, თუ რატომ უხდება ამის გაკეთება ჰესიოდეს. გლეხი იძულებულია ვაჭრობას მისდიოს, იგი უნდა ჩავიდეს მეზობელ ქალაქში იქ თავის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გასასყიდად და მისთვის საჭირო სახელოსნო ნასაქმის, ნახელავის შესაძენად, სასყიდლად.

ამრიგად ჰესიოდეს ზღვაოსნობა მოწმობს ფულადი მეურნეობის განვითარებას, ეს ფულადი მეურნეობა უკვე ითრევს გლეხთა მასასაც კი ჩამორჩენილ ბეოტიაში VIII ს. და VII საუკ. მიჯნაზე. ეს უეჭველი წინგადადგმული ნაბიჯია ჰომეროსთან შედარებით.

იგივე უნდა ითქვას მონობის შესახებაც. ჰესიოდე შედარებით ნაკლებად იხსენიებს მონებს, ჰომეროსთან გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება მათი ხსენება. ეს იმით აიხსნება, რომ ჰომეროსი გვიხატავს წარჩინებულებს, საზოგადოებრივ ზედაფენას, რომელსაც აქვს საშუალება მონები ჩელთ იგდოს ომში, იყიდოს და მისთანა. ჰესიოდეს მიერ დანატული ყოფა-ცხოვრება ესაა წერილი მიწათმფლობელის ყოფა-ცხოვრება, რომელსაც გაცილებით უფრო მეტად უჭირდა თავისთვის მონების შეძენა. მაგრამ როცა ჰესიოდესთან ჩვენ ვხვდებით მონებს, ისინი აქ ჩვეულებრივ გამოყენებულნი არიან წარმოებაში. ასე მაგალითად, ჩვენ აქ ვხედავთ მონური შრომის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, უკეთ, ამის ხსენებას, ჰომეროსს კი ასეთი-რამ თითქმის არა აქვს. ესეც აგრეთვე ნაბიჯია წინ მონათმფლობელური ეკონომიკის განვითარებაში.

ჰესიოდეს გლეხობის მდგომარეობა ძალიან უახლოვდება ჰომეროსის გლეხობის მდგომარეობას. ჰესიოდეს ჰომემაშიაც სათემო საკუთრება უკვე ინდივიდუალ საკუთრებად იქცევა. მაგრამ აქაც, ჰესიოდეს თხზულებაში, შერჩენილია თემობრივ ურთიერთობის მეტად თვალსაჩინო ელემენტები. მაგალითად, ჰესიოდეს

დე იხსენიებს სათემო ტყეს, სადაც გლეხებს შეუძლიანთ ხეების ჩეხვა და საქონლის ძოვება, იხსენიებს გლეხების მიწის ნაკვეთებსაც (კლერებს).

მაგრამ არის განსხვავებაც. თუმცა ჰესიოდეს გლეხობა მასობრივად თავისუფალია და არავითარი ნიშან-კვალი არა ჩანს მისი რაიმე დამოკიდებულებისა, მაგრამ ფულადი მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით გლეხები უკვე უფრო და უფრო იჩაგრებიან და იტანჯებიან დავალიანების გამო. ისინი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ მოვლით სიღარიბე და შიმშილი. ამიტომაც გლეხი იძულებულია სესხებს მიმართოს. მან უნდა განუწყვეტილად იმაზე იფიქროს, თუ როგორ დააღწიოს თავი ვალებს და შიმშილი აცილოს თავიდან. ეს მოტივი წითელი ზოლივითაა გავლებული ჰესიოდეს მთელს „სამუშაონი და დღეებ“-ში. ამრიგად, გლეხობის მდგომარეობა ჰომეროსის ეპოქასთან შედარებით უარესდება.

ბეოტიის საზოგადოების მთავარი ჯგუფი იგივე წარჩინებულნი არიან, რომელნიც ჰომეროსს ჰყავს გამოყვანილი. ესენი არიან ბასილევსები, რომელნიც ჰესიოდეს ნაწერებში უფრო ხშირად მსაჯულებად, მოსამართლეებად გამოდიან. ამით ხაზი აქვს იმას გასმული, რომ სასამართლო წარჩინებულთა ხელში იყო. ბეოტიის გლეხობა ცოტას არ ითმენდა ასეთ: სასამართლოსგან, რადგან მოსამართლეებს ადვილად ჰქრთამავდნენ და იმათაც „მრუდვ გადაწყვეტილებანი“ გამოჰქონდათ. ჰესიოდე მათ ხშირად „დოროფაგებს“ უწოდებს, ე. ი. ძღვენის ჩანმთქმელებს.

სიღარიბე, დავალიანება, უსამართლო სამსჯავრო — ყოველივე ეს ბეოტიელ გლეხს უქმნიდა არაჩვეულებრივ მძიმე პირობებს. მის მდგომარეობაზე საერთოდ ძალიან მკაფიოდ ლაპარაკობს ჰესიოდეს ცნობილი იგავ-არაკი ბუღბულსა და ქორის შესახებ. ქორი მიფრინავს მალლა, ღრუბლებ ქვეშ, და თავის კლანკებში მიაქვს ბუღბული. საცოდავი ფრინველის ხვეწნა-მუდარაზე დაკვირვებაზე ის ქედმაღლურად ეუბნება: „ნეტა რა გაწივლებს? შენ ხომ იმას მიჰყავხარ, ვინც შენზე გაცილებით უკეთესია. თუმცა შენ მშვენიერი მომღერალიც ხარ, მაგრამ იყავნ იქ, საცა მე წაგიღებ. მომესურვება, შეგკამ, იქნებ გაგიშვა კიდევ თავისუფლად. გიყი და უგონოა ის, ვისაც ძლიერთან შეკიდება უნდაო“.

ჰესიოდეს მსოფლმხედველობა გამსჭვალულია უღრმესი პესიმიზმით. მთელი ცხოვრება ესაა მედგარი, შეუპოვარი ბრძოლა ლუკმა პურისთვის: „მეპურქლე მექურქლეს, დურგალი დურგალს რისხვით უყურებენ. მათხოვარსაც ი მათხოვრისა შურს და მომღერალს — მომღერლისაო“. წინ არავითარი გამოსავალი; სიღარიბე, შიმშილი, წარჩინებული ადამიანის ძალმომრეობა — აი რა ემუქრება. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე წვრილ მიწათმფლობელს, VII ს. ბერძენი გლეხის ეს პესიმიზმი გამოსჩანს ჰესიოდეს იგავშიაც ადამიანთა ხუთი თაობის შესახებ: ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, გმირთა თაობისა და რკინის თაობის შესახებ.

ყოველ თაობის დროს, ყოველ საუკუნის განმავლობაში უფრო და უფრო უარესდებოდა ქვეყნად ცხოვრება. „ახლა რკინის ტომი მეფობსო“, ამბობს ჰესიოდე. ყველგან მტრობა, უთანხმოება, უბედურებანი და არაა წინ არავითარი იმერი ტანჯვა-ვაებისგან ხსნისაო.

IV.

VIII-VII ს. ს. საბერძნეთი

ახლა გადავიდეთ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დახასიათებაზე, რომელნიც საბერძნეთში ჩამოყალიბდა „ჰომეროსის შემდგომ ეპოქაში“. ესეც კია, ეს ცნება საკმაოდ გაურკვეველი ცნებაა, როგორც საერთოდ „არქაული ეპოქის“ ცნებაც, რომელიც პირველთან ერთად იხმარება VIII-VII საუკუნეთა პერიოდის აღსანიშნავად. ესაა დიდი ძვრების ეპოქა საბერძნეთის ეკონომიკისა და სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში, ეპოქა გვიანა-გვაროვნული ურთიერთობის აჩქარებული დაშლისა და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს გაღორმებისა.

ამ დროისთვის ჩვენ უკვე გვაქვს თვალსაჩინოდ მეტი წყარო. არქეოლოგიური მასალის გარდა პირველად გვხვდება ახლა წარწერები, ანბანით წარმოსახული წარწერები. მართალია, მათი რიცხვი დიდი არ არის და ისინი არც იძლევიან თითქმის ვერაერთარ მასალას ამ დროის სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ანალიზისათვის. უფრო დიდი და მნიშვნელოვანი წარწერები შენახულია მარტო მეექვსე საუკუნის დროიდან.

სამაგიეროდ გადარჩენილია ზოგიერთი ნაწყვეტები VII საუკ. კანონმდებლობიდან, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს ზოგიერთ ბერძენ მწერლების საშუალებით. VIII-VII საუკ.-თა ეპოქა ასახულია ბერძენ ისტორიკოსთა, კერძოდ ჰეროდოტესა და თუკიდიდეს, ნაწერებშიც. განსაკუთრებით ძვირფასია თუკიდიდეს მასალა, რომელიც დაცულია მის პირველ წიგნში, სადაც იგი გვაძლევს საბერძნეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვას ვიდრე პელოპონესის ომამდე.

საკმაოდ დიდი მასალა მოიპოვება პლუტარქოსის მიერ შედგენილ თეზუოსისა და სოლონის ბიოგრაფიებში, აგრეთვე აქვს იგი არისტოტელესაც.

VII-VI საუკ.-თა სოციალურ ურთიერთობათა ისტორიისათვის კარგ წყაროს წარმოადგენენ ბერძენ ლირიკოს-მწერლების: არქილოქეს, ალკეოს, თეოგნიდე მეგარელისა, სოლონის და სხვათა ნაწერები. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოლონი. ეს იყო VI საუკ. დასაწყისის ათენის დიდი სახელმწიფო, მოღვაწე და თავის ლირიკულ ლექსებში (რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს სხვა ბერძენ მწერლების საშუალებით) ასახა მთელი რიგი პოლიტიკური მომენტები.

VIII-VII საუკ. საზოგადოებრივ განვითარებაში ყველაზე უფრო ტიპიურ მოვლენას წარმოადგენდა პოლისების, ქალაქ-სახელმწიფოთა წარმოქმნა.

მაგრამ აქ უმაღლეს ადგილზეა კითხვა: განა ამ ეპოქამდე კი საბერძნეთში ქალაქები არ ყოფილა, განა ჰომეროსი მათ არ ასახელებს? ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, რომ ის კრეტე-მიკენის სამოსახლო ადგილები, რომელთაც ბურჟუაზიული ისტორიკოსები ჩვეულებრივ უწოდებენ „ქალაქებს“, სრულებითაც ქალაქები კი არ ყოფილან სავაჭრო-სამრეწველო სამოსახლო ადგილების მნიშვნელობა-გაგებით, არამედ წარმოადგენდნენ გეაროვნულ სამოსახლო ადგილებს. მათი ქალაქებად წოდება ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით არ შეიძლება. ჰომეროსი, მართალია, არაერთხელ იხსენიებს „ქალაქებს“. მაგრამ ამ ხსენებათ ისეთი გაურკვეველი ხასიათი აქვთ, რომ მათ საფუძველზე არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჰომეროსისეული საზოგადოება უკვე იცნობს ნამდვილ ქალაქებს. ზოგიერთი ჰომეროსისეული ქალაქი იდეალური ქალაქის ხასიათს ატარებს; ეს ქალაქები ქალაქ-ფიქციებია ფეაკების იდეალური სავაჭრო-ქალაქის ტიპისა, მეფე ალკინოეს სატახტო ქალაქს რომ წარმოადგენს. სხვა ქალაქები კიდევ წარმოადგენენ გამაგრებულ გეაროვნულ სამოსახლო ადგილებს და სხვა არაფერს. და მართა ერთეულ შემთხვევებში ჰომეროსის ეპოსში ჩანან ნამდვილი ქალაქები, ე. ი. გამაგრებული სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები. მაგრამ ეს შემთხვევები მიეკუთვნება ეპოსის გვიანდელ ნაწილებს, რომელნიც წარმოიშვნენ, როგორც ჩანს, VIII საუკ.-ში, როცა უკვე ვხედავთ ქალაქების წარმოქმნის ინტენსიურ პროცესს. ჰომეროსის ეპოსში ჩვეულებრივ არც შეიძლება იყოს ნამდვილი ქალაქები, რადგან მათი გაჩენისათვის საჭიროა შრომის განაწილების ისეთი ხარისხი, ხელოსნობისა და ვაჭრობის ისეთი დონე, როგორსაც ჰომეროსისეული საზოგადოება არ იცნობს.

ჩვენი წყაროები, კერძოდ თუკიდიდე, იმას ლაპარაკობენ, რომ ატიკა მანამდე, სანამ იქ ათენი გაჩნდებოდა, შესდგებოდა მრავალ ცალკე პატარა-პატარა გამაგრებულ ცენტრებისგან, რომელნიც ნახევრად ქალაქურსა ჰგვანდნენ და ნახევრად სოფლურსა.

თუკიდიდე მეორე წიგნში მოგვითხრობს, რომ, როცა პელოპონესის ომის დასაწყისში სპარტელები თავს დაესხნენ ატიკას, გლეხებს მოუხდათ თავიანთი მინდვრების მიტოვება და ათენში გადასახლება. „სამძიმო იყო ათენელებისთვის, — ამბობს თუკიდიდე, — ადგილიდან აყრა, რადგანაც მათი უძრავლესობა მიჩვეული იყო მუდმივად თავიანთ მინდვრებში ცხოვრებას. ასეთ ცხოვრებას ათენელები ძალიან ძველი დროითგან ეწეოდნენ და უფრო მეტად, ვიდრე სხვა ელინებიო“. „საქმე ის არისო, — განაგრძობს იგი, — რომ კეკროფისისა და პირველ ბასილევსების დროს თეზეოსამდე ატიკის მოსახლეობა მუდმივ ცხოვრობდა ცალკე ქალაქებად, რომელთაც ჰქონდათ თავ-თავიანთი პრიტანეები და ჰყავდათ საკუთარი მმართველები. როცა არავითარი საფრთხე არ მოელოდათ, ქალაქთა მცხოვრებლები არ იყრიდნენ თავს საერთო თათბირზე ბასილევსთან, არამედ განაგებდნენ და თათბირობდნენ თავ-თავიანთის ცალ-ცალკე. ზოგიერთი ქალაქები ხანდახან ერთმანეთს შორის ომობდნენ კიდევ, მაგალითად, ელეფსინი იბრძოდა ევმოლოპოსის მეთაურობით ერექთეოსის წინააღმდეგ“.

აი როგორი მდგომარეობა ჰქონდა ატიკას ძველ დროს. იქ იყო მთელი რიგი დამოუკიდებელი პატარა-პატარა გამაგრებული სამოსახლო ადგილებს და

თეოთელს მათგანს თავ-თავიანთი მშროთველობა ჰქონდა. თუკიდიდეს ეს ცნობები არქეოლოგიურადაც დასტურდება, რადგან ატიკის ზოგიერთ დაბას თურმე ძველად ჰქონია თავისი სიმაგრეები, დამოუკიდებელი კულტები და მისთანა.

შემდეგში ეს დაბები ჰქრება, როგორც დამოუკიდებელი ცენტრები და ერთ მსხვილ ცენტრში — ათენში ერთიანდებიან. შერთვის თუ გაერთიანების ამ პროცესს ბერძნები სინოიკისმს უწოდებდნენ (ერთად დასახლებას). ათენის სინოიკისმი თუკიდიდეს შემდეგნაირად აქვს დასახული: „მაგრამ მას მერე, რაც ბასილევსის ძალა-უფლება მიიღო თეზეოსმა, რომელშიაც თავსდებოდა ძალ-ლონე და ჰკუა, მან ქვეყანა საერთოდ წესრიგში მოიყვანა, სხვათა შორის, გააუქმა დანარჩენ ქალაქების საბჭოები და თანამდებობანი და სინოიკისმის გზით გაერთიანა ყველა მცხოვრები ახლანდელი ქალაქის ირგვლივ, დააარსა ერთი საბჭო და ერთი პრიტანეა. ცალკე სოფლების მცხოვრებლები, რომელნიც წინანდელივით ამუშავებდნენ თავ-თავიანთ მიწებს, თეზეოსმა აიძულა ჰქონოდათ მარტო ერთი ეს ქალაქი. და რადგან ყველა მცხოვრები ახლა უკვე ერთ ქალაქს ეკუთვნოდა, ამიტომ იგი დიად ქალაქად იქცა და თეზეოსმაც თავის შთამომავლობას ამ სახითვე გადასცა იგიო“.

ძირითადად სწორად აქვს თუკიდიდეს პროცესი წარმოდგენილი, თუმცა თეზეოსის პიროვნება ლეგენდარულია. საერთოდ ძნელი დასაშვებია, რომ სინოიკისმი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა, შეიძლებოდა ისეთი ორგანიზებული წესრიგით მომხდარიყო, როგორც ეს თუკიდიდეს აქვს დახატული. რასაკვირველია, ბერძნული ქალაქების წარმოცუნება ყველგან სინოიკისმის გზით როდი მიმდინარეობდა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მარტო იქ, სადაც ცალკეულად დასახლებული ადგილები ერთი მეორის ახლომახლო მდებარეობდნენ და ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ეკონომიური ინტერესების ერთიანობით, ერთობლივად თავდაცვის ინტერესებით და სხვა ამგვარით. მაგრამ როგორც არ უნდა წარმოებულყო ცალკეულ შემთხვევებში ეს პროცესი, მაინც შედეგად ამისა საბერძნეთში წარმოსცენდა მთელი რიგი საქალაქო ცენტრები, რომელნიც ნაწილობრივ განვითარდნენ ძველ საგვაროვნო დასახლებულ ადგილებისგან, ნაწილობრივ კი ახლად იყვნენ დაფუძნებულნი ჩნდება ქალაქები: კორინთო, მეგარა, თებე, არგოსი, ეგინი (კუნძულ ეგინაზე), ქალკიდა და ერეთრია (ეგების კუნძულზე) და სხვანი. IX-VIII საუკ.-ში ყალიბდება პელოპონესის ისეთი მსხვილი ცენტრი, როგორიც არის სპარტა.

ქალაქების წარმოცუნების პროცესი განსაკუთრებით რიტენსიურად მიმდინარეობდა მცირე აზიაში; რომელიც VIII საუკუნეში წარმოადგენდა ეგეოსის სამყაროს ეკონომიურად უაღრესად განვითარებულ ნაწილს. ასე გაჩნდა მილეთი, ეფესო, სმირნა, ფოკეა მცირე აზიის სანაპიროზე, მიტილენი კუნძულ ლესბოსზე და მთელი რიგი სხვა დიდი საეაქრო-სამრეწველო ცენტრები.

რა მიზეზებით-ღა აიხსნება ბერძნულ ქალაქების პოლისების წარმოცუნება? VIII საუკ.-ში ცნობილ ქალაქების უმრავლესობა ზღვის სანაპირო ქალაქები იყო. ასეთია ათენი, კორინთო, მეგარა, ქალკიდა, ერეთრია, ეგინი, მილეთი, სმირნა, ეფესო; ყველა ეს ქალაქი ან უშუალოდ ზღვის

პირას არის გაშენებული ან ძალიან ახლოს მდებარეობდა ზღვასთან. ხშირად ეს ქალაქები გაშენებულია ნაკლებად ნაყოფიერ რაიონებში ასეთია ეგინი, რომელიც მდებარეობდა კლდოვან იმავე სახელის კუნძულზე, ასეთია კორინთო, მეგარა და სხვები.

ზოგიერთი ქალაქი აღმოცენდა მთა-მადნეულთა ბუდობის ახლოს ან ისეთ ოლქებში, რომელშიც მდიდარია იყვნენ ტექნიკური ნედლეულით. ქალკიდის და ერეთრიის ევბეიზე აღმოცენება დაკავშირებული იყო ევბეის სპილენძის მდენებთან. კორინთოსა და ათენის ახლოს იყო თიხა. მილეტის ოლქი მცირე აზიაში განთქმული იყო მატყლით.

ძალიან ბევრი ბერძნული ქალაქი აღმოცენდა მცირე აზიის სანაპიროზე. მე უკვე აღვნიშნე, რომ VIII საუკუნეში მცირე აზია წარმოადგენდა საბერძნეთის მოწინავე, წამყვან ნაწილს და ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ჰომეროსის ეპოსი სწორედ აქ ჩამოყალიბდა. აქ გარკვეულად ჩანს კავშირი მდიდარ აღმოსავლურ ცენტრებთან, აღმოსავლურ ბაზრებთან.

VIII საუკუნე ქალაქთა ადგილმდებარეობის ანალიზი გვაძლავს იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ მათი წარმოცენება დაკავშირებულია ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებასთან. ზღვასთან სიახლოვე, ნაკლებ ნაყოფიერი ნიადაგი, ტექნიკური ნედლეულის არსებობა, აღმოსავლურ ბაზრების სიახლოვე — ყველივე ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხელოსნობა და ვაჭრობა წარმოადგენდნენ უმნიშვნელოვანეს მიზეზებს საქალაქო ცენტრების წარმოქმნისათვის. დასავლეთი ევროპის ფეოდალურ ქალაქების ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ეს ქალაქები წარმოსცენდებიან ხელოსნობის სოფლის მეურნეობისგან ჩამოცილებასთან და ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით. ხელოსნობის ჩამოშორება სოფლის მეურნეობისგან ტიპური მოვლენაა იმ ეპოქისათვის, როცა წინაკლასობრივი საზოგადოება გადადის კლასობრივ საზოგადოებაში. ეს დებულება საყოველთაოდ ცნობილია და უცილობელია.

მაგრამ ბერძნული ქალაქების განვითარების ისტორიაში არის ერთი საგულისხმბიერო ფაქტი, რომელიც ექვის ქვეშ კი არ აყენებს ხელოსნობისა და ვაჭრობის როლს ამ პროცესში (ეს როლი ექვს გარეშეა), არამედ გვაძლავს ვიგულისხმობთ, რომ მარტო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება როდი ყოფილა მიზეზი ანტიკური პოლისების აღმოცენებისა. ამ ფაქტს ჩვენ ვხედავთ სპარტის, თებესი და ზოგიერთი იმ სხვა ქალაქების (მაგალითად, კუნძულ კრეტზე რომაა) აღმოცენების ისტორიიდან, რომელნიც მდებარეობდნენ საბერძნეთის აგრარულსა და ეკონომიურად ჩამორჩენილ ოლქებში.

სპარტის აღმოცენება არას გზით არ შეიძლება ვაჭრობის განვითარებას დაუჭევშიროთ. სპარტა მდებარეობდა მოსავლით ნაყოფიერ ველზე, ზღვასთან დაშორებით; ხელოსნობა და ვაჭრობა აქ ძალიან დიდხანს თითქმის არავითარ როლს არ თამაშობდნენ. სპარტისათვის ტიპურია ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობა. მაშ რაღა მიზეზები იყო მისი აღმოცენებისათვის? სპარტა, ტიპური ქალაქ-სახელმწიფო, წარმოიქმნა, როგორც მონათმფლობელების სინოკისში. სპარტის სახელმწიფო წარმოადგენდა იმ პატარა, მცირეერიცხოვან მონათმფლობელთა მმართველი ჯგუფის ორგანიზაციას, რომელიც გაერთიანდა იმ

.ბიზნისთვის, რომ მორჩილებაში ჰყოლოდა მონათა (ილოტების) დიდი რაოდენობა. სპარტის სინოკისში ამ მოტივს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ხელოსნობასა და ვაჭრობას ამ შემთხვევაში არაერთგვაროვანი როლი არ უთამაშია. ამის მტკიცებით ჩვენ არ გვინდა უარყოფით ვაჭრობისა და ხელოსნობის როლზე საერთოდ ბერძნულ ქალაქების წარმოქმნის პროცესში. მაგრამ სპარტის მაგალითი გვიჩვენებს, რომ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ანტიკური პოლისის ჩამოყალიბების შესახებ, სიმძიმის ცენტრი ვაჭრობიდან და ხელოსნობიდან უნდა გადავიტანოთ კლასთა წარმოქმნელ პროცესზე.

ანტიკური პოლისი იყო თავისებური კოლექტივი მონათმფლობელებისა, აყო მონათმფლობელების თემი. პოლისი ესაა სპეციფიკური ფორმა, სპეციფიკური აპარატი მონების ჩაგვრისათვის. ტყუილად ხომ არ ვეძახით მას „ქალაქსახელმწიფოს“: იგი ერთსა და იმავე დროს საქალაქო თემიც არის და სახელმწიფოც. პოლისს ჰქონდა მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი და ერთ-ერთ ასეთ განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ანტიკური სახელმწიფო იყო უშუალოდ ორგანიზებული და მმართველი აპარატი, გაბატონებული კლასი. და ყველგან, სადაც კი ცოტად თუ ბევრად თავმოყრილი იყო მონათა დიდი მასები, წარმოიქმნებოდა პოლისი იმისდა მიუხედავად, თუ განვითარების რა საფეხურზე იდგა ხელოსნობა და ვაჭრობა; ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია, აჩქარებდნენ ქალაქ-სახელმწიფოთა წარმოშობას, მაგრამ ძირითად პირობას კი არ წარმოადგენდნენ მათი აღმოცენებისათვის. და არც შემთხვევითია, რომ პოლისი წარმოიქმნება იმ პერიოდში, როცა პატრიარქალური მონობა იწყებს მონათმფლობელურ სისტემაში გადასვლას. სწორედ VIII-VII საუკ.-თა ეპოქაში საბერძნეთში სწრაფად იზრდება მონობა. „ქიოსელებმა ელინებს შორის პირველებმა (თესალიელთა და ლაკედემონელების შემდეგ).— ამბობს ერთი ბერძენი ისტორიკოსი;— დაიწყეს მონებით სარგებლობა, მათი გაპოყენება. ოღონდ მონათა შეძენის ხერხი იმათ ისეთი არა ჰქონდათ, როგორც ამათ..., ვინაიდან ლაკედემონელებმა და თესალიელებმა მონებად აქციეს ელინები, წინათ რომ ბინადრობდნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც ახლა ისინი ფლობენ... ქიოსელები კი მონა-ბარბაროსებს ფასით იძენდნენ თავისთვისო“. მეორე ბერძენ ისტორიკოსისგან ჩვენ ვიცით, რომ უკვე VII საუკ.-ში კორინთოში ფართოდ იყო გამოყენებული ნასყიდ მონების შრომა.

პოლისების წარმოცენებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია კოლონიზაციის საკითხი. ბერძენთა ქოლონიზაციაც აგრეთვე არაჩვეულებრივ სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენს. ორ საუკუნეზე უფრო მეტი დროის მანძილზე (VIII ს. ბოლოდან VI საუკ.-მდე) ხმელთაშუა ზღვის რაიონის თითქმის მთელი აღმოსავლური ნახევარი და დასავლეთის ნახევრის ერთი ნაწილი იფინება ბერძნული კოლონიების (ახალშენების) გაბმული და ხშირი ქსელით.

კოლონიზაცია უპირველეს ყოვლისა, როგორც ჩვენ ვიცით, წავიდა ადრიატიკის ზღვის სანაპიროს მიმართულებით: აქ წარმოსცენდა კერკირა ამავე სახელის მატარებელ კუნძულზე, შემდეგში — ეპიდამნი. ამასთან ერთდროულად ხდება სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროსი და იტალიის სამხრეთ სანაპიროს კოლონიზაცია. აქ არსდება ისეთი ქალაქები, როგორცაა სირაკუზი, კა-

ტანა და ლეონტინი სიცილიაში, სიბარისი, კროტონი, კუმი, ტარენტი—იტალიაში.

ყველაზე უფრო შორეული ახალშენები დასავლეთისკენ იყო სამოსახლო ადგილები კუნძულ კორსიკაზე და მასილია თანამედროვე მარსელის ადგილას. მასილია დააარსეს მცირე აზიიდან გამოსულებმა VI საუკ. დასაწყისში. მასილიიდან საახალშენო ნაკადი თავის მხრივ იჭერს გალიის სამხრეთ სანაპიროს (ე. ი. ახლანდელი საფრანგეთის სანაპიროს). დასავლეთის მიმართულებით კოლონიზაცია უფრო შორს წავიდოდა, რომ ბერძნებისთვის აქ ძლიერი წინააღმდეგობა არ გაეწიათ კართაგენელებსა და ნაწილობრივად ეტრუსკებს. კართაგენის წინააღმდეგობა კერძოდ გადაიქცა იმ დაბრკოლებად, რომელმაც ბერძნები სიცილიაში შეაჩერა. ბერძნებმა მოახდინეს კოლონიზაცია სიცილიის მარტო აღმოსავლეთ სანაპიროსი, ხოლო დასავლეთი სანაპირო ხელთ იგდეს კართაგენელებმა.

მით უფრო ინტენსიურად და დაუბრკოლებლივ შეეძლო ბერძნების კოლონიზაციას ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ წარმართვა. აქ გარკვეულ მომენტამდე არ ყოფილა ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდა ბერძნების შეჩერებას. ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობდა „ბარბაროსული“, ნაკლებ კულტურის მქონე ოლქები და ბერძნებიც შედარებით იოლად იჭრებოდნენ, შედიოდნენ მკვიდრი მოსახლეობის ფსვიერ მასაში. ჯერ ახალშენებით იფინება ეგეოსის ზღვის ჩრდილო სანაპირო. მერე ბერძნები შედიან ჰელესპონტისკენ, პროპონტიდასა და ბოსფორისკენ. VII საუკ.-ში დაარსებულ იქმნა ბიზანტიონი, რომელსაც შემდეგში საკმაოდ დიდი ისტორიული როლის შესრულება მოელოდა.

VII და VI საუკ.-ში ხდება პონტოს სანაპიროს კოლონიზაცია. სინოპა და ტრაპიზონი სამხრეთ ნაპირზე, ოღვია ბუგის შესართავში, ხერსონესი, თეოდოსია და პანტიკაპეი (ახლა კერჩი) ყირიმში, ფანაგორია ტამანის ნახევარკუნძულზე, ტანაისი დონის შესართავში, — აი უფრო უმნიშვნელოვანესი ახალშენები დანარჩენთა შორის; ბევრი მათგანი იყო სსრკ. ახლანდელ ტერიტორიაზე. ამ ახალშენებში ჯერ კიდევ რევოლუციამდე წარმოებდა გათხრები, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსივობით ეს გათხრები წარმოებს ახლა, რაც იძლევა მდიდარ მასალას შორეული ბერძნული კოლონიალური პერიფერიის ცხოვრების პირობათა შესასწავლად.

პონტოს კოლონიები მეტწილად დაარსეს მცირე აზიის ქალაქებმა, კერძოდ მილეტმა. ეს აიხსნება შავი ზღვის სიახლოვეთ მცირე აზიასთან, აიხსნება აგრეთვე მცირე აზიის ბერძნული ქალაქების ამ დროს (მეტადრე მილეტის) შიდალი ეკონომიური განვითარებით.

ნაკლებ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხრეთის კოლონიზაცია, ე. ი. ჩრდილო აფრიკისა — ეს იყო არა იმიტომ მარტო, რომ ეს რაიონი ნაკლებად იზიდავდა ბერძნებს, არამედ იმიტომაც, რომ ამ ადგილებში ეგვიპტელებსა და ირანელებს ყოველთვის შეეძლოთ ბერძნებისთვის წინააღმდეგობის გაწევამართვად აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე დაარსებულ იქმნა ორი კოლონია: ნაეკრატისი ეგვიპტეში და კირენა ლიბიის სანაპიროზე.

თითქმის დაუჯერებლად ეჩვენება ადამიანს ის ფაქტი, რომ პატარა და დაქსაქსულმა საბერძნეთმა რაღაც ორიოდ საუკუნის მანძილზე ასეთი ინტენსიური კოლონიალური ექსპანსია განაწიარა. რა იყო ამის მიზეზები?

მთელ რიგ შემთხვევებში ბერძნულ ახალშენების მეტროპოლიები იყო შემდეგი სავაჭრო ქალაქები: კორინთო, მეგარა, ქალკიდა, ფოკეა, მილეტი. დამახასიათებელია, რომ ათენმა, რომელმაც შემდეგში დიდი როლი ითამაშა საბერძნეთის ისტორიაში, ამ ხანებში არც ერთი ახალშენი არ დაარსა. ახალშენები თავდაპირველად გამოჰყავდათ უფრო ძველ სავაჭრო ცენტრებს. ვაჭრობის მნიშვნელობა კოლონიზაციის პროცესში ექვს გარეშეა, მაგრამ მარტო ვაჭრობის განვითარებით არ შეიძლება აიხსნას ყველა ახალშენის აღმოცენება, ვინაიდან ბევრ მათგანს ჰქონდა აშკარად სამიწათმოქმედო ხასიათი. ასეთი იყო, მაგალითად, ზოგიერთი სამხრეთ-იტალიური ახალშენი. მართალია, მიწათმოქმედელ ახალშენებსაც კი ჰქონდათ მნიშვნელობა ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის, როგორც მეტროპოლიისათვის ნედლეულის მიმწოდებელს ან და როგორც გამსაღებელ ბაზრებს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად ეს ახალშენები დაარსებულ იქმნა არა სავაჭრო მიზნით.

ამგვარად, კოლონიზაციის მიზეზი მარტო ვაჭრობა როდი ყოფილა. ვაჭრობის განვითარებასთან ერთად კოლონიზაცია გამოწვეული იყო მიწის იმ სიჭარბით, რომელიც შეიქმნა VIII საუკ. საბერძნეთში; ნიადაგის უნაყოფობამ წარმოქმნა აბსოლუტური სიჭარბე მოსახლეობისა, რამაც თავის მხრივ იძულებული გახადა ხალხი ზღვის გადაღმა ეძია თავისუფალი მიწა-წყალი.

მაგრამ უფრო დიდ როლს თამაშობდა მოსახლეობის შედარებითი სიჭარბე. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ VIII-VII საუკ.-თა საბერძნეთში იწყება წარჩინებულთა ხელში მიწის კონცენტრაციის ინტენსიური პროცესი, რომლის წყალობით წერილ მწარმოებელთა ფართო მასები საშიშრობით იქმნა განწირული. აი სწორედ ეს ჰქმნიდა მოსახლეობის შედარებით სიჭარბეს, რაიც მას იძულებდა ზღვის გადაღმა ეძია თავისთვის ახალი სამშობლო.

კოლონიზაციის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია აგრეთვე კლასობრივმა ბრძოლამ. უაღრესად მწვავე ფორმები მან მიიღო VII და VI საუკუნეთა რეეოლოგიის პერიოდში, იმ რეეოლოგიის პერიოდში, რომელიც მოხდა გვიანაგვაროვნული საზოგადოებიდან წმინდა კლასობრივ, მონათმფლობელურ საზოგადოებაზე გადასვლის მომენტში. გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოიცუა ეკონომიურად უფრო მოწინავე ბერძნული ოლქები. კოლონიზაცია ის კალაპოტი იყო, რომლითაც წარიმართა ემიგრაციის მდინარე იმ ოლქებიდან, უაღრესად მწვავე კლასობრივი ბრძოლის ასპარეზად რომ გადაიქცნენ.

ამგვარად შეიძლება დავადგინოთ და დავადასტუროთ ბერძნული კოლონიზაციის სამი ძირითადი მიზეზი: 1) ვაჭრობის განვითარება, 2) აგრარული სიჭარბე მოსახლეობისა და 3) კლასობრივი ბრძოლა.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ანტიკურ, კერძოდ ბერძნულ კოლონიათა შესახებ, არ შეიძლება ეს კოლონიები თუ ახალშენები გვესმოდეს როგორც თანამე-

დროვე ახალშენების ტიპისა. ანტიკური ახალშენის ცნების მოდერნიზაცია არ შეიძლება.

ძველ-ბერძნულ ახალშენებს ჰქონდათ შემდეგი სპეციფიკური ნიშანი. ისინი ჩვეულებრივად წარმოქმნიდნენ ხოლმე დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ისინი სწვევდნენ მეტროპოლიებთან პოლიტიკურ კავშირს და გადაიქცოდნენ ხოლმე დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად, დამოუკიდებელ პოლისებად: ხშირად, ძალიან ხშირად იყო ხოლმე, რომ ახალშენები ეკონომიურადაც კი დაკავშირებულნი იყვნენ არა თავის მეტროპოლიასთან, არამედ რომელიმე სხვა ცენტრთან, ხოლო მეტროპოლიასთან ჰქონდათ მარტო ფორმალური სარწმუნოებრივი ხასიათის კავშირი. ყველა ბერძნული ახალშენი შემთხვევით როდი გადაქცეულა დამოუკიდებელ პოლისად. ეს აიხსნება ბერძნული სახელმწიფოს განსაკუთრებული ხასიათით. ანტიკური, კერძოდ ბერძნული, სახელმწიფო სრულიად განსაკუთრებული ტიპის სახელმწიფოა, ის არ წააგავს არც ძველ-აღმოსავლურსა, არც გვიანდელს ფეოდალურს გინდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ესაა პოლისა, რომელიც სხვა პოლისებთან დაკავშირებულია მარტო დროებითი და არანტიკურ, არამყარი კავშირით. ტერიტორიულად ის ძალიან პატარაა. ის მიისწრაფვის სრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ კარჩაკეტილობისა და დამოუკიდებლობისაკენ (ეგრეთწოდებული „ავტარკია“). ამიტომაც ანტიკური პოლისი, როცა ახალშენს წარმოქმნიდა, სრულიადაც არ ცდილობდა იგი თავის სახელმწიფოებრივ ტერიტორიაში მოექცია, პირიქით, აძლევდა მას ეკონომიურსა და პოლიტიკურ თავისუფლებას.

კიდევ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ მრავალ შემთხვევებში ახალშენები არსდებოდა არა ცალკე ადგილებზე. მათი მოწყობისათვის იყენებდნენ ამათუიბ ადგილას უკვე არსებულ მკვიდრი მოსახლეობის მიერ დასახლებულ ადგილებს. შავი ზღვის ჩრდილო ნაპირზე ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა, ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული სკვითები. მათ შორის ბერძნული ცივილიზაციის დასაწყისისთვის, VII და მეტადრე VI საუკუნეებისთვის, საკმაოდ ღრმად და შორს იყო წასული გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესი, აღმოცენდა გამაგრებული ქალაქები და დროებითი „სავაქრო ადგილები“, იქნებ მუდმივი სავაქროებიც კი. ბუნებრივია, რომ ბერძენი მოახალშენეები ამ ადგილობრივ ცენტრებს გამოიყენებდნენ.

ბერძნულ ახალშენების ზრდა მკიდროდ იყო დაკავშირებული ვაქრობის განვითარებასთან. მთელი რიგი ტნობები იმას ლაპარაკობენ, რომ VIII საუკუნეში საბერძნეთის საგარეო ვაქრობის განვითარებაში საკმაოდ ღრმ როლს თამაშობდნენ ფინიკიელები. ჰომეროსისეული საზოგადოების დახასიათების დროს ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ერთად-ერთი ვაქარ-პროფესიონალები იყვნენ იქ ფინიკიელები. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ უძველეს საბერძნეთში არსებობდა ფინიკიური კულტები. ბერძნული ანბანი — ეს უდავოა — ნასესხები და გადმოტანილი იყო ფინიკიიდან.

არ კი გვმართებს ფინიკიური ვაქრობის მნიშვნელობის გაზვიადება და ფინიკიიდან გამოყვანა თითქმის მთლიანად ბერძნული კულტურისა, როგორც ეს ერთხანად მოდად იყო მიღებული მეცნიერებაში. მაგრამ გარკვეულ როლს

ფინიკიური ვაქრობა უდაოდ თამაშობდა. VIII საუკუნეს ემთხვევა ფინიკიურ ქალაქ-სახელმწიფოების — ტვიროსის, სილონის და სხვათა აყვავება. ფინიკი-აფიითარებს ძალიან ინტენსიურ საახალშენო საქმიანობა-მოღვაწეობას ხმელთა-შუა ზღვის მთელ სანაპიროზე (დაახლოვებით ამ ხანებში ტვიროსმა დააარსა კართაგენი). სავსებით ბუნებრივია, რომ ფინიკიელი ვაქრები გაჩნდნენ საბერძ-ნეთშიც. მაგრამ შემდეგ ხანებში მზარდი ბერძნული სავაჭრო კაპიტალი გამოს-დენის იქიდან ფინიკიელებს და უკვე VII საუკ.-ში ფინიკიური ვაქრობის ნაკვა-ლევი აქ თითქმის აღარაა.

ბერძნული ვაქრობის უდიდესი ზრდის შესახებ ჩვენ შეგვიძლიან ვიმს-ჯელოთ არა მარტო ისეთ არაპირდაპირი ნიშნების მიხედვით, როგორცაა კო-ლონიზაცია, არამედ პირდაპირი ნიშნების მიხედვითაც. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს წონისა და ფულადი სისტემის გაჩენა. (თავდაპირ-ველად წონისა და ფულის სისტემები განუყრელად იყო ერთმანეთში დაკავში-რებული. ასე იყო აღმოსავლეთში, ასე იყო საბერძნეთშიაც).

ფულად-წონის სისტემის გაჩენა ემთხვევა, როგორც ჩანს, ჰომეროსის გვიანდელ ეპოქას, ე. ი. VIII საუკუნეს, და დაკავშირებულია აღმოსავლეთთან, თუმცა მისი ზოგიერთი ჩანასახი არქეოლოგიურად მიეკუთვნება ჯერ კიდევ კრეტე-მიკენის ხანას.

ძველი საბერძნეთის ფულად-წონის სისტემას საფუძვლად ედო ტალანტი. მაგრამ ტალანტი ორი იყო — ეგინისა და ებეისა, ადრეული ეპოქის უფრო მოწინავე სავაჭრო ორი ცენტრის სახელის მიხედვით.

ეგინის ტალანტი იყო წონითი ერთეული, რომელიც კილოგრამზე გადა-ტანით უდრიდა 37 კგ.-ს. ებეის ტალანტი იწონიდა 26 კგ.-ს. რით აიხსნება ასეთი სხვაობა წონაში — ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ორი ტალანტის ტრიალის ფაქტი ექვს გარეშეა და, მაშასადამე, ექვს გარეშეა ორი წონითი სისტემის არსებობაც.

ტალანტის წილები ორივე სისტემაში ერთნაირი იყო: ტალანტი უდრიდა 60 მინას, მინა შეიცავდა 100 დრაქმას, ხოლო დრაქმა უდრიდა 6 ობოლს.

ასეთია წონითი სისტემის ძირითადი დანაწილება. თუ ჩვენ ამ წონით ერთეულებს კონკრეტული შინაარსით შევავესებთ, ე. ი. ავიღებთ ვერცხლს ან სპილენძს ერთი ტალანტის, მინის და მისთანა წონით, მივიღებთ ძველ-ბერძნულ ფულად სისტემას. ძირითადად იგი იყო ვერცხლის სისტემა და თავდაპირველად შესდგებოდა ლითონის ნაჭრებისგან. ებეის ვალუტით (შემდეგში იგი მიიღეს ათენში) ვერცხლის ტალანტი ღირდა დაახლოვებით 2400 ოქროს მანეთი. (თუ გამოვალთ ვერცხლის XIX ს. არსებულ საშუალო ღირებულებით). მინა უდრიდა დაახლოვებით 40 მანეთს. დრაქმა—40 კაპეიკს, ობოლი 6 ნახევარ კაპეიკს.

საბერძნეთში VII საუკ. შუა ხანებში (დაახლოვებით) დაიწყეს ფულის ანუ მონეტის მოჭრა, ლიდიიდან გადმოტანილი. ლიდია სავაჭრო ქვეყანა იყო, რომელიც მდებარეობდა აღმოსავლეთიდან ხმელთაშუა ზღვისკენ გამოშავალ გზების ბოლოს. იგი ძველად განთქმული იყო თავისი სიმდიდრით. ლიდის მეფის კრეზის სახელი ზედსართავ სახელად გადაიქცა მდიდარი ადამიანის აღს-ნაწივად. სწორედ ლიდიაში VII ს. დასაწყისში იწყეს ფულის მოჭრა. ფულის

მოკრა იქ შარტო იმიტომ კი არ დაიწყეს, რომ ლილია მოვაკრე ქვეყანა იყო, არამედ იმიტომაც, რომ მცირე აზიის ამ ნაწილში იყო ფულის მოსაპკრელად გამოსადეგი იმ ლითონის მდიდარი ბულობები, რომელსაც ბერძნები „ელექტრონს“ უწოდებენ (ესაა ბუნებრივად შენივთებული ოქრო და ვერცხლი). უკვე VIII საუკ. ნახევარში ფულის მოკრა გადავიდა ეგინსა და ევბეაში. იქ ფულის მოკრა დაიწყეს ვერცხლისგან, რომლითაც საბერძნეთი ძალიან მდიდარი იყო. ასე შეიქმნა ორი სამონეტო სისტემა — ევბეისა და ეგინისა, ორი უკვე არსებული ფულად-წონითი სისტემის შესაბამისად. ეგინიდან და ევბეიდან მონეტის მოკრამ იწყო გადატელება სხვა ბერძნულ სახელმწიფოებშიაც, ამასთანავე იმისა და მიხედვით, თუ ამ სახელმწიფოებს რომელთან უფრო ჰქონდათ ახლო კავშირი — ეგინთან თუ ევბეასთან — იმათ თავისთან გადაჰქონდათ ან ეგინის, ან ევბეის სისტემა. ესეც კია, ამ ორი აღმოსავლური ჩამომავლობის სისტემის გარდა საბერძნეთში არსებობდა ადგილობრივი სისტემებიც, რომელნიც ალბათ დაკავშირებულნი იყვნენ ჯერ კიდევ მიკენის ეპოქასთან. ასე; მაგალითად, არგოსში VIII საუკ.-ში არსებობდა ფულადი-წონითი რკინის სისტემა. რკინის ფულმა დიდხანს იარსება სპარტაშიაც.

ბერძნული ვაჭრობის ზრდის მეორე მაჩვენებელი იყო „ნაციონალურ“ ბერძენ ვაჭართა წრის გაჩენა. „ოდისეაშიც“ კი ჩვენ თითქმის არ ვხვდებით ბერძენ ვაჭრებს, ხოლო VII საუკ.-ში წყაროები უკვე ლაპარაკობენ ძლიერი ვაჭრობის გვართა გაჩენის შესახებ. ასეთ დიდ მოვაკრე გვარს წარმოადგენდა ალკმეონიდების გვარი ათენში; ალკმეონიდები საბერძნეთის ისტორიაში ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ. VII საუკ.-ში ეს იყო წარჩინებული არისტოკრატიული გვარი, მაგრამ ისეთი, რომელმაც უკვე განიცადა, ასე ვთქვათ, სავაჭრო-ფულადი „გადაგვარება“

წარჩინებულ ვაჭართა წრეს ეკუთვნოდა სოლონიც, ათენის სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწე VI საუკ.-ში. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მსხვილი ვაჭრობის დიდი უმრავლესობა გამოდიოდა წარჩინებულ, დიდებულთა წრიდან. ამაში გასაოცარი არა არის რა, თუ გავიხსენებთ ადრეული ბერძნული ვაჭრობის არისტოკრატიულ-მეკობრულ ხასიათს. არისტოკრატია იწყებდა მეკობრეობიდან, რაიც შემდეგში „ლეგალურ“ ვაჭრობად იქცეოდა ხოლმე. ჯერ კიდევ VI ს.-ში სამოსის კუნძულზე იყო „ტირანი“ პოლიკრატე, რომელსაც უშვებელი ფლოტი ჰყავდა; ძნელია აქ იმის თქმა, იყო ეს ფლოტი სავაჭრო თუ სამეკობრეო.

ბერძნული ვაჭრობის სწრაფი განვითარება გამოწვეული იყო სახელოსნო წარმოების ზრდით, ე. ი. სოფლის მეურნეობისგან ხელოსნობის ჩამოშორებით. მართალია, ასეთი კავშირი ისტორიულად ოდნავადაც არაა სავალდებულო: შეიძლება არსებობდეს უაღრესად განვითარებული სატრანზიტო (შუამავლური) ვაჭრობა, ხელოსნობა კი შედარებით დაბალ დონეზე იდგეს. ასეთ მდგომარეობას ჩვენ ვამჩნევთ, მაგალითად, ფინიკიაში, კართაგენში. ასეთივე მდგომარეობა იყო ზოგიერთ ადგილას საბერძნეთშიაც. მაგრამ საერთოდ კი საბერძნეთი მაინც წარმოადგენდა მწარმოებელ ქვეყანას და მისი ვაჭრობის ზრდა ძირითადად გა-

მოწვეული იყო სახელოსნო მრეწველობის განვითარებით. ეს შეიძლება ცხად-
ყოთ მთელი რიგი ფაქტებით.

ხელოსნობის განვითარების მხრივ VII და VI საუკ.-ები საბერძნეთისთვის
წარმოადგენენ გარდამტეხ საუკუნეებს. ამ დროს საბერძნეთში ხდება თვალსა-
ჩინო ტექნიკური ძვრები. ეს მოვლენა დაკავშირებულია საზოგადოების საბო-
ლოო გადასვლასთან გვაროვნულიდან კლასობრივ საზოგადოებაში, იმ პრო-
ცესთან, რომელიც VI საუკ.-ში თავდება.

ძველ ავტორთა მოწმობისა და ნივთიერ წყაროთა ჩვენების საფუძველზე
შეიძლება იმის დადასტურება, რომ VII საუკ. და VI ს. დასაწყისში ხდება წარ-
მოების ბევრი იმ ძველი დარგის გაუმჯობესება, რომელნიც ცნობილი იყო კრეტე-
მიკენის ხანაში, აგრეთვე ახალი დარგებისაც; ჩნდება მთელი რიგი ტექნიკური
გამოგონება, ჩნდება ახალი ტექნიკური ხერხები, რომელნიც წარმოადგენენ წა-
საძვლავარს ბერძნული მრეწველობის სწრაფი განვითარებისათვის.

მცირე აზიიდან (იონიიდან) გადმოღებულ იყო ლითონის შედუღების ხერ-
ხი, ჩნდება წინათ უცნობი ახალი ხერხები ჩამოსხმისა; თვალსაჩინოდ წინ მი-
დის საფეხიკრო წარმოება და ქვის დამუშავების ტექნიკა. საამშენებლო ტექნი-
კის გაუმჯობესება დაკავშირებულია ტაძრების ინტენსიურ მშენებლობასთან,
რაც დაიწყო VIII ს. ბოლო დროიდან.

ამავე დროს ყალიბდება ძირითადი საარქიტექტურო სტილები — დორი-
ული და იონიური, აგრეთვე ვითარდება ქანდაკება, ღმერთებისა და ადამიანე-
ბის ქანდაკთა დამზადება.

თავდაპირველად ქანდაკებს აკეთებდნენ ხისგან, მერე კი ჩნდება ქვისა და
მარმარილოსიც.

პროგრესი განსაკუთრებით ემჩნევა კერამიკის დარგს (თიხის კურკლის
დამზადებას). საკერამიკო წარმოებას საბერძნეთში დიდი ადგილი ეკირა ჯერ
კიდევ ადრინდელ ეპოქაშივე. ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა დიპლონის
სტილის ჭურჭლები, რომელნიც საბერძნეთში გაჩნდა X-IX ს.-ში. VIII ს. თან-
დათან უმჯობესდება მათი დამზადების და შეფერადების ტექნიკა. VII ს.-ში
ჩნდება ახალი სტილები: „პროტოკორინთისი“, „მილეტის“, „ადრეულა ატი-
კისა“ და სხვანი. უღარესად საგულისხმიერა ის, რომ ყველა ამ სტილს ახა-
სიათებს მიკენის, „გეომეტრიული“ და აღმოსავლური წარმოების ტექნიკურ და
ხელოვნურ ხერხების შერწყმა. ბოლოს, VI ს. ათენში ჩნდება ეგრეთწოდებული
შაფეფურიანი კურკლები. სურათი მათზე კეთდებოდა თიხის განსაკუთრებუ-
ლი ხსნარიდან, რომელიც გამოწვის შემდეგ პრიალა შავ ფერს იღებდა და
მკაფიოდ გამოიყურებოდა კურკლის მოწითალო ფონზე. შაფეფურიან ვაზათა
სტილი საცესებით ორიგინალურია და ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალია.

ამგვარად, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდივართ. სამი უკანასკნელი საუ-
კუნის (VIII-VI) მანძილზე საბერძნეთის ისტორიის ადრეულა პერიოდში ხდე-
ბოდა საწარმოო ძალთა სწრაფი ზრდა, რომელმაც თვალსაჩინო ძვრები გამოიწ-
ვია ეგეოსის რაიონის ეკონომიკაში. ინტენსიურად ვითარდება შრომის განა-
წილება. ერთის მხრივ „შრომის დიდი განაწილება იმ მასებს შორის, რომლებ-
ბიც ჩანთქმულნი არიან უბრალო ფიზიკური სამუშაოთი და მცირეცხოვან

უპირატესობით აღჭურვილებს შორის, რომელნიც შრომას განაგებენ, მისდევენ ვაჭრობას, სახელმწიფო საქმეებს, ხოლო უფრო გვიან — ხელოვნებასა და მეცნიერებას“ (Н. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XIV, Анти-Дюринг, стр. 184); მეორე მხრივ შრომის განაწილება ხელობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის. მონაბობის სწრაფმა ზრდამ, ხელობისა და ვაჭრობის განუთარებამ გამოაცოცხლა მონათმფლობელობის პოლისი, საქალაქო თემი, რომელიც ახლა ხდება ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული შემდგომი პროგრესის ძალუმ ფოკუსად. ურიცხვი საკოლონიზაციო ნაკადები მიიმართება ხმელთაშუაზღვეთის ყველა მხარეს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების იმ უალრესად დაძაბული მაჯისცემის მაჩვენებელი, რომელიც ჩქეფდა პატარა საბერძნეთში.

როგორი-ღა იყო ეს საზოგადოებრივი ცხოვრება? VIII-VI ს. ს. ეკონომიურმა ძვრებმა რა გავლენა მოახდინეს ძველი საბერძნეთის სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობაზე?

ახლად წარმოცენებულ ქალაქ-სახელმწიფოებში კვლავ განაგრძობენ არსებობას გვაროვნული წყობილების ძლიერი გადანაშთები. ასე, მაგალითად ატიკაში დიდხანს რჩება ოთხი საგვაროვნო ფილე, ყოველი ფილე სამ ფრატრიად იყოფა, ხოლო ფრატრია ოცდაათ გეარად.

ძველი ტომობრივი დაჯგუფება — ფილეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ვიდრე VI საუკუნემდე და წარმოადგენენ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველს. ატიკაში ფილეების მიხედვით დიდხანს ხდებოდა სათანამდებო პირთა არჩევნები. გარდა ამისა ფილეებს ჰქონდათ ზოგიერთი ეკონომიური და სარწმუნოებრივი ფუნქციები. არსებობდა, მაგალითად, წესი, რომ ქონება არ შეიძლებოდა ფილედან გასულიყო. რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფილეებს, ეს იმით დასტურდება, რომ მათსათავეში ედგნენ განსაკუთრებული მამისახლისები, რომელთაც ფილო-ბასილეესები ეწოდებოდათ. რადგან ბერძნებში ბასილეესები ეწოდებოდათ ტომის წინამძღოლებს, ამიტომ ცხადია, რომ ამ „ტიტულის“ შენარჩუნება ფილეების მამასახლისების მიმართაც ადასტურებს იმ აზრს, რომ ფილეები თავის დროზე წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ტომებს. სინოიკისმის შედეგად ეს ფილეები გადაიქცა გვაროვნული ორგანიზაციის გადაწმად მთლიანი საპოლისო სისტემის ჩარჩოებში.

არისტოკრატია, რომელიც ძლიერდება კრეტე-მიკენისა და ჰომეროსისეულ ეპოქაშივე, VIII და VII საუკუნეებში ხდება გაბატონებულ ძალად საბერძნეთში და სპობს ძველ სამხედრო დემოკრატიას. სინოიკისმის მერე ატიკაში პირველ ხანებში ისევე, როგორც სხვა ბერძნულ სახელმწიფოშიაც იყო ეს ბასილეესის ძალა-უფლება კვლავინდებურად არსებობდა, რომელიც ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდანვე იყო. ბერძენ ისტორიკოსების დამოწმებათა გარდა ამას ამტკიცებს ატიკის გვიანდელ ისტორიაში „სამეფო“ ხელისუფლების მთელი რიგი გადანაშთები. ჩვენ ეს-ეს არის ვილაპარაკეთ ფილო-ბასილეესებზე. გარდა ამისა ათენის მმართველ ცხრა არქონტიდან (ამათზე ქვემოთ) ერთს ეწოდებოდა არქონტ-ბასილეესი და მას შერჩა ზოგიერთი ისეთი ფუნქცია, რომელიც წინათ „მეფეს“ ეკუთვნოდა.

მაგრამ სამეფო ხელისუფლება არისტოკრატისა ესაჭიროებოდა მარტო გარკვეულ მომენტამდე. ჰომეროსის ხანაში, ცალკე გეარებისა და ტომების ტერიტორიალურ დაქსაქსულობისა და გაფანტულობის პირობებში, არისტოკრატია ჯერ კიდევ მხარს აძლევდა მეფის ხელისუფლებას, რადგანაც მას ესაჭიროებოდა იგი, როგორც ერთგვარი გამაერთიანებელი ცენტრი.

ხოლო როცა ყალიბდება და ეწყობა პოლისები, როცა მიმდინარეობს სინოიკისმი და არისტოკრატიული გეარები ერთად სახლდებიან, მეფის ხელისუფლება მათთვის უკვე საჭირო აღარ არის: ახლა არისტოკრატის თითონვე შეუძლიან სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, არავითარი შუამავლები მას აღარ სჭირია. პირიქით, ბასილევსი ახლა საბიფათო ხდება არისტოკრატისათვის, რადგან იგი წარმოადგენს გადანაშთს ოდინდელი გეაროვნული დემოკრატიზმისას.

ატეკაში VIII და VII საუკუნეთა მანძილზე ხდება სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა და მისი შენაცვლება არისტოკრატის წრიდან არჩეული არქონტებით. არისტოტელეს მიერ მოწოდებულ ცნობათა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, ზოგად ხანებში, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი.

ჯერ არისტოკრატია გამოჰყოფს მეფის შესაშველიებლად მხედართ-მთავარს — პოლემარქოსს. სამხედრო ფუნქციები მეფეს ჩამოერთმევა, მას დარჩება ახლა მარტო მოსამართლისა და ქურუმის მოვალეობანი.

შემდეგ დაარსდება მეორე საარჩევნო თანამდებობა, არქონტის („მმართველის“) თანამდებობა, რომელსაც გადაეცემა სამოქალაქო მმართველობა.

შემდეგ ხანებში გამოიყოფა ექვსი განსაკუთრებული თანამდებობის პირი, რომელთაც ეწოდებათ „თესმოთეტები“, ე. ი. „სჯულმდებელნი“, კანონთა დაზღვინებელნი. თესმოთეტებს დავალათ სასამართლოს ჩვეულებათა დაცვა და ყველა სასამართლო საქმის გარჩევა, გარდა მკვლელობის საქმეებისა, რაიც, როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები, დასტოვეს ბასილევსის ხელში.

ამგვარად, ერთი მეფის მაგიერ გახდა ცხრა სათანამდებო პირი, რომელთაც არისტოკრატია ირჩევდა ერთი წლის ვადით. შემდეგში მათ ეწოდებოდათ უბრალოდ და პირდაპირ არქონტები. იყო არქონტი-პოლემარქოსი, არქონტი-შეფე და არქონტი-ეპონიმი. უკანასკნელს „ეპონიმს“ უწოდებდნენ მიტომ, რომ მისი სახელით აღინიშნებოდა წელიწადი (სიტყვა „ონომა“ ანუ „ონიუმა“, რაც ნიშნავს „სახელს“). გარდა ამ სამი მთავარი არქონტისა იყო კიდევ ექვსი არქონტი-თესმოთეტი.

სამეფო ხელისუფლების ფუნქციათა განაწილებასთან ერთად ხდებოდა იმ ვადის შემცირება, რომლითაც მეფეს ირჩევდნენ. თავდაპირველად მეფის თანამდებობა სამუდამო, სიკვდილამდელი იყო, მერე კი განსაზღვრეს ათი წლით, ბოლოს ერთი წლით-ღა ირჩევდნენ მეფეს.

VI საუკ. დასაწყისამდე, სოლონის რეფორმამდე, არქონტებს ირჩევდა (უფრო ზუსტად: ნიშნავდა) წარჩინებულთა წრიდან არეოპაგის საბჭო („არეოპაგი“ ნიშნავს არეოსის ბორცვს ანუ გორაკს). ეს იყო ათენის საქალაქო საბჭო, რომელიც გაჩნდა, როგორც ჩანს, სინოიკისმის დროს. აქ შედიოდნენ მდიდარი

არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლები. ამ საბჭოს წევრებს ირჩევდნენ სამუდამოდ სიკვდილამდე, ხოლო როცა არქონტები გაჩნდნენ, მაშინ არეოპაგის შევსება დაიწყეს ყოფილი არქონტებით. მაგრამ რადგანაც ამ უკანასკნელს თავის მხრივ არეოპაგივე ნიშნავდა, ამიტომ ეს უკანასკნელი ანუ არეოპაგი გადაიქცა კარჩაკეტილ კორპორაციად.

გარდა იმისა, რომ არეოპაგი არქონტებს ნიშნავდა, მას ეკუთვნოდა აგრეთვე უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე მეთვალყურეობისა; იგივე იყო მართვა-გამგეობის უმაღლესი საკონტროლო ორგანო.

გარდა ამისა არეოპაგი უშუალოდ განაგებდა განზრახვით ჩადენილ მკვლელობათა საქმეებს.

ეს ორი ინსტიტუტი — არქონტატი და არეოპაგი — წარმოდგენდა არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობის მთავარ იარაღს.

თუმცა სახალხო კრებები, ძველი ტომობრივი ყრილობები, ფორმალურად კიდევ არსებობდა ამ ეპოქის თითქმის ყველა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოში, მაგრამ ფაქტიურად მათი როლი არაარაობამდე (ნულამდე) იყო დაყვანილი და ჩამოჭვევითებული. სახალხო კრებები თითქმის არ იკრიბებოდა და არისტოკრატიის ხელში მორჩილ იარაღს წარმოდგენდა.

VII ს. პოლისის (კერძოდ ათენის) ამ წუთას აღწერილი სტრუქტურა არის არსებითად გვაროვნული სტრუქტურა, მაგრამ ისეთი, რომელიც უკვე გადადის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში. ძველი სამხედრო დემოკრატია ფაქტიურად დაეცა და შეიცვალა გვაროვნული არისტოკრატიის ბატონობით.

როგორი-ღა იყო პოლისის მოსახლეობის სოციალურ-კლასობრივი შემადგენლობა? თუ ჩვენ ავიღებთ ატიკას, რომლის ისტორია ამ ეპოქის მანძილზე ჩვენთვის ცნობილია არისტოტელესა და პლუტარქოსის მეოხებით უფრო უკეთ. ვიდრე სხვა ქალაქ-სახელმწიფოთა ისტორია, მაშინ ჩვენ შემდეგ სურათს დავინახავთ. ატიკის თავისუფალი მოსახლეობა ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: 1) დიდკაცობა, კეთილშობილნი (ეპატრიდები) და 2) ხალხი (დემოსი). დემოსს შეადგენდნენ მიწათმომქმედები — გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები.

მაგრამ თავისუფალი მოსახლეობის გარდა იყო კიდევ მონებისა და მეტეკების ჯგუფი. მეტეკები არიან უცხოელები, რომელნიც მუდმივად ცხოვრობდნენ ათენში. ისინი პირადად თავისუფლები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური უფლებები მათ არ ჰქონდათ, ხოლო მათი სამოქალაქო უფლებები ძალიან იყო შეზღუდულ-შეკვეცილი.

VII საუკ. ბოლო ხანებში დემოსის მდგომარეობის შესახებ არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილებაში“ შემდეგსა ვკითხულობთ:

„საქმე ისაა, რომ საერთოდაც ათენის სახელმწიფოებრივი წყობილება ოლიგარქიული იყო, თანაც კიდევ ღარიბები დამონავეებული ჰყავდათ მდიდრებს — თითონ ისინიც, შათი შვილებიც, ცოლებიც. ეწოდებოდათ მათ პელატები და მეექვსედის მონაწილენი, რადგანაც ამ საფასში ამუშავებდნენ მდიდართა მიწებს. მთელი მიწა კი მცირეოდენ პირთა ხელში იყო. და თუ ისინი (ე. ი. გლეხები) საფასს არ უხდიდნენ, მაშინ კაბალაში მოხვედებოდნენ თითონაც და შვილებიც. აგრეთვე სესხადაც სოლონამდე აძლევდნენ პიროვნე- ზის გირავნობის ქვეშ“.

ამასვე ამბობს პლუტარქოსი სოლონის ბიოგრაფიაში:

„ლარიბებისა და მდიდრების მდგომარეობის უთანასწორობამ იმ დროს უმაღლეს წერტილს მიაღწია, რის გამო სახელმწიფო იმყოფებოდა განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაში. მთელი უბრალო ხალხი მდიდრების მოვალე იყო. იგი ან მიწას ამუშავებდა და აძლევდა მათ პურის შეექვსედ ნაწილს (სხვა განმარტებით — ხუთ შეექვსედს. — ს. კ.), რის გამო ასეთი ხალხი იწოდებოდა ჰექტემორებად (მეექვსედის მონაწილეებად) და თეტებად (მოჯამაგირეებად). ან ფულს სესხულობდა საკუთარი თავის დაგირავებით. კრედიტორებს შეეძლოთ ეს ხალხი თავისთან კაბალაში წაეყვანათ. ისინი მათ ან მონებად აქცევდნენ ან საზღვარ-გარეთ ჰყიდდნენ. ბევრი იძულებული იყო თავისი შეილებიც კი ვაეყიდნათ (კანონი ამას არა კრძალავდა) და ქალაქიდან გაქცეულიყვნენ. რომ თავი დაეღწიათ თავიანთი კრედიტორების სასტიკობისაგან“.

რას გვეუბნება არისტოტელეს და პლუტარქოსის ტექსტები? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ VII ს. საბერძნეთში ხდებოდა მიწების კონცენტრაცია, ჰომეროსის ეპოსში ჩვენ ვერ არ ვხვდებით მსხვილ მიწათმფლობელობას, იგი მარტო შემდეგ გაჩნდება. VII ს. ბოლო დროისთვის ეს პროცესი დამთავრდა ერთი მუქა ევპატრიდების მიერ მიწების ხელში ჩაგდებათ. გლახობის მასა გააღატაკდა, დიდი რაოდენობით ჩნდებიან მცირე ნაკვეთიანი ან სრულიად უმიწა-წყლო გლახები, რომელნიც იძულებულნი ხდებიან არსებობის შესანარჩუნებლად სამუშაოდ დაუდგნენ მდიდრებს. და ეს პროცესი ჰომეროსეულ საზოგადოებაში ვერ მარტო იწყებოდა, ახლა კი მან თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია. მაგრამ მაინც გლახების ძირითადი მასა წარმოადგენდა წერილ მესაკუთრეებს, თუმცა ისინი მოხედნენ კიდევ ევპატრიდების კაბალაში დაეალიანების წყალობით.

ფულადი მეურნეობის ზრდამ უპირატესად აგრარულ ურთიერთობის პირობებში გამოიწვია მეევანშეობის დიდი განვითარება. მეევანშეებად იყვნენ ევპატრიდები. ვერ ჰესიოდესვე აქვს ჩივილი ვალების გამო. ბუნებრივია, რომ ეკონომიურად უფრო განვითარებულ ატიკაში სავალო კაბალა VIII ს. ბოლო დროისთვის აღწევს მაქსიმალურ განვითარებას, და წერილი თავისუფალი მწარმოებლების, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფის, არსებობა საფრთხის წინაშე დაყენებული. სავალო სამართალი არაჩვეულებრივ სასტიკი იყო. არისტოტელე და პლუტარქოსი იმას ამბობენ, რომ მოვალეს მონად ხდიდნენ და საზღვარგარეთ ჰყიდდნენ კიდევ.

V.

VII—VI საუკ. ჩვეთლუცია

ამრიგად, მოწინავე ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში (კერძოდ — ატიკაში) VII საუკ.-ში თავი იჩინა ღრმა წინააღმდეგობამ საზოგადოების ფორმასა და მის შინაარსს შორის. ფორმა ჯერ ისევ თვალსაჩინოდ გეაროვნული რჩებოდა: გვარის წარჩინებულთა — ევპატრიდების ძალა-უფლება, მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც გეაროვნული ორგანიზაციები თამაშობდნენ, კერძოდ — ფილები, ქონების თავისუფალი განკარგულების უქონლობა და სხვა. მეორე მხრივ საზოგადოების შინაარსი სულ უფრო და უფრო კლასობრივ ხასიათს ლებულობდა: ჩქარი ნაბიჯით ვითარდებოდა კერძო საკუთრება, ევპატრიდებს შორის განდნენ მსხვილი მესაკუთრე-მიწათმფლობელები, იზრდებოდა მოხატა რიცხვი როგორც უცხოელთა, ისე მონა-მოვალეებისა; დემოსის რიგებიდან დაწინაურდა ვაჭრებისა და ხელოსან-მონათმფლობელების ჯგუფი, რომელიც თავისთვის მოითხოვდა პოლიტიკურ უფლებებს. მაგრამ მომაკვდავი გეაროვნული წყობილების ბორკილები ჯერ კიდევ საკმაოდ აფერხებდნენ საზოგადოებრივ განვითარებას, აყოვნებდნენ ბერძნულ საზოგადოების წმინდა კლასობრივ საზოგადოებად გარდაქცევას, ხელს უშლიდნენ ნამდვილ სახელმწიფოს შექმნას. წინაკლასობრივ ფორმასა და კლასობრივ შინაარსს შორის წინააღმდეგობა შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მარტო საზოგადოებრივი აფეთქებით, მარტო რევოლუციით. „ახლად წარმოქმნილ საზოგადოებრივ კლასების შეჯახება, მშობს ენგელსი, „ოჯახის... წარმოშობაში“, — აფეთქებს ძველ საზოგადოებას, რომელიც დანდობილი იყო გეაროვნულ კავშირებზე...“ (ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, ტფ., ქართ. გამოცემა 1932 წ., გვ. 2).

რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა უმიწაწყლო, კაბალის უღელში გაბმული და მონად ქცეული გლეხობა. მაგრამ მოძრაობის სათავეში იღვნენ, როგორც ჩანს, საქალაქო ელემენტები: ახალი ვაჭრები, რომელნიც არისტოკრატიული წრიდან იყვნენ გამოსულები, შეძლებული ხელოსნები. მოძრაობას ჩამოდენიმედ ემხრობოდა აგრეთვე ევპატრიდების მემარცხენე ფრთაც.

არისტოკრატიის მემარცხენე ფრთა წარმოიქმნა მის იმ ჯგუფებისგან, რომელნიც ფულადმა მეურნეობამ ჩაითრია და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულინი ძველი პრივილეგიური მდგომარეობის დაცვა-შენარჩუნებით. ამ ფრთას

უპირისპირდებოდა ევპატრიდების მემარჯვენე დაჯგუფებას. რომელიც მაგ-
ჩად ებლაუტებოდნენ თავის ძალა-უფლებას და პრივილეგიებს. არისტოკრატის
ასეთი დაშლა ფენებად ასუსტებდა მის წინააღმდეგობას და ხელს უწყობდა
რევოლუციონური მოძრაობის ზრდას. ამ ეპოქის მთელი რიგი რეფორმები ჩა-
ტარებული იყო მემარცხენე ფრთის თაოსნობით, რომელიც უფრო განწყობილი
იყო დაეთმო: დემოსისათვის, დათმობაზე წასულიყო, ვიდრე მემარჯვენეები.
მაგრამ, რასაკვირველია, არისტოკრატის მემარცხენე დაჯგუფების პოზიციე-
თი შემთანხმებლური იყო. ეს მემარცხენე ჯგუფები ამკარად არა დგებოდნენ
რევოლუციონური მოძრაობის მხარეზე და უკეთეს შემთხვევაში დათმობაზე,
კომპრომისზე წასვლას შესძლებდნენ, მაგრამ მაინც თავისი სოციალური ბუნე-
რით რჩებოდნენ კვლავინდებურად არისტოკრატიულ ჯგუფებად. არისტოკრა-
ტიის ამ გადაგვარებული ნაწილის უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვ-
ლებოდა ალკმეონიდების გვარი, რომელიც ზემოთ იყო მოხსენებული.

ამასთანავე ევპატრიდების მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა ცნობილი რე-
ფორმატორი სოლონი.

ჯერ VII საუკუნეშივე ზოგიერთი ფაქტის მიხედვით შეიძლება გვეფი-
ქნა, რომ ევპატრიდებს შორის რაღაც გათიშვა, რაღაც განხეთქილება იწყება,
რომ მათი მბრძანებლობა და ბატონობა შეირყა. ამ განხეთქილების ილუსტრა-
ციას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „კილონის შეთქმულება“. კილონს, ჩამო-
შავლობით არისტოკრატს, ცოლად ჰყავდა მეგარის ტირანის თეაგენეს ქალო-
როგორც ოლიმპიის ასპარეზობაში გამარჯვებული, იგი ათენში დიდი პოპულა-
რობით სარგებლობდა; აი ამ კილონმა განიზრახა ძალა-უფლების ხელში ჩაგდე-
ბა და ამ საქმეში ის ემყარებოდა თავის თანამოაზრეთა ჯგუფს. როცა ოლიმ-
პიაში თავისი გამარჯვების წლისთავის გამო კილონი, იმ დროინდელი ჩვეუ-
ლების თანახმად, ქალაქს უვლიდა თავისი მეგობრებისა და მომხრეების თანხ-
ლებით, მან ხელთ იგდო აკროპოლისი (ათენის კრემლი). ევპატრიდები უმაღ-
ვე შეიარაღდნენ და აკროპოლისს ალყა შემოარტყეს. კილონმა გაქცევა მო-
ხერხა, ხოლო მისმა მომხრეებმა თავი შეაფარეს საკურთხეველს ქალ-ღმერთ
ათენას ტაძარში. გადასწყვიტეს ისინი შიმშილით დაეხონათ, ბოლოს მათ
განაცხადეს — თანახმანი ვართ დაგნებდეთ, თუ კი ჩენი სიცოცხლე ხელშეუ-
ხებელი იქნებაო. ათენას ტაძრის გარემომცველი ევპატრიდები, მეგაკლეს, ალ-
კმეონიდების გვარის უფროსის, მეთაურობით, დაჰპირდნენ შეთქმულებს —
სიცოცხლეს გაჩუქებთ, თუ კი დაგნებდებითო. ისინი დაენდნენ შეპირებას,
გამოვიდნენ ტაძრიდან, მაგრამ იქვე იქმნენ მოკლულნი.

ამ მონათხრობში ბევრი რამაა ლეგენდარული, მაგრამ ცდა შეთქმუ-
ლობისა, განუსაზღვრელი ძალა-უფლების („ტირანის“) ხელში ჩასაგდებად
რომ მოაწყეს, ექვს გარეშეა. კილონის მარცხი, ცხადია, იმით აიხსნება, რომ მას
არ ჰქონდა დასაყრდენი დემოკრატიულ მასაში. აი რატომ განიცადა მარცხი
პისისტრატეს წინამორბედმა. მაგრამ ევპატრიდებისათვის ეს სიმპტომი საბე-
ღისწერო იყო.

კილონის შემდეგ ათენში ჩამოვარდა ხანგრძლივ მღელვარებათა პერიო-
დი. დემოკრატის წარმომადგენლებმა წამოაყენეს მოთხოვნილება სამართლის

კოდიფიკაციისა. სამართალი, სასამართლო ევპატრიდების ხელში იყო, და ისინი ასამართლებდნენ საადათო სამართლის საფუძველზე. დაწერილი სამართალი. დაწერილი კანონები არ არსებობდა. ადვილი გასაგებია, თუ რა თვითნებობა იყო გაბატონებული სასამართლოში. ჯერ ჰესიოდევე, როგორც გვახსოვს, უჩოდა მსაჯულების უსამართლობას და მათ უწოდებდა ძღვენის ჩამტყმელებს. სასამართლო ეს ის ადგილი იყო, სადაც არისტოკრატის თვითნებობა, თავგასულობა უფრო მკვეთრად ჩანდა და უფრო საგრძნობი იყო. ამიტომ არცაა გასაკვირალი, რომ ერთ-ერთ იმ მოთხოვნილებად, რომელიც დემოკრატამ წამოაყენა ევპატრიდებთან ბრძოლის დროს, იყო მოთხოვნილება მომქმედი სამართლის ჩაწერისა.

ჩვენთვის უცნობია ყველა ის გარემოება. რომელიც დაკავშირებულია ამ დაწერილ კანონებისთვის ბრძოლასთან. ჩვენ მარტო ის ვიცით. რომ დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვით 620 წ. არისტექემეს არქონტობის დროს დრაკონს მიანდვეს ჩაეწერა მომქმედი საადათო სამართალი. ამ კანონმდებლობის ნაწყვეტებმა ჩვენამდე მოაღწიეს; ისინი შოწმობენ მის არაჩვეულებრივ არქაულობას, პრიმიტიულობას. კერძოდ იგი ცნობდა გეაროვნულ სამართალს. დრაკონის კოდექსით დადგენილი სასჯელი მეტისმეტად სასტიკი იყო. IV ს. ათენის ორატორი დემადე ამბობდა რომ დრაკონის კანონები სისხლითაა ნაწერიო.

თითქმის ყველა მკვლევარი თანახმაა იმაში, რომ დრაკონს არავითარი ახალი კანონი არ შემოუღია და მან მარტო დაწერა სამართლის ძველი ნორმები, მან მარტო მათი ფიქსაცია მოახდინა. ამას ადასტურებს მისი კანონმდებლობის არქაიზმი. მართალია, მომქმედი სამართლის ჩაწერის ფაქტიც უკვე წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ თითონ სამართალს არავითარი ცვლილებანი არ განუტდია და დემოსის მდგომარეობაც არ გაუმჯობესებულა. დაწებული მოძრაობის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს სოლონის ეგრეთწოდებული რეფორმა.

VI ს. დასაწყისში ატიკაში ბრძოლა ევპატრიდებსა და დემოსს შორის უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ამ ბრძოლის შედეგად 594 წ. სოლონს მიეცა რწმუნება სახელმწიფო წესწყობილების რეფორმის ჩასატარებლად. ათენში მდგომარეობა იმდენად მრისხანე იყო, რომ ევპატრიდები იძულებული გახდნენ სერიოზულ დათმობებზე წასულიყვნენ. სოლონი ყველაზე უფრო შეეფერებოდა მომრიგებელის როლს. თუმც ის რევოლუციონერი არ ყოფილა, მაგრამ მას კარგად ესმოდა აუცილებელი საჭიროება ცვლილებათა შეტანისა სავალ სამართალშია და სახელმწიფოს პოლიტიკურ წესწყობილებაშია. ჩამომავლობით არისტოკრატი, რომელმაც დიდძალი სიმდიდრე შეიძინა სავაჭრო ოპერაციებით, ბევრის მზახველი და განათლებული სოლონი ის პიროვნება იყო, რომელსაც ორივე მებრძოლი მხარე ენდობოდა. მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო „სეისაქთეია“ — „ტვირთის მოხსნა“. ვალი, რომელიც დაედო ატიკის გლეხობის მიწებს, გაუქმებულ იქმნა. ამასთანავე ერთად აკრძალულ იყო შემდეგში ადამიანის მონად გაყიდვა ვალის გადაუხდელობისათვის. ეს ორი ღონისძიება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო სოლონის მთელს რეფორმაში. სეისაქთეის წყალობით და ვალების გულისთვის მონად გაყიდვის აკრძალ-

ვის მეოხებით წერილმა თავისუფალმა მწარმოებელმა, ატიკელმა გლენმა, თავიდან აიცილა მუდმივი შიში და რისხვა მონად გახდომისა.

ამ დროიდან ატიკის განვითარება წავიდა სულ სხვა მიმართულებით. ვიდრე აღმოსავლეთისა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სავალო კაბალა შემდეგში აღარ ყოფილა აღდგენილი. დემოკრატიას საკმაო ძალა შესწევდა იმისი, რომ ეს მონაპოვარი შეენარჩუნებინა და ხელიდან არ გაეშვა.

მეორე, აგრეთვე უალრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ქონებრივი ცენზის შემოღება. ძნელია თქმა, ქონებრივი ცენზის შემოღებით სოლონს სრულიად ახალი წესწყობილება შემოჰქონდა თუ ის მარტო ფიქსაციას ახდენდა იმ მდგომარეობისას, რომელიც მის დრომდეც არსებობდა. საცილობელია აგრეთვე ცენზის პრინციპის საკითხიც, ე. ი. ის საკითხი, აქ საფუძვლად საადგილმამულო ცენზი ედო თუ რომელიმე სხვა.

გაბატონებული თვალსაზრისი და შეხედულება ბოლოს ისაა, რომ სოლონმა (და ამაშია მისი რეფორმის მეორე მუხლის პრინციპიალური მნიშვნელობა) ბოლო მოუღო სათანამდებო პირების არჩევის ძველ პრინციპებს, ევპატრიდთა გვარისადმი კუთვნილების საფუძველზე რომ ხდებოდა. წინათ ხომ არქონტებსა და არეოპაგს მარტო ევპატრიდების წრიდან ავსებდნენ. მაშასადამე, აქ ძირითად ნიშანს შეადგენდა გვაროვნული მომენტი. წარჩინებულობის ნიშანი. სოლონი ამის ნაცვლად აწესებს ქონებრივ ცენზს, როგორც საფუძველს ამათუიბ სახელმწიფო, კერძოდ სამხედრო. ბეგარა-ვალდებულებისას. ე. ი. სხვა ნაირად რომ ითქვას, ამათუიბ ქონებრივ ჯგუფისადმი, სოლონმა რომ შემოიღო, კუთვნილების საფუძველზე მოქალაქეებს ჰქონდათ ესათუიის პოლიტიკური უფლებები და ესათუიის მოვალეობანი. მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულება ამბობს იმას, რომ სოლონმა ოთხი ქონებრივი ჯგუფი დააწესა:

1) პენტაკოსიომედიმნიანები — „ხუთას-საწყაოიანები“ („მედიმნი“ — ფხვიერადისა და თხევადის საწყაოა, რომელიც ჩვენებურ საწყაოზე გადატანით უდრის დაახლოვებით 52 ლიტრს); ესენი იყვნენ მიწის მესაკუთრენი, რომელთაც თავიანთ მინდვრებიდან წელიწადში მოსდიოდათ არა ნაკლებ 500 მედიმნი ქერისა, ხორბლისა ან ამდენივე თხევადი პროდუქტისა.

2) ტრიაკოსიომედიმნიანები („სამას-საწყაოიანები“), რომელთაც მოსდიოდათ წელიწადში სათანადო პროდუქტები არა ნაკლებ 300 მედიმნისა. მათ კიდევ ეწოდებოდათ „მხედრები“.

ამ ორ ჯგუფს, როგორცა ჩანს, უფლება ჰქონდა ათენში უმაღლესი თანამდებობის დაქერისა, ე. ი. არქონტის თანამდებობა შეეძლოთ მათ დაეჭირათ და ამის გამოისობით არეოპაგშიაც მოხვედრილიყვნენ. შესაძლებელია, რომ ამას გარდა პენტაკოსიომედიმნიანებს უფლება ჰქონდათ ათენის რესპუბლიკის ხაზინადრებადაც ყოფილიყვნენ. პენტაკოსიომედიმნიანებმა და მხედრებმა წარმოქმნეს უმაღლესი ქონებრივი ჯგუფი, რომელსაც ჰქონდა პოლიტიკური უფლებათა მაქსიმუმი.

პენტაკოსიოშემდინიანები მოქალაქეთა ლაშქარში არ მსახურობდნენ, სა-
მაგიეროდ ისინი მოვალენი იყვნენ სხვადასხვა-რამ ხარი გაეღოთ და ნატური-
თაც შეეტანათ სახელმწიფოს სასარგებლოდ, მაგალითად, ისინი ვალდებულნი
იყვნენ თავიანთი ხარჯით აეგოთ გემები.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, უნდა ითქვას, რომ თითონ სახელწოდება
„მხედრები“ გვიჩვენებს, რომ ისინი მსახურობდნენ ცხენოსან ნაწილში. რატომ
უნდა ემსახურნათ მდიდრებს ცხენოსან ნაწილში? იმიტომ რომ, მონათმფლო-
ბელური ლაშქრის პრინციპის თანახმად, ყოველი მეომარი სამსახურში მოვალე
იყო გამოცხადებულიყო საკუთარი საქურველით და თავიც ერჩინა საკუთარივე
ხარჯით. ამიტომაც ცხენოსან ნაწილში სამსახური, რაიც მოითხოვდა დიდ ხარ-
ჯებს ცხენისა და საკუთარი თავის რჩენისათვის, შეადგენდა უმაღლესი ქონებ-
რივი ჯგუფის მოვალეობას.

3) ზევეგიტები. ამ სახელწოდების წარმოშობა საცილობელია. ყველაზე
უფრო საფიქრებელია, რომ ეს სახელი წარმოიშვა სიტყვა „ზევეგოს“-იდან, რაც
ნიშნავს უღელ ხარს, ერთს უღელ საქონელს. ზევეგიტებს თავიანთი მიწდვრები-
დან წელიწადში შემოსდიოდნენ არა ნაკლებ 200 მედიმნისა. ეს იყო ატიკის
ვლენობის ძირითადი მასა, მოქალაქეთა ძირითადი ბირთვი. საშუალო მონათ-
მფლობელური კლასის ძირითადი მასა. ეს ჯგუფი მსახურობდა ქვეითა ლაშ-
ქარში ანუ ჯარში და შეადგენდა ათენის მძიმედ შეიარაღებულთა (პოპლიტე-
ბის) ლაშქარს.

ზევეგიტები შეიძლებოდა აერჩიათ სოლონის დროს დაარსებულ ოთხასის
საბჭოში, შეიძლებოდა აერჩიათ სასამართლოში ნაფიცებად და უფლებაც
ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრებებსა ანუ ყრილობებში. მაგ-
რამ მათ არეოპაგში გზა შეკრული ჰქონდათ და არც არქონტებად შეეძლოთ
არჩეული ყოფილიყვნენ.

4) თეტები, მოჯამაგირეები, წარმოადგენდნენ მეოთხე საზოგადოებრივ
ჯგუფს. ამ ჯგუფს შეადგენდა ყველა ის, ვისაც წელიწადში შემოსავალი ჰქონ-
და 200 მედიმნზე ნაკლები. თეტებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ
მარტო სახალხო კრებებსა ანუ ყრილობებში და ნაფიცთა სასამართლოში.
ოთხასის საბჭოში მონაწილეობის უფლება მათ არ ჰქონდათ, არც არქონტებად
შეიძლებოდა არჩეულიყვნენ და არც არეოპაგში მონაწილეობის უფლება
ჰქონდათ.

სოლონის კონსტიტუციას ჰქონდა დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა.
იგი სასიკვდილო მანხილს სცემდა გვაროვნულ წყობილებას, რადგან პოლიტი-
კურ უფლებებს იგი, კონსტიტუცია, უკავშირებდა არა ჩამომავლობას, არამედ
ქონებრივ მდგომარეობას. პოლიტიკურ-უფლებათა მოცულობა შეესაბამებოდა
ქონების რაოდენობას; რაც უფრო მეტი ჰქონდა შემოსავალი მესაკუთრეს,
მით უფრო მეტი უფლებით იყო იგი მოსილი. მაგრამ ამაშივე ჩანს მთელი
კონსტიტუციის დათმობითი, კომპრომისული ხასიათი.

სოლონის რეფორმის შემდგომი მომენტები ეხებოდა სახელმწიფოებრივ
წესწყობილებას. ჩვენი წყაროები ამ შემთხვევაში აღარ იძლევიან ნათელსა და
აბსოლუტურად სანდო ცნობებს. სავსებით ბუნებრივია, რომ სოლონს უნდოდა

შექმნა მთელი რიგი ისეთი დაწესებულებები, რომელნიც სახელმწიფოებრივ ორგანოებად უნდა გამხდარიყვნენ, განსასხვავებლად გეაროვნული წყობილების ძველი ინსტიტუტებისგან.

უაღრესად მნიშვნელოვანი დაწესებულება, რომელიც დააარსა, როგორც ჩანს, სოლონმა, იყო ოთხასის საბჭო. მას ირჩევდნენ ოთხ ფილეში, ან-ან კაცს თითო ფილეში, და იგი წარმოადგენდა სახელმწიფო საბჭოს მინაგვარ დაწესებულებას. მისი ფუნქციები მრავალფეროვანი იყო, ოღონდ ამ ეპოქაში ჩვენთვის არა საგნებით ნათელი და გარკვეული. უფრო საფიქრებელია და დასაჯერებელი, რომ ოთხასის საბჭო ისმენდა თანამდებობის პირთა ანგარიშებს და საქმეებს შეამზადებდა ხრამე სახალხო ყრილობებისთვის; შესაძლებელია, რომ იგი ამტკიცებდა სახალხო ყრილობების თუ კრებების გადაწყვეტილებათ.

სოლონმა არეოპაგი დასტოვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძველ დაწესებულებას წარმოადგენდა და იყო გეაროვნული ევპატრიდების წარჩინებულთა და უპირატესი წრის დასაყრდენი. არეოპაგის დატოვება ტიპიურია სოლონის კომპრომისის ცხადსაყოფად: არეოპაგი დარჩა, როგორც უზენაესი საკონტროლო ორგანო. გარდა ამისა მან შეინარჩუნა სამსჯავროს მნიშვნელობა ბოროტმოქმედებათა და დანაშაულთა გარკვეულ კატეგორიებისათვის.

რაც შეეხება არქონტებს, უნდა ითქვას, რომ, როგორც ჩანს, სოლონმა მას მეტი კოლეგიალობა მისცა. სოლონამდე თვითეული არქონტი ავტონომიურად განაგებდა გარკვეული წყებისა და ხასიათის საქმეებს. ახლა კი სოლონმა შემოიღო კოლეგიალური გადაწყვეტილების პრინციპი.

არქონტებს კვლავინდებურად ირჩევდნენ ფილეების მიხედვით; ყოველი ფილე ირჩევდა 10 კანდიდატს, შემდეგ მთლად 40 კაცისგან კენჭის ყრით 9 არქონტი ინიშნებოდა. იყო შემოღებული არჩევნების ასეთი წესი სოლონის მიერ თუ მან მარტო ფიქსაცია მოახდინა მანამდე უკვე არსებული წესისა, ამის თქმა ძნელია.

წყაროებში არის ისიც აღნიშნული, რომ სოლონმა მოაწყო აგრეთვე სახალხო სასამართლოები, ეგრეთწოდებული დიკასტერიონები. მათ ფუნქციებს გვიანდელი დროისას ჩვენ კარგად ვიცნობთ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა საქმეებს არჩევდნენ დიკასტერიონები სოლონის დროს და როგორ იქმნებოდა ეს დიკასტერიონები.

ასეთია სოლონის ღონისძიებანი, რომელთაც შექმნის ისეთი სახელმწიფოებრივი წესწყობილების საფუძვლები, სადაც ახალთან ერთად შერჩენილ იქმნა წარსულის გადანაშთებიც.

სოლონმა ჩაატარა კიდევ ერთი ღონისძიება, რომელსაც აქვს უაღრესად დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა: მან დააწესა უშვილოთა მიერ ანდერძის დატოვების თავისუფლება. ძველი უფლებისა და სამართლის მისეღვით უშვილო ადამიანს, უძეოს, რომელსაც არ ჰყავდა პირდაპირი მემკვიდრეები, არ ჰქონდა უფლება თავისი საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ განეგობის შემდეგ დარჩენილი ქონება. ქონება გადადიოდა არაპირდაპირი, გვერდითი ბაზით ჩამომავალ მემკვიდრეების ხელში და ასე იყო თუ ისე ისევ გვარშივე.

უნდა დარჩენილიყო (ესაა ქონების გეაროვნული დამკვიდრების თუ შემკვიდრების პრინციპი).

სოლონმა კი უშვილო პირებს ნება მისცა თავიანთი ქონება ანდროძით იმისთვის დაეტოვებინათ, ვისთვისაც სურდათ. ამ კანონით მახვილი ჩაეცა გეაროვნული საკუთრების იმ გადანაწილებს, რომელნიც აბრკოლებდნენ ინდივიდუალური კერძო საკუთრების განვითარებას.

შემდეგ აუცილებლივ საჭიროა კიდევ აღენიშნოთ ეკონომიური ხასიათის ერთი ღონისძიება სოლონისა. სოლონამდე ატიკაში გაბატონებული იყო ეგინის ფულის სისტემა. სოლონმა იგი შესცვალა ეგების ფულისა თუ მონეტის სისტემით. რასაკვირველია, ეს ცვლილება არ იყო პრინციპიალური ხასიათისა. მაგრამ იგი იმას ნიშნავდა, რომ ათენის სავაჭრო ინტერესები რამოდენიმედ მაინც იცვლებოდა. საქმე ისაა, რომ ეგინის სამონეტო სისტემა გაბატონებული იყო ეგოსის რაიონის სამხრეთ ნაწილში, ხოლო ეგების სისტემა გავრცელებული იყო ჩრდილოეთ ნაწილში. ის ფაქტი, რომ ათენმა ეგინის სისტემა ეგების სისტემით შესცვალა, იმას ლაპარაკობს, რომ მისი სავაჭრო ინტერესები იწყებნ გადანაცვლებას ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით; ეს გადანაცვლება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ათენმა თავისი სავაჭრო და კოლონიალური პოლიტიკა დაიწყო იმ სრუტეების მიმართულებით, რომელთაც შავი ზღვისკენ მიეყვებოდა.

სოლონმა ჩაატარა კიდევ მთელი რიგი ეკონომიური ღონისძიებანი. ისტორიული ტრადიცია ლაპარაკობს, რომ ის ახალისებდა ხელოსნობის განვითარებას, კერძოდ, ატიკაში იზიდავდა უცხოელ ოსტატებს და ნედლეულის გაზიდვას კრძალავდა. ეს ღონისძიებანი მოწმობენ იმას, რომ ატიკაში VI საუკ. დასაწყისში ხელოსნობამ დაიწყო სწრაფი განვითარება და რომ სოლონმა ხელოსნობის წახალისების მიზნით ჩაატარა თავისებური „პროტექციონიზმი“.

მიუხედავად სოლონის რეფორმის რადიკალური ხასიათისა, ის მაინც წარმოადგენდა წარჩინებულთა მხრივ დაშვებულს იძულებით დათმობათა შედეგს და არ იყო იგი ჩატარებული გამარჯვებული დემოკრატიის მიერ. ეს ამტკიცებს სოლონის კონსტიტუციის საცენზო ხასიათს. ქონებრივი ცენზი იურიდიულადაც და ფაქტიურადაც უმაღლეს პოლიტიკურ უფლებებს უზრუნველსპყოფდა საზოგადოების მარტო შეძლებული ზედაფენისთვის. საადგილ-მამულო ცენზი პოლიტიკურ უფლებებს ართმევდა ყველა იმას, ვისაც მიწა არ ჰქონდა. ლიტერატურაში ჯერ კიდევ დავა და კამათია იმაზე, აღნიშნულ ჯგუფებთან საზოგადოების დანაწილებას სოლონმა საფუძვლად მართლა კი დაუდო მიწის საკუთრება თუ არა. იყო გამოთქმული აზრი, რომ, მაგალითად, პენტაკოსიომოდიმნიანების რიცხვს ეკუთვნოდნენ არა მარტო ის მიწის მესაკუთრეები, რომელთაც შემოსდიოდათ 500 საწყაო ქასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა. არამედ ყველა ის ფულადი ქონების მფლობელნიც; რომელთა ფულადი ქონება იძლეოდა 500 საწყაო მარცვლის ღირებულის თანასწორ. შემოსავალს. მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ასე გაფართოვებით განვმარტოთ სოლონის რეფორმები. საისტორიო ტრადიცია არავითარ საფუძველს არ იძლევა ასეთი ახსნა-განმარტებისა და გაგებისათვის. წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ

ცენზს საფუძვლად ედო მიწის საკუთრება. სწორედ საადგილმამულო ანუ მიწის ცენზის შენახვა-შენარჩუნება ამტკიცებს, რომ არისტოკრატია ცდილა შეენარჩუნებინა მაქსიმუმი იმისა, რაც კი შესაძლებელი იყო. ამაზე ლაპარაკობს არეოპაგის დატოვებაც.

სოლონი იყო არა მარტო დიდი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ პოეტიც. სოლონის ელეგიებმა ნაწილობრივ მოაღწიეს ჩვენ დრომდე. ამ ელეგიებიდან ჩანს, რომ იგი თავის მოღვაწეობას უყურებდა, როგორც „ზეკლასობრივს“. თითონაც და ის პირნი, რომელნიც მას გარს ეხევივნენ, მასში ხედავდნენ ისეთ ადამიანს, რომელსაც უნდა ერთმანეთში მოერიგებინა სხვადასხვანაირი ინტერესები. აი სოლონის სიტყვები: „დავდექე მე და ჩემი ძლიერი ფარი განვაფრცე ერთსა და მეორეზე და არავის ნება არ მივეც სხვა უმართებულოდ. უსამართლოდ დაემარცხებინა“, ესაა ტიპიური შემთანხმებლური ხაზი.

მეორე ნაწყვეტი სოლონის ელეგიიდან უფრო საგულისხმიერია: „ვინც იმიტომ მოვიდა, რომ ძარცოს, აღსავე იყო მდიდარ იმედებით; და ყველა მოულოდა, რომ იქ დიად სიმდიდრეს იპოვიდა... ცუდად კი უფიქრიათ იმათ. ახლა კი ისინი გაჯავრებულნი არიან, ყველა აღმაცერად მიყურებს. როგორც მტერს... ხნედ და ხასიათად არა მაქვს რამე გავაკეთო ტირანის ძალით, რომ საქმობლო მიწა-წყალში, მდიდარ ქვეყანაში, მდარეთა და კეთილშობილებსაც თანასწორი წილი ჰქონოდათ“.

აქ ნათლად გამოსჭვივის სოლონის რეფორმის კლასობრივი ხასიათი. რომელსაც მიზნად ჰქონდა „კეთილშობილთა ხედრის“ დაცვა. სოლონი აქ გადაკრულად, ნართაულად ლაპარაკობს იმას, რომ დემოკრატიის რადიკალური ელემენტები, კერძოდ გლეხობა, აყენებდნენ ისეთ ლოზუნგს, რომელიც ანტიკური დროის განმავლობაში ყოველთვის იყო აგრარული რევოლუციის ძირითადი ლოზუნგი: მიწის გადამიჯვნა.

ანტიკური დემოკრატიის მეორე საბრძოლო ლოზუნგი იყო ვალების ლიკვიდაცია. ვალების ლიკვიდაცია სოლონი იძულებული იყო გაეტარებინა. მაგრამ კონფისკაცია და გადამიჯვნა კი მიწებისა აღარ განაზოცრეულა და ამით მან იმედები გაუცრუა იმათ, ვინც, მისი საკუთარი თქმა რომ ვინმართ. „მოვიდა იმიტომ, რომ ძარცოს“.

მთელი ამ ნაწყვეტის, სოლონის ელეგიიდან რომაა, კლასობრივი აზრი სავესებით ნათელია.

სოლონის რეფორმამაც, როგორც ყოველი კომპრომისი იწვევს ხოლმე, გამოიწვია საერთო უკმაყოფილება. ევპატრიდები უკმაყოფილონი იყვნენ იმისი, რომ აღსასრული დაუდგა მათ განუსჯელს და უცილობელ ბატონობას, რადგან ცენზის შემოღება უპირატესობას აკუთვნებდა საერთოდ მდიდრებს და არა მარტო ევპატრიდებს. დემოსი იმის უკმაყოფილო იყო, რომ შესრულებულ და დაკმაყოფილებულ იქნა მარტო ერთი ნაწილი მისი მოთხოვნილებისა. მიწების თვალსაჩინო ნაწილი ისევ ევპატრიდების ხელში რჩებოდა; მართალია, გლეხების მიწებს ვალები მოეხსნა, მაგრამ გლეხების ახალი დავალიანების წანამძღვრები მაინც დარჩა. დემოსი იმისი უკმაყოფილო იყო, რომ ის აღმოჩნდა მკრთად მნიშვნელოვან პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული, რადგან მის წარ-

მომადგენლებს არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ არჩეულნი ათენის რესპუბლიკაში უმაღლეს თანამდებობებზე. ამიტომაც სოლონის რეფორმამ არა თუ ვერ შეაჩერა ბრძოლა, არამედ ცეცხლს ნავთი გადაასხა, როგორც საერთოდ ყოველთვის ემართება ხოლმე ასეთ კომპრომისულ რეფორმებს.

სოლონის შემდეგ კვლავ იფეთქა გაშმაგებულმა კლასობრივმა ბრძოლამ. 589-სა და 584 წლებში არქონტების არჩევნები ვერ ჩატარდა: ბრძოლა იმდენად მწვავე იყო, რომ ხელისუფლების ისეთმა უაღრესად მნიშვნელოვნმა ორგანომ, როგორც არქონტების კოლეგია, ვერ შესძლო მოქმედება. თავის ფუნქციათა შესრულება.

წყაროები აღნიშნავენ, რომ 583-582 წლებში არქონტი დამასია შეეცადა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცდა მარცხით გადაეხვეწა.

581 წ. დემოსსა და ევპატრიდებს შორის მოხდა საკომპრომისო შეთანხმება: ამ წელს გადასწყვიტეს არა 9 არქონტის არჩევა, როგორც ეს ჩვეულებრივად იყო ხოლმე, არამედ 10-სა, აქედან 5 არქონტი უნდა არჩეულიყო ევპატრიდების მხრივ, ხოლო მეორე 5 არქონტი დემოსის მხრივ. შეთანხმებისა და ერთი ზედმეტი არქონტის თანამდებობის დაწესების ფაქტი უკვე ლაპარაკობს იმაზე, რომ რაღაც დროებითი პოლიტიკური წონასწორობა ჩამოვარდნილა.

სოლონის შემდგომ დროინდელ პერიოდში ატიკაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამი „პარტია“, რომელთა შესახებ ლაპარაკობენ არისტოტელეც და პლუტარქოსიც.

არისტოტელე „ათენელთა სახელმწიფო წყობილებაში“, მე-13 თავში, ასე აგვიწერს იმ მდგომარეობას. რომელიც ატიკაში დამყარდა სოლონის შემდეგ:

„სულ იყო სამი პარტია: ერთი იყო მონაპირეებისა (პარალიები), რომლებსაც მეთაურობდა მეგაკლე, ალკმეონის ძე, და რომლებიც, როგორც ჩანდა, უფრო საშუალო, ზომიერი პოლიტიის მიმდევარნი იყვნენ; მეორე იყო ვაკელთა პარტია (პედაიკები), რომელნიც ოლიგარქიული წყობილებისკენ მიისწრაფოდნენ; მათ ხელმძღვანელობდა (წინამძღოლობდა) ლიკურგე; მესამე იყო მისის მცხოვრებთა პარტია (დიაკრიები), რომლის სათავეში იდგა პისისტრატე, რომელიც ყველაზე უფრო დემოკრატიულად განწყობილი ჩანდა... თვითეული პარტია თავის სახელს ატარებდა იმ ადგილებში მიხედვით, სადაც ის ბინადრობდა (მიწას ამუშავებდა)“.*

თითქმის იმასვე ამბობს პლუტარქოსი სოლონის ბიოგრაფიაში:

„მოქალაქეები პარტიებად იყვნენ დანაწილებულნი. პარტიები იმდენივე იყო, რამდენიც იყო ერთმანეთში ტოპოგრაფიული პირობებით განსხვავებული ადგილი ქვეყანაში. დიაკრიები უკიდურესი დემოკრატიის მიმდევარნი იყვნენ, პედაიკები — უკიდურესი ოლიგარქიისა, მესამეებს კი, პარალიებს, სურდათ ჰქონოდათ მმართველობის საშუალო, ნარევი ფორმა“.

რაზეა აქ ლაპარაკი? იმაზე, რომ ატიკის გეოგრაფიული სტრუქტურის შესაბამისად და მის სხვადასხვა ნაწილებში ვაქრობისა და მრეწველობის განე-

* ციტატი ამოღებულია ოდნავი ცვლილებით არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილებიდან“ პროფ. ნ. ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებული თარგმანით. ქუთაისი, 1935, გვ. 16

თარების ხარისხის შესაფერისად, მოსახლეობა დაიყო სამ ჯგუფად, რომელთაც სამი პარტია შეადგინეს, თავ-თავიანთი გარკვეული პროგრამებით. ეს ჯგუფები არ უნდა გვესმოდეს განვითარებული პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობით. ეს უფრო იყო გარკვეული მიმდინარეობანი, რომელთაგან თვითეული აყენებდა გარკვეულ პოლიტიკურ მოთხოვნილებებს.

პირველ პარტიას შეადგენდნენ ატიკის იმ ვაკის, უფრო ნაყოფიერი ნაწილის, მცხოვრებნი, რომელიც ათენს გარშემო ერტყა და სადაც მდებარეობდა ევპატრიდების მამულები. ამ ჯგუფს პელიაკები ეწოდებოდა, ე. ი. ვაკის მცხოვრებლები. ისინი ოლიგარქიულად იყვნენ განწყობილნი და მიისწრაფოდნენ სოლონის წინანდელი დრო დაებრუნებინათ.

მეორე პარტია — პარალიები — ზღვის სანაპირო ზოლის გაყოლებაზე მცხოვრებთაგან იყო შემდგარი. აქ უმთავრესად ცხოვრობდა მოვაჭრე და მრეწველი ხალხი. აქ იყო ახალ დემოკრატიულ ვაჭართა წრისა და ძველი არისტოკრატიული წრის მოქმედების არე; აქვე ბინა დაიდო მრავალმა სხვადასხვა ჯურის წერილმა ხალხმა, რომელიც ნავსადგურებში მუშაობდა, ფლოტში მსახურობდა, წვრილმა ვაჭრებმა, ხელოსნებმა, დაქირავებულმა მუშებმა, მტვირთავეებმა და სხვათ. პარალიებს ეწოდათ ზომიერ-დემოკრატიული მმართველობა; მათ სათავეში ედგა ალკმეონიდი მეგაკლე. ალკმეონიდებს, ძველ არისტოკრატიულ გვარს, არ შეეძლოთ რევოლუციისკენ მისწრაფება, უკიდურეს შემთხვევაში იმათ შეეძლოთ მარტო მხარი მიეცათ სოლონის რეფორმისათვის. აი რატომ იყო ის პარტია, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, თუმცა იქ დაბალი დემოკრატიის ელემენტებიც მოიძებნებოდნენ, ძირითადად მაინც ზომიერი პარტია და, აშკარაა, აღარ სცილდებოდა სოლონის მიერ დადგენილ ჩარჩოებს.

ბოლოს, იყო მესამე პარტია, „მთიელების“ პარტია, დიაკრიების პარტია; „მთიელები“ ცხოვრობდნენ ატიკის ყველაზე უფრო ნაკლებ ნაყოფიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ნაყოფიერი და მოსავლიანი მიწები ხელთ ჩაგდებული ჰქონდა არისტოკრატებს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთში გლეხები იყვნენ შედევნილნი. სწორედ ამ დიაკრიების წრისგან მომდინარეობდა მიწების გადამიჯვნისა და ვალების ლიკვიდაციის ლოზუნგები. მათ ხელმძღვანელობდა პისისტრატე.

ეს უკანასკნელი იყო ათენში ეგრეთწოდებული ტირანიის დამფუძნებელი. ტირანებს იცნობდა მთელი რიგი სხვა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები, სადაც კლასობრივი ბრძოლა უფრო ადრე გადიშალა, ვიდრე ათენში (VII ს.-ში). მაგრამ პისისტრატეს ტირანიაზე ჩვენ უფრო მეტი-რამ ვიციოთ და ამიტომაც ჩვენი მონათხრობი მისით დავიწყეთ.

ტირანიის შესახებ ბერძნულ საისტორიო ტრადიციაში ორი აზრი არსებობს: ერთი — სასტიკად უარყოფითი მეორე — დადებითი. ასეთი სხვაობა ტირანიის შეფასებაში საუკეთესოდ ამტკიცებს მის გარკვეულ კლასობრივ ხასიათს: ცხადია, რომ ვილაციისთვის ის ხელსაყრელი იყო, ხოლო ვილაციისთვის კი არა.

სიტყვა „ტრანის“ იმ აზრით და მნიშვნელობით, როგორც მას ხმარობდნენ ბერძნები VIII-VI საუკ.-ში, ალარა აქვს ის იერი, რომელსაც ჩვენ ახლაც კუთვნიან ჩვეულებრივ: იერი რალაც აშკარად უარყოფითი-რამისა, მოძალეობითისა. ერთი სიტყვი—რალაც ანტიდემოკრატიული-რამისა. საბერძნეთში თავდაპირველად ტრანს იმ ადამიანს ეძახოდნენ, რომელიც უკანონოდ ჩაიდებდა ხელთ ძალა-უფლებას სახელმწიფოში, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იყენებდა იგი ამ ხელისუფლებას და ვისი ინტერესების სასარგებლოდ წარმართავდა მას. VIII-VI საუკ.-თა ბერძენ ისტორიკოსების უმრავლესობა, წინააღმდეგ სიტყვა „ტრანის“ თანამედროვე გაგებისა და მნიშვნელობისა, ატარებდა დემოკრატიულ პოლიტიკას.

ამრიგად, დიაკრიების წინამძღოლად იყო პისისტრატე, ჩამომავლობით ევპატრიდი. მას არაჩვეულებრივ ჰქონდა სახელი განთქმული მისი სამხედრო დიდების წყალობით. მან თავი ისახელა მეგარასთან ათენის ომის დროს. მეორე მხრივ, მისმა დემოკრატიულმა, უფრო მართებულად რომ ითქვას, მისმა დემაგოგიურმა პოლიტიკამ მას მოუპოვა გლეხური დემოკრატიის ფართო წრეების სიმპათიები.

რაკი პისისტრატემ იცოდა თავისი პოპულარობა ხალხში, გადასწყვიტა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მან მოიპოვა სახალხო კრებისგან ნებართვა თავის ვარშემო ჰყოლოდა შეიარაღებულთა რაზმი მისი პირადი დაცვისათვის იმის მომზადებით, რომ არისტოკრატებს ჰქონდათ განზრახვა მისთვის სიცოცხლის მოსწრაფებისა. ძალიანაც შესაძლებელია, რომ არისტოკრატებს მართლაც უნდოდათ მისი მოკვლა. ყოველ შემთხვევაში პისისტრატემ ოსტატურად გამოიყენა ეს ნამდვილი თუ ვითომთი ბოროტი განზრახვა. პისისტრატესადმი მოწყალედ განწყობილი ტრადიციაც კი იმას ლაპარაკობს, რომ იგი თავისი მიზნების განსახორციელებლად მიმართავდა ხოლმე სხვადასხვა ოსტატურ ხერხებს.

ასე იყო თუ ისე, სახალხო კრება ერწმუნა თავდასხმისა ანუ ბოროტ განზრახვის ამბავს და პისისტრატეს ნება დართო თავდაცვის მიზნით ჰყოლოდა პირადი რაზმი 60 კაცის რაოდენობით. მან თვითნებურად გაზარდა რაზმის რიცხვი და მისი დახმარებით 560-წ. ხელთ იგდო აკროპოლისი.

ასე დაიწყო პისისტრატეს მმართველობა ათენში. მაგრამ მისდამი მტრულად განწყობილი პარტიები (პელიაკები და პარალიები) ლიკურგესა და მეგაკლეს ხელმძღვანელობით გავრთიანდნენ და 555 წ. პისისტრატე გააძევეს. ამის შემდეგ მან ხუთი. წელიწადი გაატარა გაძევებულმა.

მისი გაძევებაში ანუ ექსორიაში ყოფნისას მოხდა შემდეგი. დროებით შეკავშირებულმა არისტოკრატებმა და ზომიერმა დემოკრატებმა ხელახლა გააჩაღეს ერთმანეთს შორის ბრძოლა. ეს გამოიყენა პისისტრატემ და კავშირი დაიჭირა პარალიებთან, მეგაკლესთან. შეკავშირების ნიშნად პისისტრატემ პირობა მისცა, რომ ცოლად მეგაკლეს ქალს შეერთავდა. 550 წ. პარალიების დახმარებით მან ხელმეორედ ჩაიგდო ხელთ ძალა-უფლება.

გადმოცემა მოგვითხრობს იმ ოსტატურ ხერხს, რომელიც პისისტრატემ ჩაიდინა მეორე გადატრიალების წინ. ათენში იყო ქალიშვილი ფიე, მეტად

ენ-მაღალი და არაჩვეულებრივი სილამაზისა. პისისტრატეს მომხრეებმა ფიე ჰორთეს ათენა-პალადას ტანისამოსში, დასვეს ეტლში და მოაწყეს პისისტრატეს ზეიმით შესვლა ქალაქში: პისისტრატე უკან მისდევდა ფიეს ეტლს. რომელიც ქალ-ღმერთ ათენას წარმოადგენდა, ხოლო მისი მომხრეები ჰყვიროდნენ: პითონ ქალ-ღმერთი ათენა-პალადა აბრუნებს პისისტრატეს ქალაქშიო. პისისტრატე მშვიდობიანად შევიდა ქალაქში და ხელთ იგდო აკროპოლისი.

ამ ჯერობაზე პისისტრატემ მარტო ერთი წელიწადის გატარება შესძლო ათენში. 549 წ. მეგაკლესთან უსიამოვნების შემდეგ, ის კვლავ გააძევეს. გად-ხოცემის თანახმად, უსიამოვნება იმის გამო მოხდა, რომ პისისტრატემ, თუმცა შეერთო ცოლად მეგაკლეს ქალი, იგი მალე უკან დაუბრუნა მამას. საქმე, რა-საკვირველია, ამაში არ იყო. პარალიებს ეკავათ საშუალებლო მდგომარეობა. ამათ ეშინოდათ არისტოკრატისთან ერთად სვლის და მოქმედებისა. რადგან არისტოკრატები მეთისმეტად მარჯვნივ მიიწევდნენ. ამავე დროს პარალიებს პისისტრატესიც ეშინოდათ, ერიდებოდათ მისი რადიკალიზმისა და, რაც მთა-კარია, — შიში ჰქონდათ გლეხობის იმ მასისა, რომელიც პისისტრატეს მისდევ-და. აი რატომ იყო პარალიების პოზიცია ასე უკიდურესად მერყევი.

ამ ჯერობაზე პისისტრატემ გაძევებაში თუ ექსორიაში გაატარა დაახლო-ვებით 11 წელიწადი. ეს დრო მან იმაზე მოიხმარა, რომ უფრო მეტად გაეძლიე-რებინა თავისი დასაყრდენი დიაკრიებს შორის, ათენის გლეხობაში. ამავე დროს პისისტრატემ კავშირი დასდო ათენთან მტრულად განწყობილ სახელმ-წიფოებთან. ასე, მან კავშირი დაიჭირა თებეს არისტოკრატისთან და კუნძულ ეგებისზე მდებარე ქალაქ ერეტრიის არისტოკრატისთან. ეგების არისტოკრა-ტიას სურდა ათენის გაცამტვერება და პისისტრატეს მისცა ფულები: ამ ფუ-ლით მან თავისთვის იჭირავა მოხალისეთა რაზმი არგოსში.

ამგვარად პისისტრატემ საშხედრო ძალა გაიჩინა, ამ მხრივ თავისი თავი უზრუნველპყო, გლეხობაც მიიმხრო და ერეტრია გაიხადა თავის დასაყრდენ ჰუნქტად; აქედან 538 წ. ის გადმოვიდა მარათონის ახლოს (ესაა ის აგდილი, სადაც შემდეგში მოხდა სახელოვანი, ცნობილი ბრძოლა ბერძნებსა და ირანე-ლებს შორის). გლეხობამ მაშინვე აქეთკენ დაიწყო დენა. გლეხებით და მო-ჭირავენეთა რაზმით იგი შეიჭრა ათენში და ამ ჯერად ძალა-უფლება მტკიცედ იგდო ხელთ. იგი მას შერჩა სიკედილამდე — 527 წლამდე.

ამრიგად 560 წლიდან მოკიდებული 527 წლამდე პისისტრატე ათენს გა-ნაგებდა 17 წელი, ხოლო გაძევებაში იყო 16 წ.

რა პოლიტიკას-ლა ატარებდა პისისტრატე. როცა ძალა-უფლებას დაეპატ-რონა?

მან დასტოვა სოლონიური კონსტიტუციის საფუძვლები. მაგრამ. რად-გან ის თავისი ავტორიტეტით, სახალხო კრებაში რომ ჰქონდა, სარგებლობდა, მას შეეძლო უმაღლეს თანამდებობებზე მისთვის საჭირო ხალხი დაენიშნა: ამ-გვარად, სოლონის კონსტიტუცია ფორმალურად დაცული იყო, ფაქტიურად კი პისისტრატე ერთმპყრობელურად განაგებდა სახელმწიფოს, ვინაიდან ყველა თანამდებობის პირნი — არქონტები და მისთანანი — მისი დადგენილები. მისი დაყენებულები იყვნენ. და მის პარტიას ეკუთვნოდნენ.

პისისტრატეს საშინაო პოლიტიკაში უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელნიც მან ჩაატარა გლეხობის ინტერესების დაცვის მიზნით. რადგან გლეხობა პისისტრატეს მხარს აძლევდა მის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისას, ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ ის გლეხობას თვლიდა თავისი ხელისუფლების ძირითად სოციალურ დასაყრდენად. თუმცა ის არ იყო გლეხობის ინტერესთა გამომხატველი, მაინც მან განახორციელა მთელი რიგი მისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მართალია, გლეხების ძირითადი მოთხოვნილება — მიწების გადამიჯვნა — არ იყო განხორციელებული. წერილმა მესაქუთრეებმა ზოგი-რამ ალბათ მიიღეს, რადგანაც ნაწილი იმ არისტოკრატიისა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი პისისტრატეს მიმართ, მან გააძევა. შესაძლებელია, რომ ამ არისტოკრატიის მიწები ჩამორთმეული იყო და გლეხობას ნაწილობრივად დაუბრუნდა კიდევ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს არ იყო პრინციპალური ღონისძიება, არ იყო მიწის ექსპროპრიაცია.

პისისტრატეს მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად, რომელიც მან ჩაატარა გლეხობის ინტერესების დაცვის მიზნით, უნდა ჩაითვალოს იაფი კრედიტის ორგანიზაცია. პისისტრატე ფართო დახმარებას უწევდა გლეხებს თესლეულით და საქონლით. იაფი კრედიტი რომ არ ყოფილიყო, გლეხებს ფული დიდი სარგებლით უნდა ეშოვათ და ამრიგად ისევ ვალებში უნდა ჩაეცვივებულყვნენ. ამ მხრივ პისისტრატეს დახმარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

წყაროებში არის აღნიშნული, რომ პისისტრატე უღარიბეს მოსახლეობას გადასახადებს უმსუბუქებდაო. რამდენად ორგანიზებული და არა შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა ამ შემსუბუქებას, — ეს ჩვენ არ ვიცით.

გლეხობისთვის მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა მოგზაურ სოსამართლეთა გაჩენა, სასამართლოების ადგილობრივად მოწყობა, ეგრეთწოდებულ „დემებში“. მოგზაური ანუ მოსიარულე მოსამართლეები არჩევდნენ გლეხების წერილ საქმეებს. სასამართლოს მოწყობა დემებში გლეხებს საშუალებას აძლევდა სამუშაოზე ალარ გაცდენილიყვნენ ქალაქში სხვადასხვა წერილ სასამართლო საქმეების გამო წასვლით.

ეს ღონისძიებანი სახსარს მოითხოვდნენ. საიდან შოულობდა პისისტრატე ამ სახსარს? წყაროებს რომ ვერწმუნოთ, მან შემოიღო გადასახადი შემოსავლის ერთი მეოცედისა თუ ერთი მეათედის რაოდენობით.

გარდა ამისა პისისტრატე თავადაც მდიდარი, შეძლებული კაცი იყო. კერძოდ მას ეკუთვნოდა ოქროს მღაროები თრაკიაში და თავისი საკუთარი თანხების თვალსაჩინო ნაწილი შეეძლო დაეხარჯა სახელმწიფო საქიროებაზე, იმ მიზნით, რომ მიეზიდა თავისკენ ხალხის ფართო წრეების სიმპატიები.

პისისტრატეს საგარეო პოლიტიკა დიდი გაქანების, დიდი მასშტაბის პოლიტიკა იყო. მის დროს ათენი, რომელიც მანამდე წარმოადგენდა ერთ-ერთ მორეზნარისხოვან ბერძნულ სახელმწიფოს, ნელნელა გამოდის საერთაშორისო პოლიტიკის ფართო ასპარეზზე. პისისტრატე დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს მთელ რიგ სახელმწიფოებთან, აწყობს ფლოტს და პირველ ნაბიჯებს დგამს კოლონიალურ დაპყრობათა მიმართულებით. პისისტრატეს მმართველობამდე ითენს მონაწილეობა არ მიუღია კოლონიალურ წამოწყებებში.

ტირანიის დროს იგი უკვე მიისწრაფვის განმტკიცდეს სრუტეების და პონტოს მიმართულებით. ბრძოლა დარდაწელისა და ჰელესპონტოს დაუფლებისათვის გადაიქცა ათენის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანად ორი საუკუნის მანძილზე. პონტოსკენ ასეთი სწრაფვის მიზეზები გასაგებია: შავი ზღვის სანაპიროებიდან მოდიოდა პური, რომელიც ატიკას აკლდა. ჰელესპონტოს მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგმული იყო პისისტრატეს დროს. ჰელესპონტში შესავლის ახლოს მან ხელთ იგდო სიკეიონი.

პისისტრატე ცდილობდა თავისი მმართველობისათვის სახელი გაეთქვა და მიზნადაც დაისახა ათენი გადაექცია დიდ ბერძნულ ქალაქად. საისტორიო ტრადიცია მის სახელს უკავშირებს მთელ რიგ ნაგებობათ ათენში, მსხვილი მშენებლობის მიზანი იყო არა მარტო ქალაქის გამშვენიერება, არამედ ისიც, რომ უღარიბეს მოსახლეობას სამუშაო ჰქონოდა და უფრო მეტად განმტკიცებულიყო მისი სიმპათიები ტირანიის მიმართ. პისისტრატემ შესძლო ათენში მიეზიდნა თავის დროის გამოჩენილი მხატვრები და პოეტები, რომელთაც მეტი ბრწყინვალეობა შესძინეს მისი მმართველობის ხანას.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პისისტრატემ მოაწყო სამეცნიერო კომისია, რომელსაც დაეველა შეეკრიფა და რედაქცია გაეკეთებინა მანამდე გაფანტულ და საბერძნეთში სხვადასხვა ვარიანტით გავრცელებულ ჰომეროსეული პოემების ჩანაწერებისთვის. ამით საფუძველი მიეცა თანამედროვე ჰომეროსეულ ტექსტს.

პისისტრატეს დროს ათენში პირველად იწყებენ ტრაგედიების დადგმას. მისი თანამედროვე იყო მწერალი თესპიდე, ტრაგედიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. თეატრის ეს განვითარება იმასთანაა დაკავშირებული. რომ პისისტრატე შფარველობდა ღმერთ დიონისეს კულტს. დიონისეს კულტზე და ბერძნული თეატრის წარმოშობის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვევით მოვილაპარაკებთ. აქ კი საჭიროა მარტო ის აღინიშნოს, რომ საბერძნეთში VI საუკუნეში სოფლის მოსახლეობაში ეს კულტი ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული. პისისტრატემ მას მისცა საერთო-ატიკური და სახელმწიფოებრივი ხასიათი. მოაწყეს დიდი დიონისიური დღესასწაული, რომელსაც შეუფარდეს თეატრალური წარმოდგენებიც.

პისისტრატეს მოღვაწეობის ამ დარგმა მართლაც ათენი დიდ კულტურულ ცენტრად აქცია და მან პისისტრატეს დროს პირველი ადგილი დაიკირა ბერძნულ სახელმწიფოთა შორის.

ყველა ამ ღონისძიებებმა პისისტრატეს მოუპოვეს ფართო თანაგრძნობა ათენის მოსახლეობის დემოკრატიულ ფენებში. ტყუილად კი არ შეიქმნა აზრო, რომ პისისტრატეს დროს ოქროს საუკუნე იყო. მართლაც მისი პოლიტიკა შეესაბამებოდა დემოკრატიის ინტერესებს. კერძოდ — გლეხობის ინტერესებს. როგორი სუბიექტური მიზნებიც არ ჰქონოდა ამ პოლიტიკას, ობიექტურად იგი ყოველ შემთხვევაში წარიმართა ნაწილობრივად გლეხობის სასარგებლოდ, მაგრამ უფრო მეტად — მოსახლეობის მოვაჭრე ჯგუფთა წარმომადგენლების სასარგებლოდ.

პისისტრატეს მთელი მოღვაწეობა: ზრუნვა ფლოტის მოწყობისათვის, კოლნიალური პოლიტიკა, მიდრეკილება ათენის წინა. პირველ ადგილზე გამოყვანისა და ფართო საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობათა — ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ფულადი მეურნეობისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარებას, და მათსადამე, საბოლოო ანგარიშით, მონათმფლობელობას, რომელიც დღით-დღე ვითარდებოდა. ამგვარად, პისისტრატეს პოლიტიკა ობიექტურად, გარეშე მისი სუბიექტური მიზნებისა. იყო პროგრესიული პოლიტიკა. რადგანაც იგი მიმართული იყო მეურნეობის ახალი სისტემის განვითარებისაკენ.

ათენმა პისისტრატეს დროს მიაღწია დიდ საგარეო ძლიერებას და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საერთაშორისო პოლიტიკაში. ასეთმა წარმატებამ იძულებული გახადა მისი მმართველობის მოწინააღმდეგე ოპოზიცია ხმა ჩაეწყვიტა და პისისტრატეც გარდაიცვალა. პატივითა და დიდებით მოსილი 527 წელს.

მისი სიკვდილის შემდეგ ძალა-უფლება გადავიდა მისი სამი ვაჟის — ჰიპიას, ჰიპარქეს და თესალოსის ხელში.

პისისტრატეს შვილებმა, ანუ პისისტრატიდებმა, როგორც მათ ეძახოდნენ. იგრძნეს რა ფეხ ქვეშ მტკიცე ნიადაგი. დაივიწყეს სრულიად თავისი ხელისუფლების წარმოშობის დემოკრატიული ხასიათი. წყაროები გადმოგვცემენ, რომ მათ ათენში გადასახადი შეაწერეს ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა: სახლების მეორე სართულებს, შენობათა ირიბად წამოსულ კუთხეებს და სხვა ამგვარს. ამ მონათხრობში ასახულია საგადასახადო ტვირთის რალაც გაძლიერება. გადიდება.

პისისტრატიდებს გარეგნულადაც სრულიად სხვანაირად ექირათ თავი, ვიდრე მათ მამას. პისისტრატეს შესახებ გავრცელებული ამბები, ხანდახან ანეგდოტური ხასიათისა. ერთ-რამეში მაინც ეთანხმებიან ერთი მეორეს: პისისტრატე სხვასთან მოპყრობა-მოქცევაში სადა იყო და თანაც ისეთი, რომ ადამიანი ადვილად მიუდგებოდა. არსებობს. მაგალითად. ამბავი, რომ თითქოს პისისტრატეს ბრალი დასდეს მკვლელობაში და ის სასამართლოში იყო დაბარებული. პისისტრატე გამოცხადდა. ხოლო მისი ბრალმდებელი შეშინებული აღარ მოვიდა. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ პისისტრატე დაბარებაზე სასამართლოში გამოცხადდებოდა. სულ სხვაგვარად ექირათ თავი პისისტრატიდებს: ისინი ქცევა-ურთიერთობაში ამაყნი იყვნენ და ვერც კაცი მიუდგებოდა მათ.

სავაჭრო არისტოკრატიის წარმომადგენლები პისისტრატეს მმართველობის დროს გაძლიერდნენ და უარყოფითად დაუწყეს ყურება ტირანიას. ჩვენ ვიცით: თუ როგორ ეკიდებოდნენ პისისტრატეს ალკმეონიდები: ისინი ხან მიემხრობოდნენ, ხან კიდევ გაუდგებოდნენ და წინააღმდეგ მიდიოდნენ. რით აიხსნება ასეთი ორმაგი, ორკოფული ხასიათი? იმით, რომ სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებისთვის ტირანია დროებით ხელსაყრელი იყო, რადგანაც იგი მიმართული იყო ძველი საადგილ-მამულო არისტოკრატიის წინააღმდეგ და შესაძლებლობას აძლევდა ვაჭრობას ფართოდ გავრცელებულიყო. მაგრამ მეორე მხრივ ალკმეონიდებს ერჩივნათ ძალა-უფლება მათ ხელში ყოფილიყო. რაც

უფრო მეტ ხანს არსებობდა ტირანია, მით უფრო მეტად ხდებოდა იგი მონარქიის მსგავსი.

ხელისუფლება გადადის პისისტრატეს შვილების ხელში, რომელნიც იქვე განუსაზღვრელი, შეუზღუდავი მმართველები იყვნენ ქვეყნისა, როგორც მათი მამა: მათ შემდეგ ხელისუფლება უნდა გადასულიყო მათი მემკვიდრეებზე, ხელში და ათენში საბოლოოდ მონარქიაც განმტკიცდებოდა, ხოლო VI საუკუნის დასასრულის დროინდელი პოლისის პირობები ოდნავადაც კი არ ყოფილა ხელსაყრელი და მარჯვე მონარქიის დამყარებისათვის. ქალაქ-სახელმწიფოს ბუნება, როგორც მონათმფლობელების კოლექტივისა. რომელიც მკიდრო ჯგუფის სახით ცხოვრობდა ქალაქში, რომელიც აწარმოებდა თითქმის განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობას, აი ასეთი პოლისის ბუნება იმნაირია. რომ იგი გამორიცხავს მონარქიული ხელისუფლების დამყარების შესაძლებლობას. პოლისში შეიძლება იყოს უფილიყო ან დემოკრატიული ან ოლიგარქიული მმართველობა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მონარქიული. ტირანია არსებობდა როგორც დროებითი წესწყობილება, ტირანები საბერძნეთში ჩვეულებრივად ორ თაობაზე მეტ ხანს ვერ იჭერდნენ თავს. ძალა-უფლებას ვერ შერჩებოდნენ. პეროდოტე მოგვითხრობს, რომ როცა კორინთოს მომავალ ტირანს კიფსელეს უნდოდა ხელისუფლება ჩაეგდო ხელთ, მან რჩევისათვის მიმართა დელფოში პითიას—აპოლონის ორაკულს, მისანს. მისანმა პითიამ ასე მიუგო: „ნეტარ არს კაცი, რომელიც შემოვალს ჩემს სახლში, კიფსელევე. ევტიონის შვილო, დიდებული კორინთოს მეფევე: თითონ თავად და შვილნი მისნიც და არა შვილნი შვილთა მათა“-ო. პეროდოტეს მონათხრობი ძალიან დამახასიათებელია. იგი გვიჩვენებს, რომ თითონ ბერძნებივე ტირანიას უყურებდნენ როგორც დროებით მოვლენას ასეთივე იყო იგი ათენშიაც.

პისისტრატიდების ტირანიას ჰქონდა ტენდენცია მონარქიად გადაქცევისა. ათენში კი ისტორიული განვითარება რესპუბლიკის დაარსებისკენ მიმართებოდა. თავისი საგადასახადო პოლიტიკით და პირადი ყოფა-ქცევით პისისტრატიდებმა ხალხის მასას გული აუცრუეს: არა მარტო მდიდარი მოვაჭრე ფენები. არამედ დაბალი დემოკრატიაც კი აღარ აძლევს მხარს ტირანებს. ათენის მოსახლეობის ფართო წრეების ასეთი განწყობილების პირობებში სავსებით გასაგებია პისისტრატეს შვილების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა. შეთქმულება მოაწყო ძველ წარჩინებულთა წრემ და მას (შეთქმულებას) სათავეში ედგა ონიასხალგაზრდა კაცი — ჰარმოდოსი და არისტოგეიტონი. ტრადიცია მოგვითხრობს, რომ მათ პირადი საფუძველი ჰქონდათ პისისტრატიდების უკმაყოფილოდ ყოფნისა, რადგან ერთ-ერთმა პისისტრატიდემ შეურაცხყოფა მიაყენა ჰარმოდოსის დას. ჰარმოდოსმა და არისტოგეიტონმა გადასწყვიტეს ტირანების მოკვლა და შეთქმულებაში ჩაითრიეს თავისი მომხრეებიც. მაგრამ შეთქმულება უხეიროდ იყო მოწყობილი. შეთქმულებმა მოახერხეს მარტო ერთი ჰარმოდოსის მოკვლა. ჰიპია კი გადარჩა და ყველას ვისაც კი შეთქმულებასთან კავშირი ჰქონდა, შურისძიება დაუწყო.

ჰარმოდოსი იქვე იქმნა მოკლული, არისტოგეიტონი კი შეიპყრეს და მკვლელობით დასაჯეს.

ჰიპარქეს მოკვლის შემდეგ ჰიპია კიდევ ოთხი წელიწადი მართავდა სახელმწიფოს და უფრო და უფრო აძლიერებდა თავის დიქტატურას. მაშინ მის წინააღმდეგ დაიწყო ფართო მოძრაობა. მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ პარალიებიც, ალკმეონიდე კლისთენეს მეთაურობით, რომელთაც აქამდე ბაგანზე ეკირათ. რაკი თავის საკუთარი ძალ-ღონის იმედი არ ჰქონდა, ათენის არისტოკრატია დახმარებისათვის მიმართა სპარტას. ამ უკანასკნელის დახმარებით 510 წ. მოახერხეს გადატრიალების მოხდენა და ჰიპიაც იძულებულად გაიქცეს. ამის მერე ის რამდენჯერმე შეეცადა ათენის ხელში ჩაგდებას, მაგრამ უშედეგოდ.

სპარტამ მხარი მისცა ჰიპიას საწინააღმდეგო მოძრაობას იმიტომ, რომ უნდოდათ ათენი დაემორჩილებინათ. მაგრამ პარალიებმა კლისთენეს მეთაურობით სპარტის დახმარება გამოიყენეს ჰიპიას გასაძევებლად და არავითარი სოლოვილი არ ჰქონიათ იმისი, რომ ათენში სპარტის გავლენა გაძლიერებულიყო და სპარტელების მიმართ აშკარად მტრულ პოზიციას დაადგინეს. სპარტელები ამის საპასუხოდ უახლოვდებიან არისტოკრატიულ დაჯგუფებას, ე. ი. პედიკეებს. მათ სათავეში ედგათ მაშინ ისაგორე. ისაგორესა და სპარტელებს შორის შეთანხმება-მოლაპარაკების შედეგად სპარტელების რაზმმა დაიკირა ათენი და მისი დახმარებით მემარჯვენეები შეუდგებიან თავიანთ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორებას. ვაღმოცემა მოგვითხრობს, რომ ათენიდან გაძევებული იყო შეიდასამდე დემოკრატიული ოჯახი. ოთხასის საბჭო მოსპეს და შეჰქმნეს სამასი წარჩინებულის დიქტატურა ისაგორეს მეთაურობით. ამრიგად, ათენის არისტოკრატია შეეცადა სპარტის დახმარებით დაებრუნებინა სოლონის წინანდელი დრონი, ე. ი. დემოკრატიის ყველა მონაპოვარი გაეცამტევერებინა, არარად ექცია.

მაშინ სპარტელებისა და ისაგორეს ჯგუფის წინააღმდეგ იწყება ხალხის ფართო მოძრაობა. მოხდება აჯანყება: სპარტელებსა და ისაგორეს ათენიდან გააძევებენ, ხოლო ხელისუფლებას ჩააბარებენ კლისთენეს, რომელიც 509 წ. ახლო ხანებში გაატარებს ცხოვრებაში თავის რეფორმას.

კლისთენეს რეფორმა წარმოადგენს ატიკაში VII-VI საუკ. რევოლუციის დამამთავრებელ მომენტს. კლისთენეს ძირითად ამოცანას შეადგენდა ფილევების სრული რეორგანიზაცია. ოთხი ფილე ათენში წარმოადგენდა გვაროვნული წყობილების გადანაშთს. სოლონმა ეს ფილეები ხელშეუხებლად დასტოვა და არჩევნიბიც მის მიერ დაარსებულ ოთხასის საბჭოში ფილევების მიხედვით წარმოებდა. სანამ ფილეები არ იყო რეორგანიზებული, არისტოკრატიას გავლენა შეერჩა. არისტოკრატია სარგებლობდა თავისი გაბატონებული მდგომარეობით ფილეში და მას ყოველთვის შეეძლო მისთვის სასურველი კანდიდატები გაეყვანა არქონტებად და ოთხასის საბჭოშიც ვერავითარი დემოკრატიული რეფორმები ვერას გააწყობდნენ და მიზანს ვერ ეწეოდნენ, სანამ იყო ფილესი სველი ორგანიზაცია. ამიტომაც კლისთენე, რომელმაც ხელისუფლება მიიღო ფართო სახალხო მოძრაობის შედეგად, იძულებულია მოახდინოს ფილევების რეორგანიზაცია. ძველ გვაროვნულ ფილევებს პოლიტიკური მნიშვნელობა ჩამოკრთა. მათ მარტო სარწმუნოებრივ საქმეებში-და შერჩათ ეს მნიშვნელობა.

ოთხი ფილეს მაგივრად ათი იყო მოწყობილი. ამ ახალ ფილემბს კლის-
თენემ მისცა ტერიტორიალურ ოლქების ხასიათი. როგორ დგებოდა ეს ტერი-
ტორიალური ოლქები? ყოველი ფილე შეიცავდა სამ ნაჭერს, სამ ტრიტიას
(ბერძნულად ნიშნავს ერთს მესამედს); ერთი მესამედი გამოეყოფოდა პედიკას,
ერთი მესამედი — პარალიას და ერთი მესამედიც — დიაკრიას. ამრიგად, თვი-
თეული ფილე შეიცავდა სამ ნაწილს, რომელნიც აღებულნი იყო ატიკის სამ
ოლქში.

ამ რეფორმის აზრი სავსებით ნათელია. კლისთენემ თავის ამოცანად დაი-
სახა დაეცა წარჩინებულთა უპირატესობა, რომელიც ჯერ კიდევ თავს იქერდა
ფილეების ძველებური ორგანიზაციის წყალობით. ახალ ფილეებში აღარ შეი-
ძლებოდა არისტოკრატისაჲ ჰქონოდა უპირატესობა. ამას ძირს უფორიდა ის,
რომ პედიკას (არისტოკრატულ ნაწილს) ყოველ ახალ ფილეში ჰქონდა მარტო
ერთი მესამედი ხმებისა, დანარჩენი ორი მესამედი კი მიიღეს პარალიამ და დია-
კრიამ. ამ ღონისძიების პრინციპიალური მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო და
ენგელსიც ტყუილად კი არ უწოდებს კლისთენეს რეფორმას რევოლუციას.

ფილეების რეორგანიზაციამ უკანასკნელი მახვილი ჩასცა გეაროვრულ
არისტოკრატისა და გეაროვრულ წყობილებას. ამაშია მისი ძირითადი აზრი. მა-
შასადამე, კლისთენეს რეფორმით დათავდა სახელმწიფოს წარმოქმნის პროცე-
სი; სანამ არსებობდა გეაროვრულ ურთიერთობათა ისეთი ძალუმი გადანაშთი,
როგორც ფილეები იყო, ნამდვილ სახელმწიფოზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა.
სოლონმა ცენზის შემოღებით და ხელისუფლების ახალ ორგანოების დაწესე-
ბით ბევრი-რამ გააკეთა ამ მიმართულებით. მაგრამ საქმე კი ბოლომდე არ მი-
უყვანია. ფილეების შემოღება ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით წარ-
მოადგენს ათენში სახელმწიფოს ჩამოყალიბების დამთავრებას.

კლისთენეს მეორე ღონისძიება იყო დემოკრატის რიგებიდან მოქალაქეთა
ჩიციხვის გაზრდა. მოქალაქეთა შემადგენლობაში მრავალი მეტეკი იქმნა ჩარი-
ცხული. ე. ი. ათენში მუდმივ მცხოვრები უცხოელები. არისტოტელე იმასაც
ამბოს, რომ მონებიც კი იყვნენ მოქალაქეებში ჩარიცხულნი. მაგრამ არისტო-
ტელეს ტექსტი ამ ადგილას, როგორც ჩანს, ძალიან არის წამხდარ-შებლალული.
როგორც ჩანს, ალბად ათენის მოქალაქეებად დემოკრატის განმტკიცების მიზ-
ნით ჩიციხვნენ ისეთი პირნი, რომელთა ჩამომავლობა უცნობი იყო, ხოლო
მათ შორის შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მონათა ჩამომავლებიც.

ახალი ფილეების დაარსება მკიდროდ იყო დაკავშირებული იმ ტერიტო-
რიალურ ერთეულების რეორგანიზაციასთან, რომელნიც ზემოთ იყო ნახსენები
დემებში პისისტრატისეულ მოსამართლეებთან დაკავშირებით. დემები წარმოა-
დგენდნენ ატიკაში ისტორიულად არსებულ წვრილ რაიონებს; კლისთენემ
ახალ ტერიტორიალურ ოლქების დაარსების შესაბამისად, დემებს ახალი ორ-
განიზაცია მისცა. ისინი მოწყობილ იქმნა როგორც თვითმმართველი ერთეუ-
ლები. თვითეულ დემს. სათავეში ჩაუყენეს არჩეული დემარქოსი. დემს ჰქონდა
თავისი სალარო. დემარქოსი განაგებდა ადგილობრივ საქმეებს და აწარმოებდა
მოქალაქეობის სიას, შეჰქონდა სიაში ახლად დაბადებულები და სხვა.

კლისთენემ რეორგანიზაცია მოახდინა აგრეთვე სოლონისეულ ოთხასის-საბჭოსი. იგი შესცვალა ხუთასის საბჭოთი, სადაც თვითეული ფილე ორმოც-დაათ კაცს ირჩევდა. ამ საბჭოს ფუნქციები დაზუსტებული იყო და ფუნქციათა ასეთი დაზუსტებით უზრუნველყოფილ იქმნა ხუთასის საბჭოს დიდი გავლენა მთელს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე. კლისთენემვე მოაწყო სტრატეგოსების კოლეგია, რომელიც V საუკუნეში გადაიქცა ათენის დემოკრატიის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ორგანოდ. სტრატეგოსების კოლეგია ათი კაცისაგან წესდებოდა; თვითეული ფილე თითო სტრატეგოსს ირჩევდა; ეს კოლეგია განაგებდა ათენის რესპუბლიკის სამხედრო საქმეებს.

კლისთენეს უკანასკნელ ღონისძიებას წარმოადგენს ოსტრაკიზმის შემოღება. ამ სიტყვის სიტყვა-სიტყვითი თარგმანია — „თიხის ნატეხით ხმის მიცემა“ (ბერძნულ „ოსტრაკონ“-იდან წარმოებული, რაიც ნიშნავს „თიხის ნატეხს“). ანტიკურ სამყაროში თიხის ნატეხები წარმოადგენდნენ იმ მასალას, რომელზედაც ხელწერილებსა და სხვა წერილ საბუთებს წერდნენ. იხმარებოდა ეს ნატეხები კენჭის ყრის დროსაც სახალხო კრებებში ანუ ყრილობებში. კენჭის ყრის წესი სამნაირი იყო: ხელის აწევით („ქეიროტონია“), კენჭებით ან ცერცვით და თიხის ნატეხზე შემდეგი სიტყვების წარწერით: „ჰო“ („კი“), „არა“ ან იწერებოდა იმ კანდიდატის სახელი. რომელსაც კენჭს უყრიდნენ რაიმე თანამდებობაზე. თიხის ნატეხებს უშვებდნენ ურნაში და მერე ითვლიდნენ.

თავდაპირველად „ოსტრაკიზმის“ ამოცანას შეადგენდა ის, რომ ათენის რესპუბლიკას თავიდან აეშორებინა ტირანის დამყარების ახალი ცდები. ამ ღონისძიების გატარების წესი ზუსტად იყო შემუშავებული. ჩვეულებრივად საქმე შემდეგნაირად მიმდინარეობდა. ყოველი წლის დასაწყისში ხუთასის საბჭო სახალხო კრების წინაშე აყენებდა საკითხს, რომ არ მიაჩნია მას საჭიროდ ოსტრაკიზმის გამოყენება. თუ გადაწყვეტილება, რომელსაც ქეიროტონიის წესით მიიღებდა ხმის უბრალო უმეტესობა. უარყოფითი იყო ხოლმე, მაშინ საქმე გადაიდებოდა მომავალ წლამდე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სახალხო კრება აღძრულ კითხვაზე დადებით პასუხს აძლევდა, მაშინ იწვევდნენ სპეციალურ კრებას. აქ ყოველ დამსწრეს თიხის ნატეხზე (ოსტრაკონზე) უნდა დაეწერა იმ პირის სახელი, ვინც, მისი აზრით, საშიში იყო ათენის რესპუბლიკისთვის. თუ ხმათა დათვლის დროს აღმოჩნდებოდა, რომ ერთი და იგივე სახელი მეორედებოდა 6000 „ბარათზე“, მაშინ ასეთ ადამიანს აძევებდნენ ათი წლით. გაძევებას თან არ სდევდა სამოქალაქო უფლებათა დაკარგვა-ჩამორთმევა. ხშირად ამ ნაირად გაძევებულ ადამიანს, სახალხო კრების სპეციალური დადგენილებით, უკან აბრუნებდნენ ნახსენებ ვადაზე ადრეც. თუ კი ასეთი სპეციალური დადგენილება არ იქნებოდა, მაშინ ათი წლის ვადას იცავდნენ.

კლისთენეს შიში ათენში კვლავ ტირანიის დამყარების ცდის შესაძლებლობისა საეხებით გასაგები იყო. ათენში ჯერ კიდევ იყვნენ პისისტრატიდების მომხრეები, ჰიპიაკ ჯერ ისევ ცოცხალი იყო. რომელიც შეეცადა ირანელების დხმარებით ათენში დაბრუნებას. რომ გასწორებოდნენ ჰიპიას მომხრეებს, V ს. 80-იან წლებში ოსტრაკიზმით პირველად გააძევეს პისისტრატიდების ნათესა-

ვი, ვინმე ჰიპარქე. ამრიგად, ოსტრაკიზმს თავდაპირველად ჰქონდა კონკრეტული მიზანი — ბრძოლა პისისტრათიდების წინააღმდეგ.

მაგრამ შემდეგში ოსტრაკიზმი გადაიქცა მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის იარაღად. V საუკ. განმავლობაში, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების დროს, ოსტრაკიზმის საშუალებით თავიდან იშორებდნენ უფრო გავლენიან მოწინააღმდეგეებს. როცა რომელიმე მებრძოლი მხარე იმარჯვებდა, მაშინ მის გამარჯვებას თან სდევდა მოწინააღმდეგე პარტიის „ლიდერის“ ათენიდან გაძევება.

კლისთენეს რეფორმებით ატიკაში თავდება რევოლუციის პერიოდი, რომელმაც 100 წელიწადზე მეტ ხანს გასტანა.

კლისთენეს რეფორმათა შედეგად ატიკაში საბოლოოდ მოისპო გვაროვნული ურთიერთობანი და საბოლოოდვე ჩამოყალიბდა კლასობრივი საზოგადოება. ამასთანავე ერთად დამთავრდა მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესიც.

სანამ გადავიდოდეთ ყველა იმ ამბავ-მოვლენის საერთო მეთოდოლოგიურ შეფასებაზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ატიკაში VII და VI საუკ. მანძილზე. ე. ი. სანამ შეუდგებოდით იმ კითხვის გადაწყვეტას, თუ რამდენად შეიძლება ამ მოვლენებს რევოლუცია ვუწოდოთ და როგორი იყო ეს რევოლუცია (თუ კი იგი რევოლუციად ჩაითვლება). — ჩვენ მოკლედ უნდა გავეცნოთ უმთავრეს მომენტებს სხვა ბერძნულ სახელმწიფოთა ისტორიიდან იმავე დროის განმავლობაში.

მართალია, სხვა ბერძნულ სახელმწიფოთა ისტორიის აღდგენა-გაცხოველების დროს მკვლევარის მდგომარეობა რთულდება და სამძიმო ხდება წყაროების სიმწირის გამო. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ მოგვეპოვება მარტო ნაწყვეტი. კანტი-კუნტი ცნობები და დამოწმებანი. სხვა ბერძნულ სახელმწიფოებისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ისეთი წყარო, რომელიც კი შეედრება არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილებას“, VI საუკ. ათენის ისტორიისათვის ჩვენს მთავარ წყაროს. ძალაუწებურად გვიხდება სარგებლობა ბერძენ მწერლების შემთხვევით და გაკვრით ხსენებულ ცნობებით და ამიტომაც შეუძლებელია სხვა სახელმწიფოებშიც ისევე სრულად წარმოვიდგინოთ რევოლუციური მოძრაობის ეტაპები, როგორც ეს ჩვენ შევასრულეთ ათენის მიმართ. რამდენადაც ამ დროს რევოლუციური მოძრაობა შეიძლებოდა მომხდარიყო მარტო ეკონომიურად მოწინავე და ათენის ტიპის სახელმწიფოებში, ამიტომაც ჩვენც მარტო მათზე გვექნება საუბარი ჩვენს შემდგომ მონათხრობში.

ათენის უახლოესი მეზობელი იყო მეგარა — ძველი სავაჭრო-სამარეწველო ცენტრი, რომელიც VII ს. ბოლომდე კორინთოს მორჩილებაში იმყოფებოდა. VIII ს. ბოლოს მეგარა ჩამოსცილდა კორინთოს და გახდა დამოუკიდებელი თემი. სადაც ძალა-უფლება არისტოკრატიული ოლიგარქიის ხელში იმყოფებოდა. დაახლ. 612 წ. მეგარაში დამყარდა თეაგენის ტირანია. იგი დაეუფლა ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ისეთივე კლასობრივი ბრძოლის შედეგად, როგორც წარმოებდა ატიკაშიაც ვიდრე ძალა-უფლებას პისისტრატე დაეპატრონებოდა. თეაგენის ტირანია წანამძღვარად შეიქნა კლასობრივი ბრძოლის შემდ-

გომი გამწვავებისათვის. VI საუკ.-ში მეგარა გადაიქცევა პარტიათა გამწვავებული ბრძოლის ასპარეზად.

ამ ეპოქის შესახებ მსჯელობისათვის ჩვენ გვაქვს ერთი მნიშვნელოვანი წყარო: თეოგნიდე მეგარელის, VI საუკ. პოეტის, ელეგიები. მისი ბიოგრაფია არ ვიცით, ისიც კი არ ვიცით. VI საუკ. რომელ ნახევარში ცხოვრობდა იგი, — პირველსა თუ მეორეში: ამ მხრივ ცნობები ერთი მეორეს არ ეთანხმებიან. თავის ნაწარმოებებში თეოგნიდე პოეტური ფორმით ასახავს იმ გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც მეგარაში მიმდინარეობდა VI საუკ. განმავლობაში. იგი იყო სულით და გულით, ძვლით და რბილით არისტოკრატი. მსოფლიო ლიტერატურაში ცოტა მოიძებნება ისეთი ნაწარმოები, რომ გამსჭვალული იყოს დემოკრატების მიმართ იმგვარი გაშმაგებული კლასობრივი სიძულვილით, როგორითაც აღბეჭდილია მისი მეტად მოკლე ლექსები.

თეოგნიდეს ახასიათებს აგრეთვე ღრმა პესიმიზმი, რომლითაც გამსჭვალულია მისი ნაწარმოებები. ეს პესიმიზმი იმით აიხსნება, რომ თეოგნიდე აშკარა, მკაფიო წარმომადგენელია მომაკედავი კლასისა, ძველი გეაროვნული არისტოკრატისა. ყველაფერი ილუზება: ძველებური სიქველე და ვაჟაკობა, ძველებური კეთილშობილება; არისტოკრატია იხრწნება: შესაძლებლად გახადა თვისი შესყიდვა ფულით; არაერთგვაროვანი გამოსავალი აღარაა. ეს პესიმიზმი არაჩვეულებრივ დამაბნელებელია მომაკედავი კლასის ფსიქოლოგიისათვის და ამ თვალსაზრისით თეოგნიდე მეგარელის ელეგიებს აქვთ განუზომებლად უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე მარტო ადგილობრივი საისტორიო წყაროს ფასი და მნიშვნელობაა. აი, მაგალითად, მის მიერ მოცემული აღწერილობა სამოქალაქო ომისათვის სამზადისისა:

„უტყვი მაუწყებელი ცრემლმრავალ ომს აღვივებს: შორს მხედველი კოშკიდან გამოჩნდა ის, კირნე! რა გაეწყობა; შეჭახხმე ფეხმარდი ცხენები: ასე ვფიქრობ წინააღმდეგობა გაეუწიო მტერს: ისინი ბოლომდე გაივლიან გზას, თუ ღმერთები ჩემს გონებას არ აბნელებენ“ (ტაეები 549—554; იხ. ჰ ი ლ ლ ე რ - კ რ უ ზ ი უ ს ი ს „ანთოლოგია ლირიკა“ გვ. 88).

მეორე ელეგიაში თეოგნიდე წარმოგვიდგენს „უგვანთა“ ზეიმს, დემოკრატის ზეიმს. ლექსი გამსჭვალულია ღრმა პესიმიზმით.

„კირნე! ქალაქი იმავე ქალაქად დარჩა, ხალხი კი სხვაა; ვინც წინათ არა იცოდა-რა არც სამართლისა და არც კანონებისა, ვისაც თხის ტყავი ჰქონდა ბეჭებზე მოგდებული და ქალაქ-გარეთ დაეხეტებოდა, მსგავსად საძოვარზე გასული ირემისა—ის ეხლა, პოლიპაიდევ. კეთილთა რიცხვშია: წინანდელი კეთილები ეხლა ბოროტებად იქცნენ. ვის ძალუძს ამას გულგრილად უტკიროს? ესენი ერთმანეთს დასცინიან და ერთი მეორეს ატყუებენ, აღარ არჩევენ სიკეთესა და ბოროტებას“ (ტაეები 53—60; „ანთოლოგია ლირიკა“ გვ. 69).

აი არისტოკრატის მორალი:

„ტკბილად მიადინე მტერი! და როდესაც ხელში ჩაგივარდება, შუ-
რი იძიე, ნულარ დასძებნი საბაბს შურისას“.

თეოგნიდემ იცის, რომ არისტოკრატის აქვს ერთად-ერთი შესაძლებლო-
ბა თავის ბატონობა-მბრძანებლობის შესანარჩუნებლად; ესაა აშკარა ძალადო-
ბის ხმარება:

„ქუსლი დაადგი კეკუთხელ დემოსს, ურტყი წვეტიანი ჯოხი, უღ-
ლის ქვეშ ქედი უდრიკე! ვერსად. სადაც კი მზის სხივები წვდება,
ვერ იპოვი ხალხს, ბატონის მოყვარულს“ (ტაყები 847—850; „ან-
თოლოგია ლირიკა“ გვ. 100).

მკვეთრ ორტაეპოვან ლექსში თეოგნიდე გვიხატავს რეაქციის დროებით
კამარჯვებას:

„აქეთ მოიყვანეთ ფლეიტის დამკვრელი: მოტირალი მტრის თვალ-
წინ ვიცინოთ და ვსვათ, დვეტებეთ. მისი მწუხარებით“ (ტაყები
1041—1042; „ანთოლოგია ლირიკა“ გვ. 107).

და, ბოლოს ყველაზე უფრო შესანიშნავი ელეგია. გამსკვალული ღრმა სა-
სოწარკვეთილებით:

„განა ასე გულგრილად შეგიძლიათ თქვენ იმღეროთ ფლეიტის აყო-
ლებით? ქვეყნის სახლვარი ხომ ჩვენი მოედნიდან მოჩანს; ჩვენი ყა-
ნების ნაყოფებით იკვებება მტერი. ქერა თმები წითელი ყვავილე-
ბით მოურთავთ და ისე ქეიფობენ გეყოფა სკვითო! გაიკრიკე თმე-
ბი, შესწყვიტე ლხინი; დაიტირე ჩვენი დაღუპული კეთილსურნე-
ლოვანი მინდვრები“ (ტაყები 825—830; „ანთოლოგია ლირიკა“
გვ. 99).

ბრძოლა მეგარაში იმით გათავდა, რომ V საუკ.-ში ხელისუფლება იქ
კვლავ ოლიგარქიამ იგდო ხელთ და მარტო IV საუკ.-თვის განმტკიცდა დემოკ-
რატია.

შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ მიკენის კულტურის ძველი მხარე — არ-
გოლიდა. იქ იყო რამდენიმე ქალაქი — არგოსი, ეპიდავრე, ტრეზენი და სხვანი,
რომელთაც მოაწყვეს კავშირი არგოსის მეთაურობით. კავშირის წევრები სარ-
გებლობდნენ შინაგანი ავტონომიით.

მოსახლეობის ძირითადი მასა (უშუალო მწარმოებლები) არგოლიდაში
ორ ჯგუფად იყოფოდა:

1) პერიეკებად; ეს ისინი იყვნენ, ვისაც სამოქალაქო უფლებები ჰქონდა,
მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს კი მოკლებულნი იყვნენ;

2) გიმნეტებად (ბერძნულ სიტყვა „გიმნოს“, „გიუმნოს“-იდან). რაც ნიშ-
ნავს „გატლეკილს“, „ამბოკარს“, „ლატაკს“. ლიტერატურაში გიმნეტებს ხში-
რად ყმებად იხსენიებენ, ყმებს უწოდებენ. მაგრამ უფრო ისაა საფიქრებელი,

რომ გიმნეტები, სპარტელი ილოტებივით. შეადგენდნენ მოსახლეობის ძირითად და მონებად ქცეულ მასას.

VII ს.-ში არგოლიდაში ხელისუფლება არისტოკრატისაჲს ჰქონდა. ფულადი მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოებს ჯერ კიდევ მიკენური ეპოქიდან გადარჩენილი გვაროვნული ურთიერთობის დაშლის პროცესი. თანდათან გაძლიერებული კლასობრივი ბრძოლის ფონზე გაჩნდება ტირანია. იგი უკავშირდება „მეფე“ ფეიდონის სახელს. იგი ბრძოლას აწარმოებდა არისტოკრატისთან და მისი პოლიტიკა მიმართული იყო არგოსის სახლვაო ძლიერების აღორძინებისაკენ; მის დროსვე არგოსში შემოიღეს ეგინის მონეტის სისტემა. ფეიდონის მოღვაწეობას არგოსისათვის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაჲც პისისტრატეს მოღვაწეობას ათენისთვის.

VI საუკ.-ში არგოსი იწყებს ბრძოლას სპარტასთან არგოლიდის სამხრეთ ოლქების გამო. რაჲც მათი ერთმანეთს შორის შეცილების ობიექტს წარმოადგენდა. ამ ბრძოლაში არგოსმა მარცხი განიცადა და სწორედ ამ დროს (VI ს. ბოლოს) იქ აჯანყება ხდება. ეს აჯანყება დაიწყეს გიმნეტებმა. როძელნიც გაუერთიანდნენ პერიეკების ნაწილს. ეს იყო საბერძნეთში მონათა ერთ-ერთი უადრესი აჯანყება. ამბოხებას წარმატება ჰქონდა, გიმნეტებმა ხელთ იგდეს არგოსი და იგი რამდენიმე ხანს მათ განკარგულებაში იყო; არისტოკრატამ მოახერხა ხელისუფლების დაბრუნება, ოღონდ იძულებული კი შეიქნა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო: პერიეკების ნაწილმა მიიღო პოლიტიკური უფლებები.

V საუკ. ნახევარში არგოსში დამყარდა დემოკრატია. არგოსთან ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვიწევს შეხვედრა IV საუკ. ისტორიაში, როცა იქ იფეთქა ლარიზი მოსახლეობისა და მონების დიდმა აჯანყებამ.

დიდ ინტერესს იწვევს კორინთოს ისტორია: ეს იყო ერთ-ერთი მეტად დიდი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი ძველ საბერძნეთში და მდებარეობდა პელოპონესში სწორედ ისთმოში შესავალთან (კორინთოს ყელი). ეს იყო ძველის ძველი. სავაჭრო-მონათმფლობელური ქალაქი. VII ს. ნახევრამდე კორინთოში ბატონობდნენ ბაქხიადები. ეს იყო კარჩაკეტილი არისტოკრატიული გვარების ჯგუფი.

მერე არისტოკრატის წინააღმდეგ იწყება დემოსის ბრძოლა. და VIII ს. ნახევარში კორინთოში დამყარდება ტირანია.

პირველ ტირანად აქ იყო კიფსელი. მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი შვილი პერიანდრე. კიფსელმა მოსპო არისტოკრატის ბატონობა და ისეთსავე პოლიტიკას ატარებდა დემოკრატის ინტერესების დაცვის მიზნით. როგორსაც ატარებდა პისისტრატე. პერიანდრე იბრძოდა კორინთოში მონობის განვითარების წინააღმდეგ. მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა დემოკრატის თანაგრძნობის მოპოვებას; როცა ის კანონს სცემდა მონობის აკრძალვის შესახებ, იგი ამით მფარველობას უწევდა წვრილ თავისუფალ ხელოსნობას, რომელსაც მონური შრომის სახით ძლიერი მეტოქე ეპირისპირებოდა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ აკრძალვითმა ღონისძიებამ მიზანს ვერ მიაღწია.

VI ს. დასაწყისში კორინთოში ისევე, როგორც ყველგან, ხდება ტირანიის დამხობა და ხელისუფლებაც გადადის ზომიერ ვაქართა ოლიგარქიის ხელში.

კორინთოში გლენობის ხვედრითი წონა ალბათ მცირე იყო. სამაგიეროდ იქ ძალიან ძლიერია მსხვილი სავაჭრო კაპიტალი, — და ამიტომაც იქ ვეღარ მოხერხდა დემოკრატიზაციის ეგზომად მოპოვება, როგორც მოიპოვა ატიკის გლენობამ საქალაქო ჯგუფების ხელმძღვანელობით.

კორინთოს ახლოს მდებარეობდა სიკიონი. VII ს. და VI საუკ. დასაწყისში იქ ბატონობდნენ ტირანები, ჩამომავლობით ორთაგორიდების გვარისა. საინტერესოა ტირან კლისთენეს პიროვნება. იგი შამის ხაზით პაპა იყო ათენელი კლისთენესი. საგულისხმიეროა, რომ საისტორიო ტრადიციის მოწმობის თანახმად კლისთენე სიკიონელიც იბრძოდა თურმე ფილეების წინააღმდეგ. ჩვენ არ ვიცით დაწერილებით ამ ბრძოლის ამბები, მაგრამ როგორც ათენში. ისე აქ. სიკიონში, ბრძოლა ფილეების წინააღმდეგ ნიშნავდა ბრძოლას ძველი გვაროვნული წყობილების წინააღმდეგ. V საუკ.-ში სიკიონში გაბატონებულა არისტოკრატია, რომელმაც ტირანია დაამხო, და მარტო IV საუკ.-ში მყარდება იქ დემოკრატია.

ანალოგიურსავე პროცესს ვამჩნევთ მცირე აზიაში და კუნძულებზედაც. მცირე აზიის სანაპიროები და ეგეოსის აღმოსავლეთ ნაწილის დიდი კუნძულები VII და VI საუკ.-ში წარმოადგენდნენ იმ ინტენსიური ეკონომიური განვითარების ასპარეზს, რომელმაც წინ გაუსწრო ხმელეთის საბერძნეთის განვითარებას. ეს პროცესი შეაჩერა მხოლოდ ირანელების მიერ მცირე აზიის დაპყრობამ. ამიტომაც VII და VI საუკ. მცირე აზიის ქალაქებში ისეთივე ბრძოლა წარმოებს, როგორსაც ვხედავთ ხმელეთის საბერძნეთში. მაგალითად, VII საუკ.-ში მილეტში ჩვენ ვიცით ტირან თრაზიბულის ბატონობის შესახებ.

კუნძულ ლესბოსზე VI ს. დასაწყისში მოქმედებდა პიტაკი, რომელიც თავისი მოღვაწეობით მოგვაგონებს ათენელ სოლონს.

VI ს. მეორე ნახევარში ცხოვრობდა კუნძულ სამოსის ტირანი პოლიკრატე. მან მოსპო საადგილ-მამულო არისტოკრატის ბატონობა და ფლოტის დახმარებით შექმნა ნახევრად მოვაქრე. ნახევრად მეკობრული კახელმწიფო.

ამ ეპოქაში ტირანია მარტო მეტროპოლიისთვის როდია დამახასიათებელი. ბერძნულმა ახალშენებმაც სიცილიაში — სარაკუსმა. ლიონტინმა. აკრაგანტებმაც — გამოიარეს კლასობრივი ბრძოლის მწვავე ფაზისები და რამოდენიმე ხანს ტირანების ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს ფაქტები ადასტურებენ რევოლუციური მოძრაობის საერთო კანონზომიერებას, რაიც ჩვენ დაწერილებით შევისწავლეთ ატიკის ისტორიაზე. მთელ საბერძნეთში პროცესი ძირითადად ერთნაირი იყო. ყველა მოწინავე ბერძნული სახელმწიფო VII, VI და ნაწილობრივ V საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა მწვავე სოციალური ბრძოლის ასპარეზს, ყველა ამ სახელმწიფომ დემოკრატიას მიაღწია ტირანიის გზით. მართალია, პოლიტიკური წესწყობილების დემოკრატიზაცია ყველგან არ ყოფილა ერთნაირი. მაგრამ გვაროვნულ ურთიერთობას კი ყველგან ჩაეცა სასიკედილო მახვილი და მოწინავე საბერძნეთში საბოლოოდ დამყარდა კლასობრივი მონათმფლობელური საზოგადოება და მასთან ერთად სახელმწიფოც.

გადავიდეთ ახლა იმ საკითხზე, თუ რამდენად გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ რევოლუციის შესახებ VII და VI საუკ.-თა ამბების მიმართ?

მარქსისტებისთვის სხვა არავითარი რევოლუცია არ არსებობს, გარდა სოციალური რევოლუციისა. „ფილოსოფიის სილატაკეში“ მარქი ამბობს: „არასდროს არ ყოფილა ისეთი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც იმავე დროს არ ყოფილიყოს სოციალური მოძრაობაცო“. (К. Маркс и Ф. Энгельс. соч. т. V, стр. 416). ხოლო ენგელსი თავის წერილში „რუსეთის შესახებ“ უფრო აზუსტებს ამ დებულებას: „ყოველი ნამდვილი რევოლუცია არის სოციალური რევოლუცია, რამდენადაც მას გაბატონებისკენ მიჰყავს ახალი კლასი და იგი მას შესაძლებლობას აძლევს გადაახალისოს საზოგადოება ხატად და მსგავსად თვისა“ (К. Маркс, Избранные произведения, т. II, стр. 541).

სოციალურ რევოლუციად ჩვენ ვგულისხმობთ ერთი ფორმაციის მეორე ფორმაციაში გადასვლას, წარმოების ერთი წესის მეორე წესში გადასვლას, იმ გადასვლას, რომელიც გამოწვეულია საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობით, გამოწვეულია იმით, რომ საწარმოო ძალებს აღარ შეუძლიანთ განვითარება ძველ საწარმოო ურთიერთობის ფარგლებში. ეს გადასვლა მიმდინარეობს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის სახით, რაიც გვირგვინდება დაჩაგრული მასების აჯანყებით და პოლიტიკური ხელისუფლების ერთი კლასისგან მეორე კლასის ხელში გადასვლით.

რამდენად შეიძლება ამის მიყენება საბერძნეთში VII და VI საუკუნეთა ამბების მიმართ? იყო თუ არა ამ შემთხვევაში ერთი ფორმაციის გადასვლა მეორეში? დიახ. ექვს გარეშეა, ასეთი გადასვლა უთუოდ იყო. VII-VI საუკ. რევოლუციური მოძრაობა დაშთავრდა გვაროვნული წყობილების საბოლოო ლიკვიდაციით და მონათმფლობელური საზოგადოების წარმოქმნით.

უეჭველია ისიც, რომ ეს გადასვლა მიმდინარეობდა მწვავე სოციალური ბრძოლის გარემოში. ჩვენი წყაროები გვაძლევენ დამაძფრებული ბრძოლის სურათს, რომელშიაც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ხალხის მასები. ყველა რეფორმა გამოწვეული იყო ხალხის მასობრივი მოძრაობით; რომელიც არისტოკრატიას იძულებულსა ჰყოფდა ჯერ ერთ დათმობაზე წასულიყო, შემდეგ მეორეზე.

ეს სრულიად უდავოა.

შემდეგ იწყება სადავო, საცილობელი საკითხი: რამდენად შეიძლება აქ ლაპარაკი პოლიტიკური ხელისუფლების ერთი კლასისგან მეორე კლასის ხელში გადასვლის შესახებ, და რამდენად შეიძლება აქ საერთოდ კლასობრივ ბრძოლაზე ლაპარაკი?

ერთი თვალსაზრისი ისეთია, რომ რევოლუციის შესახებ ლაპარაკი საბერძნეთში VII და VI საუკ. მოვლენა-ამბების მიმართ არ შეიძლება, რადგან ჩვენ აქ საქმე გვაქვს უკვე კლასობრივ საზოგადოებასთან. ეს თვალსაზრისი გულისხმობს, რომ თუ კი იყო როდისმე რევოლუცია საბერძნეთში გვაროვნული საზოგადოებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის დროს, ეს რევოლუცია მოხდა VII-VI საუკუნეებზე გაცილებით უფრო ადრე; ხოლო ყოველივე ის, რაც

კი საბერძნეთში ხდებოდა VIII-VI საუკ. მანძილზე, ეს იყო მარტო უბრალო კლასობრივი ბრძოლა უკვე კლასობრივ საზოგადოებაში.

მეორე თვალსაზრისი ლაპარაკობს, რომ საერთოდ არ შეიძლება ცნება „რევოლუცია“ მიუყენოთ წინაკლასობრივი საზოგადოებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლას, იმიტომ რომ აქ არა გვაქვს სწორედ რევოლუციის ძირითადი მომენტი, კლასობრივი ბრძოლის მომენტი და პოლიტიკური ძალა-უფლების ერთი კლასისგან მეორე კლასის ხელში გადასვლის მომენტი, ვინაიდან ჯერ კიდევ კლასები არაა: თუ კი გვაროვნული საზოგადოება კლასობრივ საზოგადოებაში გადადის, თუ კი კლასები ის-ის არის მარტო ჩნდებიან. — მაშასადამე, არც შეიძლება მოხდეს პოლიტიკური ძალა-უფლების ერთი კლასისგან მეორე კლასის ხელში გადასვლა და საერთოდ აქ ჯერ კიდევ არ შეიძლება გამოყენებულ იქმნას კლასობრივი ბრძოლის ცნება.

არც ერთს აქ ნახსენებ თვალსაზრისს არ შეიძლება ადამიანი დაეთანხმოს. არ შეიძლება VI საუკ. ატიკის საზოგადოება განვიხილოთ, როგორც წმინდა კლასობრივი საზოგადოება. შეიძლება დაუშვათ, რომ ეს საზოგადოება შინაარსით უკვე კლასობრივი საზოგადოება ხდებოდა, რომ მის ფარგლებში, მის შიგნით კლასები უკვე ყალიბდებოდა, მაგრამ მისი ფორმა ისევ გვაროვნული იყო. მას ვინც უარპყოფს VIII-VI საუკუნეებში რევოლუციის არსებობას და ამბობს, რომ აქ წარმოებს ჩვეულებრივი კლასობრივი ბრძოლა წმინდა კლასობრივ საზოგადოებაში, ამით მას არაარაობამდე დაჰყავს ატიკაში სოლონისა და კლისთენეს მთელი საკანონმდებლო მოღვაწეობა, მიმართული გვაროვნული წყობილების წინააღმდეგ. ცენზის დაარსებასაც, ანდერძის თავისუფლებასაც, ოთხასის საბჭოს დაწესებასაც, ფილებების რეფორმასაც — ყველა ამ ღონისძიებას ხომ ერთი მიზანი ჰქონდა: სახელმწიფოს შექმნა. რატომ? იმიტომ რომ იგი ჯერ არ არსებობდა, იმიტომ რომ ატიკის „პოლიტიკურა“ ორგანიზაცია ჯერ ისევ გვაროვნული იყო. არეოპაგი, ძველი ფილები, ევპატრიდების არქონტა მთელი სიტყმა — ყოველივე ეს ჯერ ისევ გვაროვნულ ინსტიტუტებს წარმოადგენდა. ეს იყო გვაროვნული არისტოკრატიის ბატონობის ფორმები, იმ არისტოკრატიისა, რომელიც ფაქტიურად უკვე კლასად ხდებოდა. იმიტომ აქ არ შეიძლება ლაპარაკი — ეს უბრალო კლასობრივი ბრძოლაა. ეს იყო ბრძოლა საზოგადოების გვაროვნული ფორმის წინააღმდეგ. მაშასადამე, VIII-VI საუკ. საბერძნეთის საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო კლასობრივი, იმიტომ რომ კლასობრივი საზოგადოება ამ სიტყვის სრული გაგებით და მნიშვნელობით შეიძლება ვუწოდოთ მარტო ისეთ საზოგადოებას, რომელსაც აქვს სახელმწიფო.

ახლა ავიღოთ მეორე თვალსაზრისი, რომელიც დიამეტრალურად უპირისპირდება პირველს. იგი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება წინაკლასობრივი საზოგადოებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის დროს კლასობრივ ბრძოლაზე ლაპარაკი. ჩვენ რომ დავდგეთ წმინდა ფორმალურს, ე. ი. მეტაფიზიკურ თვალსაზრისზე და არა დიალექტიკურ თვალსაზრისზე, მაშინ ეს რასაკვირველია, სწორია. ევპატრიდები ფორმალურად კლასი არაა. მაგრამ განა ეს არსებითად მართალია? ევპატრიდები ჯერ კლასს არ წარმოადგენენ მათი გვაროვნული წარმოშობისა და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ფორმალური

მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ ფაქტიურად ისინი უკვე კლასს წარმოადგენენ, რადგანაც ისინი მსხვილი მიწათმფლობელები და მეევანშეები არიან, რადგანაც მათ ხელთ იგდეს პოლიტიკური ძალა-უფლება.

რა არის დემოსი? ფორმალურად ეს ჯერ კლასი არაა, რადგანაც დემოსი წარმოიქმნება ძირითადად იმ მოსახლეობის ჯგუფისგან, რომელიც დგას პრივილეგიებით აღჭურვილი ევპატრიდების ორგანიზაციის გარეშე. მაგრამ ამასთანავე ერთად დემოსი მაინც კლასია.

განა ის მევალები. რომელნიც მონობის უღელ ქვეშ ჰყებოდნენ. კლასს არ წარმოადგენდნენ? განა არა ევპატრიდული ვაჟრები მეტეკები, მსხვილი ხელოსნები არ იყვნენ მონათმფლობელთა ქმნადი კლასი?

გვაროვნული საზოგადოების კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესში კლასები ყალიბდება და ჩნდება იმ ნაირად კი არა, რომ აი დღეს კლასები არაა. ხვალ კი ერთბაშად ჩნდებიან. უნდა მხედველობაში მიღებულ იქმნას ისტორიული განვითარების დიალექტიკა. კლასები ვითარდებოდნენ რევოლუციის თითონ პროცესის დროს. კლასები იზრდებოდნენ. ვითარდებოდნენ კლასობრივი ბრძოლის პროცესში, საბერძნეთში რომ წარმოებდა. „ცალკე ინდივიდები კლასს წარმოქმნიან, — ვკითხულობთ ჩვენ მარქსისა და ენგელსის „გერმანულ იდეოლოგიაში“, — მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ უხდებათ საერთო ბრძოლის წარმოება რომელიმე სხვა კლასის წინააღმდეგ...“ (К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, 1933, стр. 44). გვაროვნული საზოგადოება თავისი დაშლის პროცესში წარმოქმნის კლასების ჩანასახებს, რომელნიც ხელათვე ბრძოლაში ებმებიან. რაც უფრო იქით ვითარდება ეს ბრძოლა, მით უფრო მეტად გადაიქცევა კლასთა ჩანასახები ნამდვილ კლასებად და ეწევიან ნამდვილ კლასობრივ ბრძოლას. საქმე თავდება მით, რომ ძალა-უფლება გადადის გვაროვნული არისტოკრატიისგან, რომელმაც მიიტაცა გვაროვნული ინსტიტუტები. ნამდვილი კლასის ხელში. მონათმფლობელთა ახლად ჩამოყალიბებული კლასის: ხელში. ამიტომაც შეიძლება და საჭიროცაა, უნდა კიდევ ლაპარაკი სოციალურ რევოლუციის შესახებ ატიკაში და საერთოდ საბერძნეთში გვაროვნული საზოგადოებისგან მონათმფლობელურ საზოგადოებაზე გადასვლისას. შესაძლოა, რომ ამ ანტიგვაროვნული, მონათმფლობელური რევოლუციის ფესვები ჩამარხული იყოს ჯერ კიდევ მიკენის გვიანდელ ეპოქაშივე, მაგრამ იგი მთავრდება, ყოველ შემთხვევაში, VII-VI საუკუნეებში.

როგორ შეფასებას აძლევდა ენგელსი VII-VI ს. ამბებს?

თავის „ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის“ წინასიტყვაობაში იგი საკითხს ფართოდ აყენებს და ლაპარაკობს საერთოდ გვაროვნული საზოგადოების კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის შესახებ: ძველი, გვაროვნულ კავშირებზე დაყრდნობილი საზოგადოება ირღვევა ახლად განვითარებულ საზოგადოებრივ კლასებთან შეჯახებაში; მის ადგილს იჭერს ახალი საზოგადოება. რომლის დამთავრებას სახელმწიფო შეადგენს, ხოლო ქვესაფენურებს გვაროვნული კავშირები კი არ წარმოადგენენ, არამედ ტერიტორიული კავშირები; ესაა საზოგადოება, სადაც ოჯახობრივი ურთიერთობა საგნებით საკუთრების ურთიერთობისადნია დამორჩილებული და სადაც თავისუფ-

ლად ის კლასობრივი წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლა იშლება. რომ-
ლისგანაც დღემდე განელილი წერილობითი ისტორიის შინაარსი შესდგება.
ი. ვ. ენგელსი: ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარ-
მოშობა. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა, ქართული გამოცემა. 1933 წ.,
გვ. 2). ეს ადგილი ჩვენ საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ყოველთვის
უკლასო საზოგადოებისგან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლისას ხდება
რევოლუცია, ე. ი. რომ ეს გადასვლა ყოველთვის მიმდინარეობს რევოლუცი-
ურ ფორმაში.

ამ საერთო, ზოგად დებულებას ენგელსი აკონკრეტებს საბერძნეთში VI ს.
რევოლუციაზე მიყენებით.

სოლონმა გახსნა ეგრეთწოდებული პოლიტიკური რევოლუციების რიგი,
ამასთანავე იგი საკუთრების დარგში შეიქრა. ყოველი რევოლუცია, რომელიც
დღემდე მომხდარა, წარმოადგენდა ერთი რომელიმე გვარი საკუთრების დაცვას
სხვაგვარი საკუთრების წინააღმდეგ. მას არ ძალუძს ერთი დაიცვას, თუ სხვა არ
დააზიანა. საფრანგეთის დიდ რევოლუციაში განწირულ იქნა ფეოდალური სა-
კუთრება. რათა ბურჟუაზიული საკუთრება გადარჩენილიყო: სოლონის მიერ
მოხდენილ რევოლუციაში კრედიტორის საკუთრება დაზარალდა მოვალის სა-
კუთრების სასარგებლოდ. გამოცხადდა ვალების გაბათილება. (იქვე. გვ. 134, 135).

არის ცდები ეს ადგილი იმგვარად იყოს ახსნილ-განმარტებული, თითქოს
აქ ლაპარაკი იყოს მარტო პოლიტიკურ და არა სოციალურ რევოლუციაზე. მა-
გრამ ასეთი განმარტება სწორი არაა. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ მარქსიზმი-
სათვის არ შეიძლება იყოს სხვა რომელიმე რევოლუცია თუ არ სოციალური.
„ყოველი ნამდვილი რევოლუცია არის რევოლუცია სოციალური“ (ენგელსი).
ამიტომაც, როცა ენგელსი ლაპარაკობს სოლონის პოლიტიკურ რევოლუციაზე,
იგი „პოლიტიკური რევოლუციის“ ცნებას უპირდაპირებს ისეთ გამოთქმებს,
როგორცაა „სამრეწველო რევოლუცია“, „ტექნიკური რევოლუცია“ და სხვა.
მოცემულ კონტექსტში „პოლიტიკურ რევოლუციის“ ისე გაგება, თითქოს ეს
იყოს მარტო მართვა-გამგეობის ფორმის ცვლილება, — არ შეიძლება, არ შეიძ-
ლება იმიტომ, რომ ენგელსი შემდეგ იმაზე ლაპარაკობს. რომ ყველა დღემდე
მომხდარი რევოლუციები იყო რევოლუციები მოხდენილი იმ მიზნით, რომ სა-
კუთრების ერთი სახეობა. დაიცვას. დაიფაროს საკუთრების მეორე სახეობის
წინააღმდეგ. და ამ თვალსაზრისით სოლონის რევოლუციას ადარებს XVIII. საუკ.
ბოლოდროინდელი საფრანგეთის რევოლუციას. სავსებით ცხადია. რომ თუ კი
სოლონის რევოლუცია აღებულია მოცემულ კონტექსტში, მაშ იგი ენგელსს
ესმის როგორც სოციალური რევოლუცია. არ შეიძლება საბუთად იმის მოყვა-
ნა, რომ სოლონის რევოლუციას თითქოს ჰქონდეს განსახლებრული, შეზღუდუ-
ლი ხასიათი, ვინაიდან იგი მიმართულია მარტო კრედიტორების საკუთრების
წინააღმდეგ მოვალეთა საკუთრების სასარგებლოდ. არ უნდა გვავიწყობოდეს,
რომ კრედიტორებისა და მოვალეების ქვეშ აქ ნაგულისხმევია ატიკის მოსახ-
ლეობის ორი ძირითადი ჯგუფი. კრედიტორები ევპატრიდები არიან, ხოლო მო-
ვალეები გლახები. მაშასადამე, აქ ჩვენ ვხედავთ არა უბრალო მოვალეებსა და
კრედიტორებს, არამედ ორ სოციალურ ჯგუფს, რომელნიც კლასებად ხდებიან.

სავალო მონობის განვითარება მიმდინარეობდა გვაროვნული წყობილების ჩარჩოებში: ხდებოდა გვაროვნული ფორმის გამოყენება „კრედიტორების“ საკუთრების ამ სახეობის განვითარებისათვის.


ამრიგად „სოლონის პოლიტიკური რევოლუცია“ უნდა გვესმოდეს საესე-ბით ზუსტი გაგებით და მნიშვნელობით, სოციალური რევოლუციის გაგებით.

ავიღოთ კიდევ ერთი ციტატი „ოჯახის... წარმოშობიდან“. აქ ლაპარაკია სოლონის შემდეგ დროინდელ ეპოქაზე. ამავე დროს პარტიული ბრძოლა თავისი გზით მიდიოდა; არისტოკრატია შეეცადა ხელახლა დაეპყრო თავისი წინანდელი პრივილეგიები და ერთი წუთით უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ბოლოს კლისთენის რევოლუციამ (509 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) იგი საბოლოოთ დაამხო; ამასთანავე გაქცა გვაროვნული წესწყობილების უკანასკნელი ნაშთიც. (იქვე, გვ. 137). ამრიგად, ატიკაში მომხდარი რევოლუციური მოძრაობის დამამთავრებელ მომენტსაც, ეგრეთწოდებულ „კლისთენეს რეფორმას“ ენგელსი აღნიშნავს ტერმინით „რევოლუცია“.

საქმე, რასაკვირველია, მარტო ციტატებში როდია, არამედ იმაში, თუ როგორია საერთო სული და ხასიათი მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისა კლასობრივ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ამ პროცესს ჩინი ხატავენ როგორც აფეთქებას, როგორც სოციალურ ნახტომს, როგორც რევოლუციას. ამრიგად VII და VI საუკ. ამბებში ჩვენ ვხედავთ სოციალური რევოლუციის უაღრესად ადრეულა ფორმას; ეს რევოლუცია მოხდა საბერძნეთში გვაროვნული საზოგადოების კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლას ეპოქაში და იგი მიმართული იყო გვაროვნული წყობილების წინააღმდეგ. ამ რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ საზოგადოების დაბალი ფენები, პირველ რიგში, გლეხები, რომელნიც იბრძოდნენ უმთავრესად სავალო საბაღის წინააღმდეგ, იმ მონობის წინააღმდეგ, მათ რომ ემუქრებოდა და მოელოდა. გლეხობა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა, შეინარჩუნა თავისი მდგომარეობა, როგორც წვრილი თავისუფალი მწარმოებლისა, და თავისი თავიც ჩაარიცხინა პოლისში, ე. ი. შესძლო მონათმფლობელური კოლექტივის შემადგენლობაში ჩაბმა. ამრიგად მონობის განვითარება მიმართული იყო სხვა გზით. უცხო ტომის, უცხოელთა მონობის განვითარების ხაზით. იმის ნაცვლადო. — ამბობს ენგელსი, — რომ წინანდებურად ეწარმოებინათ საკუთარივე თანამოქალაქეების სასტიკი ექსპლოატაცია, ახლა დაიწყეს ექსპლოატაცია უმთავრესად მონებისა და არა-ათენელ-მსყიდველებისაო. (იქვე, გვ. 137).

წყაროთა მდგომარეობის გამო ძალიან ძნელია აღამიანმა გადვენოს თვალი VII და VI საუკ. რევოლუციის ყველა ეტაპებს მთელი საბერძნეთისათვის, მაგრამ მაინც შეიძლება გამოვლინდეს რევოლუციაში ატიკის მსგავსი მომენტები სხვა ბერძნულ თემებშიაც. თვალში ეცემა აღამიანს ტირანიის ერთობლივობა. ტირანიის გზით გაიარა მთელმა მოწინავე საბერძნეთმა. ზოგიერთ ბერძნულ სახელმწიფოში ტირანია უფრო ადრე იყო, ვიდრე ათენში, მაგალითად, კორინთოში. ტირანიის როლი რევოლუციის მსვლელობაში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. კერძოდ ათენში პისისტრატეს ტირანია წარმოადგენდა დუპოკრატული დიქტატურის თავისებურ ფორმას, მან განამტკიცა გლეხობის მდგომა-

რეობა და ხელი შეუწყო სავაჭრო კაპიტალის განვითარებას. მეორე მხრივ ტრანიაში პირველად იჩინა თავი ანტიკური სახელმწიფოს ჩარევამ საკუთარების დარღში (გადასახადის დაწესება, კრედიტის მოწყობა, იქნებ აგრეთვე მიწის დარიგებაც), ე. ი. ეწყობა, ყალიბდება ანტიკურ სათემო-სახელმწიფოებრივ საკუთრების ერთ-ერთი ფორმა. რაც შეეხება სხვა ეტაპებს -- კოდიფიკაციას და რეფორმას, — უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში იგი ისე შეკადრდა არ გამოსჩანს და ხანდახან ერთმანეთს ერთვის და აგრეთვე ტირანიადაც. ტირანი, მაგალითად, გამოდის ერთდროულად როგორც კოდიფიკატორი და ამასთანავე როგორც რეფორმატორი. სამწუხაროდ, ჩვენი წყაროების სიმწიფე ნებას არ გვაძლევს აქ ნათელი სურათი წარმოვადგინოთ. შეიძლება მარტონის დაბეჯითებით მტკიცება, რომ საერთოდ რევოლუციის კანონზომიერება მთელი მოწინავე საბერძნეთისთვის ერთობლივი იყო.



VI. სპარტა და საბერძნეთის სხვა ჩამორჩენილი მხარეები

გადავიდეთ ახლა ჩვენი კურსის შემდეგ განყოფილებაზე, რომელიც უნდა გავვაცნოს, თუ როგორი მდგომარეობა არსებობდა საბერძნეთის უფრო ჩამორჩენილ ნაწილებში VII-VI საუკუნეთა მანძილზე.

აქ ჩვენ ვხვდებით უპირველეს ყოვლისა ერთ-ერთს მეტად საგულისხმიერო საისტორიო მოვლენას—სპარტას.

სპარტის ისტორიისათვის მის ადრეული პერიოდის მანძილზე მთავარ ჩვენ წყაროს წარმოადგენს პლუტარქოსის მიერ დაწერილი ბიოგრაფია ლიკურგისი. პლუტარქოსი მოგვითხრობს, რომ ლიკურგე, სპარტის ერთ-ერთი მეფის ნათესავი, IX საუკ. მღელვარებათა დროს, ჩაუდგა სათავეში სახელმწიფოს და დიდი რეფორმები მოახდინა. მან შექმნა სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელიც სპარტაში არსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში.

ლიკურგე ლეგენდარული პიროვნებაა. შესაძლოა, რომ მის მოღვაწეობაში გამოხმაურება ჰპოვა რაიმე ისტორიულმა მოვლენებამ, გახსენებამ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არაფრის თქმა გარკვეულად მის შესახებ ჩვენ არ შეგვიძლიან. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის მასალაც, რომელიც დაკავშირებულია ლიკურგეს მოღვაწეობასთან, ლეგენდარული იყო.

ლიკურგეს პლუტარქოსისეული ბიოგრაფიის მიმართ კრიტიკული მიდგომა მის დროს ჩვენ მაინც შევძლებთ იქიდან ამოვიღოთ ძალიან ბევრი—რამ საინტერესო სპარტის უძველესი ისტორიის თვალსაზრისით.

სპარტა იყო ლაკონიკის, — პელოპონესის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის. — მთავარი ქალაქი. სპარტა მდებარეობდა მდ. ევროტზე, საბერძნეთის ერთ-ერთ ნაყოფიერ და მოსავლიან ველში, რაიც არც ისე ბევრი იყო საბერძნეთში. ლაკონიკის ნაპირები არაჩვეულებრივ მიუვალია, და ეს გარემოება ძალიან უშლიდა ხელს იმ ზღვაოსნობის განვითარებას, რაც ეგოდენ ტიპიურ მოვლენას წარმოადგენდა შუა საბერძნეთისათვის. ამრიგად, ლაკონიკა ეკოლოგიურად არააარაა და მისი გეოგრაფიული პირობები ხელს არ უწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას.)

სპარტის წარმოქმნას ბერძნები ძალიან მჭიდროდ უკავშირებდნენ ლეგენდას დორიელთა შესევა-დაპყრობის შესახებ. როცა პერაკლეს ჩამომავლები დორიელებთან ერთად მოვიდნენ პელოპონესში, მათ ბრძოლით უკან დაიხრანეს მამისეული მემკვიდრეობა — არგოსი, სპარტა, მესენია, დაიპყრეს პელოპონესის ძირითადი ოლქები და დასაბამი მისცეს პერაკლიდების დინასტიას.

ეს ლეგენდა, როგორც უკვე ვთქვით, შეიქმნა პელოპონესში გარკვეული პოლიტიკური მიზნებით და იმ სახით, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია, იგი კერძო ასახვის ისტორიულ სინამდვილეს ან, თუ ასახავს, ძალიან დამახინჯებულად.

სპარტაში ძველითგანვე ორი „მეფე“ (ბასილეისი) იყო. ერთი იყო ზომიერობით აგნადების გვარისა, მეორე კი — ევრიპონტიდების გვარისა. სპარტის სახელმწიფოებრივი წესწყობილების ეს თავისებური ხაზი, როგორც ჩანს, შეიძლება იმით იქნეს ახსნილი მარტო, რომ სპარტა წარმოიქმნა ორი თემის გაერთიანების (სინოიკისმის) შედეგად და თვითეული ეს თემი წარმოადგენდა ჩვეულებრივი ბერძნული ტიპის სამხედრო დემოკრატიას. გაერთიანების დროს ორივე მეფე დარჩა და ამრიგად გაჩნდა სამეფო ხელისუფლების გაორება.

შემდეგ, სპარტისთვის დამახასიათებელია მკვეთრად გავლებული სხვაობის ხაზი სრულუფლებიან მოქალაქეებს — სპარტელებს, ქალაქ სპარტის მცხოვრებთა, ერთი მუქა ხალხსა და მეორე მხრივ უუფლებო ილოტების უშველებელ მასას შორის, ე. ი. სოფლის მოსახლეობის ურიცხვ მასას შორის, რომელიც მონის („ყმის“) მდგომარეობამდე იყო დაყვანილი. ესაა სპარტის თავისებური ზნაღე. იგი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სპარტის სახელმწიფო წარმოიშვა დაპყრობის შედეგად. მაგრამ, რასაკვირველია, აქ მგონი არ შეიძლება ისეთ დაპყრობაზე ლაპარაკი, რომელიც მოვიდა შორეული მხრიდან, შუა ან ჩრდილოეთ საბერძნეთიდან. ეს დაპყრობა არ ყოფილა „დროიელთა შესევა-დაპყრობის“ შედეგი, არამედ ალბათ მოხდა პელოპონესის ტომთა შინაგანი გადანაცვლების შედეგად. ასეთი შინაგანი გადანაცვლებანი საკმაოდ დიდი მასშტაბით საბერძნეთში ხდებოდა მეორე და პირველ ათასეულ წლების მიჯნაზე. შესაძლებელია, რომ ერთ-ერთი ასეთი შინაგანი მიგრაციის დროს მოხდა ევროტის წაყოფიერი ველის დაპყრობა იმ ორი ტომის მიერ, რომელნიც დაპყრობის პროცესში ან, იქნებ, უფრო გვიანაც ერთ თემად გაერთიანდნენ.

ამ საკითხის გამო შეიძლება წამოყენებულ იქმნას მრავალი სულ სხვადასხვანაირი ჰიპოთეზა. ყველა ეს ჰიპოთეზები ერთნაირად პრობლემატურია. მაგრამ სპარტის თითონ საზოგადოებრივი სტრუქტურა ძალიან ძნელი ასახსნელია, თუ დავუშვებთ აქ დანარჩენი მოსახლეობის დამმორჩილებელი მმართველი თავისუფალი ზედაფენის გამოყოფის მარტო წმინდა ეკონომიურ გზას; გარე ეკონომიური იძულების მომენტის გარეშე, სხვანაირად რომ ითქვას, დაპყრობის გარეშე სპარტის წესწყობილების ხასიათის ახსნა მეტისმეტად ძნელია.

უძველესი სპარტის წესწყობილების შესახებ ჩვენი ცნობების მთავარ წყაროს წარმოადგენს, როგორც უკვე ითქვა, ლიკურგეს პლუტარქოსისეული ბიოგრაფია. ამ ბიოგრაფიის მეექვსე თავი შეიცავს ერთს შესანიშნავ დოკუმენტს, რომელსაც ეწოდება „ლიკურგეს რეტრა“. ფიქრობენ, რომ სიტყვა „რეტრა“ ნიშნავს ხელშეკრულებას, პირობას, გარიგებას. ბერძნები ლიკურგეს რეტრას თვლიდნენ სპარტის კონსტიტუციად, რომელიც ლიკურგემ მიიღო აპოლონისგან. გადმოცემით, სანამ ის თავის რეფორმას გაატარებდა, იყო დელფოში და იქ პითიასგან მიიღო მითითებანი, თუ როგორ მოეწყო სახელმწიფო.

„რეტრას“ შინაარსი შემდეგია: „ოდეს აღიმართება ტაძარი ზეივს სელაზელისა და ათენა სელანიელის სახელობაზე, დაწესდება ფილები (მეორე წა-

კითხვით „დაიდგება ფილემები“) და მოეწეობა ობეები, დაარსდება გერუსია მ პირისგან არქაგეტებითურთ, დრო გამოშვებით ჯერ არს შეიკრიბოს სახალხო ყრილობა ბაბიკა და კნაკიონს შუა. ამგვარად შეტანილ იქმნას წინადადებანი და დადგენილ იქმნას ისინი. ხალხს დაე ეკუთვნოდეს უფლება და ძალა“.

რეტრის დასაწყისი ექვეებს არ იწვევს: ტაძრების აგება მფარველ ღვთაებათა სახელობაზე -- ჩვეულებრივი საკრალური აქტია მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმის დაწყების დროს. შემდეგ რეტრაში ლაპარაკია ფილემების და ობეების დაწესებაზე. ჩვენ ვიცნობთ ძველს, კლისთენეს წინადროინდელ გაროვნულ ფილემებს ატიკაში. ფილემე იქ ოთხი იყო. დორიელში ჩვეულებრივად სამი ფილემე იყო ხოლმე.

მაგრამ რომელ ფილემებზეა რეტრაში ლაპარაკი? თუ ეს სამი ძველი დორიული ფილემე, მაშინ გაუგებარია, რაღად არის რეტრაში ლაპარაკი მათი დადგენის-დაწესების შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი ამიტომ ფიქრობს, რომ რეტრაში ლაპარაკია კლისთენესეული ფილემების ტიპის ტერიტორიალურ ფილემათა დაარსებაზე. სპარტის სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს დაარსებულ იყო რაღაც ახალი ტერიტორიალური ფილემები, და მათ, როგორც ჩანს, არ მოუსპია ძველი, წინათ არსებული ტომობრივი ფილემები. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ რეტრაში ლაპარაკია ხუთი ტერიტორიალური ფილემის დაწესების შესახებ. თუ ჩვენ მეორე წაკითხვას, კითხვასხვაობას მივიღებთ, მაშინ ეს გაურკვეველობანი მოიხსნება. „ობეები“, რეტრაში რომ იხსენებიან, ალბათ არის ფილემების ნაწილები (ფრატრიათა მსგავსი).

„გერუსია“ ესაა უხუცესთა საბჭო. მართლაც სპარტაში იყო უხუცესთა საბჭო, ოცდაათი კაცისგან შემდგარი, რომელთა რიცხვში შედიოდა ორი „მეფე“. ეს მეფეები რეტრაში იწოდებიან ძველი სიტყვით „არქაგეტებად“, რაც საკუთრივ ნიშნავს მთავარ წინამძღოლებს. აქ თითონ ტერმინშივეა ნათლად ხაზგასმული ბასილევსების სამხედრო ფუნქცია.

რეტრაში აღნიშნულია, რომ საჭიროა დრო და დრო სახალხო ყრილობა შეკრება. ბაბიკა და კნაკიონი სპარტაში რომელიღაც ადგილების სახელწოდებანია.

საგულისხმიერაა, რომ სიტყვისათვის „დაიდგენილ იქმნას“ დედანში ნახშირია ზმნა, „აფისტასთაი“, რაც ნიშნავს „განზე გადგომას, „განზე გასვლას“ „განზე გასვლა“ უჩვენებს ხმის მიცემის ხერხს, როცა კრება ორ მხარეზე გაიყოფა, ორად გაიყოფებოდა: ვინც მარჯვნივ გავიდოდა, ის ამით წინადადებას ხმას აძლევდა, ხოლო ვინც მარცხნივ, ის წინააღმდეგი იყო, ან კიდევ წინააღმდეგი:

რეტრა თავდება ფრაზით, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს: „ხალხს დაე ეკუთვნოდეს უფლება და ძალა“./აქედან ამჟამად გამომდინარეობს ამ დოკუმენტის დემოკრატიული ხასიათი.

უდავოა და უცილობელი, რომ რეტრა წარმოადგენს სპარტის რომელიღაც უძველეს კონსტიტუციას. რასაკვირველია, იგი პითიას არ მიუყვება და არც ლიკურგემ შემოიღო იგი, მაგრამ უეჭველია, რომ რეტრაში წარმოსახულია

სპარტის უძველესი წესწყობილება. რეტრა წარმოადგენს ძალიან ძველ და უძველესს.

თითონ მისი ენა, მისი არქაული ტერმინები („ობები“, „არქაეტები“): მასში ტომობრივი დემოკრატიზმის ასახვა — ყოველივე ეს მოწმობს მის არაჩვეულებრივ სიძველეს.

მეცნიერებაში ლიკურგეს რეტრას შესახებ არსებობს სამი ძირითადი ჰიპოთეზა.

ზოგიერთი მეცნიერი რეტრას თვლის მეტად გვიანდელი დროის ფალსიფიკაციად, რომელიც შედგენილია პოლიტიკური მიზნით IV საუკუნეში. ამიტომაც არის, ამბობენ ისინი, რომ რეტრის ტექსტი პითიას მიეწერა, რომელმაც იგი ლიკურგეს გადასცაო. ეს ჰიპოთეზა ნაკლებ სარწმუნოა და დასაჯერებელია. მეტად მაჩვენებელია რეტრის ტექსტი, მისი არქაული ენა და ძნელი დასაშვებია გაყალბების ასეთი ხელოვნება და დიდი ოსტატობა. როგორც ჩანს, რეტრა არის ნამდვილი ძველი დოკუმენტი, პლუტარქოსის მიერ შემონახული. რომელმაც თავის მხრივ იგი ამოიღო რომელიმე კარგი წყაროებიდან.

მეორე ჰიპოთეზა რეტრის ტექსტს თვლის ხელშეკრულებად თემსა და მეფეებს შორის. ეს აზრიც ჩვენ აგრეთვე დაუსაბუთებელ აზრად გვეჩვენება. „მეფეები“ ეს ძველისძველი ინსტიტუტია სპარტაში და ძნელი დასაშვებია, რომ შესაძლებელი ყოფილიყო რაღაც ხელშეკრულებები ბასილევსებსა და სპარტის თემს შორის.

მესამე ჰიპოთეზა ყველაზე უფრო დასაჯერებელ ჰიპოთეზად გვეჩვენება. იგი გულისხმობს, რომ რეტრაში ჩვენ საქმე გვაქვს ორი თემის სინოიკიზმის ასახვასთან. როცა მოხდა მათი გაერთიანება, შერწყმა. ამან თავისი გამოსახულება პპოვა სპეციალურ ხელშეკრულებაში, რომლის ფიქსაცია მოახდინეს კედეც წერილობითი სახით. ეს ფიქსაცია შეიძლება მომხდარიყო მაშინათვე სინოიკიზმის დროს ან გვიან.

ახლა ვნახოთ, როგორი ეკონომიური წესწყობილება ჰქონდა სპარტის სახელმწიფოს საფუძვლად მისი არსებობის უძველეს პერიოდში. დავიწყოთ ლაკონიკის აგრარული წესწყობილებიდან. აქ ძირითად ერთეულს წარმოადგენდა ნენ კლერები, რომელთაც ჩვენ შევხვდით, როცა ჰომეროსისეულ ეპოქაზე ვლაპარაკობდით. სპარტის მიწა-წყალი სამი კლერისაგან, ე. ი. სათემო ნაკლერისაგან შესდგებოდა.

ყოველ სპარტელ ოჯახს ჰქონდა გარკვეული ნაკვეთი. ეს საოჯახო ნაკვეთები მიწისა გაუსხვისებელი იყო, ყოველ შემთხვევაში IV საუკუნემდე მაინც. არისტოტელე „ლაკონიკის სახელმწიფო წყობილებაში“ შემდეგსა წერს:

„ლაკედემონელებს შორის მიწის სყიდვა-გაყიდვა საძრახისად ითვლება; ძველის ძველი ნაკვეთების გაყიდვა ხომ სრულებით შეუძლებელია“

არისტოტელე წერდა IV საუკუნეში და ასახავდა იმ ურთიერთობას, რომელიც ამ დროს სუფევდა სპარტაში. მაშასადამე, ჯერ IV საუკუნეშივე სპარტაში მიწის ყიდვა და გაყიდვა რაღაც არა საკადრის საქმედ იყო მიჩნეული, ხოლო ძველის ძველი ანუ ძველებური კლერების გაყიდვა აკრძალული იყო. ეს

ჩვენ საბუთს ვგაძლევს ვიფიქროთ, რომ წინა დროებში კლერები სრულიად გაუსხვისებელი იყო.

პლუტარქოსიც თავის ნაწარმოებში „ლაკონიკის დაწესებულებანი“ აგრეთვე ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება ძველითგანვე დადგენილი მიწის ნაჭრის გაყიდვა. ცხადია, არსებობდა რომელიღაც სხვა კატეგორია მიწებისა, რომელთა გასხვისება ნებადართული იყო.

ჩვენ ვიცით ვარდა ამისა, რომ IV საუკ. დასაწყისში სპარტაში ეფორნა ეპიტადევსმა (ეფორებზე ლაპარაკი ქვემოთ გვექნება) გაატარა კანონი, რომლის თანახმად ნება დართული იყო კლერის ანდერძით სხვისთვის დატოვება და ჩუქება. მისი გაყიდვა კვლავინდებურად ისევე არ შეიძლებოდა. მარტო III საუკ.-ში, როგორც ჩანს, გამოვიდა ნებადართვა კლერების გაყიდვისა. ამრიგად, სპარტის უძველეს პერიოდში კლერები მართლაც გაუსხვისებელი იყო. მაგრამ ისინი ამასთანავე, როგორც ჩანს, არც გაყოფილი. უკეთ გაყოფადი ყოფილა მამის შემდეგ კლერის გაყოფა დარჩენილ შვილებს შორის არ შეიძლებოდა. ეს შეიძლება დაეინახოთ პოლიბიოსის სიტყვებიდან, რომელიც ამბობს, რომ სპარტაში ხშირად რამდენიმე ძმას საერთო ცოლი ჰყავდაო. ე. ი. რამდენიმე ძმა საერთო მეურნეობას აწარმოებდა. ის ფაქტი, რომ IV და III საუკუნეებში ისევე დატული იყო ძველებური ნაკვეთები, რომელთა გასხვისება არ შეიძლებოდა. მოწმობს მათ გაუყოფადობაზე, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერაღარ შეინახებოდა ასე გვიანობამდე.

ყოველივე ამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სპარტაში კარგა გვიანობამდე არ ყოფილა მიწაზე ინდივიდუალური საკუთრება. მიწა იყო სახელმწიფო. ყოველ ოჯახს ჰქონდა განსაზღვრული ნაკვეთი. რომლის არც გასხვისება შეიძლებოდა და არც დანაწილება-გაყოფა.

გარკვეული მომენტიდან სპარტაში მიწის სივიწროვე ჩამოვარდა და იგი გადაიქცა მეზობლებთან მიწისთვის იმ ბრძოლის მამოძრავებელ ძალად, რომელიც VIII ს.-ში დაიწყო და VI საუკ.-მდე გრძელდებოდა. ამის შედეგად სპარტამ მოახერხა ხელთ ეგდრ მთელი რიგი გარშემო მდებარე მიწები. იმ ოჯახებმა, რომელნიც მიწის სივიწროვეს გრძნობდნენ, ამ დაპყრობილი ტერიტორიიდან მიიღეს ახალი კლერები.

ვინ მუშაობდა სპარტელების ნაკვეთებზე? თითონ სპარტელები მარტომხედრები იყვნენ, ისინი არ მისდევდნენ არც მიწათმოქმედებას, არც ხელოსნობას, არც ვაჭრობას. უშუალო მწარმოებლები სპარტაში იყვნენ „ილოტები“. ან სიტყვის მნიშვნელობა საცილობელია. ერთი ფიქრობენ, რომ იგი სამხედრო ტყვეს ნიშნავს; მეორეთა აზრით კი იგი წარმოიშვა ქალაქ ილოსის სახელწოდებისგან, რომლის მცხოვრებლები აჯანყებისათვის დაჯჯის მიზნით სპარტელებმა ღონებად აქციეს.

ილოტები ისევე, როგორც მიწა, სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდნენ. მიწის ყოველ ნაკვეთზე იყო მიმაგრებული ილოტების გარკვეული რაოდენობა და თვითეული ასეთი ნაკვეთი ყოველწლიურად იძლეოდა „ლალოს“ 70 მედიმნ ქერს მამაკაცისათვის და 12-ტს დედაკაცისათვის, ვარდა ამისა თხევად პროდუქტს, ე. ი. ღვინოს და ზეთს შესაფერი რაოდენობით. ვარდა ამისა ილო-

ტები უნდა მომსახურებოდნენ თავიანთ ბატონს. სპარტელს, რომელსაც ეკუთვნოდა ესათვის ილოტი, არ შეეძლო მისი არც გაყიდვა და არც განთავისუფლება. მას აგრეთვე არ შეეძლო მისი მოკლა. ილოტებს ხოცავდნენ, მაგრამ მათ ხოცავდა სახელმწიფო.

ილოტების მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო. ბერძენი მწერლები ამბობენ, რომ ილოტებს გაცილებით უფრო უარესი ცხოვრება ჰქონდათ, ვიდრე ათენელ მონებსო, თუმცა ილოტები, როგორც ჩანს, დამოუკიდებელ მეურნეობას აწარმოებდნენ. მათ არ გააჩნდათ არც პოლიტიკური და არც სამოქალაქო უფლებები. ილოტების რიცხვი გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე მათი ბატონებისა. ამიტომაც სპარტელს მეტისმეტად ეშინოდათ ილოტების აჯანყებისა. მათთან ბრძოლის საწარმოებლად მოწყობილი იყო დახვეწისა და შპიონაჟის მთელი სისტემა. ახალგაზრდა სპარტელებს სპეციალურ ამოცანად ჰქონდათ დასახული თვალყური ედევნებინათ ილოტების განწყობილებისათვის და შეეძლოთ მოეკლათ ისინი, ვინც კი მათ საეჭვოდ ეჩვენებოდათ. ეს იყო ეგრეთ წოდებული „კრიპტიები“, ე. ი. სახელმწიფოს მიერ მოწყობილი ქლექა ანუ ხოცვა ილოტებისა

ლიტერატურაში დიდი კამათი და დავაა იმ საკითხის გამო, თუ რას წარმოადგენდნენ ილოტები — მონებსა თუ ყმებს. თუ საკითხს ფორმალური თვალსაზრისით მიუდგებით, მაშინ ისინი ყმები იყვნენ. რადგანაც ისინი მიწაზე იყვნენ მიმაგრებულნი. მონა — ეს ხომ წესია — მიწაზე არაა მიმტკიცებულ-მიმაგრებული და არც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა. მაგრამ ეს დებულება ოდნავადაც არ გვაძლევს ჩვენ უფლებას, როგორც ამას სხადიან ელუარდ შეიერო და მრავალი სხვანი, ილოტების ყმობას შევხედოთ ისე, როგორც ფეოდალურ ყმობას. იმის დაშვება და გულისხმობა, რომ სპარტაში ფეოდალიზმი არსებობდა, ეწინააღმდეგება როგორც ჩვენს გაგებას ისტორიული პროცესისას, ისე ყოველივე იმას, რაც ჩვენ ვიცით სპარტის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე. არც მიწათმფლობელობის, სასიათი და არც პოლიტიკური ურთიერთობანი ოდნავადაც კი არ გვანიშნებენ ფეოდალიზმს. ილოტების „ყმობა“ არის მონობის განსაკუთრებული სახესხვაობა და სხვა არაფერი. მერე ისეთი სახესხვაობა, რომელიც წარმოიშვა, როგორც ჩანს, დაპყრობის შედეგად და რაიც ჩვენ ვგვხვდება მთელ რიგ ბერძნულ ჩამორჩენილ სახელმწიფოებში. სპარტაში სადაც აგრარული წყობილება იყო და ფულადი მფურნეობაც ძალიან არ იყო განვითარებული, მონის გამოყენება ათენურ პრინციპის მიხედვით. ე. ი. მონის გამოყენება სახელმწიფოებში ან მონდვრად გასასყიდ მოსაელოს მოსაყენად, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სპარტელებმა ადრევე დაიმორჩილეს ევროტის ველისა და მეზობელ ლაიონების მცხოვრებლები და თავის მოხარკეებად გაიხადეს. თანაც ისინი ისეთ პირობებში ჩააყენეს, რაიც უფრო მიზანშეწონილი იყო გარკვეულ გარემოებებში. არავითარი აზრი არ ჰქონდა ეს დამორჩილებულნი წაეყენათ ტყვედ როგორც მონები და ისინი სახელმწიფოებში ამოეწყვიდათ, როგორც ამას ჩადიოდნენ ათენი და სხვა მოწინავე ბერძნული სახელმწიფოები. უფრო გონივრული იყო დაეტოვებინათ ისინი მიწაზევე, ჩამოერთმიათ ეს მიწა სახელმწი-

ფოს საკუთრებად, ხოლო ილოტებისთვის შეეწერათ გადასახადები, ჩატყენებინათ ისინი მეტად სასტიკი, სუსნიანი რეჟიმის პირობებში. და თუმცა ისინი უორმაღურად ყმები იყვნენ, მაგრამ ყოველი ყმობა ზომ არ უნდა იყოს უეჭველად ფეოდალური. ფეოდალური ყმური ურთიერთობა ესაა განვითარების შედარებით ძალიან მაღალი სტადიის პროდუქტი. ფეოდალური ყმობა ჩნდება სათემო ურთიერთობის დაშლისა, მიწაზე ინდივიდუალური საკუთრების განვითარების, მისი კონცენტრაციის შედეგად, ე. ი. ყოველივე იმის შედეგად, რაც სპარტაში არ არსებობდა. სპარტის საზოგადოება ძალიან არქაული საზოგადოება იყო, რომელიც გეაროვნული წყობილების არტახებს ძლიერ-ძლიერობით აღწევდა თავს და რომელსაც კჰონდა მიწაზე სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრება მისი უაღრესად წმინდა, შეუბღალავი სახით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მონობა სპარტაში არის მონობის პრიმიტიული ფორმა, რომელიც გაჩნდა ჩამორჩენილი აგარული ქვეყნის პირობებში და დაპყრობის გარემოში.

ილოტებს გარდა სპარტაში იყო კიდევ ერთი ჯგუფი პოლიტიკურად უფლება-მოკლებულ მოსახლეობისა. ეს იყვნენ ეგრეთწოდებული პერიეკები. ეს ტერმინი აღნიშნავს „გარშემო მცხოვრებლებს“, ე. ი. სპარტის გარშემო. ირგვლივ მცხოვრებლებს. პერიეკები პირადად თავისუფლები იყვნენ. მათ შეეძლოთ მიწის მფლობელობა ინდივიდუალური საკუთრების უფლებით. მათ შეეძლოთ აგრეთვე ხელოსნობა და ვაჭრობა ეწარმოებინათ. სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების ის სუბტი ელემენტები რაიც სპარტაში იყო, პერიეკების ხელში იმყოფებოდა. განსახვევებლად ილოტებისგან მათ უნდა ხარკი ეძლიათ მეფეებისათვის.

სპარტა თავისი პოლიტიკური წესწყობილებით და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელი სისტემით წარმოადგენს თავისებურსა. ოღონდ უეჭველს მონათმფლობელურ პოლისს, ქალაქ-სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქალაქის ჩვეულებრივ ცნებას არ უდგება.

სპარტა წარმოადგენდა დიდს გაუმაგრებელ სოფელს, რომელიც მდებარეობდა მოსავლით ნაყოფიერ ველის შუაგულში. ვაჭრობა და ხელოსნობა, რომ ნახელავი მერე გაეყიდნათ, აქ თეთქმის არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში სპარტელები არ მისდევენ არც ერთს და არც მეორეს. სპარტა წარმოადგენს ნიმუშს იმ მონათმფლობელთა თემისას, რომელთა მთავარი მიზანი იყო მონების ექსპლოატაცია და მათი მორჩილებაში დაქერა.

სპარტის, როგორც პოლისის, პოლიტიკურ წესწყობილებას აქვს დემოკრატიზმის ერთგვარი ნიშნები: სახალხო კრება, უხუცესთა საბჭო. მართალია, ეს დემოკრატიზმი სულ სხვა ტიპისა იყო, ვიდრე ათენისა. სადაც დემოკრატია დამყარდა X საუკუნეში არისტოკრატისთან მედგარი ბრძოლის შედეგად. სპარტის დემოკრატიზმი იყო ძველი სამხედრო დემოკრატია, ტომობრივი დემოკრატიზმი, რომელიც თავს იპყრდა, ძლებდა იმის წყალობით, რომ აუცილებელი იყო მონათმფლობელური კოლექტივის მტკიცე შეკავშირება მონათა შესაძლებელ და ყოველთვის მოსალოდნელ აჯანყების საფრთხის წინაშე. მაგრამ სამხედრო დემოკრატისა ყოველთვის მოეპოვება არისტოკრატის მიხედვით:

უმობრძოვი წყობილება მისი დაშლის სტადიაში ჩვეულებრივად გამოპყობს გვაროვნულ არისტოკრატას. არსებობდა იგი სპარტაშიაც. მართალია, ის აქ ასე არაა განვითარებული, როგორც ათენში იყო VII ს.; იქ არ ყოფილა ერთი მუქა ემპატრიდების ოლიგარქიული ხელისუფლება. ოლიგარქია სპარტაში გაძლიერდა შემდეგში, გაცილებით უფრო გვიან, არა უადრეს ძვ. წ. V-IV საუკუნეებისა. VIII-VI საუკ. მანძილზე კი არისტოკრატია სპარტაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ოლიგარქიად გადაქცეული, არამედ წარმოადგენდა ძველი გვაროვნული წარჩინებულების წრის ნაშთს. რომელ ელმენტებისგან-ღა შესდგებოდა „გი? უპირველეს ყოვლისა, იყო ორი ბასილევსი, რომელთაც იჩჩევდნენ ორი ვერისგან -- ავიალებისა და ვერიპონტიდებისგან. ესაა გვაროვნული ურთიერთობის არისტოკრატისაციის პირველი ნიშანი: „მეფის“ ხელისუფლება წარმოადგენს ორი არისტოკრატული გვარის მონაპოლიას.

შემდეგ -- არის გერუსია, უხუცესთა საბჭო. როცა რომელიმე გერონტი ედებოდა, მაშინ მის ადგილას ახალს ირჩევდნენ. გერონტებს ირჩევდნენ გარკვეული გვარების წარმომადგენელთა შორის. მაშასადამე, უხუცესთა საბჭოსაც არისტოკრატისაციის იერი და ხასიათი მიეცა. მართალია, ქასაკობრივ ნიშანს ელავინდებურად ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა და იგი ისევე თამაშობდა ერთგვარ როლს, -- გერონტებად ირჩევდნენ, თუ 60 წელზე ნაკლები არ იყო -- მაგრამ მაინც გადაწყვეტ მომენტს ჩამომავლობა წარმოადგენდა.

ბასილევსები გერუსიას ეხელქვეითებოდნენ. მათ არ შეეძლოთ არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ არ იქნებოდა უხუცესთა საბჭოს თანხმობა, სადაც მეფეებიც შედიოდნენ. მეფეები სპარტაში უმთავრესად იყვნენ მხედართმთავრები ანუ სარდლები და ქურუმები. მაშასადამე, სპარტის „მეფეები“ იგინივე არიან, რასაც წარმოადგენენ პომეროსისეული ბასილევსები. აქ ჩვენ ვხედავთ მეფის ხელისუფლების ტომობრივ ფესვებს, მაგრამ ეს ხელისუფლება სპარტაში უკვე ძალიან იყო შეზღუდული უხუცესთა არისტოკრატულ საბჭოს მიერ.

სპარტაში არსებობდა სახალო კრება ანუ ყრილობა. ამასთანავე, ლიკურვეს კრებრას თანახმად, მას დიდი უფლებები ჰქონდა: „დაე ხალხს ეკუთვნოდეს უფლება და ძალა“. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახალხო კრებას ფაქტურადაც ჰქონდა ეს უფლებები. სპარტაში ხალხს სრულებითაც არა ეკუთვნებია არც უფლება და არც ძალა.

სახალხო კრებამ (აველამ) თვალსაჩინოდ დაქარგა მეტი წილი იმ უფლებებისა, რომელიც მას ჰქონდა ტომობრივი დემოკრატის ეპოქაში. უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეები და სათანამდებო პირთა არჩევნები ფორმალურად სახალხო კრების ხელში იყო. მაგრამ იგი მოკლებული იყო კანონმდებლობითი ინიციატივის უფლებას, მას შეეძლო მარტო მოეწონა ან უკუეველო, უარეყო ის, რასაც მის განსახილველად შეიტანდნენ უმაღლესი თანამდებობის პირნი.

ჩვეულებრივად კრებას იწვევდნენ თვეში ერთხელ: მთვარის გავსებისას. აქ მონაწილეობის უფლება ჰქონდა მარტო მამაკაც სპარტიატებს. რომელთაც უწოდა ქასაკს მიაღწიეს. სახალხო კრებაში ხმის მიცემის ხასიათი თავისით

გვიჩვენებს მისი ორგანიზაციის პრიმიტიულობას. უფრო ხშირად საქმეებს წყდებოდა ყვირილით: იმარჯვებდა იმ მხარის აზრი, რომელიც ყვირილით და ხმაურით თავის მოწინააღმდეგეს აჯობებდა, ყვირილში გადააქარბებდა. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ჩვენ ზემოთაც დავინახეთ, მიმართავდნენ ხოლმე უფრო ორგანიზებულ ხმის მიცემას, კენჭის ყრას: გადიოდნენ ორ მხარეზე აქეთ და იქით, და მერე ითვლიდნენ ასე ხმებს.

მეფეებთან, გერუსიასთან და სახალხო კრებასთან ერთად სპარტის პოლიტიკურ სისტემაში იყო კიდევ ეფორების ინსტიტუტი, რომელმაც შემდგომ ხანებში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა გადავიდეთ სპარტის თემის ორგანიზაციის, სპარტის მთელი ყოფაცხოვრების ორგანიზაციის საკითხზე სპარტაში ძალიან ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების ელემენტები. ისტორიული ტრადიციის თანახმად, სრულუფლებიანი მოქალაქეები სამ გვაროვნულ ფილედ იყვნენ დაყოფილნი. თვითველა ფილე ათ-ათ ღებდ. ნაწილდებოდა, ხოლო ყოველი ობე ათ-ათ ტრიაკადად. თვითველი ტრიაკადა თავის მხრივ შესდგებოდა ოცდაათ ოჯახისაგან. ამგვარად, სპარტაში სულ იყო 9000 ოჯახი. ეს დარგვალეული ციფრები ძალიან საეჭვო და საცილობელი ციფრებია. შესაძლოა, რომ ეს ციფრები წარმოადგენენ ხელოვნურად წარმოქმნილს ნაყოფს ან დარგვალეული იყოს უფრო გვიანდელი შემდგომი ტრადიციის მიერ. ყოველ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, სარწმუნოა ეს ციფრები თუ არა, სპარტაში ჩვენ მაინც ვხედავთ უკვე ნაცნობ სისტემას გვაროვნული ურთიერთობისას.

თავის თემს სპარტელები ეძახოდნენ „თანასწორთა თემს“ და ამავე სახელს უწოდებდნენ სპარტას უცხოელებიც. რაში გამოიხატებოდა ეს თანასწორობა? უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ თანასწორობაში. სპარტის თემის ყველა წევრს პრინციპში ერთნაირი პოლიტიკური უფლებები ჰქონდა, თუმცა უკვე დაიწყო მისი ზედაფენის თავისებური არისტოკრატიზაცია. ეს თანასწორობა არსებობდა ეკონომიურ დარგშიაც და ყოფაცხოვრების ურთიერთობაშიაც. პლუტარქოსი ლიკურგეს ბიოგრაფიაში მოგვითხრობს, რომ ლიკურგემ აკრძალა სახლის ამენების დროს რომელიმე სხვა იარაღებით ესარგებლნა ადამიანს. გარდა ხერხისა და ცულისაო. ამ ღონისძიებით ლიკურგეს თითქოს უნდოდა თავიდან აეცილებინა თემისთვის ფუფუნების განვითარების შესაძლებლობა: თემის ყველა წევრს, გამოუყლებლივ, სახლები უნდა ჰქონოდა ერთნაირი, უბრალო, ყოველგვარ სამკაულს მოკლებული. აქ შეიძლება კაცმა დაიანახოს ტენდენცია ერთგვარი პრიმიტიულობის. ერთგვარი სისადავის შენარჩუნება-დაცობა. იგივე პლუტარქოსი იხსენიებს იმასაც, რომ ლიკურგემ აკრძალა ოქროს დვერცხლის ფულის ხმარებაო. შეიძლებოდა მართო რკინის ფულის ხმარება. რომელიც არაჩვეულებრივ ტლანჭი და უხერხული. მრუმარჯვებელი იყო. მინას (მნას) რაოდენობის თანხის შესანახად საჭირო იყო ხოლმე მთელი საქუჭნაოს თება, ხოლო მის გადამატანად ურმის შებმა უხდებოდათ.

რასაკვირველია, ამ მონათხრობში ბევრია ლეგენდარული, ბევრი-რანაიც მოთხრობილი აქვს პლუტარქოსს, წარმოადგენს გვიანდელ მონასაზრს. მაგრამ ამ ცნობების თვალსაჩინო ნაწილიც რომ ძალიანაც უკუევაგდოთ, მაინც

მოგვიხდება იმის აღიარება, რომ მათში აისახა სპარტის ცხოვრების პრიმიტიულობა და მისწრაფება-მიღრევილება ეკონომიური განვითარების შეჩერებისა-სამეციალურ ღონისძიებათა საშუალებით. ასეთი პოლიტიკა დრომდე იძლეოდა ვფიქტს, რადგან აგრარული სპარტის თითონ ეკონომიკა აადვილებდა მის ცხოვრებაში გატარებას. რატომ ტარდებოდა ცხოვრებაში ასეთი პოლიტიკა. ჩვენ შემდეგ დაინახავთ.

სპარტა უწინარეს ყოვლისა იყო მხედრების თემი და ყოფა-ცხოვრების მთელი ორგანიზაცია, აღზრდის მთელი სისტემა იქითკენ იყო მიმართული, რომ სპარტელი დამდგარიყო იდეალური ჯარისკაცი. სპარტელი უნდა ჯარისკაცად ყოფილიყო და დარჩენილიყო სიჭაბუკიდან მოცილებული ღრმა მოხუცბულობამდე. პლუტარქოსი ლიკურგეს ბიოგრაფიაში ასე აგვიწერს სპარტელუბის აღზრდას:

„ბავშვის აღზრდა მამის ნებაზე არ იყო დამოკიდებული. მამა მას მოიტანდა (მას შერე, რომ გაჩნდებოდა,—ს. კ.) „ლესხაში“, იმ ადგილას, სადაც ისხდნენ ფილეს უფროსი წევრები, რომელნიც ბავშვს გასინჯავდნენ. თუ იგი შავაროდა: სალი, ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა, მას მამას აძლევდნენ გამოსაკვებად, ამასთანავე მას გამოუყოფდნენ ერთ-ერთს მიწის ნაკვეთს 9000 ნაკვეთიდან, მაგრამ სუსტსა და მახინჯ ბავშვებს ისვროდნენ „აპოთეტში“. უფსკრულში ტაიგეტას ახლო (ესაა მთის ქედი სპარტის შორი-ახლო. — ს. კ.)... მათი შეხედულებით ახლად დაბადებულის სიცოცხლე თანაბრად უსარგებლო იქნებოდა პირადი მისთვისაც, და სახელმწიფოსთვისაც, თუ კი იგი სუსტი იყო. დაბადებთვე ტახდალფული... ძიძები ბავშვებს ძალიან ყურადღებით უვლიდნენ და მათ შვენიერადაც იცოდნენ თავიანთი საქმე. ისინი ბავშვებს არტახებს არ უჭერდნენ. არ ახვევდნენ, მათ ასოებსა და საერთოდ მთელ სხეულს სრულ თავისუფლებას აძლევდნენ, აჩვევდნენ ბევრი არ ეკამათ, საკმელში გამრჩენი არ ყოფილიყვნენ, სიბნელისა არ შინებოდნენ... არ ეაყვნათ და არ ეტირათ. ლიკურგე ნებას არ აძლევდა მამებს შვილისთვის ისეთი აღზრდა მიეცათ, როგორც ისინი საკვიროდ ცნობდნენ. ყველა ბავშვებს, რომელთაც შეუსრულდებოდათ თუ არა შვიდი წელიწადი, ერთად თავს უყრიდნენ და „აგელუბად“ ჯგუფებად ჰყოფდნენ. ისინი ერთად ცხოვრობდნენ, ერთად სვამდნენ და სკამდნენ და ეჩვიოდნენ ერთად თამაშსა და ღროის გატარებას... მოხუცები თვალყურს ადევნიდნენ ბავშვების თამაშობას და ხშირად განზრახ წააჩუბებდნენ ხოლმე ბავშვებს. ერთმანეთს აცემ-ატყეპინებდნენ და მშვენიერად გამოიცნობდნენ ხოლმე თეთულის ხასიათს, — მამაცი იყო თუ არა და ხომ არ გამოიქცეოდა ბრძოლის ველიდან. წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ, მაგრამ მარტო იმდენად, რამდენადაც ეს საკვირო იყო, დანაზრჩენ მათ აღზრდას კი ერთი მიზანი ჰქონდა: სიტყვა-შეუბრუნებელივი მორჩილება, ამტანლობა და მეცნიერების დაძლევა. რაც უფრო იზრდებოდნენ, მით უფრო სასტიკი ხდებოდა მათი აღზრდა: თმას ძირამდე; ჰკრუკდნენ, აჩვევდნენ ფეხშიშველა სიარულს და ერთად თამაშს ჩვეულებრივად ტიტლიკანებს. მეცამეტე წელში რომ გადადგებოდნენ, ისინი ხალათს გაიხდიდნენ და იღებდნენ წელიწადში თითო წამოსასხამს. მათ კანი დამწვარი და დახისტიებული ჰქონდათ. თბილ წყალში არ ბანაობდნენ და არას ღროს ნელ-

საცხებელს არ ისევამდნენ; მარტო რამდენიმე დღე წელიწადში ეძლეოდათ მათ ზება ასეთი ფუფუნებისა. ეძინათ მით ერთად „ილე“-ბის, განყოფილების, და „აგელა“-ების მიხედვით ლერწმის საწოლებზე; ლერწმას ისინი ჰკრეფდნენ ევოტის ნაპირებზე. თანაც მას ხელით ჰგლეჯდნენ, დანის მოუხმარებლივ. ყველაფერი. რაც კი მოჰქონდათ, ნაქურდალი იყო: ერთნი ბაღებში მიდიოდნენ საქურდადად, მეორენი სისტიკებზე შეიპარებოდნენ ხოლმე (სისტიკები საზოგადოებრივი, საზიარო სადილებია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. — ს. კ.), თანაც ცდილობდნენ რაც კი შეეძლოთ თავიანთი ეშმაკობა, მოხერხება და სიყრთხილე გამოეჩინათ. ვისაც ქურდობაში დაიჭერდნენ, დაუზოგავად სცემდნენ წყებლით, როგორც უხეირო და უშნო ქურდს... ბავშვები ცდილობდნენ რაც შეიძლება შნოიანად დაემალოთ თავიანთი ქურდობა. ასე მაგალითად, მოგვითხრობენ, რომ ერთმა მათგანმა შელიის ლეკვი მოიპარა და თავის წამოსასხამს ჰქვეშ დამალა: ნადირმა თავის ბრჭყალებით და კბილებით მუცელი მთლად გამოიღო და: მაგრამ მას არ უნდოდა თავისი თავი გაეცა, ბიჭი სულ თავს იმაგობდა. სანამ ადვილზე არ მოკვდაო”.

გვიანდელი ბერძენი მწერალი პავსანიო გადმოგვცემს, რომ სპარტაში ლიკურგეს წინათ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა არსებობდაო. ლიკურგემ ეს მოსაო და იგი ფიზიკური დასჯით შესცვალა; დაშნაშავე ჰაბუკებს სცემდნენ საჯაროდ აოტემიდეს საკურთხეველის წინ და დასჯილის სისხლს, როცა იგი საკურთხეველს შეესხმოდა. უნდა გაეწია ძველებურ კაცთშეწირვის მაგიერობა. ქანთკისათვის საამაყო და სასახელო იყო, თუ ის მღუმარედ, ხმის ამოუღებლივ აიტანდა ამ ცემა-გვემას. რაიც ხანდახან ისე სასტიკი იყო ხოლმე, რომ ჰაბუკები ამ გვემის დროს სულსა ლევდნენ.

ქალების აღზრდა ძალიან როდი განსხვავდებოდა ბიჭების აღზრდისაგან.

პლუტარქოსი ამბობს: „ლიკურგემ ჯეროვანი ყურადღება უჩვენა ქალთა სწავსს. ქალებს სხეულის გასამაგრებლად უნდა ერბინათ, ექიდავათ, ესროლათ დისკო. ვტყორცნათ ლახვარი. რათა: მათი მომავალი შეიღებოთ მაგრები ყოფილიყვნენ ჯანმრთელის დედის საშოშვევ, რომ მათი განვითარება სწორი და წესიერი ყოფილიყო და რომ დედებს ბრითონვე მოელოგინათ მარჯვედ და აღველად. თავიანთი აგებულების სიმაგრის წყალობით. მან აუკრძალა მათ ნებიერობა, სახლში ჯდომა და ნებიერად; ფუფუნებით ცხოვრება: ისინი, ქალები ბიჭებზე მინიწლები უნდა გამოცხადებულყვნენ საზეიმო პროცესიებზე, უნდა ეცეკვნათ და ემღერათ ზოგიერთ დღესაწაულებზე ჯეილი ბიჭების თანადასწრებით და თვალ წინ. მათ შეეძლოთ მასხარად აეგდოთ ყველა, ვისაც კი მოისურვებდნენ, და საამისოდ გამოეყენებინათ მისი შეცდომა: მერაქ მხრივ სიმღერებში უნდა ექოთ და ედიდებინათ ის, ვინც ამის ღირსი იყო და ახალგაზრდობაში აღეძრათ მხურვალე შეჯიბრება და პატივმოყვარეობაო“...

სპარტელი ვაჟები და ქალები განთქმულნი იყვნენ მოკლე, სხარტულად შეკაფიოდ ლაპარაკით. აქედანაა წარმომდგარი გამოთქმანი: „ლაკონიზმი“, „ლაკონიკური“.

სრულწლოვანობას მიღწევდნენ თუ არა, წყდებოდა და თავდებოდა ჰაბუკების სახელმწიფო აღზრდა, ისინი დამოუკიდებელი მოქალაქეები ხდებოდნენ.

ოღონდ ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ისინი კერძო პირებად იქცეოდნენ. სპა-
ტელი სიკვდილამდე მობილიზებული რჩებოდა და სპარტელების თვით ყოფ-
ნობაზე დასაყრდენად ხოლმე სამხედრო ორგანიზაციას.

მშვიდობიანობის დროსაც კი ისინი ისევ „ენომოტიებად“ (კარავთა ამა-
ნაგობებად) იყვნენ დანაწილებულნი. ამხანაგობათა წევრებს ერთად უნდა ესა-
დილნათ ეს იყო სპარტის განთქმული და ცნობილი სისიტები. პლუტარქოსა-
მათ შემდეგნაირად აგვიწერს:

„სუფრასე ყოველთვის 15 კაცი სხდებოდა — ხან მეტი და ხან კიდევ
ამაზე ნაკლები. თვითეულ სისიტს ყოველთვიურად მიჰქონდა მედიმნი ქერო, რე-
კოპობი თუ ტოლჩა ლუდი, ხუთი მნა ყველი, ორნახევარი მნა ლელვის ჩირი და
კიდევ ცოტაოდენი ფული სხვა სანოვანის სასყიდლად. გარდა ამისა თვითეული
მსხვერპლის შემწირველი სისიტიაზე გზავნიდა საღვთო მსხვერპლის (ზეარაკის)
საუკეთესო ნაწილს. მონადირეებიც აგრეთვე გზავნიდნენ ნანადირევის ნაწილს.
ვინც დაიგვიანებდა მსხვერპლის შეწირვისა ან ნადირობის გამო, მას შეეძლო
სახლში ესადილნა; მაგრამ სხვები კი უნდა სადილს დასწრებოდნენ. სპარტე-
ლები დიდხანს წმინდად ინახავდნენ ერთად, ზიარად სადილობის ჩვეულებას.
როცა, მაგალითად, მეფე აგისმა რომელიც გამარჯვებული დაბრუნდა ატიკის
საწინააღმდეგო ლაშქრობიდან, მოიწადინა თავის ცოლთან ერთად სადილი და
თავისი კერძი მოიკითხა. პოლემარქოსებმა ეს კერძი არ გაუგზავნეს. მეორე
დღეს გაჯავრებულმა მეფემ აღარ შესწირა კანონით დადგენილი მსხვერპლი
და უნდა ჯარშია გადაეხადა. სისიტებზე ხშირად ბავშვებიც დაიარებოდნენ.
მათ აქ ატარებდნენ. როგორც სკოლაში, გონების გასახსნელად და განვითარე-
ბისათვის. აქ ისინი ისმენდნენ საუბარს პოლიტიკის შესახებ და თვალ წინ ხე-
დავდნენ დამრიგებლებს ამ სიტყვის საუკეთესო ვაგებიო...“

ამრიგად მთელ აღზრდას მიზნად ჰქონდა დასახული — ვაჟებიც და ქალებიც
აღეზარდა ძლიერ და ჯანმრთელ მოქალაქეებად, მამაკაცისგან გამოსუ-
ლიყო მხედარი, შემუშავებოდა მას დისციპლინა და განვითარებოდა მას ყველა
ის თვისება, რაც კი მხედრობისათვის არის საჭირო. მართლაც, სპარტის ჯარი
საბერძნეთში კარგა ხნის განმავლობაში ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა.

ადვილი გასაგებია, თუ რატომ აძლევდნენ მხარს სპარტაში პრიმიტიულ
გათანაბრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მკვეთრად გამოსჩანდა მისი
სამხედრო ხასიათი. ამას ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური მიზანი: მხარი მის-
ცემოდა მონათმფლობელური კოლექტივის მთლიანობასა და სიმტკიცეს, იმ
კოლექტივისას, რომელიც ქვეყნის შიგნით მზად უნდა ყოფილიყო ექსპლოა-
ტირებული ილოტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო ქვეყნის საზღვრებს
გარეშე — მეზობელ ხალხებთან მიწისა და მონებისათვის საბრძოლველად. ამ
რატომ ვთვლით ჩვენ სპარტას თავისებური მონათმფლობელური პოლისის
ბრწყინვალე ნიმუშად და მაგალითად, ინდივიდუალური საკუთრება და ეკო-
ნომიური დიფერენციაცია სუსტად ჩანდა უძველეს სპარტაში, გაცილებით უფ-
რო სუსტად, ვიდრე ათენსა და სავაკრო-სამრეწველო ტიპის სხვა ბერძნულ
ხალხმწიფოებში. სპარტა დიდხანს, ყოველ შემთხვევაში V საუკ.-მდე შინს,

დარჩა „თანასწორთა“ იმ კოლექტივად, როგორსაც იღვით წარმოადგენდა ყოველი მონათმფლობელური პოლისი.

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ სპარტაში იყო ერთი დაწესებულება, რომელსაც ეფორატი ეწოდებოდა. ეფორატი წარმოადგენს ხუთი კაცისაგან შემდგარს განსაკუთრებულ კოლეგიას. ამ ხუთ კაცს ძალიან დიდი ძალა-უფლება ჰქონდა უმთავრესად საკონტროლო ხასიათისა. ეფორებს უფლება ჰქონდათ თავიანთან დაებარებინათ ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად მუფეებიც კი. მეფეს შეეძლო ორჯელ არ გამოცხადებულიყო ეფორის დაბარებაზე, მაგრამ თუ მესამელად დაიბარებდნენ, მეფე მაშინ მოვალე იყო ეფორთა კოლეგიაში გამოცხადებულიყო და მიეცა საჭირო ახსნა-განმარტებანი.

ეფორებს, როგორც ჩანს, სამოსამართლო უფლებაც ჰქონდათ; მათ კომპეტენციას შეადგენდა სპონქალაქო საქმეების გარჩევა; სისხლის სამართლის საქმეები კი გერუსიის ხელში იყო. ის ფაქტი, რომ ეფორებს, საერთო სახელმწიფო კონტროლის გარდა, მანიპულური ჰქონდათ კიდევ სამსაჯულო მოვალეობანიც, ზოგიერთ მკვლევარს სანაშაუროს აძლევს იფიქროს, რომ ეფორები თავდაპირველად მარტო მსაჯულებად, მოსამართლეებად იყვნენ, ხოლო მერე მოიპოვეს საერთო სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი და მოქმედების საერთო სახელმწიფოებრივი სფერო.

სპარტაში საინტერესო ჩვეულება არსებობდა: ყოველთვიურად მეფეები და ეფორები ერთი მყარად ფიცს აძლევდნენ. ქსენოფონტე „ლაკედემონის სახელმწიფო წყობილებაში“ ანუ პოლიტიაში“ ამბობს: „ყოველივე ეფორები და მეფეები ერთი მეორეს ფიცს აძლევენ: ეფორები სახელმწიფოს სახელით, მეფეები თავის სახელით. მეფის ფიცი იმას შეადგენს, რომ ის თავის თავზე ვალდებულებას იღებს იმეფოს დადგენილი სახელმწიფოებრივი კანონების თანახმად, ხოლო სახელმწიფოს ფიცი იმას შეიცავდა, რომ, სანამ მეფე თავის ფიცს იცავს და არ არღვევს, სახელმწიფოც შეურყეველად დაიცავს მეფის ხელისუფლებას“. ეფორებს ირჩევდნენ ყველა მოქალაქეთა შორის. არისტოტელე „პოლიტიკაში“ ამბობს, რომ „ეფორების კოლეგია შეივსება მთელი მოქალაქეობის წრიდან, ასე რომ მთავრობაში ხშირად ძალიან ღარიბი ხალხი ხვდებოდა“ (არისტოტელე ასახავს იმ ურთიერთობებს, რომელნიც სპარტაში ჩამოყალიბებული იყო IV საუკუნეში, ამიტომაც იხსენიებს ღარიბობას). ამგვარად ეფორების ინსტიტუტი უფრო მეტად იყო დემოკრატიული, ვიდრე მეფეებისა და გერონტების ინსტიტუტი: ამ უკანასკნელებს ირჩევდნენ უფრო წარჩინებულ ოჯახებს შორის, ხოლო ეფორებად — ყველა მოქალაქეთა შორის. აგრეთვე ის ფიციც, რომელსაც ერთი მეორეს აძლევდნენ მეფეები და ეფორები, როგორც თემის წარმომადგენლები, ლაპარაკობს ეფორთა კოლეგიის სწორედ ერთგვარი დემოკრატიზმის შესახებ. უძველეს წყაროებში ეფორატის ხსენება არ გვხვდება, მაგალითად, ლიკურგეს რეტრაში ამის შესახებ სიტყვაც კი არაა დაძრული. რეტრა იხსენიებს მარტო არქაელებს, გერონტებს და აპელას; ხოლო რეტრა ხომ სპარტის ისტორიის უძველესი დოკუმენტია. გვიანდელი ლიტერატორიდან ჩვენ ვიცით, რომ ეფორატი უაღრესად გავლენიან დაწესებულებას წარმოადგენდა. მაშასადამე, იგი გაჩნდა უფრო გვიან, ვიდრე რეტრა დაიწერებოდა.

როგორ წარმოიშვა ეფორატი? ამის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსახრება. უფრო ახლოსაა სინამდვილესთან პროფ. ხვოსტოვის ჰიპოთეზა. ხვოსტოვის ძირითადი დებულებანი ასეთია.

უკვე VIII საუკუნეში სპარტაში იჩინა თავი აგრარულმა კრიზისმა, რომელიც გამოიწვია აგრარული მოსახლეობის სიჭარბემ. მოსახლეობა იზრდებოდა, ხოლო იმ სისტემის პირობებში, რომელიც სპარტაში არსებობდა და ცდილობდა დაეცვა, შეენარჩუნებინა ეკონომიური თანასწორობა, კლერების გაყოფა-დანაწილება არ შეიძლებოდა. ყოველ ახლად დაბადებულს უნდა მიეღო მიწის ახალი ნაკვეთი, და სავსებით ბუნებრივად იყო, რომ დადგებოდა და დადგა კიდევ ისეთი მომენტები, როცა გამოილია თავისუფალი მიწის მარაგი და ნაშთები და ერთსადიმავე ნაკვეთზე რამდენიმე ოჯახი იჯდა. დაიწყო კლერების ფაქტიური დანაწილება-დაქუცმაცება და მთელი რიგი სპარტელი ოჯახი გაღარიბდა კიდევ.

მიუხედავად სპარტის ჩამორჩენილობისა და ფულადი მეურნეობის სისუსტისა, მაინც ხდებოდა მიწის კონცენტრაცია თემის უფრო პრივილეგიურ წევრების (მეფეების, გერონტების) ხელში. ამ პროცესმა გამოიწვია თანასწორობა თემის ფარგლებში ცალკე ფენების გაჩენა, თუმცა ძალიანაც ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ეს ფენებად დაყოფა ხალხისა. აგრარული კრიზისისა და მიწის კონცენტრაციის ნიადაგზე ძალიან გაძლიერდნენ ოლიგარქიული ჯგუფები. პროფ. ხვოსტოვი ფიქრობს, რომ სწორედ ამ მომენტში იყო ლიკურგეს რეტორაში შეტანილი ის დამატება, რომელზედაც პლუტარქოსი ლაპარაკობს.

„შემდეგშიო, — ამბობს პლუტარქოსი ლიკურგეს ბიოგრაფიაში, — როცა ხალხმა დაიწყო მის განსახილველად შეტანილ წინადადებათა დამახინჯება და გადასხვაფერება, ხან ამოკლებდა მათ, ხან კიდევ უმატებდა, მეფეებმა პოლიდორემ და თეოპომპემ წინანდელ რეტრას დაურთეს შემდეგი დამატება: უკეთეს ხალხს შეეცუობა ცუდი გადაწყვეტილების შიღების მიდრეკილება, მაშინ შეფეებსა და გერონტებს უფლება აქვთ კრებიდან წავიდნენო“, სხვანაირად რომ ითქვას, მათ აღარ უნდა დაემტკიცებინათ მისი გადაწყვეტილებანი, არამედ ეს კრება დაეშალათ, დახურულად გამოეცხადებინათ... იმათ ისიც კი მოაზერხეს, რომ ხალხი დააჯერეს. — ასე ორაკულმა ბრძანაო“.

ხვოსტოვი ფიქრობს, რომ სპარტის კონსტიტუციის შეცვლისა და ოლიგარქიის გაძლიერების საპასუხოდ მოხდა დემოკრატიული მოძრაობა, რომელზეც ეფორები წამოაყენა. შესაძლებელია ეს ეფორები წინათაც არსებობდნენ როგორც მოსამართლეები, მაგრამ ახლა დემოკრატიულმა მოძრაობამ მათ მისცა სახელმწიფოებრივი ფუნქციებიც. ეფორატისთვის დამახასიათებელი დემოკრატიზმის ნიშნების წყალობით ეფორების ძალა-უფლება ძალიან უახლოვდებოდა რომში სახალხო ტრიბუნების ძალა-უფლებას და საფუძვლიანი ხდება ის მოსაზრება, რომ მათი თანამდებობა დაარსდა დემოკრატიული მოძრაობის შედეგად.

ამრიგად, სპარტაშიაც მისი ისტორიის ადრეულა ხანაში, როგორც ჩანს, ყოფილა დემოკრატიული მოძრაობანი. ეს მოძრაობანი აქ ისე დიდი არ ყოფილა, როგორც ათენსა და სხვა ბერძნულ სახელმწიფოებში, ვინაიდან სპარტე-

ლებს შორის შინაგანი დიფერენციაცაა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ისე მკვეთრად შეკუთვნილი გამოხატული. ხოლო შემდგომი რევოლუციური მოძრაობის განვითარება შეჩერდა მეზობელ თემებისგან მიწების ხელში ჩაგდების მეორებით.

დაახლოვ. 720 წ. იწყება სპარტის ბრძოლა მოსავლიან მესენიას გასულიყო პოლიდორუსს, რომელმაც რეტრას დამატება დაურთო, მიაწერენ ცნობილი ტყვეებს, რომელნიც მას თითქოს ეთქვას მესენიელებთან ომის დაწყების წინ: „მივიღე გაუყოფელ მიწებზეო“, ე. ი. იმ მიწებზე, რომელნიც დაპყრობის შემდეგ მიიღება კლერებად დაყოფილიყო. ეს იყო საუკეთესო ხერხი და საშუალება აგრარული კრიზისის შესუსტებისა, ხოლო ამით — რევოლუციური მოძრაობის შეწყვეტისაც.

მესენიასთან ბრძოლა იყო ხანგრძლივი და მედგარი, შეუპოვარი და დამთავრდა მისი დაპყრობით. მესენიელები ილოტებად აქციეს, ხოლო მათი მიწები კლერებად დაანაწილეს. ამით აგრარული კრიზისი მოსპეს, დემოკრატიული მოძრაობა შეასუსტეს და სპარტა ისევ „თანასწორობა“ კოლექტივად იქცა. დიფერენციაცაა სპარტელებს შორის დროებით შეჩერებულ იქმნა.

მაგრამ სპარტა განაგრძობს ბრძოლას მიწისათვის. VIII საუკუნიდან VI ს.-მდე გრძელდება ომი არგოსთან სამხრეთ არგოლიდისთვის, ეგრეთწოდებული კინურიისათვის. ბრძოლის შედეგად კინურიის სამხრეთი ნაწილი ლაკონიასთან იქმნა შეერთებულნი.

650-სა და 620 წლებს შუა მოხდა ილოტების პირველი დიდი აჯანყება მესენიაში. ეს აჯანყება ცნობილია მესენიის მეორე ომის სახელით. იგი გაგრძელდა 30 წელიწადს და იყო მეტად სისხლის მღვრელი და უაღრესად შეუპოვარი. ბოლოს და ბოლოს სპარტამ სამუდამოდ დაიმორჩილა მესენია.

უახლოესი ტერიტორიის ხელში ჩაგდების მერე სპარტას დიდ წინააღმდეგობას უწევს არკადია. რაკი დაინახა, რომ მთელი პელოპონესის დაუფლებას ვეღარ ახერხებს, აიღო სპარტამ და შესცვალა თავისი პოლიტიკა და იმ აწარმდე მივიდა, რომ აუცილებელივ საჭირო იყო სამხედრო კავშირის შექმნა პელოპონესის სახელმწიფოებისგან თავისი ჰეგემონიით. VI ს. დასასრულისთვის ეწყობა ეგრეთწოდებული პელოპონესის კავშირი, რომელსაც საკმაოდ დიდი როლის შესრულება მოუხდა საბერძნეთის შემდგომ ისტორიაში. პელოპონესის კავშირი, რომელშიაც შედიოდა პელოპონესის სახელმწიფოთა უმრავლესობა, წარმოადგენდა სამხედრო მოგერიებით-შემტევ კავშირს. სპარტას ამ კავშირში ეკუთვნოდა საკავშირო ლაშქრის ხელმძღვანელობა, თუ ომი ატყდებოდა.

იმ საქმეებს, რომელნიც კავშირს ეხებოდნენ მთლიანად, იხილავდნენ და სწავიერდნენ ყველა მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელთა კრებაზე. მოკავშირეების შინაურ საქმეებში სპარტა ფორმალურად არ ერეოდა. ეს იყო ანტიკური პოლისების ტიპური კავშირი, სადაც ყოველ მოკავშირეს ფორმალურად შინაარსებული ჰქონდა შინაგანი დამოუკიდებლობა, ხოლო ფაქტურად ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ჰეგემონ-სახელმწიფოს.

ასლა მოკლედ გავეცნოთ სხვა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს, რომელნიც სპარტის ტიპისავე იყვნენ. უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ კრეტ ბერძნული ტრადიციის თანახმად, იგი დაიპყრეს დორიელებმა, რომელთაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობაც დაიმორჩილეს. კრეტეს საზოგადოებრივი წყობილების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეგრეთწოდებული „გორტინის წარწერა“. იგი ნაპოვნია კრეტეზე, ძველი ქალაქ გორტინის ადგილას, და წარმოადგენს კრეტეზე მოქმედ სამართლის ჩანაწერს. ვორტინის კანონები შედგენილია, როგორც ჩანს, ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნის ნახევარში, მაგრამ მისი ზოგიერთი ნაწილი შეიცავს უფრო ძველ, ადრინდელ ურთიერთობათა ანარეკლს.

კრეტეზე არსებობდა რამდენიმე ათეული წვრილი ქალაქ-სახელმწიფო. ჩვეულებრივ ეს ქალაქ-სახელმწიფოები დამოუკიდებლები იყვნენ და მარტო ხანდახან თუ შევიდოდნენ არამყარ და არაგამძლე ფედერაციებში.

თავისუფალ კრეტელებს შორის ძალიან ჰქონდა ფესვები გადამუდვი გვაროვნული წყობილების ელემენტებს. თვითველ თემში თავისუფალი მოსახლეობა სამ ფილედ იყო დანაწილებული, ფილეები ჰეტერიებად იყოფოდა (ეს ტერმინი ჰეტერია შეესაბამება ათენურ ფრატიას), ჰეტერიები კი—გვარებად.

უშუალო მწარმოებლის მდგომარეობა კრეტეზე ზოგადად სპარტის უშუალო მწარმოებლის მდგომარეობას, თუმცა აქ გვაქვს დამოკიდებუებები საფეხურთა უფრო რთული და დანაწევრებული ნომენკლატურა.

კრეტეს უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასა წარმოადგენდა მოსახლეობის ჯგუფს, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ ყმებს. მაგრამ ესენი ისეთივე „ყმები“ არიან, როგორც სპარტელი ილოტები. ესენი წარმოადგენენ უფლებამოკლებულ ელემენტებს, რომელნიც მიწაზე სხედან და თავიანთ ბატონებს უხდიან გადაკვეთილ დალას. კრეტეს „ყმები“ ორ ჯგუფად იყოფილხენ: ერთს ჯგუფს ეწოდებოდა „მნოია“, მეორეს კი — „აფამიოტები“ ანუ „ფორკეები“. მათ შორის განსხვავება, როგორცა ჩანს, შემდეგში მდგომარეობდა: მნოია — ეს იყვნენ სახელმწიფო „ყმები“, ილოტების ტიპისა, ხოლო აფამიოტები ანუ ფოკიები იყვნენ კერძო პირთა „ყმები“. კრეტეს „ყმებს“ რამოდენიმედ უფრო მეტი უფლებანი ჰქონდათ, ვიდრე ილოტებს, ანუ უფრო ზუსტად რომ ითქვას, ისინი უფრო ნაკლებად იყვნენ უფლებამოკლებულნი თუ უფლებბონი, ვიდრე ილოტები. ასე მაგალითად, ყმას შეეძლო თავისუფალი ქალი შეერთო ცოლად.

„ყმებს“ გარდა კრეტეზე იყვნენ მონებიც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელთაც ჩვეულებრივ ბერძნულად ეწოდებოდათ „დულოი“. ესენი იყვნენ უმთავრესად ნასყიდი მონები.

გორტინის წარწერა მოგვითხრობს აგრეთვე კაბალაში ჩავარდნილ მოკვლეების შესახებ. გარდა ამისა, კრეტეს მოსახლეობაში იყო კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც ეძახოდნენ „აფეტაირებს“, ე. ი. ეს იყვნენ ისინი, ვინც პეტროლის გარეშე იღვა. რადგან ჰეტერია წარმოადგენდა გვაროვნული წყობილების ძირითად დანაწილებულ ერთეულს, ამიტომ მასასადამე „აფეტაირები“ ისინი იქნებოდნენ, ვინც გვაროვნული ორგანიზაციის გარეშე იღვნენ. ისინი არც მ.

ნები იყვნენ და არც ყმები. ესენი იყვნენ თავისუფალი ქალაქის მცხოვრებნი და გლეხები, რომელნიც არ შედიოდნენ პრივილეგიურ გვაროვნულ ორგანიზაციაში და რომელთაც, მაშასადამე, არა ჰქონდათ მოქალაქეობის პოლიტიკური უფლებები. სოულუფლებიან მოქალაქეებს წარმოადგენდნენ „თავისუფლები“ „ელეფთგროები“. მარტო მათ ჰქონდათ გვაროვნული ორგანიზაცია და მარტო მათ შეეძლოთ აერჩიათ კრეტეს საქალაქო თემების თანამდებობის პირნი უმაღლეს სათანამდებო პირებად იყვნენ 10 „კოსმი“, ათენის არქონტიის მინაგვარი პირნი. ყოფილ კოსმებით შეივსებოდა ხოლმე უხუცესთა საბჭო, ან „ბულე“, ათენის არეოპაგის ანალოგიური;

სახალხო კრებაც არსებობდა, ოღონდ აქ იგრ ისევე, როგორც სპარტაში. თავისკ გადაწყვეტილებათა გამოტანისას ძალიან შეზღუდული იყო, და არ ჰქონდა მას კანონმდებლობითი ინიციატივა.

კრეტეს ყოფა-ცხოვრების საერთო ხასიათი მოგვაგონებს სპარტისას. ამა-საც ახასიათებდა ყაზარმულ-გათანაბრებითი ტენდენციები. სპარტაში რომ ვნახეთ. ასე; მაგალითად, კრეტეზე სრულუფლებიან მამრობით მოსახლეობაში არსებობდა სპარტის სისიტიების ანალოგიური „ანდრიები“

ამ რიგად, კრეტეს ქალაქ-სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წესწყობილება გვაგონებს სპარტას. მაგრამ იგი სპარტის წესწყობილებაზე უფრო რთულია.

რით აიხსნება ეს სირთულე? როგორც ჩანს იმით, რომ შინაგანი დიფერენციაციის პროცესი კუნძ. კრეტეზე რამოდენიმედ უფრო შორს წავიდა, ვიდრე სპარტაში, სადაც მთელი რიგი ადგილობრივი პირობები აფერხებდნენ დიფერენციაციას და წარმოჰქმნიდნენ უფრო-მარტივ საზოგადოებრივ სტრუქტურას.

რამდენიმე სიტყვას ვიტყვი საბერძნეთის მეორე ჩამორჩენილ ქვეყანაზე თესალიაზე. ეს იყო ჩრდილო საბერძნეთის ოლქი, რომელიც მეზობელ ოლქებისგან გამოიჯნული იყო ძნელად გადასავალ მთის ქედებით. მას უხვად რწყავდა მდინარე პენეი თავისი უთვალავი შენაკადებით და იგიც ამიტომ წარმოადგენდა საბერძნეთის ერთ-ერთ მოსავლიანობით და ნაყოფიერებით იშვიათს ოლქს.

თესალიის აგრარული ხასიათი და მისი დამორება მოწინავე ბერძნულ ცენტრებზე — აი მისი ჩამორჩენილობის მიზეზი. იქ დიდხანს ბატონობდა არისტოკრატია, კერძოდ ქალაქ ლარისიდან ჩამომავალი ალევადების არისტოკრატული გვარი.

უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასა თესალიაში იწოდებოდა „პენეტებად“. ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ და ცოტა-რამ ვიცით მათი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ყველა მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ იგი ძალიან წააგავდა სპარტელ ილოტების მდგომარეობას. შესაძლებელია, რომ თესალიის სველი მოსახლეობა დაპყრობილ იქმნა ეპირიდან შემოპრილ დამპყრობელთა მიერ. ისიც შესაძლებელია, რომ მმართველი ჯგუფი გამოიყო დიფერენციაციის ბუნებრივი პროცესის შედეგად და უშუალო მწარმოებლების, წინათ თავისუფალ მეთემეებად მყოფი ელემენტის, დაკაბალების შედეგად.

თესალიაში ქალაქთა რიცხვი ცოტა იყო. ომის დროს ისინი შეადგენდნენ ხოლმე კავშირს, რომელსაც სათავეში ედგა წინამძღოლი, „ტაგი“, დიდი რწმუნებით და უფლებებით აღჭურვილი.

საბერძნეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე ბერძნული ოლქები — ეპირა, აკარნანია, ეტოლია და სხვანი, — ინარჩუნებენ უფრო პრიმიტიულ ნიშნებს. ამ ოლქებში კარგა ხნობამდე არსებობდა გვაროვნული ურთიერთობა: „პატრიარქალური“ მონარქია, თავისუფალი უშუალო მწარმოებლები, სუსტად გახვითარებული მონობა. ქალაქები არაყოფილა, მაგრამ ამ ჩამორჩენილ ოლქებზე ჩვენ ცოტა-რამ ვიცით.

შევირდეთ კიდევ ბეოტიაზე. ეს იყო შუა საბერძნეთის ოლქი, ატიკის მეზობლად მდებარე. მისი მთავარი ქალაქი იყო თებე. ბეოტია მიეკუთვნება, შეიძლება ითქვას, საშუალო ტიპს საბერძნეთის ჩამორჩენილ ნაწილებსა და ეკონომიურად განვითარებულ ოლქებს შორის. ჩვენ უკვე შეგხვდით ერთხელ ბეოტიას, როცა ჰესიოდეს ვარჩევდით. ჩვენ ვნახეთ, რომ VII საუკ. ბეოტიაში ვლენობის ძირითადი მასა ჯერ ისევ თავისუფალი იყო, მაგრამ მისი დაგლობის შედეგად უკვე იწყებოდა გლენობის დაკაბალების პროცესი. მმართველ ჯგუფს წარმოადგენდა არისტოკრატია. მეფის ხელისუფლება, რომელიც წინათ არსებობდა ბეოტიაში (პატრიარქალური მონარქია), VIII ს.-ში უკვე მოსპობილი იქნა. ისევე, როგორც მოწინავე სახელმწიფოებში; არისტოკრატიაზე ხელთ იგდო ძალა-უფლება. „მეფეები“, რომელთაც ჰესიოდეს იხსენიებს, — უკვე ძველი ტომობრივი წინამძღოლები როდი არიან, არამედ არიან არისტოკრატია-ს წარმომადგენლები, რომელთაც ხელთ აქვთ აგრეთვე სამართალიც.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობდა ქალაქ თებეს მეთაურობით ბეოტიის ქალაქების საკმაოდ-არამტკიცე კავშირი. ეს კავშირი ხშირად იშლებოდა. V საუკუნეში ბერძენ-ირანელთა ომების დროს ბეოტიაში კვლავ ისევ არისტოკრატია განაგრძობს ბატონობას; მაშინ მას ირანელების მხარე ეკირა. ამავე დროს ბეოტიაში იწყება დემოკრატიული მოძრაობა; ბრძოლა წარმოებს ცვალებადი წარმატებით: ხან დემოკრატია ამარცხებს, ხან ისევ ოლიგარქია მყარდება. V ს. ნახევარში ბეოტიის არისტოკრატია მსპარტის დახმარებით კვლავ იგდო ხელთ ძალა-უფლება და მარტო IV საუკუნისთვის თებესა და ბეოტიაში ხდებოდა პოლიტიკური წესწყობილების დემოკრატიზაცია.

ამრიგად მეხუთე საუკუნეს, იმ დროს, რომელიც წარმოადგენს ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების უმაღლეს წერტილს, საბერძნეთი ხედება დანაწილებულ-დაქსაქსული და აქრელებული. მოწინავე თემებთან ერთად, რომელთაც სავესებით აღმოფხვრეს გვაროვნული წყობილება, არის კიდევ ჩამორჩენილი აგრარული ოლქები თავისი პრიმიტიული ურთიერთობის ძლიერი ელემენტებით, ხოლო დასავლეთის უმეტეს ნაწილში ჯერ ისევ მთლად გაბატონებულია ძველი არქაული ურთიერთობა.

VII. ბერძენ-ირანელთა ომიანობა

V საუკ. მთელი პირველი ნახევარი უჭერია ბერძენ-ირანელთა ომიანობას. რამაც უდიდესი როლი ითამაშა საბერძნეთის საგარეო და შინაგან ისტორიაში. ბერძენ-ირანელთა ომიანობის ისტორიისთვის, ვიდრე 478 წლამდე, ძირითად წყაროს წარმოადგენს პეროდოტე, მიუხედავად ყველა იმ ნაკლისა, რომელიც მას აქვს, როგორც ისტორიკოსს.

ბერძენ-ირანელთა ომებისადმი განკუთვნილია აგრეთვე დიოდორე სიცილიელის „საისტორიო ბიბლიოთეკის“ მე-11 წიგნი.

ამ ეპოქის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ აგრეთვე პლუტარქოსის მიერ დაწერილი ბიოგრაფიები-თემისტოკლესი, არისტიდესი, კიმონისა და პერიკლესი. მასალა მოიძებნება არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილებაშია“ ანუ „პოლიტიაში“. არისტოტელეს „პოლიტიას“ გარდა ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე „ათენელთა პოლიტიამ“, რომელსაც ქსენოფონტეს მიაწერენ, მაგრამ რომელიც სინამდვილეში მას არ ეკუთვნის. ამიტომ ჩვეულებრივ მას ფსევდო-ქსენოფონტისეულ „პოლიტიას“ უწოდებენ. ფიქრობენ, რომ იგი დაწერილია რომელიღაც სპარტოფილოს მიერ, რომელსაც სძულდა ათენის დემოკრატია. აქაც არის აგრეთვე მასალა ბერძენ-ირანელთა ომიანობის დროისა. ბევრ მასალას იძლევიან აგრეთვე წარწერები.

VI საუკ. მეორე ნახევარში წარმოიქმნა ირანის სახელმწიფო, რომელმაც გააერთიანა იმდროინდელი კულტურული სამყაროს უდიდესი ნაწილი. დარიოსის დროს ეს მსოფლიო სახელმწიფო საბოლოოდ ჩამოყალიბდა, მოხდა მისი კონსოლიდაცია, და სწორედ მის დროსვე მოხდა ბერძნებთან შეხლა, რაც გამოწვეული იყო როგორც იმით, რომ ირანი დასავლეთისკენ მიიღტვოდა, ისე ბერძნების აგრესიით აღმოსავლეთისკენ.

ბერძენ-ირანელთა ომების უშუალო მიზეზი იყო მცირე აზიის ბერძნულ ქალაქების აჯანყება.

ეს ქალაქები ირანელებმა დაიპყრეს იმ დროს, როცა ირანის სახელმწიფომ დასავლეთისკენ ლტოლვა-მისწრაფებისას მიაღწია ეგეოსის ზღვის ნაპირებამდე. კიროსმა ხელთ იგდო ლიდია და ბერძნული ქალაქები, მილეტი, სმირნა, ეფესი და სხვანი.

მცირე აზიის შდიდარ ქალაქების დაპყრობა ირანელებისთვის მნიშვნელოვანი მიტომ იყო, რომ მათგან შეიძლებოდა დიდი ხარკის აკრეფა, ხოლო ირანის მმართველობის მთელი სისტემა საბოლოოდ ხარკის აკრეფაში გამოიხატე-

ზოდა უმთავრესად. ირანელების მზრძანებლობა ძალიან სამძიმო იყო მცირე აზიის მდიდარ ქალაქებისთვის არა მარტო იმიტომ, რომ მას თან სდევდა ძარცვა-ყველეფა, არამედ იმიტომაც, რომ თითქმის ყველა ქალაქებში. ირანელებს რომ ემორჩილებოდნენ, ტირანები წაშოსვეს. ეს ტირანები განსხვავდებოდნენ VII-VI ს. ტირანებისგან, რომელთაც ჩვენ უკვე ვიცნობთ ათენისა და სხვა ბერძნული ქალაქების ისტორიით. VII-VI საუკუნეთა ტირანია ემყარებოდა დემოკრატიას, ირანელების მიერ დამყარებული ტირანია კი ყურდნობოდა უმთავრესად არისტოკრატიას. ირანის მეფეთა ნაცვლებმა ანუ მოადგილეებმა, სატრაპებმა, არისტოკრატიის წრიდან არჩეული ტირანები გადააქციეს ირანული გავლენის გამტარებლებად დაპყრობილ ქალაქებში. ამრიგად ეკონომიურ ჩაგვრა-შევიწროებასთან გადახლართული იყო პოლიტიკური ჩაგვრაც. სწორედ ამ ორ-პაემამ ჩაგვრამ გამოიწვია მცირე აზიის მდიდარ ქალაქებში ირანელების წინააღმდეგ ფართო დემოკრატიული მოძრაობა, რომელმაც დაახლ. 500 წ. ძვ. წელთაღრიცხვით აშკარა აჯანყების სახე მიიღო.

უშუალო საბაბი აჯანყებისა იყო დარიოს I-ლის ლაშქრობა სკვითების წინააღმდეგ, 513 წ. რომ მოხდა. სკვითები ბინადრობდნენ ახლანდელი სსრკ სამხრეთში და თავისი თარეშებით ძალიან აწუხებდნენ და ავიწროებდნენ ირანის სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრებს. დარიოსმა იმ მიზნით, რომ უზრუნველყო და დაეცვა თავისი საზღვრები სკვითების თავდასხმებისგან; გადასწყვიტა სკვითების წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის მოწყობა. სალაშქრო მიზნად ამოირჩია ევროპელ სკვითების ტერიტორია. ირანელების გზა მიდიოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ღუნაიზე თანამედროვე რუმინეთისკენ. დარიოსს უნდოდა სკვითებზე ლაშქრობასთან ერთად დემორჩილებინა. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილიც. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ირანელებმა დააპყრეს თრაკია, ხოლო მაკედონია თავისზე დამოკიდებული გახადეს.

მაგრამ სკვითების საწინააღმდეგო ოპერაციები მარცხიანი იყო. ირანის უშველებელი ჯარი, რომლის გადასაყვანად ღუნაიზე ხიდის აგება დასჭირდათ. შევიდა ტრამალების სიღრმეში და ვერაფერს ვერ აწყობდა შეუწყარ სკვით ცხენოსნებთან. ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ ირანის არმიას წვრილ-წვრილი თავდასხმა-თარეშებით, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრას ერიდებოდნენ.

ირანის არმიის მომარაგება ძალიან უხეიროდ იყო მოწყობილი, ბაზა მეტად შორს ჰქონდათ. ირანის ჯარის ზურგში ბერძნულ რაზმებს შორის, რომელნიც ღუნაიზე გადებულ ხიდს იცავდნენ, დაიბადა აზრი ხიდის დანგრევისა, რომ ამით დარიოსისთვის გზა მოეჭრათ და შეუძლებელი გამხდარიყო მისი დაბრუნება ღუნაის იქითა ტრამალებიდან. მართალია, ამ გეგმიდან არა გამოვიდა რა. მაგრამ მაინც ირანელების ზურგს უკან დამშვიდებული მდგომარეობა არ იყო.

დარიოსის არმია უკან დაბრუნდა ისე, რომ თავისი მთავარი მიზანი ვერ განახორციელა. ირანის ლაშქრობის მარცხი გადაიქცა სწორედ იმ ბიძგად, რომელმაც 500 წ. ახლო ხანებში გამოიწვია აჯანყება მცირე აზიის ბერძნებისა ქალაქ მილეტის მეთაურობით.

აჯანყებულებმა დახმარებისათვის მიმართეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბერძნებს. მაგრამ ეს დახმარება ისიც მეტად უმნიშვნელო, მათ მოუვი-

დათ მარტო ათენისგან და ეგვიპტის ერეტიისგან: ათენმა 20 ხომალდი გაუგზავნა. ერეტიამ — 5.

ასეთი სუსტი გამომხაურება მცირე აზიის ბერძნების მოწოდება-მიმართვაზე აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით.

ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპელი ბერძნების უმრავლესობა მაშინ მცირე აზიის საქმეებს ისე უტკეპროდა, როგორც რაიმე სხვა, უცხო საქმეს, რომელიც მას არ შეეხებოდა. საბერძნეთი არ წარმოადგენდა მთლიანს სახელმწიფოს, ცალკეულ ბერძნულ თემებში სქარბობდა და მძლეობდა ლოკალური ინტერესები.

შემდეგში, როცა საბერძნეთის ტერიტორიაზე გაჩნდნენ ქსერქსეს ჯარები, ბერძნული სახელმწიფოები საერთო საშიშროების წინაშე უკვე ერთიანდებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ის საფრთხე, რომელიც მცირე აზიის ქალაქებისთვის მზადდებოდა, იმდენად შორეულ საფრთხედ ეჩვენებოდათ ევროპელ ბერძნებს, რომ მასზე ფიქრიც კი ზედმეტად მიაჩნდათ. რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკა ძალიან ბეცი პოლიტიკა იყო. ამასთანავე მცირე აზიის ქალაქთა აჯანყების დროს ბალკანეთის ბერძნებსაც ჰქონდათ მრავალი თავისი შინაპოლიტიკური სიძნელე-გაჭირვებანი, მეტადრე სპარტას — პელოპონესში. ამასთანავე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბერძნული საზოგადოების ყველა ჯგუფები როდი ყოფილან ერთსულოვანი ირანის მიმართ თავიანთ დამოკიდებულებაში. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მარტო ათენმა და ერეტიამ გაუგზავნეს მილეტს მცირედი დახმარება.

აჯანყების დაწყების შემდეგ ექვსი წელი გავიდა და მარტო მაშინ, 494 წ. ირანელებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი მცირე აზიაში და მარტო მაშინ შესძლეს დიდი სისასტიკით აჯანყების ჩაქრობა. განსაკუთრებით დაზარალდა და დაისაჯა, მილეტი, რომელიც დაანგრავს, ხოლო მისი მცხოვრებნი მონებად წაასხეს. მაშინ დარიოსმა გადასწყვიტა ის დახმარება, რომელიც მილეტელებს ათენმა და ერეტიამ აღმოუჩინეს, გამოეყენებინა საბაბად ომის გამოცხადებისათვის.

492 წ. ირანელებმა მოაწყეს პირველი ლაშქრობა საბერძნეთის წინააღმდეგ; ლაშქრობას სათავეში ედგა დარიოსის სიძე მარდონი ეს იყო კომბინირებული სახმელეთ-საზღვაო ლაშქრობა. ირანის არმია მიიმართებოდა თრაკიის სამხრეთი ნაწილით, ხოლო ფლოტი ნაპირის გაყოლებაზე მიიწევდა. ირანელებს საკმაოდ თვალსაჩინო ძალები ჰყავდათ, მაგრამ ლაშქრობა მაინც მარცხით გათავდა, ვინაიდან ათონის კონცხთან, რომელიც ბერძენ მეზღვაურებს შორის სახიფათო ადგილად იყო ცნობილი, მარდონის ფლოტი ქარიშხალმა მიჰფანტ-მოჰფანტა, ხოლო ხმელეთის ჯარი ირანელებისა ძალიან ზარალდებოდა თრაკიელ ტომთა მოქმედების წყალობით: ისინი ხომ მარტო ნომინალურად ემორჩილებოდნენ ირანელებს. თრაკიელებს არ უნდოდათ თავიანთ მიწა-წყალზე გაეტარებინათ ირანის არმია, რომელიც გზად ყველაფერს სპობდა და აჩანაგებდა. მარდონის არმია იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო.

როგორც ჩანს, 491 წ. დარიოსმა გაგზავნა საბერძნეთში თავისი „დესპანებო ცნობილი მოთხოვნით „მიწისა და წყლისა“ (დამორჩილების მოთხოვნით).

მთელმა რიგმა ბერძნულმა სახელმწიფოებმა იცნეს ირანელების ხელისუფლება, მაგრამ ზოგიერთმა ქალაქმა კი, როგორც მაგალითად ათენმა და სპარტამ. ირანელი ელჩები დახოცა.

490 წ. მოხდება დატისისა და არტაფერნის ლაშქრობა, რომელიც ცნობილია მარათონის ბრძოლით: ამ გზობაზე ირანელებმა გადასწყვეტეს თავისი ჯარი ზღვით გადაეყვანათ. იმათ დაანგრიეს ერეტრია კუნძ. ევბეაზე და გამოსხდნენ მარათონს ახლოს. ეს იყო პატარა დაბა, რომელიც მდებარეობდა ატიკის ჩრდილო-აღმოსავლეთს მთა-გორიან ნაწილში. ათენში და საერთოდ საბერძნეთში ძალიან შეშფოთებული და შეფიქრიანებულნი იყვნენ, რადგანაც ათენშიაც კი აღმოჩნდნენ ირანელების მომხრეები. ეს ჯგუფი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო თავისი რიცხვით. მას, მაგალითად, ეკუთვნოდნენ პისისტრატიდების დაბრუნების მომხრეები. ძალიან საეჭვოდ ეჭირათ თავი აგრეთვე ალკმეონიდებს. ჰეროდოტე წერს, რომ ათენელებმა მათ ბრალი დასდეს მოლაღატეობაში მათი ირანული ორიენტაციის გამო.

სავსებით ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ იყვნენ ალკმეონიდები ირანელების მხარეზე? უნდა ვიფიქროოთ, რომ ამის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ალკმეონიდები მცირე აზიასთან დაკავშირებულნი იყვნენ სავაჭრო ინტერესებით. ირანის გამარჯვება იქნებოდა საბერძნეთის მოქცევა ირანის მონარქიის ფარგლებში. ეს რომ მომხდარიყო, საბერძნეთის სავაჭრო კაპიტალის ზოგიერთი წრეები, მცირე აზიასთან რომ იყვნენ დაკავშირებულნი, ძალიან მოგებაში დარჩებოდნენ. ყოველ შემთხვევაში ირანოფილური განწყობილება საბერძნეთში საკმაოდ ძლიერი იყო. შემდეგშიაც ქსერქსეს ლაშქრობის დროს, მთელი რიგი ბერძნული ოლქები ირანელების მხარეზე გადავიდნენ. მაგალითად, საადგილ-მამულო არისტოკრატია თესალიასა და ბეოტიაში აშკარად გადავიდა ირანელების მხარეზე.

მდგომარეობა მით უფრო მიტომ იყო სახიფათო, რომ ირანელების სწრაფმა გადმოსვლამ (საბერძნეთის ნაპირზე) ბევრს საშუალება მოუსპო ათენისთვის მიეწოდებინათ რამოდენიმედ მაინც სერიოზული დახმარება, სპარტელებმა თავისი რაზმებით დაიგვიანეს და მხოლოდ პლატეამ-ღა (ეს იყო ბეოტიის პატარა ქალაქი ატიკის საზღვარზე) გამოგზავნა ათასი ჰოპლიტი. ამრიგად, მარათონთან ირანის ჯარის პირისპირ იდგა 11 ათასი მძიმედ შეიარაღებული ბერძენი (10 ათასი ათენელი და 1 ათასი პლატეველნი).

490 წ. სექტემბერში მოხდა ცნობილი მარათონის ბრძოლა, პირველი შეტაკება ბერძნებისა და ირანელებისა. პირველი შეჯახება ორი საზოგადოებრივი სისტემისა და ორი სამხედრო ტაქტიკისა — ირანულისა და ბერძნულისა.

ბერძენ ჰოპლიტების ლაშქარს მარათონთან სარდლობდა მილტიადე. იგი ეკუთვნოდა ათენის ძველისძველ არისტოკრატიას და დიდი ადგილ-მამულეების მფლობელი იყო თრაკიის ხერსონესზე, სადაც კარგად გაეცნო ირანელებს. სარდლის თანამდებობაზედაც იგი წამოაყენეს, როგორც ისეთი პირი, რომელიც კარგად იცნობდა ირანელების სამხედრო ტაქტიკას. მილტიადემ გაამართლა სალხის არჩევანი, რადგანაც მან მოახერხა არაჩვეულებრივი ხელოვნებით თავისი ჯარის დაწყობა.

ირანელები გადმოსხდნენ მარათონის ველზე. ეს იყო საკმაოდ ვიწრო ზღვისკენ მიმავალი ვაკე, რომელსაც ყოველმხრივ მთები ჰქონდა გარსშემორტყმული. მილტიადემ თავისი არმია დააწყო გაშლილი ფრონტით, რამდენიმე მწკრივად: ფრონტით ანუ ფლანგებით მილობებზე დანდობილი იგი ამგვარად ველის გადასაეალს უხშავდა მტერს.

ირანელებს არ შეეძლოთ მარათონთან ბრძოლის დროს გამოეყენებინათ თავისი მშვენიერი ცხენოსანი ჯარი, რადგანაც ძნელი იყო გემებით ცხენების დიდი რაოდენობით გადმოყვანა. მაგრამ ის ცხენოსანი ჯარიც, რომელიც მარათონთან ჰყავდათ ირანელებს, ველარ გაშალეს მარათონის შედარებით ვიწრო ველის ფარგლებში.

ამრიგად ირანელების უპირატესობა ბერძნების წინაშე — ცხენოსანი ჯარი — მარათონთან ბრძოლის დროს თითქმის არ ყოფილა და ბრძოლის ბელი გადასწყდა ქვეითა ჯარების შეტაკებით. ირანელები თავის სამხედრო კონტინგენტს აგროვებდნენ და ადგენდნენ სხვადასხვა მათ მიერ დაპყრობილ ოლქებიდან. თავისი ტომობრივი შემადგენლობით ჰრელს, ნაკლებად შეკავშირებულია და ცუდად ორგანიზებულ ირანულ ქვეითა ჯარს ძალიან უჭირდა ერთსულღვან ათენელ ჰოპლიტებთან გამკლავება, რომელნიც იცავდნენ საკუთარ მიწაწყალს. ჰოპლიტებს ძირითადად შეადგენდნენ ატიკელი გლეხები, რომელთაც კარგად ესმოდათ თუ რისთვისაც იბრძოდნენ. ბერძნული ფლანგის*) მკვირვ და მკიდრო წყობასე. ჰოპლიტების რეინისეულ კედელზე დატაკებული ირანის ჰრელი არმია ხელაძვე დაიმსხვრა.

ირანელები იძულებულნი შეიქმნენ საჩქაროდ ვემებში ჩამსხდარიყვნენ (თანაც რამდენიმე გემიც დაეღუპათ) და ზღვაში გასულიყვნენ. ირანის ფლოტი შეეკადა დაეკირა ათენის ნავსადგური, მაგრამ ამ დროისთვის იქ უკვე გაბრუნდა მარათონის ლაშქარი და ირანელებიც იძულებული გახდნენ გასცლოდნენ.

მარათონის შემდეგ ათი წლის განმავლობაში აღარ განახლებულა სამხედრო მოქმედებანი. ეს იმით აიხსნება, რომ დარიოსი მალე გარდაიცვალა. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ირანში ატყდა მეფეების გამოცვლის დროს ჩვეულებრივი მღელვარებანი. საამ დარიოსის მოადგილე ქსერქსე დააცხრობდა აჯანყებებს და თავს მოუყრიდა უშველებელ არმიას (ენაიდან ქსერქსემ ვადასწყვიტა საბერძნეთი ერთხელ და სამუდამოდ გაექელა და გაეპყლიტა), გავიდა 10 წელი.

ამრიგად ბერძნებს ჰქონდათ ათი წლის შესვენება — 490 წლიდან 480 წლამდე.

ეს ათი წლის ხარვეზი ათენში აღსაესე იყო მწვავე პარტიული ბრძოლი. პარტიული ბრძოლბ ათენში არ შეწყვეტილა VI საუკ. შემდეგაც. სიტყვა „პარტიულ ბრძოლას“ ჩვენ ვხმარობთ ამ ცნების არა თანამედროვე მნიშვნელობით, რადგანაც არავითარი პარტიები ამ სიტყვის ჩვენი გაგებით საბერძნეთში არ ყოფილა: იქ იყო გარკვეული საზოგადოებრივი მიმდინარეობანი, იყვნენ ამ მიმდინარეობათა მეთაურ-წინამძღოლები და პარტიულ ბრძოლა ხშირად გა-

*) ფლანგა ეს იყო ჰოპლიტების დახშული წყობა, რომელიც რამდენიმე მწკრივად ეწობოდა და იძვროდა როგორც ერთი მთლიანი რამ.

მოსხანდა როგორც ამ წინამძღოლების ბრძოლა ერდმანეთს შორის. ჩვენთვის ძალიან ძნელია ზუსტი დახასიათება მიეცეთ მებრძოლ ჯგუფებს, რადგანაც ჰრძოლა წარმოებდა ერთი კლასის ფარგლებში. მის შიგნითვე, როცა ლაპარაკი გვაქვს მონათმფლობელთა და მონებს შორის ბრძოლაზე, იქ სურათი ნათელია, მაგრამ როცა ელაპარაკობთ შინაკლასობრივ ბრძოლაზე, მაგალითად, არისტოკრატიულ და დემოკრატიულ ჯგუფებს შორის ბრძოლის შესახებ ან კლენობის ბრძოლაზე მსხვილ მიწათმფლობელების წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ აქ აშირად დიდ გაჭირვებაში ვეარდებით, რადგან ეს შინაკლასობრივი სხედასხვა ნაკეთი და იერი ძალიან გაურკვეველი და ძნელად ამოსაცნობია. ყოველთვის, როცა კი ეცდილობთ მათი დახასიათება მიეცეთ, ჩვენ ერთი საფრთხის წინაშე ვართ ვაი თუ ერთგვარ მოდერნიზაციასა და ეულგარიზაციას მიეცეთ თავი.

490 წ. შემდეგ ათენში ძირითადად ორი ჯგუფი იბრძოდა: მემარჯვენე-არისტოკრატიული და მემარცხენე-დემოკრატიული. მემარჯვენე ჯგუფში იყო უფრო რეაქციული მიმდინარეობაც და ნაკლებ რეაქციული მიმდინარეობაც. ასეთივე ნაირნაირი იერი გადაჰკრავდა დემოკრატიულ პარტიასაც. ჩვენ რომ შეგალითისთვის ავიღოთ მემარჯვენე ჯგუფის წინამძღოლები ჩვენთვის უკვე ნაცნობი მილტიადე და საკმაოდ შეძლებული მიწათმფლობელი არისტიდე, მათი პოლიტიკური პლატფორმების სხვაობის გარკვევა ადვილი საქმე როდია. ორივენი იყენებდნენ აგრარული წრეების ინტერესთა და განწყობილებათა გამოშტეველნი. ეს წრეები კი საკმაოდ ფართო იყო: ისინი შეიცავდნენ თავიანთ რიგებში საადგილ-მამულო არისტოკრატიასაც და გლენობასაც. რომელიც V ს. დასაწყისში საკმაოდ კონსერვატიულად იყო განწყობილი. მილტიადე, ხოლო შემდეგში მისი შვილი კიმონი, წარმოადგენდნენ აგრარული წრეების უკიდურეს მემარჯვენე ფრთას, არისტიდე კი ზომიერად იყო განწყობილი.

მილტიადე მარათონთან ირანელებზე ძლევით შემოსილი. სწრაფად ჩამოდის პოლიტიკურ ასპარეზიდან. ამის საბაზად გადაიქცა მილტიადეს სასტიკი მარცხი. მარათონის შემდეგ მან მოაწყო დიდი ექსპედიცია ირანელების მოკავშირე კუნძულ პაროსის წინააღმდეგ, რაიც მარცხიანად დამთავრდა. ამით სარგებლეს მილტიადეს პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა. მას სასამართლომ მიუსაჯა დიდი ჯარიმის გადახდა და იგი მალე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ იწყება ბრძოლა თემისტოკლესა და არისტიდეს შორის. თემისტოკლე იყო წარმომადგენელი დემოკრატიისა, წარმომადგენელი ათენის საეკპრო-სამრეწველო წრეებისა. იგი ეკუთვნოდა ძველი საბერძნეთის მეტად დიდ ისტორიულ მოღვაწეთა გუნდს. თუკიდიდე გვაძლევს მის მეტად მკაფიო და ნათელ დახასიათებას როგორც სახელმწიფო მოღვაწისას, რომლის მთავარ ღირსებად იგი თვლის შორისმჭერეტელობას და რთულ გარემოსა და პირობებში სწორი ორიენტაციის აღების უნარიანობას.

ბრძოლა არისტიდესა და თემისტოკლეს შორის ატყდა იმ საკითხის გამო, თუ როგორ უნდა მომზადებულიყვნენ ბერძნები ირანელებთან საბრძოლველად. საბერძნეთში არავის არ ებადებოდა იმის ექვი, რომ ირანელებს არ ჰქონდათ თავის გეგმა-განზრახვებზე ხელი აღებული. ყველამ მშვენიერად იცოდა, რომ

ყოველ წუთს უნდა ჰქონოდათ ირანელების ახალი შემოსევის მოლოდინი. ახლ-
ტომაც ათენში ენერგიულად ემზადებოდნენ ომისთვის. სპარტელებამდე მის-
ვლა ირანელებს თითქმის არ შეეძლოთ. რადგანაც ზღვის მხრიდან სპარტა ძნე-
ლი მისადგომი იყო, ხოლო ხმელეთის მხრივ მას იცავდა კორინთოს ყელი, რომ-
ელიც შეიძლებოდა კარგად გაემაგრებინათ. ბერძნულ სახელმწიფოთა ნაწილი
მზად იყო ირანელების მხარეზე გადასულიყო. რჩებოდა კუნძული ეგეა და
ატეა, ირანელების იერიშთა მთავარი ობიექტი. ამიტომაც საომრად მომზადება
ძირითადად ათენში მიმდინარეობდა აი სწორედ აქ გახურდა ბრძოლა დემოკ-
რატიულსა და არისტოკრატიულ პარტიათა შორის შეიარაღების ხასიათსა და
პროგრამის საკითხის ირგვლივ.

არისტიდემ მომხრე იყო თავდაცვის სიმძიმის ცენტრი გადაეტანათ ხმე-
ლეთზე. მას აუცილებლივ საჭიროდ მიაჩნდა ხმელეთის ჯარის გაძლიერება.
არისტიდემ, გამონატავდა რა აგრარული ელემენტების ინტერესებსა და სულს-
კვეთებას, ფიქრობდა, რომ მთავარი იყო მიწა-წყლის დაცვა. ტერაქორიის
დაცვა.

თემისტოკლემ, როგორც საზღვაო სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარ-
მომადგენელმა, წამოაყენა რადიკალური საზღვაო პროგრამა ფლოტის გაძლიე-
რება-განვითარებისა და სანაპიროს გამაგრებისა. ამ ორ მიმდინარეობას შორის
ბრძოლა 483 წ. დათავდა თემისტოკლეს გამარჯვებით. არისტიდემ ექსორიად
გაგზავნეს, ე. ი. გაძევეს, საიდანაც ის, მართალია, მალე დაბრუნდა, მაგრამ მ-
ისი არყოფნის დროს თემისტოკლეს საშუალება ჰქონდა ჩაეტარებინა თავისი ამ-
შენებლობითი პროგრამა.

მან უპირველეს ყოვლისა მიჰლწია იმას, რომ ლავრიონის ვერტეხლის მ-
ლარობის შემოსავალი, წინათ რომ მრჭალაქეებს შორის ნაწილდებოდა, გადა-
დებულყოფი ფლოტის მშენებლობისათვის. ორ წელიწადში მოახერხეს ათენის
ფლოტის გაზრდა 100 საბრძოლო სამერდოიანი ანუ სამ-ბანიანი ხომალდებით.

მეორე მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა ათენის ახალი ნავსადგურის
განმტკიცება. ათენი მდებარეობდა არა ზედ ზღვის ნაპირას, არამედ რამდენ-
მე კილომეტრის დაშორებით. ათენში იყო ორი ძველი ნავსადგური — მუნიხ-
და ფალერი და ერთიც ახალი — პირეესი. თემისტოკლემ გადასწყვიტა გაემაგ-
რებინა პირეესის ნავსადგური და მისგან შეექმნა დიდი სავაჭრო და სამხედრო
ნავსადგური. ფიქრობდნენ პირეესის გამაგრებას და ათენთან მის შეერთებას,
კედლების ამოყვანით. ამ სამუშაოთა შედეგად ათენი და პირეესი უნდა გადა-
ცეულიყვნენ გამაგრებულ პლატდარბად, რომელიც დასაყრდენი იქნებოდა ათე-
ნის ფლოტისთვის. ეს სამუშაოები თემისტოკლემ დაიწყო, მაგრამ 480 წ. ამ-
ბებმა შეაწყვეტინეს და პირეესის გამაგრება შემდეგში უფრო გვიან დამთავრდა.

480 წ. ქსერქსემ, რაკი თავისი ხელისუფლება განამტკიცა ირანში, შეჰკ-
რიბა უთვალავი ჯარი და დაიწყო საბერძნეთის საწინააღმდეგე ლაშქრობა იმ
მიზნით, რომ ერთი დაკვრით მოეთავეებინა მასთან საქმე და თითონ მისი არ-
სებობაც.

ჰეროდოტე ბევრს საგულისხმეიროს მოგვითხრობს ქსერქსეს ლაშქრობის
შესახებ. მაგრამ მისი ცნობები ირანის ჯარის ჩაოდენობაზე ძალიან გაზვიადე-

ბულია. პეროდოტეს ანგარიშით ირანის ჯარში, რომელიც სარდლები იყო თავ-
მოყრილი, დაახლოვებით 5 მილიონი კაცი ირიცხებოდა, აქვე იყვნენ მითვლი-
ლნი ფლოტში მომსახურე მენიხბეები, ბარგის გამყოლი მსახურები და მისთა-
ნანი. ეს ციფრი უეჭველია ფანტასტიური ციფრია. ბელოხმა გამოიანგარიშა,
რომ თუ მართლაც ირანელების არმია 5 მილიონ კაცისგან შესდგებოდა, ის მა-
შინ უნდა გადაქიშულიყო სარდიდან შუა საბერძნეთამდე, მერე ასეთი უშვე-
ლებელი არმიის გამოკვება იმდროინდელ პირობებში არც შესაძლებელი იყო.
ამიტომაც პეროდოტეს ციფრი ერთი 50-ჯერ მაინც უნდა შემცირებულ იქ-
მნას. უფრო ფრთხილი მკვლევარები ფიქრობენ, რომ ირანის ჯარი შესდგებოდ-
: 100-150 ათას კაცისგან. მაგრამ ანტიკური დროისთვის ესეც უშველებელ.
უზარმაზარ ძალას წარმოადგენდა. ქსერქსემ არა მარტო დიდი ჯარი შეკ-
ყარა, არამედ ტექნიკურადაც კარგად მოამზადა თავისი ლაშქრობა. ირან-
ის ძალები თავმოყრილი იყო სარდლებში, და ჰელესპონტოზე გადასასვლელ-
ლად ქსერქსემ ბრძანა ხიდის აგება. მაგრამ იგი ქარიშხალმა დაანგრია. პეროდ-
ოტე მოგვითხრობს, რომ ქსერქსემ, მეტისმეტად განრისხებულმა ზღვაზე
გადასწყვიტა მისი დასაჯა. ზღვა დასაჯეს წიკებლებით და შიგ ბორკილებიც
ჩაუშვეს. ააგეს მეორე ხიდი, რომელზედაც ევროპაში გადავიდა ქსერქსეს უშვე-
ლებელი არმია. იგი ისევე კომბინირებულად მოქმედებდა, როგორც მარდო-
ნის არმია. ხმელეთის ჯარი მიიმართებოდა თრაკიის ნაპირის გაყოლებაზე. ხო-
ლო დიდი ფლოტი, რომელიც შესდგებოდა დაახლოვებით 500-600 ერთეულის-
გან, ზღვით მიდიოდა. ეს, სწორედ რომ ითქვას, არ ყოფილა ირანის ფლოტი.
იგი იყო ფინიკიური და მცირეაზიური, რადგანაც ირანელებს თავიანთი ფლოტი
არა ჰქონდათ. მაგრამ ვინაიდან ფინიკია შედიოდა ირანის მონარქიის ფარ-
გლებში და ირანსვე ეკუთვნოდა მცირე აზიის ბერძნული ქალაქებიც, ამიტომ
ისინი მოვალენი იყვნენ საბრძოლველად გამოეყვანათ ხომალდთა სათანადო რაოდ-
ენობა. რომ ათონის კონცხს ასცდენოდნენ, ქსერქსემ ბრძანა გაეჭრათ არსა-
ეჭის ნახევარკუნძულზე; და ამ არხზე გაატარეს კიდეც ფლოტი.

ბერძნებმა ჯერ კიდევ 481 წ. მოაწყეს სამხედრო-თავდაცვითი კავშირი.
რომელშიაც შედიოდა 31 სახელმწიფო. ამ კავშირში შედიოდა ბერძნული თე-
მების უმცირესობა. კავშირის სათავეში ედგა სამხედრო საბჭო ყველა მოკავში-
რე თემის სარდლობის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ჰეგემონია ეკუთ-
ვნოდა სპარტას. მრავალი დავა გამოიწვია იმ საკითხმა, თუ სად მოწყობილიყო
თავდაცვითი, მოგერიებითი ხაზი. ყველაზე უფრო უმჯობესი იყო იგი მოეწყ-
ოთ მაკედონიიდან თესალიაში შესავალთან, მდინარე პენეის ეიწრო ხეობაში.
ორი მთის — ოლიმპისა და ოსას შორის (ტემპეას ველი). მაგრამ აქ მოგერიებო-
თი ხაზის მოწყობა სახიფათო იყო, რადგანაც ზურგს უკან რჩებოდა აესა-
ლია, ხოლო თესალიის არისტოკრატია ირანელებისკენ იხდებოდა, მის სასარ-
გებლოდ იყო განწყობილი, რომელთა მხარეზე შემდეგში აკი გადავიდა კიდევ.
ამიტომ გადასწყვიტეს მოგერიებით თავდაცვითი ხაზი გადმოეტანათ თერმო-
პილთან, ეიწრო გასავალთან, რომელიც შუა საბერძნეთს ჰყოფდა ჩრდილო ს-
ბერძნეთისგან. თერმოპილის ხეობა-გასავალი დაიკავა მოკავშირეების რაზმმა.
რომლის ბირთვის წარმოადგენდნენ სპარტელები თავიანთი მეფის ლეონიდეს
მესვეურებით. ხოლო ბერძნულმა ფლოტმა, რომელიც შეიცავდა დაახლოვებით

300-400 მეტრძოლ ერთეულს, დაიჭირა პოზიციები არტემისიონის კონცხთან ვეების ჩრდილოეთით.

ირანის ჯარი მიადგა თერმოპილს და რამდენიმე დღის განმავლობაში ბერძნებს, ისარგებლეს რა ადგილმდებარეობის უპირატესობით, შესძლეს ირანელების შეტევა-იერიშების შეკავება.

მაგრამ მერე ირანელებმა მოსძებნეს მოსავლელი ბილიკები. გადმოცემა ამაბობს, რომ ბერძნებს შორის აღმოჩნდა ერთი მოლაღალტე, რომელმაც ირანელები მთის ბილიკით ბერძნების მოგერიებითი ხაზის ზურგში ჩამოიყვანაო. როცა ბერძენთა სარდლობამ შენიშნა, რომ მტერი მათ მალე გარს შემოეზვეოდა და ლეონიდემ თავისი რაზმის თვალსაჩინო ნაწილი, თერმოპილს რომ იცავდა, მოხსნა მათი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, თითონ კი 300 სპარტელით დარჩა. ყველა ესენი დაიღუპნენ ამ უსწორო ბრძოლაში.

თერმოპილთან ბრძოლის დროსვე მოხდა საზღვაო ბრძოლა არტემისიონის კონცხთან, ბრძოლა, რომელიც ბერძნებისათვის წარმატებითი იყო (ირანის ფლოტი ქარიშხალმა დააზიანა და დააზარალა). მაგრამ მას მერე, რაც თერმოპილი დაეცა და ირანის ლაშქარი კალიასავით მოედო შუა საბერძნეთს, ფლოტს უკან დახევა მოუხდა, რადგან მეტს გაჩერებას აქ არავითარი აზრი არა ჰქონდა. ჩრდილოეთ და შუა საბერძნეთის სახელმწიფოთა, საკმაოდ თვალსაჩინო ნაწილი გადავიდა ირანელების მხარეზე.

საკაეშირო სარდლობამ, რომელშიაც მთავარი ხმა სპარტას ჰქონდა, მიზანშეუწონლად დაინახა ათენის დაცვა, რადგანაც აშკარად ჩანდა ირანელების ძალ-ღონის სიჭარბე და უპირატესობა. ათენელებს მოუხდათ ატიკის მიტოვება. შთელი მამრობითი მოსახლეობა, ვისაც კი ბრძოლის უნარი ჰქონდა, მობილიზებული იყო და გემებზე დასვეს. ქალები, ბავშვები და მოხუცი კაცები ნაწილობრივ გადაიყვანეს სალამინისა და ეგინის კუნძულებზე, ზოგი კი პელოპონესში გაამგზავრეს.

ბერძნულმა ფლოტმა დაიკავა პოზიცია სალამინისა და ხმელეთს შუა სპარტელები და საერთოდ პელოპონესელები გამალებით ამაგრებდნენ კორინთოს ვიწროსა და მთა-გორიან ყელს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ უკანასკნელი თავდაცვითი ხაზი მათ შეაძლებინებდათ ირანელების შეკავებას.

საკითხი ახლა მარტო ის იყო, თუ როგორ მოქცეულიყო ბერძნების ფლოტი. სპარტა და პელოპონესის სხვა სახელმწიფოები იმ აზრს იცავდნენ, რომ ფლოტმა უნდა მიატოვოს პოზიცია სალამინთან, გასწიოს ისთმისკენ და აქ კომბინირებულად იმოქმედოს ხმელეთის თავდაცვასთან ერთად.

ათენის, ეგინის და მეგარის წარმომადგენლები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ირანელებისთვის საზღვაო ბრძოლა გაემართათ სალამინთან.

ორივე მხარე თავის თვალსაზრისს იცავდა. პელოპონესელები მიუთითებდნენ იმაზე, რომ საჭიროა პელოპონესისკენ დახევა და ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ, თუ კი ბერძნების ფლოტი სალამინთან დამარცხდება, მაშინ ირანის ფლოტს შეეძლება პელოპონესში თავის დესანტის გადასხმა და ამრიგად ისთმის შთელი მოგერიებით-თავდაცვითი ხაზი თავის აზრს დაჰქარგავსო.

მეორე თვალსაზრისის მომხრეები, განსაკუთრებით კი თემისტოკლე, შემდეგნაირად მსჯელობდნენ. 'სალამინთან პოზიციები არაჩვეულებრივ მარჯვე და ხელსაყრელია. სალამინი ხმელეთს დაშორებულია ვიწრო სრუტით, რომლის ფარვატერს (უხიფათო გასაველს, ფონს) ბერძნები მშვენიერად იცნობენ. ამიტომ საჭიროა ბრძოლა მტერს მიეცეს სწორედ აქ ვინაიდან ვიწრო სრუტეში ირანის ფლოტი ვერ შესძლებს თავისი რიცხვობრივი უპირატესობის გამოყენებას. პელოპონესისკენ კი დახევა სახიფათოა. რადგანაც აქ არ მოიპოვება კარგი საზღვაო პოზიციაო.

სამხედრო საბჭოს 'სხდომაზე იმარჯვებდა პელოპონესელების თვალსაზრისი, ესენი უფრო მეტად და ძლიერად იყვნენ საკავშირო სარდლობაში წარმოდგენილნი. მაშინო, ამბობს ჰეროდოტე, თემისტოკლემ აღარ მოუცადა სხდომის დამთავრებას და თავისი საიმედო, სანდო მონა, სახელად სიკინი, გაგზავნა ირანელებთან, თანაც უბრძანა მათთვის ეთქვა: „მე გამომგზავნა ათენელების უფროსმა დანარჩენ ელინთაგან საიდუმლოდ, გამომგზავნა გითხრათ, — ის თანაუგრძნობს მეფეს და თქვენი გამარჯვება უფრო სურს, ვიდრე ელინებისა. გითხრათ, რომ ელინები შიშით შეპყრობილები გაქცევას აპირებენ და რომ თქვენ ახლა შეგიძლიათ მეტად სახელოვანი საქმე მოიმოქმედოთ, თუ კი თქვენ იმათ საშუალებას არ მისცემთ გაქცევისას. ისინი ერთი მეორეს მტრობენ და თქვენ ვერ გაგიმკლავდებიან, ვერ წინააღვიდგებიან. თქვენ ნახაეთ, რომ მათი ერთი ნაწილი, რომელიც თქვენი თანამგრძნობია, იბრძოლებს იმ მეორე ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც თქვენ არ თანაგიგრძნობთო“.

შესაძლებელია, რომ ჰეროდოტეს ეს მონათხრობი მოგონილია, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, სანამ ბერძნები დაგობდნენ, ირანის ფლოტმა დაიჭირა სალამინის სრუტიდან ყველა გამოსავალი და ბერძნებიც იძულებული ვახდნენ ბრძოლა მიეღოთ სალამინთან (480 წ. აღრე შემოდგომაზე).

თემისტოკლეს სტრატეგიული გეგმა ბრწყინვალედ გამართლდა. ბერძნების ფლოტი რიცხვობრივად ჩამოუვარდებოდა ირანისას, მაგრამ იგი შესდგებოდა პატარა ხომალდებისგან, მშვენიერად იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს. ადვილად ახდენდნენ მანევრებს, ადვილად გადად-გადმოდიოდნენ, მაშინ როდესაც დიდი და მძიმე ფინიკიური ხომალდები ფარვატერს ანუ ფონს არ იცნობდნენ და ერთი მეორეს აწყდებოდნენ. ბრძოლა დამთავრდა ირანის ფლოტის განადგურებით, ხოლო მისი ნაშთები იძულებული შეიქმნენ საჩქაროდ მცირე აზიისკენ დაეხიათ, რათა დაეფარათ თავდასხმისგან თავიანთი ჩიდი, კელესპონტოზე რომ იყო გადებული.

სალამინთან გამარჯვებამ მკვეთრად შესცვალა მთელი სიტუაცია. მან შექმნა მთელი ომიანობის ისტორიაში საუღელტეხილო პუნქტი. რაკი ქსერქსემ დაჰკარგა თავისი ფლოტის დიდი ნაწილი, იგი თავის ბაზას მოსწყდა. ირანის ჯარის გამოკება, ნაკლებად ნაყოფიერ საბერძნეთში რომ შეიქრა, შეიძლებოდა მომხდარიყო უმთავრესად ზღვით მოზიდული სანოვაგით. საკომუნიკაციაო ხაზები ხმელეთზე იმდენად იყო გადაჭიმული დიდ მანძილზე, რომ მათი ეფექტიურობა ნულს უდრიდა.

ირანის სარდლობამ ამას ხელათვე ანგარიში გაუწია. ქსერქსე თავისი არმიის ნაწილით წავიდა საბერძნეთიდან, ხოლო იქ დასტოვა დაახლოვებით 60-70 ათასი კაცი სარდალ მარდონის მეთაურობით.

თემისტოკლეს სალამინთან ბრძოლის შემდეგ დაებადა გაბედული, მაგრამ ნაესებით ლოგიკური გეგმა: საჭიროა უკან გამოედევნო დამარცხებულ ირანის ფლოტის ნაწილებს, დაიკავო პელესპონტო, დაანგრეო ხიდი და ამრიგად, როგორც თითონ ამბობდა, „დაიქირო აზია ევროპაში“. მაგრამ ბერძენთა სარდლობამ ეს გეგმა არ გაიზიარა. ერთის მხრივ აქ თავი იჩინა რისკის შიშმა. იმის შიშმა, ვაი თუ ფლოტი დავლუპათო. ხოლო გადამწყვეტ მომენტს, ყოველ შემთხვევაში ათენელებისთვის, წარმოადგენდა პოლიტიკური მოსაზრებანი. ათენის მიწათმფლობელები ვალატაკდენ იმ აკლებს-აოხრების წყალობით, რაიც ირანელებმა მოახდინეს საბერძნეთში შესევისას, დაიქირეს თუ არა შუა საბერძნეთი, ირანელებმა დაუზოგავად გაანადგურეს ატიკა და დაანგრეს ათენი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მიწათმომქმედი მოსახლეობა. საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ატიკის სამიწათმომქმედო კულტურა—ზეთისხილის, ყურძნის. ე. ი. სწორედ ისეთ კულტურათა ხასიათი, რომელთა აღდგენა ქნელია. ზეთისხილის პლანტაციებისა და ვენახების აკლება ნამდვილი უბედურება იყო ატიკის მიწათმომქმედოთვის. აი რატომ მოითხოვდნენ ისინი, რომ ყოველი ძალა და ღონე ეხმარათ საბერძნეთიდან ირანელების განსადევნელად. ისინი მოითხოვდნენ ბრძოლის ცენტრის ხმელეთზე გადატანას და ფიქრიც კი არ უნდოდათ არაერთარ საზღვაო ავანტიურაზე. ცხადია, ეს თვალსაზრისი, ეს შეხედულება გადამწყვეტი იყო, ვინაიდან ამ მომენტიდან იწყება თემისტოკლეს პოპულარობის დაცემა, და საქმე თავდება იმით, რომ იმას განდევნიან ათენიდან. სადაც იმარჯვებენ კონსერვატიული აგრარული ელემენტები.

479 წ. ორი ბრძოლა მოხდა (გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ეს ერთსა და იმავე დღეს მოხდა): ერთი პლატეასთან, ბეოტიისა და ატიკის საზღვარზე, მეორე კი — მცირე აზიაში, კონცხ მიკალესთან. მიღების შორი-ახლო.

მაგრამ როგორღა გაჩნდა ათენის ფლოტი მცირე აზიის ნაპირებთან? მაშ, თემისტოკლეს გეგმა განუხორციელებიათ? აშკარაა, ფაქტიურად სწორედ ასეც მოხდა, თუმცა ამ ხანებში თემისტოკლე უკვე აღარ იყო სტრატეგოსი, 479 წ. ის იძულებული შეიქნა ათენის, სამხედრო მოქმედებათა და საგარეო პოლიტიკის, ხელმძღვანელობა თავის მაგიერ დაეთმო არისტიდესთვის, რომელიც ჯერ კიდევ 480 წ. დააბრუნეს ექსპორიიდან, და ქსანთიპესთვის. ქსანთიპე ნათესავად მოხედებოდა ალკმეონიდებს, იმ დაჯგუფებას, თემისტოკლეს მიმართ მტრულად რომ იყო განწყობილი.

ამრიგად თემისტოკლეს მოწინააღმდეგენი იძულებულნი იყვნენ ნაწილობრივ შეესრულებინათ მისი გეგმა, ვინაიდან ომის ლოგიკა შოთხოვდა სამხედრო ოპერაციების აღმოსავლეთში გადატანას.

მაგრამ მაინც მთავარი მნიშვნელობა ამ მომენტში ჰქონდა ბრძოლას პლატეასთან. შუა საბერძნეთში იდგა მარდონის ხელმძღვანელობით ირანის ჯარის თვალსაჩინო ნაწილი. ბერძნებს მთელი თავისი სახმელეთო ძალები, რაც კი გააჩნდათ, დაახლოვებით 60-70 ათასი მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცი

იქით უნდა მიეყარათ; დაახლოვებით ამდენივე ჯარისკაცი ჰყავდათ ირანელებსაც; ბერძნების ლაშქარს სარდლობდა სპარტის ერთ-ერთი მეფის მეურვე პავსანია.

პლატეასთან ისევე, როგორც მართონთან, ბერძნებმა კარგად გამოიყენეს ჭიბა-გორიანი ადგილმდებარეობა და მძიმედ შეიარაღებულთა ფალანგის მკიდრობა-სიმკვრივე. თითქმის მთელი ირანის ჯარი გასწყდა, თითონ მარდონიკ დაიღუპა. ბერძნების სამხედრო ტექნიკამ ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა თავისი უპირატესობა ირანული ტექნიკის წინაშე.

პლატეასა და მიკალესთან ბრძოლებმა გარდამწყვეტი გავლენა მოახდინეს ომის შემდგომ მსვლელობაზე. სამხედრო მოქმედებანი გადატანილ იქნა მცირე აზიის ტერიტორიაზე, რადგანაც საბერძნეთში ირანელებისგან აღარავინ დარჩა. თავისი ძლევამოსილების განსამტკიცებლად და მცირე აზიის ირანელებისგან ვანსათავისუფლებლად ბერძნებს ომი უნდა ზღვაზე ეწარმოებინათ. ამასთანავე ათენის მხარედი აგრესიაც მათ აღმოსავლეთისკენ წარმართავდა.

უახლოეს წლებში მთელი ეგეოსის ზღვის რაიონი, მთლიანად კუნძულე-ბი განწმენდილ იქნა ირანელებისგან. მცირე აზიის ქალაქები აჯანყდნენ ირანელების წინააღმდეგ და შეუერთდნენ ევროპის ბერძნებს.

470 წ. ცხრა წელმა რომ გაიარა პლატეასა და მიკალესთან ბრძოლების შემდეგ, ბერძნების ფლოტმა მოახერხა კიდევ ერთხელ ძლიერად და სასტიკად დაემარცხებინა ირანელები — ეს იყო მდინარე ევრიმედონტთან, მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროზე. ამ ბრძოლის დროს ბერძნების ფლოტს სარდლობდა მილტიადეს შვილი კიმონი. იგი ეკუთვნოდა უკიდურეს მემარჯვენე ფრთას და ის გარემოება, რომ მას ფლოტის სარდლის თანამდებობა ეკირა, გვიჩვენებს იმას, რომ ამ ხანებში ათენში ძალა-უფლება ხელთ ეპყრა მემარჯვენე დაჯგუფებათ.

ევრიმედონტთან ბრძოლის შემდეგ ომი რამოდენიმე ხნის განმავლობაში ცხრება. 459 წ. ათენელები იწყებენ გაბედულ სამხედრო ავანტიურას და დიდ ფლოტს გზავნიან ირანის წინააღმდეგ აჯანყებული ეგვიპტის დასახმარებლად. მაგრამ ეს ლაშქრობა მარცხიანი იყო. ირანელებმა შესძლეს ეგვიპტის აჯანყების ჩაქრობა და ბერძენთა ფლოტი ეგვიპტეში თითქმის მთლიანად დაიღუპა ჯარის თვალსაჩინო ნაწილთან ერთად (454 წ.).

ეგვიპტეში ლაშქრობის შემდეგ გაიარა ხუთმა წელმა და ბერძენთა ფლოტმა შესძლო სარევენო ბრძოლის მიცემა. — 449 წ. მოხდა საზღვაო ბრძოლა ქალაქ სალამინის ახლოს კუნძულ კვიპროსზე, სადაც ბერძნებმა კვლავ დაამარცხეს ირანელები. სალამინის მეორე ბრძოლა უკანასკნელი. დიდი ბრძოლა იყო ბერძნებსა და ირანელებს შორის, რომელიც კი ჩვენ ვიცით.

შემდეგში სამხედრო მოქმედებანი სრულებით ცხრება და V ს. 40-იანი წლების დასასრულისთვის ბერძნებსა და ირანელებს შორის ფაქტიურად მშვიდობიანობა მყარდება.

მეცნიერებაში არსებოს დავა და კამათი იმ საკითხის გამო, იყო თუ არა ბერძნებსა და ირანელებს შორის ფორმალურად დადებული საზავო ხელშეკრულება. ზოგიერთი ჩვენი წყარო ამბობს, რომ ზავი დადებული იყო, და ამ

ზავს კიმონის ზავს უწოდებენ (კიმონის სახელისდა მიხედვით), მაგრამ ამ ზავის ისტორიულობა საექვოდ გვეჩვენება. უფრო დასაჯერებელი და სარწმუნო ისაა, რომ ზავი ფორმალურად არ ყოფილა დადებული, ხოლო სამხედრო მოქმედებანი თავისით შესწყდა, რადგანაც ირანელები გამოდევნილნი იქმნენ ყველა თავისი პოზიციებიდან ეგეოსის ზღვაზე, ხოლო ბერძნებმა მიაღწიეს ომის მიზანს. იმისთვის კი, რომ ირანის შუაგულში შექრილიყვნენ, მათ ძალა და ღონე არ შესწყვედათ.

რაიცა შეეხება ირანელებს, უნდა ითქვას, რომ იმ მარცხმა, რომელიც ირანელებმა განიცადეს ბერძნებისგან, აშკარად დაანახვა ყველას, რამდენად განუხორციელებელი საქმე იყო მათი განზრახვა და ცდა საბერძნეთის დამორჩილება-დაპყრობისა. აშკარაა, რომ ირანელებს შესწყვედათ ძალა და ღონე იმისთვის, რომ ახალი ლაშქრობა მოეწყოთ საბერძნეთის წინააღმდეგ.

ბერძენ-ირანელთა ომიანობამ საბერძნეთის ეკონომიურ გავლენას გზა გაუხსნა მცირე აზიის ოლქებისაკენ, ეგეოსისა და შავი ზღვის მდიდარ რაიონებისაკენ. ბერძნების გამარჯვებამ წარმოადგინდა ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან წინამძღვარს საბერძნეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებისათვის V საუკ. მეორე ნახევარში.

ირანელებთან ომის მიმდინარეობის დროს ეგეოსის ზღვის რაიონში ათენის მეთაურობით გაჩნდა ბერძნულ სახელმწიფოთა კავშირი, ცნობილი ათენის პირველი საზღვაო კავშირის სახელით. (IV ს.-ში გაჩნდა ათენის მეორე საზღვაო კავშირიც. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ).

ათენის პირველი საზღვაო კავშირი წარმოადგენს საინტერესო ცდას იმისას, რომ ეგეოსის რაიონის საკმაოდ თვალსაჩინო ნაწილი გაერთიანებულიყო ერთი მთლიანი სახელმწიფოს ფორმით. ათენის საზღვაო კავშირი, რომელიც თავდაპირველად ჩამოყალიბდა როგორც ნამდვილი სამხედრო კავშირი, სადაც ათენს ეკუთვნოდა მარტო სამხედრო ჰეგემონია, ფაქტიურად ძალიან ჩქარა გადაიქცა ათენის საზღვაო სახელმწიფოდ.

მისი ისტორია წარმოადგენს პოლისების ფედერაციის, ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა ფედერაციის ტერიტორიალურ სახელმწიფოდ გადაზრდის პროცესის ილუსტრაციას. ოღონდ ეს პროცესი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, აღარ იყო ბოლომდე მიყვანილი, ვინაიდან პოლისების ბუნებაში ისეთმა ნიშნებმა და თვისებებმა იჩინეს თავი, რომელნიც ხელს უშლიდნენ მათ მტკიცე სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

ათენის პირველი საზღვაო კავშირის ისტორია ამგვარია. ქსერქსეს შემოსევის დროს, როცა ომი წარმოებდა უმთავრესად ხმელეთზე, მთავარ როლს მოკავშირეთა სამხედრო სარდლობაში თამაშობდა სპარტა. სპარტას სამხედრო უპირატესობა ხმელეთზე უდავო იყო: ამიტომაც სპარტის ჰეგემონია სამხედრო ოპერაციათა ხელმძღვანელობის საქმეში არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევდა.

მაგრამ როცა 479 წ. მერე ომი გადატანილ იქმნა ზღვაზე, სპარტის სარდლობის მდგომარეობა უაღრესად მერყევი და ყალბი იყო: სპარტელებს უხდებოდათ საზღვაო ოპერაციების ხელმძღვანელობა, უხტებოდათ ფლოტის ხელმძღვანელობა, რომლის შემადგენლობაში არც ერთი სპარტული ხომალდი არ იყო.

ხოლო მთავარ ბირთვს ათენელები შეადგენდნენ. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით უხერხული იყო იმიტომ, რომ ათენის ფლოტი ძალიან დემოკრატიულად იყო განწყობილი, და სპარტელთა არისტოკრატიული ქცევა-მოქმედება მეტისმეტად არ მოსწონდა ათენის ფლოტის დემოკრატიას, ამ „ხომალდის ბრბოს“, როგორც მას ჩვეულებრივად მაშინ ეძახდნენ ხოლმე.

მცირე აზიის სახელმწიფოები, რომელნიც, განთავისუფლდებოდნენ თუ არა ირანელთა ბატონობისგან, მაშინვე შედიოდნენ ბერძნების კავშირში ირანის წინააღმდეგ, აი ეს სახელმწიფოები, მათი დიდი უმრავლესობა დემოკრატიულ თემებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც უოველთვის გათიშულობა არსებობდა ფლოტის დემოკრატიულ შემადგენლობასა და სპარტის უმაღლეს სარდლობას შორის.

საქმეს კიდევ ის ართულებდა, რომ სპარტის სარდალმა პავსანიამ (პლატეასთან რომ გაიმარჯვა) აღმოსავლეთში ძალიან საეჭვო ურთიერთობა დაკავშირი გააბა ირანელებთან. ამან უფრო მეტად გაართულა მდგომარეობა და, ბოლოს, იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ 478 წ. ბერძენთა ფლოტმა ათენს თხოვნით მიმართა — აეღო მას თავის ხელში სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა. სპარტა იძულებული გახდა ამას შერიგებოდა, რადგან ყოველივე ეს მეტად მოხერხებული გამოსავალი იყო შექმნილ მდგომარეობიდან. ამასთანავე თითონ სპარტაში ამ დროს ძალიან შფოთიერი მდგომარეობა იყო ილოტების მღელვარებასთან დაკავშირებით:

ამრიგად 477 წლისთვის სპარტა და მისი პელოპონესელი მოკავშირეები გამოვიდნენ საერთო-ბერძნულ ფედერაციიდან, ხოლო ფედერაციაში დარჩნენ ათენი და კუნძულებისა და მცირე აზიის ის ქალაქები, რომელნიც ამ ხანებში განთავისუფლებულ იქმნენ ირანის ბატონობისგან.

ათენმა არისტიდეს სახით, რომელმაც მაშინ თემისტოკლე შესცვალა, კავშირს ახალი ორგანიზაცია მისცა. თავდაპირველად ეს ორგანიზაცია ფორმალურად ატარებდა ფედერაციის სახეს. სამხედრო სარდლობა ათენელ სტრატეგოსების ხელში იყო. მაგრამ კავშირის საერთო საქმეებს წყვეტდა საბჭო (სინოდი), რომელსაც შეადგენდნენ კავშირში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. იგი იკრიბებოდა კუნძულ დელოსზე, აპოლონის კულტის ძველ ცენტრში.

იქვე დელოსზევე, იმყოფებოდა საკავშირო: ხაზინა, რომელსაც მისდიოდა მოკავშირეებისგან შენატანი თანხები, ხოლო ამ თანხებს მოკავშირეები იხდიდნენ თავიანთი სახელმწიფოების სიდიდის პროპორციულად. ყოველ მოკავშირე სახელმწიფოს ევალებოდა გამოეყვანა ხომალდების გარკვეული რაოდენობა. მაგრამ თავდაპირველად პატარა სახელმწიფოები ამჯობინებდნენ ხომალდების გაყვანის ნაცვლად ფულის შეტანას, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ პატარა სახელმწიფოსთვის შეუძლებელი საქმე იყო მთელი ხომალდის გამოყვანა საერთო ფლოტში. ამიტომაც ხშირად კავშირის რამდენიმე წერილი წევრი უნდა გაერთიანებულყო ერთმანეთში, რომ საერთო ღონეობით მთელი ხომალდი გამოეყვანათ. ყოველივე ეს მთელ რიგ უხერხულობას იწვევდა: ათენი კი ხალისიანად დათანხმდა ნატურალურად ხომალდის გამოყვანის ნაცვლად ფულის გადახდას მოკავშირის-

გან, რადგანაც მისთვის უფრო მოხერხებული იყო საქმე ჰქონოდა ფულთან, ფულად თანხებთან, რომლითაც შეიძლებოდა ერთი ტიპის ხომალდების აგება.

შემდეგში ათენის გავლენა კავშირის საქმეებზე, უფრო და უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. ათენის საფინანსო დარგის მოხელეები (ელენოტამიები) წარმოებენ კავშირის ფულის საქმეებს; თემების უფრო მეტი რაოდენობა უარს აცხადებს ნავების დამზადება-გამოყენებაზე და გადადის ფულად შესატან თანხის ვალებაზე (მარტო ყველაზე უფრო მსხვილი სახელმწიფოები, როგორც მაგალითად ლესბოსი და ქიოსი, განაგრძობდნენ კავშირის არსებობის სულ ბოლო ხანამდე ნავების დამზადება-გამოყენებას). ათენის გაძლიერებამ კავშირის თანხების ხარჯზე გამოიწვია უკმაყოფილება სხვა თემებს შორის. უკმაყოფილება იმდენად დიდი და მწვავე იყო, რომ ნაქსოსისა და თასოსის კუნძულებზე საქმე ამჟამად აჯანყებამდეც კი მივიდა, როცა ათენმა მათ ნება არ მისცა კავშირიდან გასვლისა. აჯანყებანი ათენმა სწრაფად ჩააქრო. აჯანყებულ კუნძულებს წაართვეს ყოველგვარი დამოუკიდებლობა და ისინი გადააქციეს ათენის რესპუბლიკის მოხარკეებად. ათენის საზღვაო კავშირი თანდათანობით ათენის საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა და საკავშირო ხაზინის გადატანაც დელოსის კუნძულიდან ათენში V ს. 50-იან წლებში იყო მხოლოდ გარეგანი გამოხატულება უკვე მომხდარი ცვლილებისა.

ათენმა დაიწყო კავშირის ყველა საქმეების მართვა-გამგებლობა. მოკავშირე ქალაქებში ინიშნებიან ათენის რესპუბლიკის რწმუნებულები, რომელნიც ერევიან მათ შინაურ ურთიერთობაში და მხარს აძლევენ იქ დემოკრატიულ მოძრაობას. შემდეგში მთელი კავშირი დაჰყვეს ხუთ საგადასახადო ოლქად (იონიისა, ჰელესპონტოსი და სხვათა) და ეს ფაქტიც საკმაოდ ნათლად მოწმობს „კავშირის“ ათენის სახელმწიფოდ გადაქცევას. ცალკე თემების მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ სასამართლოს მხრივაც ისინი ათენზე არიან დამოკიდებულნი: ის საქმეები, რომელნიც დაკავშირებული იყო ათენისა და მოკავშირეთა ურთიერთობასთან, აგრეთვე სხვა მეტად მნიშვნელოვანი საქმეები თანდათან გადადის ათენის ნაფიცთა სასამართლოს განმგებლობაში. ადგილობრივი სასამართლოების კომპეტენციის სფერო მეორე ხარისხიდან საქმეთა გარჩევთ განისაზღვრებოდა.

ათენი იწყებს აგრეთვე მოკავშირეთა ტერიტორიის განკარგულებასაც, აარსებს რა იქ თავის კოლონიებს.

ათენის საზღვაო სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის დამთავრება ემთხვევა V ს. 40-იან წლებზე: ამ დროისათვის თითქმის ყველა ყოფილი „მოკავშირე“ გადაიქცა ათენის ქვეშევრდომად.

ათენის საზღვაო სახელმწიფო შეიცავდა შუა საბერძნეთის ნაწილს ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს, მცირე აზიის სანაპიროს და თითქმის მთელს კუნძულებს, კუნძულების სამყაროს.

„კავშირი“ თვის შორის ითვლიდა არა ნაკლებ ორასი თემისა. ეს იყო ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც სამხედრო კავშირისგან სახელმწიფოებრივ კავშირად გადაიქცა. მას ჰქონდა დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა. პოლიტიკურად კავშირი მტკიცე ხდებოდა იმ ეკონომიური ურთიერ-

აობა-დამოკიდებულებით, რომელიც ეგეოსის ზღვის რაიონში დამყარდა, ხოლო თავის მხრივ ასეთი პოლიტიკური კავშირის არსებობა აძლიერებდა ეკონომიურ ურთიერთობას ეგეოსის რაიონის ცალკე ოლქებს შორის და უზრუნველყოფდა ათენის ეკონომიურ გამორჩენას.

ათენის გავლენა, დამყარებული მის ეკონომიურ უპირატესობაზე, ჩანს სულ სხვადასხვა დარგებში: ათენის სამართალი გაბატონებული შეიქნება მოკავშირეების სამსაჯულო პრაქტიკაში; ათენის მონეტა, როგორც ყველაზე უფრო კაი ღირსებისა და სრულღირებული, გამოსდევნის ხმარებიდან ყველა სხვა მონეტას, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებს შერჩებათ უფლება საკუთარი ფულის მოჭრისა; ათენის ზომა-წონის სისტემაც აგრეთვე პოულობს საყოველთაო გავრცელებას.

ათენის მონათმფლობელთა მმართველი ჯგუფი ოდნავადაც კი არ იყო მოწადინებული იმას, რომ სხვა ქალაქების მონათმფლობელებიც თავის სწორად ეცნო და ყოველივე გამორჩენას, რაც კი მას ჰქონდა შექმნილი მდგომარეობის წყალობით, იგი იყენებდა მარტო თავის ინტერესების შესაბამისად.

იმ დროს, როცა ათენელი მოქალაქეები არავითარ ხარჯს არ იხდიდნენ, და პირიქით საკავშირო ხაზინას ისე განაგებდნენ, როგორც უნდოდათ, ყველა დანარჩენები იხდიდნენ ამ შესატან თანხას, რომელიც წლითი-წლობით უფრო და უფრო იზრდებოდა.

X ს. 70-იან წლებში მოკავშირეთა შენატანი თანხა გამოიხატებოდა 460 ტალანტის ოდენობით (ჩვენ ფულზე გადატანით დაახლ. 1 მილიონ მანეთის ოდენობით); 431 წ., პელოპონესის ომის წინა ხანებში, ეს შენატანი თანხა უდრიდა უკვე 600 ტალანტს (დაახლ. ერთსა და ნახევარ მილიონ მანეთს), ხოლო 424 წ. — 1000 ტალანტს. (დაახლ. ორსა და ნახევარს მილიონს).

ასეთმა პოლიტიკამ, რომელიც წარიმართებოდა მარტო ათენის მმართველი კლასის ინტერესების შესაბამისად, თავისი გამოხატულება ჰპოვა სხვა ღონისძიებებშიაც და უპირველეს ყოვლისა ათენის თავისებურ „მერკანტელიზმში“: ათენი კრძალავდა კუნძულებიდან რკინის საღმე გატანას, გარდა ათენისა: იქ კი შეიძლებოდა. იგი აწესრიგებდა მოკავშირეების პურის ვაჭრობას თავისი პურის ვაჭრობის ინტერესების და შესაბამისად და სხვა ამგვარი. ათენის საზღვაო სახელმწიფო ისეთ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც მასში შემავალი მოკავშირე თემების ინტერესები მსხვერპლად ეწირებოდა ათენში მმართველ ჯგუფების ინტერესებს.

VIII. ახვავების ხანის საბერძნეთის ეკონომიკა

ირანელების გამოდევნა ეგეოსის რაიონიდან, რაიც შედეგად მოჰყვა მათ დამარცხებას ბერძენ-ირანელთა ომიანობის დროს, ბერძნულ თემებს უხსნიდა ფართო პერსპექტივებს ეკონომიური განვითარებისას. მათ შესაძლებლობა მიეცათ თავიანთი გავლენა განემტკიცებინათ, არა მარტო ეგეოსის ზღვაზე, არამედ შავი ზღვის ნაპირებზედაც, რადგანაც პროპონტიდა და ბოსფორი ახლა მათთვის ხსნილი იყო.

ათენის საზღვაო კავშირის წარმოქმნასაც ძლიერი გავლენა უნდა მოეხდინა ათენის სწრაფ ეკონომიურ განვითარებაზე, იმ ათენისაზე, რომელიც V საუკუნე მეორე ნახევრიდან გადაიქცა მდგომარეობის ბატონ-პატრონად ეგეოსის რაიონში.

ამის შედეგად V საუკუნის მეორე ნახევარში ვხვდებით მონათმფლობელურ მეურნეობის სრულ გაფურჩქვნა-აყვავებას საერთოდ ეგეოსის რაიონში; კერძოდ კი ათენში.

საბერძნეთის ეკონომიკას რომ დავახასიათებთ მისი გაფურჩქვნა აყვავებას მანძილზე, მოკიდებული V ს. მეორე ნახევრიდან ვიდრე IV ს. დასაწყისამდე. ჩვენ ყოველთვის როდი გვექნება შესაძლებლობა ზუსტად დავეტიოთ ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, რადგანაც ეს ჩარჩოები ძალიან პირობითია.

წყაროები ამ ეპოქის საბერძნეთის ეკონომიური ისტორიისათვის შემოსუვითი ხასიათისაა, მწირი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც ანტიკური დროის მწერლები, როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, ეკონომიური პრობლემებით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი. ეკონომიკისათვის ძვირფასი ცნობების მოძიება შეიძლება ქსენოფონტეს თხზულებებში „შემოსავალთათვის“ და „მეურნეობისათვის“. თხზულება „შემოსავალთა შესახებ“, საინტერესოა იმიტომ, რომ აქ ჩამოთვლილია ის ღონისძიებანი, რაიც ქსენოფონტეს აზრით, აუცილებელივ საჭიროა ათენის ხაზინის შემოსავალთა გადიდებისათვის.

პატარა, ცალკე ნაწილებად აქა-იქ გაბნეული მასალა ეკონომიკის დარგში შეიძლება მოინახოს თუკიდრედს ნაწერებშიც და იმავე ქსენოფონტეს „საბერძნეთის ისტორიაში“. საინტერესო ცნობებს შეიძლება წავაწყდეთ აგრეთვე სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაშიაც (განსაკუთრებით არისტოფანეს კომედიებში).

მაგრამ ეკონომიკისათვის მთავარ წყაროებს წარმოადგენენ ბერძენ ორატორებისა და პუბლიცისტების ნაწარმოებნი. პოლიტიკური ცხოვრების ფარ-

თოდ განვითარება საბერძნეთში იყო მიზნები აქ საორატორო და საპუბლიცისტო ზოლვაწობის უდიდესი ზრდისა. იქმნებოდა მთელი სჯილები სამოსამართლო და პოლიტიკურ ორატორებისა, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა ჰქონდათ V ს. ბოლოს და IV საუკ. პირველ ნახევარში. უაღრესად დიდი ორატორები და პუბლიცისტები იყვნენ დემოსთენე, ისოკრატე, ლისია, ესქინე. მათი სიტყვები წარმოადგენენ უაღრესად ძვირფას წყაროს საბერძნეთის ეკონომიკის გასაცნობად.

ჩვენ რომ ავიღოთ პოლიტიკური ორატორები, იმათ სიტყვებში პოლიტიკურ ურთიერთობათა დახასიათებასთან ერთად აუცილებლად აღძრულია და წამოჭრილია ეკონომიური საკითხებიც. სასამართლოში წარმოთქმული სიტყვებიც არა ნაკლებად, თუ უფრო მეტად არა, იძლევიან მასალას ეკონომიურ ურთიერთობათა დახასიათებლად. მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ აგრეთვე ჩვეუნიანად მოაულო წარწერებიც. მაგალითად, ეგრეთწოდებული „სამშენებლო წარწერები“, სადაც ჩვენ ვნახულობთ ცნობებს მუშათა შემადგენლობის შესახებ, თავისუფალი მუშების ხელფასის თაობაზე. მონათა შენახვის ღირებულებაზე და მისთანაზე.

მაგრამ მაინც აყვავების დროინდელი საბერძნეთის ეკონომიკაზე ჩვენ ოდნავადაც სრული ცნობები არა გვაქვს. ჩვენი წყაროები ფრაგმენტარულია და ზოირად არც ლაპარაკობენ უფრო მნიშვნელოვან საკითხების შესახებ.

გაფუჩრჩქენის დროინდელი საბერძნეთის მეურნეობა იყო მონათმულო-სელოური მეურნეობა, სადაც გაბატონებული იყო ექსპლოატაციის მონური ფორმა. ეს მტკიცება იმგვარად კი არ უნდა გვესმოდეს, თითქოს მონათა ექსპლოატაციასთან ერთად აღარ ყოფილიყოს ექსპლოატაციის არც ერთი სხვა ფორმა, მაგალითად, თავისუფალი დაქირავებული შრომის გამოყენება. ექსპლოატაციის ყოველნაირი წესის დროს წამყვან ფორმასთან ერთად არსებობს მთელი რიგი სხვა ფორმებიც; ამათ თუმცა არ უკავიათ მთავარი ადგილი, მაგრამ მაინც აქვთ ერთგვარი მნიშვნელობა. რომ ნათელი და სწორი წარმოდგენა გვქონდეს V-IV საუკუნეთა საბერძნეთის ეკონომიკაზე, საჭიროა გავეცნოთ ექსპლოატაციის ფორმათა მთელს კონკრეტულ მრავალფეროვნებას, ნაირნაირობას:

ჯერ კიდევ V ს. მეორე ნახევარშივე ათენში ფართოდ იყო გამოყენებული წვირლ თავისუფალ ხელოსნების შრომა. არისტოფანეს კომედიებში მშვენიერად არის წარმოდგენილი მათი ყოფა-ცხოვრება. მრავალი ასეთი ხელოსანი მეტეკი იყო. ისინი პირადად თავისუფლები იყვნენ, თუმცა პოლიტიკური უფლებები მათ არ ჰქონდათ. ხელოსნები ჩვეულებრივ მუშაობდნენ მთელი თავისი ოჯახობით. მაგრამ ძალიან ხშირად გვხვდებიან ისეთი ხელოსნებიც, რომელნიც მუშაობენ ერთი ან ორი მონის მონაწილეობით.

თავისუფალ ხელობა-ხელოსნობასთან ერთად გამოყენებული იყო აგრეთვე თავისუფალი მოქირავნი ანუ დაქირავებული მუშის შრომაც. წყაროები ლაპარაკობენ, რომ დაქირავებულ მუშების შრომას იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში, სხვადასხვა გვარ სამშენებლო სამუშაოებზე და ფლოტში (მენიხბეებად, მონებთან ერთად, იყვნენ თავისუფლებიც).

აუცილებლივ საჭიროა აღინიშნოს საგულისხმეო ფაქტი, მეტად დამახასიათებელი მონათმფლობელური საზოგადოებისათვის. იურიდიულად თავისუფალი დაქირავებული მუშა ფაქტიურად ძალიან ნაკლებად განიჩივრდა მონისგან. ასეთი იყო ნება ყოფლობით დაქირავებული მუშის მდგომარეობა ჯერ ჰომეროსისეულ საზოგადოებაშივე. ჰომეროსს აქვს მრავალი ისეთი ადგილი, რომელიც მოწმობს ასეთი „თავისუფალი“ მუშის უფუფლებობას — მისი არათუ გაგდება შეიძლებოდა ყოველ წუთას, როცა კი პატრონს მოესურვებოდა, არამედ შეიძლებოდა მისი მონად გაყიდვაც კი. მაგრამ ის, რაც საესებით გასაგები იყო ჰომეროსისეული ეპოქისათვის, თითქოს არ უნდა ყოფილიყო V საუკ. ათენის კეთილ მოწყობილსა და დემოკრატიულ სახელმწიფოში. თავისუფალი მუშა იურიდიულად იქ იყო სრულუფლებიანი მოქალაქე. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებაში, ყოველი ადამიანი, რომელიც კი თანხმდებოდა გარკვეული ფასით მუშაობაზე, თითქოს დროებით მონად ხდებოდა ხოლმე. მონობა თავის ბეჭედსა და დაღს ასევე თავისუფალ დაქირავებულ შრომასაც.

როგორი მდგომარეობა ჰქონდა თავისუფალს ნებით დაქირავებულ მუშას ეს ყველაზე უფრო კარგად ჩანს პლატონის (IV ს.) ერთი დიალოგის შემდეგი წაწყვეტიდან:

„გარდაცვალებული, უნდა მოგახსენო, ჩემი დღიური მუშა იყო და ჩვენთან ქირით დაღა, როცა მიწას ვამუშავებდით ნაქსოსის კუნძულზე. ეს მუშა ერთხელ კარგად ვამომთვრალიყო, რაღაცაზედ გასწყყრომოდა ერთ-ერთ შინა-ყმას, აელო და მოეკლა. მამაჩემმა ხელ-ფეხი შეუკრა მკვლელს, ჩააგდო ორმოში და კაცი გამოგზავნა აქ ათენში ვეჩილთან რჩევის საკითხავად, თუ როგორ მოქცეულიყო; ამავე დროს ამ ხელ-ფეხს შეკრულზე, როგორც მკვლელზე, არც უფიქრია და არც უზრუნია: რა დიდი საქმე იქნებოდა, კიდევაც რომ მოკვდესო. ეს ასეც მოხდა. შიმშილმა, ყინვამ და ამ თოკებმა ის კაცი უფრო ადრე მოკლეს, სანამ კაცი ვეჩილისგან უკან დაბრუნდებოდა“.

თი როგორი მოპყრობის მეთოდი არსებობდა თავისუფალ მუშის მიმართ. მართალია, ის დამნაშავე იყო, მან პატრონის მონა მოკლა, მაგრამ ეს მდგომარეობას ოდნავაც არ ცვლის. მონათმფლობელური სისტემის დამახასიათებელი, ნიშნობლივი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ეს სისტემა თავის გავლენის ქვეშ აქცევს თავისუფალ მოქირავენე შრომასაც.

V ს. დასასრულს კვალიფიციური დაქირავებული მუშის, (კერძოდ შინებლობის მუშის) ხელფასი უდრიადა დღეში ერთ დრაქმას (დაახლოვებით 40 კაპიკს ოქროთი).

IV ს. პირველ ნახევარში სანოვავის გაძვირებასთან და ფულის კურსის დაცემასთან დაკავშირებით ხელფასი რამოდენიმედ დაეცა: ხელფასი ახლა უდრის ერთ დრაქმას და სამ ობოლს (ობოლი დაახლ. 6 ნახევარ კაპიკს უდრის). III საუკ.-ში კვალიფიციური მუშა კუნძ. დელოსზე დღეში იღებს ორ დრაქმას. გადავიდეთ ახლა მონობაზე. როგორი იყო მისი წყაროები. უმეტეს შემთხვევაში მონად აქცევდნენ გარე ეკონომიური იძულების გზით. მონობას ასაზრდოებდა უპირველეს ყოვლისა ომიანობა, მერე მეკობრეობა.

მეკობრეობა განსაკუთრებულ პროფესიას წარმოადგენდა. ზოგიერთი მეკობრისათვის ადამიანით ვაჭრობა თვითმიზანს არ შეადგენდა: ადამიანებს იგოჰყვილდა ისევე, როგორც ვაჭარს ზომალდზე წართმეულ საქონელს. მაგრამ იყო ისეთი სამეკობრეო ორგანიზაციებიც, რომელნიც სპეციალურად ნადირობდნენ ადამიანებზე. ასეთ სანადირო ადგილებად არჩეული ჰქონდათ მცირე ახიას სამხრეთის სანაპიროები, აგრეთვე თრაკიისა და შავი ზღვის ნაპირები, სადაც ძნელად თუ წააწყდებოდნენ ორგანიზებულ წინააღმდეგობას, და ასეთი ექსპედიციების შედეგად ადგილობრივი მცხოვრებლები მთელი სოფლობით მიჰყავდნენ მონებად. ეს თარეშები და თავდასხმები მეკობრეებისა ძალიან წააგავს ახალი დროის მონათ-მოვაჭრეების ექსპედიციებს აფრიკაში. მსგავსი მონათ ვაჭრები იყვნენ V-IV საუკ. საბერძნეთშიაც. ამ გზით მუდმივად იესებოდა მონათა რაოდენობა ტყვეების ბაზრებზე.

მონობის მესამე წყაროს წარმოადგენდა სავალო კაბალა. მაგრამ, როგორც ჩვენ ვიცით, ათენში და მთელ რიგ სხვა ბერძნულ სახელმწიფოებში სავალო კაბალა მოსპეს. მაგრამ მოწინავე ბერძნულ თემებში სავალო კაბალის მოსპობა იმას კი არა ნიშნავდა, რომ იგი საერთოდ საბერძნეთში სულ მთლად გაქრა. კრეტზე და საბერძნეთის სხვა ჩამორჩენილ ადგილებში სავალო კაბალა ძალიან დიდხანს არსებობდა.

მონობის ამ სამი წყაროს გარდა — ომიანობის, მეკობრეობის და დევლიანების გარდა — იყო კიდევ სხვა წყაროები, რომელნიც მეორე ხარისხოვან როლს თამაშობდნენ. ასე, მაგალითად, ხდებოდა, რომ ადამიანი თავისი საკუთარი ნებაყოფლობით აძლევდა თავის თავს მონად. ესეც კია, ასეთი შემთხვევა ბევრი როდი იყო: „ნებაყოფლობით“ მონებად მიდიოდნენ მამის, როცა მათ შიმშილით სიკვდილის გარდუვალი საფრთხე ემუქრებოდა.

იყო შემთხვევები სასამართლოს განაჩენის ძალით მონად მიცემისა, მაგალითად, მონად მიიქცეოდა ის უცხოელი, რომელიც მოტყუებით მიითვისებდა ათენელი მოქალაქის წოდებას.

ბავშვი, რომელზედაც მამა იღებდა ხელს, რადგან არ სურდა იგი თავის ბავშვად ეცნა, მონად ხდებოდა; მამასვე შეეძლო მონად მიეცა თავისი მოზრდილი ქალი „გარყვნილობის გამო“.

ამრიგად გარე ეკონომიური იძულება იყო დამონაევების ძირითადი შთაბრძნელი. კაპიტალიზმის დროს წვრილ მესაკუთრეების გადაქცევა მოქირაუნე მუშებად და ამ უკანასკნელთა ექსპლოატაცია ხდება ეკონომიური იძულების გზით (კაპიტალის კონცენტრაცია. წვრილი მწარმოებლების პროლეტარიატაცია და მათი მუშებად გადაქცევა, რომელნიც, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ, იძულებული ხდებიან თავიანთი სამუშაო ძალა მიჰყიდონ კაპიტალისტებს). საწარმოო ძალების განვითარება კაპიტალიზმის დროს ისეთი ფორმით მიმდინარეობს, რომ თითონ კაპიტალისტური წარმოების მექანიზმი არცნის სულ ახალ-ახალ სამუშაო ძალას, მუშა ხელს.

სულ სხვანაირადაა საქმე მონათმფლობელურ ფორმაციაში. მონობა წარმოადგენს ექსპლოატაციის უფრო ადრეულა ფორმას, რომელიც შეესაბამება საწარმოო ძალების დაბალ დონეს, როდესაც შრომის განაწილება არაა საკ-

მაოდ ღრმად წასული. ასეთ პირობებში მწარმოებლის მოწყვეტა წარმოების საშუალებათაგან შეიძლება მარტო განსაკუთრებულ შემთხვევებში, და, მაშასადამე. მარტო განსაკუთრებულ შემთხვევებშივე შეიძლება იქნეს ეკონომიური იძულება, როგორც მეთოდი მწარმოებლისგან ზედმეტი პროდუქციის მიღებისა, გამოქაჩვისა; ანალოგიურივე მდგომარეობაა — ესეც უნდა ითქვას — ბატონკმობის დროს. მარტო კაპიტალისტურ წარმოებას იმანენტურად სჩევია, როგორც თანასწორობა, მწარმოებლის მიერ თავის სამუშაო ძალის „თავისუფალი“ გაყიდვა. მონობისა და ყმობის დროს მუშა ხელი, სამუშაო ძალა საქონელს არ წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: რა როლს თამაშობდა მონათა რეპროდუქციაში მათი ბუნებრივი გამრავლება? მონათა შეილები აგრეთვე შოაებად ხდებოდნენ. რასაკვირველია, მონათა მოსახლეობის ბუნებრივ შემატებას. ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა: ბერძნულ საზოგადოებაში იყვნენ ეგრეთწოდებული შინაური მონები, შინა მონები („ოიკოგენეის“ — „შინ მობილწა“. „შინ, სახლში დაბადებულნი“). რომში იყო განსაკუთრებული მონათმფლობელური მეურნეობანი, რომელნიც წარმოადგენდნენ მონათა თავისებურ სანერგეებს. საბერძნეთში, რამდენადაც ჩვენ ვიცით. ასეთი სანერგეები არ ყოფილა. მაგრამ „შინ დაბადებულ“ მონებს ერთგვარი მნიშვნელობა კი ჰქონდათ.

მაგრამ მონათმფლობელური მეურნეობის პირობებში ბუნებრივი ზრდა, მომრავლება, ძალიან ვიწრო ჩარჩოებში და ფარგლებში იყო ჩაყენებული. მონას, — ეს წესად იყო მიღებული, — ოჯახი არ ჰყავდა და იგი დამოუკიდებელ მეურნეობასაც არ აწარმოებდა. ხანდახან მონებს ღალაზე უშვებდნენ. ე. ი. მონები აწარმოებდნენ შედარებით დამოუკიდებელ მეურნეობას და, მაშასადამე, მათ შეეძლოთ ფაქტიურად ოჯახიც ჰყოლოდათ. მაგრამ ასეთი შემთხვევები შედარებით მცირე რიცხოვანი იყო. მონათა უმრავლესობა ცხოვრობდა და მუშაობდა ბატონის მეურნეობაში და საკუთარ ოჯახსაც მოკლებული იყო. ასეთ პირობებში უალრესად გაძნელებული იყო მონათა ნორმალური ბუნებრივი რეპროდუქცია. მიუხედავად ათასგვარი წამახალისებელი ღონისძიებებისა. რომელთაც მიმართავდნენ ხოლმე მონათმფლობელები, მაინც მონათა შორის დაბადების პროცენტი ძალიან ნაკლები იყო, ხოლო მათი ბავშვების სიკვდილიანობა მეტად დიდი, მონათა დიდი დანაკლისის დაფარვა მათ ბუნებრივ შემატებამომრავლებას არ შეეძლო. ამიტომ საჭირო იყო ხოლმე მონათა მიღება გარედან, სხვა, გარეშე გზით.

ახლა შევეცდებით გავარკვიოთ საკითხი მონათა რაოდენობისა საბერძნეთში. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის მიცემა შეუძლებელია, რადგანაც საბერძნეთში არ უწარმოებიათ მოსახლეობის არაეითარი სტატისტიკა, რაც ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემდა თუნდაც პროცენტული შეფარდება. გამოგვერკვა თავისუფალ მოსახლეობასა და მონათა შორის, ამიტომაც ყველა ჩვენი მოსახრებანი და ვარაუდით ანგარიში ძალიან საეგებიო იქნება. ანტიკური დროის მწერლები, მაგალითად, ათენოსი, იძლევიან აშკარად გაზვიადებულ ციფრს მონური მოსახლეობისას (იქნებ ეს გაზვიადება აიხსნებოდეს უბრალოდ ხელნაწერის ცუდი მდგომარეობით). ამიტომაცაა, რომ თანამედროვე მკვლევარ-

რებზე ამ საკირხში სხვადასხვა დასკვნამდე მიდიან. გარკვეულად შეიძლება ითქვას შემდეგი: V და IV საუკუნეებში ეკონომიურად უფრო განვითარებულ პერძულ სასელმწიფოებში მონათა რაოდენობა თითქმის თანასწორი იყო თავისუფალთა რიცხვისა.

ბელოზი თავის სპეციალურ შრომაში ანტიკური სამყაროს მოსახლეობის შესახებ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ატიკაში მცხოვრებთა საერთო რიცხვი შეადგენდა 235 ათას კაცს, ამათში მოქალაქე იყო 105 ათასი, მონა დაახლოებით 100 ათასი, მეტეკი — დაახლ. 30 ათასი.

ელუარდ მეიერი რამოდენიმედ სხვა ციფრებს უჩვენებს, მაგრამ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის პროცენტული შეფარდება დაახლოებით ისეთივეა. როგორც აქვს ბელოზს.

ელუარდ მეიერის მიხედვით ატიკის საერთო მოსახლეობა შეადგენდა დაახლ. 350 ათას კაცს, ამათგან მოქალაქე იყო 170 ათასი, მონა — 150 ათასი და მეტეკი 30 ათასი.

კომმის უახლესი გამოანგარიშების მიხედვით ატიკისათვის 431 წ. გვაქვს შემდეგი ციფრები: მოქალაქე იყო 172 ათასი, მონა 115 ათასი და მეტეკი 28 ნახევარი ათასი.

ყველა ეს ციფრი, რასაკვირველია, მეტად დაახლოებითია, მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა რაიმე უფრო ზუსტი ცნობები და ამიტომაც ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია ანგარიში არ გაუწიოთ ბურჟუაზიულ მეცნიერთა დასკვნებს. ჩვენ რომ დავუშვათ, რომ მონათა რაოდენობა დაახლოებით უდრიდა თავისუფალი მოსახლეობის რიცხვს (სპარტაში ეს შეფარდება, ცხადია; უნდა შეიცვალოს მონათა სასარგებლოდ), ამით ოდნავადაც ძირს არ ეუთხრით და არ ეაბათილებთ საბერძნეთში მონათმფლობელური წყობილების კონკეპციას. კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ყოველ თავისუფალზე თითო მონა მოდიოდა, მაშინაც ეს მაინც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი მუშა ხელი, ძირითადი სამუშაო ძალა მონები იყვნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფალთა საერთო რიცხვიდან დიდ პროცენტს შეადგენდნენ არამშრომელი ელემენტები და, როგორც ჩანს, მომუშავე თავისუფალი მოსახლეობის რაოდენობა თავისუფალთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლები იყო.

შემდეგ იბადება საკითხი მონათა ტომობრივი შემადგენლობისა. სამუშაო ძალის, მუშა ხელის რეპროდუქციის ფაქტი უმთავრესად მეკობრეობისა და ომის გზით იძულებულ გეყოფს ვიფიქროთ, რომ მონათა უმრავლესობას შეადგენდნენ უცხოელები.

ამავე დასკვნას გვაძლევს ჩვენ მეორე მოსაზრებაც: ბერძენ მონების ყოლა უხერხული იყო მთელი რიგი მიზეზების გამო. უკიდურეს შემთხვევაში ბერძენს შეიძლებოდა ჰყოლოდა მონები სულ შორეულ ადგილებიდან. ვთქვათ, პალკანეთის ნახევარკუნძულის შორეულ და ნახევრად ბარბაროსულ ოლქებიდან, მაგალითად, ეპირიდან ან მაკედონიიდან. მაგრამ რომ ათენელ მონათმფლობელს მონად ჰყოლოდა სპარტელი ან ათენელავე, — ასეთი შემთხვევა არ შეიძლებოდა ყოფილიყო; ეს რომ ყოფილიყო კიდევ. გამოანაკლისი: იქნებოდა და არა წესი. პოლიტიკური წესწყობილების დემოკრატიზაციის შემდეგ

პოლისის, როგორც მონათმფლობელთა კოლექტივის, ბუნება და დედაარს-
შეუძლებლად ხდიდა თავისივე მოქალაქის მონად გადაქცევას. რაც შეეხება
სხვა ბერძნულ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, მათი მონებად ყოლაც უხერხულ
იყო ყოფა-ცხოვრებითი, მორალური, სარწმუნოებრივი და მისთანა რიგის მო-
საზრებათა ძალით. ნამდვილ მონად შეიძლებოდა ყოფილიყო მარტო სხვა
კულტურის. სხვა ენის, სხვა სარწმუნოების კაცი. ამას მწითხვოვდა თითონ მო-
წერი ექსპლოატაციის ხასიათი.

წყაროების (წარწერათა და ლიტერატურულ დამოწმებათა) ანალიზი ვნ-
დასკვნას ადასტურებს. ბერძენთა მონების დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ
თრაკიელები, სკვითები, სირიელები, მცირე აზიის, არაბეთის, ეგვიპტის მცხოვ-
რებნი.

კვალიფიციური მონები (ექიმები, მოურავეები ანუ მმართველები, პედა-
გოგები და მისთანანი) იყვნენ ძველი სამყაროს უფრო კულტურული ქვეყნები-
დან: მცირე აზიიდან, სირიიდან და სხვა მხარეებიდან.

მონებს — შავ მუშებს, მოსამსახურეებს და მისთანას ჩვეულებრივად ავ-
როვებდნენ კოლონიალური პერიფერიების ხალხებში — თრაკიელებსა, სკვი-
თებსა და სხვებში, მაგალითად, ათენის „პოლიცია“ მთლიანად სკვითებისგან
შესდგებოდა.

მონათა რეპროდუქციის საერთოდ ფორმას მთლიანად ბერძნული საზო-
გალოებისათვის წარმოადგენდა ომი და მეკობრეობა.

ყველ ცალკე მეურნეობისათვის მონათა კერძო რეპროდუქციის ფორმას
წარმოადგენდა ვაჭრობა. როცა მონათმფლობელს უნდოდა თავის მონათა რი-
ცხვი შეეღო იგი ბაზარში მიდიოდა და იქ ყიდულობდა მონებს. მათი გაყიდ-
ვა ხანდახან აუქციონის წესით, საჯარო ვაჭრობით ხდებოდა.

ფასი მონებზე სხვადასხვა იყო იმისდა მიხედვით, თუ რა კვალიფიკაცი-
ისა იყო მონა, როგორი იყო მოთხოვნა და ამ მოთხოვნის მიწოდება-დაკმაყოფი-
ლება და სხვ. შავი მუშა-მონის საშუალო ფასი უდრიდა დაახლოებით ორ-სამ-
მინას (დაახლოებით 80-120 მანეთს). კვალიფიციური მონა-ოსტატის (მაგა-
ლითად, იარაღის დამამზადებლის) ფასი 5-6 მინამდე (200-240 მანეთამდე)
ადიოდა.

მაღალკვალიფიციური მონები, მაგალითად, პედაგოგები, მოურავეები და
მისთანანი საკმაოდ ძვირად ფასობდნენ: მათი ფასი ხანდახან ერთ ტალანტამ-
დეც ადიოდა (2400 მანეთამდე დაახლოებით).

საბერძნეთში არსებობდა მონათა ექსპლოატაციის სამი ძირითადი ფორმა:

- 1) უშუალო ექსპლოატაცია;
- 2) მონათა გაცემა ჭირით ან „იჯარით“;
- 3) მონათა გაშვება ანუ გადაყვანა ლალაზე.

რაც შეეხება პირველ ფორმას. იგი ცხადი და ნათელია. მონური შრომა
გამოიყენებოდა უშუალოდ ან ოჯახში, საოჯახო საქმეებზე. ან სახელოსნოში
ან კიდევ მონათა თითონ-ჰატრონისავე სოფლის მეურნეობაში. მეორე ფორმას
ჩვენ ვხვდებით იმ შემთხვევაში, როცა მონათა მფლობელი, თუ არ უნდოდა თ-
თონვე გასძლიოლოდ მეურნეობას ან არ შეეძლო მთლიანად მათი თავისთან გა-

მოყენება, აძლევდა მათ იჯარით, (ქირით). ბერძნების წარმოდგენით მონა იყო სულდგმული იარაღი და ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას მონათა მიცემა არა ქირით, არამედ იჯარით, როგორც წარმოების იარაღისა.

ქსენოფონტე თავის თხზულებაში „შემოსავალთათვის“ შემდეგნაირად აყვიწერს მონების იჯარით მიცემას ლაერიონის მალაროებში: „ჩვენ, ვისიც გული ამისადმი გრილი არ იყო, დიდი ხანია ვაგონილი ვვაქვს: თუ ნიკია, ნიკერატის-შეილი, როგორ ფლობდა მალაროებში ათას მონას; მან ისინი მიაქირავა თრაკიელ სოსიას იმ პირობით, რომ მას ეხადნა თვითუღწე დღეში თითო ობოლი. წმინდა შემოსავალი და უკანვე ჩაებარებინა მონათა იგივე რიცხვი. ჰიპონიკეს ჰყავდა 600 მონა, რომელიც იმავე წესით აქირავებდა მათ და მათაც ყოველდღიურად მოჰქონდათ თითო მინა წმინდა შემოსავალი: ფილემონიდეს ჰყავდა 300, რომელთაც ნახევარმინა შემოჰქონდათ; სხეებსაც აგრეთვე, რამდენადაც მათ შეძლება აძლევდა ნებას. მაგრამ რა საჭიროა ძველ დროზე ლაპარაკი? ახლაც მალაროებში მრავალია ისეთი ხალხი, რომელთაც იქ ასეთივე წესით აქირავებენო“.

ქირით აძლევდნენ მონა-მზარეულებს. შოკეკვავე ქალებს. ხელოსნებს. ექსპლოატაციის ეს წესი ძალიან მოსახერხებელი, მარჯვე იყო მონათმფლობელებისათვის, რადგან უზრუნველ შემოსავალს იძლეოდა, რომელიც არ მოითხოვდა არავითარ გარჯას და ჩაღიხს.

ექსპლოატაციის მესამე ფორმას წარმოადგენდა მონათა „ღალაზე“ გაშვება თუ გადაყვანა. ეს იყო მონური შრომის გამოყენების ყველაზე უფრო შერბილებული ფორმა და, როგორც ჩანს, იგი უფრო იშვიათად გვხვდება. ვიდრე ორი დანარჩენი ფორმა. ამ ფორმის დროს მონათმფლობელი მონას უშვებდა გარკვეული ვადით და იმ პირობით, რომ დრო და დრო ეხადნა ფული გადაკვეთილი რაოდენობით. იმ დროის განმავლობაში, როცა მონა „ღალაზე“ იყო გადაყვანილი, ბატონი მის ცხოვრებაში არ ერეოდა. მონას შეეძლო ქირით დამდგარიყო როგორც მუშა დღიურ სამუშაოზე, შეეძლო გაეხსნა თავისი სახელოსნო ან ეპრობა დაეწყო, შეეძლო ოჯახსაც მოჰკიდებოდა. პატრონისთვის მნიშვნელობა ერთ-რამეს ჰქონდა მარტო: მიეღო გარკვეული ღალა.

მეურნეობის რაღაცა დარგებში იყო ხოლმე გამოყენებული მონის შრომა? საერთოდ რომ ითქვას — ყველაფერში იყო გამოყენებული. მონური შრომა გაბატონებული შრომა მეურნეობის ყველა დარგში. განსაკუთრებით ფართოდ იგი გამოყენებული იყო ოჯახობაში, შინაურობაში: სახლის მოსამსახურეებად საბერძნეთში მთლიანად მონები იყენებდნენ ხოლმე. თავისუფალი პირნი ამ სამუშაოზე არ მიდიოდნენ.

შინა მსახურთა რაოდენობა დამოკიდებული იყო მეურნეობის მეტნაკლებობაზე; მათი რიცხვი იყო თითო-ორთლა, მაგრამ ადიოდა ორმოცდაათამდე. ორმოცდაათი მოსამსახურე ერთ სახლში ესაა მაქსიმალური ციფრი, რომელსაც წყაროები გვიჩვენებენ. ბერძნული ცხოვრების საერთო ხასიათი მგონი რომ ნებას არ იძლეოდა შინამსახურთა დიდი რიცხვის ყოლისას. რომში მსხვილი მონათმფლობელების სახლებში, რომის დიდკაცთა სახლებში ასობით ცხოვრობდნენ შინამსახურნი, რომელთაგან ცხრა მეათედი არას აკეთებდა და მარ-

ტო „წარმომადგენლობისათვის“ მსახურობდა. საბერძნეთი არ იცნობდა ასეთ პარაზიტულ წმსს. რაიცი ტიპიური იყო რომაულთა. ცხოვრებისათვის. ბერძნების ცხოვრება უფრო საქმიანი იყო, უფრო თავდაპირველი და ზომიერი, ისინი არ აგროვებდნენ თავისთან ასეთ ურიცხვ მონებს მხოლოდ საჩვენებლად, შესახედავად, წარმომადგენლობისათვის. განსხვავება აქ ეკონომიკის ხასიათშია: რომის მეურნეობა უმთავრესად და მეტ წილად პარაზიტული იყო, ბერძნულ ცხოვრებაში პარაზიტულ წმსს ეს ნიშნები ნაკლებად ჩანდა.

ჩვენი უფრო საინტერესო ფორმა მონური შრომისა იყო მისი გამოყენება ხელოსნობაში. მონობა საბერძნეთში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მრეწველობაში, თუმცა ეს ფაქტი რღვევად არ გამოირცხვება იქ თავისუფალი შრომის გამოყენებასაც. ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას საერთო ტენდენციის მრეწველობაში თავისუფალი შრომის როლის შემცირებისას. ჩვენი წყაროები ამბობენ. რომ V ს. პირველ ნახევარში თავისუფალი ხელოსანი უფრო მეტი იყო, ვიდრე V ს. მეორე ნახევარში და IV ს. დასაწყისში. ეს გვიჩვენებს მონობის მიერ თავისუფალი ხელოსნობის გამოდევნის ბუნებრივ პროცესს.

ყველა ცნობებისდა მიხედვით ჩანს, რომ სამრეწველო წამოწყებისა ანუ საწარმოს უპირატეს ტიპს წარმომადგენდა წერილი სახელოსნო. თუმცა მოიპოვება იმის ცნობები, რომ არსებობდა მსხვილი მონათმფლობელური სახელოსნოები. სადაც 30-დან 100 მონამდე მუშაობდა. ასე, მაგალითად, ორატორ ლისიას ეკუთვნოდა ფარების სახელოსნო. რომელშიაც 120 მონა მუშაობდა. მაინც ეს ციფრი საეგვიპტო არის: შესაძლებელია; რომ ლისიას 120 მონიდან რამოდენიმე ნაწილი შინამსახურად ყოფილიყო.

ძალიან საინტერესო ცნობებს ვხვდებით დემოსთენეს სიტყვაში იმ მეურვის წინააღმდეგ, რომელმაც გაფლანგა მისი მამის ქონება. დემოსთენეს მამა მშინ მოუკვდა. როცა ის ჯერ ბავშვი იყო ისევე; დანიშნულმა მეურვეებმა ხუთ გააჩივეს და გაფლანგეს მის სამემკვადრეოდ დატოვებული ქონება. დემოსთენემ გაიზარდა თუ არა სრულწლოვანი, დაიწყო პროცესი თავისი ერთ-ერთი მეურვის, აფობის, წინააღმდეგ და მის გამო სიტყვა, წარმოთქვა სასამართლოში:

„მამაჩემმა, მოსამართლენო, — ამბობდა დემოსთენე. — დასტოვა ორა სახელოსნო, თვითიული არამცირედი წარმოებით. 32 და 33 იარაღის ოსტატი თვითიული 5 და 6 მინა ღირდა; სხვანიც არა ნაკლებ 3 მინისა ღირდნენ და წელიწადში 30 მინა წმინდად შემოაქონდათ; საწოლის ოსტატი რიცხვით 20, რომელნიც მას გირაოდ მისცეს 40 მინაში და რომელნიც იძლეოდნენ წმინდა 12 მინას...“

ამგვარად დემოსთენეს მამას ჰქონდა ორი სახელოსნო: ერთი იარაღისა 32 თუ 33 მონით და მეორე საწოლების დამამზადებელი სახელოსნო 20 მონით. ესქინეს სიტყვაში ტიმარქეს წინააღმდეგ ლაპარაკია 9 თუ 10 მონა იარაღზე; თვითიული მათგანი ტიმარქეს იძლეოდა დღეში ორ-ორ ობოლს, ხო-

ლო სახელოსნოს გამგე—სამ ობოლს. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიკვანოთ, რომ ტიმარქეს ჰქონდა სახარაზო 9 თუ 10 ოსტატით და ერთი გამგია.

აქ არის რაღაც საგულისხმეო გარდამავალი ფორმა მონათმფლობელი სახელოსნოდან ღალაზე გაშვებაზე.

ყ ს. მეორე ნახევრის ათენის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის კლეონის მამას ჰქონდა ტყავეულობის სახელოსნო (მუშათა რაოდენობა დასახელებული არაა). ტრაგიკოს სოფოკლეს მამას ჰყავდა მონა მესპილენძენი (ან. იქნებ, ღურგლები); მათი რიცხვიც აგრეთვე არაა ნაჩვენები.

ყველა ამ მეტად მწირ მითითებათაგან შეიძლება დავასკვნათ, რომ: მონათა მაქსიმალური რაოდენობა ჰყავდა ლისიას სახელოსნოს ა... ას კაცამდე. ჩვენ ვიცნობთ კიდევ ათენის „ბანკირს“ პასიონს, რომელსაც ჰქონდა ფარები... სახელოსნო. რამდენი მონა ჰყავდა ამ სახელოსნოში, არ ვიცით, ის კი ვიცით, რომ სახელოსნოს ყოველწლიურად შემოჰქონდა შემოსავალი ერთ ტალანტამდე; და ეს გვავაძებს ვიფიქროთ, რომ ამ პასიონის სახელოსნოში ასამდე მონა მუშაობდა.

ყოველ შემთხვევაში, თუმცა ჩვენი ცნობები ნაწყვეტ-ნაწყვეტია, ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვამტკიცოთ, რომ მონური სახელოსნოს უპირატესი, გაბატონებული ტიპი იყო მსხვილი სახელოსნო. როგორცა ჩანს, ათენსა და სხვა ბერძნულ ქალაქებში გაბატონებულ, უპირატეს ფორმას წარმოადგენდა საშუალო სახელოსნო, წერილი სახელოსნოც კი, რომლის მუშა-მონების რიცხვსაშუალოდ ორ-სამ ათეულს არ აღემატებოდა.

რას წარმოადგენდა მონათმფლობელური სახელოსნო (ბერძნულად — ელ-გასტერიონი)?

ერგასტერიონის ტექნიკური ბაზა ძალიან პრიმიტიული იყო: ის მითითებულია, რომელნიც გაბნეულია წერილობით წყაროებში. სხვადასხვა სახელოსნოების გამოხატულებანი (ლითონის ჩამომსხმელი, სამკერვალო), ვაზებზე რომაა შენახული, საჭურველისა და იარაღის გამოხატულებანი — ყოველივე ეს მარტო ერთად-ერთი დასკვნის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და სხვა არაფრისას: ეს დასკვნა შემდეგია: ამ სახელოსნოების ტექნიკური საფუძველი იყო ხელით ხელოსნური წარმოება. არც კლასიკური საბერძნეთი და არც საერთოდ ანტიკური სამყარო საერთოდ არ იცნობდნენ მანქანებს. ელინისტურისა და რომაულ ეპოქებში იყენებდნენ ზოგიერთ მექანიკურ იარაღს (კოკონაქს, ბერკეტს). მაგრამ მანქანის მსგავსი, როგორც ამ ცნებას განმარტავს მარქსი, არაფერი არ გვხვდება.

ბერძნულ და რომაულ სახელოსნოს იარაღებს შორის ვხედავთ მარტო ჩვეულებრივ სახელოსნო იარაღებს: ვახს. ჩაქუნს. ცულს. ხერხს. და მის-თაწას. შრომის ტექნიკური განაწილება ძალიან მსხვილ სახელოსნოებშიაც კი ყოფილა. ერგასტერიონი წარმოადგენს მექანიკურ გაერთიანებას იმ ცალ-ცალკე ხელოსნებისას, რომელნიც ერთმანეთში არ ყოფილან გაერთიანებულნი წარმოების პროცესით. ისინი ერთმანეთს შორის დაკავშირებულნი იყვნენ მარტო იმით, რომ ერთს პატრონს ეკუთვნოდნენ და მუშაობდნენ ერთს შენობაში. ერთ ჰერ ჰევში, რასაკვირველია, ეს თქმა სიტყვა-სიტყვით როდი უნდა გავიგოთ.

იუ ჩვენ, მაგალითად, ავიღებთ პურის საცხობ ფურნეს ან თონეს მონებისას, იქ ცხადია, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო შრომის ელემენტარული დანაწილება: ერთი მონა უთვალთვალებდა ფურნეს ან თონეს, მეორე ცომს ზელავდა, მესამე ამ ცომს აგუნდავებდა, ზოგს გუნდიდან ფუნთუშა გამოჰყავდა და სხვა. შრომის ტექნიკური განაწილების ზოგიერთი ელემენტი არც შეიძლებოდა არ ყოფილიყო, რადგანაც ისინი წარმოშვა ადამიანთა ჯგუფის ერთად მუშაობის თითონ ფაქტმა. მაგრამ ეს იყო მარტო ელემენტები, მარტო ჩანასახი. იმაზე ლაპარაკი, რომ იყო გამძლე, მტკიცე ტექნიკური განაწილება შრომისა, მსგავსი შრომის იმ განაწილებისა, რომელიც არსებობს მანუფაქტურაში, სადაც მუშათა გარკვეული ჯგუფები მუდმივ ასრულებენ გარკვეულ საწარმოო ოპერაციას, არ შეიძლება. ანტიკურ ლიტერატურაში ჩვენ არ ვხვდებით არავითარ მითითებას იმისას, რომ არსებობდა შრომის ნამდვილი ტექნიკური განაწილება. იქ არის მითითებანი შრომის მარტო საზოგადოებრივ განაწილებაზე და სხვა არაფერი. ეს სავსებით გასაგებია. წარმოების მონათმფლობელური წესი შეესაბამებოდა საწარმოო ძალების სათანადო დონეს. არსებითად მის ფორმას წარმოადგენდა ინდივიდუალურ მწარმოებელთა კოოპერაცია. ყოველი ერგასტერიონი, ყოველგვარი მონათმფლობელური მეურნეობა, იმისდა მიუხედავად, იყო იგი სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო, წარმოადგენდა ხელოსნების უბრალო, მარტივ კოოპერაციას, ინდივიდუალურ მწარმოებლების მარტივ კოოპერაციას. სხვანაირი იგი ვერც იქნებოდა. იმიტომ, რომ ასეთი იყო საწარმოო ძალთა განვითარების დონე, ასეთი იყო თითონ საწარმოო პროცესი, ასეთი იყო შრომის იარაღები და ასეთივე იყო ექსპლოატაციის ფორმა, უპირატესად პრიმიტიული ფორმა, როცა ადამიანის ექსპლოატაცია შეიძლებოდა, მარტო როგორც ინდივიდუალური მწარმოებლისა. თანამშრომლობის რაიმე რთული ფორმების შექმნა მონობის დროს შეუძლებელი იყო, რადგანაც ასეთი ფორმები გულისხმობენ შრომის გაუმჯობესებულ იარაღებს და მუშათა განვითარების უფრო მაღალ დონეს, მაღალ საფეხურს. მონისთვის არ შეიძლებოდა ხელში მიეცა რაიმე რამოდენიმედ მაინც რთული იარაღი: იგი მას აფუჭებდა შეგნებულად ან შეუგნებლად. მარქსი თავის „კაპიტალის“ პირველი ტომის, ერთ-ერთ შენიშენაში ამბობს: „მაგრამ თითონ მუშა კი (ე. ი. მონა. — ს. კ.) ცხოველს ანუ საქონელს და შრომის იარაღს აგრძნობინებს ხოლმე, რომ იგი მათი მსგავსი არაა, რომ იგი ადამიანია. იარაღის დაუზოგავი ხმარებით და უინმორეულად მისი გაფუჭებით იგი აღწევს თვისგან მათი განსხვავების შეგნებას. ამიტომაც წარმოების ასეთი წესის ეკონომიურ პრინციპად მიღებულია ხმარებულ იქმნას მარტო უპირატესად ტლანქი, უპირატესად ულაზათო შრომის იარაღები, რომელნიც სწორედ ამ თავისი სიტლანქისა და უშნობის, ულაზათობის გამო უფრო ძნელად ფუჭდება. ამიტომაც იყო, რომ მექსიკის ყურესთან მდებარე მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, სამოქალაქო ომის დაწყებამდე (1861 წლამდე. — ს. კ.) გავრცელებული იყო ძველი — ჩინური კონსტრუქციის გუთნები, რომელნიც ღირივით ან თხუნელასავით მიწას მარტო ჩიჩქნიდნენ, მაგრამ კვალს კი ვერ ავლებდნენ და ვერც ბელტს აბრუნებდნენ“. შემდეგ მარქსს მოჰყავს Олпѣт-ის ციტატა „Sea Board Slave states“-იდან, სადაც ნათქვამია: „მე მიჩენეს

იარაღები, რომელთაც არც ერთი ჭკვათამყოფი ადამიანი არ მისცემდა ხელთ ჩირით მომუშავე მუშას, რადგანაც ისინი მას მარტო დაუმძიმებდნენ, გაუძნელებდნენ, შრომას... მაგრამ მე მარწმუნებდნენ, რომ მონები ისე დაუდევრად და ტლანქად ეკიდებიან იარაღს, რომ უფრო სუბუქი და ნაკლებ ტლანქი იარაღების მიცემა ჯმ მონების ხელში სრულიად შეუძლებელია... სწორედ ასევე: როცა შეეეკითხე—რატომაა, რომ ყველა ფერმაში ცხენების ნაცვლად ჯორები ვყავთო, — ამის პირველ და, რასაკვირველია, ყველაზე უფრო დამაჯერებელ მოსაზრებად ის წამოაყენეს, რომ ცხენები ვერ აიტანდნენ იმ მოპყრობას, როგორც მათ ყოველთვის აქვთ ზანგების მხრივო... ესეც კია, საკმარისია ჩემთვის მარტო მივიდე იმ ოთახის ფანჯარასთან, სადაც ვწერ, და თითქმის ყოველთვის ვხედავ საქონელთან ისეთ უდიერ მოპყრობას, რომლისთვისაც ჩრდილოეთში თითქმის ყოველი ფერმერი თავის მუშას ხელათვე გააგდებდაო“. (ქ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, 134-135 გვ.). მონის შრომის ნაყოფიერება ძალიან დაბალია, იგი იარაღსა და საქონელს ახდენს სწორედ იმიტომ, რომ ჯოხ ქვეშ ძეგლებით მუშაობს, რომ მას აძევს გარე ეკონომიური იძულების აუტანელ სიმძიმე. აი რატომაა, რომ წარმოების მონური წესის დროს შეუძლებელია გაცივებულ იქმნას კოოპერაციის რაიმე რთული ფორმები, რაიმე რთული იარაღები; მარტივი კოოპერაციის იქით და მალა მონობა ვერ ადის.

ეს დებულებანი შეიძლება დასაბუთებულ იქმნას არსებულ დოკუმენტურ მასალათა ანალიზით. ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ აფობის საწინააღმდეგოდ წარმოთქმული სიტყვა დემოსთენესი. დემოსთენეს აქ მოპყავს მთელი წყება ციფრები, რომელთა საფუძველზე შეიძლება მეტად ნაგულისხმიერო დასკვნის მიღება იმის შესახებ, თუ რა ხვედრითი წონა ჰქონდა მონათმფლობელურ მეურნეობაში სახელოსნოს და მის მოწყობილობას ერთის მხრივ, და სამუშაო ძალას, მუშა ხელს — მეორეს მხრივ. როცა დემოსთენე ჩამოსთვლის მამისგან მისთვის დატოვებული შეძლების რაოდენობას, იგი ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებს სახელოსნოსა და მისი მოწყობილობის ღირებულებას. ის დაწვრალეზით ჩამოსთვლის ღირებულებას მონებისას, სახლისას, ნედლეულისას, ჩამოსთვლის ოქროსა და ვერცხლს და დედის ჩაცმულობასაც კი, მაგრამ სახელოსნოებსა და იარაღებზე არსად სიტყვა არ აქვს დაძრული. ცხადია, ამ სახელოსნოების (ერთი იყო იარაღთა დასამზადებელი, მეორე კი — საწოლებისა) მოწყობილობის ღირებულება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ დემოსთენე საკიროდაც კი არა თვლის მის ხსენებას, როცა სასამართლოს წინაშე აღნიშნავს თავის ქონების რაოდენობას. ამავე დროს კი სასამართლოს წინაშე იყო სწორედ საკირო და მნიშვნელოვანი გაფლანგული ქონების რაოდენობის დადგენა.

მონათა შესახებ დემოსთენე ბევრს ლაპარაკობს. ჩვენ რომ ჯამი შეეკრათ ამ მონათა ღირებულებისა, რომელნიც დემოსთენემ მიიღო მამისგან, მაშინ საკმაოდ დიდი თანხა შესდგება — 3 ტალანტი და 50 მინა.

ნედლეული მასალის ღირებულება — სპილოს ძვლისა, რკინის, საწოლის ხისა — აღწევს 2 ტალანტსა და 30 მინას.

სახლის ღირებულება, სადაც ალბათ მოთავსებული იყო სახელოსნოებიც, შეადგენდა მარტო 30 მინას.

შედლების თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენდა მოძრავი ქონება - 3 ტ.-
ლანტი და 56 მინა. ყოველგვარი ძვირფასეულის ღირებულება უდრიდა 3 ტ.-
ლანტს.

ამ რაგად შონათა ღირებულება შეადგენდა მთელი ქონების ღირებულე-
ბის 28 9/10-ს დაახლოვებით: იგი ერთი ტალანტითა და 20 მინით მეტი იყო ნუ-
ღლეული მასალის ღირებულებაზე და მრავალჯერ, ცხადია, აღემატებოდა მო-
წყობილობის ღირებულებას, რის გახსენებაც კი დემოსთენემ საკაროდ არ
დაინახა.

ტრაქტატში „ეკონომიკა“, რომელსაც არისტოტელეს მიაწერენ, მაგრამ
რომელიც, როგორც ჩანს, მას არ ეკუთვნის, შემდეგსა ეკითხულობთ: „მეცხო-
ბელობის საგნებს შორის პირველ და ყველაზე უფრო საჭირო საგანს წარმოად-
გენს ისეთი, რომელიც უფრო უკეთესია და უფრო მეტად შეესაბამება სახლი-
მფურნეობას. ისაა ადამიანი. ამიტომაც გემართებს უპირველეს ყოვლისა უზ-
რუნოთ კარგი მონების შეძენისათვის“. ამგვარად, წარმოების მონათმფლობე-
ლური წესის დროს მონა წარმოადგენს ძირითად ღირებულებას. ამით დას-
ტურდება მონობის ტექნიკური ბაზის დაბალი დონე. წარმოების სიმძიმის მიე-
ლი ცენტრი თითონ მონაზე ძევს, რომელიც უმნიშვნელო იარაღების მოხმარებით
ბატონს აძლევს ზედმეტ პროდუქტს.

ამასთან დაკავშირებით დგას საკითხი მსხვილი მონური წარმოებისა. ჩვენ
უკვე ვთქვით, რომ მონური სახელოსნოს გაბატონებულ, უპირატეს ტიპს წარ-
მოადგენს წერილი სახელოსნო, რომელიც რჩება მონათმფლობელური სახე-
გადობის არსებობის მთელს მანძილზე. მართალია IV საუკუნიდან უფრო
მეტი ცნობაა მოსული მსხვილ სახელოსნოთა არსებობის შესახებ, ვიდრე V
საუკ.-დან. და ამ საფუძველზე თითქოს შეიძლება ითქვას, რომ IV ს.-ში იყო
მონური წარმოების ერთგვარი კონცენტრაცია. მაგრამ ეს ცნობები მეტად შემ-
თხვევითი ხასიათისაა საიმისოდ, რომ შეიძლებოდეს აქედან გარკვეული დას-
კინის გამოყვანა. აპრიორულად რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება ითქვას, რომ
მსხვილი მონური წარმოების სამეტრქეო უნარიანობა დიდი არ ყოფილა. ყო-
ველ შემთხვევაში იგი უზომოდ დაბლა დგას მსხვილი კაპიტალისტური წარმოე-
ბის სამეტრქეო უნარიანობაზე. კაპიტალისტურ ეპოქაში მსხვილი წარმოება
სწრაფად და დაუზოგავად დევნის წერილ წარმოებას, რადგანაც კაპიტალიზმის
პირობებში მსხვილი წარმოების სარგებლიანობა უაღრესად დიდი და იგი მე-
ტად სწრაფად აცლის წინააღმდეგობის გაწევის ძალას წერილ მწარმოებელს.

მონათმფლობელურ კონკურენციას არ შეუძლიან ასე სწრაფად ჩაეკლას
წერილი წარმოება მიტომ, რომ უფრო გაუმჯობესებული მანქანების გამოყი-
ნება, რაც წარმოებას გააიაფებდა, მსხვილ მონურ სახელოსნოს ისევე არ შეუ-
ძლია, როგორც წერილს. წერილ მონურ სახელოსნოშიაც და მსხვილ სა-
ხელოსნოშიაც წარმოება ერთნაირი იყო: იქაც და აქაც წარმოება ანტიეფექ-
ტური იყო. წარმოება იყო ხელით, ხელოსნური, და არავითარი მანქანებისა და
რთული იარაღების გამოყენება არ შეიძლებოდა.

რასაკვირველია, რაღაც მოგებას მსხვილი მონური სახელოსნო აძლევდა,
მისი მფლობელი ეკონომიას ეწეოდა შენობაზე, მონების შეთვალეურობაზე

მონარქინსა და სხვა წვრილმანზე. მაგრამ ეს ეკონომია ყოველ შემთხვევაში იყო. ან სწორედ ამით აიხსნება წვრილი მონური წარმოების გაძევება მთელი ანტიკური დროის მანძილზე.

საბერძნეთში მონური შრომა განსაკუთრებით ფართოდ იყო გამოყენებული მაღაროებში. უფრო ცნობილი იყო ლავრიონის ვერცხლის მაღაროები. რომლებიც მდებარეობდა ატიკის სამხრეთ ნაწილში. ამ ადგილებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები მრავალ საინტერესო ცნობებს იძლევიან, რასაც ადასტურებენ ლიტერატურული აღწერილობანი.

სამათამაშნელო, სამაღაროო საქმის ტაქტიკა არაჩვეულებრივ პრიმატიული იყო. ლავრიონის მაღაროებზე შეიცავდა ვერტიკალურ ანუ შვეულ მასტებს თავის გვერდზე მიმავალი წოლხვრელებით. აქედან ამოქონიდათ ტყვიანკრიალა, სიღრმაც შემდეგ იღებდნენ ვერცხლს. რადგანაც მაღარო მაგარი ქანისა იყო და მომუშავეებსაც მარტო პრიმიტიული იარაღები -- ჩაქუნი და წერაქვი -- ჰქონდათ, ამასთან დაკავშირებით წოლხვრელებში გაეღა ძალიან მძიმედ მიდიოდა. თითონ წოლხვრელები მეტისმეტად ვიწროება იყო, რადგანაც ქანის სიმაკრე იძულებულხდოდა სივრცის ეკონომია გაეწიათ. ამ წოლხვრელებში სიარული არ შეიძლებოდა, შეიძლებოდა მარტო ჩოჩვა. მაშინ ამოქონიდათ კალათებით მოპოვების ადგილიდან შახტამდე. კალათება მიჰქონდათ მცირეწლოვან მონებს, მერე კი თოკებით მალლა სწევდნენ. ზემოთ ამოქონიდათ ძნელი დასაშვებია, რომ ვაკეცს შესძლებოდა თავისუფალი მოძრაობა ამ წოლხვრელებში. უშიშროების, უუნებლობის ტექნიკა სულ შემთხვევით იყო ვენტილაცია თითქმის არ ყოფილა, გამაგრებაც არ ჰქონიათ. მართალია, ლავრიონის მაღაროების მაგარი ქანის წყალობით მიწა არ ჩამოწვებოდა. სოღმე მაგრამ ყოველ შემთხვევაში საშინელი სიცხისა და ბულის გამოისობით ამ წოლხვრელებში მუშაობა ძალიან სამძიმო, პირდაპირ საკატორღო იყო. ტყუილად ხომ არ იყო ამ მაღაროებში მონური შრომა გამოყენებული: თავისუფალი მუშები იქ არ მიდიოდნენ.

ლავრიონის მაღაროები სახელმწიფო იყო და იჯარით ეძლეოდათ კერძო თაოსან პირებს. რომელნიც იღებდნენ ვარკვეულ უბნებს და ამუშავედნენ თავიანთი პროდუქციის განსაზღვრულ პროცენტს.

როგორც ზემოთაც უკვე ენახეთ. მაღაროებში ფართოდ იყენებდნენ მონების დაჭირაების, მონების იჯარით აყვანის წესს. მაგრამ ეს ფორმა ოდნავადაც არ გამოორიხებოდა მონათა უმუშალო ექსპლოატაციას. ალბათ იყვნენ ისეთი თაოსანი ხალხი, წამომწყებნი, რომელნიც სახელმწიფოსგან იჯარით აღებულ უბნებს ამუშავედნენ თავიანთი საკუთარი მონების მოხმარება-გამოყენებით.

ახლა რამდენიმე სიტყვას ვიტყვით მონების გამოყენებას შესახებ უკვე სოფლის მეურნეობაში. ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ იმას, რაც ზემოთ უკვე ითქვა ილოტების თაობაზე. ილოტი უძღვებოდა, როგორც ჩანს. დამოუკიდებელ მეურნეობას. ჩვენ გვიანტერესებს მონათა შრომის ფორმა სოფლის მეურნეობის დარგში საბერძნეთის ისეთ მოწინავე თემებში, როგორიცაა კორინთო, ატიკა, სადაც იყენებდნენ მონებს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ე. ი. ისეთებს.

რომელნიც სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ წარმოების საშუალებათ და მუშაობდნენ თავიანთი ბატონის მეურნეობაში.

ჩვენ ვიცით, რომ საბერძნეთში უპირატესი როლი ეკუთვნოდა ყურძნს. ზეთისხილის. ხეხილების კულტურათ. სოფლის მეურნეობაში არა პარცელულ კულტურათა სიქარბე და უპირატესობა დაეტყო მათი დამუშავების დროს მონათა გამოყენების ხასიათსაც.

ანტიკური ეკონომიკის აყვავება-გაფურჩქვნის ეპოქაში საბერძნეთის წამყვან სავაჭრო-სამრეწველო ოლქებში სოფლის მეურნეობას საერთოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. უნდა აგრეთვე აღინიშნოს ისიც, რომ მსხვილი მიწათმფლობელობა რამოდენიმედ მაინც თვალსაჩინო როლს არ თამაშობდა. მიწის კონცენტრაცია საბერძნეთში უფრო გვიან მოხდა. VIII-VIII საუკუნეებში ის-ის იყო დაწყებული კონცენტრაცია მიწების შეაჩერა VI ს. რევოლუციამ. ამ რევოლუციამ წარმოშვა წერილი თავისუფალი მწარმოებელი და სასტრკი ზიანი მიაყენა მსხვილ მიწათმფლობელობას რომელიც მაშინ ის-ის იყო გალიზდებოდა და ისახებოდა. საბერძნეთის უფრო მოწინავე დემოკრატიულ ქალაქ-სახელმწიფოებში V საუკუნეში სქარბობდა წერილი თავისუფალი მესაკუთრე. მაგრამ წერილი თავისუფალი გლეხის მეურნეობის პირობებზე მონის გამოყენება ფართო მასშტაბით გამოირიცხული იყო. გლეხები უმთავრესად თითონვე მუშაობდნენ, იშველიებდნენ მთელ ოჯახს, ხანდახან თითო-ორილა მონასაც მოიხმარებდნენ ხოლმე.

საბერძნეთში უპირატესად გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თითონ ხასიათივე შეუძლებლად ხდიდა მონური შრომის ფართო გამოყენებას. მონური შრომის დაბალი ნაყოფიერების წყალობით მისი გამოყენება ხელსაყრელი არ იყო ისეთ შრომატევად კულტურათა გაშენებისათ, როგორცაა ყურძნი, ზეთისხილი და მისთანა სხვა, რომელთაც დიდი შრომა ესაჭიროებათ.

აი რატომ იყო, რომ საბერძნეთის სოფლის მეურნეობაში — რომში ასე არ იყო სრულებით, — ისეთი მხარეების გარდა, როგორცაა თესალია და სპარტა, მონური შრომა შედარებით დიდ როლს არ თამაშობდა და იქ სოფლის მეურნეობაში, ჩაბმულ მონათა პროცენტის შედარებითვე დიდი არ იყო. სამაგიეროდ საკმაოდ დიდი იყო თავისუფალ მოქირავნე მუშების (მოჯამაგირეების, თეტების) რაოდენობა, რომელთა შრომას იყენებდნენ შეძლებული მეურნეობანი.

მონურ შრომას იყენებდნენ არა მარტო კერძო მეურნეობაში. ჩვენ ვხედავთ, სახელმწიფო მონებს, რომელთაც ეჭირათ ადმინისტრაციაში დაბალი თანამდებობანი. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ათენში საპოლიციო სამსახურს ასრულებდნენ სკევითები. წერილი თანამდებობანი კომუნალური მეურნეობის ხაზით, საპყრობილეთა მეთვალყურე-დარაჯების ადგილები, ჯალათების ადგილები და ბაზრებში დაბალ მეთვალყურეთა თანამდებობანი მონებს ეჭირათ.

ახლა გადავიდეთ იმის დახასიათებაზე, თუ როგორი იყო საბერძნეთში მონათა ყოფა-ცხოვრებით და იურიდიული მდგომარეობა. როგორც საბერძნეთში, ისე რომში მონა ადამიანად არ ითვლებოდა, პიროვნებად არ იყო მიჩ-

ნეული (რომელი ძწერლები მონას უხმობდნენ „ინსტრუმენტუ ვოკალე“, ე. ი. „ნეტყველ იარალს“, „მოლაპარაკე იარალს“, ბერძენი მწერლები კი ეძახოდნენ „ორგანონ ემფსიქონ“ — „სულდგმულ იარალს“). მართლაც მონას ექსპლოატაციის თითონ დედაარსი, იმ ექსპლოატაციისა, რომელიც ემყარებოდა გარე-ეკონომიკურ იძულების უმაღლეს ხარისხს, ისეთი იყო, რომ შინაგან სხვაგვარად განხილვა არ შეიძლებოდა. იგი იყო ბატონის საკუთრება, ნაკეთი და ამიტომაც ის აბსოლუტურად უფლებო იყო. მონა არ ითვლებოდა პიროვნებად, ამიტომ მან არ შეეძლო გამოსულიყო როგორც იურიდიული პიროვნება და თავისი სახელით რაიმე პირობის დადება, ალებ-მიცემობაში მონაწილეობის მიღება. ესეც კი უნდა ითქვას, პრაქტიკაში უფლების (უკეთი და უფრო სწორედ—უფლებობის!) ეს ნორმა თვალსაჩინოდ იყო ხოლმე შერბილებული. ასე, მაგალითად, ღალაზე გადაყვანილ მონას შეეძლო ქირით დამდგარიყო დღიურ მუშად, შეეძლო გაეხსნა პატარა სახელოსნო ან წვრილი სავაჭრო, დუქანი. თუმცა თეორიულად მონის ქონება ისევე, როგორც თითონ მონაც, ბატონის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ პრაქტიკულად კი მას შეეძლო გამოსულიყო როგორც შესაკუთრე და რამოდენიმე თანხაც კი მოექუჩებინა თავისთვის.

განსხვავებით რომისგან, სადაც მონური შრომა უფრო იყო განვითარებული, აქაც მონათა რიცხვი უფრო მეტი იყო, ხოლო მათი ფასი ნაკლები. — საბერძნეთში მონები ნაკლებად იყვნენ და ამიტომაც მათ უფრო მეტი ფასი ედებოდათ. ასე, მაგალითად, რომში, ვიდრე ჩვ. წ. II საუკუნემდე, საკუთარი მონის მოკვლა კანონიერად ითვლებოდა. საბერძნეთში კი მანკოველთა დასასჯელ დანაშაულად რაცხდნენ (ყოველ შემთხვევაში თეორიით მაინც). ბერძნული მონობა უფრო ნაკლებ სასტიკი იყო ნაწილობრივ იმპრო, რომ მონათა რიცხვი ნაკლები იყო და ნაწილობრივ კი თითონ წარმოებდა, უმთავრესად წვრილი წარმოების, ხასიათის გამო.

მონის განთავისუფლება შეიძლებოდა, მაშინ მას განთავისუფლებულ მონას, განტევებულს ან ახატს ეძახდნენ. განტევებულნი ანუ ახატები იურიდიულად ითვლებოდნენ თავისუფალ პირებად, მაგრამ მოქალაქობის ყველა უფლება! კი როდი იძენდნენ. მაგალითად, ათენში ახატებს არ შეეძლოთ მიწის მფლობელობა. ახატს, განტევებულს ეკიბო თითქოს საშუალებლო მდგომარეობა მონასა და თავისუფალს შორის: იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, სიკვდილამდე თავისი ყოფილი ბატონის მიმართ დამოკიდებულ მდგომარეობაში რჩებოდა. IV საუკუნემდე საბერძნეთში მონათა განტევება ანუ განთავისუფლება ძალიან იშვიათად ხდებოდა. მაგრამ შემდეგში კი, მონათმფლობელური მეურნეობის საერთო კრიზისთან დაკავშირებით, ასეთ განტევებულ მონათა რიცხვი ძალიან იზრდებოდა.

რა მიზეზებით აიხსნება მონების განთავისუფლება, მაილში განთავისუფლების მნიშვნელობა? ხან დანაშაული მონა, მოაქუჩებდა თუ არა საჭირო თანხას. თავის თავს ამ დეულით გამოიხსნიდა ხოლმე. გამოიყიდდა. ცალკე შემთხვევებში განთავისუფლება ხდებოდა როგორც ჯილდო იმ განსაკუთრებული სამსახურისთვის, რომელსაც მონა თავის ბატონს გაუწევდა, მაგრამ უფრო ხშირად კი მონის განთავისუფლება აიხსნებოდა ეკონომიური მიზეზებით: ძალიან ხშირად

წონათმფლობელისთვის უფრო ხელსაყრელი იყო საქმე ჰქონოდა აზატთან. განთავისუფლებულთან, რადგან მონის თავისუფლებაზე გაშვებით არა წყდებოდა სავესტით მისი დამოკიდებული ურთიერთობა ყოფილ ბატონთან. განტევების საბუთებში ზუსტად იყო დათქმული და ჩამოთვლილი თავისუფლება-მიწიკუპულ მონის ვალდებულებანი. აი ერთ-ერთი ნიმუში ასეთი განტევების წარწერისა, რომელიც ეკუთვნის ძვ. წელთაღრიცხვით მეორე საუკუნე: „პრაქსია, ძე თერონისა, აძლევს თავისუფლებას ევპრაქსიას და მის ვაჟს. სახელად დორიონს. არავინ არავითარი გზით და ხერხით არ უნდა მიაქციოს ისინი მონებად. განტევებულნი რჩებიან პრაქსიასთან და მის ცოლ აფროდისისათაჲ, სანამ ისინი ცოცხლები არიან. მათ იგინი უნდა დაასაფლავონ და მათი ხსოვნა-პატივისთვის შეასრულონ დადგენილი მსხვერპლ-შეწირულებანი. თუ ასანი არ დაბარხდენ და არ შეასრულებენ ნაბრძანებ მსხვერპლ-შეწირულებათ, თავისუფლებანი მიანიჭება ითვლება გაუქმებულად და განთავისუფლებულებმა უნდა ვადახადონ 30 მინა ვერცხლი“.

თუ აზატი უძეოდ გადაეგებოდა, მაშინ მისი ქონება ბატონის განკარგულებაში გადადიოდა.

აზატები, ანუ განთავისუფლებულები არა მარტო დამოკიდებულ ურთიერთობა-მდგომარეობაში რჩებოდნენ თავიანთი ძველი ბატონების მიმართ: ისინი ვალდებულებებს ასრულებდნენ სახელმწიფოს მიმართაც, რომელსაც უხდოდნენ განსაკუთრებულ გადასახადს.

აზლა გადავიდეთ ვაქრობის საკითხზე. საერთოდ საბერძნეთის ვაქრობა, ეგრძოდ კი ათენის ვაქრობა. აყვავების ხანაში მეტად დიდ ფარგლებს აღწევდა პერიკლე (ათენის დემოკრატიის ერთ-ერთი მეთაური V საუკ. 40-იან წლებში) ერთ-ერთ თავის სიტყვაში ათენის ვაქრობის საერთაშორისო ხასიათს შემდეგი სიტყვებით გვიხატავს:

„ჩვენი ქალაქის სიდიდისა და ფართობის წყალობით ჩვენთან დედამიწის ყოველი კუთხიდან, მოდის ყველაფერი, ასე რომ ჩვენ ვტკბებით და ვხარობთ ყველა სხვა ხალხის სიკეთით; ისეთივე სიმარჯვით და მოხერხებით, თითქოს ეს ყოფილიყოს ჩვენი საკუთარი მიწა-წყლის ნაყოფი“.

ფსევდო-ქსენოფონტისეული „ათენელთა პოლიტიის ანუ სახელმწიფო წყობილების“ ავტორი წერს:

„ყოველგვარმა ტბილეულობამ, რომელიც კია სიცილიასა, იტალიაში, კვიპროსზე, ეგვიპტეში, ლიდიასა, პონტოში, პელოპონესში, ან სხვაგან რომელიმე ადგილას, — ყოველივე ამან თავი მოიყარა ერთ ადგილას, ერთ პუნქტში, ზღვაზე ბატონობის მეოხებით“.

ვაქრობის უპირატეს, გაბატონებულ ფორმას საბერძნეთში წარმოადგენდა საგარეო ვაქრობა. უპირველეს ყოვლისა საქირთა გავრცეებით იმ საკითხში, თუ რა უნდა ვიგულისხმოდ საგარეო ვაქრობის ქვეშ. საბერძნეთის მიმართ ეს საკითხი ისე მარტივად როდი წყდება. საგარეო ვაქრობა შეიძლება განხილულ იქმნას ორი გავებით.

შეიძლება ავიღოთ ეგეოსის რაიონი, როგორც ეკონომიურად მთლიანობა, და ვილაპარაკოთ საბერძნეთის საგარეო ვაქრობაზე სხვა ქვეყნებთან. ჩვენ

თუ, მაგალითად, განვიხილავთ საბერძნეთის ვაქრობას ეგვიპტესთან, ეს უდაოდ საგარეო ვაქრობა იქნება საბერძნეთისთვის; მილეტის ვაქრობა ოლბაჰსთან ან ხერსონესთან ესეც საგარეო ვაქრობა იქნება საბერძნეთის მიმართ, როგორც ერთი მთლიანი ერთეულის მიმართ.

მაგრამ როგორ-ღა უნდა იქნეს განხილული ათენის ვაქრობა მილეტთან? ერთის მხრივ ეს თიფქოს შინა ვაქრობაა; მეორე მხრივ, თუ ათენსა და მილეტს ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩავთვლით, ეს იქნება საგარეო ვაქრობა. ამიტომ აუცილებლივ საჭიროა გვახსოვდეს და ანგარიში გაუუწიოთ ხოლმე საგარეო ვაქრობის ცნების ორმაგობას საბერძნეთის მიმართ.

თუ საბერძნეთის საგარეო ვაქრობას ვაგვიგებთ ამ სიტყვის ვიწრო და ზუსტი გაგებით ანუ მნიშვნელობით, ე. ი. თუ საგარეო ვაქრობის ქვეშ ვიგულისხმებთ თვითეული ცალკე ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს ვაქრობას მეორესთან, მაშინ ასეთი გაგებით ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საგარეო ვაქრობა თვალსაჩინოდ კარბობდა საშინაო ანუ შინაეაქრობას.

ხოლო თუ საბერძნეთის საგარეო ვაქრობას შევხედავთ, როგორც რომელიმე ეკონომიურად მთლიანი ერთეულის ვაქრობას, მაგალითად, თუ ათენის საზღვაო კავშირს განვიხილავთ, როგორც ერთს მთლიან სახელმწიფოს, ასეთ შემთხვევაში მოგვიხდება იმის აღიარება, რომ შინა ვაქრობა კარბობდა საგარეოს.

ათენის საზღვაო კავშირის საგარეო ვაქრობა ეგვიპტესთან, სიცილიასთან და პონტოსთან უფრო ნაკლებ იყო გაცხოველებული, ვიდრე შინა ვაქრობა ათენის საზღვაო კავშირის წევრებს შორის. რომ გაურკვეველობა, უმკაფიოობა არ იყოს, ამიტომ სიტყვები „საგარეო ვაქრობა“ ჩვენ ვაგვიგებთ ამ სიტყვის ვიწრო და ზუსტი მნიშვნელობით, ე. ი. როგორც თვითეული დამოუკიდებელი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს ვაქრობა მეორესთან და ის სახელმწიფოები, რომელნიც შედიან ათენის საზღვაო კავშირში, ჩათვალთ ეკონომიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. საგარეო ვაქრობის ასეთი გაგების დროს შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საბერძნეთში იგი უეჭველად, ყოველივე მიზეზს გარეშე, სკარბობდა შინაეაქრობას.

თუ მხედველობაში იმას მივიღებთ, რომ საბერძნეთის ყველა რამოდენიმედ მაინც განვითარებული სახელმწიფოები მდებარეობდნენ ზღვის სანაპიროებზე ან კუნძულებზე, მაშინ საბერძნეთის საგარეო ვაქრობა ნიშნავდა საზღვაო ვაქრობას; შინა ვაქრობა ნიშნავდა ხმელეთის ვაქრობას. ასეთ პირობებში სავსებით ცხადია, რომ საბერძნეთში საგარეო ვაქრობას უნდა ქქონოდა უპირატესობა და კარბობა შინა ვაქრობაზე.

საზღვაო ტრანსპორტი უფრო იაფი და მარჯვე იყო ვიდრე ხმელეთისა; ხმელეთის ტრანსპორტისთვის საბერძნეთის მთა-გორიანი სასიათი მეტად დიდ დაბრკოლებას ქქმნიდა. საბერძნეთის სანაპირო ზოლი ძალიან ინტენსიური საგარეო ურთიერთობით იყო ერთმანეთში დაკავშირებული, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავ მაინც ნაპირს გასცლებოდით, რომ დაგვენასათ მთელი თავისი სიძლიერით ნატურალურ-კარდახშული შეურნეობა.

მაგრამ ბერძნული ვაქრობის საგარეო ხასიათსა და, მაშასადამე, ძველ საბერძნეთში ფართო საშინაო ბაზრის უქონლობას მარტო გეოგრაფიული პირობები როდი გვიხსნიან და არც იმდენად გვიხსნიან. თანამედროვე საბერძნეთს ხომ აქვს ნაციონალური ბაზარი, თუმცა გეოგრაფიული პირობები თითქმის არ შეცვლილა! საქმე აქ თითონ მონათმფლობელური სისტემის ხასიათშია: ამ სისტემის დროს ხელოსნობის ჩამოცილება სოფლის მუერნეობისგან. ქალაქისა და სოფლის ერთმანეთს დაცილება ვერას დროს ვერ მიაღწევს ისეთ საფეხურს, როცა შესაძლებელი გახდება ფართო შინაგანი, ე. ი. ნაციონალური ბაზრის წარმოქმნა.

სხვა ქვეყნებიდან საბერძნეთში შეჰქონდათ უმთავრესად ნედლეული. ხოლო აქედან გამოჰქონდათ მზა პროდუქცია. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც საბერძნეთი უფრო ღარიბი იყო პურიტ და ნედლეულის მრავალ სხვა სახეობით, მაგალითად, ხე-ტყით, ტყავეულობით და სხვა ამგვარით, ვიდრე მის გარშემო მდებარე ქვეყნები. მონები, საბერძნეთის ვაქრობის მნიშვნელოვანი დარგი, საიმპორტო საგანს წარმოადგენდნენ.

ათენში შემოსაზიდ ერთ-ერთ მთავარსა და მეტად მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენდა პური (ათენის ცნობები ჩვენ უფრო ვიცით და ამასთანავე ერთად ტიპიურიცაა მთელი საბერძნეთის იმპორტისათვის).

ყოველწლიურად პირეესში როგორც ჩანს, შემოჰქონდათ დაახლოვებით 800 ათასი მედიმნი პური, დაახლ. 400 ტალანტის ღირებულებით. ეს ციფრი შეადგენდა მთელი პირეესის ბრუნვის 20⁰/₁₀₀-ს, რადგანაც ათენის ნავსადგურის წლიური ბრუნვა უდრიდა დაახლოვებით 2000 ტალანტს.

პური ატიკაში მიდიოდა უმთავრესად თრაკიიდან, პონტოდან და ეგვიპტიდან; ჩრდილოეთი თრაკია, განსაკუთრებით კი პონტოხ პირა ქვეყნები იყვნენ ატიკისათვის მთავარი დამამზადებელნი პურისა. ეს გვიხსნის ჩვენ ათენის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო სრუტეების ხელში ჩაგდებასკენ: ბრძოლა სრუტეებისთვის დაიწყო პისისტრატეს დროიდან და მან გასტანა საბერძნეთის ისტორიის მთელს მანძილზე. იგი აიხსნებოდა იმით, რომ აუცილებლივ საჭირო იყო უზრუნველყოფისთვის მეტად მნიშვნელოვანი გზები პურის ბაზრებისკენ, რადგანაც, ათენში რომ პურის შეზიდვა შეწყვეტილიყო. ეს მის მცხოვრებლებს შიმშილს უქადდა.

პირეესში შეზიდული პურის ერთი ნაწილი პირეესზე მიდიოდა ტრანზიტით. ამ მხრივ გამომუშავებული იყო გარკვეული წესები. ყოველწლიურად შესაზიდ 800 ათასი მედიმნი პურიდან დაახლოვებით ორი მესამედიმნი პირეესში დარჩენილიყო და მარტო ერთი მესამედიმნი-ლა წაღება შეიძლებოდა ტრანზიტით. ეს ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდ საჭიროებას განიცდიდა პურისას ატიკა და რა ზომებს იღებდა ათენის სახელმწიფო იმისთვის, რომ ატიკა განუწყვეტილივ უზრუნველყოფილიყო პურის მარაგით.

პურის პოლიტიკა ბერძნულ სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის წარმოადგენდა ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან პუნქტს მთელი საგარეო და საშინაო პოლიტიკისას. იყვნენ განსაკუთრებული თანამდებობის პირნი. რომელთაც

უნდა ეზრუნათ პურის განუწყვეტელ შემოზიდვაზე. დაწესებული იყო ტრანზიტის გარკვეული ნორმები და იღებდნენ მთელ რიგ სხვა ზომებს.

პურს გარდა პონტოდან ატიკაში შემოჰქონდათ ხე-ტყე. თაფლი. ცვილი. დამარილებული თევზი (ეს წარმოადგენდა საბერძნეთის ულარიბესი მოსახლეობის კვების უაღრესად მნიშვნელოვან საგანს). კუპრი. ტყავეულობა, ბეწვეულობა და სხვა საგნები.

აფრიკიდან მოდიოდა სპილოს ძვალი. ხარის ტყავები. აღმოსავლეთიდან ნაირნაირი სურნელებანი. იტალიიდან — რკინა და სპილენძი.

შემოზიდვის არა ნაკლებად მნიშვნელოვან საგანს შეადგენდნენ: რასაკვირველია, მონები. შეიძლება დაახლოვებით დავადგინოთ, რომ ატიკაში ყოველწლიურად შემოჰქონდათ 3-დან 4 ათას მონამდე. თუ თვითელი მონის საშუალო ღირებულებად 3 მინას ჩაეაგდებთ. წელიწადში შემოყვანილ მონათა საერთო ღირებულებად მაშინ მივიღებთ 130-180 ტალანტს.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებში გაზიდვას: უნდა ითქვას, რომ აქ პიოველი ადგილი უნდა დაეთმოს მიწათმოქმედების პროდუქტებს: ზეთის ჭილის ზეთსა და ყურძნის ღვინოს.

გარდა ამისა საბერძნეთის ექსპორტში დიდ როლს თამაშობს ლითონისა და ქურქლის ნაწარმოები — ნახელავი.

განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდებოდა კლასიკურ ეპოქაში ატიკის კერამიკა. ქურქკლი დიდი რაოდენობით გადიოდა, როგორც ტარა. რადვამაკ ღვინო და ზეთი გაჰქონდათ თიხის ქურქლებში.

რაც შეეხება ცალკეულ ბერძნული პოლისების ვაჭრობას — ერთმანეთში. აქ ჰაზრებოდა სამრეწველო ნაწარმოები. იმპორტისა და ექსპორტის ხასიათს განსაზღვრავდა ოლქის ერთგვარი დიფერენციაცია. ასე მაგალითად, მილეტს ბლომად გაჰქონდა მატყლის, ქსოვილები. ათენს ლითონის ნაწარმოები და კერამიკისა და სხვა.

ათენის საგარეო ვაჭრობის მთავარ შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა პირეისი. ათენის ნავსადგური, რომლის გაწყობა დაიწყო თემისტოკლემ და რომელიც მერე თვალსაჩინოდ იყო გაფართოვებული და გაუმჯობესებული. პილოპონესის ომის დროისთვის პირეისს დიდი ტერიტორია ეკირა: ეს იყო მეორე სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი. რომელიც ათენთან შეერთებული იყო ევრეთწოდებული „გრძელი კედლებით“. პირეისში იყო ორი მშენებელი ნავსადგური. ერთი სავაჭრო. მეორე სამხედრო; ნავსადგურები გამაგრებული იყო ჯეზირებით. აქ იყო დოკები ხომალდების შესაკეთებლად, სამხედრო ნავსადგურში კი სამხედრო იარაღის საწყობი. იმ დროინდელი თოფსანა. პირეისი წარმოადგენდა იმეთ ქალაქს, რომელიც აგებული იყო იმდროინდელი საამშენებლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. სწორი და ფართე ქუჩებით (მას აშენებდა ცნობილი ხუროთმოძღვარი ჰიპოდამე მილეტელი. V ს. ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვარი). ნავსადგურის გვერდით იყო დიდი ბაზარი ანუ ქვლბაქი დუქნებით და საბითუმო სწყობებით ადგილი. სადაც ხდებოდა მსხვილი სავაჭრო გარიგება-შეთანხმებანი, სადაც იღებდნენ სესხს სავაჭრო ოპერაციებ-სათვის და სხვა.

როგორი იყო საგარეო ვაქრობის საორგანიზაციო ფორმები? არსებობდა სავაჭრო ამხანაგობანი თუ ვაქრობა ხელში ეჭირათ ცალკეულ ვაქრებს? საქიროა აღინიშნოს, რომ საბერძნეთში არ ყოფილა მტკიცე, ხანგრძლივად მოარსებე სავაჭრო ამხანაგობანი. სავაჭრო ოპერაციებისათვის ეწყობოდა დროებითი ვაერთიანებანი, რომელნიც იშლებოდნენ ოპერაციების დამთავრებისათხანვე. სავაჭრო ვაერთიანების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა სესხის ვაცემა საქონლის ვირაოს ქვეშ. მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა ვარკვეული ვადით და ვარკვეული შემთხვევისთვის. მტკიცე სავაჭრო ორგანიზაციების ასეთი უქონლობა მოწმობს იმას, რომ ვაქრობა ძალიან ღრმად როდი იყო შექრილი სამეურნეო ცხოვრებაში. ვაქრების უფრო მყარ. მტკიცე ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ვაერთიანებანი სახელმწიფოებისდა მიხედვით, რაიც ძალიან ხშირად ვეხედება (მეტადრე უფრო ვეიანდელ ხანაში) მსხვილ სავაჭრო ცენტრებში (მაგალითად, კუნძულ დელოსზე). ეს ვაერთიანებანი (თავისებური სავაჭრო სათვისტომოები) ერთის მხრივ სარწმუნოებრივ ხასიათისანე იყენენ. ხოლო მეორეს მხრივ თავის ამოცანად ისახედნენ უცხოეთში ერთი „ეროვნების“ ვაქრების ურთიერთ დახმარებას. ჩვენ არავითარი საბუთი არა ვევაქეს ვთქვათ. რომ ეს სავაჭრო სათვისტომოები წარმოადგენდნენ სავაჭრო ამხანაგობებს ამ სიტყვის ვიწრო-ვავებულით. ე. ი. კაპიტლთა. თანხების ვაერთიანებას ან ამხანაგობას საშუალო საუკუნეთა დროის პანზის მნიშვნელობით. არც ერთი საკითხი. რომელსაც ჩვეულებრივად არჩევენ და სწყვეტენ სავაჭრო ამხანაგობათა პრაქტიკაში. — საქონელზე ფასების დაწესება. ბაზრის ვანაწილება. კონკურენცია, — ამ ამხანაგობათა ვარჩევის საგანი არ ყოფილა.

ახლა რამდენიმე სიტყვა შინა ვაქრობაზე. ყოველი ბერძნული ქალაქი, იგივე ათენი ან კორინთო, წარმოადგენდა ადგილობრივი შინაური ბაზრის ცენტრს. ათენის ბაზარზე ჩამოდიოდნენ მთელი ატიკის ვლეხები, ჩამოქჷონდათ შვენილეულობა. საკლავი, ჰყიდდნენ თავიანთ პროდუქტებს ქალაქის ხელოსნების ნაწარმოებზე ვადაცვლით. მაგრამ იმის თქმა კი არ შეიძლება, თითქოს აქ, საბერძნეთში, ყოფილიყოს ფართო საშინაო ბაზრები. ანალოგიური იმ ევროპულ ნაციონალურ ბაზრებისა, ფეოდალურ ურთიერთობის დაშლის დროს ან კიდევ კაპიტალიზმის ებოქაში რომ არსებობს. ზღვის პირა ქალაქის მახლობელი რაიონი მოცული იყო შინაური ვაქრობით, მაგრამ ვახვიდოდი თუ არა სმელეთის შუავულისკენ. იქ ეს სავაჭრო და ფულადი კავშირი წყლებოდა. ხოლო სადღაც ფოკიდაში თითქმის სავსებით შერჩენილი იყო ნატურალურ-კარხაკეტილი სამეურნეო ურთიერთობანი.

შინა ვაქრობის საშინაო ბაზრის სუსტი ვანეითარება და მისი წმინდა ადვილობრივი, ვიწრო ხასიათი აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით. რომელნიც ჩამარსებულია თითონ საბერძნეთის ანტიკური მეურნეობის ხასიათში.

ჩვენ უქვე არაერთხელ მოვიხსენიეთ, რომ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ვეოგრაფიულ ვარემოსთან დაკავშირებულ პირობათა ვაქრობით შესაძლებელი იყო მარტო საგარეო სახლვაო ვაქრობა. ზღვა წარმოადგენდა უფრო მარჯვე და თანაც იათ სავაჭრო ვზას. ხოლო ქვეყნის შიგნით ვხებეს უხვირო მდგომარეობა და ის, რომ მისი ზედაპირი ვადასერილი იყო მთის ქ-

დგაით და მთაგრეხილებით, შინა ვაჭრობის განვითარებას უქმნიდნენ სატრანსპორტო ტექნიკის მაშინდელი მდგომარეობის პირობებში ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს. ყოველი პოლისი ცხოვრობდა თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებით, კავშირი ცალკე ადგილობრივ ბაზრებს შორის ძალიან სუსტი იყო. სწორედ ამ მოვლენაში უნდა ვეძიოთ ქალაქ-სახელმწიფოსთვის ტიპიური სეპარატიზმის წინამძღვარები.

ოღონდ არც აქ გვმართებს გეოგრაფიული მომენტის როლის გადაჭარბებით შეფასება. ანტიკურ საბერძნეთში შინა ვაჭრობის სუსტი განვითარების ძირითადი მიზეზი საბოლოო ანგარიშით იყო შრომის არასაკმარისი განაწილება. სოფლის მეურნეობისგან ხელოსნობის არასაკმარისი განცალკევება-ჩამოკლება, რაც ტიპიურ მოვლენას წარმოადგენს მონათმფლობელური საზოგადოებისთვის. წარმოების მონური წესი შეესაბამება საწარმოო ძალთა უკიდურესად დაბალ დონეს. ამ დროს არა თუ ტექნიკური, არამედ შრომის საზოგადოებრივი დანაწილებაც კი ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად განვითარებული.

ყოველი ბერძნული ქალაქის ბაზარი მოთავსებული იყო აგორაზე, ქალაქის მოედანზე და მეტად ცოცხალ სურათს წარმოადგენდა. არისტოფანეს კომედიებში არის უარღესად საინტერესო საქანრო სურათები, რომელნიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ ბერძნულ ბაზარზე თავისი მექურქელების, სამწვანო-ლეულო, თევზეულობის და სხვა ამგვარი რიგებით. საქონელი იყიდებოდა დუქნებში. ფარდულებში ან დატარებით. აქვე ბაზარში ან მის მახლობელ უბნებში იყო სახელოსნოები; მათ ნაწარმოებს მუშტარი ჩვეულებრივად პირდაპირ და უშუალოდ ყიდულობდა.

ბერძნულ ქალაქებში იყვნენ განსაკუთრებული მოხელები (აგორანომები), რომელნიც წესრიგს ამყარებდნენ ბაზარში. თვალყურს ადევნებდნენ სისუფთავეს, პროდუქტის ღირსებას; ზომისა და წონის სისწორეს. ახდევინებდნენ გადასახადებს და სხვა.

მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას აყვავების დროინდელ საბერძნეთში სავსებით ბუნებრივად უნდა გამოეწვია ფულის დიდი მოთხოვნილება. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ V ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისში კრედიტმა (ხოლო კრედიტს საკიროებდნენ ვაჭრებიც და მრეწველებიც) საკმარის მძაღალ განვითარებას მიაღწია. საბერძნეთში კრედიტმა თავის განვითარების პროცესში მთელი რიგი ეტაპები გაიარა. დაწყებული VIII-VII საუკ. პრიმიტიულ მევახშეობიდან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მევახშეობა ატიკაში ძალიან დიდ როლს თამაშობდა წერილი მწარმოებლის დაკაბალებასა და დამორჩილებაში; მან გლეხი დაუბუკის პირამდე მიიყვანა და მარტო VII-VI საუკ. რევოლუციურმა მოძრაობამ იხსნა იგი საბოლოო გაპარტახებრისა და მონობისგან. მაგრამ ეს მევახშეობა ჯერ კიდევ როდი იყო ორგანიზებული; მევახშეებად ჩვეულებრივ იყვნენ მიწათმფლობელები, რომელნიც წერილ მწარმოებელს-გლეხს კაბალის უღელში აბამდნენ სხვადასხვა სესხების. უფრო ხშირად ნატურით მიცემული სესხის. საშუალებით

ჩვენ გვარტერსებს ორგანიზებული კრედიტი. ასეთი ორგანიზებული კრედიტი ჩვენ გვევლინება V ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისში იმ ფორმით, რომ-

მელსაც პირობითად შეიძლება საბანკო კრედიტი ვუწოდოთ. ბერძნული „ბანკები“ გაჩნდა დაახლოებით ისევე. როგორც ევროპაში გაჩნდა საშუალო საუკუნეთა დროის ბანკები, მაგალითად. იტალიური ბანკები. სიტყვა „ბანკი“ იტალიურად ნიშნავს „მერხს“. ასეთივე გზით წარმოიშვა ბერძნული სიტყვა „ტრაპეზა“; „ტრაპეზი“, რაც ნიშნავს „მაგიდას“, „ტაბლას“. „ბანკირებს“ ეძახოდნენ ტრაპეზიტებს, ხოლო „ბანკს“ — ტრაპეზს.

საბანკო საქმე საბერძნეთში ჩაისახა და გაჩნდა ზარაფების ოპერაციებიდან, რომელნიც მაგიდებს უსხდნენ ბაზარში და ფულს ასურდავებდნენ. საბერძნეთის პოლიტიკური დაქსაქსულობა-დანაწილების დროს, როცა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა და ბლომად იყო დამოუკიდებელი ფულადი სისტემა. როცა სავაჭრო ბრუნვა გაცხოველებული იყო. სავაჭრო გარიგების. პირობის დადების დროს, ნაღდი ფულით ანგარიშის გასწორებისას. მუდმივ არსებობდა საჭიროება და მოთხოვნილება ერთი ვალუტის მეორე ვალუტაზე გადახურდავებისა. ამ გადახურდავებას, გადაცვლას აწარმოებდნენ ტრაპეზიტები. აქედან გაჩნდა ბერძნული ანტიკური „ბანკების“ ფუნქციები.

იმის წყალობით, რომ ტრაპეზიტებს საქმე ჰქონდათ ფულთან, მისწმინდა ფორმით, ფულთან, როგორც საქონელთან, სავსებით ბუნებრივია, რომ ფულის ამ სასაქონლო ფუნქციამ მათ ხელში მიიღო შემდგომი განვითარება. ზარაფებს დიდი თანხები უგროვდებოდათ და იმათაც დაიწყეს სესხის გაცემა სარგებლით. ზარაფებს თავიანთი ფულები უნდა შეენახათ მაგრად ჩაკეტილი და ბუნებრივია, რომ მათ მიმართავდნენ ცალკე პირები თხოვნით მიეღოთ შესანახად მათი ფულებიც. რამდენადაც უფრო ვითარდებოდა მათი ოპერაციები. ტრაპეზიტები იმდენად უკვე იწყებენ მიმბარებელთა ფულების მოხმარებას სხვა და სხვა ოპერაციებზე. საქმეებში დაბანდებას: ასე წარმოიშვა მთელი რიგი ფუნქციები, რომელნიც ანალოგიურია კაპიტალისტური ბანკების ზოგიერთი ფუნქციისა.

რა ოპერაციებს-ღა აწარმოებდნენ ძველი ბერძნული „ბანკები“? უმთავრესად — ფულის მიღებას „მიმდინარე ანგარიშზე“ და სესხის გაცემას გირაოს ქვეშ. ნორმალური სასესხო პროცენტი პერყეობდა 12-დან 18-მდე. ეგრეთწოდებულ კომერციული პროცენტი, ე. ი. პროცენტი იმ თანხისა. იმ კაპიტალისა. რომელსაც სესხად გაცემდნენ სავაჭრო ოპერაციებისათვის. ჩვეულებრივ ძალიან დიდი იყო, ადიოდა 30 და უფრო მეტ პროცენტამდე; ეს გასაგებია. რადგან ანტიკური ვაჭრობის პირობებში, ზღვაოსნობის დაბალ ტექნიკის დროს. რისკი. პასუხისმგებლობა ძალიან დიდი იყო. სასესხო პროცენტი ანაკლები იყო ხოლმე იმ შემთხვევაში, როცა სესხს აწარმოებდა პოლისი დიდი გირაოს ქვეშ (მაგალითად, მიწის გირაოდ).

ბანკები აწარმოებდნენ აგრეთვე „ვირო-ბრუნვებსაც“: ნაღდი ფულის მოცემის მაგიერ გარკვეულ თანხას ჩამოსწერდნენ ხოლმე ერთი მეანაბრის. ფულის შემნახელის ანგარიშიდან და ჩასწერდნენ მეორე მეანაბრის ანგარიშში. თუ კი ორთვენი ერთი და იმავე „ბანკის“ მეანაბრეები იყვნენ. გადასარიცხო ოპერაციები ერთი ბანკიდან მეორეში კლასიკურ ეპოქაში განვითარებული არ ყოფილა; ეს ისევ და ისევ იმის ბრალი იყო, რომ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფო-

ფოები იზოლირებულნი. ერთი მეორისგან გათიშულ-განკერძობებლები იყვნენ: ბანკებს წესად არ ჰქონდათ თავიანთი განყოფილებანი სხვა ქალაქებში ჰქონდათ.

ტრაპეზიტებს ჰქონდათ კიდევ ერთი ფუნქცია — სანოტარო. მათთან ხდებოდა სხვადასხვა გარიგება, პირობათა შეცვრა, იწერებოდა სიმტკიცის სიგელები, მათვე აბარებდნენ შესანახად საბუთ-დოკუმენტებს.

წყაროები მრავალი ტრაპეზიტის სახელს გვისახელებენ სხვადასხვა ბერძნულ ქალაქებში, განსაკუთრებით კი ათენში. საეკლესიოშიეროა, რომ „ბანკირებად“ ჩვეულებრივად იყვნენ ან აზატები, ე. ი. განთავისუფლებული მონები. ან მეტეკები. სრულუფლებიანი მოქალაქეები საბანკო ოპერაციებს არ მისდევდნენ.

IV საუკ: ათენელ „ბანკირებს“ შორის ყველაზე უფრო მსხვილი ბანკირი იყო პასიონი. მის მოღვაწეობას ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ. ის წინათ ერთი ტრაპეზიტის მონა იყო, მიიღო თავისუფლება და როცა თითონ გააზანტებულნი შეიქმნა, დაიწყო მსხვილი საქმეების წარმოება. ძალიან ხელმძრუდი და ვაშორ-ჩენის მოყვარული იყო პასიონი და საკმაოდ დიდი ქონებაც შეიძინა. ჩვენ ვიცით, რომ პასიონს „ბანკში“ მარტო მინაბარი ჰქონდა 50 ტალანტის თანხისა. მისი საკუთარი შეძლება კი 60 ტალანტად იყო შეფასებული. ვარდა ამისა მას ჰქონდა ფარების სახელოსნო, რომელიც აგრეთვე პატარა შემოსავალს არ აძლევდა; ფულის ნაწილი მას დაბანდებული ჰქონდა უძრავ ქონებაში (მიწაში). თავის საკუთარი 60 ტალანტიდან 20 ტალანტი დაბანდებული ჰქონდა უძრავ ქონებაში, ხოლო დანარჩენი 40 ტალანტი სავაჭრო. სავაჭრო და სამრეწველო ხასითის სხვადასხვა ოპერაციებში. ამრიგად პასიონი ძალიან დიდ თანხებს ატარებდა ანტიკური სამყაროს დროის კვალობაზე.

კერძო საწარმოო-წამოწყებათა გარდა, პასიონის „ბანკისთანა“ ორგანიზაციებს გარდა, ფულადი კაპიტალის მსხვილ ცენტრებს წარმოადგენდნენ ტაძრები. აპოლონის ტაძარი კუნძულ დელოსზე. დელფოს ტაძარი და სიწმინდობად მიჩნეული სხვა ადგილები ძველითგანვე წარმოადგენდნენ მორწმუნეთა შენაწირის დასაგროვებელ პუნქტს. აქ თავმოყრილი ძვირფასეულობა უქმად და უძრავ. მკედარ კაპიტალად კი არ იღო. არამედ ატრიალებდნენ. საბრუნავად იყო გაშვებული. ტაძრები წარმოადგენდნენ საბერძნეთის მეტად მსხვილ მკვანძვებს. მაგალითად, დელფოსის ტაძარი ფართოდ ეწეოდა ფულის ვასხად გაცემას და მისი მთავარი მოვალეები იყვნენ სახელმწიფოები.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ აყვავების დროის საბერძნეთის ეკონომიკაზე და ვხატავთ ცოცხალ სურათს საქონლითა და ფულით ვაჭრობისას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოწინავე ბერძნულ სახელმწიფოთა მეურნეობა უკვე წმინდა ფულადი მეურნეობა ყოფილიყოს. რამდენადაც ფულადი ფუნქციები ძალიან იყო განვითარებული. ედუარდ მეიერი და ყველა მოდერნისტიები ცდილობენ ამ ფაქტებზე დამყარებით დაამტკიცონ, რომ ამ დროინდელი საბერძნეთის მეურნეობა წმინდა კაპიტალისტური იყო.

გავარჩიოთ საკითხი არსებითად. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ V ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისში საბერძნეთის მოწინავე ნა-

წილში ქარბიბდა ფულადი მეურნეობა. ექვს გარეშეა, რომ, მაკალიძად, ათენის მცხოვრებლები თავის მოთხოვნილება-საჭიროებათა მეტ წილს იკმაყოფილებდნენ ბაზარში ნასყიდ-შეძენილი სურსათ-სანოვაგით და ნაწარმით. მაგრამ განა ეს გვაძლევს ჩვენ საბუთს იმისას, რომ ათენის მეურნეობა ფულად მეურნეობად ჩათვალოთ? ამ შემთხვევაში გვმართებს ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე ტერმინოლოგიაში.

აი რას წერს მარქსი თავის „კაპიტალის“ მეორე ტომში ნატურალური და ფულადი მეურნეობის შესახებ: „ფულადი მეურნეობა საერთო ნიშანია ყველა სასაქონლო წარმოების... და პროდუქტი უაღრესად განსხვავებულ საზოგადოებრივ საწარმოო ორგანიზმებში გვეკლინება საქონლის სახით. მასასადამე, კაპიტალისტური წარმოების განმასხვავებელი ნიშნის წარმომადგენელი იქნებოდა ამ შემთხვევაში მარტოოდენ ის მოცულობა, რომლის მიხედვით ხდება პროდუქტის წარმოება როგორც ვაჭრობის საგნისა, როგორც საქონლისა... სინამდვილეში კაპიტალისტური წარმოება, როგორც წარმოების საერთო ფორმა, საქონლის წარმოებაა. მაგრამ იგი არის და თავის განვითარებაში უფრო და უფრო იქცევა ასეთად მხოლოდ იმიტომ, რომ თვით შრომა აქ საქონლად არის ქცეული, იმიტომ რომ მუშა ჰყიდის შრომას, ე. ი. თავისი სამუშაო ძალის ფუნქციას, და ამასთან ჰყიდის როგორც ჩვენ ვგულისხმობთ, მისი ღირებულების მიხედვით, რომელიც განისაზღვრება მისი რეპროდუქციის ხარჯებით... დამოკიდებულებაში კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის ფულადი ურთიერთობა, მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობა იქცევა იმ ურთიერთობად, რომელიც იმანენტური ურთიერთობაა თვით წარმოების. მაგრამ ეს ურთიერთობა არსებითად დამყარებულია წარმოების საზოგადოებრივ ხასიათზე და არა ალემბიცემის წესზე; უკანასკნელი, პირიქით. პირველიდან გამომდინარეობს. მაგრამ ბურჟუაზიული ჰორიზონტის სიფიწროეს, სადაც მთელი ყურადღება პრაქტიკულ ოპერაციებს აქვს მიპყრობილი, სწორედ შეეფერება ის შეხედულება, რომ არა წარმოების წესის ხასიათი შეადგენს მისი შესაბამისი საალემბიცემო წესის საფუძველს, არამედ პირიქით“. (ქართ. გამ. გვ. 86-87, 1933 წ.)

ამრიგად, როცა ჩვენ ვწყვეტთ იმ საკითხს თუ როგორი იყო ანტიკური, კერძოდ კი, ბერძნული მონათმფლობელური მეურნეობა, უნდა გამოვიდეთ არა გაცვლა-გამოცვლისგან, არამედ წარმოების წესისგან, რადგანაც გაცვლა-გამოცვლა, გამოძღინარეობს წარმოებისგან. ამ თვალსაზრისით მარქსი ზუსტად აღგენს, რომ მარტო კაპიტალისტურ მეურნეობას შეიძლება ეწოდოს სასაქონლო-ფულადი მეურნეობა და სრულიადაც არა იმიტომ, რომ იქ ვაჭრობა უფროა განვითარებული; ვიდრე ანტიკურ სამყაროში, — კაპიტალისტურ მსოფლიოს ცალკე ნაწილებში ვაჭრობა შეიძლება უფრო ნაკლებად იყოს განვითარებული; ვიდრე ანტიკური სამყაროს ცალკე ნაწილებში. მარქსი სავსებით გარკვეულად განმარტავს ფულად-სასაქონლო მეურნეობას, როგორც ისეთ მეურნეობას, სადაც სამუშაო ძალა საქონელს წარმოადგენს, სადაც სამუშაო ძალის გამყიდველსა და მსყიდველს შორის მიმართება იმანენტურად, შინაგანად თანაარსობს თითონ ამ წარმოებასთან. ასეთი და მხოლოდ ასეთი მეურნეობა არის ფულად-სასაქონლო მეურნეობა სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. წარმოების ყველა სხვა

ვორმები, სადაც სამუშაო ძალა, მუშა ხელი საქონელს არ წარმოადგენს და სადაც ექსპლოატაცია დამყარებულია გარეეკონომიურ იძულებაზე, სამუშაო ძალის ნატურალურ მითვისებაზე. ყველა ასეთი ფორმა ნატურალურია. „თვით მონების ბაზარს, — ამბობს მარქსი სხვა ადგილას, — მუდამ აწვდის მის საეკონელ-სამუშაო ძალას ომი, მეკობრეობა და სხვ. და ეს მეკობრეობა, თავის მხრივ, არ სარგებლობს მიმოქცევის პროცესით, არამედ წარმოადგენს სხვისი სამუშაო ძალის მითვისებას პირდაპირი ფიზიკური იძულების გზით“. (იქვე გვ. 428.)

ამიტომაც, კიდევაც რომ დაუშვათ, რომ ათენის მეურნეობა მთლიანად და ერთობლივ სასაქონლო მეურნეობა იყო (ხოლო ეს შეიძლება თეორიულად იქნეს დაშვებული), მაინც ამით იგი თავისი დედაარსით ისევ ნატურალური დარჩებოდა, რადგანაც დამყარებული იყო მონობაზე, წარმოების ნატურალურ წესზე, როცა მუშა ხელი, სამუშაო ძალა საქონელს არ წარმოადგენს. აი საკითხის ერთად-ერთი სწორი დაყენება, რომელიც ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს არ მოვტყუვდეთ გაცელა-გამოცელის წმინდა გარეგნული ნიშნებს გამოცნობით.

რასაკვირველია, ჩვენ რომ მთლიანად ანტიკური მეურნეობა ავიღოთ. თუ ავიღებთ მთელ საბერძნეთს ან ხმელთაშუა ზღვის მთელ რაიონს. მაშინ ექვს გარეშეა, რომ მონათმფლობელურ მეურნეობაში გაბატონებულია წარმოება საკუთარი საჭიროება-მოთხოვნილებისათვის, ე. ი. მეურნეობის კარჩაკეტილი ხასიათი; მაგრამ მარტო ამ ერთი კრიტერიუმით მიდგომა არ შეიძლება, ვინაიდან მეთოდოლოგიურად სწორი არაა და ცალკე შემთხვევებში შეიძლება მიგვიყვანოს უმართებულად დასკვნამდე, როგორც ეს დაემართა ედ. მეიერს. კარლ ბიუხერს და სხვა ბურჟუაზიულ მეცნიერებს.

IX. პერიკლე და ათენის დემოკრატია

№ ს. 70-იან წლებში ათენში ხდებდა მემარჯვენე, აგრარული ჯგუფების აქტივიზაცია. ეს აქტივიზაცია დაკავშირებული იყო ათენის მთელი საგარეო პოლიტიკის თავდაცვისაკენ, სახმელეთო ომისკენ წარმართვასთან. ირანელების შემოსევის წყალობით აკლებულ-გალატაკებული ატიკის მიწათმფლობელები არაჩვეულებრივ აქტიურები გახდნენ იმ ბრძოლაში, რომელიც აღიძრა თემისტოკლესა და პირველებს შორის შემდგომ მოქმედებათა პროგრამის გარშემო. ჩვენ ვიცით, რომ 480 წ. წინათ გაიმარჯვა თემისტოკლემ, მისმხ გამარჯვებამ საბერძნეთს საშუალება მისცა სალამინთან ბრძოლა მოეგო. მაგრამ სალამინის შემდეგ თემისტოკლეს პროგრამა ხელათვე უკუუღებულ იქმნა და თითონ თემისტოკლეს მერე ექსორიაში მიღის, რადგან 480 წ. შემდეგ იზრდება გალატაკებული და დაზარალებული მიწათმფლობელური ჯგუფების პოლიტიკური აქტივობა: იმათ გაგონებითაც კი არ უნდათ გაიგონონ საზღვარ პროგრამისა რამე. სურთ თავდაცვა გადაიტანონ ხმელეთზე, უნდათ აღადგინონ სოფლის მეურნეობა და ამიტომ მხარს აძლევენ. თემისტოკლეს მოწინააღმდეგეებს — არისტიდეს და ქსანთიპეს.

ამ კლასობრივი ბრძოლის შედეგად თემისტოკლე ექსორიაში იყო განდევნილი დაახლ. 471 წ. ოსტრაკისმის საშუალებით და ისიც გაემგზავრა ირანის მეფესთან. რომელმაც იგი არაჩვეულებრივი სიამტკბილობით მიიღო და მისცა მას მართვა-გამგებლობისათვის სამი ქალაქი მცირე აზიაში. თემისტოკლე იქვე გარდაიცვალა კიდევ.

თემისტოკლეს განდევნის დროიდან მოკიდებული ვიდრე 60-იანი წლების შუა ხანამდე ათენში გაბატონებული არიან მემარჯვენეები, რომელთაც სათავეში უდგათ მილტიადეს შვილი კიმონი, მეტად გამოჩენილი და დიდი ფიგურა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მემარჯვენე ელემენტები იძულებულნი იყვნენ თავიანთ პროგრამაში გაეტარებინათ თემისტოკლეს პროგრამა: ომი გადატანილ იქმნა ზღვაზე და ბერძენ-ირანელთა ომიანობის მეორე ნახევარი მთლად მიმდინარეობს აზიის ნაპირებთან.

მემარჯვენეთა ბატონობა იწვევს არეოპაგის გაძლიერებას, რომლის მნიშვნელობა III საუკ.-ში შემცირდა ოთხასის საბჭოს დაარსებასთან და კლისთენეს დროს მის ნაცვლად ხუთასის საბჭოს დაწესებასთან დაკავშირებით.

და აი № ს. 70-იან წლებში არეოპაგი კვლავ ძლიერდება და ათენში იწყებს პირველი როლის თამაშს. მემარჯვენეთა ბატონობა ეწინააღმდეგებოდა

ათენის დემოკრატიის ზრდას, რასაც გარდუეულად იწვევდა ბერძენ-ირანელთა ომების განვითარება. ათენის საზღვაო კავშირის წარმოქმნა, მის შემადგენლობაში აღმოსავლეთის ახალი დემოკრატიული თემების ჩარიცხვა, ვაქრობის ზრდა, რაიც ხდებოდა ამ კავშირის ზრდასთან პარალელურად და ეგეოსის ზღვის რაიონიდან ირანელების განდევნასთან ერთად, ფლოტის განვითარება თავისი დემოკრატიულად განწყობილი პერსონალით („ხომალდისეული ბრბო“) — ყოველივე ეს ძალიან უწყობდა ხელს დემოკრატიის ხვედრითი წონის გაზრდა-გაძლიერებას. ასეთ პირობებში მემარჯვენე ჯგუფების ბატონობა პოლიტიკურ ცხოვრებაში აშკარა წინააღმდეგობას წარმოადგენდა. აფეთქება ძალიან მალე უნდა მომხდარიყო და აკი მოხდა კიდევ. საჭირო იყო მარტო საბაბი

ასეთი საბაბი შეიქმნა ერთი მარცხიანი ღონისძიება, რომელიც ჩაატარა კომონმა. ათენის სახელმწიფოს ფაქტიურმა მეთაურმა, კომონისა და მემარჯვენეების პოლიტიკური სიმპათიები საერთოდ სპარტის მხარეზე იყო, რომელთანაც მათ მეგობრული ურთიერთობა-განწყობილება ჰქონდათ და რომელიც მათ მიაჩნდათ სახელმწიფოებრივი წესწყობილების ნიმუშად და მაგალითად წინააღმდეგ მოუსვენარი დემოკრატიული ათენისა, სწორედ ამ ხანებში პელოპონესში გაძლიერდა დემოკრატიული მოძრაობა. და 464 წელს, დიდი მიწისძვრის შემდეგ, იფეთქა ილოტების აჯანყებამ. რომელიც სპარტის არსებობის განმაყვობაში ერთ-ერთი მეტად დიდი აჯანყება იყო. მართალია, ილოტები მოიგერიეს და სპარტიდან უკან დაახევინეს, მაგრამ ერთბაშად აჯანყების ჩაქრობა კი ვეღარ შესძლეს; აჯანყებულები ჩასაფრდნენ მესენიაში ითომის მთაზე და ყოველივე ცდა სპარტელებისა იერიშით აეღოთ იგი მარცხით დამთავრდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ სპარტის მთავრობამ ათენში თავისი დესპანებიც კი გაგზავნა და დახმარება სთხოვა. ათენის სახალხო კრებაზე, სადაც ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ძალიან ცხარე კამათი და დავა შეიქმნა. კრების დემოკრატიული ნაწილი სასტიკი წინააღმდეგი იყო სპარტასთვის რაიმე დახმარების აღმოჩენისა და წინააღმდეგაც ლაპარაკობდა. მაგრამ კომონმა, თავისი ავტორიტეტზე დანდობილმა, თავისი გაიტანა და შეიარაღებული რაზმი გააგზავნინა. მაგრამ როცა ათენელები სპარტაში ჩავიდნენ, საქმის ვითარება სპარტელების სასარგებლოდ შეიცვალა, მდგომარეობა გაუუმჯობესდა. და მათაც არა მარტო ძალიან ცივად მიიღეს ათენელები, არამედ ეკვიც კი შეიტანეს იმაში, რომ მათ, კავშირი ჰქონდათ აჯანყებულ ილოტებთან და შეეცადნენ რაც შეიძლება მალე უკანვე გაებრუნებინათ ათენელების რაზმი. როცა სახალხო კრებამ გაიგო საქმის მთელი ვითარება და ყველა გარემოება, იქ ხელათვე უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ იფეთქა და კომონსაც სამსახურისთვის თავი უნდა გაენებებინა, ხოლო შემდეგ იძულებული შეიქნა ექსორიად წასულიყო.

მემარჯვენეების ადგილს იკერს დემოკრატიული პარტია ეფიალტეს მეთაურობით. 462-461 წლებში მან ჩაატარა რეფორმები. რომელთა მიზანი იყო მემარჯვენეთა ბატონობის დამხობა და ათენის წესწყობილების საბოლოო დემოკრატიზაციის მოხდენა.

ეფიალტემ მთავარი მახვილი იმ არეოპაგის წინააღმდეგ აღმართა, რომელიც ამ დროის განმავლობაში მემარჯვენეთა დასაყრდენად გადაიქცა და ქვეყნის მართვა-გამგებლობაში დიდ როლს თამაშობდა. იმ მიზნით, რომ ძირს დაეცა არეოპაგის ავტორიტეტი, ეფიალტემ მთელი რიგი პროცესები დაიწყო მსწერების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალი ედებოდათ მეჭრთამეობასა და სხვ. ბოროტმოქმედებაში. ამ პროცესების მეოხებით მოხერხდა არეოპაგის მრავალწევრისთვის სახელის გატეხა, მისი ავტორიტეტის 'შერყევა' და უბრალო სისხლის სამართლის საქმეთა გამარჩევ სასამართლოს მდგრადობამდე მისი ჩამოყვეითება; მას მინდობილი ჰქონდა ცეცხლის წაკიდების საქმეები და განზრახ ზედენილ მკვლელობათა საქმეები და ასეთივედ დარჩა ეს არეოპაგი მთელი შედგომი დროის განმავლობაში.

არეოპაგის დასუსტებას შედეგად მოჰყვა ხუთასის საბუკოს და ნაფიცთა სასამართლოს გაძლიერება.

მაგრამ მდგრადობა ძალიან რთული იყო. ათენში გრძელდება გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა. 461 წ. კიმონი განდევნილ იქმნა ექსორიაში ოსტრაქისმის საშუალებით და დაპყრო ექსორიაში ოთხი წელიწადი.

ამ დროს დემოკრატიული პარტიის მეთაური ეფიალტე ზურგს უკან მიპარვით მოკლულ იქმნა, ცხადია, მემარჯვენეების ხელით.

457 წ. კიმონი ექსორიიდან ბრუნდება და კვლავ მონაწილეობას იღებს პარტიულ ბრძოლაში. ეფიალტეს სიკვდილის შემდეგ დემოკრატიული პარტიის მეთაურად ხდება პერიკლე.

449 წ. კიმონი გარდაიცვალა; ხოლო 443 წ. ოსტრაქისმით განდევნილ იქმნა პერიკლეს მთავარი მოწინააღმდეგე; მემარჯვენეთა მეთაური თუკიდოს მელესის შვილი; (იგი არ შეიძლება ავრიოთ ცნობილ ისტორიკოსთან).

445 წლიდან მოკიდებული, პერიკლე ხდება ათენის დემოკრატიის უცვლელი მეთაური და ასეთივე რჩება თხუთმეტი წლის განმავლობაში. 430 წლამდე, აი ეს თხუთმეტი წელიწადი (445-430 წლები) იწოდება პერიკლეს ხანად, ათენის უმაღლესი აყვავება-გაფურჩქვნის ეპოქად.

პერიკლე დედიტ ეკუთვნოდა ალკმეონიდების გვარს; მისი მამა იყო ქსანთიპე. ეფიალტეს სიკვდილის შემდეგ პერიკლე განაგრძობდა მის რეფორმებს. როგორც თანამიმდევრობით ტარდებოდა ცხოვრებაში პერიკლეს რეფორმებზე, ჩვენ არ ვიცით. არ შეგვიძლიან აგრეთვე სავესებით ზუსტად ვთქვათ. რომელი რეფორმა იყო ეფიალტეს სიცოცხლეშივე გატარებული და რომელი მისი სიკვდილის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ამ ეპოქაში კი ხდება საარჩევნო უფლებების შემდგომი განვითარება. სოლონის რეფორმის თანახმად; არქონტებს ირჩევდნენ მარტო პირველი ორი შეძლებული კლასიდან. ახლა პასიური საარჩევნო უფლება მოიპოვა მესამე ქონებრივმა კლასმაც; ე. ი. ატიკის საშუალო ელემენტებს ძირითადად ჯგუფმა; ხოლო შემდეგში ხდება მისი ფაქტიური გავრცელება მეოთხე კლასზედაც; ე. ი. ლარიბ. მოსახლეობაზე.

ამრიგად ქონებრივმა ცენზმა დაპყარვა თავისი მნიშვნელობა და ყველა მოქალაქეს მიენიჭა უფლება სხვის არჩევისა და აგრეთვე იმისიც, რომ თვითონაც არჩეული ყოფილიყო ყველა თანამდებობაზე.

პერიკლე აფართოვებს არჩევნების დროს კენჭის ამოდების, წილის ყრ-ს პრაქტიკას. გამონაკლისი დაშვებულ იქმნა მარტო უმაღლეს სამხედრო და საფინანსო თანამდებობათათვის. ამ თანამდებობებზე ირჩევდნენ პირადი კანდიდატურის წამოყენება-დასახელებით და არა წილის ყრით.

შემდეგ პერიკლეს ცხოვრებაში გაპყავს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც მდიდარი იყო თავისი შედეგებით: ის აწესებს ფულად გასამრჯელოს სახელმწიფო თანამდებობათა შესრულებისათვის. წესდება გასამრჯელო ნაფიც მსაჯულებისთვის დღეში ორი ობოლის რაოდენობით, ხუთასის საბჭოს წევრებისათვის — ხუთი ობოლი, არქონტებისთვის — ოთხი ობოლი და სხვა.

ეს გასამრჯელო შემდეგ ხანებში ეძლევათ სახალხო კრებაში მონაწილეობის მიღებისთვისაც. IV ს. დასაწყისში სახალხო კრებებზე დასწრებისათვის დაეწესდება გასამრჯელო ერთი ობოლის რაოდენობით.

მართალია, ეს ჯამაგირი უმნიშვნელო-იყო, მაგრამ ათენის ცხოვრების იაფ პირობებში, იმ დროს, ფულის მაღალი მსყიდველობითი უნარიანობის პირობებში, იგი საკმარისი იყო ერთი ადამიანისთვის. ამ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, რადგანაც იგი ღარიბ მოსახლეობასაც კი შესაძლებლობას აძლევდა მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო თანამდებობათა ასრულებაში.

სახელმწიფო თანამდებობათა შესრულებისათვის გასამრჯელოს დაწესება გამოხატულება იყო პოლისის, ანტიკური სახელმწიფოს, სპეციფიკური ბუნებისა; აქ, პოლისში, თვითეული მოქალაქე ასე თუ ისე მონაწილე იყო სახელმწიფოს არა მარტო მართვა-გამგეობაში, არამედ შის შემოსავალთა განაწილებაშიაც. როცა არისტოტელეს თხზულებაში ვკითხულობთ, რომ 20 ათასი კაცი თავს ირჩენდა და ლუკმა პურს შოულობდა. სახელმწიფო თანამდებობათა ირგვლივ, ამ ციფრს ვაოცებაში მოყვებართ: 20 ათასი კაცი ეს თითქმის ნახევარია ათენის მთელი თავისუფალი მამრობითი სქესის მოსახლეობისა!

ამასთან დაკავშირებულია მეორე ზომაც. რომელიც პირველად შემოიღო პერიკლემ: ესაა თეორიკონის (ეს სიტყვა იმავე ძირისაა, რომლისაც არის „თეატრი“), ე. ი. „სასანახაობო ფულის“ მიცემის დაწესება; ეს ფული ეძლეოდა ატიკის უღარიბეს მოსახლეობას თეატრში შესასვლელი ბილეთების შესაძენად. „სანახაობის ფული“ გამოხატულება იყო ანტიკური პოლისის, როგორც თავისუფალთა კოლექტივის, იმავე ბუნებისა.

თეორიკონის მიცემის დაწესებამ პერიკლეს მიერ და სახელმწიფო სამსახურის ასრულებისათვის გასამრჯელოს დანიშვნამ დასაბამი მისცა ფულად გაცემათა სისტემას, სახელმწიფოს მიერ ათენის ღარიბი მოსახლეობის გამოკვების სისტემას. ეს სისტემა შემდეგში ფართოდ განვითარდა და ათენის დემოკრატიისთვის მას საბედისწერო შედეგები ჰქონდა. მაგრამ უფრო დაწერილებით ამაზე ქვემოთ მოვილაპარაკებთ, პოლისის სოციალური ბუნების საკითხთან და მისი დაშლის მიზეზებთან დაკავშირებით.

ეფიალტე-პერიკლეს რეფორმებმა მოამთავრეს ათენის დემოკრატიზაციის პროცესი და შექმნეს ათენის იმ კონსტიტუციის საფუძვლები, რომელიც უაღ-

რესად ნათელ მაგალითს წარმოადგენს მონათმფლობელური დემოკრატიული პოლისის კონსტიტუციისას.

ერთი შეხედვით ათენის სახელმწიფოებრივი წესწყობილება ადამიანს ეჩვენება ნამდვილი დემოკრატიის ნიმუშად. იგი განირჩევა შემდეგი უფრო დამახასიათებელი ნიშნებით: 1) სახალხო კრების უდიდესი როლი; იგი, როგორც ათენის რესპუბლიკის უზენაესი ორგანო, სწყვეტდა ათენის შინაგან და საგარეო ცხოვრების ყველა უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს და იყო გამომხატველი ხალხის უზენაესი, სუვერენული და არაფრით არ შეზღუდულის ნებასურვილისა. 2) არჩევნების დროს ქონებრივი ცენზის ფაქტიური არყოფნა, როცა უკანასკნელ ლატაკს უფლება ჰქონდა მსხვილ მდიდართან ერთად აერჩია და თავადაც ყოფილიყო არჩეული ყოველგვარ სახელმწიფო თანამდებობაზე. 3) თანამდებობაზე არჩევა კენქის რგებით. როგორც უაღრესად დემოკრატიული წესი. როცა ყველა მოქალაქე თანაბრად ითვლება ამათუიმ თანამდებობის შესრულებისათვის ვარგისად. 4) სახელმწიფო მოვალეობათა შესრულებისათვის გასამრჯელო.

მაგრამ განვიხილოთ საკითხი არსებითად და უპირველეს ყოვლისა ერთხელ კიდევ შევჩერდეთ ატიკის მოსახლეობის შემადგენლობაზე.

ბელოხის მიხედვით, ატიკის მოსახლეობა იმ დროს შეადგენდა 235 ათას კაცს. ამათში 105 ათასი იყო მოქალაქე. 100 ათასი — მონა და 30 ათასი მეტეკი. მაშასადამე. 235 ათასიდან მარტო 105 ათასი იყო სრულუფლებიანი მოქალაქე. ხოლო ატიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი დემოკრატიის გარეშე ოჩებოდა.

შემდეგ. 105 ათასი მოქალაქის რიცხვს უნდა გამოაკლდეს დაახლოვებით 50 ათასი ქალი, რადგანაც ათენის კონსტიტუციის მიხედვით ისინი საარჩევნო უფლებით არ სარგებლობდნენ. ამიტომ ამომრჩეველს სულ რჩებოდა დაახლოვებით 50-55 ათასი.

ამასაც უნდა გამოეკლოთ 10-15 ათასი არასრულწლოვანი. მაშინ 235 ათასიდან რჩება დაახლოვებით 40 ათასი სრულუფლებიანი მოქალაქე. იქნებ ეს ციფრები აბსოლუტურად სწორი არ იყოს. მაგრამ პროცენტული შეფარდება კი დაახლოვებით ასეთია.

ამრიგად. ათენისა და საერთოდ ანტიკურ დემოკრატიაში იყო ფორმალური თანასწორობა პოლიტიკურ უფლებებში. ოღონდ მარტო თავისუფალთა ვანსახლერული ჯგუფის ფარგლებში. მშრომელთა ძირითადი მასა-მონები — მოკლებული იყვნენ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სამოქალაქო უფლებებშიც. ეს არ შეიძლება დავივიწყოთ, როცა ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ნაწილებში ეკითხულობთ ანტიკური დემოკრატიის ქება-დიდებას. ესაა დემოკრატია sui generis (განსაკუთრებული ტიპისა), რომელიც არ შეიძლება არეულ იქნეს დემოკრატიის არც ერთ სხვა ფორმასთან. ამიტომაც აქ არ შეიძლება არაერთი პარალელების გატარება და ყოველგვარი მოდერნიზაცია ამ საკითხში აბსოლუტურად დაუშვებელია.

როგორ და რა გზით ახერხებდა ათენის დემოკრატია თავისი კარჩავეტილობის, თავიცი განკერძოების შენარჩუნებას; ამას გვიჩვენებს ჩვენ ერთი სა-

გულისხმობს ფაქტი. 450 წ. პერიოდში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ თამაშობდა ათენის სახელმწიფოს მთავარი ხელმძღვანელის როლს, გაიყვანა ცხოვრებაში კანონი, რომლის მიხედვით მოქალაქეებად მარტო იმათ თვლიდნენ, ვისაც ორივე მშობელი — დედაც და მამაც — ათენელი მოქალაქეები ჰყავდათ, ხოლო ყველა ის, ვისაც კი მარტო ერთ-ერთი მშობელი ჰყავდა ათენელი მოქალაქე ამ უფლებებს მოკლებული იყო. 450 წ. კანონის ძალით დაახლოებით 5000 კაცმა დაჰკარგა სამოქალაქო უფლებები და ისინი გაძევებულ იქმნენ ათენიდან.

ეს კანონი მეტად საინტერესო მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ და რა გზით იცავდა ანტიკური მოქალაქეობა თავის პრივილეგიებს, უპირატესობათ, როცა იგი ცდილობდა შეეზღუდა იმ პირთა წრე და რიცხვი, ვინც ამ პრივილეგიებით სარგებლობდა.

გადავიდეთ ათენის დემოკრატიის ელემენტების უფრო დაწვრილებით ანალიზზე.

უმაღლესი ორგანო, ხალხის ნება-სურვილს რომ გამოხატავდა, იყო სახალხო კრება ანუ ყრილობა (ეკლესია); ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა ყველა სრულწლოვანობას მიღწეული მოქალაქე მამრობითი სქესისა. სახალხო კრებას ათენში ჩვეულებრივ იწვევდნენ ყოველ 9-10 დღის გამოშვებით (მორიგი ანუ ჩვეულებრივი კრება იყო ეს), მაგრამ შეიძლებოდა მოწვეულიყო არა ჩვეულებრივი ანუ ექსტრაორდინარული კრებებიც.

სახალხო კრებაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ათენის მცხოვრებლები, არამედ ატიკის ყველა სრულუფლებიანი მცხოვრებნიც. სახალხო კრების დღიური წესრიგი ქვეყნდებოდა ხუთი დღით ადრე სხდომამდე. აქ თავმჯდომარეობდნენ ხუთასის საბჭოს მორიგე წევრები.

ათენის სახალხო კრებაში ნორმალურ პირობებში არსებობდა სიტყვის სრული თავისუფლება. ყოველ მოქალაქეს ნება ჰქონდა ის ელაპარაკა, რაც სურდა; მარტო შეურაცხყოფი სიტყვების ხმარებისათვის ან უწესო, ურიგო ექსტრემისათვის ადებდნენ ჯარიმას და კრებიდან აძევებდნენ.

ხმის მიცემის წესი სხვადასხვა გვარი იყო: ხელის აწევით (ხეიროტონია) და საარჩევნო ბარათებით (თიხის ნატეხებით).

კრება იხილავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს: მოქალაქეების მიღებას და გამორიცხვას. ომისა და ზავის საკითხებს, ახალ ახალშენების მოწყობის, ბიუჯეტის საკითხს. სათანამდებო პირობა არჩევნის საკითხს. ათენის სახალხო კრება იყო უმაღლესი სამოსამართლო დაწესებულებაც, რადგანაც სახელმწიფო ღალატის საქმეებს (ეისანგელია) იგივე წყვეტდა. ათენის სახალხო კრებას ეკუთვნოდა ნამდვილი სრულყოფილი ხელისუფლება და იგი წარმოადგენს ბრწყინვალე მაგალითს ევრეთწოდებულ „ხალხის პირდაპირ მმართველობისას“. ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა საპარლამენტო სისტემასთან, როცა საქმეებს ხალხის წარმომადგენლები განაგებენ; აქ თითონ ხალხი უშუალოდ განაგებდა და მართავდა სახელმწიფოს. ათენის პოლისის ფარგლები იმდენად პატარა იყო, რომ არავითარ ტექნიკურ დაბრკოლებას

არ წარმოადგენდა ათენის მოედანზე თავი მოეყარა ატიკის მთელს თავისუფალ მოსახლეობას.

მაგრამ მეორეს მხრივ ხალხის ეს პირდაპირი მმართველობა პრაქტიკაში შებოქილი იყო მთელი რიგი პოლიტიკური დაბრკოლებებით, რაიც თვალსაჩინოდ ანელებდა და ამცირებდა ხალხის ასეთი ნება-სურვილის პირდაპირი, უშუალო გამოვლენის მნიშვნელობას

რა წარმოადგენდა ამ პოლიტიკურ მუხრუჭებს? ეს მუხრუჭები ძალიან ოსტატურად იყო გამომუშავებული. კანონს (ნომოსს) ან დადგენილებას (ფსეფისმას) უნდა გაეარნა დიდი, გრძელი გზა ხუთასის საბჭოზე, სახალხო კრებაზე და ნაფიცთა სასამართლოში. როგორცა ჩანს, კანონის ან დადგენილების პროექტს წინასწარ იხილავდნენ ხუთასის საბჭოში. ათენის სახალხო კრების ყოველ მოქალაქეს შეეძლო როგორც უნდოდა ისეთი წინადადება შეეტანა ან კიდევ როგორც მოესურვებოდა ისეთი კანონის პროექტი შეემუშაებინა. ხანდახან წინასწარ ირჩევდნენ კომისიას, რომელიც დაამუშავებდა შეტანილ წინადადებას. ამის შემდეგ კანონპროექტს იხილავდნენ ხუთასის საბჭოში (ბულეში), საიდანაც საბჭოს დასკვნითურთ იგი მიდიოდა სახალხო კრებაში განხილვისა და განბჭობისათვის. მაგრამ სახალხო კრებასაც რომ მიეღო კიდევ, კანონპროექტი ჯერ კიდევ კანონის ძალას არ იღებდა. იგი გადადიოდა ნაფიცთა სასამართლო კომისიაში. იქ მისი განხილვა წარმოებდა სასამართლოს პროცესის სახით: განსაკუთრებული პირნი, რომელთაც გამოჰყოფდა სახალხო კრება, „ბრალს სდებდნენ“ ახალ კანონს. ავტორი კი მას იცავდა. და მარტო მაშინ, როცა ნაფიცთა სასამართლოს კომისიაშიც მიღებული იქნებოდა კანონპროექტი, იგი ვახდებოდა ხოლმე ნამდვილ კანონად.

მიუხედავად ამისა, წლის განმავლობაში შეიძლებოდა ათენის სახალხო კრების ყოველ დადგენილებაზე საჩივრის, ეგრეთწოდებული „უკანონობაზე საჩივრის“ („გრაფე პარანომონ“) შეტანა. ყოველ მოქალაქეს, ვინც კი თვლიდა, რომ მიღებული კანონი ან დადგენილება ეწინააღმდეგებოდა არსებულ კანონებს, შეეძლო ასეთი საჩივრის შეტანა. მას არჩევდნენ ნაფიცთა სასამართლოში და, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მიღებული კანონი მართლაც ეწინააღმდეგებოდა ათენის კონსტიტუციის საფუძვლებს, კანონის ინიციატორს სასტიკად სჯიდნენ: მას ან დიდ ჯარიმას დაადებდნენ ან სიკვდილითაც კი დასჯიდნენ ხოლმე. მაგრამ მეორეს მხრივ, თუ უკანონობაზე საჩივრის შემტანი ვერ შეაგროვებდა თავის დასარკებლოდ ნაფიცთა ხმების მეხუთედს, მაშინ მის საჩივარს დაუსაბუთებელ საჩივრად ცნობდნენ და იგიც თავის მხრივ ჯარიმდებოდა ძალიან დიდი თანხით.

„გრაფე პარანომონ“ იდეით წარმოადგენდა ერთგვარ გარანტიას იმისა, რომ ხალხს არ მიეღო „მოუფიქრებელი“, „აჩქარებული“ გადაწყვეტილებანი; პრაქტიკულად ეს იყო საშუალება და ხერხი არსებული კონსტიტუციის დაცვისა, ეს იყო საშუალება ბრძოლისა მისი შეცვლის ცდათა წინააღმდეგ, ვისგანაც და საიდანაც არ ყოფილიყო ეს ცდები: უკიდურეს შემარცხენეებისა თუ უკიდურეს შემარჯვენეების მხრივ. მაგრამ ყოველი ახალი კანონი რამოდენიმე დღე მანც ხომ ეწინააღმდეგებოდა ძველ კანონებს, აუქმებდა ამ ძველ კანონებს და,

თუ სურვილი იქნებოდა, შეიძლებოდა ხომ ყოველ ახლად მიღებულ კანონზე შეეტანათ „უკანონობაზე საჩივარი“. ამ სიძნელეს შემდეგი ხერხით უქცევდნენ გზას: ახალი კანონის ავტორს უნდა ზუსტად და დაწვრილებით ჩამოესახელებინა, თუ ძველი კანონების რაღაცა მუხლები უქმდებოდა ახალი კანონით.

ამრიგად; ხალხის ნება-სურვილის თეორიაში უშუალო გამოვლენას, ხალხის ნების პირდაპირ გამოცხადებას აპროკოლებდა ამ კანონთა გატარების მრავალსაფეხურიანობა. ექვს გარეშეა, ამ დაბრკოლებათა დაწესება ნაკარნახევი იყო ანტიკური დემოკრატიის მმართველი შეძლებული ჯგუფის ინტერესებით, რადგანაც ამ გზით, ამ ხერხით მას ყოველთვის შეეძლო შეეფერხებინა მისთვის არახელსაყრელი კანონის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ხუთასის საბჭო და ნაფიცთა სასამართლო წარმოადგენდნენ დემოკრატიის ორგანოებს, მაინც თითონ ინსტანციების მრავალსაფეხურიანობა შესაძლებლობას იძლეოდა ადვილად შეეჩერებინათ ისეთი კანონი, რომელიც მმართველი ზედაფენისთვის სასურველი არ იყო.

ჩვენ უკვე მივაქციეთ ყურადღება იმ სპეციფიკურ როლს, რომელსაც ასრულებდა ნაფიცთა სასამართლო (ჰელიეა) ათენის კონსტიტუციის სისტემაში. ეს სპეციფიურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ნაფიცთა სასამართლოს ანუ ჰელიეას თავის პირდაპირ მოვალეობათა გარდა ჰქონდა კიდევ კანონმდებლობითი ფუნქციებიც. ნაფიცთა სასამართლო ათენში ძალიან მნიშვნელოვანი დაწესებულება იყო, რომელიც შესდგებოდა ექვსი ათასი კაცისგან. ყოველ წელიწადს კენჭის ამოღებით ნაფიცებად ირჩევდნენ ექვსი ათას კაცს, ამათში ხუთი ათასი იყო ნამდვილი წევრი, ათასი კი სამარქაფო. ნაფიცთა სასამართლოში ირჩევდნენ ოცდაათი წლისა და მეტი ხნის ხალხს. სასამართლო ნაწილდებოდა 10 პალატად ანუ კომისიად (დიკასტერიად). წინდაწინვე არაფინარ იცოდა, თუ რომელ კომისიაში რომელი საქმე იქნებოდა გარჩეული; ამას წყვეტდნენ სასამართლოში საქმის გარჩევის დღეს კენჭის ყრით, რომ ამით თავიდან აეცილებინათ ნაფიცთა მოქრთამვის შესაძლებლობა.

სახალხო კრებასთან ერთად ათენში არსებობდა კიდევ ჩვენთვის უკვე ნაცნობი ხუთასის საბჭო ანუ „ბულე“. მას ირჩევდნენ ფილევების მიხედვით, თვითნებური ფილედან ორმოცდაათ-ორმოცდაათ კაცს. არჩევნები ორსაფეხურიანი იყო: ჯერ ფილევებში, კენჭის ამოღებით, ირჩევდნენ კანდიდატებს, მერე კი ამ კანდიდატებიდან, ისევ კენჭის ამოღებით, ირჩევდნენ უკვე საბჭოს წევრებს.

ხუთასის საბჭოს ფუნქციები ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ძირითადად გამოიხატებოდა კანონმდებლობითი და ადმინისტრაციული მოღვაწეობა-საქმიანობის კონტროლში. იგი წინასწარ იხილავდა კანონპროექტებს და თავის დასკვნებთან ერთად გზავნიდა მათ სახალხო კრებაში. ხუთასის საბჭო ვალდებული იყო მეთვალყურეობა ჰქონოდა მიღებულ კანონთა შესრულებაზე და სათანამდებო პირთა საქმიანობაზედაც თვალის სქეროდა; მას უფლება ჰქონდა მათთვის ანგარიში მოეკითხნა და ბოროტმოქმედებათა ჩადენისთვის სასამართლოს პასუხისმგებლობა მიეცა ისინი. სათანამდებო პირთა კონტროლის მხრივ საბჭოს ფართო უფლებანი ჰქონდა მინიჭებული, მას შეეძლო თანამდებობითი დანა-

შაულისათვის სიკვდილით დასჯაც კი მიესაჯა. ხუთასის საბჭო იყოფოდა ათ ნაწილად თვითეულში 50-50 კაცი იყო, და საბჭოს ყოველი ასეთი ნაწილი (პრიტანეა) წლის ერთი მეთედი დროის განმავლობაში აწარმოებდა ყველა მიმდინარე საქმეებს. ამ მორიგე პრიტანეიდან ირჩეოდა მისი პრეზიდენტი, რომელიც იმავე დროს იყო აგრეთვე სახალხო კრების პრეზიდენტიც. იგი შესდგებოდა ცხრა კაცისგან, რომელთაც კენქის ამოღებით ირჩევდნენ. ამ ცხრა კაციდან ერთი, რომელსაც ეპისტატე ეწოდებოდა, იყო ათენის რესპუბლიკის პრეზიდენტივით: იგი თავმჯდომარეობდა საბჭოში და სახალხო კრებაში, მის ხელთ იყო სახელმწიფო ბეჭედი და გასაღებები აკროპოლისის ტაძრებისა, სადაც ინახებოდა ათენის რესპუბლიკის ხაზინა.

ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგოსების კოლეგიას; იგი დააარსა კლისთენემ და შესდგებოდა ათი კაცისაგან. სტრატეგოსებს ისევე როგორც სხვა უმაღლეს სამხედრო და საფინანსო თანამდებობის პირებს, ირჩევდნენ არა კენქის ამოღებით. არამედ ინდივიდუალური კანდიდატურის წამოყენების გზით.

თავდაპირველად სტრატეგოსთა ფუნქციები წმინდა სამხედრო ფუნქციები იყო, მერე კი, როცა ათენი თანდათან დიდ სახელმწიფოდ გადაიქცა, ათენის საზღვაო კავშირის სახე და შინაარსი მიიღო, სტრატეგოსების სამხედრო ფუნქციებს დაერთო ფინანსიური ფუნქციებიც. სტრატეგოსები უშუალოდ განაგებდნენ იმ თანხებს, რაიც მათ ეძლეოდათ სამხედრო და საზღვაო საქმეზე. ასინი ვანაგებდნენ ამ თანხებს სახალხო კრებისა და საბჭოს კონტროლის ქვეშ, მაგრამ ერთგვარი დამოუკიდებლობა მათ მაინც ჰქონდათ.

სტრატეგოსების ხელში იყო აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობანიც. სტრატეგოსების დიპლომატიურ ფუნქციებს განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობა გაიზარდა მას მერე, რაც ათენის საზღვაო კავშირი უფრო გაფართოვდა და გაძლიერდა. ყველა ამ მიზეზით აიხსნება სტრატეგოსების კოლეგიის ავტორიტეტიანობა.

რაც უფრო ძლიერდებოდა ეს კოლეგია, ძველი სათანამდებო პირნი არქონტები — უფრო ჰკარგავდნენ თავიანთ წინანდელ მნიშვნელობას და მეორე რიგზე ჩამოქვეითდნენ.

უფროსი არქონტის სახელით კვლავინდებურად იწოდებოდა ათენის წელიწადი. არქონტ-ბასილიევს თვალყური ეკირა სახელმწიფო კულტზე. არქონტ-მოსამართლეებო თავმჯდომარეობდნენ ჰელიეის კომისიებში, ხოლო რაც შეეხება არქონტ-პოლემარქოსს, იმან კი თითქმის ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა.

უფრო მეტად დაეცა არეოპაგის მნიშვნელობა. როგორც ვნახეთ, იგი გადაიქცა ათენის რესპუბლიკის ერთ-ერთ ჩვეულებრივ სამოსამართლო ორგანოდ და არჩევდა საქმეებს ცეცხლის წაკიდებისა და განზრახ ჩადენილ მკვლელობისას.

რაკი უკვე გავეცანით მოკლედ ათენის კონსტიტუციის საფუძველს, ახლა შევეცადოთ გამოვარკვიოთ ათენის დემოკრატიის სოციალური ბუნება. ეს ჩვენ

შესაძლებლობას მოგვეცემს გამოვაჯღიანოთ საერთოდ ანტიკური პოლისის ბუნებაც.

ათენის რესპუბლიკა წარმოადგენდა სახელმწიფოს განსაკუთრებულ ფორმას. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იყო სახელმწიფოს სახით უშუალოდ ორგანიზებულ მონათმფლობელთა კლასი და სხვა არაფერი. სახალხო კრების მდგომარეობა და მნიშვნელობა უპირველესი სისრულით გამოხატავდა პოლისის ამ განსაკუთრებულ მხარეს. სახალხო კრება წარმოადგენლობითა დაწესებულება როდი იყო. პარლამენტის მსგავსი. არამედ იგი წამდელიად წარმოადგენდა ყველა თავისუფალი მოქალაქის კრებას, მთელ ხალხს. ყველა მონათმფლობელებს. სახალხო კრებაში. უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში. მონათმფლობელებს. წარმოადგენდნენ კლასს. რომელიც ორგანიზებული იყო სახელმწიფოს სახით. პოლისი იყო თავისუფალ მონათმფლობელების კოლექტივის პოლიტიკური ორგანიზაცია. პოლისი თითონ თავისი იდეით. რომელიც მას საფუძვლად ედო. წარმოადგენდა თანასწორთა კოლექტივს. ამ მხრივ უაღრესად ნათელ მაგალითს გვაძლევს სპარტა. რომელიც გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენს ანტიკური პოლისის იდეალს.

ერთი შენედეით ასეთი მტკიცება პარადოქსალურად გვეჩვენება. როგორ შეესაბამება ჩამორჩენილ სპარტას ანტიკური პოლისის იდეალი ვეწოდოთ? ექვს გარეშეა, სპარტაში იყო არისტოკრატიზმის თვალსაჩინო ელემენტები. რომელნიც შერჩნენ გვაროვნული წყობილების ძველი დროიდანვე. სპარტის მეფეები, ორი გარკვეული გვარის ჩამომავალნი რომ იყვნენ. გერონტები. რომელთაც არჩევდნენ არისტოკრატიულ გვარებს შორის, არაორგანიზებულად და სუსტი სახალხო კრება -- ყოველივე ეს წარმოადგენდა გვიანა გვაროვნული დროის არისტოკრატიზმის ელემენტებს. მაგრამ რომ ავიღოთ სპარტის მთელი საზოგადოებრივი სისტემა, სპარტის მთელი ეკონომიკა. სპარტის მთელი ყოფა-ცხოვრება, მაშინ აქ. ექვს გარეშეა. თავისუფალთა კოლექტივის შეგნისი ფარგლებში თანასწორობის იდეალი უფრო სრულად იყო განხორციელებული, ვიდრე ითენში. სადაც ადრითგანვე უკვე არსებობდა მკვეთრი დიფერენციაცია მოსახლეობისა მდიდრებად და ღარიბებად. შემთხვევითი როდია, რომ სპარტელები თავიანთ თავს „თანასწორებს“ უძახოდნენ. ეს იყო რეალურ ურთიერთობათა გამოხატულება, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ დრომდე. უფრო გვიან. შემდეგ ხანებში სპარტაშიაც იწყება დიფერენციაციის პროცესი. მაგრამ ადრინდელი დროის სპარტა წარმოადგენს თანასწორთა ანტიკური კოლექტივის კლასიკურ ნიმუშს.

სპარტის საზოგადოებრივ წესწყობილებას, საფუძვლად ედო სახელმწიფოებრივი საკუთრება მიწისა და მონებისა. სხვაგვარად რომ ითქვას, სპარტაში წარმოების ძირითადი საშუალებანი წარმოადგენდნენ სახელმწიფოს საკუთრებას. ინდივიდუალური საკუთრება წარმოების საშუალებებზე არ ყოფილა.

„გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქსი და ენგელსი ლაპარაკობენ საკუთრების სამგვარ ფორმაზე: გვაროვნულსა, ანტიკურსა და ფეოდალურზე. აი რას ამბობენ ისინი ანტიკური საკუთრების შესახებ:

„საკუთრების მეორე ფორმა ესაა ანტიკური სათემო და სახელმწიფო-
ბივი საკუთრება, რომელიც წარმოიშეება, ხელშეკრულების დადებისა ან და-
ყრობის გზით, რამდენიმე ტომის ერთ ქალაქად გაერთიანების წყალობით და
რომლის დროსაც რჩება მონობა. სთემო საკუთრების გვერდით ვითარდება უ-
ვე მოძრავი, შემდეგში კი აგრეთვე უძრავი, კერძო საკუთრება, ოღონდ რ-
ვორც ნორმას დაცლებულ-გადახვეული და სათემო საკუთრებისადმი დაქე-
პდებარებული ფორმა. სახელმწიფოს მოქალაქეები მხოლოდ ერთობლივ ფლო-
ბენ თავიანთ მომუშავე მონებს და უკვე ამის ძალით დაკავშირებულნი არიან
სათემო საკუთრების ფორმით. ესაა სახელმწიფოს იმ აქტიური მოქალაქეების
ერთობლივი კერძო საკუთრება, რომელიც იძულებულნი არიან მონების წინა-
შე დაიცვან ასოციაციის ეს ბუნებრივად გაჩენილი ფორმა“. (К. Маркс ■
Ф. Энгельс, соч. т. IV, стр. 12).

აი შესანიშნავი დახასიათება ანტიკური მონათმფლობელური საკუთრებ-
სა. უწინარეს ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ლაპარაკია კერძო სა-
კუთრებაზე, რომ ანტიკური სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრება არის კერ-
ძო საკუთრება, რადგანაც ესაა კლასობრივი საკუთრება, ესაა მონათმფლობელ-
თა გარკვეული კოლექტივის საკუთრება, რომელიც იარაღს წარმოადგენს მო-
ნათა ექსპლოატაციისას.

მაგრამ ეს კერძო საკუთრება ანტიკური საზოგადოების სპეციფიკურ პი-
რობებში, წარმოების მონათმფლობელური წესის პირობებში. თავისებურ ფორ-
მას იღებს თანაზიარი სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრებისას. სათემო სა-
კუთრება მემკვიდრეობად რჩება მონათმფლობელ საზოგადოებას გვარო-
ბული წყობილებისგან. მაგრამ იგი წარმოადგენს უკვე ახალ კლასობრივ პირო-
ბებში გვაროვნული საკუთრების მოდიფიკაციას. როცა გვარები ერთ ქალაქად
ერთიანდებიან, როცა ხდება სინოიკისმი, — გვაროვნული საკუთრება ტრანს-
ფორმირდება, იგი გადაიქცევა კლასობრივად. მაშასადამე, მონათმფლობელთა კო-
ლექტივის კერძო საკუთრებად. აი ეს კოლექტიური კერძო სათემო სახელმწი-
ფოებრივი საკუთრება წარმოადგენს პოლისის ბაზას, მონათმფლობელთა სა-
ხელმწიფოს ბაზას.

რამი გამოიხატება ანტიკურ სათემო-სახელმწიფოებრივი კერძო საკუთ-
რების კოლექტიური ხასიათი? უფრო ადრეულა ფორმებში, როგორც მაგალი-
თად სპარტაში, სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრების პრინციპი მიყვანილია
თავის ლოგიკურ ბოლომდე. წარმოების ძირითადი საშუალებანი — მიწა და მო-
წები — წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებას, ინდივიდუალური საკუთრება
წარმოების საშუალებებზე არ არსებობს. ესაა ანტიკური საკუთრების უაღრე-
სად მკვეთრად გამოხატული ფორმა. სხვა შემთხვევებში ეკონომიური განვითა-
რება უფრო შორს მიდის, და სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრების ჩარხო-
ებში ვითარდება ინდივიდუალური საკუთრება. აქ მკლავდება წინააღმდეგო-
ბანი კოლექტიურ სათემო-სახელმწიფოებრივ კერძო საკუთრებასა და ინდივი-
დუალურ კერძო საკუთრებას შორის, რომელიც ვითარდება კოლექტიურ სა-
კუთრების ფარგლებში და ამ უკანასკნელს შლის და არღვევს შიგნიდანვე. მა-
გრამ ამ წინააღმდეგობათა შესახებ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

სხვა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში, სადაც ეკონომიური განვითარება უფრო შორს წავიდა სპარტასთან შედარებით,—აქ ზომ ძალიან ძლიერია იყენენ ამის შემაკავშირებელი ელემენტები, რომელნიც არ აძლევდნენ მას დიფერენციაციის შესაძლებლობას (გავიხსენოთ ილოტების ფართო მასები).— აი იქ ინდივიდუალური კერძო საკუთრება უფრო მეტად ვითარდებოდა. ათენში, მაგალითად, ანტიკური სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრების დაშლა ძალიან შორს წავიდა. მაგრამ საკუთრების კოლექტიური ხასიათი მაინც რჩებოდა და ინახებოდა ეკონომიურად უფრო მეტად განვითარებულ ბერძნულ პოლისებშიც კი. საკუთრების ეს სათემო-სახელმწიფოებრივი ხასიათი გამოსჩანდა მთელ რიგ ისეთ ელემენტებში, როგორცაა სახელმწიფოს უზენაესი უფლება ყველა მოქალაქის ინდივიდუალურ საკუთრებაზე, როგორცაა სახელმწიფოებრივი საკუთრება მალარობებზე, კოლონიისტების ზოგიერთი კატეგორიის საადგილ-მაშულო ნაკვეთებზე (ეგრეთწოდებულ კლერუხების მიწებზე, რომელთა ნაკვეთები წარმოადგენდნენ სახელმწიფო საკუთრებას). იმ შემთხვევებშიც კი, როცა ჩვენ ვხედავთ პოლისის თვალსაჩინო დიფერენციაციას, როცა ვხედავთ ინდივიდუალური კერძო საკუთრების თვალსაჩინო განვითარებას, თითონ იმ პოლისის შინაგანი დედაარსი. რომელიც დაფუძნებულია მონების მიმართ ერთობლივ ძალა-უფლებაზე, მოითხოვს თვითიველი მოქალაქის მონაწილეობას სახელმწიფოს შემოსავალში. პოლისის ყოველი მოქალაქე იყო მონათმფლობელური კოლექტივის წევრი. მაშასადამე, მას უფლება ჰქონდა, სხვებთან გათანაბრებით, მონათა ზედმეტი პროდუქტისა. როცა ვლაპარაკობთ სხვადასხვა გაცემა-დარიგებებზე, გამოკვებაზე, პერიკლეს დროს საზოგადოებრივი სამსახურის შესრულებისათვის გასამრჯელოს დაწესებაზე, აქ საჭიროა უთუოდ სამი მომენტის განსხვავება. ერთის მხრივ ეს იყო პერიკლეს დემაგოგია. რომელსაც სჭირდებოდა თავისკენ მიქმბრო ათენის ლუმპენ-პროლეტარული მასები; მეორე მხრივ ეს იყო ათენის მონათმფლობელთა მმართველი ჯგუფის გარკვეული პოლიტიკა, რომელსაც ლუმპენ-პროლეტარიატის ქმევა-გამოკვება მიტომ სჭიროდა, რომ მისი მხრით შესაძლებელ თავდასხმებისგან საკუთარი თავი დაეზღვია და უზრუნველ ეყო. მაგრამ ეს კიდევ როდია ყველაზე უფრო მთავარი. ქმევა-კვების და გაცემა დარიგებათა სისტემა ტიპიურია მთელი ანტიკური სამყაროსთვის და იგი წარმოადგენდა ანტიკური სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრების გამოხატულებას. აი ესაა სწორედ თვითიველი მოქალაქის მხრივ მონათა ზედმეტ პროდუქტზე უფლების გამოხატულება. პოლისის მოქალაქეს (ყოველ შემთხვევაში, თეორიით მაინც) უფლება ჰქონდა საზოგადოებრივ ხარჯზე კვებისა, საზოგადოებრივი სამსახურისთვის გასამრჯელოსი, სანახაობის ფულის მიღებისა და სახელმწიფოს მთელ რიგ შემოსავალზე. ჩვენ ვნახეთ, რომ როცა თემისტოკლე ცხოვრებაში ატარებდა თავის სამშენებლო პროგრამას, მან ის შესძლო და მოახერხა; რომ ლავრიონის მალარობის შემოსავალი, იმის ნაცვლად რომ მოქალაქეებს შორის განაწილებულიყო, როგორც ეს წინად ხდებოდა ხოლმე, ახლა მოხმარებულ იქმნა ფლოტის აგებაზე. სახელმწიფოს შემოსავალში მოქალაქეების მონაწილეობის ასეთი სხვადასხვაგვარი ფორმები გამოხატავდნენ ანტიკური სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრების სპეციფიკურ ხა

სიათს იმ პოლისებშიაც კი, სადაც ეს საკუთრება უკვე იშლებოდა შიგნიდანვე ინდივიდუალური კერძო საკუთრების განვითარებასთან დაკავშირებით.

ანტიკური დემოკრატია იყო მარტო მონათმფლობელთა ანტიკური სათემო სახელმწიფოებრივი საკუთრების პოლიტიკური გამოხატულება და სხვა არაფერი.

რაღა წინააღმდეგობანი არსებობდა ანტიკურ პოლისში?

ძირითადი წინააღმდეგობა იყო კლასობრივი წინააღმდეგობა პოლისსა. როგორც თანასწორთა თემსა, როგორც მონათმფლობელთა კოლექტივსა, და მონათა შორის, რომელთაც არაერთი უფლებები არ ჰქონდათ. მაგრამ რომელნიც ფაქტიურად შედიოდნენ თემში, მათი შრომით რომ ცხოვრობდა და სულდგმულობდა. რამდენად მწვავე იყო ეს წინააღმდეგობა, ეს ჩანს თუნდაც სპარტას ისტორიიდან, რომელიც სავსეა ილოტების აჯანყებებით.

მეორე წინააღმდეგობა, თუმცა იგი ანტაგონისტური ხასიათისა არაა, მუდამდებოდა თითონ კოლექტივის ფარგლებში. ესაა წინააღმდეგობა მდიდარ და ღარიბ მოქალაქეებს შორის. უთანასწორობის გაჩენა შედეგი იყო საწარმოო ძალთა განვითარებისა და იმ ინდივიდუალური კერძო საკუთრების განვითარებისა, რომელიც „თანასწორთა“ კოლექტივს შიგნიდანვე შლიდა. ამის გამო მარქსი და ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“ შემდეგს წერენ:

„ამიტომაც ამ საძირკველზე რამყარებული საზოგადოების ნაგებობა და მასთან ერთად ხალხის ძალა-უფლებაც; ქვეითდება, ქვეითდება იმდენადვე, რამდენადაც ვითარდება უპირატესად უძრავი კერძო საკუთრებაო“ (იქვე, გვ. 12-13).

წინააღმდეგობა ინდივიდუალურ და კოლექტიურ კერძო საკუთრებას შორის გადაიზრდებოდა ხოლმე მდიდართა და ღარიბებს შორის წინააღმდეგობაში: განვითარებადი ინდივიდუალური საკუთრება იქცეოდა მსხვილ საკუთრებად, რომელიც იზრდებოდა კოლექტიური საკუთრების ხარჯზე.

მაშინ როდესაც ღარიბი მოსახლეობა გამოდის სათემო სახელმწიფოებრივი საკუთრების მოსარჩლედ, მდიდრები გამოდიან როგორც ინდივიდუალური საკუთრების მატარებლები. ამ ნიადაგზე ხდება მთელი რიგი მწვავე სოციალური კონფლიქტები თავისუფალი მოსახლეობის შიგნიდანვე, თავს იჩენს გამძაფრებული ფრაქციული შინაკლასობრივი ბრძოლა, რაზედაც ჩვენ შემდეგ ვილაპარაკებთ.

ასეთი იყო პოლისის ძირითადი შინაგანი წინააღმდეგობანი.

გარდა ამისა. პოლისებს შორის არსებობდა სავარაუდო წინააღმდეგობანიც ანტიკური საბერძნეთის თავისებურებას, როგორც ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, წარმოადგენდა მთლიანი. ერთობლივი სახელმწიფოს უქონლობა. პოლისების მრავლადობა. მონათმფლობელებისა და მონების ყოველი კონცენტრაცია გარკვეულ ადგილას, თუ კი არ იყო ფართო შინაგანი ბაზარი, იწვევდა დამოუკიდებელი პოლისის წარმოქმნას. ყოველი პოლისი მეორე პოლისის მტერი იყო. ვინაიდან თვითველი მათგანი ცდილობდა პერიფერიის ექსპლოატაციით თავი ერჩინა და ეცხოვრა, ე. ი. კოლონიების, „მოკავშირეების“ და მისთანათა ექსპლოატაციით. თვითველი მათგანი ცდილობდა თავის მონოპოლიურ განკარგ

გულებაში მოექცია საგარეო ბაზარი, სამიწათმოქმედო ტერიტორია და მასზე მცხოვრები მოსახლეობა, ოქროსი და ვერცხლის მადნები და მალარობი. აქედან წარმომდინარეობდა ის, რომ პოლისებს შორის წითარდებოდა საგარეო წინააღმდეგობანი, რაიც უმთავრესად გამოიხატებოდა ომებში და უდიდეს სიმწვავეს აღწევს სწორედ ანტიკური საზოგადოების მაქსიმალური აყვავების ხანაში. კერძოდ, ათენის საზღვაო კავშირს შიგნით არსებული წინააღმდეგობანიც; ათენსა და მის „მოკავშირეებს“ შორის წინააღმდეგობანიც; ერთ-ერთი ამგვარად გამოხატულება იყო პოლისების ამ საგარეო წინააღმდეგობებისა. 1

✓ საუკ. ორმოციანი და ოცდაათიანი წლები ათენში იწოდება „პერიკლეს საუკუნედ“. ამ ეპოქას პერიკლეს სახელი მიტომა აქვს შერქმეული, რომ ამ ხანებში პერიკლე იყო ათენის ფაქტიური ერთპიროვნული მმართველი. თუმცა ფორმალურად მას ეკავა ერთ-ერთი სტრატეგოსის თანამდებობა. 15 წლის განმავლობაში, 445 წლიდან 430 წლამდე, მას ყოველწლიურად ირჩევდნენ სტრატეგოსად.

რით აიხსნება პერიკლეს ასეთი გავლენა? უწინარეს ყოვლისა. პერიკლე იყო გარკვეული „პარტიის“, გარკვეული საზოგადოებრივი დაჯგუფების ბელადი. ეს იყო ათენის ზომიერი დემოკრატიის ბელადი, სწორედ იმ დემოკრატიისა, რომელსაც თავის წარმომადგენლებად ჰყავდა კლისთენე და ეფიალტე.

ეს ზომიერი დემოკრატია გამოხატავდა მსხვილი მონათმფლობელების მაშინ უფრო პროგრესიული ჯგუფის: მსხვილი ვაჭრებისა და პერიკლეს ტიპის მონათმფლობელ-აგრაიების ინტერესებს. პლუტარქოსი გადმოგვცემს, რომ პერიკლეს ჰქონდა მამული, სადაც იგი ფულად მეურნეობას ეწეოდა: ყოველგვარ პროდუქტებს, რასაც კი იგი იღებდა თავის სამფლობელოებიდან. ჰყიდდა ბაზარზე და იქვე იძენდა ფულით ყველაფერს რაც კი სახლში ესაჭიროებოდაო. პერიკლეს მეურნეობა წარმოადგენდა მოწინავე მონათმფლობელური მამულის ტიპს, რომელიც ბაზართან იყო დაკავშირებული. სწორედ ასეთი პროგრესული და ბაზართან დაკავშირებული მონათმფლობელობის ინტერესებს წარმოადგენდა პერიკლეს ზომიერ-დემოკრატიული ჯგუფი.

ამ ჯგუფს ეკუთვნოდა აგრეთვე ნიკია. მსხვილი მონათმფლობელი, რომელიც მარტო ლავრიონის მალარობებში იჯარით აძლევდა 1000 მინას.

✓ ს. 60-იან წლების ბოლოს ზომიერმა დემოკრატამ დაამარცხა მენარჯვენეები, დაამხო მათი ბატონობა და თავად ჩაუდგა ხელისუფლებას სათავეში ათენში და დაახლოვებით ოცდაათი წლის განმავლობაში, თუმცა დროვამოშვებით, მართავდა რესპუბლიკას.

რატომ გამოიჩინა თავი პერიკლემ როგორც პარტიის მეთაურმა? პერიკლე დედით ეკუთვნოდა ალკმეონიდების გვარს. ე. ი. ის დაკავშირებული იყო ძველ მოვაჭრე არისტოკრატიასთან და ათენის ძველ დემოკრატიულ ტრადიციებთან. ეს იყო ძალიან ჰეკიანი ადამიანი. არაჩვეულებრივ მკერძმეტყველა. ამასთანავე ეხერხებოდა საჭიროების დროს სახალხო კრების გულის მოგება. ემარჯვებოდა თავი ხალხის მეგობრად ეჩვენებინა. როცა კი ეს საჭირო იყო, შესწევდა მას უნარი თავის დროზე საზოგადოებრივ სამუშაოს მოწყობისა. რომ ამით ათენის უღარიბეს მოსახლეობას საშოვარი გასჩენოდა. ამასთანავე:

პერიკლემ იყო ძალიან კულტურული ადამიანი და ფართო გაქნებისა და მსოფლმხედველობის პატრონი. ის სწორედ ზედგამოჭრილი იყო იმისთვის, რომ მოწინავე ბერძნულ სახელმწიფოს სათავეში დგომოდა მისი აყვავება-გაფუჩჩქნის ხანებში.

პერიკლემ თავის მართვა-გამგებლობის დროს მართლაც შესძლო ათენის მალალ მწვერვალამდე აყვანა. სწორედ პერიკლეს დროიდან ხდება ათენის საბერძნეთის გონებრივ ცენტრად და იგი ასეთივე რჩება ანტიკური ისტორიის თითქმის დასასრულამდე. პერიკლემ გუნდაკეთა და გაათავართო აკროპოლისი, ათენის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობდა მალალ ბორცვზე. აკროპოლისში პერიკლეს დროს აგებული იყო სახელგანთქმული პართენონი, ათენა-ქალწულის ტაძარი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში შენდებოდა, ძვ. წელთაღრ. 447 წლიდან 438-მდე. მას ორი ხუროთმოძღვარი — იქტინე და კალიკრატე აგებდა, ცნობილ და სახელოვან მოქანდაკე ფიდიას ხელმძღვანელობით.

პართენონი წარმოადგენს ანტიკური ხუროთმოძღვრების ანუ არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. იგი აგებულია ოდნავ იონიზმ-ნარეე დორიულ სტილზე და დაუზიანებლივ დარჩა XVII ს. დასასრულამდე, როცა იგი ნაწილობრივად იქმნა დანგრეული ყუმბარების დაშენის დროს მტრის შემოსევისას. პართენონს დღესაც კი ყველა განცვიფრებაში მოჰყავს თავისი საოცარი პროპორციულობით და ცალკე ნაწილთა აღნაგობით.

პერიკლეს დროსვე არქიტექტორმა მნესიკლემ ააგო პროპილე, აკროპოლისზე შესავალი დასავლეთის მხრიდან, შემკული სვეტებით და სამხატვრო გალერეით.

პერიკლეს სხვა ნაგებობათა შორის უნდა აღინიშნოს ჰეფესტეს ტაძარი (ეგრეთწოდებ. „თეზეიონი“), ოდენი ანუ შენობა, მუსიკალურ შეჯიბრებისათვის განკუთვნილი, და ათენა-ნიკას (ათენა-გამარჯვების) ტაძარი აკროპოლისში.

პერიკლემ თავის გარშემო შემოიკრიბა იმდროინდელი აზროვნების, იმდროინდელი მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები და მამინდელი მოწინავე მონათმფლობელური ინტელიგენციის გამოჩენილი პირნი (ფიდია, ოკალიპსე, უდიდესი ფილოსოფოსი ანაქსაგორა და მთელი რიგი სხვანი). პერიკლეს ცოლი, ასპაზია, ათენში იყო ერთ-ერთი მეტად მოწინავე ქალთაგანი.

ყოველივე ამის მეოხებით ათენი შეიქნა ძველი მსოფლიოს არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური, არამედ უდიდესი გონებრივი ცენტრიც.

ახლა პერიკლეს საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ძირითადად იგი წარმოადგენდა იმ მსხვილი მონათმფლობელობის ინტერესებს, რომელიც დაკავშირებული იყო ბაზართან, მაგრამ ეს პოლიტიკა ამასთანავე ცდილობდა რამოდენიმედ მაინც დაეკმაყოფილებინა წერილი მესაკუთრეებიც და ლუმპენ-პროლეტარებიც. პერიკლეს დროს ფართოდ გაიშალა კოლონიზაცია. ფიქრობენ, რომ პერიკლეს მართვა-გამგებლობის დროს ათენის ხელქვეით მიწა-წყალში გაყვანილ და დასახლებულ იყო დაახლოვებით ათი ათასი კოლონისტი (ახალმოშენე); ესენი დაასახლეს თრაკიაში. კუნძულებზე და

სრუტეების ახლო მიდამოებში. კოლონია გაიყვანეს სამხრეთ იტალიაშიც კი (ქალაქი თურია). ათენის „მოკავშირეები“, რუსაკვირველია, ძალიან კეთილთვალით როდი უცქეროდნენ მათ მიწა-წყალზე დახარბებულ ათენს, მაგრამ იძულებულნი იყვნენ დრომდე მაინც ეთმინათ და გაჩუმებული ყოფილიყვნენ. აქ საჭიროა, აღინიშნოს, რომ პერიკლეს დროს ათენის კოლონიზაციის ხასიათი განსხვავდებოდა უფრო ძველინდელი დროის კოლონიზაციისგან. ახლა ახალშენები, კოლონიები (ჯღერუხები) როდი ჰკარგავენ პოლიტიკურ კავშირს მეტროპოლიასთან: ახალმოშენები, კოლონისტები (ჯღერუხები) ისევ რჩებიან. ისევ ითვლებიან ათენის მოქალაქეებად, ხოლო მათი მიწები სახელმწიფო საკუთრებადაა გამოცხადებული. იმავე კოლონიური პოლიტიკის ხაზით იყო წარმართული მარცხიანი, გაუმარჯვებელი ლაშქრობა ეგვიპტეში, რომელიც ბერძნებმა დაიწყეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პერიკლე გახდებოდა ათენის სახელმწიფოს მესვეურად (459 და 454 წლებს შუა). ეს ლაშქრობა მეტწილად წარმოადგენდა ათენის სავაჭრო კაპიტალის ექსპანსიის ნაყოფს.

შემდეგ საჭიროა აღინიშნოს პერიკლეს ცნობილი ლაშქრობა პონტოში. ჩვენ ზუსტად როდი ვიცით, თუ როდის მოხდა ეს ლაშქრობა. რა მიზნები ჰქონდა მას დასახული და რა რეალური შედეგები გამოიღო მან. შეიძლება მარტო ვითქვოდ, რომ ლაშქრობა შავ ზღვისკენ პერიკლემ მოაწყო V ს. 30-იან წლებში, პელოპონესის ომის წინა ხანებში, ათენის უდიდესი აყვავების დროს. ათენის დიდმა ფლოტმა გარს შემოუარა შავი ზღვის ნაპირებს. ცხადია, იმ მიზნით, რომ სათანადო შთაბეჭდილება მოეხდინა შავი ზღვის სანაპიროზე, განემტკიცებინა იქ ათენის გავლენა და ავტორიტეტი და ხელი შეეწყო ათენის საზღვაო კავშირში იმ ბერძნულ კოლონიების შესვლისათვის, რომელნიც შავ ზღვაზე მდებარეობდნენ.

ასეთი იყო პერიკლეს საგარეო პოლიტიკა. ექვს გარეშეა, იგი იყო ექსპანსიის პოლიტიკა, დაპყრობათა პოლიტიკა, რომელიც შიგნიერად დაკავშირებული იყო წარმოების მონათმფლობელური წესის განვითარებასთან.

ოღონდ საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ პერიკლეს საგარეო პოლიტიკა საერთოდ ზომიერი იყო. პერიკლეს დაცემის შემდეგ, როცა მის ნაცვლად მოვიდა დემოკრატის უფრო რადიკალური ნაწილი, ათენის პოლიტიკა ამ მხრე უფრო გაბედული შეიქმნა. პერიკლეზე ოპოზიციის თავდასხმის ერთ-ერთ მიზეზად ითვლებოდა მისი არასაკმაოდ ენერგიული საგარეო პოლიტიკა. პერიკლე გამოხატავდა უმთავრესად მონათმფლობელობის იმ ძველი ჯგუფის ინტერესებს. რომელიც ჯერ ისევ მჭიდროდ იყო მიწათმფლობელობასთან. აგრეთვე ძველ არისტოკრატიულ წრეებთან, სავაჭრო არისტოკრატიის წრეებთან დაკავშირებული.

ამ ჯგუფის სანაცვლოდ პელოპონესის ომის დასაწყისში გამოდის რადიკალური დემოკრატია. პერიკლეს ეპოქაშივე, 30-იანი წლების ბოლოს, მონური წარმოების ვაჭრობის, ფულადი კაპიტალის განვითარებისა და ლუმპენ-პროლეტარიატის ზრდის წყალობით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის მთელი რიგი ახალი ჯგუფები. იზრდება იმ მრეწველ-მონათმფლობელების ხვედრითი წონა, რომელნიც უფრო იყვნენ ბაზართან დაკავშირებულნი. ძლიერდება „ტრაპე-

სიტყვებში — ბანკირების როლი. იზოდება პურით ვაჭრობა და ძალა ემატება პურით მოვაჭრეებისა და სპეკულანტების გავლენას. პურზე სპეკულაცია ძალიან დიდ როლს თამაშობდა ათენში და საერთოდ საბერძნეთშიაც. ეს ადვილი გასაგებია. თუ გავითვალისწინებთ საბერძნეთში პურის მუდმივ ნაკლებობას. დაბოლოს. უფროდაუფრო იზრდება ლუმპენ-პროლეტარიატი. ყველა ეს ჯგუფი დანებებით მოითხოვს უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებას. ახსნავანმარტებს არ საჭიროებს ის. თუ რატომ იყვნენ ახალი მრეწველ-მონათმფლობელები. პურის სპეკულანტები და „ბანკირები“ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის მომხრეები. — ეს ისედაც გასაგებია ყოველგვარ განსაკუთრებულ ახსნა-განმარტების მოუხეხლადაც. მაგრამ რატომ-ღა ემხრობოდა მათ ამ მხრივ ათენის ლუმპენ-პროლეტარიატი? არ შეიძლება დავივიწყოთ ერთი გარდამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოება. ათენის ლუმპენ-პროლეტარიატი წარმოადგენდა პარაზიტულ ჯგუფს და სწორედ იგი გახდა ამ ხანებში ანტიკური საკუთრების მისი მოდერნიზებულ, უკანასკნელი სახის მთავარ მოსარჩლედ. ლუმპენ-პროლეტარიატი დაინტერესებული იყო გაცემა-დარიგებათა, კმეუკვების სისტემის შენარჩუნებაში, რაც ნთქავდა ათენის ხაზინის მარაგის საკმაოდ დიდ ნაწილს. ამ ხაზინის შევსება კი შეიძლებოდა მარტო იმ შემთხვევაში, თუ მას თანხები გამუდმებით შესდიოდა სხვა მხრიდან, თუ იგი გაზრდიდა და გააძლიერებდა თავის ზეგავლენას „მოკავშირეებზე“, თუ იგი მათ გამოჰქაჩავდა დიდძალ ფულს. აქედან გამომდინარეობდა დაპყრობათა ფართო პროგრამა, რომელსაც მხარს აძლევდა ლუმპენ-პროლეტარიატი

ეს ახალი მონათმფლობელური ჯგუფები იწყებენ ახლა ოცნებას არა მარტო აღმოსავლეთის დაპყრობაზე, არამედ დასავლეთის დაუფლებაზედაც. ტყუილად და უსაფუძვლოდ როდი წამოიჭრა ამ ხანებში აზრი საცილიაში ლაშქრობისა, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს პელოპონესის ომის დროს. ამ ახალ ჯგუფების გაჩენა აძლიერებს პერიკლეს საწინააღმდეგო ოპოზიციას. პერიკლეს საშინაო პოლიტიკაც უკვე ვეღარ აკმაყოფილებს ათენის დემოკრატიის ფართო წრეებს. პერიკლე უფრო და უფრო იჩენდა და ითვისებდა თვითმპყრობელურ ზნეს. „ახლა პერიკლე გამოიცვალა, სხვანაირი გახდა, — ამბობს პლუტარქოსი: — იგი უკვე აღარაა ხალხის ხელში ისეთი მორჩილი და გამგონი იარაღი. არც ისე ადვილად უთმობს მას და აღარ ეთანხმება ბრბოს მოთხოვნილებებს“. პერიკლე ჯერ ისევ ძლიერი იყო, როცა ოპოზიციამ გაბედა მას თავს დასხმოდა კომედიებში. ამასთან დაკავშირებით ათენში დროებით იყო გატარებული კანონი, რომელიც კრძალავდა კომედიებში პოლიტიკურ მოღვაწეების გამოყენებას. კომედიებში ამ თავდასხმებზე გაცილებით უფრო სერიოზული კო ის, რომ 438 და 437 წლებში ოპოზიციამ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ბედავდა პირადად პერიკლეს წინააღმდეგ გალაშქრებას, აღძრავს პროცესებს მის მიმართ. პერიკლის წინააღმდეგ. სწორედ ამ ხანებში იყო აღძრული პროცესები: თეოდოსის, ანაქსაგორას წინააღმდეგ და — ასე გასინჯეთ — პერიკლეს ცოლის ასპაზიას წინააღმდეგაც კი.

ფიდიას ბრძლი დასდეს იმაში, რომ მან დაძალა სპილოს ძვლის ნაწილი რაიც განკუთვნილი იყო ათენა-ქალწულის ქანდაკისთვის. ანაქსაგორას ბრალად

ადებდნენ უღვთობას. აბრალებდნენ იმას, რომ იგი თავისი მოძღვრებით, ღმერთების არსებობას რომ უარჰყოფს. რყენის ახალგაზრდობას. ასპაზიას წაუყენეს ბრალდება — მაქანკლობას ეწვეო.

პერიკლემ ვერ მოახერხა ფიდიას და ანაქსაგორას გამართლება. არც ვი-
ციოტ დანამდვილებით და ზუსტად, თუ რით გათავდა ფიდიას წინააღმდეგ აღძ-
რული პროცესი. ის თითქოს დაპატიმრებული უნდა ყოფილიყო და საპყრობი-
ლეში გარდაიცვალა.

ანაქსაგორას მიუსაჯეს დიდი ჯარიმის გადახდა და იგიც ათენიდან უნდა
გაქცეულიყო.

რაც შეეხება ასპაზიას, ამაზე პერიკლეს ბიოგრაფოსი პლუტარქოსი მოგ-
ვითხრობს, რომ პერიკლე უნდა პირადად გამოცხადებულაყო ნაფიცთა სასა-
მართლოს სხდომაზე და თვალცრემლიახს ემუდარნა — ცოლი გამიმართლეთო.
ასეთი ხერხი საესებით შეესაბამება ანტიკურ სასამართლოს. საესებით დასაშ-
ვებად მიაჩნდათ, რომ ბრალდებულთა ნათესავეები გამოცხადებულნიყვნენ სასა-
მართლოში და იქ, თმების გლეჯით და სახის ხოკვით, გულში ხელის ცემით
ებეეწნათ — ბრალდებული გაგვიმართლეთო. ამას ემოციური ზეგავლენა უნდა
მოეხდინა ნაფიცებზე. ამიტომაც არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ თითონ
პერიკლე გამოცხადებულაყო სასამართლოში. თუმცა ასპაზია გაამართლეს, მაგ-
რამ ყველა ეს სიმპტომი დამახასიათებელი და ნიშნობლივი იყო, რადგან ეს
ვეიჩვენებს იმას, რომ პერიკლეს წინააღმდეგ იზრდება ოპოზიცია და რომ პე-
რიკლეს დასაყრდენ ძალას — ზომიერ-დემოკრატიულ ჯგუფებს — ფეხ-ქვე-
შიდან ეცლება ნიადაგი და თავის ადგილს უთმობს მონათმფლობელთა კლასის
ახალი ჯგუფის წარმომადგენლებს. რომელნიც უფრო რადიკალურად იყვნენ
ვანწყობილნი საგარეო და შინაგან პოლიტიკაში.

მაგრამ ეს პროცესი დამთავრდა მარტო პელოპონესის ომის დასაწყისში.

X. პელოპონესის ომი

პელოპონესის ომმა იმდენად დიდი როლი ითამაშა საბერძნეთის ისტორიაში, რომ ზოგიერთი არაზომიერი მოდერნიზატორი ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს შორის მას უწოდებს ანტიკური დროის მსოფლიო ომს: და აღარებს 1914—1918 წლების ომს. ჩვენ შორსა ვართ ასეთი მოდერნიზაციისგან. მაგრამ მაინც უნდა აღვიაროთ, რომ პელოპონესის ომი მართლაც ყველაზე უფრო ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ომი იყო. რომელიც კი ახსოვს საბერძნეთის საზღვარს.

ეს ომი 27 წელიწადს გრძელდებოდა. მან მოიცვა ხმელთაშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი ნახევარი და სიცილიაც კი. ამ ომის შედეგები საბერძნეთისთვის აურაცხელი იყო. პელოპონესის ომი წარმოადგენდა იმ შინაგან წინააღმდეგობათა გამოხატულებას, რომელნიც ფარულად არსებობდნენ მონათმფლობელურ საზოგადოებაში. მაგრამ მეორე მხრივ იმავე ომმა არაჩვეულებრივ გაამწვავა და გაამახვილა ყველა ეს წინააღმდეგობანი და ამ თვალსაზრისით პელოპონესის ომი წარმოადგენს საზღვარს, თავისებურ მიჯნას ბერძნულ მონათმფლობელური საზოგადოების განვითარებაში.

პელოპონესის ომთან დაკავშირებით იწყება ბერძნული საზოგადოების საერთო კრიზისი, რომელსაც მან კარგებითად რომ ითქვას, თავი ვეღარ დააღწია. ამაში მდგომარეობს პელოპონესის ომის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

პელოპონესის ომის ისტორიის მთავარ წყაროს წარმოადგენს თუკიდიდე. იგი ომის ისტორიას იძლევა 411 წლამდე. იგი ყველაზე უფრო სანდო და საუკეთესო წყაროა ჩვენი. თუკიდიდეს აგრძელებს ქსენოფონტე თავის „საბერძნეთის ისტორიაში“. პელოპონესის ომის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პლუტარქოსი — მის მიერ შედგენილი ბიოგრაფიები პერიკლესი, ნიკიას, ალკიბიადესი და ლისანდრესი.

დიდ მასალას შეიცავენ აგრეთვე არისტოფანეს კომედიები. ესენი იძლევიან ომის დროინდელ ათენის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების პოლიტიკურ განწყობილებათა ანარეკლს და გამოხატულებას. პელოპონესის ომის შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაძლევენ აგრეთვე წარწერებიც.

ომის უშუალო მიზეზი იყო ათენის ექსპანსია პელოპონესისა და დასავლეთის მიმართულებით. ათენმა საკმაოდ მალე, ადრევე გამოამჟღავნა თავისი მისწრაფება თავის კავშირის ორბიტში მოექცია პელოპონესის სახელმწიფოები.

მისწრაფება იმისი, რომ პელოპონესიკ გადაქცეულიყო მისი ექსპლოატაციის ობიექტად. ჯერ კიდევ 459-446 წლების მანძილზე ათენსა და სპარტას შორის მოხდა ორი საკმაოდ დიდი ომი სწორედ პელოპონესის გამო.

სპარტა იბრძოდა თავის არსებობის შენარჩუნებისათვის და ზუე კითხვას დავაყენებთ დამნაშავეებზე, აგრესორების შესახებ, (ჩვენი თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ), მაშინ აგრესორი უფრო ათენი იყო. სპარტა უფრო იკვირებდა მტერს. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვიწონია, რომ სპარტას V ს. შუა ხანებში დაპყრობითი გეგმები არ ჰქონდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ V საუკუნეში იწყებს განვითარებას სპარტის ოლიგარქია, მმართველი ზედაფენა. რომელიც უკვე ებმება ფულადი მეურნეობის ურთიერთობის წრეში. ამ ოლიგარქიის ტიპური წარმომადგენელი იყო მეფე პავსანია, რომელსაც ჩვენ ეიცნობთ ბერძენ-ირანელთა ომებიდანვე. რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ძლიერად გამოხატავს სპარტის ოლიგარქიის ჩამოყალიბების პროცესი.

ამიტომაც არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს სპარტა მუდმივად, საწყალ კრავს წარმოადგენდა; რომელსაც შექმას და გადაყლაპავს უპირებდა ათენელი მეფე. ეს მთლად ასე არაა. სპარტასაც ჰქონდა თავისი საკმაოდ ბასრი კბილები, მასაც მოეპოვებოდა ზოგიერთი ისეთი ელემენტი. რომელიც აგრესიაზე ოცნებობდა. მაგრამ ათენი უფრო აგრესიული იყო.

V ს. 30-იან წლებსთვის პელოპონესის კავშირში შედიოდნენ არა მარტო პელოპონესის აგრარული სახელმწიფოები, არამედ ისთმის სავაჭრო თემებიც: მეგარა და კორინთო. კორინთო იყო ათენის ყველაზე უფრო დიდი. თვალსაჩინო სავაჭრო მოქიშვე. ათენის ვაჭრობა გაბატონებული იყო უმთავრესად ეგეოსის რაიონში, კორინთოს კი ხელთ ეპყრა ისთმზე მიმავალი სატრანზიტო გზები და ვაჭრობა ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაპირებთან. როცა V ს. 30-იან წლებში აშკარად გამოჩნდა, რომ ათენი ცდილობს ხელთ იგდოს დასავლეთის ვაჭრობაც, მაშინ კორინთოსთვის ათენთან ბრძოლის საკითხი საშვედრო-სასიცოცხლო საკითხად გადაიქცა.

ამგვარად პელოპონესის ომს იწვევდა არა მარტო ათენის აგრესია აგრარული პელოპონესის წინააღმდეგ, არამედ სავაჭრო ინტერესების ბრძოლაც კორინთოსა და მეგარას, ერთის მხრივ, და ათენს შორის. მეორე მხრივ.

არამცირედ როლს თამაშობდა აგრეთვე პოლიტიკური წინააღმდეგობანი. რაიც არსებობდა დემოკრატიულ ათენსა და იმ სპარტას შორის. რომელიც უფროდაუფრო იღებდა არისტოკრატიული ოლიგარქიის სახეს.

ასეთი იყო ომის უშუალო მიზეზები.

რაც შეეხება ომის საბაბებს, მათი გამოძებნა ძნელი საქმე არ იყო. 30-იანი წლების ბოლოში ატმოსფერო საკმაოდ თვალსაჩინოდ იყო დამძაფრებული და შეხუთული. ოთხი წლის — 435-დან 431-მდე — მანძილზე მოხდა მთელი რიგი ცალკეული ინციდენტები, რაიც საერთაშორისო ატმოსფეროს უფროდაუფრო ამძიმებდა და ძაბავდა და რამაც ბოლოსდაბოლოს გამოიწვია აფეთქება. ჩვეულებრივად ომის საბაბად სამ ინციდენტს თვლიან. ერთი ინციდენტი იყო რეფოლუცია, რომელიც მოხდა ეპიდამნი ილირიის სანაპიროზე. ეპიდამნი წარმოადგენდა ახალშენს, კოლონიას, რომელიც ერთდროულად დააარსეს კერკირამ

(ეს ქალაქია იმავე სახელის მატარებელ კუნძულზე) და კორინთომ 435 წ. ეპი-
დამნაშა მოხდა რევოლუცია და იფეთქა ბრძოლამ დემოკრატიასა და არის-
ტოკრატიას შორის. დემოკრატულმა პარტიამ დახმარებისათვის მიმართა კო-
რინთოს. ოლიგარქოსებმა იმავე მიზნით მიმართეს კერკირას. კერკირას იმედი
არ ჰქონდა, რომ თავისი საკუთარი ძალ-ღონით გაუმკლავდებოდა და მოერე-
და კორინთოს, და ამიტომ ათენს მიმართა. ამან არაჩვეულებრივ გაამწვავა ურ-
თიერთობა კორინთოსა და ათენს შორის, რადგანაც კერკირა წარმოადგენდა
ეტყად მნიშვნელოვან დასაყრდენ პუნქტს დასავლეთთან ვაჭრობის დროს.

მეორე საბაბი იყო ქალკიდიკაში გაშენებულ პოტიდეას, კოლინთოს
ასალშენის, საკითხი. როგორც კორინთოს ასალშენს, მას თავისთან ჰყავდა კო-
ლინთოს წარმომადგენელი. შემდეგ იგი შევიდა ათენის საზღვაო კავშირში. მას
არ შეეძლო არ შესულიყო ამ კავშირში, მიტომ რომ იგი ყოველმხრივ გარშე-
შორტყმული იყო კავშირის სამფლობელოებით. შინც პოტიდეას მდგომარეობა
ათენის საზღვაო კავშირში ორკოფული იყო, რადგანაც იგი მკიდროდ იყო და-
კავშირებული კორინთოსთანაც. სანამ კორინთოსა და ათენს შორის ურთიერთო-
ბა გასაძლიის იყო, პოტიდეას მდგომარეობაც ასატანი იყო, მაგრამ როცა ეს
ურთიერთობა გამწვავდა, პოტიდეა გამოვიდა ათენის საზღვაო კავშირიდან. ეს
იყო ომის მეორე საბაბი.

ბოლოს. მესამე საბაბად შეიქნა ეგრეთწოდებული მეგაროს ფსეფისმა.
ე. ი. ათენის სახალხო კრების 432 წ. დადგენილება. რომლითაც მეგარას ეკო-
ნომიკურად ვაჭრობის წარმოება ათენის საზღვაო კავშირის რომელიმე წევრთან.
სეგარა შედიოდა პელოპონესის კავშირში. მეგაროსთვის ვაჭრობის აკრძალვა
ათენის საზღვაო კავშირთან ის უკანასკნელი წვეთი იყო. რომელმაც პირთამდე
აავსო პელოპონესის კავშირის მოთმინების ფიალა.

უნდა ითქვას, რომ პერიკლე ამ ხანებში მეტად შეუპოვებელ პოლიტიკას
აწარმოებდა. რასაც გვიჩვენებს კერძოდ მეგაროს ფსეფიზმის გატარება, რომელ-
საც აშკარად პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა.

რით აიხსნება პერიკლეს საგარეო პოლიტიკის ეს შეცვლა? ალბათ ამის
ამოცანა უნდა ვეძიოთ ათენის შინაგან ურთიერთობა-განწყობილებაში. პერიკ-
ლე გრძნობდა, რომ ზომიერ-დემოკრატიული პარტიის გავლენა ეცემოდა.
გრძნობდა, რომ ოპოზიცია მის წინააღმდეგ იზრდებოდა და ამიტომ! მოიწადინა
ტაქტიკის რამოდენიმედ შეცვლა და ამით თავისი მდგომარეობის განმტკიცება.
იგი ოპოზიციის განწყობილებას აჰყვა და ათენის საგარეო პოლიტიკა გაააქტივა.
პერიკლეს ეკვი არ ჰქონდა იმისი, რომ ომი გამარჯვებით დათავდებოდა. ასეთი
დაბოლოება ომისა მის მდგომარეობას განამტკიცებდა. ყველა ეს მოსაზრება
პერიკლეს უკარნახებდა პელოპონესის კავშირთან ურთიერთობის გამწვავების
გზით წასულიყო.

ომის წინ სპარტამ ათენს ულტიმატუმი წაუყენა. სადაც მთავარ მუხლად
იყო შეტანილი იმის მოთხოვნა, რომ ათენს „ელინები გაეთავისუფლებინა“.
სხენაირად რომ ითქვას. ეს მოთხოვნილება, საბოლოოდ ის იყო. რომ ათენს
დაეშალა საზღვაო კავშირი. ეს მოთხოვნილება, რასაკვირველია, შეუძლებელი

იყო ათენს შეესრულებინა და წარმოადგენდა ომის ფარულ გამოცხადებას, რაიც დაიწყო კიდევ 431 წ.

პელოპონესის ომი 27 წელიწადი — 431-დან 404-მდე — გრძელდებოდა. პირველი ხანა გრძელდებოდა 431-დან 421-მდე. ეს იყო ეგრეთწოდებული არქიდამეს ომი, რომელსაც ასე ეწოდა სპარტის მეფის არქიდამეს სახელის მიხედვით. რომელიც ომის პირველ წლებში ატიკაში შეიჭრებოდა ხოლმე.

421 წ. მოხდა ნიკიას ზავი. ფაქტიურად ეს იყო დროებითი ზავი, რომელიც მარტო ორი წელიწადი გრძელდებოდა. რადგან 419 წ. ომი ფაქტიურად ხელახლად დაიწყო და 15 წელიწადს გაგრძელდა; 404 წლამდე.

ასეთია ომის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

პერიკლემ შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებდა ათენის ძლიერებას ზღვაზე და მის შედარებით სისუსტეს ხმელეთზე.

ათენის ფლოტი უნდა თავს დასხმოდა პელოპონესს. მაგრამ რადგანაც ათენის სახმელეთო ჯარს არ შეეძლო სპარტას გამკლავებოდა, ხმელეთზე უხდებოდათ მოგერიებითი ომის წარმოება, თანაც ეს მოგერიებითი ომი ძალიან ელემენტარულად ჰქონდათ წარმოდგენილი და ნააზრვევი: ატიკის ყველა მცხოვრებს თავი უნდა ათენში შეეფარებინა და იქ შეხიზნით სპარტის თარეშ-თავდასხმებს არიდებოდა.

პერიკლეს გეგმამ ბევრი-რამ არ გაითვალისწინა. მან უპირველეს ყოვლისა ანგარიში არ გაუწია და არ გაითვალისწინა ათენში ძალთა კლასობრივი განწყობილება. პერიკლემ არ გაითვალისწინა ოპოზიცია. არ ივარაუდა ის, თუ როგორ შეხვდნენ ატიკის მიწათმოქმედი ჯგუფები იმ აკლებ-აოხრებას, რომელიც თიფონ გეგმითვე ნაგულისხმევი იყო. ამა დალუბა პერიკლე.

ორი წლის განმავლობაში, 431-სა და 430 წლებში, სპარტის ჯარები შედეგ არქიდამეს მეთაურობით შემოიჭრებოდნენ ხოლმე ატიკაში და დაუზოგველად იკლებდნენ და აოხრებდნენ იქაურობას. მთელი ატიკის მოსახლეობა ათენში იყო შეხიზნული. როცა გლეხებმა დაინახეს, თუ როგორ ოხრდებოდა და ისპობოდა მათი მრავალი წლის ნაამაგარი — ზეთისხილის დარგულობანი, ვენახები, სახლ-კარი, — ისინი სასოწარკვეთილებამ და ბრახმა მოიცვა ომის ამშლელთა წინააღმდეგ. ეს ვერ გაითვალისწინა პერიკლემ. იმან მსედველობაში არ მიიღო ის ძერა. ის ცვლილება, რომელიც უნდა მომხდარიყო გლეხობის განწყობილებაში. მით უფრო რომ გლეხობა საერთოდ თავიდანვე ძალიან თავშეკავებულად შეხვდა ომს. ომი წარმოებდა ქალაქის მოსახლეობის, მოვაჭრე-მრეწველების ინტერესების შესაბამისად.

ათენში მოსახლეობა აუარება იყო შექუჩული (ამ შექუჩების, პირდაპირ წარმოუდგენელი შემკიდროვების ნათელ სურათს გვიხატავს არისტოფანე, რომელიც წერს, რომ ათენელები მოედნებზედაც ცხოვრობდნენ. ტაძრებშიაც. ჩასადენ მიღებშიაც; ქალაქში ერთი ბიჯი მიწაც კი არ იყო, რომ ზედ მახლობელი ადგილების მოსახლეობა არ ყოფილიყოს შეხიზნული); ყველა ამ გაჭირვება-შევიწროებას ზედ დაერთო კიდევ ერთი უბედურება: ათენში იფეთქა რა-

ლაც საშინელმა ეპიდემიამ, რომელიც აღმოსავლეთიდან იყო შემოტანილი. იგი თითქმის სამი წელიწადი მძვინვარებდა და საშინელ მუსსრს ავლებდა ხალხს.

პერიკლეს სტრატეგიული გეგმის შეტევითი ნაწილი ძალიან დუნედ და უშნოდ სრულდებოდა. თუმცა ათენის ფლოტი წაეიდა კიდევ პელოპონესის ნაპირებისკენ, მაგრამ ამ თავდასხმას არავითარი შედეგი არ მოუტანია.

ყველა ამ გარემოებათა წყალობით მეტის-მეტად ძლიერდება ოპოზიცია პერიკლეს წინააღმდეგ როგორც მემარცხენე რადიკალური წრეების მხრივ. რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ომის მოღუწებით წარმოების გამო, ისე მემარჯვენე, მიწათმფლობელთა ჯგუფის მხრივ.

430 წ. პერიკლე, პირველად მთელი 15 წლის განმავლობაში, აღარ იყო სტრატეგოსად არჩეული. ეს კიდევ არაფერი — იგი პასუხისგებაში მისცეს ბორტმოქმედებისათვის და იძულებული იყო დიდი ჯარიმა გადაეხადა. მართალია, 429 წ. ჩვენ მას კვლავ ეხედავთ ხელისუფლების სათავეში. ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ რა მოხდა, მაგრამ პერიკლემ შესძლო კვლავ თავის ავტორიტეტის განმტკიცება. ამ დროს ის გარდაიცვალა ეპიდემიისგან. მაგრამ ამის მიუხედავად პერიკლეს პოლიტიკური კარიერა დამთავრდა. მან თუ კიდევაც შესძლო ხელახლა ხელისუფლებას დაბრუნებოდა, ეს იყო მხოლოდ დროებითი მოვლენა. ზომიერი პარტიის ბატონობა, რომლის მოთავედაც პერიკლე იყო, უკვე თავდებოდა და ომი ის ბიძგი იყო, რომელმაც ეს ბატონობა საბოლოოდ მოსპო და დაასამარა.

მართალია, პერიკლეს სიკვდილის შემდეგ დემოკრატიული „პარტიის“ ზომიერი ფრაქცია ნიკიას მესვეურობით რამოდენიმე ხანს კიდევ შერჩა ხელისუფლებას, მაგრამ იგი უკვე სულს დაფავედა და ყოველგვარი უნარი დაკარგული ჰქონდა ენერგიული მოქმედებისა.

ომი წარმოებს ძალიან მოშვებით, მოღუწებულად, მას აქვს წმინდა მოგერიებითი ხასიათი. უფრო და უფრო თავს იწვეს ის ოპოზიცია, რომელმაც ძირს დასცა პერიკლე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ხანებში ათენში უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობენ მონათმფლობელი-მრეწველები, მსხვილი ბითუმად მოვაკრეები, რომელნიც უმთავრესად დაინტერესებულნი იყვნენ ახალშენებთან ვაჭრობით, პურისა და ფულის სპეკულანტები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ძლიერდება ლუმპენ-პროლეტარიატის ფენები. საგარეო პოლიტიკის დარგში ყველა ეს ჯგუფები ძალიან აგრესიულად არიან განწყობილნი. რადიკალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას ხელმძღვანელობდნენ საშუალო და მსხვილი მიწათმფლობელები, როგორც მაგალითად კლეონი, ალკიბიადე და სხვანი. ამ მიმდინარეობის მომხრეებს შორის ღარიბ და ლუმპენ-პროლეტარულ ელემენტების ყოფნამ უფრო რადიკალური ხასიათი მისცა მის შინაგანი პოლიტიკის პროგრამას შედარებით პერიკლეს ზომიერ დემოკრატიზმთან. გადამწყვეტ, გაბედულ საგარეო პოლიტიკის გატარების საჭიროების შესახებ ლოზუნგთან ერთად ახლა წამოყენებულ იყო აგრეთვე ლოზუნგი შემდგომ დემოკრატიულ ცვლილებათა შესახებ.

428 წ. კუნძულ ლესბოსზე მდებარე ქალაქ მიტილენის, არისტოკრატიაში გადასწყვიტა ათენს ჩამოსცლოდა და კავშირი შეეკრა სპარტასთან. მიტილენის არისტოკრატიაში განაცხადა — ჩვენ გავდივართ ათენის საზღვაო კავშირიდანო, ვააბა კავშირი პელოპონესთან და აქედანაც აჯანყებულთა დასახმარებლად გაგზავნილ იქმნა ფლოტი.

მაგრამ ეს დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა. ათენელებმა ერთი წლის განმავლობაში მიტილენის გარემოცვის შემდეგ დაიპყრეს იგი და ათენის სახალხო კრებამ გადასწყვიტა მიტილენელების დასჯა. დაბალ (მეტყავე) კლეონის დაბეჯითებითი მოთხოვნისათვის, — ის იყო რადიკალურ-დემოკრატიული დაჯგუფების მეთაური, — დაადგინეს სიკვდილით დაესაჯათ ყველა მიტილენელი მამაკაცი მათი დანაშაულის ხარისხის მიუხედავად.

მეორე დღისით კრება ცოტათი გონს მოვიდა და გადასწყვიტა შეეცვალა თავისი გუშინდელი დადგენილება. კლეონი კვლავ გამოვიდა კრებაზე და მეტად დამახასიათებელი სიტყვა წარმოთქვა (მას გადმოგვცემს თუკიდიდე).

„უკვე მრავალჯერ, — ამბობდა კლეონი, — სხვა შემთხვევების დროს მე იმ რწმენა-დასკვნაში მივსულვარ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი სხვებზე ბატონობისა“ (ეს, რასაკვირველია, ირონია იყო, კლეონის მიერ თქმული. — ს. კ.).

„თქვენ ანგარიშს არ უწევთ იმას, — ამბობდა იგი შემდეგ, — რომ თქვენი ბატონობა მოკავშირეებზე წარმოადგენს ტირანიას, რომ თქვენი მოკავშირეების მტრული ზრახვებით არიან აღძრულნი და არახალისიანად იტანენ და ითმენენ თქვენ ძალა-უფლებას. ისინი თქვენ გიგონებენ არა იმიტომ, რომ მათთვის თქვენ სიკეთეს სთვსთ და ამით თქვენ თავს ზიანს აყენებთ, არამედ უფრო იმიტომ, რომ თქვენ მათ მძლეობთ ძლიერებით, და აქ არავითარ როლს არ თამაშობს მათი თქვენდამი განწყობილება. ყველაზე საშინელი კი ის იქნება, თუ ჩვენ მტკიცედ არ დავადგებით ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებათა გზას და არ შევიგნებთ იმას, რომ სახელმწიფო თუნდაც უხეირო, უფრო ცუდი, ოღონდ უცვალბებელი კანონებით უფრო ძლიერია იმ სახელმწიფოზე, რომელსაც აქვს მშვენიერი, თუმცა სისრულეში მღუპყვანელი კანონები, (არ შევიგნებთ იმას,) რომ გაუნათლებლობა, თუ ხასიათი მტკიცე გაქვს, უფრო სასარგებლოა, ვიდრე განათლება, თუ კი მას უხასიათობა თან ახლავს, (არ შევიგნებთ იმას), რომ უფრო უბრალო ხალხი ჩვეულებრივად უფრო უკეთესად უძღვება საქმეებს სახელმწიფოში, ვიდრე უფრო ინტელიგენტი ხალხი. მაშ ასე, ...ღირსეულად დასაჯეთ მიტილენელები და ყველა მოკავშირეს უჩვენეთ ნათელი მაგალითი: ყველას, ვინც კი განგიდგებათ, თქვენ სიკვდილით დასჯით“.

მაგრამ კლეონის სიტყვამ ამ გზობაზე გავლენა ვერ მოახდინა კრებაზე. წინანდელი აღტყინება დასცხრა და დაადგინეს სიკვდილით დაესაჯათ მარტო ის პირნი, ვინც უშუალოდ იყო გარეული შეთქმულებაში, ე. ი. მარტო არისტოკრატები. სიკვდილით დასჯილ იქმნა ათასზე მეტი კაცი.

რა დასკვნების გამოყვანა შეიძლება მიტილენის ინციდენტიდან?

ათენის საზღვაო კავშირი იწყებს დაშლას. მიტილენი პირველი ქალაქი იყო, რომელიც შეეცადა კავშირიდან გასვლას. მას მალე სხვებიც მიჰყვებიან.

ათენმა თითონვე იწვნია თავისი აგრესიული პოლიტიკის. შედეგები. მოკავშირეები იწყებენ ათენის მტრების მხარეზე გადასვლას, ამასთანავე ეს გადასვლა დაკავშირებულია იმ კლასობრივ ბრძოლასთან, რაიც მიმდინარეობდა მოკავშირე თემების შიგნითვე. პელოპონესის ომმა საერთოდ არაჩვეულებრივ გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა ეგეოსის ზღვის რაიონში. თვითეულ ქალაქში, იმისდა მიუხედავად, იყო ის ათენის კავშირში თუ პელოპონესისაში, არისტოკრატია სპარტის მხარეზე იდგა, დემოკრატია კი ათენის მხარეზე იყო. „მთელი ელადა, + წერს თუკიდидე, — შერყეული იყო, რადგან ყველგან შფოთი და უთანხმოება არსებობდა დემოკრატიულ და ოლიგარქიულ პარტიებს შორის. ამასთანავე პირველის წარმომადგენლები დასახმარებლად მოუწოდებდნენ ათენელებს. მეორის წარმომადგენლები კი — ლაკედემონელებს. მშვიდობიან დროს ამ პარტიებს არც საბაბი ექნებოდათ და არც ხელისშემწყობი მდგომარეობა, რომ მოეწვიათ ერთნი ან მეორენი; სამაგიეროდ. ომის დროს მოკავშირეთა მიბირება ორივე მტრულად განწყობილ მხარისთვის აღვირდებოდა. რამდენადაც ერთსა თუ მეორეს სურდა რაიმე სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოეხდინა იმ მიზნით, რომ ამით მოწინააღმდეგისათვის ენება მიეყენებინა, ხოლო თვითონ კი სარგებლობა ენახა. და ურთიერთშორისი ბრძოლის გამო მრავალი უბედურება დაატყდა თავს სახელმწიფოს, ისეთი უბედურებანი შეემთხვა, რომელნიც არის და ყოველთვისაც იქნება ხოლმე, სანამ ადამიანის ბუნება ამგვარივე რჩებაო“. მიტილენის განდგომა, ჩამოცილება ათენისგან. მოხდა სწორედ აი ასეთი კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიტილენის არისტოკრატისა და დემოკრატისა შორის.

მიტილენის ინციდენტი დამახასიათებელია იმ პროგრამის თვალსაზრისითაც, რომელსაც კლეონი აჭითარებს. იგი მეთაურია ათენელ მონათმფლობელებს შორის უკიდურესი მემარცხენე დაჯგუფებისა. რა პოლიტიკას-ლა ურჩევს იგი მიტილენების მიმართ და საერთოდ მოკავშირეების მიმართ? კლეონი დაუზოგავი ტერორის მომხრედ გველინებჲ. ის აღიარებს იმ ფაქტს, რომ ათენელები მოკავშირეებზე გაბატონებულნი არიან მხოლოდ თავიანთი ძალის, თავიანთი ძლიერების წყალობით, და ურჩევს აქედან გამოიყვანონ ყველა საჭირო დასკვნა. ეს პროგრამა უაღრესად ტიპურია ანტიკური დემოკრატიული პოლისისთვის და გვიმჟღავნებს მთელ თავსებურებას ანტიკური, დემოკრატიისას. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ პოლისი წარმოადგენდა მონათმფლობელთა კოლექტივს, რომ მონებისა და დაქვემდებარებულ ოლქებისგან გამოექანათ ზედმეტი პროდუქტი. და რაც უფრო ძლიერი ხდებოდა მოქალაქეებს შორის ლუმპენ-პროლეტარული, პარაზიტული ელემენტი, მით უფრო მეტად დაუზოგავ ხასიათს იღებდა ეს პროგრამა.

427 წ. მოხდა მეორე ამბავი, რომელიც აგრეთვე ძალიან დამახასიათებელია მთელი იმ გარემოსთვის, პელოპონესის ომმა რომ შეჰქმნა.

კერკირაში იფეთქა სამოქალაქო ომმა. არისტოკრატამ ხელთ იგდო ძალა-უფლება და გადასწყვიტა ათენს ჩამოშორებოდა. ამ ამბებთან დაკავშირებით კერკირაში ამტყდარი კლასობრივი ბრძოლა იმდენად ტიპურია ანტიკური დროისთვის, რომ საჭიროა მასზე ცოტა უფრო დაწვრილებით შეჩერება.

„დადგა თუ არა ღამე. — წერს თუკიდიდე. — დემოკრატები გაიქცნენ აროპოლისში და ქალაქის მიღობ ნაწილებში. იქ თავი მოიყარეს და ჩასაფრდნენ, თანაც დაიკავეს აგრეთვე პილადის ნავსადგური. მოწინააღმდეგეებმა (ე. ი. არისტოკრატებმა. — ს. კ.) დაიჭირეს ქალაქის მოედანი; რომლის მეზობლადაც ცხოვრობდნენ ისინი მეტწილად, და აგრეთვე ნავსადგური, რომელიც მოედანსა და ხმელეთს ზედ ეკრა. მეორე დღისით მოხდა პატარ-პატარა შეტაკებანი და ორივე მხარე მეზობელ მონდვრებში თავიანთ მათუწყებლებს გზავნიდა და მოუწოდებდა თავისკენ მონებს. თანაც განთავისუფლებას ჰპირდებოდა. მონების უმეტესობა დემოკრატებს მიემხრო. ხოლო მოწინააღმდეგეებთან დასახმარებლად გამოცხადდა ხმელეთიდან 800 კაცი. ერთი დღის განვლის შემდეგ ბრძოლა განახლდა და გამარჯვება დარჩათ დემოკრატებს. იმის გამო, რომ მათ უფრო გამაგრებული პოზიციები ექირათ და რიცხვითაც მოწინააღმდეგეს სჯარბობდნენ. მათ თავდადებით ეხმარებოდნენ დედაკაცებიც, რომელნიც სახლის სახურავეებიდან კრამიტებს ესროდნენ და ბრძოლის ყიყინას უძლებდნენ იმ სიმედგრით. რაიც არ სჩვევია მათ სქესსო“.

მებრძოლმა პარტიებმა გარეშე დანმარებისათვის მიმართეს: დემოკრატებმა ათენელებს. არისტოკრატებმა -- პელოპონესელებს. ამრიგად შენაგან ბრძოლა გართულდა საგარეო ბრძოლით. ბოლოს, ათენის ფლოტის დახმარებით კერკირის დემოკრატებმა გაიმარჯვეს და დაიწყეს არისტოკრატების დაუსოგავად უღეტა-ხოცვა. „კერკირელები. — ამბობს თუკიდიდე. — ხოცავდნენ ყოველ მოწინააღმდეგეს. ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ... ისინი შევიდნენ პერას ტაძარში. ორმოცდაათ კაცამდე. იქ რომ თავი შეაფარეს, დააჯერეს სასამართლოს დაემორჩილენითო. და ყველა მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მაშინ არისტოკრატების უმრავლესობამ. პერას ტაძარში რომ თავი შეაფარა და დაითბირობა-დაყრიობას ყური. არ ათხოვა. დაინახა თუ არა. რაც ხდებოდა. დაიწყეს ერთმანეთის ამოხოცვა იქვე. ტაძარში. ზოგიერთმა თავი ხეზე ჩამოიხრჩო. ზოგი თავს იკლავდა როგორც კი მოახერხებდა... საერთოდ. ყოველნაირი სახის სიკვდილი სუფევდა იქ. ხდებოდა აქ ყოველივე ის: რაც ჩვეულებრივად არის ხოლმე ასეთ დროს. უფრო მეტიც: მამა შეიღს ჰკლავდა, მლოცველებს წმინდა ადგილებს ძალით აშორებდნენ. ამ ადგილებთანაც კი პსოკავდნენ: ზოგიერთი დიონისის საკუროხეველში იყო ჩაკეტილი და იქ დაიღუპა. აი ასეთ გაშმაგებამდე მივიდა მათაშორისი. სამოქალაქო ომი. უთანამოება“.

კერკირის ამბები დამახასიათებელია არა მარტო იმ გაშმაგებით. რომელიც თან სდევდა სამოქალაქო ომს. არამედ ჩვენთვის უალრესად საინტერესო იმითიცაა, რომ ამ ამბებში მონაწილეობას იღებდნენ მონებიც, რომელთა მიმხობბას, თავისკენ ერთი მხარეც ცდილობდა და მეორეც.

დაუბრუნდეთ კვლავ ათენს. 426-425 წლებში ზომიერ-დემოკრატიული პარტია ჰკარგავს ძალა-უფლებას. მას სიკვლიან რადიკალური დემოკრატები და ეს, შენაცვლება ხელათვე გავლენას ახდენს სამხედრო მოქმედების გაცხოველებაზე. ახალი მთავრობა. რადიკალური დემოკრატიის რიგებიდან რომ გამოვიდა პელოპონესში იწყებს შეტევით მოქმედებას. ამ მიმართულებით გადაადგილო ბირველ ნაბიჯს წარმოადგენს ქალაქ პილოსის ნავსადგურის დაპყრობა. რომ-

ლრც მდებარეობდა პელოპონესის დასავლეთ ნაწილში (მესენიაში).

პილოსის დაპყრობა მნიშვნელოვანი ამბავი იყო არა მარტო იმიტომ, რომ პილოსი იყო ერთ-ერთი მარჯვე და მისადგომი ნავსადგურთაგანი, რომელთა რიგში პელოპონესში დიდი არ ყოფილა. პილოსის დაკავებას ჰქონდა წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა პილოსი მესენიის ნავსადგური იყო და ათენელებს იმედოვნებდათ აქ ფეხის მოკიდებისთანავე სპარტის წინააღმდეგ აამხედრებდნენ მესენიის ილოტებს. ილოტების მოძრაობა მართლაც დაიწყო, და სპარტამაც რადგან მშვენივრად ესმოდა პილოსის მნიშვნელობა, ჰოპლიტების ძლიერი რაზმით დაიკავა პილოსის ნავსადგურის შესავლის პირას მდებარე პატარა კუნძული სფაქტერია. სფაქტერიის დაჭერის შემდეგ ათენელები ზღვის მხრიდან ჩაკეტილები შეიქნენ.

მაშინ პილოსის საშველად მოვიდა ათენის ესკადრა და სფაქტერიას გარს შემოერტყა. მაგრამ სპარტელებს ძალიან მტკიცედ ეკირათ თავი. ათენის სასაღბო კრებაში ამ შემთხვევის გამო ცხარე კამათი შეიქნა. კლეონი თავისი ჩვეულებრივი სიცხარით ილაშქრებდა იმ სტრატეგოსების წინააღმდეგ, რომელნიც სფაქტერიის გარემოცვას ხელმძღვანელობდნენ და მათ ბრალს სდებდა იმის წარმოება არ იცინაო.

მაშინ ნიკიამ. რომ კლეონი გაეგულისებინა, ურჩია — შენ თითონ ჩაუდგე ჯარს სათავეში და გვიჩვენე, რის გაკეთებაც შეგიძლიანო. კლეონიც, რომელიც მანამდე სამხედრო საქმეს სრულიად არ ღცნობდა, იძულებული შეიქმნა ეს გაწვევა მიეღო და სარდლობა ეკისრნა.

ეს მართლაც სათავეში ჩაუდგა იმ ათენელთა რაზმს, რომელსაც სფაქტერიისთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, და თავისი რკინისებური ენერჯის წყალობით მან ოცი დღის განმავლობაში აიძულა კიდევ სპარტელი ჰოპლიტები მას დანებებოდნენ (425 წ. შემოდგომით). ჰოპლიტების რაზმი თავის თავად დიდი არ ყოფილა, ოღონდ ნარჩევი კი იყო, რადგანაც მის რიგებში იყვნენ სპარტის საუკეთესო გვართა წარმომადგენლები. ყველა ესენი მძევლად წაიყვანეს ათენში.

სფაქტერიის აღებამ არაჩვეულებრივად გაზარდა კლეონის ავტორიტეტი და საერთოდ მთელი რადიკალურ-დემოკრატიული „სპარტიისაც“. კლეონი რამდენიმე ხნით შეიქნა ათენის სრული ბატონ-პატრონი.

რა ზომებს-ღა იღებს, რა ღონისძიებათ-ღა ატარებს ცხოვრებაში რადიკალური დემოკრატია მისი ძალა-უფლების 425 წელს საბოლოო განმტკიცების შემდეგ?

უპირველეს ყოვლისა გაზარდეს მოკავშირეთა მონაწილეობა: 600 ჰოპლიტის ნაცვლად მოკავშირეებს ახლა 100-მდე ჰოპლიტი უნდა გამოეყვანათ. ეს ძალიან ტიპიურია ანტიკური რადიკალური დემოკრატიისათვის.

ჯერ კიდევ მიტილენის გარემოცვის დროს შემოღებული იყო ქონებაზე პირდაპირი გადასახადი, რამაც მისცა ხაზინას 200 ტალანტამდე.

აგრეთვე მოემატათ ჯამაგირი ნაფიც მსახურლებს ორი ობოლიდან სამ ობოლამდე.

ბი ეს იყო რადიკალურ-დემოკრატიული პარტიის ყველა დიდი შინაგანი ღონისძიებანი. მთელი მათი საქმიანობა საბოლოოდ იმაში გამოიხატა, რომ მოკავშირეების საგადანსახადო ნორმა გაზარდეს და ნაფიცებს ჯამაგირი გაუდიდეს!

მაგრამ საგარეო საქმეებში კი რადიკალურმა დემოკრატამ მოახერხა თვალსაჩინოდ გაეუმჯობესებინა ათენელების სამხედრო მდგომარეობა. ათენის ფლოტმა დაიკირა კუნძული კითერა, რომელიც პელოპონესის სამხრეთ კილურზე მდებარეობდა. ათენელებმა შესძლეს აგრეთვე მეგარის ნავსადგურის ნისიას ბელში ჩაგდება.

გარდა ამისა. სპარტელებს გამოუცხადეს — თუ ატიკაზე თავდასხმა — თარეშებს არ შესწყვეტო, ყველა თქვენ სფაქტერიიდან წამოსხმულ ტყვეებს ბოლოს მოეულებო, დაეხოცავთო. რადგან ეს მძევლები ეკუთვნოდნენ უფრო თვალსაჩინო და გამოჩენილ ოჯახებს, სპარტაც იძულებული შეიქნა ხელი აეღო შემდგომ თარეშებზე. ამან საშუალება მისცა ათენს თავისი თავი განეტვირთა ზედმეტ მოსახლეობისგან და ატიკაში აღედგინა ნორმალური სამეურნეო ცხოვრება.

სპარტასა და საერთოდ პელოპონესში მდგომარეობა ძალიან შემადიქრია-ნებელი შეიქმნა მას მერე, რაც მესენიაში დაიწყო ილოტების მღელვარება. მაშინ სპარტამ გადასწყვიტა ომი გადაეტანა თრაკიაში. ქალკიდიაში, სადაც ათენის პოზიციები არ იყო ძალიან მტკიცე და მყარი. ჩვენ გეანსოვს. რომ ომის ერთ-ერთ საბაბად შეიქნა კორინთოს ახალშენის პოტიდეას განდგომა. რომელიც პანამდე შედიოდა ათენის საზღვაო კავშირში.

ყველა ეს „მოკავშირენი“ — პოტიდეა, ოლინთი, ამფიპოლისი — დიდი გაქირვებით, ძლივს იტანდნენ ათენის ხელისუფლებას, და ამიტომაც სპარტაში აღძრათ გეგმა თრაკიაში გაეგზავნათ ჯარები, რომ მოკავშირე ქალაქები აემხედრებინათ ათენის წინააღმდეგ. ეს ანგარიაში, ვარაუდი სწორი იყო.

თრაკიაში გადასროლილ იქმნა სპარტის საკმაოდ დიდი რაზმი. ნიჭიერი სარდლის ბრასიდეს მეთაურობით. რომელსაც ამასთანავე დიპლომატიური ნიჭიც ჰქონდა. ბრასიდემ შესძლო მალე ჩამოეშორებინა ათენისგან მთელი რიგი ქალკიდის ქალაქები, კერძოდ დიდი ქალაქის ამფიპოლისის ჩამოცილება-განდგომა. ათენის ფლოტმა თრაკიაში, რომ მოქმედებდა, ვერ შესძლო ამფიპოლისის შენარჩუნება.

ამ ფლოტის სარდლად იყო სახელოვანი ისტორიკოსი თუკიდიდე. თუკიდიდე, თუმცე ნიჭიერი ისტორიკოსი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ იყო ზეირიანი სარდალი. მან ვერ შესძლო ამფიპოლისის შენარჩუნება: ამ ქალაქმა თავისი კარიბჭე გაუხსნა სპარტელებს. ამის გამო თუკიდიდე სამართალში მისცეს და მას მიუსაჯეს სამშობლოდან სამუდამო გაძევება, მაგრამ, როგორც ჩანს, ომის სულ ბოლოს იგი ათენში დაბრუნდა.

ამფიპოლისის დაკარგვასთან ერთად ათენელები სასტიკად იქმნენ დამარცხებულნი დელიასთან (ბეოტიაში). ამ მარცხებმა ისე გააძლიერეს ათენში მშვიდობიანი მიმდინარეობა, ზავის აზრი, რომ 423 წ. გაზაფხულზე პელოპონესელებთან დადებულ იქმნა დროებითი ზავი ერთი წლის ვადით.

422 წ. გაზაფხულზე კლეონი პირადად ჩაუდგა სათავეში იმ ჯარებს, რომელნიც მოქმედებდნენ თრაკიაში ბრასიდეს წინააღმდეგ. მაგრამ იმავე წელს ზაფხულში მას ამფიპოლისთან ანაზდეულად თავს დაესხნენ სპარტელები. ამ ბრძოლაში ორივე სარდალი დაიღუპა — ბრასიდეს და კლეონიც. მათმა დაღუპვამ საბაბი მისცა ზავის შესახებ მოლაპარაკებათა განახლებისა. მოწინააღმდეგენი ძალიან იყვნენ დასუსტებულნი ამ ომით, რომელიც უკვე ათი წელიწადი გრძელდებოდა. რეალური შედეგი ომს არც ერთი მხარისთვის მიუტია და არც მეორისთვის. სპარტას თავს ესხმოდნენ პილოსიდან და კითერიდან. ილიტები მტრის მხარეს გადადიოდნენ და ყოველ წუთს შეიძლებოდა აჯანყებულყვენენ. აგროსი სპარტას ომით ემუქრებოდა; ათენშიაც იმარჯვებენ ზავის მონხრეები მით უფრო. რომ კლეონის დაღუპვამ ძალიან დაასუსტა მანამდე საბრძოლველად განწყობილი რადიკალური ჯგუფი. მართალია, მისი მოადგილე რადიკალური დემოკრატიის ხელმძღვანელობის მხრივ. ლამაზს სახელოსნოს პატრონი ჰიპერბოლეს საკმაოდ ენერგიული კაცი იყო, მაგრამ კლეონის შეცვლა როგორც თავისი ჯგუფის ლიდერს, არ შეეძლო. ამის ძალა არ შესწევდა. ამიტომაც ათენში კვლავ ძლიერდება ზომიერი დემოკრატია. მისი წარმომადგენელი ნიკია არჩეულ იქმნა სტრატეგოსად და 421 წ. გაზაფხულზე ათენსა და სპარტას შორის დადებულ იქმნა ევროთწოდებული ნიკიას ზავი.

ნიკიას ზავის პირობების მიხედვით ორი მხარე *status quo*-ს ინარჩუნებდა. ყველა ის ადგილები, რომელიც დაპყრობილი ჰქონდა ორივე მხარეს, უნდა უკან დაებრუნებინათ პატრონებისთვის.

ამრიგად, ზავმა არავითარი შედეგი არ გამოიღო და ის ძირითადი პრობლემა, რომელიც ომს უნდა გადაეწყვიტა. — ვინ ყოფილიყო საბერძნეთში ბატონ-მბრძანებელი, — ისევ გადაუწყვეტელი დარჩა. განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ დადებული ზავით სპარტის მოკავშირეები — კორინთო და მეგარა. რომელთა სავაჭრო-სამრეწველო წრეები ათენის განადგურებას ლაშობდნენ. მათი უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ ისინი პელოპონესის კავშირიდანაც კი გამოვიდნენ. ფაქტიურად ზავის თითქმის არც ერთი მხელი არ იყო შესრულებული: არც პილოსი, არც კითერა, არც ამფიპოლისი უკან არ ყოფილა მფლობელისადმი დაბრუნებული. ყველა დაპყრობილი ოლქი და ქალაქი თვითველ მეომარ მხარეს მაგრად ჰყავდა თავის ხელში ჩაბოჭილი.

ზავის დადების შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი და ათენში კვლავ ძლიერდება ომის მომხრეთა მიმდინარეობა, კვლავ იზრდება საბრძოლო განწყობილება ათენის დემოკრატიის რიგებში.

ამ განწყობილებათა გამომხატველად ათენში შეიქმნენ: ჰიპერბოლე, ჩენთის უკვე ცნობილი მრეწველი-მონათმფლობელი. და ალკიბიადე. ალკიბიადე მირტო ახლა. ამ დროს, იწყებს დაწინაურებას, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. ჩამომავლობით არისტოკრატი, პერიკლეს ნათესავი. იგი დიდი სახელი

*) *status quo* — საყოველთაოდ გავრცელებული ლათინური თქმაა, რომელიც წარმოადგენს შემდეგ სიტყვების შეკვეთას „*status quo ante bellum*“, ე. ი. მდგომარეობა, რომელიც იყო იმამდე.

სარგებლობის ათენის საზოგადოების ფართო წრეებში. განსაკუთრებული ნიჭი დაჯილდოვებული ალკიბიადე ტიპიური წარმომადგენელი იყო V ს. უკანასკნელი მესამედის „დარდიმანდ ჯეილკაცობისა“. სოფისტების მოწაფეს. პოლიტიკურ პატივმოყვარეს, რომელიც მზად იყო ყველაფერი მსხვერპლად შეეწირათ თავის პირად სარგებლობა-გამორჩენის გულისათვის. ალკიბიადეს არ ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური რწმენა. 420 წ. მისთვის ხელსაყრელი იყო ვაენავარდნა ხალხის მებრძოლ განწყობილებაზე და ისიც ამიტომ ემზობა რადიკალურ-დემოკრატიულ დაჯგუფებას. ჰიპერბოლე და ალკიბიადე 420 წ. გაერთიანდნენ და მოახერხეს ნიკიას გაშავება არჩევნებში. მთავრობის სათავეში თავი ამოჰყო ალკიბიადემ: ჰიპერბოლემ მას დაუთმო პირველი ადგილი. როგორც საზოგადოების ფართო წრეებში უფრო პოპულარულ ადამიანს.

419 წლიდან სამხედრო მოქმედებანი განახლდა. მართალია. ფორმალურად აიკ სპარტას. არც ათენს 413 წლამდე ერთი მეორესთან არ უმნია. მაგრამ სამაჯეროდ თავიანთ მოკავშირეებს შეელოდნენ (ათენმა ახალი კავშირი დასდო არგოსთან, ელიდასა და მანტინეასთან. სპარტა კი კვლავ დაუახლოვდა კორინთოსა და ბეოტიას). კერძოდ. ათენი ჩაერია სპარტის ბრძოლაში არგოსთან და მანტინეასთან.

ამ დროის განმავლობაში ალკიბიადე იცვლის თავის ფრონტს: ის თავს ანებებს რადიკალურ-დემოკრატიულ ჯგუფს. კავშირს წყვეტს ჰიპერბოლესთან და ბლოკს ჰკრავს ნიკიასთან. 417 წ. ალკიბიადე და ნიკია ახერხებენ იმას. რომ ჰიპერბოლე განდევნილ იქმნა და 416-415 წლისათვის ორივენი არჩეულ იქმნენ სტრატეგოსთა კოლეგიაში. აი სწორედ ამ ხანებში ათენის პოლიტიკურ პოზიციონტზე კვლავ წამოიჭრება სიცილიაში ლაშქრობის იდეა. ჯერ კიდევ 427 წ. ათენში ჩამოვიდნენ სიცილიის ქალაქ ლეონტინის დესპანები. რომელნიც სირაკუზზე ჩიოდნენ — გვაიწროვებდო და დახმარებას თხოვდნენ ათენელებს. „ათენელებმა. — ამბობს თუკიდრედ. — გაგზავნეს სიცილიაში გემები ტომარჩივი ნათესაობის მომიზნებით (ლეონტინელები და ათენელები თორიანი იონიელთა ტომს ეკუთვნოდნენ — ს. კ.). ნამდვილად კი მათ სურდათ წინააღმდეგობა გაეწიათ სიცილიიდან პელოპონესში პურის გატანისათვის და აგრეთვე წინასწარ ესინჯათ. ხომ არ შეიძლებოდა სიცილიის დამორჩილება“.

427 წ. ლაშქრობა მარცხიანი აღმოჩნდა. რადგან მას მერე. რაც ათენელები გადმოსხდნენ სიცილიაში. მათ წინააღმდეგ გაერთიანდა და ერთი პირი შეჰკრა სიცილიის ყველა ქალაქმა: მაგრამ ყოველ შემთხვევაში 427 წ. სიცილიის ლაშქრობის იდეამ მიიღო სავსებით რეალური ფორმები.

ამ შემთხვევაშიაც ახლა მომიზნებეს: სიცილიის პატარა ქალაქი სეგესტა დახმარებას გვთხოვს, მეზობელ ქალაქ სელინუნტს უჩივის — მავიწროვებდო (სელინუნტს მხარს აძლევდა სირაკუზი).

ახლა კვლავ ჩნდება სიცილიის დაპყრობის იდეა. რადიკალურ დემოკრატიული ჯგუფი თანამიმდევრობით აგებს ფართო ექსპანსიის გეგმებს. მას გულმხურვალედ მხარს აძლევს ალკიბიადე, რომლისთვისაც სიცილიაში ლაშქრობა წარმოადგენდა პირად მიზნების მიღწევის საშუალებას მარტო. 416 წ. ალკიბიადე გამოდის როგორც მთავარი სულისჩამდგმელი სიცილიაში განზრახულად.

ლაშქრობისა. თანაც, რამდენადაც შეიძლება ჩვენი წყაროებისდა მხედველთ
ვომსჯელოთ, საქმე მარტო სიცილიას როდი ეხებოდა. ათენის საზოგადოების
აგრესიული ელემენტებში უფრო ფართო გეგმებს აგებდნენ, ისინი ფიქრობდნენ
კართაგენისა და იტალიის წინააღმდეგ ომზედაც.

პლუტარქოსი. ზღვიბიადეს ბიოგრაფიაში ლაპარაკობს, რომ ამ წლებში
ათენელები ნამდვილად გადარეულელებსავით იყვნენ სიცილიაში ლაშქრობის
იდებაზე. „ჯერ პერიკლეს სიცოცხლეშივე — წერს იგი, — ათენელები ხარბი
თვალთ უყურებდნენ სიცილიას; ხოლო როცა ის გარდაიცვალა, ისინი საქმეს
შეუდგნენ, ყოველთვის „დამხმარე“ და „მოკავშირე“ რაზმებს უგზავნიდნენ იმ
ჭალაქებს, რომელთაც სირაკუზი ავიწროებდა და გზას იკვლევდნენ უფრო
სერიოზული სამხედრო ექსპედიციისათვის. ის ადამიანი, რომელმაც მათი სურ-
ვილი აპრიალბულ ცეცხლად აქცია და დაარწმუნა — ჯარებს ნაწილ-ნაწილ
და თანდათანობით ნუ კი ვგზავნით. არამედ ძლიერი ფლოტით გავემგზავროთ
და კუნძულის დაპყრობას შეუდგეთო. — აი ეს კაცი იყო ალკიბიადე, ის უნერ-
ვავდა ხალხს ამ გაბედულ გეგმებს. მაგრამ პირადად იგი უფრო თამამი გეგმე-
ბით და ფიქრებით იყო გართული. მისი აზრით, სიცილია მხოლოდ ლაშქრობის
დასაწყისი იყო და არა მისი საბოლოო მიზანი, როგორც ამას სხვანი ფიქრობდ-
ნენ. ნიკია, რომელსაც სირაკუზის დაპყრობა ძნელ საქმედ ეჩვენებოდა, ხალხს
ლაშქრობას არ ურჩევდა. ალკიბიადეს კი, პირიქით, კართაგენი და აფრიკა უზ-
მანებოდა: მათ მერე მას უნდოდა იტალიისა და პელოპონესის დაპყრობა
დაეწყო...

თავისი გეგმებით მან მალე სულ გადარია და გონიერება დაუკარგა ახალ-
გაზრდობას: ათასი ზღაპრული ამბავი, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდა
განზრახულ ლაშქრობასთან, ჰქონდა მას მოხუცებისგან მოსმენილი, ასე რომ
მთელი დასები პალესტრებსა ან საჯარო ადგილებში იხსდნენ და ქვიშაზე ხა-
ზავდნენ კუნძულსა და აფრიკა-კართაგენის ნაპირთა რუკებს“.

ხოლო თუკიდრე გვიმჟღავნებს ამ საერთო გატაცების ერთ საიდუმლოე-
ბასაც: „უთვალავი ხალხი, — ამბობს ის, — მათ რიცხვში მხედრებიც იმედუ-
ლობდნენ ლაშქრობის დროს ჯამაგირი გვექნებაო და ათენის ბატონობას იმდენად
გავზრდით და გავაფართოვებთ, რომ ჯამაგირი შემდეგშიაც განუწყვეტ-
ლივ გვექონდესო“.

415 წ. ლაშქრობის ორგანიზაცია დამთავრებული იყო. ფლოტი შესდგე-
ბოდა 260 გემისგან, საექსპედიციო არმია 5000-მდე ჰოპლიტს ითვლიდა თავის
რიგებში. ექსპედიციის სათავეში იდგნენ ალკიბიადე, ნიკია და ლამაქი. ნიკია
თავის სურვილის წინააღმდეგ იყო დანიშნული. თავისი პოლიტიკური რწმე-
ნით ზომიერი დემოკრატი და გამოცდილი მხედართმთავარი, — ნიკია უარყო-
ფითად უყურებდა ატეხილ ლაშქრობას და მას ავანტიურად თვლიდა. მის და-
ნიშვნას დაბეჯითებით მოითხოვდა ალკიბიადე, რადგანაც ნიკია ავტორიტე-
ტული პირი იყო სამხედრო საქმეებში. ლამაქი ნიჭიერი სარდალი იყო, ოღონდ
დიდი ავტორიტეტი არ ჰქონდა. ლაშქრობის ოფიციალურ საბაბად ვამიყენებ
სეგესტის თხოვნა დახმარების აღმოჩენის შესახებ.

415 წ. ზაფხულში ექსპედიცია მზად იყო გამგზავრებისათვის. მაგრამ ერთხელ ღამით, წასვლის ცოტა ხნის წინათ, ეილაც უტნობმა პირებმა დაამტერიეს ათენის ქუჩებში მდგარი ჰერმეები (ოთხწახნაგოვანი სვეტები) — გზათა მფარველის ღმერთ ჰერმესის გამოხატულებანი. ასეთი მკრეხელობა კუდნიშნად იქმნა მიჩნეული. ათენში დაიწყო პანიკა, ათასნაირ ხმების გავრცელება და ამ ხმებში მოუხშირეს ალკიბიადეს სახელის ხსენებასაც. მას ბრალად იმას სდებდნენ, რომ ღვთის ასეთი გმობა ჩაიდინეს ალკიბიადემ და მის მეგობართა დასმა. გაჩნდნენ დამბეზღებლებიც, რომელნიც ლაპარაკობდნენ, რომ ალკიბიადე წინათაც აძლევდა თავის თავს უფლებას მსგავსი საქმეების ჩადენისას; გაუხსნეს ისიც, რომ ალკიბიადემ რდესლაც თავისთან სახლში, ჯეილკაცობის კამპანიაში, მოაწყო ელევისინის მისტერიათა პაროდია. განწყობილება უკიდურესად ალტყინებული შეიქნა. საფიქრებელია, რომ ყველა ამ ხმებს ავრცელებდნენ მკმარჯვენეებიც და უკიდურესი მემარცხენეებიც, რადგანაც ერთნიც და მეორენიც ალკიბიადეს მტრები იყვნენ.

ალკიბიადემ მოითხოვა ბრალდების წაყენება და თავის თავის გასამართლება, თანაც განაცხადა — ექსპედიციაშიც აღარ წაველ, სანამ ეს საკითხი არ იქნება გამორკვეული და გადაწყვეტილი. მაგრამ მის მოწინააღმდეგეებს კარგად ესმოდათ, რომ ალკიბიადეს დატოვება ათენში მას შესაძლებლობას მისცემდა თითონვე დაეცვა თავის თავი და მაშინ იგი, თავისი ავტორიტეტისა და გავლენის წყალობით, მოახერხებდა კიდევ თავის გამართლებას. ამიტომ ალკიბიადეს მოწინააღმდეგეებმა დაბეჯითებით მოითხოვეს — და თავიცი გაიტანეს — რომ ალკიბიადეს ფლოტისთვის ეთაეა და სიცილიაში გამგზავრებულყო.

„დაე მან ღუზა აუშვას. — ლაპარაკობდნენ ისინი სახალხო კრებაში, — ეუსურებთ მას მშვიდობის მგზავრობას. სოლო როცა ომი ვათავდება. მაშინ მოვიდეს სასამართლოში თავიკ გასამართლებლად; კანონები იგივე იქნება“ — ო. ალკიბიადეს მტრებმა იგი მოატყუეს. იგი აიძულეს ათენიდან გასულიყო. მაგრამ სანამ სიცილიაში ჩასვლას მოასწრებდა, კვლდაკვალ დაადევნეს მთავრობის სამხედრო გემი ბრძანებით ალკიბიადესადმი, რათა იგი დაუყოვნებლივ გამობრუნებულყო ათენში და სასამართლოს წინაშე წამდგარიყო. ალკიბიადემ თანხმობა განაცხადა, მაგრამ გზაზე ის გაიქცა სპარტაში, რომელმაც იგი თითონვე მიიპატიჟა. სახალხო კრებამ ალკიბიადეს დაუსწრებლივ სიკვდილი მიუსაჯა. ამბობენ, რომ, როცა ალკიბიადემ ეს ამბავი გაიგო, მან წამოიძახა: „ო. ზე! მათ დაუემტკიცებ რომ ისევ ცოცხალი ვარო“.

ალკიბიადეს გადასვლას სპარტის მხარეზე, გარდა დიდი მორალური მნიშვნელობისა, მოჰყვა სერიოზული სტრატეგიული შედეგებიც. რადგან ალკიბიადემ სპარტელებს გაანდო ათენის ყველა სამხედრო საიდუმლოებანი. მისი რჩევით პელოპონესელებმა წამოიწყეს მთელი რიგი ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ღონისძიებანი (ამის შეხახებ ვიტყვით ქვემოთ). ალკიბიადეს ლტოლვას საბედისწერო შედეგები ჰქონდა სიცილიის ექსპედიციისთვისაც, რადგან მთელი ლაშქრობის „სული და გული“ — ალკიბიადე იქ აღარ იყო. ექსპედიციას როგორც მეთაური შერჩა ნიკია, ექსპედიციის მოწინააღმდეგე, რომელიც ცნობილი იყო თავისი მოღუბნებული ტაქტიკით და გაუბედავი ხა-

ათათი. ლაშაქი ნიკიერი სარდალი იყო. ოღონდ არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობდა. რადგან, პლუტარქოსის სიტყვისამებრ, ლარიბი იყო. სიცილიაში გადმოსსდნენ თუ არა. ათენელებმა სირაკუსს ალყა შემოარტყეს ხმელეთიდანაც და ზღვის მხრივაც. მაგრამ ამ გარემოცვას ისე მოდუნებულად და მძიმედ აწაომოებდნენ, რომ სირაკუსს საშუალება მისცეს თავისი მოგერიებითი ხაზები გაემაგრებინა და ვერ გამოიყენეს ის წარმატება-გამარჯვებანი, რაიც ათენის ფლოტს წილად ჰხედდა ჩასვლის პირველ ხანებში. მაგრამ რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ათენელებმა აიძვედრეს თავიანთ წინააღმდეგ სიცილიის დანარჩენი ქალაქებიც, რადგანაც სიცილიელები ხელათვე მიუხვდნენ. თუ რას უპირებდა და უმზადებდა სიცილიას ასეთი უშველებელი არმიის გადმოსხმა მის ნაპირებზე.

ამასთანავე, ალკიბიადეს რჩევით, სირაკუსის დასახმარებლად გაგზავნილ ქმნა კორინთოს არადიდი ესკადრა; ხოლო ხმელეთიდან ქალაქში შეიჭრა სიცილიელთა ერთი რაზმი სპარტის ნიკიერი მხედართმთავრის გილიპეს მეთაურობით, რომელმაც შესძლო გარემოცულთა დაცემული სული კვლავ გაემხნეკებინა და აღფრთოვანებაშიც მოეყვანა.

ყოველივე ამან იმდენად გააუარესა ათენელების მდგომარეობა სირაკუსის პირას, რომ ნიკიამ ახალ ძალების მოშველიება მოითხოვა.

ათენელ დემოკრატიას ლოგიკური ნაბიჯი უნდა გადაედგა: რაკი ექსპედანია დაიწყო, იგი ბოლომდეც უნდა მიეყვანა. 413 წ. გაზაფხულზე ათენიდან გაიგზავნა ნიკიას დასახმარებლად 73 გემისგან შემდგარი ფლოტი და 1200 ჰომლიტი.

ამ მომენტში, სპარტამ ოფიციალურად დაარღვია ზავი. ალკიბიადეს რჩევით სპარტელი ჰომლიტების ძლიერმა რაზმმა დაიჭირა დეკელეა. მშვენიერი სტრატეგიული პუნქტი, რომელიც მდებარეობდა ათენის ჩრდილოეთით, დეკელეს გამაგრების შემდეგ სპარტელებმა დაიწყეს ბატონობა და მბრძანებლობა მთელ ათენის ველ-ვაკეზე. რაც ხელათვე დაეტყო არა მარტო სამხედრო მოქმედებათა მსვლელობას, არამედ ათენის მთელ ეკონომიურ ცხოვრებასაც.

თუკიდრედ მოგვიტხრობს, რომ დეკელეს დაპყრობის შემდეგ 20 ათასზე მეტი ათენელი მონა სპარტელების მხარეზე გადავიდაო.

ეს დიდი ზიანი და ზარალი იყო ათენის მეურნეობისათვის. გარდა ამისა, სპარტის გარნიზონმა, რომელიც იმყოფებოდა კარვად გამაგრებულ დეკელეაში, საერთოდ თითქმის შეუძლებლი გახდა ატიკაში მშვიდობიანი სამეურნეო საქმიანობა-მუშაობა. ასე, მაგალითად, შეწყდა ლავრიონის მალაროების დამუშავება. რადგან სპარტის გარნიზონი მოულოდნელად თავს ესხმოდა მოპირდაპირის მხარეს და სამთაშაღნო-სამუშაოთა ნორმალურ მსვლელობას აფერხებდა.

სიცილიაში საქმეები უფროდაუფრო ცუდად მიდიოდა. ჩასულმა დაახმარებელმა ვერ გამოასწორეს ათენის საექსპედიციო ლაშქრის მდგომარეობა. ნაწილობრივ იმის გამო, რომ ათენის სარდლობა ნიკიერი ვერ აღმოჩნდა. ნაწილობრივ კი იმის წყალობით, რომ ათენს მეტად გრძლად ჰქონდა გადაჭიმული სამომოსვლო ხაზი სირაკუსთან. — ათენის არმია ბოლოსდაბოლოს თავის ზანას

მოწყვეტილი აღმოჩნდა. პელოპონესელები და სიცილიელები კი სირაკუზის დასახმარებლად რაზმს რაზმზე აგზავნიდნენ. ამასთანავე ათენის არმიის დაიწყო ავადმყოფობანი. სირაკუზის მიდამოები ძველად ცნობილი იყო თავისი არასალი პანთოს და არა ერთი არმია. რომელსაც კი სირაკუზისთვის ხმელეთის მხრით ალყა შემოურტყია. დაზარალებულა ეპიდემიათა გამო.

ათენის ფლოტი. სირაკუზის ნავსადგურში რომ იდგა, ბოლოს და ბოლოს თითონვე აღმოჩნდა ჩაკეტილი პელოპონესის ფლოტისგან. ხოლო მისი ცდა ნავსადგურიდან გზა გაერღვია მარცხით დამთავრდა. მაშინ ათენელებმა ეკიპაგა კადმოსსეს ხომალდებიდან ხმელეთზე და შეეცადნენ უკან დაეხიათ კუნძულის სიღრმე. მაგრამ მოპირდაპირე გზა გადაუქოა უკან დახეულ არმიას. დაამარცხა იგი ნაწილ-ნაწილ და ბოლოსდაბოლოს. აიძულა კიდევ მას დასებებოდა (413 წ. სექტემბერში). ათენის სტრატეგოსები, მათ რიცხვში ნიკიაც სიკვილით იყვნენ დასჯილნი. ხოლო ცოცხლად გადარჩენილი არმიის ნაწილი ტყვედ წაასხეს და სიცილიის ქვის სამტებლოებში უკრეს თავი. სადაც ტყვეების უმრავლესობა შიმშილისა და წყურვილისგან დაიხოცა: ვინც ცოცხალი გადარჩა. ის კიდევ მონად გაჰყიდეს.

ამგვარად გრანდიოზული ლაშქრობა დამთავრდა გრანდიოზულივე კატასტროფით: ამის მოლოდინი, რასაკვირველია. უნდა ჰქონოდათ კიდევ, რადგანაც მთელი ეს ლაშქრობა თავიდან ბოლომდე წმინდა წყლის ავანტიურა იყო. ათენის რადიკალური დემოკრატია მოიცვა დაპყრობათა მძვინვარე. ვაშმაგეპულმა სურვილმა. სიცილიის ლაშქრობა ამ ატეხილი სურვილის ხარკს წარმოადგენდა. უშველებელი არმიებისა და ფლოტის გაგზავნა ათენიდან საკმაოდ შორ მანძილზე. უხეირო და მოუწყობელ კავშირის პირობებში წინასწარვე საპარტახვინოდ განწირულად ხდიდა მთელს ექსპედიციას.

სიცილიაში მისი სამხედრო ძალის გაცამტყვევებამ ათენში საშინელი საოწარკვეთილება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ათენის დემოკრატამ გადასწყვიტა მოეხდინა მთელი თავისი ძალ-ღონე, მობილიზაცია ომის განსაგრძობად. მაგრამ 413 წ. მერე ათენის სამხედრო წარმატებათა მრუდე იწყებს ქვევით დაქანებას. თუმცა ათენელები კიდევ მთელი ცხრა წელიწადი ეწინააღმდეგებოდნენ და მეტად ენერგიული საქმიანობაც განავითარეს. სპარტასაც მთელი რიგი მარცხი განაცდევინეს. მაინც მიუხედავად ამისა საერთო პირობები და გარემოება ათენისთვის უფრო და უფრო საზიანოდ ეწყობოდა. დაპყრობელი ქალაქის მთელმა რიგმა სამხედრო დამარცხებამ საბედისწერო გააღენა იქონია ათენის საზღვაო კავშირის მთლიანობაზე. კავშირის დაშლა-რღვევის პროცესი, რომელიც ჯერ 428 წელსვე დაიწყო, ოღონდ მაშინ შეაჩერეს. ესეა. როდესაც სიცილიაში მისი სამხედრო ძალები ვანადგურდა. გიგანტური ნაბიჯით მიმდინარეობს და წინ მიდის. მთელი რიგი კუნძულები და მცირე აზიური თემები -- ქიოსი, ლესბოსი, თასოსი, სამოსი, ეფესო, მილეტი და სხვანი ჩამოსცილდება ათენს და სპარტას მხარეზე გადადის. ჩვეულებრივ ამას წინ უძღვის ოლიგარქიული გადატრიალებანი და დემოკრატის მოსპობა. ამასთანავე სპარტამ. გაითვალისწინა რა ათენის მოკავშირეთა ასეთი განწყობილება. პელოპონესის ფლოტი აღმოსავლეთ-

თისკენ. გაგზავნა. მცირე აზიის ნაპირებისა და კუნძულებისკენ, და დაიწყო არისტოკრატიული მოძრაობის ორგანიზაცია მოკავშირე თემებში.

იქითკენვე, აღმოსავლეთისკენ, სპარტამ გაამგზავრა ნაცადი და მოხერხებული დიპლომატი ალკიბიადე სპეციალური დავალებით: ალკიბიადეს უნდოდა მოეხერხებინა ირანის მხრივ დაწმარების მიღება. ამ უკანასკნელს — ირანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დავიწყებული თავისი მარცხი ბერძენ-ირანელების ომიანობის დროს და სულ მუდამ ამ ხანში დიდი გულისხმიერებით და ყურადღებით თვალს ადევნებდა საბერძნეთში დატრიალებულ ამბებს და უცდიდა მარჯვდროს; რომ საქმეში ჩაჩუქილიყო. სპარტამ გადასწყვიტა ირანის ასეთი განწყობილება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ალკიბიადეს დავალებული ჰქონდა ირანთან კავშირი და ურთიერთობა დაემყარებინა. იგი გაემგზავრა მცირე აზიაში და დაიწყო მოლაპარაკება ლიდიის სატრაპთან — ტისაფერნთან. ამის შედეგად სპარტასა და ირანს შორის 412-411 წლებში დადებული იყო სამი ხელშეკრულება, რომელთა შინაარსი ძირითადად შემდეგში გამოიხატებოდა: ტისაფერნის კისრულობს გარკვეული დროის განმავლობაში შეინახოს პელოპონესის ფლოტი; ათენელების საწინააღმდეგო ომს სპარტა და ირანი ერთად აწარმოებენ; სპარტა აღიარებს „დიდი მეფის“ (ე. ი. ირანელთა მეფის) უფლებას მთელ მცირე აზიის მიმართ.

- სანამ ყველა ეს ხდებოდა აღმოსავლეთში, ათენში მეტად მნიშვნელოვანი ამბები დატრიალდა.

საცილიის ექსპედიციის განადგურებამ ბოლო მოუღო იმ დაპყრობით განწყობილებათ, რომელნიც ჰქონდა რადიკალურ დემოკრატიას, და თვალსაჩინოდ შეასუსტა თითონ ეს დემოკრატიაც.

ათენში ახლა თავს წამოაჭყფენ მემარჯვენე დაჯგუფებანი და იწყებენ ანტიდემოკრატიული მოძრაობა. ჩნდება რეაქციულ-ოლიგარქიული საიდუმლო საზოგადოებანი, ეგრეთწოდებული ჰეტერიები, რომელთაც 411 წ. გახაფულისთვის შეამზადეს ანტიდემოკრატიული გადატრიალება. ამ გადატრიალებას შედეგად დაარსეს ოცდაათის კომისია, რომელსაც დაევალი ახალი კონსტიტუციის გამომუშავება. კომისიის წინადადებით გააუქმეს კონსტიტუციური გარანტიები და თითქმის სრულიად მოსპეს გასამრჯელო საზოგადოებრივ სამსახურის შესრულებისათვის. ეს უკანასკნელი დადგენილება პირდაპირ დემოკრატიისკენ გამიზნული ლახვარი იყო, რომელიც თავს ირჩენდა მეტ წილად ამ ჯამაგირთ პოლიტიკური უფლებები დაეტოვა მარტო ხუთი ათას აქტიურ, ე. ი. შეძლებულ მოქალაქეებს, ყველა დანარჩენთ კი პოლიტიკური უფლებები ჩამოერთვა. უზენაესი ხელისუფლება გადაეცა ოთხასს. ოლიგარქიულ საბჭოს.

მაგრამ 411 წლის კონსტიტუციამ მარტო რაღაც ოთხიოდე თვის განმავლობაში იარსება. როცა ხმები ოლიგარქიული გადატრიალების შესახებ ათენში ფლოტამდე მივიდა, რომელიც ამ დროს კუნძულ სამოსთან იდგა, ფლოტის დემოკრატიამ აჯანყება დაიწყო იმ ოლიგარქების წინააღმდეგ, რომელნიც ათენში ისხნდნენ. მაგრამ აჯანყების ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს ზომიერი დემოკრატიის წარმომადგენლებმა. როგორც ჩანს, ამით უნდა აიხსნებოდეს ის უცნაური ფაქტი, რომ აჯანყებულებმა სტრატეგუსად აირჩიეს ალკიბიადე. იმათ იმედა

ჰქონდათ, რომ გამოიყენებდნენ მის კავშირს ტრასფერთან. ალკიბიადემ ამ დროისთვის უკვე მოასწრო სპარტელებთან განმორება და გადასწყვიტა კიდევ ისევ ათენის მხარეზე გადმოსულიყო. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ვარკეფულ პოლიტიკურ პროგრამას ალკიბიადესთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. როცა მან დაინახა, რომ სპარტაში ის ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ვერ მოახერხებდა, აიღო და გადასწყვიტა ათენის დემოკრატიას შერიგებოდა.

სამოსის აჯანყებამ გადაწყვეტი გაუღენა მოახდინა იმ მდგომარეობაზე. რომელიც ათენში სუფევდა. ოლიგარქებს შორის თანხმობა და ერთსულოვნება არ ყოფილა. გადატრიალების შემდეგ ის ჯგუფი, რომელიც საქმევებს მართავდა და უძღვებოდა, წარმოადგენდა საკმაოდ ქრელ ბლოკს სხვადასხვა ელემენტებისას. რომელნიც ერთმანეთს შორის გააერთიანა მხოლოდ საქულკლმა უკიდურესი დემოკრატიის მიმართ. ამიტომაც იყო რომ პირველმავე სერიოზულმა გართულებამ, რასაც წარმოადგენდა ფლოტის აჯანყება, ვააქლიერა და გაზარდა ისედაც მათ შორის არსებული უთანხმოება და აზრთა სხვაობა, და იმავე 411 წლის სექტემბერში ოთხასის ოლიგარქია უკვე დამხობილი იყო. 410 წლისთვის ათენში თითქმის სავსებით აღდგენილ იქმნა დემოკრატია. ამ ფაქტმა დაამტკიცა, რომ ათენში ანტიდემოკრატიული მისდინარეობანი მტკიცე არ იყო.

ათენის დემოკრატიას 410 წლიდან სათავეში უღდება კლეოფონტე. თავისი სოციალური მდგომარეობით და ხასიათით ის ძალიან წააგავდა კლეონს, რადიკალური დემოკრატიის მეთაური რომ იყო ომის დასაწყისში. კლეოფონტეს ჰქონდა სამუსიკო იარაღების საკუთარი სახელოსნო და, მაშასადამე, იგი ეკუთვნოდა მრეწველ-მონათმფლობელთა ჯგუფს. როგორც მთელი ეს ჯგუფი, ის იყო ათენის საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენელი და არა აინტოკრატისა. ეს იყო დიდი ნიკის ადამიანი, რომელმაც შესძლო ათენში გაკლენის მოპოვება.

ალკიბიადეს სტრატეგოსად არჩევამ რამოდენიმე ხნით გააუმჯობესა ათენის სამხედრო მდგომარეობა, რადგანაც იგი დიდი სარდალი იყო, თუმცა პოლიტიკური რეპუტაცია საეჭვო და ამაზე უარესიც ჰქონდა. მისი, როგორც მეთაურის, რეპუტაცია ფლოტს პატივისცემის გრძნობებს უღვიძებდა და მისი სარდლობით ათენელებმა შესძლეს კიდევ დაებრუნებინათ პელოპონესელების მიერ თითქმის დაქერილი სრუტეები პონტოს მიმართულებით. ამ წარმატება-გამარჯვებამ უფრო მეტად გაზარდა და მალა ასწიხ ალკიბიადეს სამხედრო რეპუტაცია და იგიც გადაიქცა დღეის გმირად.

408 წ. ალკიბიადე ტრიუმფით იქმნა ათენში დაბრუნებული. მას არა თუ მარტო ყველა ძველი კოდებები აპატიეს. ეს კოტაა. ის ფაქტიურად დიქტატორი გახდა ათენში. რადგანაც მისი გულისთვის სტრატეგოსების კოლეგია გააუქმეს და იგი მთავარსარდლად გამოაცხადეს.

მაგრამ ალკიბიადეს ზეიმი დიდხანს არ გაგრძელბულა. მოუხდავად დროებითი სამხედრო წარმატება-გამარჯვებისა, ათენის მდგომარეობა მაინც უარესად ძნელი იყო. სიცილიის ჯარის განადგურების შედეგები ყოველთვის შეიგრძნობებოდა ხოლმე და გამობრუნება, მომარება ათენს აღარ შეეძლო.

განსაკუთრებით სამძიმო იყო ათენის ფინანსური მდგომარეობა. სწორედ აი ამ მომენტში ბრანი კვლავ ჩაერევა ომში.

სამხედრო მოქმედებათა მცირე აზიის ასპარეზზე ჩნდება ირანის მეფის ახალი იწმინდებული. კიროს მცირე. (ეპიკროსი). იმ დროს ირანში მეფედ მყოფი დაიოოს მეორის შვილი. კიროს მცირემ მეფისგან დაეაღება მიიღო დახმარება აღმოჩინა სპარტისათვის, რადგანაც ირანელები ძალიან შეაფუჭრიანა და დააფუთხო ალკიბიადეს წარმატება-გამარჯვებებმა.

ამავე დროს სპარტამ აღმოსავლეთში სარდლად გავ ხაქსა ლასანდრე. ბრასილდეს ტაბის მოღვაწე.

ლისანდრე ძალიან ქვეიანი კაცი იყო, თანაც ნიჭიერი და დახელოვნებული. დიდი დიპლომატი. მან მოახერხა და შესძლო ფართოდ გამოეყენებინა ირანის დახმარება და არისტოკრატიული მოძრაობაც მცირე აზიის იმ თემებს შორის, რომელნიც ერთგულები დარჩნენ ათენისა.

ლისანდრემ დიდი სუბსიდია მიიღო კიროსისგან. ქსენოფონტე მოგვითხრობს თუ როგვარ ღრთხელანდიმის დროს ლისანდრეს თანაზიანობით მოხობულმა კიროს მცირემ ჰკითხა მას. თუ რა უნდოდა მიეღო მისგან მას ძღვნად. ლისანდრემ მიუგო: „თვირეულ მწიფეაურის ჯამაგარს თითო ობოლი მიემატოსო“ ამ ცრო და მუკიდებელიო. უმატებს ქსენოფონტე, ჯამაგარი თათი ობოლი ვახდა სამის მაგიერო“. ხელფასის ასეთი მომატების შედეგად ბევრი შენიხბე ათენის ფლოტიდან სპარტელებთან გადავიდა. თუ მხედველობაში მივალთ ათენის ხაზინის დაღევას. სპარტის განკარგულებაში სახსრების გადიდება-გაზრდას თუ გარდამწყვეტი არა, ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეიძლება უნდა ეთამაშნა. ამასთანავე ლისანდრემ მოახერხა მოკავშირეთა ოლიგარქიული მოძრაობის გაერთიანებაც, ათენის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული, ათენის სახლვაო კავშირის დაშლა-რღვევა. რაიც რამოდენიმედ შეჩერდა ალკიბიადეს სარდლობის დროს. ესლა კვლავ დაიწყო.

407 წ. ათენის ფლოტმა მარცხი განიცადა ნოტიონის კონცხთან, ეფესოს ახლოს. მარცხი სერიოზული არ იყო, ალკიბიადეც არ ყოფილა ამაში დამნაშავე. რადგან ამ მარცხის დროს იგი იმყოფებოდა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზის სულ სხვა ადგილას.

მაგრამ ათენში განწყობილება იმდენად არამტკიცე, არამყარი და მერყევი იყო, რომ ამ შემთხვევითმა, დამარცხებამ მთელი გარემოება სულ შესცვალა. როცა ამ სახლვაო ბრძოლის შესახები ცნობა ათენელების ყურამდე მივიდა, — წერს ქსენოფონტე, — ისინი აღშფოთდნენ ალკიბიადეს შიშართ, რადგან ეგონათ, რომ ათენის ხომალდები დაილუპა მისი დაუდევრობით და თავაშვებულობის გამო, და ამოიჩინეს სხვა ათი სტრატეგოსი... ალკიბიადე კი, რომელსაც ჯარში ცუდად ექცეოდნენ, ერთი ტრიერით გაემგზავრა ხალოსინში. თავის საკუთარ ციხე-დარბაზში აქ რასაკვირველია. ერთგვარ, როლს თამაშობდა ათენის სახალხო კრების განწყობილების არასიმყარე და მერყეობა; ამ კავშირით ამ დროისთვის საკმაოდ გააღვირდა ლეშენ-პროლეტარული ელემენტები: მას შეეძლო ერთდღეს ცამდნ აეყვანა ალკიბიადე, მეორე დღეს კი მისთვის უნდობლობა გამოეცხადებინა. მაგრამ ძირითადი მიზეზი ეს მარცხეა; კი არ იყო, არამედ რადიკალუ

ლებდნენ, რომ მათ ბრძოლის შემდეგ არ მიიღეს სათანადო ზომები დაღუპულთა გადასარჩენად. უკიდურესი დემოკრატები ჩაეჭიდნენ ამ საბაბს, ხელზე დაიხვეს ეს ამბავი, რომ შემუშრათ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა სტრატეგოსების უმრავლესობა. სახალხო კრებამ. ყოველგვარი კანონიერი ნორმის დარღვევით, ერთბაშად გაასამართლა ექვსივე სტრატეგოსი (ორი წინდანედულად მოიქცა და ათენში აღარ გამოცხადდა) და ყველას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მათ შორის იყო, სხვათა შორის, პერიკლეს შვილიც. მორიგ პრიტანების რიცხვში, რომელნიც ამ დღისით შეადგენდნენ კრების პრეზიდიუმს, იყო სახელოვანი ფილოსოფოსი სოკრატეც; ის ერთადერთი იყო, რომელმაც პროტესტი განაცხადა სასამართლოს წარმოების უკანონო წესის წინააღმდეგ და უარი თქვა სტრატეგოსების შესახები საკითხისთვის კენჭი ეყარა. მაგრამ უაღრესად გაბრაზებულმა სახალხო კრებამ ამ შემთხვევაში უკუაგდო ყველა ჩვეულებრივი ნორმები და საქმე ბოლომდე მიიყვანა. სტრატეგოსები სიკვდილით იქმნენ დასჯილნი. §

არგინუზის კუნძულებთან განადგურებამ კვლავ აიძულა ირანი სპარტასთვის დახმარება გაეწია. ირანელებისგან მიღებული სუბსიდიით სპარტის ფლოტი სწრაფად იქმნა აღდგენილ-განახლებული და აღმოსავლეთის ფრონტზე უპირატესობა და ძალა კვლავ სპარტის მხარეს გადაიხარა.

405 წ. შემოდგომაზე ეგოსპოტამოსთან (ესა პატარა მდინარე თრაკიის ზერსონესში, რომელიც ერთვის ჰელესპონტოს) მოხდა ბრძოლა; ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა, რომელმაც გადასწყვიტა ომის ბედი. ათენის ფლოტი ნაპირთან იდგა. სარდლობამ გამოიჩინა სავსებით დაუშვებელი გულგრილობა: მიუხედავად იმისა, რომ სპარტის ფლოტი ახლოს იყო, მაინც ეკიპაჟის თვალსაჩინო ნაწილი ნაპირზე გაუშვეს სურსათ-სანოვაგის შესაძენად. მოპირდაპირე შეუძჩნველად მიუახლოვდა იმ კოალიციას, სადაც ფლოტი იყო განიერად გაშლილი და ანაბს ხაზის მოასწრებდა ხომალდებზე ასვლას და ჩახხდომას, თითქმის მთელი ათენის ფლოტი მტერმა ხელთ იგდო. ეს იყო უკანასკნელი შეტევა მტრისა, რომლის მერე ათენი უკვე ვეღარ გამობრუნდა. ზღვა ეხლა სპარტელების განკარგულებაში იყო და საჭირო შეიქმნა ზრუნვა იმაზე, რომ ათენი როგორმე დაეცვათ და დაუთარათ მტრისგან.

ქსენოფონტე აგვიწერს ჩვენ, თუ როგორმა სასოწარკვეთილებამ მოიცილა ათენი, როცა მოვიდა ცნობა ეგოსპოტამოსთან დამარცხების შესახებ: „პარალია (სახელმწიფო ხომალდი. — ს. კ.) პირველში ღამით მოვიდა და აუწყა ათენელებს თავზე დატეხილი უბედურების ამბავი. საზარელი ცნობა ერთისგან მეორესთან გადადიოდა და სასოწარკვეთილების ხმა-მალალი გოდება მოედო მთელს ქალაქს გრძელი კედლებით პირვესიდან. იმ ღამეს არავის სძინებია. სტიროდნენ და გლოვობდნენ არა მარტო დაღუპულებს, არამედ საკუთარ თავსაც. შორე დღისით მოწვეულ იქმნა სახალხო კრება, სადაც გადაწყდა დაეგუბებინათ ატიკის ყველა ნავსადგური, ერთის გარდა, ხელახლად შეეკეთებინათ ქალაქის ვალანანი, გაეწყობათ გარნიზონები და საერთოდ ყოველნაირად მომზადებულიყვნენ. რაც კი საჭირო იყო ქალაქის დასაცავად მისი გარემოცვის დროს“.

405 წ. შემოდგომითვე მოპირდაპირის ფლოტმა დაიწყო პირეესის ბლოკადა, ხოლო სპარტელებისა და მათი მოკავშირეების ჯარმა ათენს ალყა შემოარტყა ხმელეთიდან.

ყველა ამ ამბებმა რამოდენიმე ხნით გააძლიერეს მემარჯვენე და ზომიერ ჯგუფების პოზიციები და დაიწყეს ლაპარაკი ზაეის დადების საჭიროებაზე. მაგრამ კლეოფონტემ მოახერხა ერთი კანონის გატარება, რომლის ძალით ყველას, ვინც კი ზაეზე ლაპარაკს დაიწყებდა, სიკვდილით დასჯა მოელოდა. ათენის ძალიან იყო გამაგრებული და სამხედრო ტექნიკის იმ დროინდელი დონე შეუძლებლად ხდიდა მის აღებას. შეტევით. ამიტომ დაიწყო გარემოცვა.

ათენი მოწყვეტილი იყო მთელს დანარჩენ ქვეყნებთან. ალყაშემორტყმულთ შორის დაიწყო შიმშილობა და ავადმყოფობანიც გავრცელდა. განწყობილება საბოლოოდ დაეცა და მემარჯვენე დაჯგუფებამაც გაიმარჯვა, კლეოფონტე დაამხეს. მისცეს სამართალში და სიკვდილით დასაჯეს.

კლეოფონტეს სიკვდილით დასჯის შემდეგ ბრძოლა დადბანს აღარ ვაჭრებულა და 404 წ. აპრილში ათენი დანებდა მტერს.

ზაეის რაღა პირობები უკარნახეს გამარჯვებულებმა? სპარტის მოკავშირეები — კორინთო, თებე და სხვანი — წინააღმდეგნი იყვნენ ზაეის დადებისა და მოითხოვდნენ ათენის სრულ განადგურება-მისაძობას.

მაგრამ სპარტას ასე შორს წასვლა არ უნდოდა. სპარტის პოლიტიკური პოლვაწეები თავის მიზნად ისახავდნენ რამოდენიმედ მაინც წონასწორობა დაეკავათ საბერძნეთში. სპარტის მოკავშირეების გეგმა რომ შესრულებულიყო, ათენი რომ მიწასთან გაესწორებინათ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ეს ის იქნებოდა, რომ მთელი ათენის ვაჭრობა კორინთოს ხელში გადასულიყო, ეს ის იქნებოდა, რომ წარმოქმნილიყო ისეთი ძლიერი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი, რომელიც საშიში და სახიფათო იქნებოდა უპირველეს ყოვლისა თითონ სპარტისათვისვე.

აი რატომ არ უჭერდა მხარს სპარტა ამ უკიდურეს მოთხოვნებებს. სპარტამ ისარგებლა თავისი ხელმძღვანელი როლით კავშირში და თანხმობა განაცხადა ზაეის დადებაზე. მაგრამ, რასაკვირველია, ზაეის პირობები ძალიან მძიმე იყო, ეს პირობები შემდეგში გამოიხატებოდა:

1) ათენს რჩება დამოუკიდებლობა, ოღონდ მის სამფლობელოს ფარგლებში ატიკის ტერიტორიის გარდა რჩება მარტო კუნძულები სალამინი, ლემნოსი, იმბროსი და სკიროსი.

2) მთელი ფლოტი უნდა ჩაბარდეს მოპირდაპირეს გარდა თორმეტი ხომალდისა, რაიც საჭირო იყო სანაპირო სამსახურისთვის.

3) ყველაზე მძიმე პირობას წარმოადგენდა გრძელი კედლებისა და პირეესის სიმაგრეთა დანგრევა. ამრიგად დანგრეულ იქმნა ის ძლიერი პლაცდარმი, რომლის შენება ჯერ თემისტოკლეს დროსვე დაიწყო, ხოლო დამთავრება მოხდა პერიკლეს დროს და რაიც წარმოადგენდა, ათენის საზღვაო ძლიერების მთავარ დასაყრდენს. წყაროები გადმოგვცემენ, რომ ლისანდრემ შეპყრიბა ატიკის ტერიტორიები და მარშის ხმებზე შეუდგნენ ათენის კედლების ზემოთ ნგრევას.

4) ათენს ამნისტია უნდა მიეცა ემიგრანტებისთვის, ე. ი. მას უნდა დაებრუნებინა დემოკრატიის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რომელნიც უკანასკნელ წლებში იქმნენ გაძევებულნი; ამასთანავე სპარტას უნდა დაკავშირებულა და მისი ჰეგემონია ელიაობინა.

ზაეის დადების შემდეგ ათენში სპარტის დახმარებით ძალა-უფლება ხელთ იგდო. ოცდაათის („30 ტირანის“) ოლიგარქიულმა კომიტეტმა არისტოკრატი კრიტიას მესვეურობით, რომელიც იყო სოფისტებისა და სოკრატეს მოწაფე და ნიკიერო პოეტი. ოლიგარქებმა დაუწყეს დაუზოგავად ხოცვა-ყლევა დემოკრატიის ყველა მომხრეებს.

ამ პოლიტიკურ ტერორს თან სდევდა ქონების კონფისკაცია და ამიტომაც მრავალი მდიდარი ხალხი დაიღუპა; ისეთებიც კი, რომელთაც დემოკრატებთან არაფერი იყო და მოკიდებულება არ ჰქონდათ.

მაგრამ ოლიგარქებს შორის, როგორც ეს 411 წელსაც მოხდა; არ ყოფილა ერთსულოვნება. კრიტიამ, როგორც უკიდურესი მემარჯვენე მიმდინარეობის წარმომადგენელმა, დაიწყო ბრძოლა თერამენთან, რომელიც უფრო ხომალკური პოლიტიკის მომხრე იყო. მართალია, კრიტიამ მოახერხა გამარჯვება და თერამენის სიკვდილით დასჯასაც კი მიაღწია, მაგრამ ამ ბრძოლამ ოლიგარქებივე დაასუსტა.

ამავე დროს არც დემოკრატიას ეძინა; ძალიან ბევრმა ემიგრანტმა დემოკრატმა — მოკიდებულნი ზომიერებიდან ვიდრე უკიდურეს მემარჯვენეებამდე — თავშესაფარი თებეში პოოვა; იქ ამ დემოკრატებმა ორგანიზაცია მოაწყვეს და 403 წ., თრასიბულეს მეთაურობით, შეიკრნენ ატიკაში. ოლიგარქების რაზმი, რომლის ბირთვს სპარტელები შეადგენდნენ, დაამარცხეს. დემოკრატებმა ხელთ იგდეს პირველი და იქ ჩასაფრდნენ.

ამის შემდეგ თითონ ათენშივე ზომიერმა დემოკრატებმა მოახდინეს ანტი-ოლიგარქიული გადატრიალება, რის შედეგად ოლიგარქები ათენიდან გაიქცნენ და ელევისში გაპარულნენ. ამრიგად, 403 წ. ატიკაში ერთსა და იმავე დროს სამი მთავრობა არსებობდა:

- 1) ოლიგარქიული — ელევისში,
- 2) დემოკრატიული — პირეესში,
- 3) ზომიერ-დემოკრატიული — ათენში

მაგრამ საქმის ვითარებას ართულებდა ბრძოლა თითონ სპარტისავე შიგნით. პაესანიას დროიდან მოკიდებული ე. ი. V ს. 70-იანი წლებიდან, სპარტელებს შორის იწყება ბრძოლა ორ მიმდინარეობას შორის. ერთი მათგანი ალკმან და ლოკონგს ძველი სპარტის წესწყობილების შენარჩუნებისას ყველა თავის თავისებურებით, მეორე, ოლიგარქიული, რომელიც ვახნდა სპარტაში იმ დღერგნციაციის შედეგად, სიმდიდრის მოქუჩება-დაგროვებასთან რომ იყო დაკავშირებული, მოითხოვდა ძლიერი ხელისუფლების შექმნას და ამ ხელისუფლების გადაცემას უფრო შექლებული გვარების მცირე ჯგუფისადმი. V ს. დასასრულს მეორე მიმდინარეობას მეთაურობდა ლისანდრი, მეტად დიდი პოლიტიკური ფიგურა პელოპონესის ომის ბოლო დროისა. სწორედ ლისანდრეს მიწერს პლუტარქოსი სპარტის გამდიდრებას („მან მდიდარი გახდა თავისი სა-

შობლო"). ლისანდრე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო თათონ სპარტაში, არამედ ათენის საზღვაო კავშირის ყოფილ წევრებს შორისაც. განსაკუთრებით გაიზარდა მისი ავტორიტეტი 404 წ. ათენის განადგურების შემდეგ. გერუსია და სპარტის ძველი არისტოკრატია შიშობდნენ, რომ ლისანდრეს თავის გავლენაზე დანდობით არ მოეხდინა სპარტაში გადატრიალება და ამ დამწყარებინა აქ ძლიერი მონარქიული ხელისუფლება.

როცა ლისანდრემ შეიტყო ოცდაათი ტრანის დაცემის ამბავი, ჩვეი დასკვნებელივ გაემგზავრა ათენში როგორც სპარტის რწმუნებული. მაგრამ სპარტის მთავრობამ იქ მაშინვე გავზანა მეფე პაესანია და მისი მეთაურობით პელოპონესის მოკავშირეთა ჯარს პაესანია, რომ ლისანდრე დაესუსტებინა. ვამოვიდა შუამავლად ათენისა და პირველად მთავრობათა შორის და მათი დაზავებაც მოახერხა. 403 წ. შემოდგომამზე პირველი დემოკრატები დასპარტანდნენ ათენში, ხოლო ორი წლის შემდეგ მოსდა ლიკიდასოა ელენანის ხლიგარტებისაც. ოლიგარქიული მთავრობის მოთავეები ზოგა გაეჭვა, ზოგი სიკვდილად იქმნა დასჯილი და 401 წ. ათენში კვლავ აღდგენილ იქნა დემოკრატია.

რატომღა წააგო ათენმა პელოპონესის ომი?

როცა ომი დაიწყო, ათენის სპარტისა ერთი წუთითაც კი არ იყო დაეჭვებული იმაში, რომ ომი მისთვის ძლევაშოსილი იქნება, რადგან ათენის სახიანას დიდძალი სახსრები მოეპოვებოდა. ათენი სათავეში ედგა ძლიერ საკავშირო-სახელმწიფოს და გამოვიდა აგრარულ და სავაჭრო-სამრეწველო სახელმწიფოთა მეტად ბრელ პელოპონესის ბლოკის წინააღმდეგ.

მაგრამ ათენის წინააღმდეგ გაერთიანდა სამი ძალა:

პირველ ძალას წარმოადგენდა თითონ სპარტა, მეორე, თავისი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალ სამხედრო და საზოგადოებრივი დისციპლინით ძლიერი.

მეორე ძალას, შეადგენდნენ პელოპონესის შიდიარი სახელმწიფოები.

მესამე ძალა იყო ირანა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი მან ირანმაშა. როგორც დაენახეთ, ომის მეორე ნახევარში, ირანელემა თითონ არ მოხიბდნენ, ისინი მარტო უხვ სუბსიდაას აძლევდნენ სპარტას. ირანის ეს დაართო ფინანსიური დახმარება ომის დასასრულს გადაწყვეტ ფაქტორად შეიქნა.

ათენის დამარცხება უფრო გასაგები ვახდება. თუ გავიხსენებთ ათენის საზღვაო კავშირის სახიანას და მოკავშირეებს შიშართ მისი პოლიტიკის, სახიანასაც, ათენის კავშირი არ იყო მყარი, მტკიცე, რადგანაც ათენის დემოკრატია უოველგვარ ზომა ვადაპარბებით ახდენდა მოკავშირეთა ექსპლოატაციას ასეთი პოლიტიკა, — ეს ბუნებრივია და ცხადი, — გამომდინარეობდა თითონ ანტიკური პოლისის ბუნებიდან.

ამიტომაც იყო მოკავშირეების ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებლობის ჩახშობა, გადსახადების უშველებელი ზრდა, ამიტომაც იყო ტერორი, როგორც ერთადერთი საშუალება კავშირის დაშლის შესაჩერებლად.

სახსენით გასაგებია, რომ რა წამს ათენს სამხედრო ბედმა უღალატა და ზურგი შეაქცია, მაშინათვე დაიწყო საზღვაო კავშირის კატასტროფიული რღვევა-დაშლა.

გარდა ამისა. ათენის დემოკრატიაში, ავითარებდა რა თანამიმდევრობით ექსპანსიის პოლიტიკას, ამ მიმართულებით ძალიან შორს შეტოვა. და სიცილიაში ლაშქრობაც. რომელიც გარდაიქცა ომის მსვლელობის დროს გარდამტეხ მოშენებად. ტრიპურ ავანტიურას წარმოადგენდა. რასაკვირველია: საცილოის ლაშქრობაში დაშნაშავენი იყვნენ ალკიბიადეც და დემოკრატისის სხვა მეთაურ-წინამძღოლებიც თავიანთი დემაგოგიით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს აკანტიურიზმი. მაინც ბუნებრივი შედეგი იყო დემოკრატიული პოლისის საგარეო პოლიტიკისა.

ერთის მხრით, მოკავშირეებისგან ამოჰქონდათ ყველაფერი, რის ამოქაჩვაც კი შეიძლებოდა, ხოლო მეორე მხრით ოცნებობდნენ თავიანთი გაელენის სფეროს შემდგომ გაფართოებაზე, ოცნებობდნენ სირაკუზის, კართაგენის, იტალიის დაპყრობაზე. დაპყრობის მადა უზომოდ იზრდებოდა. ათენის დემოკრატიის დაბალი ფენები დაპყრობას უყურებდნენ როგორც მთავარ წყაროს სახელმწიფო ხაზანის შესაესებლად, როგორც გაცემა-დარიგებათა მთავარ წყაროსაც აგრეთვე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გეგმტკაცებნა, თითქოს ასეთი მისწრაფება ჰქონდა ათენის მარტო ლუმბენ-პროლეტარულ მასებს. ამავე ხაზს მისდევდა დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ზედაფენაც: მრეწველები, სპეკულანტები, ბანკირები, პუროთ მოვპკრეები და მისთანანი.

ამრიგად ათენის განადგურება აუცილებელი იყო. ის იყო კანონზომიერად გამოწვეული საგარეო და შინაგანი ფაქტორების ერთმანეთში გადახლართვით.

XI. კრიზისი IV საუკუნეში

ქელოპონესის ომის შედეგები ათენის საშინაო ცხოვრებისათვის უდიდესი იყო.

უწინარეს ყოვლისა. დაალია ზმველებელი ფულის მარავი. ომის დასაწყისში აკროპოლისზე ტაძრებში შენახული იყო არა ნაკლებ 6000 ტალანტი. ესა მოჭრილი ფული, IV საუკ. დასაწყისში კი ათენის ხაზინას ორ-სამ ტალანტს აქ გააჩნდა.

შემდეგ თვალსაჩინოდ შემცირდა ათენელი ვაჭრებისა და ტრაპეზიტების ვაჭრობისა და ფულის ტრიალიც ეს გარდუვალი შედეგი იყო როგორც ომისა, ისე უფრო უმეტესად ათენის სახლგაო კავშირის დაშლა-რღვევისა. პელოპონესის ომის დასაწყისში გადასახადები, მოკავშირეები რომ ისდიდნენ, უდრიდა წელიწადში ათას ტალანტს. კავშირის დაშლას ახლა კატასტროფული გავლენა უნდა მოეხდინა ათენის ეკონომიურ ცხოვრებაზე.

მაგრამ ომის ყველაზე უფრო სამძიმო შედეგი იყო გლეხის გალატაკება, რაშიაც განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს ომის პირველ წლებში სპარტელთა შემოსევებმა და შემდეგშიაც, ღეკელის დაქერის დროს.

IV საუკ.-ში ატიკაში იწყება აგრარული კრიზისი და წარმოებს გლეხების აკვეთების შექმნა-სყიდვა.

ათენის წერილი საადგილ-მამულო საკუთრების გამძლეობა, ატიკის გლეხობის გამძლეობა იმით აიხსნებოდა, რომ სავაჭრო და ფულადი კაპიტალი უხალისოდ მიიმართებოდა სოფლის მეურნეობაში. ამჯობინებდნენ უფრო კაპიტალის დაბანდებას ვაჭრობაში, მრეწველობასა და მევახშეობაში, რადგანაც იქ გაცილებით უფრო მეტი სარგებლობის მიღება შეიძლებოდა.

მაგრამ პელოპონესის ომის შემდეგ, როცა ვაჭრობა დაეცა და ფულის ტრიალიც ძალიან შემცირდა, დაიწყეს გლეხების მიწის ნაკვეთების სყიდვა-შექენა, და თუ როდისმე შეიძლებოდა საადგილ-მამულო საკუთრების საბერძნეთში კონცენტრაციის შესახებ ლაპარაკი. აი ეს კონცენტრაცია ხდებოდა სწორედ IV საუკ. პირველ ნახევარში. ეს პროცესი აწერილი აქვს ქსენოფონტეს თავის ოხზულებაში „მეურნეობისათვის“ ანუ „მეურნეობის შესახებ“. აქ გამოყვანილია ვინმე ისქომაქე და შემდეგი დიალოგია გადმოცემული:

„მამა მე არასოდეს ნებას არ მაძლევდა დამუშავებული ნაკვეთი შექმნა. ამბობს ისქომაქე. — არამედ მირჩევდა ისეთი ნაკვეთი მეყიდნა. რომ

მელიც თავმინებებულ იყო პატრონის დაუდევრობით ან უღონობა-უილაჯობის გამო...“ ამ სიტყვებზე მე მას შევეკითხე: „ისქომაქე, მამაშენი ყველა მიწინააქვეთს იტოვებდა ხოლმე თავისთვის თუ მათ გაპყრდნა კიდევ, კაი ფასი რომ მიეცათ?“ — „ჰო, კი, რა თქმა უნდა, ჰყიდდა, მაგრამ რადგანაც დიდი სიყვარული ჰქონდა მიწისა, ამის გამო ხელათვე მეორეს, დაუშუშაებულ ნაკვეთს ჰყიდულობდა ხოლმე“.

საქმე, რასაკვირველია, ის კი არაა, რომ ისქომაქეს მამას ძალიან დიდი სიყვარული ჰქონდა მიწისა, არამედ ისაა საქმე, რომ ქიწის ნაკვეთებს იძენენ. შემდეგ ჰყიდიან, მათზე სპეკულაციას ეწევიან და ამასთან ერთად ხდება მათი კონცენტრაცია.

მაგრამ კრიზისს, როგორც ატიკაში ჩამოვარდა ომის შემდეგ, უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები ჰქონდა. იგი ნიშნავდა ქალაქის ლუშპენ-პროლეტარების რიცხვის ზრდას, ვინაიდან გალატაკებულ და აოხრებულ გლეხობა სხვაგან სადღა უნდა წასულიყო; თუ არ ქალაქში. მაგრამ გლეხობა იქაც თავისთვის იდგის ვერა შოულობდა სამეურნეო ცხოვრებაში, რომელც ომის შემდეგ ძალიან შეიკვცხ და გაქირდა. ამასთანავე მრეწველობას ენათურებოდნენ მოსები. წვრილ გალატაკებულ მესაკუთრეებს მარტო ერთი გამოსავალი-ღა რჩებოდათ: ისინი ავსებდნენ ქალაქის ლუშპენ-პროლეტარიატის მასას. მაგრამ ეს ლუშპენ-პროლეტარები ათენის სახალხო კრების მომხრეილენი იყვნენ: მათ არ გააჩნდათ არავითარი გარკვეული პოლიტიკური პროგრამა, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ჰქონოდათ სახელმწიფო კმევა-კვება და გაცემა-დარიგება; ამის გამო ეს ლუშპენ-პროლეტარები წარმოდგენდნენ ათენის დემოკრატიის დასლა-რდევვის ძირითად ფაქტორს, რაიც განსაკუთრებით მშვენიერად ჩანს IV სოფ. პირველ ნახევარში.

ათენის დემოკრატიის სწრაფი აღდგენა პელოპონესის ომის შემდეგ ერთ-ერთ მხრით იმას მაჩვენებელი იყო, რომ ათენში მტკიცედ არ იყვნენ აკონსერვატიულ-ფეოდალური ელემენტები.

მაგრამ მეორეს მხრივ დემოკრატიის ეს ჩქარი აღდგენა-გამობრუნება და მისი შემდგომი განვითარება შედეგი იყო მოსახლეობის ლუშპენ-პროლეტარული კვლევების ზრდისა.

430-სა და 392 წლებში დემოკრატიის ძლიერების მაჩვენებელია სოკრატეს პარტისი. სოკრატე, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, კონსერვატიული მიზნების წარმომადგენელი იყო. მართალია თავისი ფილოსოფიური შეხედულებით ის იმის მდებრე იყო, რომ საჭიროა არსებული კანონების პატრიარქალური მხარე, მაგრამ სოკრატეს იმ ზოგჯეროთი შენიშვნების მიხედვით, რომელიც ჩვენს წინაოფნტემ შემოგვინახა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის მაინცდამაინც ძალიან მეგობრულად არ ყოფილა განწყობილი ათენის დემოკრატიის მიმართ. ეს გარემოება, მისი ფილოსოფიის კონსერვატიულ მიმართულებასთან დაკავშირებით, გვიხსნის, თუ რატომ მოიყარა თავი სოკრატეს გარშემო აკონსერვატიულმა ახალგაზრდობამ; ზოგიერთი მისი მოწაფე დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდა დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა, შორის. საკმარისია გავიხსენოთ კრიტია და ალკიბიადე. სოკრატეს მოწაფეებს შორის იყვნენ ისეთი

კონსერვატიულად განწყობილი პირნი, როგორც არიან ქსენოფონტე და პლატონი.

ყოველივე ამას ითვისებდა ათენის დემოკრატია, რომელიც თავის მხრივაც მაინცდამაინც ძალიან მეგობრულად არ უყურებდა ფილოსოფოსს. სოკრატეს პროტესტიც, არგრენტზთან გამარჯვებულთა გასამართლების დღეს რომ განაცხადა, დაიხსოვნეს. როცა 100 წ. კვლავ აღდგენილ იქმნა ათენის დემოკრატია, მაშინ ერთ-ერთ პირველ ღონისძიებად, პირველ საქმედ, რომელზედაც მან ხელი წაავლო, იყო სოკრატეს სამართალში მიცემა, სოკრატეს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სისულელე იყო. ათენის სასამართლოში რამდენიმე კაცმა შეიტანა განცხადება იმის შესახებ, რომ სოკრატე რყენის ახალგაზრობას და ახალ ღმერთების თაყვანისცემას აწესებდა.

ამ ბრალდებას ვარკვეული მიზანი ჰქონდა. ათენელ ნაფიცებისთვის, რომელნიც ამ საკითხში კარგად ვერ ვრკვეოდნენ, ისეთი ნიადაგი შეეჭმნათ, რომელზედაც დამყარებით უფრო ადვილად შეეძლოთ სოკრატესთვის ბრალის დადება, მით უფრო, რომ მის მოძღვრებაში იყო ზოგიერთი ისეთი მომენტები, რომელთაც, თუ მიყრდნობით მიუღებოდა კაცი, შეეძლოთ ნიადაგი მიეცათ ასეთ ბრალდებისათვის.

სოკრატე სამართალში მისცეს და სიკვდილით დასჯაც მიუსაჯეს. 399 წ. მან საწამლავე დალია.

სოკრატეს პროტესტი ნიშნავდა, რომ ათენის დემოკრატია მოლონიერდა და შეუღდა თავის მოპირდაპირებთან ანგაროზის გასწორებას.

IV ს. 90-იან წლების ნახევარში დაწესებული იყო გასამრჯელო სახალსო კრებებზე სთარულსთვის. ამრიგად ათენში გამარჯვებული დემოკრატია იმავე შინაგან პოლიტიკას მისდევდა, როგორც მას წინათ ჰქონდა:

ახლოდ იყო მდგომარეობა ათენში პირველ ხანებში აგლოპონესის, რომელს და მთავრების შემდეგ.

გადავიდეთ ასლა IV ს. პირველი ნახევრის საბერძნეთის საერთაშორისო ურთიერთობის მიმოხილვაზე, ვინაიდან, თუ მას არ გავეცნათ, უიმიოდ არ შეიძლება გავიგოთ ის შინაგანი ბრძოლა, ამ დროს რომ მიმდინარეობდა.

ამ ურთიერთობის განვითარებაში პირველი ეტაპის მთავარ შინაარსს შეადგენდა სპარტის ჰეგემონია.

ეს ჰეგემონია ბუნებრივი შედეგი იყო საბერძნეთში ყველაზე უფრო ღიდი, იეადსაჩინო საერთაშორისო ძალის — ათენის საზღვაო კავშირის მოსპობისა. ამის შემდეგ სპარტამ პრეტენზიებუ განაცხადა მთლიანად საბერძნეთის ხელმძღვანელობაზე.

მავრამ შესწევდა კი სპარტას ძალა ასეთი ჰეგემონიისათვის: შეეძლო კი სპარტას გასძლიოდა ამ საქმეს თავის საზოგადოებრივი წესწყობილებების სიათით, თავისი დიპლომატიის ტრადიციებით? ამ მომენტამდე ის წარმოადგენდა კარჩაკეტილ აგრარულ სახელმწიფოს ჩამორჩენილი მეურნეობით და ძალიან ვიწრო მსოფლმხედველობით. ასლა იგი შეიქნა მთელი საბერძნეთის მეთაური. საბერძნეთის პოლიტიკის ყველა სათავე მის ხელთ იყო. ეს ამოცანა სპარტამ ვერ დასძლია და იგი მას ვერც დასძლევდა. სპარტის ეკონომიკა არ

იძლეოდა ამისთვის საკმაო ბაზისს. ხოლო სპარტის ისტორიას არ ჰქონდა გამოჩენილი ის ჩვევები, ის ხერხი და უნარიანობა, რაც ეგოლდენ საჭირო იყო IV ს. საბერძნეთის საერთაშორისო ცხოვრების ხელმძღვანელობის რთული და პასუხსაგები ამოცანის შესასრულებლად.

სპარტის უწინარეს ყოვლისა სპარტამ ვერ დასძლია ყველაზე უფრო რთული და დიდი პრობლემა — აღმოსავლეთის პრობლემა. აღკობიადემ 412-411 წლებში სპარტის სახელით აღუთქვა „დიდი მეფისთვის“ მიეცა ყველა მისი ძველი სამფლობელოები მცირე აზიაში. ირანმა ეს თამასუქი გასაწადლებლად წარუდგინა მას პელოპონესის ომის შემდეგ.

სპარტის მდგომარეობა იოლი არ იყო. მას აქვს პრეტენზია საბერძნეთის ჰეგემონიისა. იგი „ნაციონალური“ ბერძნული პოლიტიკის გამომხატველია და მან უნდა მისცეს ირანს ბერძნული ოლქები! სპარტა ორ ცეცხლ შუა აღმოჩნდა: საბერძნეთის საზოგადოებრივ აზრსა და ირანს შუა, რომელიც ენერგიულად მოითხოვდა მისგან ვაცემული თამასუქის განაღდებას.

ამ სიძნელეებს ზედ დაერთო კიდევ ერთი გართულება. ირანის მეფე დარეოს II გარდაიცვალა. მას დარჩა ორი ვაჟი: ჩვენი ნაცნობი კიროს მცირე ანუ უმცროსი; მცირე აზიის ნაცვალი, და მისი უფროსი ძმა არტარქსერქსე.

ირანის ტახტი გადავიდა უფროსი ძმის ხელში. მაშინ კიროსმა გადასწყვიტა მისთვის ტახტი წაერთმია და ამისთვის იწყო არმიის მოგროვება მცირე აზიიდან არტარქსერქსეს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მან მიმართა სპარტას და დახმარება სთხოვა. კიდევ ახალი გარდულება შეიქმნა. კიროსისთვის დახმარება უნდა გაეწია, რადგანაც ამას წინათ იგი თითონ შეელოდა სპარტას. მეორე მხრივ, კიროსისთვის დახმარების გაწევა ეს იქნებოდა ირანის მეფესთან ურთიერთობას აშლა და უსიამოვნება მით უფრო, რომ წინდაწინვე არ შეიძლებოდა გამოცნობა, თუ რომელი მათგანი დარჩებოდა საბოლოოდ გამარჯვებული.

სპარტის დიპლომატიამ ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ შესძლო და ბოლოს ახეთ კომპრომისზე შეჩერდა: კიროსს არაოფიციალურად ნება მისცეს საბერძნეთში მოქირავნეები მოეგროვებინა და ამ მოქირავნეთა სარდლად მასთან გაგზავნეს სპარტელი კლეარქე. კიროსმა დაახლოვებით 13 ათასი კაცი მოაგროვა და ამ რაზმით, რომელიც მერე შეავსო მცირე აზიაში შეგროვილი კონტინგენტით, 401 წ. დაიძრა აზიის სიღრმეში არტარქსერქსეს წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა აწყობილი იქნა კსენოფონტეს, რომელიც იმ დროს კიროსის პრემიაში ერთი მეომართაგან იყო, თავის ნაწარმოებში, სახელად „ანაბაზისში“.

კიროსის დიდი ჯარი, რომელშიაც ბერძნები მთავარ ბირთვის წარმოადგენდნენ, დაიძრა მცირე აზიიდან მესოპოტამიისკენ და ბაბილონის შორი-ახლო. პატარა სოფელ კუნაქსასთან. შეხვდა არტარქსერქსეს ჯარს. მოხდა ბრძოლა, რომლის დროსაც კიროსი მოკლულ იქმნა მისი მცირეაზიური არმია აქეთ-იქით გაიფანტა, მაგრამ ბერძნებმა კი გაიმარჯვეს ირანელების მარცხნა ფლანგზე. ხოლო შემდეგ მოგერიეს მათი მთავარი ძალების იერიშებიც.

მდგომარეობა უფრო მეტად იმან გაართულა, რომ ირანის სარდლობამ ბერძენი სარდლები სათათბიროდ მიიწვია, რომლის დროსაც ყველა ისინი მუ-

ხანათურად მოკლულ იქმნენ ირანელების მიერ! ამროგად ბერძნული ლაშქარო-
10 ათასი კაცის რაოდენობით დარჩა უსარდლებოდ ირანის უშველებელი ჯა-
რის პარისპირ მდგარი. სახელდახელოდ მოახდინეს მეთაურთა შემადგენლობის
არჩევნები. არჩეულთა შორის იყო ქსენოფონტეც. დაიწყო სამხედრო ისტორიაში
სახელოვანი უკანდახევა 10 ათასი ბერძენ პოპლიტისა უაღრესად მძიმე პირო-
ბებში. ისინი დაიძრნენ ტიგრის ნაპირების გაყოლებაზე ჩრდილოეთით, ვაიარეს-
სომხეთზე და ადრე გაზაფხულზე მშვიდობიანად გავიდნენ შავი ზღვის სანაპი-
როსკენ, საიდანაც სამშობლოში დაბრუნდნენ. ამ ლაშქრობამ დაანახვა ყველას,
რომ ბერძნების შედარებით პატარა ლაშქარს, რომელსაც კარგი დისციპლინა
ჰქონდა, რომელიც მშვენიერად იყო გაწვრთნილი და დაუფლებული იყო უფრო
მალალ სამხედრო ტექნიკას, შეეძლო წარმატებით ბრძოლა მასზე ბევრად უფ-
რო მრავალრიცხოვან ირანულ ძალებთან.

400 წ, ლაშქრობის გაკვეთილი მერე გამოიყენა ალექსანდრე მაკედონელ-
მა, რომელმაც, არსებითად რომ ითქვას, იგივე გაიმეორა, ოღონდ უფრო ფა-
რთო მასშტაბით.

კიროსის ექსპედიციის მარცხმა სპარტას დიდი სიძნელეები შეუქმნა. არ-
ტარქსერქსემ ამით ისარგებლა, რომ ბერძნულ საქმეებში ჩარეულიყო. ტისი-
ფერნი, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილია პელოპონესის ომით, ხელახლა გა-
ჩნდა მცირე აზიაში და იწყებს ბერძნული ქალაქების შევიწროება-შეწუხებას.
ამ უკანასკნელთ დახმარებისათვის მიმართეს სპარტას და მას სხვა გზა აღარა-
ჰქონდა-რა, გარდა იმისა, რომ დაეწყო ომი ირანთან (399 წ.). სამხედრო მოქმე-
დება პირველად ძალიან დუნედ ვითარდებოდა, მაგრამ როცა სპარტაში შეიტ-
ყეს, რომ ირანელები ფინიკიურ ფლოტს ამზადებენ რომელიმე დიდი ლაშ-
ქრობისათვის, მაშინ მცირე აზიაში გაგზავნეს საკმაოდ დიდი ძალები სპარტის
შეფის აგეზილასის სარდლობით. სარდეს ახლოს მან შესძლო ტისაფერნის და-
მარცხება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც თავი იჩინა იმან, რომ სპარტას უნარი არ
შესწევდა დიდი მასშტაბის დიპლომატიური პოლიტიკის წარმოებისა. იმ დროს,
როდესაც სპარტის ჯარი ირანელებს აწევებოდა და უკუაქცევდა მცირე აზიაში,
ირანის დიპლომატიამ ფულების დახმარებით თითონ საბერძნეთშივე მოაწყო
ძლიერი ანტისპარტული კოალიცია სპარტის ქეგემონით უკმაყოფილოთაგან.
უკმაყოფილონი კი ყველა ბერძნული სახელმწიფოები იყენენ, რადგან სპარტამ
თავისი უბეში, უტაქტო პოლიტიკით, ბერძნულ სახელმწიფოთა შინაურ საქ-
მეებში ჩარევით აიძნედრა თავის წინააღმდეგ არა მარტო თავისი წინანდელი,
ძველი მტრები, არამედ მეგობრებიც და მოკავშირეებიც.

ირანელებმა შექმნეს კოალიცია თებეს, კორინთოს, არგოსის, ათენისა და
რამდენიმე სხვა; უფრო წვრილი სახელმწიფოს შემადგენლობით. დაიწყო ეგ-
რეთწოდებულ კორინთოს ომი. მას ასე იმიტომ ეწოდება, რომ სამხედრო
ოპერაციათა ცენტრს წარმოადგენდა ისთმო.

სპარტამ კორინთოს სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე გაგზავნა თავისი
ძველი გმირი ლისანდრე, მაგრამ ის მოკლულ იქმნა ერთ-ერთი ბრძოლის
დროს დასაწყისშივე. მაშინ მოუხდათ დასახმარებლად აგეზილასის გამოწვევა
მცირე აზიიდან. სწორედ ამავე დროს ათენის ყოფილმა ნავარქოსმა (ფლოტის

სარდალმა) კონონმა, ირანელებთან რომ მსახურობდა, დაამარცხა სპარტის ფლოტი მცირე აზიაში კნიდეს ახლოს. ამის შედეგად ის იყო, რომ სპარტის ვარზიზონებმა დაცალეს მცირე აზიის ქალაქები, რომელნიც ასლა ირანის ხელში გადავიდნენ.

ირანის ფლოტმა გაანადგურა პელოპონესის ნაპირები და მიადგა კრინთოს კელს, რომ თავის ბერძენ მოკავშირეებისთვის დასმარება აღმოეჩინა.

შემდეგ ატენი დასახლებებს ათენის გაძლიერება, რაიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარტის დაუსუსტებასთან მისი დამარცხების შემდეგ.

ათენის გაძლიერებას ხელი შეუწყო ირანმა. რომელიც ცდილობდა საბერძნეთში წონასწორობის დამყარებას და არც ერთს ბერძენულ პოლისს არ აღუდგა საშუალებას ძალიან გაძლიერებისას. მარტო ასეთ პირობებში შეეძლო ირანს ყოველ დროს ბერძენულ საქმედებში ჩარევა და მთავარი მიზნის მიღწევა: მცირე აზიის დაბრუნება.

ხვორეფ ამიტომ იბრძოდა ირანი სპარტის წინააღმდეგ, რომელიც ძალიან გაძლიერდა პელოპონესის ომის შემდეგ. და დაიწყო მისი ძველდღისძველი მტრის— ათენისთვის მხარის მიცემა. ირანელებისგან მიღებულ ფულთ ათენელებმა აღადგინეს გრძელი კედლები. ომის შემდეგ რომ იყო დანგრეული. ნაწილობრივ აღადგინეს. ფლოტიც და თავისი არმია გააძლიერეს მოქირავნეთა მოგზაობებით.

ჰეიკრატემ. ათენის ნიჭიერმა სტრატეგოსმა. მოახდინა არმიის მნიშვნელოვანი ტაქტიკური ოფორმა. რეფორმა გამოწვეული იყო მეტწილად ათენის გაღარიბებით: ირანის ფულადი დახმარებითაც კი ათენის მოავერობას არ შეეძლო მძიმედ შეიარაღებულთა დიდი არმიის შენახვა შეიარაღების სიძვირის გამო. იფიკრატემ შემოიღო შემსუბუქებული შეიარაღება. ლითონის აბჯრის ნაცვლად. ასლა იწყებენ ქერელისგან გაკეთებულ აბჯრის ხმარებას, რომელიც საკმაოდ კარგად იფარავდა მტრის ლახვრისა და ისრებისგან და თანაც გაცილებით იაფი ღირდა: ლითონის მძიმე ფარის მაგიერ იფიკრატეს შემოაქვს ტყავის მსუბუქი ფარი და თავის ჯარისკაცებს აიარაღებს გრძელი მუხრებით. ეს მუხრები შეიარაღებული რაზმები იწოდებოდნენ პელტასტებად. ახალმა შეიარაღებამ ცვლილებები შეიტანა ტაქტიკაშიც: პელტასტებისგან შემდგარ ჯარებს გაცილებით უფრო ადვილად შეეძლოთ მანევრების წარმოება. ამიტომაც იფიკრატე ფართოდ იყენებს ასლა ყოველნაირ საფლანგო მოძრაობას. შემოვლას და მისთანას. ახალი ტაქტიკა ათენს დიდ უპირატესობას აძლევს სპარტის ჯარების წინაშე.

თავისი ახალი ფლოტის დახმარებით ათენი ხელასლა იპყრობს სრუტეებს და ცდილობს კვლავ აღადგინოს ძველი საზღვაო კავშირი. თანაც იერთებს მთელ რიგ ადგილებს მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე: ჰალიკარნასს, ლესბოსსა და სხვათ. ამრიგად კვლავ მკვდრეთით დგება ათენის ძველი ძლიერების აჩრდილი.

ამ მომენტში ირანი კვლავ იტვლის ფრონტს. ირანელები იწყებენ ისევ სპარტისადმი მხარის მიცემას და თანამიმდევრობით ატარებენ თავიანთ პოლიტიკას: არავის არ მიეცეს საბერძნეთში გაძლიერების საშუალება. ირანის დახ-

შარებამ ანტისპარტულ კოალიციას ხელი შეუშალა თავისი მოპირდაპირის საბოლოოდ დამარცხებაში.

387 წ. მებრძოლი მხარეები იძულებულნი შეიქმნენ დაედოთ საერთო ხავი. ანტალკიდეს ზავად წოდებული. ასე ეწოდა სპარტის რწმუნებულის, ნავარკოს ანტალკიდეს სახელის მიხედვით, რომელიც გაგზავნა იქმნა ირანის მეფესთან. საზავო ხელშეკრულების ტექსტი შენახული აქვს ქსენოფონტეს.)

„მეფე არტაქსერქსე ცნობს სამართლიანად, რათა მას ეკუთვნოდეს აზიის ყველა ქალაქები, ხოლო კუნძულებს შორის --- კლავომენი და კვიპროსი. ყველა დანარჩენ ელინურ ქალაქებს, დიდებსა და მცირეებს, უნდა მიეცეს ავტონომია. ლემნოსის, იმბროსის და სკიროსის გარდა, რომელნიც კვლავინდებურად ათუხელთა ხელში რჩებიან. იმ მებრძოლ მხარეს, რომელიც კი ამ პირობებს არ მიიღებს, მე, ზავის მიმღებებთან ერთად, ეუცხადებ ომს ზმელეთსა და ზღვაზე, და მასთან მებრძოლებს აღმოვუჩინებ შემწვობას ხომალდებით და ფულით“.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ანტალკიდეს ზავს საბერძნეთში „მეფის ზავს“ ეძახდნენ: მართლაც, იგი მთლიანად ნაჯარსახევი იყო ირანის ინტერესებით. ირანი ამ ზავის მიხედვით იღებდა ბერძნების მთელ სამფლობელოებს მცირე აზიაში (და ორ კუნძულსაც კი) რაც შეეხება დანარჩენ საბერძნეთს, მოხდა მისი ატომიზაცია. ირანისთვის ძნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საბერძნეთი დანაწილებულ-დაქუცმაცებული ყოფილიყო. ამიტომ ბერძნული პოლისების ყოველგვარი კავშირი (პელოპონესის კავშირის გარდა) აკრძალული იყო და ამით ბოლო მოეღო ათენელების გეგმებს საზღვაო კავშირის აღდგენის შესახებ.

ანტალკიდეს ზავის ყველაზე უფრო მძიმე პირობას წარმოადგენდა ის, რომ ირანის მეფე აღიარებულ იქმნა ბერძნულ საქმეების არბიტრად) ეს დიდი შეღავათა იყო ბერძნების თავმოყვარეობისა, და ამ დამცირებამდე ისინი მიიყვანა შინაგანმა ბრძოლამ, რომელმაც კარგა ხნით შეაღუსტა საბერძნეთის ძალღონე: ანტალკიდეს ზავის შედეგად იყო სპარტის მეორე ჰეგემონია.

ამ მეორე ჯერზედაც სპარტამ თავისი ჰეგემონია გამოიყენა უმთავრესად მისთვის, რომ ნაძალადევად ჩარეულიყო ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ოლიგარქიის სასარგებლოდ. სხვათა შორის იგი ჩაერია თებეს საქმეებში. სადაც ამ დროს ბრძოლა წარმოებდა ოლიგარქიულ და დემოკრატიულ დაჯგუფებათა შორის) სპარტა თებეს არისტოკრატიას მიუღდა და 382 წ. სპარტის რაზმმა ოლიგარქებთან შეთანხმებით დაიჭირა თებეს აკროპოლისი კადმეა.

მაგრამ ამან უფრო გააძლიერა თებეში დემოკრატიული მოძრაობა და გამოიწვია რევოლუციური ძალების კონსოლიდაცია.

თებეს ქალაქის დემოკრატიამ, ბეოტიის გლეხობასთან შეკავშირებულმა, მოახდინა დემოკრატიული რევოლუცია, რომელსაც სათავეში ედგა თებელი პელოპიდე, რევოლუციის შედეგად თებეში ოლიგარქები დამხოზილ იქმნენ, ხოლო სპარტის გარნიზონი იძულებული შეიქნა ბეოტიიდან წასულიყო (379 წ.). ჯალა-უფლება დემოკრატიის ხელში გადავიდა და ყველა თავისუფლმა მოქალაქემ მიიღო ხმის უფლება. ბეოტიის ფედერაცია, რომელიც ამას წინათ სპარ-

ტელებმა მოსპეს, გადახალისებულ იქმნა ძლიერ ცენტრალიზებულ კავშირად. რომელსაც სათავეში თებე ედგა.

დემოკრატიზაციამ და თებეს გაძლიერებამ ბუნებრივად გამოიწვია მისი დაკავშირება ათენთან, გამოიწვია ორი დემოკრატიული სახელმწიფოს და სპარტისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს გაერთიანება. ამ კავშირის შეკვრაზე ათენი აიძულა თითონ სპარტამვე, რომელიც მოულოდნელი თავდასხმით შეეცადა პირველის ხელში ჩაგდებას. ათენმა მოიგერია სპარტელების თავდასხმა, დაუკავშირდა თებეს და 378 წ. დაიწყო ომი სპარტასთან)

თებესთან კავშირი ათენს შესაძლებლობას აძლევს კვლავ შეეცადოს ათენის საზღვაო კავშირის აღდგენას.

პირველი კავშირის ისტორიამ ცოტა-რამ ასწავლა როგორც ათენელებს, ისე მოკავშირეებს.

ათენის მეორე საზღვაო კავშირი პირველისგან უწინარეს ყოვლისა განიზრჩოდა თავისი ფარგლებით და მოცულობით. კავშირში არ შედიოდნენ მცირე აზიის ქალაქები. ათენი იმის შიშით, რომ ირანთან განხეთქილება არ მომხდარიყო, არც კი შეეცადა კავშირში მათ ჩარიცხვას. კავშირში შევიდნენ: როდოსი, ქიოსი, ლესბოსი, ეგბეა, ბიზანტიონი, სპორადის კუნძულები და რამდენიმე სხვა, უფრო წერილი პოლისი. უფრო გვიან კავშირს შეუერთდნენ კერკირა და ზაკინთო.

გარდა ამისა ათენმა მხედველობაში მიიღო პირველი კავშირის გამოცდილება და მეორე კავშირის მოწყობისას მოკავშირეებს გაცილებით უფრო ფართო ავტონომია მისცა და თანაც პირობა უნდა დაედო ათენს, რომ არ ჩაერეოდა მოკავშირეების შინაურ საქმეებში, არ გაეჩინა იქ ახალშენები და მოკავშირეებისთვის არც ხარკი შეეწერა. გადასახადები დაწესებულ იქმნა, ოღონდ გადასახადებს ახლა ეწოდებოდა „სიუნტაქსისი“ — შესატანი თანხა და არა „ფოროსი“ — ხარკი. ესეც კია, ფაქტიურად აქ არავითარი განსხვავება არ ყოფილა.

ათენის კავშირი თებესთან ორივე სახელმწიფოსთვის იყო ხელსაყრელი. ათენის გაძლიერებასთან ერთდროულად თებეც მოღონიერდა. გლეხურმა ბეოტიურმა არმიამ თებეს შესაძლებლობა მისცა რამოდენიმე ხნის განმავლობაში ეწარმოებინა ენერგიული საგარეო პოლიტიკა.

პირველ ხანებში სპარტის მთავრობამ მოიაზრა, რომ ხელმძღვანელი როლი ხელიდან ეცლებოდა, შეეცადა ბეოტიის დაპყრობას და 371 წ. მის წინააღმდეგ დიდი არმიით გაილაშქრა. ლეგეტირასთან, თებეს შორი-ახლო, მოხდა ბრძოლა. ბეოტიის გლეხურ ლაშქარს სარდლობდა თებეს გმირი ეპამინონდი. რომელმაც ახალი ტაქტიკა მოიმარჯვა; მან ერთგვარად გამოიყენა ის რეფორმა, რომელიც ათენში იფიქრატემ მოახდინა. ეპამინონდამ თავისი ჯარი ისე კი არ დააწყობა, როგორც ჩვეულებრივად აწყობდა, გაშლილი ფრონტით, არამედ შეჭრილად, წინ წააყენა მარცხენა ფრთა და იქ საუკეთესო მეომრები დააყენა, ხოლო მარჯვენა ფრთა, უფრო სუსტი, — რამოდენიმედ უკან დასწია. აი ეს იყო ეპამინონდას განთქმული „ირიბი წყობა“. ჯარის ასეთი გაწყობა-განლაგების წყალობით ბეოტიის არმიის მარცხენა ფრთამ მედგარი, შეტევა-დაკერით გაარღვია სპარტელების ფრონტი და სპარტელებიც სასტიკად და-

მარცხდნენ. ასეთი დიდი მარცხის შემდეგ სპარტელი პოპლიტების უქლეველობის სახელი უკვე ჩაპქრა.)

თავისი გამარჯვებით გათამამებული ეპამინონდა 369 წ. შეიჭრა პელოპონესში, გადალახა სპარტის ტერიტორია და თითონ ქალაქამდეც კი მივიდა. ოლონდ სპარტის დაპყრობა კი ვერ მოახერხა. (ბეოტიის არმიის სპარტაში შეჭრის შედეგად მოხდა პელოპონესის კავშირის დაშლა. სპარტის მოკავშირეების წინააღმდეგ აღდგნენ და სპარტაც მარტო ლაკონიკის ძველ საზღვრებში ჩააყენეს.) არკადიაში დაარსდა კავშირი ქალაქ მეგალოპოლისის მესვეურობით, რომელიც მაშინვე წარმოიქმნა სინოიკისმის გზით. მესენიის ილოტები განთავისუფლებულ იქმნენ და მესენიაშიც დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა.

(შემდეგში პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. თებეს გაძლიერებით შეფიქრიანებული ათენი სპარტის მხარეზე გადავიდა. მოიქცა რა აქ ირანული პოლიტიკის მაგალითისამებრ, სპარტის დასახმარებლად გაიგზავნა ძლიერი რაზმი იფიკრატეს მეთაურობით და მისი მოხმარებით სპარტელებმა შესძლეს ეპამინონდას პელოპონესიდან გამოდევნა. მაშინ თებემ გადასწყვიტა ათენისთვის შეეტია. ააგო ფლოტი. გადაისროლა იგი აღმოსავლეთში და 364 წ. ათენელები გამოსდევნა სრუტეებიდან) ეს შეიქნა ბიძგად იმისა, რომ ათენის მეორე საზღვაო კავშირი დაშლილიყო.

თუმცა ათენმა დიდი ამბით და ზეიმით პირობა დასდო --- მოკავშირეებს არ შეევაიწროებ და არ შეეაწუხებო, და ეს აღთქმანი ათენის სახალსო კრების სათანადო დადგენილებებითაც იყო დადასტურებული, მაინც ათენის პოლისის ბუნება კვლავინდებური დარჩა. ათენი, თუმცა წინანდელზე უფრო ფრთხილად, კიდევ იწყებს მოკავშირეების მიმართ ძველი პოლიტიკის ვატარებას. იწყებს აქა-იქ ადგილების დაპყრობას, აქა-იქ ახალშენებსაც აწყობს და მოკავშირეთა შინაურ საქმეებშიაც ერევა. ამიტომაც იყო, რომ როცა თებეს ფლოტი სრუტეებში გაჩნდა და იქიდან ათენელები გამოდევნა, მოკავშირეებმა იწყეს ათენის კავშირიდან გასვლა. ხელათვე გაუდგა მას ბიზანტიონი, მას მიჰყენენ ქოსი და როდოსი. მაგრამ ვერც თებემ შეინარჩუნა საზღვაო ჰეგემონია. ბეოტია იყო უმთავრესად გლეხური ქვეყანა. გლეხურმა რევოლუციამ, რომელმაც შეაქმნა ძლიერი ჯარი, მისცა საშუალება სპარტის დამარცხებისა, მაგრამ მოპოვებულ წარმატება-გამარჯვებათა განმტკიცება კი თებემ ვეღარ შესძლო: იგი არ იყო საზღვაო სახელმწიფო. ფლოტი ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. მართალია მან ერთხანად მოახერხა კიდევ ათენელების გამოდევნა სრუტეებიდან, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებოდა მარტო იმითომ, რომ თითონ ათენის ფლოტიც ეხლა ის აღარ იყო. რაც წინათ. მარტო ერთ სახმელეთო გლეხურ არმიასვე საგარეო პოლიტიკის ფართო გეგმების აგება არ შეუძლებოდა. ზღვას იქითურა წამოწყებისათვის ბეოტიაში სათანადო ძალა არ მოიპოვებოდა.

(362 წ. ეპამინონდა კვლავ შეიჭრება პელოპონესში. ქალაქ მანტინეის ახლოს, პელოპონესის ცენტრალურ ნაწილში. მოხდა მეორე დიდი ბრძოლა სპარტელებთან, რომელთაც ეხლა მხარს აძლევდნენ ათენელებიც. თებელებმა მოახერხეს მოპირდაპირს უკუგდება, მაგრამ ბრძოლაში მოკლულ იქმნა ეპამინონ-

და. ბეოტიის არმია. რაკი უწინამძღვროდ დარჩა. დაიბნა და იძულებული გახდა ისთმოსკენ დაეხია.

ათენმა ისარგებლა თებეს დასუსტებით და დაიწყო ომი თავის მოკავშირეების წინააღმდეგ. რადგანაც უნდოდა აეძულებინა ისინი კავშირის აღსადგენად. ეს ეგრეთწოდებული „მოკავშირეთა ომი“ რომელიც გაგრძელდა 357-დან 355 წლამდე. ათენისთვის უშედეგო იყო და კავშირიც ფაქტიურად დაიშალა.

ამ მომენტში პოლიტიკურ პორიზონტზე ჩნდება ახალი ძალა — მაკედონია. მეფე ფილიპე მეორემ ამ დროისთვის უკვე შეჰქმნა ძლიერი სამხედრო სახელმწიფო და დაიწყო ნელნელა ბერძნულ შინაურ საქმეებში ჩარევა. მაგრამ ეს უკვე სრულიად ახალი პერიოდია საბერძნეთის ისტორიაში და მის შესახებ ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

IV ს. პირველი ნახევრის დროის საერთაშორისო ურთიერთობის მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ საბერძნეთში საგარეო პოლიტიკის შედარებითი წონასწორობის დარღვევამ. რომელიც დაკავშირებული იყო პელოპონესის ომთან და ათენის პირველ საზღვაო კავშირის დაშლასთან. გამოიწვია ხანგრძლივი ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. ყველა ბერძნული სახელმწიფოები ერთი მეორეს ებრძოდნენ. არც ერთს მათგანს არ შესწევდა უნარი მტკიცე ჰეგემონიის დამყარებისა და არც ერთი ახალი კავშირი არ ყოფილა მყარი, მტკიცე, გამძლე. რასაკვირველია, საქმე მარტო იმაში კი არ იყო, რომ დაირღვა საგარეო პოლიტიკური წონასწორობა. წონასწორობის დარღვევამ პელოპონესის ომის შემდეგ ბიძგი მისცა ყველა იმ წინააღმდეგობათა გაშლა-გამომჟღავნებას. რაიც პოლისს თანდაყოლილ თვისებად ჰქონდა.

ანტიკური მონობის პირობებში მონათმფლობელური სისტემის რეპროდუქციის პრობლემა ჰბადებდა მეტად ღრმა წინააღმდეგობათ. მონობის დროს ძირითადი მუშა ხელის, სამუშაო ძალის—მონების—რეპროდუქცია არა ხდება თითონ წარმოების პროცესშივე. მონების შესავსებად მუდმივ საჭირო ხდება გარეშე დაპყრობანი, ომები, შეკობრეობა და სხვა ამგვარი. მონათმფლობელური ტექნიკის დაბალი დონისა და ჩამორჩენილობის დროს, ბერძნულ ეპოქის საგარეო ხასიათის პირობებში ეკონომიური ბრძოლა პოლისებს შორის შესატყვისი იყო სამხედრო ბრძოლისა. პელოპონესის ომი იყო აი ამ წინააღმდეგობის გამოვლენა-გამოხატულება, მთელი საბერძნეთი ორ მეზობელ ბანაკად რომ დაჰყო. მაგრამ მანვე, მოახდინა რა საბერძნეთის ატომიზაცია, მეტისმეტად გაამწვავა და გაამახვილა გარეგანი წინააღმდეგობანი პოლისებს შორის. IV ს. სრული პოლიტიკური დაქუცმაცება-განკერძოების პირობებში პოლისების ბრძოლას ტერიტორიისათვის, ბაზრისათვის, მონებისთვის, პოლიტიკური ბატონობისათვის აუცილებლად უნდა გამოეწვია საშინელი დაქვეითება. ბერძნული სახელმწიფოები ერთი მეორეს ასუსტებდნენ და ღონეს ულტევენენ უნაყოფო და დაუნდობელ ბრძოლის დროს. საბერძნეთის დასუსტებას შედეგად მოჰყვა ირანის ახალი ჩარევა ბერძნულ საქმეებში, რამაც უფრო გააძლიერა ის ქაოსი, საბერძნეთში რომ სუფევდა.

თქმა არ უნდა, რომ მრავალი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ წარმოებულ ომებს უნდა შეერყიათ საბერძნეთის საწარმოო ძალები. ანტიკური

ომების სუზონური ხასიათით, რომ მივიღოთ მხედველობაში (ზამთრობით ომი ჩვეულებრივ წყდებოდა ხოლმე), იმასაც რომ ანგარიში გაუწიოთ, რომ საწარმოო ძალების განადგურება ანტიკურ ომებში შედარებით დიდი არ იყო, მაინც არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ ომებმა საბედისწერო გავლენა იქონიეს საბერძნეთის ეკონომიკაზე. ამ გავლენას თავი უნდა ეჩინა მიწათმოქმედების ტერიტორიათა აკლება-აოხრებაში. ერთის მხრივ, სოლო მეორეს მხრივ, ვაქრობის ჯანვითარების შეჩერებაში. და როცა ფილიპე მეორემ, დაიმორჩილა თუ არა საბერძნეთი, 337 წ. მოიწვია ბერძნები კორინთოს კონგრესზე. ტყუილად არ იყო, რომ ძირითად მუხლად კონგრესის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღიარეს ზავი ბერძნულ სახელმწიფოებს შორის და ვაქრობის თავისუფლება.

მაგრამ თუ IV ს. ისტორიის მიმოხილვა დავიწყეთ საგარეო პოლიტიკიდან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკა ძირითადად უნდა იქნეს მიჩნეული. იგი წარმოადგენდა პოლისების იმ შინაგან წინააღმდეგობათა ნაწარმოებ მომენტს. რომელთაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩინეს თავი IV საუკ.-ში.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნავდით, თუ რა გავლენა იქონია პელოპონესის ომმა ამ წინააღმდეგობათა გამწვავებაზე. კერძოში დატრიალებული ამბები აშკარა მაჩვენებელია იმ გაშმაგების, რომლითაც იშლებოდა და ვითარდებოდა კლასობრივი ბრძოლა. IV საუკუნეში იგი უფრო ღრმავდება. ბერძენი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე ისრაკატე (IV ს.) შემდეგნაირად ახასიათებს შინაურ მდგომარეობას ბერძნულ თემებში:

„მტრისა უფრო ნაკლებად ეშინიათ, ვიდრე საკუთარი თანამოქალაქეებისა. მდიდრები მზად არიან თავის ქონება ზღვაში ჩაღუპონ, ვიდრე მისცენ იგი ლარიბებს; ხოლო ლარიბებს ისე არაფერი არ ენატრებათ, როგორც მდიდრების გაძარცვა. მსხვერპლს აღარ სწირავენ და საკურთხევლებთან ხალხი ერთი მეორეს ხოცავს. მრავალ ქალაქს ეხლა უფრო მეტი ემიგრანტი ჰყავს, ვიდრე წინათ მთელ პელოპონესს ჰყავდა“

ეს არის სავესებით ზუსტი სურათი იმ სამოქალაქო ომისა, რომელიც მიმდინარეობდა IV ს.-ში საბერძნეთის უფრო მოწინავე სახელმწიფოებში. ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს 392 წ. რევიოლუცია კორინთოში, რომელსაც თან სდევდა მდიდრების საშინელი ხოცვა-ჟლეტა, და არგოსის „სკიუტალისმოს“ („სკიუტალე“ ბერძნულად ნიშნავს კომბალს) 370 წელს. როცა 1500 მდიდარს კომბლებით სცემეს.

ამ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე IV საუკ.-ში წარმოიშევა ეგრეთ-წოდებული „დემოკრატიული ტირანია“, რომელიც მკვეთრად განირჩევა V და VI საუკუნეთა ტირანიებისგან: IV ს. ტირანები წარმოადგენენ ლუმპენ-პროლეტარებისა და მოქირავნეთა ბატონობის თვისებურ ფორმას.

ყველაზე უფრო ტიპური ამათში იყო დიონისეს ტირანია სირაკუზში. ბერძნული ქალაქების ხანგრძლივმა ბრძოლამ კართაგენთან V ს. დასასრულს გამოიწვია სტრატეგოსის ძალა-უფლების გაძლიერება. სირაკუზის სტრატეგოსმა დიონისემ, მოქირავნეებზე დამყარებულმა, ხელთ იგდო ძალა-უფლება სირაკუზში და მოახდინა იქ „სოციალური გადატრიალება“ შეძლებული ხალხი ამოწყვეტილი იყო ან, ვინც თავს უშველა, გაიქცა. ხოლო მათი ქონება გაანაწი-

ლეს დიონისეს მიერ თავისუფლად განტეხებულ მონებსა, ლარიბ ხალხსა და მოქირავენებს შორის (405 წ.)

ხელსაყრელმა გარემოებებმა და ტირან დიონისეს პირადმა ნიჭიერებამ მას დიდი ხნით შეუნარჩუნეს ძალა-უფლება და ისიც კი შეაძლებინეს, რომ ეს ხელისუფლება მერე თავის შვილისთვის გადაელოცა. ტირანია სირაკუზში დაემზო მარტო 344 წელს. ასეთივე გზით წარმოიშვა ტირანია IV ს. საბერძნეთის მთელ რიგ სხვა ოლქებში: კორინთოსა, სიკიონში, აქაიასა, ჰერაკლეაში და სხვაგან. ყველგან მსგავსი ტირანია ჩნდება მოსახლეობის მხრივ მდიდართა წინააღმდეგ მომხდარ აჯანყების შედეგად. მოძრაობას ჩვეულებრივად წარმართავს და იყენებს მოქირავეთა წინამძღოლი და მათი დასმარებით, თანაც ლუმენ-პროლეტარიებთან და განთავისუფლებულ მონებთან შეკავშირებით, ხელთ იგდებს ძალა-უფლებას, ანაწილებს მდიდრების ქონებას და რამოდენიმე ხნით ინარჩუნებს მოპოვებულ ხელისუფლებას. ჩვეულებრივად შეძლებული კლასები სწრაფად იკრეფენ ძალ-ღონეს და ასეთ „ტირანს“ ჩამოაგდებენ. სირაკუზის ტირანია ყველაზე უფრო ხანგრძლივი იყო.

კლასობრივი ბრძოლის უდიდესი გამწვავება, რაიც დამახასიათებელი იყო IV საუკუნისთვის, მოხდა მონობის განვითარების შედეგად. მონათმფლობელთა სისტემის ზრდა იწვევდა ერთის მხრივ მონათმფლობელთა და მონებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებას, ხოლო მეორე მხრივ — წერილი მწარმოებლების პროლეტარიზაციას. მონათმფლობელთა შეძლებული ზედაფენა ხდება მსხვილი ინდივიდუალური კერძო საკუთრების მატარებელი და მოსარჩლე, ღარიბი მოსახლეობა კი, გადადის რა უფრო და უფრო სახელმწიფოს ხარჯით არსებობაზე, გვევლინება როგორც სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრების მოსარჩლე. ბერძნული საზოგადოების მდიდარ ზედაფენასა და ლატაკ დაბალ ფენას შორის წინააღმდეგობის გამწვავება — ეს იყო იმ წინააღმდეგობათა გამწვავების გამოხატულება, რაიც არსებობდა პოლისის სათემო-სახელმწიფოებრივ საკუთრებასა და მისგან განვითარებულ მსხვილ ინდივიდუალურ საკუთრებას შორის.

წერილი მწარმოებლების პროლეტარიზაცია V ს. ბოლოს და განსაკუთრებით კი IV საუკუნეში ესაა უეჭველი ფაქტი, რომელიც წარმოშვა მონობის განვითარებამ, ომებმა და გაცემა-დარიგებათა და კმევა-კეების სისტემამ. აკადემიკოსი ტიუმენევი თავის შრომაში „ძველი საბერძნეთის ეკონომიურ და სოციალურ ისტორიის ნარკვევები“ («История Экономической и социальной истории древней Греции») შეეცადა აქ ერთგვარი სტატისტიკური გამოანგარიშებაც კი მზაცა. ციფრები, რასაკვირველია, დაახლოვებითია. ტიუმენევი მეტად საინტერესო დასკვნამდე მიდის: 100 წელიწადში — 420-დან 320 წლამდე — ათენში ქონების არმქონე მოქალაქეთა რაოდენობა 42 0/0-დან გაიზარდა 57 პროცენტამდე. სახელმწიფოებრივი გაცემა-დარიგება აჩქარებდა პროლეტარიზაციას და, რასაკვირველია, ღარიბ მოსახლეობას ვერ შეუქმნიდა რამოდენიმედ რიგიან არსებობას და იგიც ნახევრად მშვიერ რეჟიმში იმყოფებოდა. აი ეს პროცესი იწვევდა სწორედ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას.

IV საუკ.-ში მონები ჯერ კიდევ არ გამოდიან, როგორც დამოუკიდებელი ახლა. IV ს. საბერძნეთის ცხოვრების პირობებში მონობის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ არ იყო მისული ისეთ გამწვავებამდე, რომელსაც უნდა გამოეწვია მონების მასობრივი აჯანყება. ეს მოხდა ორი საუკუნით უფრო გვიან, უკვე რომის ეპოქაში. აი რატომ არ შეიძლება ლაპარაკი საბერძნეთში IV ს. სოციალურ მოძრაობის შესახებ, როგორც მონათა რევოლუციაზე ამ სიტყვის ზუსტი გაგებით და მნიშვნელობით. მაგრამ ერთობლივი გამოსვლა მონებისა და ღარიბ მოსახლეობისა საკმაოდ ხშირად გვხვდება და ეს უკვე მრისხანე გაფრთხილებას წარმოადგენს შეძლებულებისათვის.

ყველა ამ რევოლუციურ აფეთქებას, აჯანყებებს, შეძლებულთა ქლევას, შათი ქონების დანაწილებას — ყოველივე ამას არ შეეძლო შეექმნა წარმოების რაიმე ახალ წესზე გადასვლა. უწინარეს ყოვლისა ეს არ ნიშნავდა მონობის მოსპობას. ლუმპენ-პროლეტარიატი თავისი ბრძოლის დროს თუ კიდევაც ხშირად ემყარებოდა მონების მოძრაობას, ის სრულიადაც არ ფიქრობდა მონობის მოსპობას. IV ს. ანტიკური ბოლისის მოქალაქისთვის, თუნდაც იგი უკანასკნელი რტაკი ყოფილიყო, მონობის მოსპობა წარმოუდგენელი იყო მას ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა უმონოდ არსებობა. მარტო სულ ცოტანი, იმ დროის საბერძნეთის უაღრესად მოწინავე მოაზროვნენი მივიდნენ მონობის მოსპობის იდეამდე. მასებში ეს იდეა ჯერ არ იყო შეპრილი, რადგანაც ჯერ ისევ ცხოველი იყო ძველი ურთიერთობანი და მონათმფლობელური სისტემა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად შერყეული. გამარჯვებული ლუმპენ-პროლეტარები ზელში ჩაგდებული ქონების განაწილების შემდეგ ახალ მონათმფლობელებად ვადაიქცეოდნენ ხოლმე. ხდებოდა მარტო პერსონალური ცვლა მმართველ კლასში და არა წარმოების წესის შეცვლა და ამიტომაც, როცა შეძლებული ხალხი ძალ-ღონეს იკრეფდა და ხელისუფლებას უბრუნდებოდა, ყოველივე უბრუნდებოდა თავის პირვანდელ მდგომარეობას.

მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ IV საუკ. სოციალური მოძრაობა უნაყოფო იყო და მას არავითარი ისტორიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ლუმპენ-პროლეტარებისა და მონების ბრძოლა მონათმფლობელებთან პროგრესიული შოვლენა იყო, რადგანაც იგი არყევდა მონათმფლობელურ საზოგადოებას და დახელმწიფოს, რომელიც უკვე შევიდა თავისი დაშლისა და რღვევის ფაზისში ეს ბრძოლა ამზადებდა ანტიკური საზოგადოების საერთო კრიზისს, ამზადებდა მონათა რევოლუციას.

IV ს. ბერძენ ლუმპენ-პროლეტარებს პირდაპირი და აშკარა ძალადობის გარდა კიდევ ბევრი სხვა საშუალება ჰქონდათ მდიდრებთან ბრძოლისა.

ქსენოფონტეს ნაწარმოებში „ლხინი“ გამოყვანილია ვინმე ხარმიდე, სოკრატეს მოწაფე, რომელსაც დიდი ქონება აქვს დაკარგული.

ხარმიდე ქებას ასხამს თავის ახალს ლუმპენ-პროლეტარული მდგომარეობის უპირატესობას შედარებით შდიდარი კაცის მდგომარეობასთან.

„ყველამ იცის, რომ სჯობია იყო გაბედული, ვიდრე მშინშარა, სჯობია იყო თავისუფალი, ვიდრე მონა, სჯობია საღამით გიხვდებოდნენ, ვიდრე თავად შენ უკრავდე თავს, სჯობია ნდობით სარგებლობდე, ვიდრე თავად ეძებდე

ნდობას. როცა მდიდარი ვიყავ. მეშინოდა, ვისმეს კედელი არ გამოენგრია ჩემ სახლში და ფულები არ წაეღო, ხოლო თითონ მე რაიმე ფათერაკი არ შემთხვეოდამისგან; გარდა ამისა მე თავს ვეველებოდი სიკოფანტებს (მაბეზღრებს), რადგან ვიცოდი, რომ მათი წყალობით მე უფრო ჩავევარდებოდი. უბედურებაში, ვიდრე ისინი ჩემ მიერ. ბოლოს, მე ყოველთვის მომდიოდა გარკვეული მოთხოვნილება. ესა თუ ის გამეკეთებინა ქალაქისთვის, ხოლო ათენიდან გასვლის წებას არ მაძლევდნენ. მაგრამ ეხლა, როცა საზღვარგარეთული მამულები მე უკვე წამაბოთვეს, როცა ატიკაში მე არაფერს არ ვიღებ, ხოლო სახლის ქონება მთლად გაყიდულია, ეხლა მე მძინავს არხეინად გაკიმულს. ესარგებლობ ქალაქის ნდობით და უკვე აღარავინ აღარ მემუქრება; პირიქით, მე სხვებს ვემუქრები. მე თავისუფალი ვარ, მე შემოძლიან ქალაქიდან სადმე წავიდე და უკან დავბრუნდეთ კიდევ, მდიდრები ჩემ წინაშე თავ-თავიანთ ადგილებიდან წარმოდგებიან ხოლმე და ქუჩაში გზას მაძლევენ, ეხლა მე ნამდვილი თავადი ვარ, წინათ კი მონაკიყავი, მაშინ მე გადასახადებს ვიხდიდი ქალაქის სასარგებლოდ. ეხლა კი ქალაქმე მაძლევს ჯამაგირს და მინახავს... ბოლოს, როცა მე ყველაფერი ბლომად მქონდა, ყოველთვის ზარალი მქონდა ხან ქალაქისგან, ხან ბედის წყალობით: ეხლა კი მე არაფერი მეკარგება, რადგან არაფერი მაქვს დასაყარგი, და ყოველთვის იმედი მაქვს რაიმე მივიღო“.

ესაა გენიალური ლიტერატურული დახასიათება საქმის იმ ვითარებასა, რომელიც ატიკაში შეიქმნა IV საუკ.-ში.

რასაკვირველია, ეს კარიკატურაა. ქსენოფონტე აშკარა მოწინააღმდეგე იყო დემოკრატიისა. მაგრამ ამასთანავე ერთად ძალიან მახვილი მეთვალყურე-დამკვირვებელიც და სწორედ, თუმცა გაზვიადებული ფორმით კი, დაგვიხატა მდიდარი კაცის მდგომარეობა IV ს. ათენში.

ლუმენ-პროლეტარიატს, რომელიც გაბატონებული იყო სახალხო კრებაში, ათასი ლეგალური შესაძლებლობა მქონდა, რომ მდიდრებისთვის წინა მოექირა და ხელათვე მათგან ფულები აეღო. ხარბიდე ამ საშუალებებს ჩამოთვლის.

უფრო პოპულარულ საშუალებას წარმოადგენდა მდიდარი კაცის სამართალში მიცემა დასმენით, დაბეზლებით. არსებობდა სიკოფანტების, მბეზღრების, სპეციალური პროფესია, რომელნიც მარტო იმას, მისდევდნენ, რომ გამოეჩინებინათ საბაბი მდიდარი კაცის სამართალში მისაცემად. მაგრამ რაკი საქმე მოხედებოდა სახალხო კრებაში ან ნაფიცთა სასამართლოში. სადაც უმრავლესობა ლუმენ-პროლეტარიატისა იყო, მდიდარი კაცი მადლობელი უნდა ყოფილიყო, თუ მას მარტო გაძევებას მიუსჯიდნენ და ქონებას ჩამოართმევდნენ. რადგანაც შეიძლებოდა ამაზე უარესი დამართოდა და ეპართებოდათ კიდევ.

IV ს. საბერძნეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა მოქირავენობის, ჯარის ქირით მოკრების განვითარება. იგი იყო მთელ რიგ პირობათა რთული პროდუქტი. მის ძირითად მიზეზს, რასაკვირველია, შეადგენდა მასების გადატაცება. ანტიკური არმია საერთოდ, კერძოდ კი ბერძნული, იკრიბებოდა ქონებრივი ცენზის საფუძველზე. თეტებს შეეძლოთ სამსახური მარტო მსუბუქად შეიარაღებულ რაზმებში, მაგრამ ძირ-

თადი ქვეითა ჯარი — ჰოპლიტები — მესაკუთრეებს შორის გზოვდებოდა. ეს სახეებით ბუნებრივი იყო, თუ გავითვალისწინებთ ანტიკური არმიის შემოსვისა და მომარაგების პრინციპს. როცა ყოველი მეომარი თავის თავს თითონვე ინაჭავდა. მონათმფლობელურ პოლისს თავის თავი თითონვე უნდა დაეცვა. ამიტომ ყოველ მოქალაქეს უნდა ემსახურნა და რაც უფრო მდიდარი იყო მოქალაქე, მთავ უფრო მეტად საპატიო ადგილი ეძლეოდა მას არმიაში.

მაგრამ გლეხობის იმ საშუალო ფენების პროლეტარიზაციამ, რომელიც მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ ჰოპლიტების ლაშქრისას, შეუძლებელი გახადა არმიის მოგროვება შეძლებულთა შორის. ეს უკვე აღარ იყო საკმარისი, მდიდრებს არ სურდათ სამსახური, ხოლო ღარიბებს არ შეეძლოთ თავიანთი თავის შემოსვა და შენახვა. ამის შედეგად არმიის დაკომპლექტება დაიწყო მოქირავნეებით და ლუმპენ-პროლეტარიატმაც ეს მოქირავნეობა პროფესიად გაიხადა.

განდა მრავალი ნიჰიტი წინამძღოლი-სარდალი, რომელიც თავისთვის აგროვებდნენ რაზმებს გულად ვაჟაკებს შორის, ვისაც, ხარმადეს თქმისა არ იყოს, „არაფერი ჰქონდა დასაყარგი“ და რომელიც ვისაც გინდა იმას ემსახურებოდა, სათანადო ხელფასს მისცემდა კაცი.

მეორე მხრით, მოქირავნეობა ძლიერდებოდა განუწყვეტელი ომების შედეგად: მოქირავნეებზე მოთხოვნილება დიდი იყო. თითონ მოქირავნეობაც, როგორც სოციალური მოვლენა, ჰკვებავდა ომს, რადგანაც მოქირავნეთათვის ომი ლუკმა პურს წარმოადგენდა. მოქირავნეები სარგებლობდნენ თავიანთ წინამძღოლების გავლენით და წარა-მარა თითონვე იწყებდნენ პროვოკაციულად ომს. გამოდიოდა, რაღაც მოჯადოებულნი წრე, რომლისგანაც გამოსავალი არ იყო.

ამრიგად, ძველი პოლისი, ძველი ანტიკური დემოკრატია, რომელიც ემყარებოდა შეძლებულ მონათმფლობელების ფართო კადრებს, აშკარად ირღვეოდა და იშლებოდა. ძალა-უფლებამ ლუმპენ-პროლეტარიატის ხელში გადადიოდა. ძველი წესი, ძველი წყობა დაინგრა. მთელი საბერძნეთი იწვოდა შინაურ და საგარეო ომის ცეცხლში. საბერძნეთი აგონიაში იმყოფებოდა, იხრწნებოდა, იშლებოდა. და სახეებით ცხადია, რომ შეძლებული კლასების აზრი. ამ კლასების იდეოლოგთა აზროვნება გამოსავალს ეძებდა ამ ჩიხიდან.

შეძლებული კლასები თანდათან განხე უდგებიან ძველ დემოკრატიულ იდეალს და თავისი იდეოლოგიების, პუბლიცისტების და ორატორების პირით აყენებენ იდეას, რომელიც სრულიად ახალია და სახეებით უცხოა ძველი საბერძნეთისთვის; სამხედრო დიქტატურის იდეას, სამხედრო მონარქიის იდეას; მათი აზრით, მარტო მას შეუძლიან იხსნას საბერძნეთი. დაამყაროს აქ შინაური და საგარეო მშვიდობიანობა.

ქსენოფონტეს, პლატონის, ისოკრატეს, არისტოტელეს და IV ს. სხვა მწერალთა ნაწარმოებებში ფარული ან გამოცხადებული ფორმით ჩვენ უკვე ვგრძნობთ ამ მონარქისტულ პანგებს. მონარქიის ამ იდეალიზაციას, რომელიც, მაგალითად, ასე მკვეთრად და მკაფიოდ გამოსჭვივის ქსენოფონტეს უტოპიურ რომანში „კიროსის აღზრდა“.

მონარქიის შესახებ აზრთან ერთად .IV საუკ.-ში საყოველთაოდ აღიარებული ხდება იდეა ირანთან ბრძოლისა. ისოკრატემ 380 წელსვე თავის „პანეგირიკში“ პირველად წამოაყენა ირანის წინააღმდეგ საღეთო ლაშქრობის იდეა. ამ ლაშქრობას ისოკრატე ასაბუთებდა იმით, რომ საჭირო იყო შურისძიება ირანის მიმართ „სიწმინდეთა შევინებისათვის“, რაიც, მან ჩაიდინა 480 წ. ბერძენ-ირანელთა ომების დროს. „პანეგირიკი“ დაიწერა 380 წელს. ცოტა კი გვიან იყო შევინება-შეურაცხყოფის განსენება — 100 წლის მერე! სავსებით ცხადაა, რომ ეს იყო მხოლოდ იდეოლოგიური ფორმულა. თითონ ისოკრატე გვიმჟღავნებს, თუ რაშია აქ საქმე: „იქ (ე. ი. ირანში. — ს. კ.), — ამბობს იგი, — ჩვენ მოგველის მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა, იქ შეიძლება ბედს ვეწიოთ, ვიშოვოთ თავისუფლება და სიუხვე; ხოლო სიმდიდრესთან ერთად სახლებსა და თემებში დაბრუნდება ერთსულოვნება და თანხმობა“.

მაგრამ კიდევ სხვა პანგი გაისმის ისოკრატეს ნაწერში: ირანთან ომი ხელს შეგვიწყობს აღმოსავლეთისკენ თავი ვუკრათ ყველა ლუმპენ-პროლეტარულს მოუსვენარს ელემენტებს, რომელიც ასე მძიმე ტვირთად აწევს კისერზე შეჭლებულ კლასებს.

ამრიგად, ირანის სიმდიდრეთა ხელში ჩაგდებას და სამხედრო კოლონიზაციას ისოკრატე აყენებს, როგორც იმის საშუალებას, რომ საბერძნეთი გამოყვანილ იქნას ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისიდან. ეს იყო პროგრამა, რომელიც მერე აითვისა და რომლის ცხოვრებაში გატარება დაიწყო ფილიპე II-მ აკედონელმა. ხოლო შემდეგ განაგრძო მისმა შვილმა — ალექსანდრემ.

XII. ახვავავის ღკონდელი საბეჩქნეთის იდეოლოგია

წ ს. ხანა წარმოდგენდა საბერძნეთის მონათმფლობელური საზოგადოების უმაღლესი აყვავების ხანას, ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, გაფურჩქინის ხანას.

ამავე ეპოქაში ყალიბდება კაცობრიობის ისტორიაში ერთი უაღრესად საინტერესო შოვლენათაგანი — საბერძნეთის იდეოლოგია. ერთი შეხედვით გაუგებრად გვეჩვენება; თუ როგორ, რანაირად შეიძლება პრიმიტიულ ეკონომიურ ბაზას (მონობას) და პრიმიტიულ სოციალურ ურთიერთობას წარმოეშვა სულიერი ცხოვრების ასეთი არაჩვეულებრივი აყვავება, როგორ შეიძლება შექმნილიყო ისეთი კულტურული ღირებულებანი, რომელნიც ათასეულ წლების განმავლობაში გავლენას ახდენდნენ კაცობრიობის განვითარებაზე.

ეს გასაოცარი ფაქტი ზოგიერთ ბურჟუაზიულ მეცნიერს იძულებულს აყვავებს „საბერძნეთის საკვირველება“ განმარტოს, როგორც რაღაც ირრაციონალური. აუხსნელი-რამ, სავნის ბუნებრივ მსვლელობას დაცილებული, სრულიად ამოვარდნილი მის კალაპოტიდან.

გავეცნოთ მოკლედ ბერძნული იდეოლოგიის ძირითად მოვლენებს და მერე შევეცდებით აუხსნათ კიდევ ეს „საკვირველება“, ეს „სასწაული“.

დავიწყოთ ბერძნული ფილოსოფიიდან, რადგანაც იგი წარმოდგენს ბერძნების იდეოლოგიური შემოქმედების უაღრესად მაღალ ნაყოფს. ბერძნები კაცობრიობის ისტორიაში პირველი ხალხია, რომელმაც კი ფილოსოფია შექმნა. ძველ აღმოსავლეთში ფილოსოფიური შემოქმედება, როგორც ასეთი-რამ, არ არსებობდა. არ ყოფილა. ცალკეული ნაწარმოებნი, რომელნიც აყენებდნენ ცხოვრების აზრის საერთო საკითხებს, როგორც მაგალითად ბაბილონური „დილოგი ბატონისა და ყმისა“, ეთიკის პრობლემაებს არ გასცილებიან. ფილოსოფია, როგორც „მეცნიერებათა მეცნიერება“, როგორც მსოფლმხედველობის ზოგადი მოძღვრება. ყოფნისა და აზროვნების სულ ზოგად პრობლემაებს ერთობლივ რომ შეიცავს, ძველ-აღმოსავლურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ დიფერენცირებული მომიჯნავე იდეოლოგიური ფორმებისგან-სარწმუნოებისა, მეცნიერებისა, ხელოვნებისაგან.

მარტო ბერძნულმა მონათმფლობელურმა პოლისებმა მოგვეცეს პირველად იდეოლოგიის ასეთი დიფერენციაცია, რაიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ფილოსოფია, როგორც ასეთი.

მთელი თავისი განვითარების სიერცეზე ბერძნული ფილოსოფია მკიდროდ იყო დაკავშირებული მეცნიერებასთან არა მარტო იმ გაგებით და აზრით, რომ ფილოსოფოსები ამასთანავე ერთად მეცნიერებიც იყვნენ, ხოლო მეცნიერები—ფილოსოფოსები. არამედ იმ გაგებითაც, რომ თითონ მასალა და პრობლემათა წრე მეცნიერებისა და ფილოსოფიისა ნაკლებად იყვნენ ერთი მეორე! დაშორებულნი. და ამაში მდგომარეობს ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება.

ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში“ გვაძლევს ბერძნული ფილოსოფიაში შემდეგს შესანიშნავ დახასიათებას:

„რადგანაც ბერძნები, — წერს იგი, — ჯერ კიდევ არ მისულან დანაწევრებადღე, ბუნების ანალიზამდე, ამიტომ მას ისინი იხილავენ ჯერ ისევე ზოგადად, საერთოდ. როგორც ერთს მთლიანს; მსოფლიოში მოვლენათა საყოველთაო კავშირი დაწერილებით არა მტკიცდება: ბერძნებისათვის იგი წარმოადგენს უშუალო ჭკრეტის შედეგს. ამაშია ბერძნული ფილოსოფიის ნაკლე, რის გამო მას შემდეგში მოუსდა ადგილი დაეთმო მსოფლმხედველობის სხვა სახეობათათვის. მაგრამ ამაშივე მდგომარეობს მისი უპირატესობა ყველა გვიანდელ მეტაფიზიკურ მის მოწინააღმდეგეთა წინაშე. თუ მეტაფიზიკა მართალია წერილმანებში ბერძნების მიმართ, ბერძნებიც მართალნი არიან მეტაფიზიკის მიმართ, მთლიანად. ესაა ის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის ძალით ჩვენ აძულებულნი ვიქნებით ფილოსოფიაში, როგორც მრავალ სხვა დარგშიაც. მუდმივ მიუბრუნდეთ ხოლმე იმ პატარა ხალხის ნაღვაწს, რომლის უნივერსალურმა ნიჭიერებამ და მოღვაწეობამ მას უზრუნველყო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ისეთი ადგილი, რომელზედაც პრეტენზიის განცხადება არ შეუძლია: არც ერთს სხვა ხალხს... ბერძნული ფილოსოფიის მრავალსახოვან ფორმებში: როგორც ჩანასხი, ან ახლად გაჩენილი—რამ მოცემულია მსოფლმხედველობის თითქმის ყველა გვიანდელი ტიპი“. (K. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XIV, Страница предисловие к «Анти-Дюрингу», стр. 340).

ბერძნული ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარებაში პირველ ეტაპს წარმოადგენს ევრეთწოდებული იონიური ნატურფილოსოფია. იონიას ბერძნებში უწოდებდნენ მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებს. აღმოსავლეთთან. აღმოსავლურ ბაზრებთან, აღმოსავლურ კულტურასთან სიახლოვის მეოხებით, მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებში — ეფესოში, მილეტში, სმირნაში—არაჩვეულებრივ ინტენსიური იყო ბერძნების ეკონომიური და სოციალური ცხოვრების მაჯისკემატ. მაშასადამე, სულიერი ცხოვრების მაჯისკემატ. მანამდე, სანამ მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებს ირანელები დაიპყრობდნენ, იონია წარმოადგენდა საბერძნეთის მოწინავე ნაწილს და ამიტომ არც გასაქვირია. რომ სწორედ იქ V III და V II საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა პირველი ფილოსოფიური სკოლა და ამასთან ერთად ჩაიყარა კიდევ მეცნიერების პირველი საფუძვლები.

თითონ ტერმინი „ნატურფილოსოფია“, ე. ი. ბუნების ფილოსოფია, იმას გვეუბნება, რომ პირველი ბერძენი ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ ბუნების სა-

ერთო პრობლემებს, არკვევდნენ საკითხს. თუ რისგან შესდგება სამყარო, რა წარმოადგენს მის საფუძველსა და დედაარსს.

იონიური ნატურფილოსოფიის ყველაზე უფრო ადრეულა წარმომადგენელი იყო თალესი. ქალაქ მილეტიდან, რომელიც ცხოვრობდა VIII ს. ბოლოს და VI ს. დასაწყისში ძვ. წელთაღრიცხვით.

ბერძნული ფილოსოფიისა და მეცნიერების წარმოცენების წინამძღვართა გასაგებად საგულისხმეოა აღნიშნულ იქმნას, რომ თალესი, რომელიც ტრადიციის თანახმად მიეკუთვნება შვიდ ბერძენ ბრძენთა რიცხვს, თუ ათისტოტელეს ვერწმუნებით, ვაქრობისა და სპეკულაციისათვის ხამი კაცი არ ყოფილა. არისტოტელე გადმოგვცემს, რომ თალესმა ასტრონომიულ გამოანგარიშებათა და დაკვირვების გზით წინდაწინვე შეიტყო ზეთის ხილის უხვი მოსავლა. ამიტომ ბევრით უფრო ადრე მოსავლის მოკრეფამდე მან, იაფ ფასებში იჯარით აიღო მრავალი ზეთსახდელი. როცა ზეთისხილის მოსავალმა მართლაც გადააქარბა ყოველგვარ მოლოდინს, ზეთსახდელებზე მეტად დიდი მოთხოვნილების გამო თალესმა ბლომად ფული მოიგო, რადგან უფრო მეტ ფასებში გასცა იჯარით თავის საიჯარო ზეთსახდელები. ესეც კი, არისტოტელე იმასაც ამბობს, — თალესმა ეს მარტო იმიტომ მოიმოქმედა, რომ დემეტრიცებინა „ფილოსოფებისთვისაც, თუ კი მოისურვებენ, ძნელი არ იყო გამდიდრება, ოღონდ ეს საქმე არ კი წარმოადგენს მათ ინტერესთა საგანსო“. მიუხედავად თავისი ანეგდოტიურობისა, ეს ამბავი ძალიან დამახასიათებელია. ის მიგვიბრუნებს იმაზე, რომ ადრეულა ბერძნულ მეცნიერებას და ფილოსოფიას „კავშირი აქონდა იმ საგვარო კაპიტალისა და ფულადი მეურნეობის განვითარებასთან-საერთოდ, რომელიც განსაკუთრებულად ხწრაფად ფეხს იკიდებდა მკორი აზიაში.

გადმოცემით თალეს მილეტელს უწინასწარმეტყველებია 585 წ. 28 მაისს მზის დაბნელება, ასეთი წინასწარმეტყველების შესაძლებლობა ლაპარაკობს იმას, რომ მაშინდელ იონიაში მაღალ დონეზე მდგარა მათემატიკური და ასტრონომიული ცოდნა. თავის თავად ცხადია, რომ ასტრონომიული ცოდნის მაღალი დონე სწორედ იონიაში შედგე იყო იმისი, რომ მკორე აზიის ბერძენთა მეცნიერება ახლოს იცნობდა ბაბილონის ასტრონომიას. დიდი ემპირიული მასალა რომელიც შეგროვილი იყო ბაბილონელ ქურუმ-ასტრონომების მიერ, დაამუშავა თალესმა. პირველმა მეცნიერმა, რომელმაც იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება.

თალეს მილეტელს გარდა ამისა ეკუთვნის მთელი რიგი გეომეტრიული თეორემები. და ეს პირველი ჩვენთვის ცნობილი ბერძენი ასტრონომი და მათემატიკოსი. ამასთანავე ერთად, იყო პირველი ფილოსოფოსიც.

თალესი დაინტერესებული იყო ნივთთა დედაარსის საკითხით. ყოველმეცნიერების უცვალტებელი ფუძის (სუბსტანციის) საკითხით. თალესს მოძღვრობის თანახმად მსოფლიო სუბსტანციას წარმოადგენდა წყალი ანუ. უფრო ზუსტად რომ ითქვას. იმდენად არა წყალი მისი კონკრეტული ემპირიული ფორმით, რამდენადაც ნოტიო საერთოდ. თალესის აზრით, სინოტივეა ყოველგვარი ცხოვრების, ყოველგვარი არსებობის ფუძე.

იოსელ ნატურფილოსოფოსების სკოლას, თალესის გარდა, ეკუთვნის მი-
.ში მიმდევრები, და იქნებ მოწაფენიც. — ანაქსიმენე და ანაქსიმანდრე. ესენი
.ორივენი აგრეთვე დაინტერესებულნი იყვნენ სუბსტანციის საკითხით და ამას-
.თანავე ერთად იყვნენ მსწავლელი ანუ მეცნიერი ბუნებისმეტყველები.

ანაქსიმენე ყოველივე ნივთის ფუძედ ჰაერს რაცხდა. ანაქსიმენეს „ჰაერი“,
.როგორც პირველდასაბამი ანუ მთავარდასაბამი თუ მთავარსაწყისი, როგორც
.ჩანს, არ იყო გაიგივებული იმ ჰაერთან, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, მაგრამ
.შინც მის სუბსტანციას აქვს კონკრეტული სახე, კონკრეტული ფორმა.

მაგრამ უკვე ანაქსიმანდრე, ამ სკოლის მესამე ფილოსოფოსი (თუმცა
.შათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენა
.ძნელაა), ამ საკითხში წინ მიდის. იგი სუბსტანციად აცხადებს ნივთიერებას,
.რომელსაც ის ბერძნულ სიტყვას „აპაირონ“-ს უწოდებს. ამ ტერმინში ანაქსი-
.მანდრე სდებდა მატერიის ცნებას, როგორც საყოველთაო დედაარსიას, რო-
.გორც საერთოდ მატერიალური სუბსტანციისას.

ის კონკრეტული ფორმები, რომელთაც სუბსტანცია იღებდა მის წინამორბე-
.დებთან, ანაქსიმანდრეს უკვე განწმენდილი აქვს თავისი ემპირიული ნიშნების-
.გან, წინანდელ ფილოსოფოსთა კონკრეტულ ფორმებს ჩამოცილებული აქვს
.თავისი ემპირიული ნიშნები, და მატერია გვევლინება აბსტრაქტული მატერიის
.ფორმით, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ თვისებათ. ეს ფილოსოფიური
.თვალსაზრისით უღაოდ წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს.

ანაქსიმანდრე იყო ერთი პირველ გეოგრაფოსთაგანი და მას ეკუთვნის პი-
.რველი ცდა მსოფლიოს გეოგრაფიული რუკის შედგენისა. დედამიწა მას წარ-
.მოადგენილი აქვს ბრტყელი ცილინდრის სახით, მსოფლიოს შუაგულში რომაა
.შოკტეული და ცის სფეროთი რომაა გარშემოხვეული.

ანაქსიმანდრეს აინტერესებდა აგრეთვე ცოცხალ არსებათა წარმოშობის
.პრობლემა და იგი გამოსთქვამდა ისეთ აზრებს, რომელნიც ნებას გვაძლევენ
.იგი ჩავთვალოთ დარვინის შორეულ წინამორბედად. ანაქსიმანდრემ პირველმა
.გამოსთქვა ის დებულება, რომ ცოცხალ არსებათა ცვლილება დამოკიდებულია
.გარემო პირობებთან მათ შეგუებაზე. შემდეგში ანაქსიმანდრეს ამ აზრს განა-
.ყოთარებს ემპედოკლე, V ს. ბერძენი ფილოსოფოს-ბუნებისმეტყველი.

იონიელ ნატურფილოსოფოსებს განსაკუთრებით შეეფერება ენგელსის სი-
.ტყვები, რომ „ბუნებას ისინი იხილავენ, როგორც მთლიან ერთეულს“. აი რა-
.ტომ იყვნენ საბერძნეთის პირველი ფილოსოფოსები ამასთანავე, პირველი
.(მართალია, ჯერ კიდევ პრიმიტიული) დიალექტიკოსებიც.

მეორე მხრით, ისინი იყვნენ პირველი მატერიალისტებიც. შათი ფილოსო-
.ფია, რომელიც მსოფლიოს ფუძედ, ყოველივე ნივთის ფუძედ მატერიალურ
.სუბსტანციას თვლიდა, იყო მატერიალისტური. მაგრამ ეს იყო მატერიალიზმი
.პრიმიტიული, შეუცნობელი, სტიქიური, რადგან მასში სულისა და მატერიის
.ცნება ერთი მეორეს დაცილებული, ერთი მეორისგან განწევრებული ჯერ კო-
.დევე არ იყო. იონიელ ნატურფილოსოფოსების მიდგომა მსოფლიოსადმი იყო
.უშუალო, მარტივი, მთლიანი. ერთობლივი. ამაში იყო დიდი პლიუსი, მაგრამ
.აქვე იყო ნაკლიც ფილოსოფიის განვითარების თვალთახედვით, ეინაიდან მარ-

ტო მას მერე; რაც გაიარა სულისა და მატერიის ცნებათა განწვევების სტადია, შესძლო ფილოსოფიამ შემდეგში მისვლა ჰეშმარტ მატერიალისტურ სინთეზამდე.

იონხელ ნატურფილოსოფოსებს უწოდებენ კიდევ ჰილოზოისტებს. ილოზოიზში ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც მსოფლიოს ფუძედ თვლიდა ცოცხალ ანუ ცხოველ მატერიას. ასეთი სახელწოდება შეიძლება მათ მიუყენოთ, ოღონდ თუ მას არ მიეცემა იდეალისტური იერი, რასაც ჩვეულებრივ ჩაიდან ბურჟუაზიული ფილოსოფოსები. თაღისის, ანაქსიმენეს და ანაქსიმანდრეს სუბსტანციები ესაა ცოცხალი ანუ სულდგმული მატერია. მასში ჩამარხულია მატერიალ და სულიც მათი პირვანდელი, პრიმიტიული მთლიანობით.

ფილოსოფიის შემდგომი განვითარებას, რაიც გამოწვეული იყო ბერძნული საზოგადოების შემდგომი დიფერენციაციით, უნდა მოეხდინა ფილოსოფიური აზროვნების დიფერენციაციაც.

იონიური ნატურფილოსოფია გვაძლევს ჩვენ პირვანდელ ფილოსოფიურ სინთეზს და იმ გაგებით, რომ აქ ჯერ კიდევ არ ისმის შემეცნების თეორიის პრობლემა. ფილოსოფიური აზრი ჯერ კიდევ არ აყენებს თავის წინაშე ჰეშმარტების პრობლემას, ჯერ არ აყენებს საკითხს, თუ რა გარანტიები გააჩნია მას იმისი, რომ მსოფლიო ნამდვილად ისეთია, როგორადაც მას აღიქვამს და თავის აზროვნებაში გარდატეხს ადამიანი.

პირველი ფილოსოფოსები მსოფლიოს უღებოდნენ დიადი და გულუბრყვილო უბრალოებით, მუამიტობით. მათ ეგონათ, რომ თუ კი ისინი იმ მსჯელობის გზით, აღქმაზე რომაა დამყარებული, მსოფლიოს დედაარსის შესახებ გარკვეულ დასკვნამდე მიდიან, ეს დასკვნა აბსოლუტურად სწორია, მართებულია. ამრიგად, იონიურ ფილოსოფიაში ჯერ კიდევ არ იყო ყოფიერებისა და აზროვნების ცნებათა განსხვავება და, მაშასადამე, არ ყოფილა არც ფილოსოფიის დანაწილება ყოფიერების მოძღვრებად (ონტოლოგიად) და ჰეშმარტების ანუ შემეცნების მოძღვრებად (გნოსეოლოგიად). მხოლოდ გვიან და ძალიან გვიან აღიძრება შემეცნების პრობლემა ბერძნული აზროვნების წინაშე.

იონიურ ფილოსოფიას ეკუთვნის პირველი, თუმც გაუბედავი. ცდები ბუნების განვითარების დიალექტიკის გამოვლენისა, მაგრამ მან მაინც ვერ შესძლო ჯერ კიდევ დაეყენებინა ყოფიერების საკითხი, როგორც საკითხი მისი ქმნადობისა, განვითარებისა, დაპირისპირებათა ბრძოლისა, როგორც ყოველგვარი განვითარების, ყოველგვარი მოძრაობის ძირითადი კანონისა. I და II საუკუნეთა მიჯნაზე დიალექტიკის ძირითად საფუძველთა მკაფიო და სურათოვან ფორმულირებას გვაძლევს განთქმული ფილოსოფოსი ჰერაკლიტე. რომელიც ცხოვრობდა 540-სა და 470 წლებს შუა ქალაქ ეფესში, მცირე აზიაში ამ ფილოსოფოსს მისმა თანამემამულეებმა შეარქვეს „ბნელი“; ალბათ ამით აღნიშნავდნენ მისი ფილოსოფიის გაგების სიმძნელეს.

ჰერაკლიტესგანაც ისევე, როგორც ადრეულა ეპოქის ყველა ბერძენ ფილოსოფოსებისგან, ჩვენამდე მოვიდა მარტო უმნიშვნელო ნაწყვეტები: შესატყალოა, რომ ეს ნაწყვეტებიც დამახინჯებულია ბერძენ მწერალთა ვადმონაცემში, რომელთაც ყოველთვის როდი ესმოდათ ჰერაკლიტეს კაშკაშა, მაგრამ ამა-

თან ერთად არაჩვეულებრივ ძნელი ენა. მიუხედავად ამისა შეიძლება თამამად დავადასტუროთ, რომ ჰერაკლიტემ კლასობრივი საზოგადოების ისტორიის განთიადზე განსაცვიფრებელი ძლიერებით, თუმცა მეამბიტი ფორმით კი. მოგვცა ცილაექტიკის ზოგიერთი დებულების ფორმულირება.

„ყოველივე მიმდინარეობს. — ამბობდა იგი. ერთსა და იმავე მდინარეში არ შეიძლება ორჯელ ჩასვლა“ არისტოტელეს სიტყვით. ჰერაკლიტე-ასწავლიდა, რომ „არა მარტო ყოველდღიურად არის ახალი მზე, არამედ მზე მუდმივ, განუწყვეტლივ განახლებაშია“.

ამრიგად, ჰერაკლიტეს აზრით, ქვეყნად არაფერია უძრავი. ყოფიერების ეს საყოველთაო ცვლებადობა და მდინარება ჰბადებს მის წინააღმდეგობას, ვინაიდან თუ ყოველავე მიმდინარეობს. თუ თვითეული ნივთი განუწყვეტლივ იცვლება. მაშინ ხომ იგი ერთსა და იმავე ღროს არსებობს, კიდევ და არც არსებობს.

„ერთსადიამვე წყალში. — ამბობდა ჰერაკლიტე; — ვეშვებით და არც ვეშვებით. ჩვენ ვვარსებობთ და არც ვვარსებობთ“. „უკვდავნი მომაკვდავები არიან, მომაკვდავები უკვდავნი არიან. ერთის სიციცხლე არის მეორის სიკვდილი და ერთის სიკვდილი არის სხვის სიციცხლე.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენი წარმოდგენანი ნივთებზე, ჩვენი ცოდნა შედარებითია:

„ზღვის წყალი უსუფთავესიტაა და უმურტლესიც; თევზისთვის ეგი ნოყიერი და მალხინებელია, ადამიანისთვის კი უფარგისია სასმელად და დამლაველია“. „ყველაზე უმშვენიერესი მაიმუნი უსახურია ადამიანის ტომთან შედარებით“.

რალა წარმოშობს მუდმივ ცვლილებათა პროცესს? ჰერაკლიტე ამაზე ასახებს იძლევა გენიალური ფორმულირებით:

„გემართებს ვიცოდეთ, რომ ომი საყოველთაოა, რომ სიმართლე არის მფოთი და უთანხმოება და რომ ყოველივე წარმოიშვება ბრძოლის საშუალებით და აუცილებლობით“. „ომი ყოველივეს მამაა, მეფეა ყოვლისა. მან ერთნი ღმერთებად გახადა, სხვანი ადამიანებად, ერთნი მონებად, სხვანი თავისუფლებად“.

ამრიგად, ყოველივე არსებულის მოძრაობის წყაროს წარმოადგენს ომი. მფოთი ანუ უთანხმოება, მოპირისპირე ძალთა ბრძოლა.

ჰერაკლიტეს აზრი ამაზე როდი ჩერდება; იგი უკვე მიხვედრილია დაბიძგებულებათა ერთობლივობის, მთლიანობის დიალექტიკურ კანონს. თუმცა ეს აზრი, მისი სიახლისა და სიძნელის წყალობით, ჰერაკლიტეს გაჭირებით აქვს დაძლეული.

„განშორისებადნი ერთმანეთს ხვდებიან, — ამბობს ის, — და სხვადასხვა პანგიდან წარმოიქმნის უმშვენიერესი, ჰარმონია და ყოველივე წარმოიშვება ბრძოლის გზით“. განუყრელი შეხაბემანი წარმოიქმნიან მთლიანსა და არამთლიანს, ერთად შესახვედრსა და განშორიებადსა. თანახმიერობას და ნაირხმიერობას; ყოველივესგან ერთი და ერთისგან ყოველივე წარმოიქმნება“. „მათ არ ესმით. თუ განშორისებადი როგორ იხაფება თვის თავში: იგიბ თვისდა დაბრუ-

მებუღი პარმონია მსგავსად იმისა, როგორც აქვს მშვილდსა და ქნარს“.

ჰერაკლიტეს აზრით, მსოფლიო ანუ სამყარო ეითარდება უცვალებელი კანონის. გონიერი საწყისის, „ლოგოსის“ თანახმად, ოღონდ ეს უნივერსალური კონება ფილოსოფოსის სრულიადაც ისე კი არ ესმის, როგორც ღვთაება. მსოფლიო კონება ეს არის აუცილებლობა და სხვა არაფერი: „ყოველსავე წარმოშობა ბრძოლის გზით და აუცილებლობითა“, ამბობს ის. მეორე ნაწილში კი უკლიტე უფრო მკაფიოდ აფორმულირებს თავის აზრს: „ეს მსოფლიო წესიერება, რომელიც ყველაფერს შეიცავს. არაფის არ შეუქმნია არც ღმერთთაგან და არც ადამიანთაგან“ მსოფლიოს საფუძვლად კი აქვს მატერიალური საწყისი — უცვლელი, რომლის დიალექტიკური სახეცვლილებანი წარმოქმნიან ყოფიერების ყველა ფორმებს.

ჰერაკლიტეს ფილოსოფია წარმოადგენს ბერძნული აზროვნების არაჩვეულებრივი სიბაღლის მაგალითს. ეს ფილოსოფია გაიზარდა VI ს. რევოლუციის გარემოში და ასახავდა მწვავე სოციალურ ბრძოლას და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ფორმის განუწყვეტელ მდინარებას. გარეშე ამ გარემოსი იგი ვერ ვაჩნდებოდა.

ჰერაკლიტე ეკუთვნოდა ეფესოს არისტოკრატისა და, როგორც ჩანს, ამის გულსთვის დაიზარა კიდევ ეფესოში გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის დროს. ჰერაკლიტეს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი უაღრესად ანტიდემოკრატიული შეხედულებანი. „ერთის ნების მორჩილება კანონია“, ამბობს ის. „ჩემთვის ერთი ათი ათასია, თუ კი ის საუკეთესოა“. მასა, ხალხი მას სძავს: „ადამიანთა უმრავლესობას არ ესმის ის, რაც მათ შეხვდებათ ხოლმე, სწავლითაც არა ესმით-რა თუმცა ჰგონიათ, თითქოს რაღაც იციანო“.

უფრო საფიქრებელია, რომ ჰერაკლიტე არის წარმომადგენელი არისტოკრატის იმ ნაწილისა, რომელიც ერთგვარად ჯერ ისევე პროგრესიულია და რომელსაც სწამს თავის მომავალს.

მატერიის ცვალებადობის მოძღვრებასთან თითქმის ერთდროულად წარმოიქმნა მისი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოძღვრება ყოფიერების უცვალებლობის შესახებ. დაახლოებით 515 წ. პატარა ბერძნულ ახალშენში ელეაში, სამხრეთ იტალიაში, დაიბადა მომავალი ფილოსოფოსი პარმენიდე. იგი შეიქმნა ელეის ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელი. იმისდა მსგავსად, როგორც იონიური ქალაქების მღელვარე ცხოვრებამ და მისმა გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ ჰერაკლიტეს უკარნახა მისი მთავარი დებულება: „ყოველივე მიმდინარეობს“, ასევე ჩამორჩენილ მიწათმოქმედ ელეის გარემომ პარმენიდე მიიყვანა საწინააღმდეგო თეზისამდე: არაფერი არ მიმდინარეობს. არაფერი არ იცვლება, ყოფიერება უცვალებელია.

პარმენიდემ თავის ფილოსოფია ჯგო რაციონალიზმის ძირითადი დებულების თანამიმდევრობით გამოყენებაზე; ხოლო ეს დებულება ამბობს, რომ ყოფიერება და აზროვნება იგივეობენ: ყოველივე; რაც არსებობს, შეიძლება გააზრებულ იქმნას, ხოლო ყოველივე ის, რაც გააზრდება, ამით უკვე არსებობს.

ჩვენი თვალსაზრისით ეს დებულება სწორი არაა. მაგრამ ფილოსოფიური რაციონალიზმისთვის, კერძოდ ბერძნული რაციონალიზმისთვის, თეზისი ყოფიერებისა და აზროვნების იგივეობისა ქვაკუთხედ თეზისს წარმოადგენს.

პარმენიდეს თავის სისტემა შემდეგი თეზისიდან გამოჰყავს: „ყოფიერება არის, ხოლო არყოფნა არა, და მისი არც გააზრება, არც გამოთქმა არ შეიძლება“.

ერთი შეხედვით ეს ფილოსოფიურ ტრუიზმად, საყოველთაოდ ცნობილ დებულებად გვეჩვენება. ის, რაც არაა, რასაკვირველია, არაა!

მაგრამ აბა შეხედეთ, რა გამოჰყავს ამ ცალიერი დებულებიდან რაციონალისტ პარმენიდეს. პირველ ყოვლისა, სამყარო. მარადისია, რადგანაც არყოფნა არ არსებობს და, მაშასადამე, არ შეიძლებადა ყოფილიყო ერთი ისეთი წუთი, ისეთი წამი, როცა ყოფიერება, ყოფნა არ არსებულებო. მეორე: მატერია მთლად ავსებს მთელ მსოფლიოს, მთელ სამყაროს, იმიტომ რომ მატერიას რომ ხარვეზები ჰქონოდა, ეს ხარვეზები სიცალიერე იქნებოდა, ხოლო რადგან სიცალიერე არ არსებობს, მაშ არც ხარვეზები არსებობენ მატერიას შორის. მესამე: სამყარო უძრავია და უცვალებელი, რადგანაც თუ არაა ხარვეზი ნივთებს შორის, მაშ არც მოძრაობა შეიძლება არსებობდეს; მოძრაობა შეიძლება მარტო იქ, სადაც სიცალიერეა, რომ იქით მოძრაობა შეიძლებოდეს. მაშასადამე სამყარო, მსოფლიო უცვალებელია და უძრავი. ყოველივე ხილული მოძრაობა არის მარტო ვითომითი, მოჩვენებითი.

პარმენიდეს მოწაფეები — ზენონი ელიდიდან და მელისო — სამოსიდან ავითარებენ მასწავლებლის ცალკე დებულებებს. განსაკუთრებით ცნობილია ზენონი მოძრაობის შეუძლებლობის მტკიცებით.

პარმენიდეს მოძღვრება გაიზარდა იმავე იონიური ნატურფილოსოფიისგან, საიდანაც ჰერაკლიტეს მოძღვრებაც იყო. ჰერაკლიტემ ხაზი გაუსვა ერთმხარეს — ნივთების მდინარებას, ხოლო პარმენიდემ მეორე მხარეს — ნივთების უცვალებლობას.

პარმენიდეს მატერიალისტური ფილოსოფია ხაზს უსვამდა ნივთის უცვალებლობას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა მის გარეშე დიალექტიკურ მთლიანობა - ერთობლივობის განსხვავებასთან იგივეობის დადგენას და მან მიიღო კიდევ კონკრეტულ რეალობისგან განყენებულ, აბსტრაქტიზებული ხასიათი. პარმენიდეს ფილოსოფიის ეს მეტაფიზიკური აბსტრაქციულობა მას აახლოვებს იდეალიზმთან, იგი შეიცავს ამ იდეალიზმის ერთგვარ შესაძლებლობას.

ყოფიერების, არსებობის უცვალებელი ელემენტების და კონკრეტული ნივთების ცვალებადობის ერთმანეთში მორიგების ორიგინალური ცდა ეკუთვნის V ს. ფილოსოფოსს ემპედოკლეს.

ემპედოკლე იყო ჩამომავლობით სიცილიიდან, ცხოვრობდა დაახლოებით 490 და 430 წლებს შუა.

ემპედოკლეს აზრით, არსებობს ოთხი პირველადი ნივთიერება, რომელთაც იგი უწოდებს „ყოველივეს ძირს“ ანუ „ფესეს“; ესაა: ჰაერი, წყალი, მიწა

და ცეცხლი. ემპედოკლე ამ ნივთიერებათ თვლიდა უცვალელებლად და ამტკიცებდა, რომ მათი ერთმანეთს შორის შერწყმით ჩნდება ნივთებიო.

ამგვარად, „ძირის“ ცნებაში გამოდის უცვალელებელი ყოფიერება, ამ ძირების გაერთიანებაში თუ შეერთებაში — ქმნალობა. ემპედოკლეს მოძღვრების ნაკლი იმაში იყო, რომ ოთხი ელემენტი — წყალი, ჰაერი, მიწა და ცეცხლი — არ შეიძლება ამაზე უფრო მარტივზე დაიყოს. მაგრამ მაშინდელი მეცნიერების თვალსაზრისით საკითხის გადაწყვეტა საესებით დამაკმაყოფილებლად ითვლებოდა.

შემდეგ ემპედოკლემ წამოაყენა ელემენტების მოძრაობის საკითხი. რა ბალა აერთიანებს მათ და ჰყოფს? ამ კითხვაზე მიცემულ პასუხში ემპედოკლე იძლევა ცდას პირველად დააყენოს საკითხი მატერიისა და სულისა.

ყველა წინა ფილოსოფოსები — იონიელებიც, პარმენიდეს, ჰერაკლიტეს — პრიმიტიული მატერიალისტები იყვნენ.

მატერია არსებობს სხვადასხვა კომბინაციებში, სხვადასხვანაირ შეხამებაში. რაღა ამოძრავებს ამ მატერიას? ამ კითხვაზე პასუხი გაცემული ჯერ არ იყო. ჰერაკლიტესაც კი აქვს ამ საკითხის დიალექტიკური გადაწყვეტის მხოლოდ წინასწარ მიგნება. ამასთანავე ჰერაკლიტეს აზრით ისევე, როგორც მისი წინამორბედების შეხედულებით, სული და მატერია ისევე პრიმიტიულ განურჩევადს მთლიანობა-ერთობლივობაში იმყოფებიან.

ემპედოკლე მატერიის მოძრაობას ხსნის სიყვარულისა და სიძულვილის მოქმედებით. სიყვარული და მძულვარება — აი ორი ძალა, რომელიც მთელ სამყაროს ამოძრავებს. ესაა ფილოსოფიური ანთროპომორფიზმი, ე. ი. ნამდვილ ადამიანური ძალის — ემოციების გადატანა ბუნებაზე.

როგორ-ღა მოქმედებენ სიყვარული და სიძულვილი? სიძულვილი თიშავს, აშორებს ელემენტებს, სიყვარული კი აერთებს. ამ საფუძველზე ემპედოკლე აგებს მსოფლიო ციკლთა მოძღვრებას.

არის ისეთი მომენტი, როცა სამყაროში საესებით გამეფებულია სიყვარული. მაშინ ყველა ელემენტი ერთი მეორესთან მეტად მჭიდროდ არის შედუღებული, ცალკე ნივთები აღარ არსებობს. შემდეგ იწყებს გაძლიერებას სიძულვილი, რომელიც თიშავს ელემენტებს: შეერთებული ელემენტების გათიშვის საშუალებით წარმოიქმნება ნივთები.

შემდეგ კვლავ სიყვარული იწყებს გაძლიერებას, ელემენტები ისევ ერთდებიან, ისევ წარმოიქმნება სამყარო ნივთებისგან და ა. შ.

ასეთია ემპედოკლეს თავისებური ციკლისებრი თეორია. მასში უკვე არის სულისა და მატერიის განწევრების ცდა.

მართალია, ეს ცდა ჯერ ისევ ძალიან გულუბრყვილოა, რადგან სული გამოვლინდება სიყვარულისა და სიძულვილის ტლანქი ანთროპომორფული ფორმით. მაგრამ მაინც პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

ემპედოკლემ გარდა ამისა განაფიქრებდა ანაქსიმანდრეს აზრი გარემოსთან შეგუებისა, როგორც ცხოველთა და მცენარეულ სახეობათა განვითარების ფაქტორისა. რასაკვირველია, ესეც შესრულებული იყო მეტად გულუბრყვილო ფორმით.

ემპედოკლე ასწავლიდა, რომ ელემენტების გაერთიანების და განწევრების პერიოდში მიიღება საესებით შემთხვევითი კომბინაციები; ასე, მაგალითად, ჩნდება ტანი რაძენივე ხელით, თავი რამდენიმე თვლით და მისთანა. ყველა ასეთი არსება იღუპება, რადგანაც ისინი ცხოვრებასთან არ არიან შეგუებული. ესაძლისებენ. ცოცხლად მარტო ისინი რჩებიან, ვისაც ორგანოები უფრო მიზანშეწონილად აქვს შეერთებული:

ყოფიერებისა და ქმნადობის პრობლემის, სულისა და მატერიის პრობლემის შემდგომ განვითარებას ჩვენ ვხედავთ ემპედოკლეს თანამედროვის—ანაქსაგორას ნააზრევში. ანაქსაგორა ჩვენ უკვე ნახსენები გვყავდა, როგორც პერიკლეს მახლობელი მეგობარი.

იგი იყო მცირეაზიურ ქალაქ კლაზომენიდან და ცხოვრობდა 500 და 428 წლებს შუა. მის მოძღვრებაში ჩვენ ვხედავთ ემპედოკლეს ფილოსოფიის ყველა ძირითად მომენტს, ოღონდ უფრო განვითარებული და გაფაქიზებული ფორმით. ემპედოკლე ითვლიდა მარტო ოთხ „ძირს“ და მისთვის ისინი ძალიან რთული ნივთიერებანი იყვნენ. ანაქსაგორა ძალიან წინ წავიდა ქიმიურ ელემენტების მოძღვრების მიმართულებით. ერთგვაროვან, მისი აზრით, სხეულებს—ოქროსი, სისხლის, წყლის და მისთანის—უკნინეს ნაწილაკებს იგი უწოდებს „თესლებს“. ეს თესლები უცვალებელია და ყველა ნივთი წარმოიქმნება მათი შეერთებით და დანაწევრებით ანუ დაყოფით.

მეორე მხრივ დაზუსტებულია იმ მამოძრავებელი საწყისის ცნება, რომელიც ემპედოკლეს მოცემული აქვს სიყვარულისა და სიძულვილის გულუბრყვილო ფორმით.

ანაქსაგორას შემოაქვს გონების (ბერძნულად „ნუს“-ის) ცნება. მისი აზრით, მსოფლიო გონება წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც განაგებს ელემენტების მოძრაობას. თავდაპირველად ყველა ელემენტი შეადგენდა შერთულ მასას, „გონებამ“ მას მისცა ერთ ადგილას ბიძგი, რის წყალობით წარმოიქმნა გრიგალისებრი მოძრაობა, რომელმაც დაპყრო ელემენტები და ამ გზით მსოფლიო გააჩინა.

ანაქსაგორა თავის დროისთვის მოწინავე ასტრონომი იყო; მან გამოსთქვა ის აზრი, რომ მზე და პლანეტები წარმოადგენენ გაეარვარებულ სხეულებს.

იონიური ფილოსოფია იღვა მემიტი-დიალექტიკურ თეალსაზრისზე (რამაც თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ჰერაკლიტეს ნააზრევში); ამ თეალსაზრისის დროს მსოფლიოს იხილავენ ჯერ კიდევ საერთოდ როგორც ერთეულს და „ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ მოძრაობის მსვლელობას, გადასვლებს და გადაბმებს, ვიდრე იმას, თუ სახელდობრ რა მოძრაობს, რა გადადის, რა გადაიბმის“; ემპედოკლესა და ანაქსაგორას ფილოსოფიურ სისტემებში კი უკვე დასახულია დანაწევრება-დაყოფაზე, ბუნების ანალიზზე გადასვლა. ეს კი მეცნიერების მაშინდელი დონის პირობებში, აუცილებლობის ძალით იწვევდა თავდაპირველ მემიტი-მატერიალისტური დიალექტიკის ერთგვარ უგულვებელყოფას და მეტაფიზიკურ, მექანიკურ მატერიალიზმის პოზიციებზე გადასვლას.

ანტიკურმა მექანიკურმა მატერიალიზმმა თავისი უფრო მთლიანი, თანამიმდევრობითი და მკაფიო გამოხატულება პპოვა დემოკრიტეს ფილოსოფიაში, დემოკრიტეს ფილოსოფიაში აისახა მონათმფლობელური საზოგადოების უფრო პროგრესიულ სავაქრო-სამრეწელო წრეების მსოფლმხედველობა ამ საზოგადოების აყვავების დროისა.

დემოკრიტე ცხოვრობდა დაახლოვებით 460 და 370 წლებს შუა. იგი ჩამოაველობით იყო თრაკიის ქალაქ აბდერიდან. მისი ცხოვრება დაწვრილებით ნაკლებად არის ცნობილი. ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ ის ბევრს მოგზაურობდა. დემოკრიტეს ნაწარმოებნი ჩვენამდე არ მოსულა. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ იდეალისტ პლატონის თხზულებანი, რომელიც ცოტათი იყო დემოკრიტეზე ახალგაზრდა, სრულად არის შენახული. ამ ფაქტის ასხნა ჩვენ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ანტიკური საბერძნეთის უკანასკნელ საუკუნეებში დაიწყო ბერძნული ფილოსოფიის დაქვეითება და უპირატესი მნიშვნელობა მოიპოვა იდეალისტურმა მიმდინარეობამ, რომლის წარმომადგენლებს ღრმად სძადათ დემოკრიტე. ეს მძულვარება განსაკუთრებით გაძლიერდა ქრისტეანობის გაჩენის შემდეგ. ამიტომ დემოკრიტეს ნაწარმოებთ არა თუ არ გადასწერდნენ ხოლმე, არამედ, როგორც ჩანს, პირდაპირ სპობდნენ კიდევ. ამიტომაც მის მოძღვრებას ჩვენ ვიცნობთ მარტო სხვა ანტიკური მწერლების გადმონაცემისა და ციტატების მიხედვით. მაგრამ ეს უმნიშვნელო ნაწყვეტებიც კი შესაძლებლობას გვაძლევს იმისას, რომ მეტნაკლებად სრული წარმოდგენა ვიქონიოთ დემოკრიტეს მსოფლმხედველობაზე.

დემოკრიტეს ძირითადი დებულება უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ არაფერი არ არსებობს, ატომებისა და სიცალიერის მეტი.

ატომის მოძღვრებაში დემოკრიტეს აქვს მატერიის იმ ცნების დაზუსტება, რომელიც გვხვდება ემპედოკლეს და ანაქსაგორას ნააზრევში. დემოკრიტემ შექქმნა უთვისებო მატერიის სავსებით გარკვეული ცნება: ატომები წარმოადგენენ თვისობრივად ერთგვაროვან ან, უფრო ზუსტად რომ ითქვას, უთვისებო მატერიის აბსოლუტურად მყარ ნაწილაკებს. მაგრამ ატომებს აქვთ სხვადასხვანაირი ფორმა და სიდიდე. ისინი მოძრაობენ სიცალიერეში (სიცალიერის რეალობის აღიარება წარმოადგენს დემოკრიტეს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დებულებას). მოძრაობის დროს ატომები ერთმანეთს ეჯახებიან და უკუიგდებიან, ერთი მეორეს უფროდებიან და ატომების ასეთი კომბინაციები ნიეთებს წარმოქმნიან. ატომების მოძრაობა წარმოებს აუცილებლობის კანონთა ძალით: არავითარი გონება, არავითარი სული, არავითარი ღვთაება არ ხელმძღვანელობს ამ მოძრაობას. ატომების მოძრაობა წარმოადგენს მექანიკურ აუცილებლობის კანონს.

მაგრამ როგორ, რანაირად შეუძლიან ამ უთვისებო, აბსოლუტურად მყარ ნაწილაკებს, რომელთაც არა აქვთ არც ფერი, არც გემო, არც სუნი და უკავიათ მარტო გარკვეული, განსაზღვრული სიერცე, როგორ შეუძლიანთ აი ასეთ ნაწილაკებს გააჩინონ ბგერა, ფერი, სუნი და სხვა თვისებანი?

ამ მოვლენის ასახსნელად დემოკრიტე აყენებს თავის მოძღვრებას აღქმისას. იგი თვალსაჩინოდ უახლოვდება გრძნობის ორგანოებზე გარე სამყაროს ზედმოქმედების თანამედროვე ფიზიოლოგიურ წარმოდგენათ.

დემოკრიტეს აზრით. საგნებს სცილდება მათი რაღაც უკნიესი მატერიალური გამოხატულებანი („ეიდოლია“), რომელნიც ხედებიან ადამიანის გრძობათა ორგანოებში, იქ იწვევენ სათანადო გალიზიანებას და ამ გალიზიანების შედეგად ადამიანის სულში წარმოიქმნება გარე საგნების სახეები.

მაშასადამე, დემოკრიტე აღიარებდა სულის არსებობას, რომელიც მატერიისგან განსხვავდებოდა? არა, დემოკრიტე ბოლომდე იყო თანამიმდევრო: არავითარი განცალკევებული სულიერი ცხოვრება არაა, სული ისევე მატერიალურია, როგორც სხეული; მთელი განსხვავება სულსა და სხეულს შორის მარტო იმაში მდგომარეობს, რომ სულის ატომები უფრო თხელია. უფრო მოძრავია, უფრო სუბუქია, ვიდრე სხეულის ატომები. დემოკრიტე მათ აღარებდა ცეცხლის ატომებს.

განციფერებას იწვევს მსოფლმხედველობის არაჩვეულებრივი სწორ ხაზიანობა; იგი თანამიმდევრობით უარჰყოფს სულიერობის ყოველგვარ ელემენტს და ყველაფერს ხსნის მარტო მატერიალური ატომების მოძრაობით.

ძალიანაც უმნიშვნელოც რომ იყოს ჩვენამდე მოღწეული დამოწმებანი დემოკრიტეს შესახებ, ჩვენ მაინც ვიცით, რომ ის იყო თავისი ეპოქისათვის უდიდესი მეცნიერიც. ის მისდევდა ზოოლოგიას, ბოტანიკას და მათემატიკას. ამ უკანასკნელ დარგში, რამდენადაც შესაძლებელია ვარაუდის გაწევა, მას ეკუთვნის მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოღონანი. სავსებით შესაძლებელია, რომ მან პირველმა გამოსთქვა დიფერენციალური აღრიცხვის ძირითადი იდეებიც. მისი სკოლიდანვე გამოსული აგრეთვე ირრაციონალური რიცხვის ცნებაც.

დემოკრიტე ცხოვრობდა ბერძნული საზოგადოების უმაღლესი აყვავება-გაფურჩქვნის ხანაში და მის ფილოსოფიაში ანტიკური მატერიალიზმი აღწევს თავის განვითარების უმაღლეს წერტილს.

მაგრამ უდიდესი აყვავების წერტილი ამავე დროს იყო ბერძნული საზოგადოების დაცემა-დაქვეითების დასაწყისიც. დემოკრიტეს სიცოცხლეშივე უკვე იწყებოდა მონათმფლობელური საზოგადოების საერთო კრიზისი.

მოახლოვებული კრიზისის გარემოში წარმოიშვება მთელი რიგი ახალი ფილოსოფიური სისტემები, რომელნიც ან აყენებენ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემებს ან ახლებურად სწყვეტენ ძველსავე პრობლემებს. კერძოდ ჯერ კიდევ არ იყო წამოყენებული გნოსეოლოგიური პრობლემა, ე. ი. შემეცნების პრობლემა. დემოკრიტეც კი ამ პრობლემას ნამდვილად ვერც აყენებდა. მართალია, ის ხსნიდა, თუ როგორ, რაგვარად ხდება გარეშე საგნების აღქმა. ის ასწავლიდა გრძობათ ორგანოების გალიზიანებას. მან მოგვცა იმის აღწერილობა; თუ, მისი აზრით, ატომების უტყვი სამყარო როგორ ტრანსფორმირდება ადამიანის შეგნებაში ფერებით, ბგერებით და სუნით აღსავსე სამყაროს ცოცხალი სურათის სახით. დემოკრიტემ მოგვცა თავისი ეპოქისათვის გენიალური ახსნა-განმარტება, მაგრამ ძირითადად ის მაინც ისევ მეამიტი ანუ გულუბრყვილო მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა.

ქეშმარიტების პრობლემა პირველად წამოაყენა სოფისტების სკოლამ. სოფისტების სკოლა ფილოსოფიის ისტორიაში წარმოადგენს, ეს ყოველივე ექვს

გარეშეა, ერთ-ერთ მეტად ძნელ პრობლემას. სიძნელენი უმთავრესად მდგომარეობენ ამ მიმდინარეობის სოციალურ-პოლიტიკურ ფესვების გამორკვევაში, მიმდინარეობა კი იყო უაღრესად ჭრელი და მრავალგვაროვანი.

თითონ სიტყვას „სოფისტ“-ს აქვს გრძელი ისტორია. თავდაპირველად ამ სიტყვას, ხმარობდნენ ბრძენის, აღსანიშნავად. ყოველი მეცნიერი, ფილოსოფოსი, გამომგონებელი იყო სოფისტი (ბერძნულად სიტყვა „სოფოს“ ნიშნავს ბრძენს).

მაგრამ თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა სიტყვამ „სოფისტმა“ მიიღო V ს. მეორე ნახევარში. პოლიტიკური ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით უფრო და უფრო ძალუმად შეიგრძნობებოდა ზოგად პოლიტიკური განათლების მიღების მოთხოვნილება. საჭირო იყო ხოლმე კრებასა თუ ყრილობაზე გამოსვლისას ლაპარაკის ცოდნა, გარკვეულ დებულებათა დაცვა-დამტკიცება ან მოწინააღმდეგის დებულებათა დარღვევა. საჭირო იყო იურიდიულ ცოდნის ერთგვარი მარაგი. სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემათა მთელი კომპლექსი ბუნებრივად უნდა წამოჭრილიყო ყოველი იმ ბერძნის წინაშე, ვისაც კი უნდოდა პოლიტიკური როლი ეთამაშნა ცხოვრებაში.

ამ მოთხოვნილებათ აკმაყოფილებდნენ სიბრძნის განსაკუთრებული მასწავლებლები, სოფისტები, რომელნიც ლექციებს კითხულობდნენ, ეწეოდნენ ფასიან სწავლას. ეს იყო ახალი მოვლენა ფილოსოფიის განვითარების წინა პერიოდთან შედარებით. სოფისტები თავიანთ მოწაფეებს აცნობენ გარკვეულ თეორიულ პრობლემათა მთელ წყებას, აგრეთვე ასწავლიან პრაქტიკულ ხერხებსა და საშუალებათ კამათისა და დასაბუთება-დამტკიცებისას. აი როგორი ახალი იერი ეძლევა სიტყვა „სოფისტს“: ესაა ფასიანი მასწავლებელი, პროფესორი, რომელიც ლექციებს კითხულობს მსმენელებისთვის და უმთავრესად მისდევს და არკვევს მთელ რიგ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს.

დასასრულ, სიტყვა „სოფისტის“ მესამე მნიშვნელობა მომდინარეობს იმ კრიტიკისგან, რომელსაც სოფისტური მოძღვრება განიცდიდა სოკრატის, პლატონის და არისტოტელეს მხრივ. სოკრატისეული სკოლა, რომელიც სოფისტებს ებრძოდა, იწყებს ამ სიტყვის ხმარებას ისეთი ადამიანის აღნიშვნისათვის, რომელიც ათასნაირი ლოგიკური ფოკუსების საშუალებით რომელსაც გინდა იმ დებულებას დაამტკიცებდა, თუ კი ამაში ფულს მისცემდნენ.

ეს ბრალდება არ იყო საფუძველს მოკლებული იმიტომ, რომ სოფისტების უმცროსი თაობა, რომელიც ცხოვრობდა V ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისში, მართლაც აძლევდა საბაბს იმისას, რომ მისთვის კაცს ბრალი დაედო სიტყვიერ ოინბაზობასა და გამყიდველობაში. ბერძნული დემოკრატიის გადაგვარება იწვევდა პოლიტიკურ მკერმეტყველების გადაგვარებას. ჩვენ გვახსოვს, თუ რად იქცა ათენის სახალხო კრება IV საუკ.-ში. პოლიტიკური დემოკრატიის, მოქრთამეობის, კორუპციის პირობებში სოფისტების ლოგიკური და სიტყვიერი ფოკუსები უპირატეს როლის თამაშს იწყებენ. მაგრამ უფროს სოფისტების მიმართ სოკრატისა და პლატონის ბრალდებანი კი ცილისწამებას წარმოადგენდნენ. სოფისტები ესაა მთელი ფილოსოფიური სკოლა, რომელმაც ფართოდ დააყენა გნოსეოლოგიური პრობლემა. გასაგებია, თუ რატომ დააყენეს იგი სწორედ

სოფისტებმა. ისინი მისდევდნენ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს გარკვეულ მიზნით, რომ ადამიანისთვის ესწავლებინათ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის დამარცხება დასაბუთებათა და მსჯელობის დახმარებით. საესებით ცხადია, რომ ამასთან დაკავშირებით იმათ ხელი უნდა მიეყოთ ზოგად საკითხების გარკვევისთვისაც, მაგალითად, რა არის ჭეშმარიტი და ცრუ; საიდან იღებს ადამიანი თავის ცოდნას და სხვა ამგვარისთვის.

სოფისტები ფილოსოფიის ისტორიაში ჩვეულებრივ თრად იყოფიან: უფროს სოფისტებად და უმცროსებად. უფროსი სოფისტები მოქმედებენ V ს. მეორე ნახევარში. უმცროს სოფისტების მოღვაწეობა ემთხვევა V ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისზე. მაგრამ ეს მიჯნა საკმაოდ პირობითია.

უფროს სოფისტებს შორის უნდა აღვნიშნოთ პროტაგორა და გორგია.

პროტაგორა ცხოვრობდა 480-სა და 411 წლებს შუა. ის იყო სიბრძნის ძალიან პოპულარული მასწავლებელი და თავის გარშემო დიდძალ მსმენელებს იკრებდა. მის მოძღვრებას საფუძვლად ედო თეზისი, რომელიც მას გამოთქმული აქვს შემდეგი ფორმულირებით: /

„ადამიანი არის ყველა ნივთის საზომი, — არსებული ნივთებისა, როგორც ისინი არსებობენ, და არ არსებული ნივთებისა, როგორც ისინი არ არსებობენ“.

ამ დებულებაში პროტაგორამ წინ წამოსწია გნოსეოლოგიური პრობლემა, რომელიც წინათ თვითსაკმარ როლს არ თამაშობდა. მან ეს პრობლემა გადასწევტა რელატივისტური სუბიექტივიზმის განწყობით: ადამიანი არის ყოველი ნივთის საზომი. ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება ისეთია, როგორადაც იგი ყოველ ამათუიმ წუთას ეჩვენება ადამიანს. ესაა მოძღვრება იმისი, რომ ჭეშმარიტება შედარებითია, მოძღვრება იმისი, რომ თვითეული ინდივიდუალური ადამიანი არის ჭეშმარიტების საზომი, მოკლედ: ესაა რელატივიზმის მოძღვრება. მართალია, ფილოსოფოსები ბევრს დავობენ იმაზე, თუ როგორც ესმოდა პროტაგორას აქ ადამიანი: ესმოდა მას იგი, როგორც ინდივიდუალი, ე. ი. საკითხი ისე ხომ არ უნდა გადაიჭრას, რომ რამდენიც ადამიანია, იმდენივეა ჭეშმარიტებაც, თუ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს დაამტკიცოს. პროტაგორა გვევლინება ჩვენ კანტის ერთგვარ წინამორბედად. ამტკიცებენ რა, რომ ნივთების საზომს წარმოადგენს არა ინდივიდუალური ადამიანი, არამედ ადამიანის შეგნება, როგორც გვარისებრი-რამ.

ჩვენ გვგონია, რომ პროტაგორას რელატივიზმი უნდა გვესმოდეს როგორც ინდივიდუალისტური რელატივიზმი: თვითეული ინდივიდუალური ადამიანი არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი.

პროტაგორას რელატივიზმს აუცილებლად უნდა აღეძრა სკეპტიციზმი, შეგნება იმისი, რომ ჭეშმარიტების შემეცნება შეუძლებელია, ვინაიდან თუ ჭეშმარიტება იმდენივეა, რამდენიც ადამიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება შედარებითია, რომ ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს.

ეს აზრი უფრო განავითარა პროტაგორას თანამედროვემ გორგიამ (დაიბადა სიცილიაში დაახლოებით 490 წ.); იგი შემეცნების თეორიაში სრულ ნიჰილიზმამდე მივიდა: მივიდა არა მარტო ობიექტურ ჭეშმარიტების უარყო-

ფამდე, არამედ თითონ ყოფიერების შემეცნების შესაძლებლობის უარყოფამდეც კი. გორგიამ დაწერა თხზულება მეტად დამახასიათებელი სათაურით: „ბუნებისათვის ანუ არ არსებულსათვის“, ე. ი. „ბუნებისა ანუ არ არსებულის შესახებ“. ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ჩვენ ვიცით მისი ძირითადი დებულებანი:

1) არაფერი არაა; 2) რამეც რომ კიდევაც არსებულებო, მაინც შეუცნობელი იქნებოდა; 3) კიდევაც რომ რაიმე ცოდნა არსებულებო, მაინც მისი სხვისადმი გადაცემა არ შეიძლებოდა.

თუ სოფისტების უფროსი თაობა მისდევდა თეორიულ-შემეცნების პრობლემათა გარკვევას, სამაგიეროდ უმცროს სოფისტების მოღვაწეობა იღებს თანდათანობით უფროდაუფრო პრაქტიკულ ხასიათს და მათი ინტერესები იხრება უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებისკენ. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოფისტიკა გაჩნდა იმის შედეგად, რომ ეპოქამ წამოაყენა სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. თითონ თეორიულ-შემეცნებითი პრობლემებიც წამოიჭრა იმ პრაქტიკული მოთხოვნების შედეგად, რომელიც სოფისტების წინაშე იდგა, შედეგად იმის მოთხოვნებისა. რომ სხვებისთვის ესწავლებნათ ხერხები კამათის, დასაბუთების, დამტკიცებისა და სხვა ამგვარისა.

და აი უმცროს სოფისტებს პროტაგორას და გორგიას თეორიული შეხედულებანი გადააქვთ პოლიტიკურ პრაქტიკაში და ისინიც აყენებენ მთელ რიგ როგორც პრაქტიკისა, ისე თეორიისათვის საინტერესო და ახალ დებულებებს.

უმცროს სოფისტებს შორის უფრო ცნობილი არიან ანტიფონტე, ალკიდანანტე და კრიტია, ოცდაათი ტირანის მესვეური. უმცროს სოფისტებში ჩვენ პირველად ვხვდებით „ბუნებრივი სამართლის“ იდეას. XVII-XVIII საუკუნეთა ბურჟუაზიულ რევოლუციების ეპოქაში ბუნებრივი სამართლის. ბუნებრივი უფლების მოძღვრებამ დაწერილი სამართალი. ის სამართალი, რომელიც გააჩინა ადამიანმა, საზოგადოებამ. სახელმწიფომ. -- დაუპირისპირა ბუნებრივ სამართალს. უფლებას, რომელიც ადამიანს თანდაყოლილი აქვს ბუნებითვე. ბუნებრივი და ხელოვნური სამართლის თუ უფლების დაპირისპირებამ: „ბუნებისა“ და „კანონის“ დაპირისპირებამ დიდი როლი ითამაშა ბურჟუაზიულ რევოლუციებში, რადგანაც იგი რევოლუციურ ბურჟუაზიას ხელთ აძლევდა ძლიერ იარაღს ფეოდალურ სამართალთან და ფეოდალურ ინსტიტუტებთან საბრძოლველად. ეს დაპირისპირება პირველად დაფორმულირებული იყო უმცროსი სოფისტების მიერ.

რატო დასკვნები გამოჰყავთ სრფისტებს ბუნებრივი სამართლის თეორიიდან? ერთი მათგანი ასწავლიდა ყველა ადამიანის თანასწორობას: ელინისა და ბარბაროსის თანასწორობას. ასე, მაგალითად. ანტიფონტე თავის ტრაქტატში „სამართლიანობის შესახებ“ წერდა: „კანონის ბრძანებანი გამოგონილია. მაშინ როდესაც ბუნების კანონებს თან სდევს შინაგანი აუცილებლობა... კანონის ბრძანებანი ბუნებითვე თანდაყოლილი რამ კი არაა. არამედ შეთანხმების შედეგია, მაშინ როდესაც ბუნების ბრძანებანი თანდაყოლილია და არა შეთანხმების შედეგია... მეტწილად ის, რაც სამართლიანია კანონის თვალსაზრისით. ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოა... ბუნების მიერ ჩვენ ყველანი და ყველაფერი“.

ერთნაირად ვართ მოწყობილნი — ბარბაროსებიც და ელინებიც. საჭიროა მართო ყურადღება მიაქციო იმას, რაც ბუნებისგან გარდუვალად თანა სდევს ყველა ადამიანს... არც ერთი ბარბაროსი და არც ერთი ელინი ჩვენგან არაფრით არ განიირჩევა: ყველა ჩვენ ვსუენთქავთ ჰაერს ცხვირით და პირით” —ო.

სხვანი მონობის უარყოფამდეც კი მივიდნენ. გორგიას მოწაფე, სოფისტი ალკიდამანტე ამბობდა: „ღმერთებმა ყველა ჩვენ თავისუფლები გაგვაჩინეს; ბუნებას არავინ არ გაუხდია მონად“. ლოგიკურად ეს იყო სავესებით სწორი დასკვნა, იმდროინდელი ბუნებრივი სამართლის მოძღვრებიდან გამომდინარე. რამდენადაც ყველა ადამიანი „ბუნებით“ თანასწორია, იმდენად მონობა არის რაღაც ხელოვნური, მოგონილი-რამ, მაგრამ კლასობრივ ინტერესებსაც აქვთ თავიანთი ლოგიკა. V ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისის მონაფემლობელური საზოგადოების პირობებში ის აზრი, რომ მონები და თავისუფლები ბუნებით თანასწორნი არიანო, ძალიან გამხოლოვებულად, ობლად გაისმის. კლასობრივი ლოგიკა ყოველთვის როდი ემთხვევა ფორმალურ ლოგიკას. რაც ლოგიკურად სწორი და მართებული იყო თეორიულ მსჯელობაში, პრაქტიკაში ის ყოველთვის როდი პოულობდა განხორციელებას. VI-V საუკ. საბერძნეთის ცხოვრების გარემოში. მონობას მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი დრო მოკმული. აი რატომ იყო, რომ ის ხმებიც, რომელნიც მონობას უარყოფდნენ, გამოძახილს ეერ პოულობდნენ. მაგრამ თითონ ასეთი აზრების ჩასახვაც კი ნიშნობლივია. იგი მოწმობს იმას, რომ თითონ მონათმფლობელური საზოგადოების საძირკველი თვალსაჩინოდ გაიბზარა.

ბუნებრივი სამართლის თეორიას ძალიან ემკიდროვება საზოგადოებრივი ხელშეკრულების მოძღვრება. რაც ჩანს ანტიფონტეს ზემოთ მოყვანილი ნაწყევტიდან. ამ მოძღვრებით ადამიანის საზოგადოება და სახელმწიფო ჩნდება იმ ხელშეკრულების შედეგად, რომელიც ადამიანებს აქვთ ერთმანეთში დადებულნი. ხელშეკრულებითი გზით სახელმწიფოს წარმოშობის მოძღვრება წმინდა რაციონალისტური ხასიათის მოძღვრებაა, რადგან იგი ანგარიშს არ უწყევს საზოგადოების ვსჩენის ისტორიას. პირველად უმცროსი სოფისტების პირით გამოთქმული ეს მოძღვრება XV-XXIII საუკუნეებში განავითარეს ბურჟუაზიის იდეოლოგებმა (პობბსმა. რუსსომ).

სოფისტების უმცროსი თაობისათვის ტიპურია მათი ათეიზმი. ჯერ პროტაგორავე იყო ათეისტი. ესეც კია. მისი ათეისტური გამოთქმანი ძალიან ფრთხილია. „ღმერთებისა. — ამბობს იგი. — მე არ ვიცი, არსებობენ ისინი თუ არა, იმიტომ რომ არის ბერი ისეთი-რამ, რაც ხელს გვიშლის ამის შემეცნებას: საგნის არასიმკაფიოვე, და ადამიანის ცხოვრების სიმოკლე“ —ო. მაგრამ, თუ გამოსავალ წერტილად ავიღებთ მისი ფილოსოფიის სკეპტიკურ წანამძღვარებს, შეიძლება ღმერთების სრულ უარყოფამდეც მისვლა; ეს კი შეასრულეს უმცროსმა სოფისტებმა.

ამ ეპოქის ერთმა ათეისტებს შორის უფრო გამოჩენილმა კრიტიკამ ანტი-რელიგიური ტრაგედიაც კი დასწერა, სათაურით „სიზიფი“ მისი ნაწყევტები არის ჩვენამდე მოსული. ამ ტრაგედიაში კრიტიკა ძალიან საგულისხმიერო ახსნას იძლევა სარწმუნოების წარმოშობისას. იგი ძალიან წააგავს XVIII ს. მატერია-

ლისტ-განმანათლებლების აშავე თემაზე გამოთქმულ აზრებს. კრიტიკას აზრით, ღმერთები მოიგონა ბრძენმა კანონმდებელმა, რომ ხალხს ცუდი საქციელი აოჩაქინდა. კანონმდებელს უნდოდა ხალხისთვის მათრახი გაეჩინა და ეს მათრახი იყო სარწმუნოება, რელიგია. რელიგიის, როგორც შეგნებული გამოგონების შედეგის, წარმოშობის ახსნა გულუბრყვილო-რაციონალისტურია, რადგან იგი არ ითვალისწინებს ისეთი მოვლენის მთელ სირთულეს, როგორიც რელიგიაა. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ აქაც სოფისტების მიერ გადმოსროლილი იყო ისეთი აზრი, რომელსაც შემდეგში გამოსთქვამენ რევოლუციური ბურჟუაზიის მოაზროვნეები და თანაც ისეთივე გულუბრყვილო-რაციონალისტური ფორმით (ვოლტერი).

თავისი თეორიულ-შემეცნებითი სკეპტიციზმიდან სოფისტებს გამოჰყავდათ უკიდურესად ინდივიდუალისტური დასკვნები ზნეობის დარღვევაში.

თუ არაა ობიექტური ჭეშმარიტება, მაშინ არც ობიექტური მორალი არსებობს: თვითთული ადამიანი თავისუფალია ისე მოიქცეს, როგორც მას უნდა.

ამიტომ, თუ კი ადამიანი თავის თავს საკმაოდ ძლიერად გრძნობს, მას უფლება აქვს ის გააკეთოს, რაც მას მოესურვება. პლატონის დიალოგში „გორგია“-ში სოფისტი კალიკლე ამბობს: „ბუნებით მშვენიერი და საპართლიანი ისაა..., რომ ადამიანმა, რომელსაც განზრახვა აქვს წესიერი ცხოვრება აწარმოოს, თავის ვნებათა განვითარება უმაღლეს საზღვრამდე მიიყვანოს, არ შეუქმნას იმით დაბრკოლებანი... და შეასრულოს ყოველივე ის, საითკენაც მიიღტვის მისი ვნება... მე ვფიქრობ, თითონ ბუნებავე გვიჩვენებს, ვით საპართლიან-რამეს, იმას, რომ უკეთესს ჰქონდეს უარესზედ მეტი და უძლიერესს სუსტზე მეტი“-ო.

ძლიერი კაცის იმ უფლებების იდეა, რომ მას შეუძლია დაარღვიოს და გადალახოს მორალის ჩვეულებრივი ნორმები, თეორიულ გამართლებას წარმოადგენდა სოფისტების იმ ჯგუფისთვის. რომელსაც ეკუთვნოდნენ კრიტია და ანტიფონტე. კრიტიას პოლიტიკური როლი ჩვენთვის საკმაოდ ცნობილია, ხოლო ანტიფონტე დიდ მონაწილეობას იღებდა 411 წ. ოლიგარქიულ გადატრიალებაში და ამისთვის სიკვდილითაც იქმნა დასჯილი. 1

„ძლიერის უფლების“ მოძღვრება ანტიფონტემაც და კრიტიამაც გამოიყენეს ოლიგარქიის გასამართლებლად, რომ თეორიულად დაესაბუთებინათ ერთი მუქა „ძლიერი ხალხის“ ბატონობა. ასეთი ფილოსოფიის თვალსაზრისით „ძლიერებისთვის“ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაწერილ კანონს. მასზე უფრო მაღლა დგას ბუნებრივი კანონი. ხოლო თუ პიროვნება თავის თავს ძლიერად გრძნობს, მაშინ მისი „ბუნებრივი უფლება“ გაქვლოს დაწერილი კანონი.

ორი ათას წელიწადზე მეტი ხანი გავიდა უმცროსი სოფისტების მერე და მათი ძალმომრეობის თეორია სრულიად სხვა პირობებში გამოყენებულ იქმნა იმპერიალიზმის ფილოსოფიის ფ. ნიცშეს მიერ; მან ეს თეორია გამოიყენა თავის მოძღვრებისათვის, რომელიც შეესებოდა „ზეაკს“, ზეკაცურ გენიალურ პიროვნებას, იმდენად ძლიერს პიროვნებას, რომ მას უფლება აქვს გადალახოს ყოველგვარი ნორმები და კანონები.

უმცროსი სოფისტების თეორიამ და პრაქტიკამ ასახა ძომხდარი თვალსაზრისი საზოგადოებრივი ძვრები. ეს ძვრები მაჩვენებელი იყო ანტიკური საზოგადოების მეტად ღრმად დაშლისა და რღვევისა, ძველი პოლისის მსხვერვისა,

ძველი კოლექტიური მორალის მოსპობისა და ამასთანავე ერთად ეს ძვრები მოასწავებდა უკიდურესი ინდივიდუალიზმის განვითარებას, როგორც ანტიკური თემობრივ-სახელმწიფოებრივი საკუთრების დაშლის და რღვევის ნაყოფის განვითარებას.

სოფისტების ფილოსოფიის ზოგიერთი დებულება შეიძლება გამოეყენებინათ უფრო პროგრესიულ ელემენტებს მონობის უარყოფისათვის და ყველა ადამიანის თანასწორობის აღიარებისათვის. ესეც კია, ასეთი ელემენტი ამ დროს ჯერ კიდევ ძალიან ნაკლებად მოიძებნებოდა.

მეორე მხრივ სოფისტების ფილოსოფია შეიძლება იარაღად ექცათ ფართო მასების მეტის მეტად დაჩაგვრისათვის. იგი წარმოადგენდა ანტიკური საზოგადოების რღვევის უაღრესად რთულ პროდუქტს და მასში ისახებოდა სულ ერთი მეორის საწინააღმდეგო ტენდენციები.

სწორედ უმცროს სოფისტების ხანაში იყო, რომ სიტყვა „სოფისტ“ მიეცა საღანძღავი ხასიათი. იგი ოდიოზული შეიქმნა იდეალისტური სკოლის წარმომადგენლების — სოკრატის, პლატონის და არისტოტელეს წყალობით. ესენი იყვნენ, რომელთაც დაიწყეს სიტყვა „სოფისტის“ „სიტყვის ჯამბაზის“, „სიტყვის ოიმბაზის“ მნიშვნელობით ხმარება და ასეთივე რეპუტაციით მოვიდა იგი სიტყვა ჩვენ დრომდე. ახლა კი გვიხდება იმის მტკიცება, რომ სოფისტების ფილოსოფია მარტო სიტყვიერი ოინბაზობა არ ყოფილა.

მაგრამ თითონ სოფისტებმა მისცეს მოწინააღმდეგეს საბუთი ასეთი ბრალდებისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეხედულებათა იმ კრელ გორგალში. რასაც ჩვენ სოფისტიკას ვუწოდებთ, იყო სულ სხვადასხვანაირი მიმდინარეობანი და ხშირად ეხედავთ სოფისტიკის გადაგვარებას, სიტყვიერ ოინბაზობად მის გადაქცევას. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ანტიკური დემოკრატია იხრწნებოდა და რომ IV ს. ათენის სახალხო კრება გადაიქცა დატყუებისა და წაგლეჯის თავისებურ იარაღად. იგი ივსებოდა ლუმპენ-პროლეტარებით, რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი მტკიცე პოლიტიკური რწმენა და შეხედულებანი, და ამიტომაც სახალხო კრებაში ფართოდ ჰქონდა ძირი გადგმული ყოველნაირ დემაგოგიას, რადგანაც მარტო დემაგოგიური ხერხით შეეძლოთ პოლიტიკულ მოსაქმეებს თავისკენ გადაებირათ არამყარი, მერყევი ლუმპენ-პროლეტარული მასები. ხოლო პოლიტიკური დემაგოგია საჭიროებდა არა მარტო სათანადო იდეოლოგიურ დასაბუთებას, არამედ იმის ხერხსა და უნარსაც, რომ დაერწმუნებინა, დაემტკიცებინა, ამასთანავე მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას. თუ რას ამტკიცებდა: დღეს შეიძლება ერთი-რამ გემტკიცებინა, ხვალ კი — სხვა-რამ.

აი რატომ იყო, რომ მთელი რიგი უმცროსი სოფისტები მართლაც ხელს ჰკიდებენ სიტყვიერ ოინბაზობას. ისინი თავიანთ მსმენელებს ასწავლიან ხერხს, რაც გინდა ის დაამტკიცონ ყოველგვარი ლოგიკური მოჩმახვით. ნაძალადევი მოსაზრებებით, მიკიბ-მოკიბვით ან და ოსტატურად მიჩქმალურ ლოგიკური შეცდომებისა და ნახტომების მოშველიებით.

პლატონს თავის ერთ-ერთ დიალოგში მოჰყავს სოფისტური ბაასის ერთი ნიმუში.

- „ვეთილდემ ჰკითხავს ქტესიპეს:— შენ ამბობ, რომ ძალი მყავსო. მართლა გყავს?
 — ჰო, მყავს, და მერე რა საძაგელი
 — მერე, ლეკვებიც ხომ არა ჰყავს?
 — ჰო, ლეკვებიც ჰყავს. ახლა როგორ წააგვანან მას
 — და ძალი მათი დედაა?
 — კი, რასაკვირველია.
 — მერე ის შენია?
 — ჩემია, მაშ!
 — მაშ ასე, ის დედა და ის შენია; მაშასადამე, ის დედა-შენია და ლეკვებიც შენი ძებლა არიან“.

სოფისტიკის წინააღმდეგ, ქეშმარიტების რელატივობის ანუ შეფარდებულობის მოძღვრებისა და ამ მოძღვრებიდან გამომდინარე ყველა დასკვნების წინააღმდეგ გამოვიდა ობიექტურ-იდეალისტური მიმდინარეობა, რომელიც დაკავშირებულია სოკრატესა და პლატონის სახელებთან.

იდეალისტური ფილოსოფიის წანამძღვარები, როგორც ჩანს, გაჩნდა ჯერ კიდევ VI ს.-ში, პითაგორას და პითაგორაელთა მოძღვრებაშივე. პითაგორა დაიბადა დაახლოვებით 580 წ. ის იყო კუნძულ სამოსიდან. მერე გადასახლდა იტალიაში, სადაც დააარსა კონსპირატიული სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური საზოგადოება პირწმინდა არისტოკრატიული ხასიათისა. საზოგადოებამ დიდი როლი ითამაშა სამხრეთ იტალიის ქალაქებში (კროტონი, სიბარისი) და იარსება V საუკ.-მდე, როცა იგი მოსპო დემოკრატია.

პითაგორას შესახებ ჩვენ თითქმის არა ვიცით-რა. ბევრი-რამ; რაც პითაგორას მიეწერება, უფრო გვიან იყო აღმოჩენილი და ამიტომ ძნელია იმის დადგენა, თუ რა ეკუთვნის პითაგორას და რა მის მოწაფეებს.

პითაგორაელთა შორის ჰარბობდა ინტერესი მათემატიკურ პრობლემებისადმი და მათ მიერ აღმოჩენილ იქმნა მთელი რიგი გეომეტრიული თეორემები. მათემატიკასთან ერთად პითაგორაელნი ბევრს მეცადინეობდნენ მუსიკის თეორიაშიც. მათ მიერ იყო ნაპოვნი მათემატიკური შესაბამობა მუსიკალური ტონის სიმაღლესა და სიმის სიგრძეს შორის.

გარდა ამისა, პითაგორაელნი დაინტერესებულნი იყვნენ ასტრონომიით. კერძოდ მათ ეკუთვნის იმ ცეცხლის იდეა, რომელიც მსოფლიოს ცენტრში იწყობება. მართალია, ეს ცეცხლი მზისგან განიზიჩევა, მაგრამ პელიოცენტრისტული სისტემის ჩანასახები ასტრონომიაში ძალიან შესაძლებელია პითაგორაელეზს ეკუთვნოდეს.

თავის მათემატიკური მეცადინეობის ზეგავლენით ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამყაროს დედაარსი შეიძლება განხილულ იქმნას როგორც რიცხვი. როცა ისინი აკვირდებოდნენ, რომ სიმის ორკეცად დამოკლება იმავე ნოტას იძლევა მომდევნო ოქტავაში, ან როცა აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ პიპოტენუზაზე აგებულ კვადრატის ფართობი უდრის კათეტებზე აგებულ კვადრატების ფართობთა ჯამს (ეგრეთწოდებული პითაგორას თეორემა). მაშინ ამ დაკვირვებებს მოვლენათა რიცხვობრივად გამოხატვის შესაძლებლობაზე პითაგორაელები იმ აზრზე უნდა დაეყენებინათ, რომ რიცხვი მსოფლიოში დიდ როლს თამაშობს. ისინი თვლიდნენ, რომ ყოველივე მატერიალური განისაზღვრებოდა

თავისივე რაოდენობითი მხარით და ამიტომაც იყო, რომ ისინი რიცხვს განიხილავდნენ, როგორც მსოფლიოს დედაარსს. შემდეგში აქედან განვითარდა რიცხვთა მთელი მეტაფიზიკა.

მაგალითად, რიცხვი „5“ ეხლა აღნიშნავდა ქორწინებას, შეუღლებას, „8“ — მეგობრობას, „9“ — სამართლიანობას, „10“ — ჰარმონიას და ა. შ. ეს ცალმხრივი წარმოდგენა რიცხვისა (რაოდენობითი თანაშეფარდებებისა, აბსოლუტში რომ არიან აყვანილნი და მატერიას დაცილებულნი), როგორც ბუნების ყველა მოვლენის ერთადერთ დედაარსისა, წარმოქმნის წანამძღვარებს იდეალიზმის წარმოშობისათვის. პითაგორასეულმა მოძღვრებამ შემდეგში ძლიერი გავლენა მოახდინა ფილოსოფიური ძღვალიზმის მამათმთავარ პლატონზე.

პითაგორაელნი ასწავლიდნენ, რომ თვითეული ნივთი ბუნებაში ორ საწყისისგან შესდგება: შეზღუდულისა და შეუზღუდავისა, ანუ საზღვრისა და განუსაზღვრელისაგან. მაგალითად, კუბი განსაზღვრულია პირეულის გარკვეული რიცხვით. აი ეს პირეულები წარმოადგენენ იმ საზღვარს, რომელიც ზღუდავს კუბის „განუსაზღვრელ“ მატერიას.

მატერია თავისდათავად არის ქაოტიური, განუსაზღვრელი-რამ. მარტო რიცხვი ზღუდავს განუსაზღვრელ მატერიას და აძლევს მას გარკვეულ სახეს.

ამ მოძღვრებაში ჩანასახივით ვხედავთ იმას, რაც შემდეგში პლატონისა და განსაკუთრებით არისტოტელეს ნააზრევში გამოვლინდება როგორც დაპირისპირება მატერიისა და ფორმისა: ფორმა ზღუდავს მატერიას, რომელიც თავისი ბუნებით ამორფულია, და მატერიის ქაოტიურ სამყაროში მას შეაქვს წესიერება.

იდეალისტური სკოლის უშუალო წინამორბედი იყო სოკრატე. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ სოკრატე არ იყო ანტიკური დემოკრატიის მოთაყვანე და პარტიისმცემელი. ქსენოფონტეს „მოგონებებში“ სოკრატე არწმუნებს ხარმინდას, რომელსაც ეშინია სახალხო კრებაში გამოსვლა, რომ ამაში არაფერია საშიში და საშინელი. „მეც გადაწყვიტე, — ამბობს ის, — დავანახო, რომ, შენ რომელიც მორცხვობას არ გრძნობ უკვირანეს ადამიანთა წრეში და არც შეპკრთები ხოლმე უძლიერეს ხალხის წინაშე, ამავე დროს გრცხვენია, გერიდება გამოხვიდე და ილაპარაკო უტუტუტეს და არაფრის მაქნისა ხალხის წინაშე. ნეტა ვისი გერიდება? იქნებ მატყლის მთელავისა ან ხარაზისა, ან იქნებ მჭედლისა, გლეხისა თუ კომერსანტისა ან იქნებ იმისი გერიდება, რომელიც ბაზარში ჩარჩობს და მარტო იმაზე ფიქრობს, რომ იაფად იყიდოს და უფრო ძვირად გაყიდოს? მერე, საერთოდ რომ ავიდოთ, ხომ ასეთი ხალხისგან შესდგება სახალხო კრება?“ ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ის კონსერვატიული სუნი, რომელიც სოკრატეს ფილოსოფიას უდიოდა, მისკენ იზიდავდა რეაქტიურ არისტოკრატიულ ახალგაზრდობას ქსენოფონტეს, პლატონის, კრიტიას, ალკიბიადეს და სხვათა ტიპისას.

სრულიად შემთხვევითი როდი იყო, რომ როცა 400 წ. ათენში კვლავ აღადგინეს დემოკრატია, სოკრატე ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც სასამართლოს პასუხისმგებაში მისცეს; როგორც რეაქტიის იდეური სულის ჩამდგმელი. ხომ ყველამ იცოდა, რომ ალკიბიადეც და კრიტიაც მისი მოწაფეები იყვნენ. თუ

მცა სოკრატეს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ფორმალურად ლაყბობა და სისულელე იყო, მაინც, არსებითად რომ ითქვას, აღდგენილმა დემოკრატამ სამართლიანად და სწორედ დაინახა სოკრატეს სახით თავისი მტერი.

სოკრატე, როგორც ფილოსოფოსი, საინტერესოა შემეცნების თეორიის პრობლემის დაყენებით; მას იგი ისე არა წყვეტდა, როგორც სოფისტები. სოკრატე ამტკიცებდა, რომ ობიექტური ქვეშარიტება არსებობს. სოკრატეს აზრით, ობიექტური ქვეშარიტება საჭიროა უწინარეს ყოვლისა ეთიკის დარგში. მაგრამ იქ ობიექტური ქვეშარიტება ნიშნავს ქცევა-მოქმედების ობიექტურ ნორმებს. მთელი თავისი სიცოცხლე სოკრატემ ამ დებულების მტკიცებას შესწირა.

იგი დაიბადა 470 წ. და იყო ათენის წვრილი მოქანდაკის შვილი. ჯერ ის აპირებდა ამ პროფესიას გაჰყოლოდა; მაგრამ მერე ფილოსოფიამ გაიტაცა, როგორც ჩანს, სოფისტების ზეგავლენით. სოკრატემ მიანება თავი თავის პროფესიას და მათხოვარა ფილოსოფოსად გადაიქცა. თავის მოწაფეების გუნდ-დასით გარშემოხვეული სოკრატე დადიოდა ათენში ქუჩა-ქუჩა, ჩამოჯდებოდა მოედნებზე, გაჩერდებოდა პორტიკებში. გაუბამდა ლაპარაკს ვისაც შეხვდებოდა და გაცხოველებულ ბაასის დროს, აზრზე მიმყვანი, გულისხმიერი კითხვებით (ესაა განსაკუთრებული „სოკრატისეული“ მეთოდი) ცდილობდა დაემტკიცებინა თავის დებულებათა სისწორე. სოკრატე თავის თავს ბებიას, მეანს უწოდებდა; რომელიც ადამიანს შევლის დაჰბადოს მასში მოცემული ქვეშარიტება.

სოკრატეს მოწაფეებმა მისი მოძღვრება მორალური ნორმების ობიექტივობისა მთელ ფილოსოფიურ სისტემად აქციეს და განავითარეს. გასაგებია, რომ აქედან იზრდებოდა იდეალისტური ფილოსოფია.

სოკრატეს მოწაფეებს შორის ყველაზე უფრო გამოჩენილი იყო პლატონი (427-347 წლები).

პლატონი თავის ჩამომავლობით ეკუთვნოდა ათენის უმაღლეს არისტოკრატებს. იგი პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის ემზადებოდა, ახალგაზრდობაში რამდენიმე ნაწარმოებზე დაწერა, მაგრამ მერე ისიც გაიტაცა იმ დროს მოდასავით გავრცელებულმა ფილოსოფიამ. გახდა სოკრატეს მოწაფე და დააარსა ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც „აკადემიური“ სკოლა ეწოდებოდა (იმ ბაღის სახელის მიხედვით, რომელიც ათენში იყო მიძღვნილი გმირ აკადემისადმი).

პლატონის ფილოსოფია ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რადგანაც ჩვენამდე ყველა მისმა ნაწარმოებმა მოაღწია.

პლატონი გამოდიოდა სოკრატისეულ დებულებებიდან, ობიექტურ ქვეშარიტებისა და ობიექტურ სიკეთის არსებობას რომ შეეხებოდა.

პლატონის ფილოსოფიაში ორი მხარე უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან: 1) მისი მეტაფიზიკა, მოძღვრება ყოფიერების შესახებ და 2) მისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი.

პლატონის მსოფლმხედველობას „იდეალიზმი“ ეწოდება. ეს სიტყვა გაჩნდა პლატონის მიერ ხმარებაში შემოდებულ ფილოსოფიური ცნების „იდეის-გან“. პლატონის აზრით, სამყაროს დედაარსს წარმოადგენენ იდეები.

რა არის იდეა? ეს არის მხოლოდ ობიექტურად არსებული ზოგადი, საერთო ცნება და სხვა არაფერი. ავიღოთ, მაგალითად, ზოგადი ცნება „ადამიან-

ნი“. ეს არის იმ გარკვეული ძირითადი ნიშნების კონა, რომელნიც გააჩნიათ ამათუიმ კონკრეტულ ადამიანებს. პლატონი აცილებს ამ ნიშნებს მათ კონკრეტულ მატარებლებს და მათ ანიჭებს რეალურ არსებობას ადამიანის „იდეის“ სახით. იდეა იმდენივეა, რამდენიცაა ზოგადი ანუ საერთო ცნება. პლატონი მათ ათქვამს განსაკუთრებულს „გონებით მისაწვდომად“ სამყაროში, რომელსაც ადამიანი შეიცნობს მარტო ინტუიციით, ქვერეტით.

ეს სამყარო იმყოფება საღლაც უძრავ ვარსკვლავთა საზღვრის გადაღმა. იქ სუფევენ. იქ არიან დასადგურებულნი იდეები—ყოველივე ნივთის მარადიული, მშვენიერი და არამატერიალური პროტოტიპები.

ისინი ერთგვარ თანადაქვემდებარებაში არიან ერთი მეორის მიმართ, იერარქიული კიბის საფეხურებზე ისეთნაირად დგანან, რომ უფრო მარტივი იდეები, უფრო უხეში ნივთების იდეები მორჩილობენ, ექვემდებარებიან უფრო მაღალ იდეებს. ყველა იდეებს ზემოთ კი დიდებით სუფევს და მბრძანებლობს უზენაესი იდეა, იდეა „ქვეშაობისა, სიკეთისა და სილამაზისა“.

რა მიზარდება და დამოკიდებულება აქვს მიწიერ, მატერიალურ მსოფლიოს ანუ სამყაროს იდეათა სამყაროსთან? |

პლატონი მატერიას უწოდებს „არ არსებულს“. ეს იყო პითაგორასეულ შეხედულებათა განვითარება: მატერია არის ინერციული, ნელი-რამ, ტლანქი, ამორფული-რამ, რომელსაც არ გააჩნია რაიმე გარკვეული სახე. მარტო იდეებს შეუძლიანთ მატერიის ფორმირება. ამიტომაც თუ კი არსებობს ნივთების ანუ საგნების რეალური სამყარო, არსებობს მარტო იმიტომ, რომ მათში ასახულია იდეები. საჭიროა აუცილებლივ ხაზი გაესვას იმას, რომ პლატონი ასწავლიდა იდეათა ცალკე, აბსოლუტურად გამხოლოებულ, განმარტოებულ არსებობას: იდეები ცხოვრობენ არა ნივთებში, არამედ მათგან განცალკევებით, ზეგრძობიერ, უსივრცო სამყაროში. ნივთებში არის მარტო იდეების სუსტი ანაბეჭდი, იდეების არა სრულყოფილი ანაშუქი. პლატონის მსოფლმხედველობა გამსჭვალულია ღრმა სიძულელით მატერიალურ სამყაროსადმი.

მაგრამ როგორ, რანაირად ეზიარებიან ადამიანები, ეს არასრულყოფილი არსებანი, იდეათა ცოდნას, საერთოდ როგორ ხდება ადამიანის შემეცნება? ამ კითხვაზე პასუხის მოსაცემად პლატონი აგებს თავის შემეცნების თეორიას მოგონებათა ანუ გახსენებათა სახით.

ადამიანის სული თავისი ერთი ნაწილით (გონებით) იდეებს ემსგავსება. ამიტომ ეს სული, სანამ დამკვიდრდება ანუ დაისადგურებს ადამიანის სხეულში, იმყოფება გრძობიერ და გონებამისაწვდომად სამყაროს მიჯნაზე. სულები ვარსკვლავებზე ცხოვრობენ და იქიდან სჭვრეტენ იდეებს. ეს ქვერეტა ავსებს მათ ალტაცებით და ნეტარებით, იმიტომ რომ სამყარო, რომელსაც ისინი ქვერეტენ, წარმოადგენს მშვენიერ სამყაროს.

შემდეგ თვითველ სულს უდგება ეამი სხეულში დასადგურებისა. სული მკვიდრდება საპყრობილეში. პლატონს სხეული ესმოდა როგორც სულის საპყრობილე, საკანი, და გასაგებიცაა, რომ სული ივიწყებს იმ მშვენიერ სამყაროს, რომელსაც იგი ოდესღაც სჭვრეტდა. მაგრამ დედამიწაზე ის ხედება იმ საგნებს, რომელნიც მას მოაგონებენ იმას, რასაც რგი სჭვრეტდა გონებამისა-

წედომად სამყაროში. ადამიანი ხედავს ბურთოს, სტეროს. დედამიწაზე არაა იდეალური ბურთო, აქ მარტო აისახება მისი იდეა. ყოველი რეალური ბურთო არის ტლანქი-რამ, მიახლოვებული-რამ, მაგრამ მასში მაინც არის იდეის ანაბეჭდი. და აი ეს ბურთოს იდეის არასრულქმნილი ანაბეჭდი წარმოადგენს იმ საბაბს, რომლის წყალობითაც სული იხსენიებს, იგონებს იდეალურ ბურთოს, მის იდეას.

ამ გზით პლატონი ცდილობდა აეხსნა, კერძოდ, მათემატიკის სწორწიმიერება. ის თითონ საუკეთესო და დიდი მცოდნე იყო მათემატიკისა. მაგრამ მისი ფილოსოფიისათვის იბადებოდა პრობლემა: საიდან ჩნდება ადამიანში იდეალურ საშუალებების, წრეების, ბურთოების წარმოდგენა? რაკი მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, ამიტომ მის, ცხადია, საქმე აქვს იდეალურ ცნებებთან და არა წრეების, ხაზების და წერტილების ტლანქ მატერიალურ ხორცხმულებასთან, მატერიაში რომაა. ამ გზით პლატონი მივიდა თავის თეორიამდე, რომ ადამიანები, ხედავენ რა დედამიწაზე კონკრეტულ საგნებს, მათ გამო იხსენებენ, იგონებენ იმ იდეებს, რომელნიც მათ ნახეს გონებათაშიაწვდომად სამყაროში.

პლატონის მიხედვით ასეთი მკვეთრი განსხვავება არსებობს, ერთის მხრით გონებათაშიაწვდომად სამყაროსა, სიკეთისა, ჭეშმარიტების და სილამაზის სამყაროსა და მეორეს მხრით მატერიალურ ნივთების ტლანქ რეალურ სამყაროს შორის; და რაკი ეს ასეა; მაშ, ცხადია, უნდა იქმნეს ადამიანის ქცევა-მოქმედების მარტო ერთი ნორმა; ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მარტო ერთი და ერთადერთი ამოცანა: მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემზადებოდეს იმისთვის, რომ ხელახლა შეეიდეს იდეათა სამეფოში. ადამიანის მთელი ცხოვრება გამსჭვალული უნდა იყოს ეროსით, ე. ი. იდეათა სამყაროს მიმართ ენებთან სიყვარულით. აქედან წარმოსდგება „პლატონისეული სიყვარულის“, „პლატონური სიყვარულის“, იდეის მიმართ სიყვარულის ცნობილი და ეგოდენ ვულგარიზებული ცნება.

მაგრამ ადამიანი, როცა კედება, ყოველთვის როდი ბრუნდება ვარსკვლავებზე, საიდანაც მას შეუძლია იდეათა სამეფოს უმზიროს. პლატონი ასწავლიდა სულთა გადასახლებას, სულის მოგზაურობას. ის ასწავლიდა, რომ იმისდამიხედვით, თუ როგორ იქცევა ადამიანი დედამიწაზე, მის სულს ჯეროვანი სამაგიერო მიეზღვება ხოლმე: თუ ადამიანი მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში იდეისკენ მიილტვოდა, ტლანქ, მატერიალურ ანუ ნივთიერ, გრძობიერ სამყაროს გაურბოდა და ერიდებოდა, მაშინ სიკვდილის შემდეგ მისი სული კვლავ ბრუნდება ვარსკვლავებზე და იქიდან ქერეტს იდეათა სამყაროს; ხოლო თუ ადამიანი ცუდად იქცეოდა, გრძობიერ სიამოვნება-სიტკობებისკენ მიისწრაფოდა, მაშინ სიკვდილის შემდეგ მისი სული ღვთაების ნება-სურვილისამებრ შეიძლება დამკვიდრებულ იქმნას რომელიმე ცხოველში, მაგალითად, ღორში, ფუტკარში, ქიანველაში და შეიძლება გაიაროს კიდევ ასეთ გადაქცევათა მთელი წრე, სანამ იგი არ განიწმინდება, არ გამოისყიდის თავის ბიწიერებას და არ დაბრუნდება იდეათა ნეტარ სუფევაში.

ამ მეტად მოკლე მიმოხილვიდან ცხადია პლატონის მთელი ფილოსოფიის ღრმა რეაქციულობა: ორი სამყაროს, სულიერისა და მატერიალურის, ერთი მეორისგან მკვეთრი განკერძოება და დაცილება, მატერიალურ სამყაროს მოძა-

გება, სხეულის უფლებათა უარყოფა. რეალური ცხოვრების უკუგდება. და შემთხვევითი როდია, რომ შემდეგში ქრისტიანობა დაემყარება პლატონიზმს. როგორც თავის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ფილოსოფიურ ფუძეს. ესეც კია, პლატონიზმი ქრისტიანობამ საფუძვლად დაიდო იმდენად პლატონის მოძღვრების ფორმით კი არა (პლატონისეული მოძღვრება ქრისტიანობისათვის ძალიან განყენებული, აბსტრაქტული-რამ იყო), რამდენადაც ნეოპლატონიზმის სახით, პლატონის გვიანდელ მიმდევართა მოძღვრების სახით.

პლატონის ფილოსოფია ასახავს ანტიკური არისტოკრატიის მომაკვდავ და განწირულ ჯგუფების მსოფლმხედველობას, რომელიც წინათაც რეაქციული იყო და მით უფრო რეაქციული გახდა ანტიკური საზოგადოების საერთო რღვევის და დაცემის პერიოდში. ქვეყნისგან განდგომა. რეალური ცხოვრების უარყოფა და უკუგდება ასახავს იმ ღრმა კრიზისს, რომელიც დაეტყო ანტიკურ საზოგადოებას.

შევჩერდეთ კიდევ პლატონის მოძღვრებაზე, თუ სწავლაზე სახელმწიფოს შესახებ.

როგორც ცნობილია, პლატონი იყო კაცობრიობის საზოგადოებისა და სახელმწიფოს იდეალური სურათის ერთ-ერთი პირველი შემქმნელთაგანი.

იმისდა შესაბამისად, რომ ადამიანის მთელი სიცოცხლე უნდა შეეწიროს იდეათა სამსახურს და მათკენ მისწრაფებას, პლატონი განსაზღვრავდა სახელმწიფოს ამოცანებსაც: მან მიზნად უნდა დაისახოს ადამიანები აღზარდოს იდეების შესაბამისად, ე. ი. მოამზადოს ისინი იდეათა აღქმისათვის, იდეათა საშეფოსთან შეერთებისათვის, მის თანაზიარობისათვის.

ეს ამოცანა რომ უაღრესი სრულყოფით იქმნეს შესრულებული, ამისათვის, პლატონის აზრით, სახელმწიფოში მთელი მოსახლეობა უნდა დაიყვას სამკლასად: ხელოსნების კლასად, მეომრებად და მმართველებად.

ხელოსანთა კლასს შეადგენენ ხელოსნები ამ სიტყვის საკუთრივი გაგება-მნიშვნელობით, მიწათმოქმედნი და ვაჭრები. მეომართა კლასს ეკუთვნიან აგრეთვე მოხელეებიც — ეს ისინი, რომელნიც უშუალოდ ადმინისტრირებენ და იცავენ სახელმწიფოს.

რაც შეეხება მმართველებს, ასეთებად, პლატონის აზრით, უნდა იყვნენ ფილოსოფოსები, ვინაიდან მარტო მათ შესწევთ უნარი და ნიჭი სახელმწიფოს ჯეროვანად მმართველ-გამგეობისა. „ხელოსნები“ მოვალენი არიან იშრომონ და მოიპოვონ მატერიალური სახსრები მთელი სახელმწიფოსთვის. მათ სათნოებას წარმოადგენს ზომიერება და ორი უმაღლესი წოდების მორჩილება. „დაარჯნი“, ე. ი. ფილოსოფოსები და მეომრები არ შრომობენ: ისინი მარტო განაგებენ სახელმწიფოს. რომ მათ შესძლონ რაც შეიძლება კარგად განაგონ სახელმწიფო. პლატონი ამისთვის აუცილებლივ საჭიროდ ცნობს ისინი განტვირთულნი იყვნენ ყოველნაირ მატერიალურ ზრუნვა-ფიქრისგან; ამიტომ ყველაფერი, რაც კი მათ საცხოვრებლად იქნება საჭირო, მოაქვს დაბალ წოდებას.

ესეც ცოტაა: მეომრები და მმართველები რომ ყოველივე მატერიალურისგან თავისუფალნი ყოფილიყვნენ, პლატონი ათავისუფლებს მათ კერძო საკუთრებისაგანაც და ოჯახისაგანაც. „უწინარეს ყოვლისა, — წერს პლატონი თავის

„სახელმწიფოში“, — არავის მათგანს არ უნდა ჰქონდეს არავითარი კერძო საკუთრება, გარდა უსაქიროვისა: შემდეგ, არც ერთს მათგანს არ შეეძლოს შესვლა. უოფელივე აუცილებელი, რასაც კი საჭიროებენ მამაცა და ზომიერი მეომრები, მათ უნდა მიიღონ სხვა მოქალაქეებისგან რიგ-რიგობით სამსახურისთვის გასამრჯელოს სახით ისეთი რაოდენობით, რომ გაქირვება არ იგრძნონ, ისე კი, რომ არც რამე გადარჩეთ, შემდგომისათვის. ისინი სადილობენ ამსანაგობებით და უნდა ერთად ცხოვრობდნენ, როგორც მეომრები ლაშქრობის დროს. ოქრო-ვერცხლის შესახებ უნდა ეთქვათ მათ, რომ მათ სულში ყოველთვის აქვთ ღვთაებრივი ოქრო და რომ ადამიანის ოქროს ისინი არ საჭიროებენ. არა მმართველთ მათ ამ ადამიანის ოქროს შეძენით შეურაცხპყონ ზეციური ოქროს შეძენა“. რაც ნებება „ხელოსნებს“, ისინი პლატონისეულ სახელმწიფოში ცხოვრობენ კერძო საკუთრების საფუძველზე. იმიტომ რომ მათ წინაშე არა დგას ის მაღალი ამოცანები, რომ მათ შესრულების გამო მან, საკუთრებამ; შესძლოს ხელის შეშლა.

მომხატობითი კომუნისში. რომელსაც პლატონი აწესებს ორი მაღალი წოდებისათვის. რაკი ის თანამიმდევრობით განვითარდება, მას აიძულებს წამოაყენოს თენისი ცოლების საერთოობის შესახებ: „ყველა ცოლები, — ამბობს პლატონი, — საერთონი უნდა იყვნენ ყველა ქმრებისთვის და არც ერთი ცოლი არ უნდა ცხოვრობდეს ვისმესთან ცალკე. აგრეთვე ბავშვები ყველას საერთონი ჰყავთ და არც მშობლები იცნობენ ბავშვებს; არც ბავშვები — მშობლებს“, სახელმწიფო აწესრიგებს შეუღლება-ქორწინებას და მარტო ევგენიკურ მიზნებს ისახავს. ავადმყოფი ან სუსტი ბავშვები მოისპობიან, ხოლო ჯანმრთელებს აძლევენ გამოსაზრდელ სახლებში. „იქ დაიწყებენ ზრუნვას ბავშვების კვებაზე, — ამბობს პლატონი, — ამისთვის გამოსაზრდელ სახლებში მოიყვანენ დედებს. ვისაც რძე მოჭარბებით აქვთ. მაგრამ ამასთანავე უნდა ვეცადნეთ, რომ ვერც ერთმა დედამ ვერ იცნას თავის ბავშვი. თუ დედები არ ეყოფა, მაშინ აიყვანენ სხვა ქალებს, ვისაც კი რძე აქვთ“.

აღზრდისა და სწავლების ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში ყველა სამჯერ უნდა იქმნეს გამოცდილი: 20 წლისა, 30-სა და 50 წლისა რომ შესრულებიან. მარტო ისინი, ვინც სამივე გამოცდას დაიკერენ, ხდებიან მმართველებად; დანარჩენები კი ჩაირიცხებიან სამხედრო წოდების სხვადასხვა თანამდებობაზე.

უსაფუძვლოდ როდი ფიქრობენ, რომ პლატონის უტოპიაში ჩვენ ვპოულობთ მხოლოდ იდეალიზირებულ სპარტულ წესწყობილებას და სხვა არაფერს.

ანტიკური აზრი თავს იმტვრევდა IV საუკუნეში დამდგარ კრიზისიდან თავის დაღწევის პრობლემაზე. პლატონი ასეთ გამოსავალს ხედავს უწინდელისკენ დაბრუნებაში, ძველი პოლისის აღდგენაში მისი უაღრესად პრიმიტიული ფორმით, სპარტაში რომ იყო. პლატონის „ხელოსნები“ ეს მონები არიან, ხოლო „დარაჯები“ თუ „მცველები“ ეს მონათმფლობელები არიან, რომელთა შორის გათანაბრებულობა, რაც საჭიროა მონათა დამორჩილებისათვის, ლოგიკურ ბოლომდე მიყვანილი.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პლატონის იდეალური წესწყობილება წარმოადგენს რეაქციურ წესწყობილებას. ფილოსოფოსი ანტიკურ საზოგადოებას უკან მოუწოდებდა. ბურჟუაზიული მოდერნიზატორები პლატონს „კომუნისტად“ აცხადებენ. მაგრამ, ჯერ ერთი, პლატონის „კომუნისმი“ მართო მოხმარებითი კომუნისმია; და მეორე: ესაა პატარა მმართველი ჯგუფის კომუნისმი, რომელიც აო ვრცელდებოდა მთელ საზოგადოებაზე.

პლატონის იდეალაა იდეალიზირებული მონათმფლობელური სათემო-სახელმწიფოებრივი საკუთრება და სხვა არაფერი.

ჩვენ ვნახეთ. თუ ბერძნული ფილოსოფიის დიალექტიკურმა განვითარებამ როგორი გზით მიიყვანა იგი ორი დიამეტრალურად დაპირისპირებული სისტემის: ნატურალისტური და იდეალისტური სისტემის შექმნამდე.

ორივე ეს სისტემა აჯამებდა ბერძნული ფილოსოფიის განვითარების გრძელ გზას. თვითეული მათგანი წარმოადგენდა მონათმფლობელის გარკვეულ, ჯგუფთა იდეოლოგიას: პროგრესიული ანტიკური დემოკრატიისა და რეაქციული არისტოკრატიისა. ამიტომაც იყო, რომ ყოფიერების დედაარსის ერთსადაიმევე კონხეაზე სხვადასხვანაირ პასუხს იძლეოდნენ.

კლასიკური ანტიკური ფილოსოფიის განვითარების დამამთავრებელ ეტაპზე არისტოტელე შეეცადა საერთო სინთეზის მოცემას. არისტოტელე ცხოვრობდა კლასიკურ და ელინისტურ პერიოდების მიჯნაზე, ძველი საბერძნეთისა და ახალი საბერძნეთის მიჯნაზე და აჯამებდა ანტიკური ფილოსოფიის განვითარების მდიდარს. უხვ გზას.

მაგრამ შეუძლებელია მატერიალიზმი და იდეალიზმი გაერთიანდეს მთლიან პარამონიულ სინთეზში, და არისტოტელეს სახით ჩვენ გვყავს გენიალური მოაზროვნე, რომელიც მერყეობდა იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის, მაგრამ რომელიც პლატონისეული იდეალიზმის კრიტიკის დროს და თავის შემეცნების თეორიაში პირისპირ მიადგა მატერიალიზმს.

არისტოტელე ცხოვრობდა 384-დან 322 წლამდე. იგი ჩამომავლობით იყო თრაკიიდან, ბერძნული ახალშენიდან სტაგირიდან. მისი მამა იყო მაკედონიის მეფის კარას ექიმი. არისტოტელემ დიდი სკოლა გაიარა პლატონთან, ორი წლის განმავლობაში იყო ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი, ხოლო მერე განსნა ათენში დამოუკიდებელი სკოლა, რომელსაც ეწოდებოდა ლიცეუმი ანუ ლიკეუმი, უფრო ზუსტად ლიკეიონი, აპოლონ ლიკეიოსის ანუ ლიკეონელის სახელობაზე აგებულ ტაძრის სახელწოდების მიხედვით, რომლის მეზობლადაც არსებობდა ეს სკოლა. არისტოტელეს სკოლას უწოდებდნენ კიდევ პერიპატეტიკურს, ხოლო მის მიმდევრებს—პერიპატეტიკოსებს სიტყვა „პერიპატოს“-ისგან. (ნიშნავს გასეირნებას ანუ სვეტნარს. გადმოცემით, არისტოტელე ლექციებს კითხულობდა და თანაც სეირნობდა იმ სვეტნარში, რომელიც სკოლის ეზოს გარშემორტყმული ჰქონდა).

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ათენში მოხდა აჯანყება მაკედონიის წინააღმდეგ. არისტოტელე, როგორც მაკედონიის მომხრე, იძულებული შეიქმნა ათენიდან გაქცეულიყო და ამის მერე მალეც გარდაიცვალა კუნძულ ეგებაზე.

არისტოტელე არის ერთ-ერთი მეტად უნივერსალური გენიოსი კაცობრიობის ისტორიაში. ის იყო არა მარტო ფილოსოფოსი, არამედ გენიალურა მეცნიერიც, სამეცნიერო მუშაობის გენიალური ორგანიზატორი. მას ჰყავდა მრავალი მოწაფე, რომელთაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩაატარეს უდიდესი სამეცნიერო მუშაობა. ამ ნამუშავერის გაქანებაზე შეიძლება თუნდაც იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ არისტოტელეს სახელთან დაკავშირებულია 158 საბერძნეთის სახელმწიფოს კონსტიტუციითა დამუშავება, რომელთა შორის გადარჩა, როგორც შემოთავაზებულია ეს მოხსენებული, მარტო ერთი — ათენის კონსტიტუცია.

არისტოტელეს სკოლაში პირველად იწყებენ ფილოსოფიასა და მეცნიერებას შორის განსხვავების გატარებას. ასეთი გამოჯენა შემზადებული იყო უკვე არისტოტელემდე, კერძოდ ჯერ კიდევ დემოკრიტეს მიერ. მაგრამ მაინც მარტო არისტოტელეს სკოლაში ხდება მეცნიერებისა და ფილოსოფიის საბოლოო დიფერენციაცია. მართალია, ეს დიფერენციაცია ჯერ კიდევ არაა საესეზებით სრული, იმიტომ რომ ერთი და იგივე პირი მისდევს მეცნიერებასაც და ფილოსოფიასაც, ერთსა და იმავე პირს აქვს სამეცნიერო ნაწარმოებნიც და ფილოსოფიურნიც. მაგრამ მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ ეს ნაწარმოებნი უკვე ერთი მეორისგან გამოიჯნულია. ეს მოწმობს იმას, რომ თვალსაჩინოდ გაიზარდა მეცნიერული და ფილოსოფიური მასალა, რომელიც უკვე მოითხოვდა შრომის განაწილებას ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს შორის.

არისტოტელე, როგორც მეცნიერი და ფილოსოფოსი, ამთავრებს განვითარების წინა პერიოდს და საძირკველს უყრის, დასაბამს აძლევს ახალ პერიოდს. არისტოტელემ მოახდინა სინთეზი ანტიკური მეცნიერებისა და ფილოსოფიისა და ამით შესაძლებელი გახდა მათი შემდგომი განვითარება. მართალია, არისტოტელეს შემდეგ ანტიკური ფილოსოფია ძალიან შორს აღარ წასულა. ეს გარემოება აიხსნება მთელ რიგ ისტორიული მიზეზებით, რომელთა ძირი ჩამარხული იყო ელინისტური პერიოდის გარემოში, ფილოსოფიის, როგორც ასეთის, განვითარებას რომ აფერხებდა. ელინისტურ ეპოქაში ფილოსოფია გარკვეულ დაქვეითებას განიცდის. მეტაფიზიკაში წარმოიქმნება მთელი წყება, ეკლექტიკურ სისტემებისა; ვითარდება უმთავრესად მორალური ფილოსოფია. წმინდა ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ დიდი წარმატება აქვს მეცნიერებას; განსაკუთრებით თვალსაჩინო პროგრესი ემჩნევა ზუსტ მეცნიერებათა დარგს. ამასაც ჰქონდა კიდევ თავისი მიზეზები ელინისტური პერიოდის პირობებში, რაზედაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი.

ამიტომ, თუ არისტოტელე ფილოსოფიის დარგში უფრო აჯამებდა წინა პერიოდის ნაღვას, ვიდრე ახალს იწყებდა, სამაგიეროდ მეცნიერების დარგში მან ახალი უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ძველი დაამთავრა. არისტოტელემ არა მარტო დაამუშავა მთელი რიგი წინათ ცნობილი დისციპლინები (ბოტანიკა, ზოოლოგია, მეტეოროლოგია და სხვანი), არამედ ის გვევლინება ფორმალური ლოგიკის, ხელოვნების თეორიისა და სოციოლოგიის დამაარსებლადაც, შემოქმედდაც. პირველ სოციოლოგიურ შრომას წარმოადგენს არისტოტელეს „პოლიტია“ ანუ „ათენის სახელმწიფო წყობილება“.

არისტოტელეს დამსახურება მეცნიერების ისტორიაში იმდენად ახალ დისციპლინების დაფუძნებაში არ მდგომარეობს, რამდენადაც მეცნიერული კვლევის მეთოდების დამუშავებაში. კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ფორმალურ ლოგიკას ასაბუთებს და განამტკიცებს სილოგიზმის (დანასკვის) თეორიის დამუშავებით და აგრეთვე უმნიშვნელოვანეს ლოგიკურ კატეგორიათა დამუშავებით, არისტოტელე ამავე დროს მთელ რიგ შემთხვევებში უახლოვდება მათ დალექტიურ განმარტებას.

როგორ-ღა იყო არისტოტელეს შეხედულებანი? ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ის ცდილობდა გაეერთიანებინა დემოკრიტეს და პლატონის მოღვაწეობა. არისტოტელეს ცხოვრებას პირობებში იყო ისეთი გარემოებანი, რომელნიც მას უსუსტუქებდნენ ამ ამოცანას.

არისტოტელე იყო ექიმის შვილი, ხოლო ბერძნულ მედიცინაში ძალიან ძლიერი იყო მატერიალიზმის ელემენტები. არისტოტელეს მამაზე კერძოდ ძლიერი გავლენა იქონია დემოკრიტემ. ამის წყალობით არისტოტელემ შეინაწავლა მატერიალისტური ფილოსოფია.

მეორე მხრივ, არისტოტელემ გაიარა პლატონის სკოლა და საფუძვლიანად გაეცნო უკანასკნელის იდეალისტურ სისტემას.

არისტოტელემ პლატონის იდეათა შესახები მოძღვრების კრიტიკისას, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ, ეს იდეები ციდან დედამიწაზე ჩამოიტანა.

არისტოტელეს აზრით, ყოველი ნივთი წარმოადგენს მატერიისა და ფორმის მთლიანობას, ერთობლივობას. პლატონმა; არისტოტელეს შეხედულებით, უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა ფორმა და შინაარსი ერთმანეთისგან გათიშა, დაუშვა იდეათა განკერძოებული, გამხოლოებული არსებობა. არისტოტელეც სწორედ იბრძოდა იდეათა სამყაროსა და ნივთთა სამყაროს შორის პლატონისეულ გათიშულობის წინააღმდეგ. ეს ამტკიცებდა, რომ არაა ნივთებისაგან განსჯილად უკლებული, განხოლოებული არსებობა ზოგად ცნებებისაო. ყოველი იდეა (ფორმა) განუშორებლივ დაკავშირებულია ნივთთან. ამ თვალსაზრისით არ არსებობს ცალკეული საერთო და მხოლოობითი, არამედ საერთო. ზოვადი არსებობა მხოლოობითში. ეს იყო დიადი აზრი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე.

რადღა არის ფორმა და მატერია? ფორმა, არისტოტელეს აზრით, არის აქტიური დასაბამი, რომელიც წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, გარკვეული ნივთის მიზეზს, მეორე: მიზანს, რომლისკენაც იგი მიილტვის, და მესამე: ფორმას ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. მიზანი, მიზეზი და ფორმა — აი ამ სამ სახეობაში ვლინდება აქტიური საწყისი, მატერიას რომ აფორმირებს, ფორმას რომ აძლევს.

რაც შეეხება მატერიას, იგი, არისტოტელეს მიხედვით, რაღაც ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული კი არაა, არამედ უფრო „მასალას“ წარმოადგენს, რომელიც სხვა შემთხვევებში შეიძლება ფორმა იქნეს. მატერია ესაა მარტო იმ შესაძლებლობათა კონა, რომელთაგან ნამდვილის რეალიზაცია ხდება ფორმათა მეოხებით.

ფორმის არისტოტელესეულ ცნებაში, იმ ფორმის, რომელიც აერთებს სამი ძირითადი მომენტის — მიზეზის, მიზანის და ფორმის ერთობლივობას ანუ კონას, ტელეოლოგიური (მიზნობრივი) მომენტი აღრეულია მიზეზობრივ მომენტთან.

როცა არისტოტელე ამბობდა, რომ რკო გარკვეული მატერიალური მიზეზების (სინოტივის, სითბოს, ნივთიერებათა გაცელა-გამოცელის და სხვათა) ზეგავლენით იზრდება და მუხად იქცევაო, — ასეთი ახსნა საესებით მეცნიერული იყო. მაგრამ როცა ის ამტკიცებდა, რომ მუხის „ფორმა“ ეს ის მიზანია, რომლისკენაც მუხა მიისწრაფისო, — აქ უკვე გამოსქვიოდა წმინდა ტელეოლოგია, ე. ი. იდეალიზმი.

არისტოტელე და მისი სკოლა მოვლენათა კონკრეტულ მიზეზების ძიების დროს ხშირად მართებულად წყვეტდნენ საკითხს. იმიტომ რომ თითონ მეცნიერული შემოქმედების პრაქტიკა. თითონ ემპირიული მასალა იქონივს წარმართავდა, რომ ახსნა ეძიათ არა საბოლოო მიზეზების სფეროში, არამედ მოვლენათა რეალურ მიზეზების სფეროში. მაგრამ ეს კოველთვის როდი იყო. არისტოტელეს მეცნიერული ხერხები წარმოადგენენ აღრევას სწორი მეცნიერული მეთოდისა და ტელეოლოგიისას.

არისტოტელეს აზრით, სამყაროს ცენტრში მოქცეულია დედამიწა, ხოლო მის ირგვლივ იმყოფება კონცენტრიული „სფეროები“; ამათხეა მიმდგრებული სათანადო მნათობები. პირველი სფეროა მთვარის სფერო. მას მისდევს მზას სფერო, შემდეგ მაშინ ცნობილი ხუთი პლანეტის სფერო და, ბოლოს, უძრავ ვარსკვლავთა სფერო.

უძრავ ვარსკვლავებს იქით ძევს პირველი ძრავა. ესაა აბსოლუტური აქციოება, წმინდა ფორმა, რომელსაც მთელი სამყარო მოძრაობაში მოჰყავს, მაგრამ არა მექანიკური ბიძვის საშუალებით, არამედ იმნაირად, რომ სამყარო „მიილტვის“ მოძრაობისკენ.

ამ „პირველ ძრავას“ დაშვებაში, რომელიც სხვა არა არისრა, თუ არ ლეთება, აშკარად გამოსჩანს არისტოტელეს იდეალიზმი.

მაგრამ ამავე დროს არისტოტელე არაა დაეჭვებული ვარგ სამყაროს რკალობაში და მისი შემეცნების შესაძლებლობაში. საკითხების ვადაწყვეტის დროს ის გვაძლევს დიალექტიკური მიდგომის მთელ რიგ ნიმუშებს, მაგალითად, როცა არკვევს საკითხს შესაძლებლობის სინამდვილედ გადასვლას, ურთიერთ მიმართებას ზოგადისა და ერთეულადისას, შეგრძნობისა და შემეცნებისას, რაობითის ცელას, როგორც მატერიის მოძრაობის განსაკუთრებულ ფორმას და სხვას.

ამრიგად, არისტოტელეს ფილოსოფიური სისტემა, მთლიანად აღებული, ეკლექტიურია. მაგრამ არისტოტელეს მერყეობაში იდეალიზმსა და მატერიალიზმს შუა ჩვენ უნდა დავინახოთ, როგორც მიუთითებს ამხანაგ ლენინი, ძიების მომენტი, იმ ძიებისა. რომელიც ხშირად მთავრდება მატერიალიზმთან მიდგომით, მკიდროდ მიახლოებით და ობიექტური დიალექტიკის აღიარებით.

არისტოტელე, როგორც სოციოლოგი, იმითაა საინტერესო, რომ მან პირველმა მოგვცა მონობის თეორია. ის პირველი არ იყო, რომელიც თეორიულად იკვლევდა მონობის საკითხებს. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში ამ საკითხებს ეხებოდნენ ქსენოფონტეც, პლატონიც და სხვა ბერძენი მწერლებიც. მაგრამ მართა არისტოტელემ მოგვცა მონობის დამთავრებული თეორია. „სწორედ ასევე, — ამბობს იგი „პოლიტიკაში“, — ურთიერთ თავდაცვის მიზნით აუცილებელია გაერთიანდნენ წყვილ-წყვილად ის არსება, რომელიც თავისი ბუნების ძალით მბრძანებლობს. და ის არსება, რომელიც თავის ბუნების მიხედვით მორჩილი და ხელქვეითია. პირველს, თავისი ინტელექტუალური თვისებების წყალობით, აქვს უნარი და ნიჭი წინასწარ ხედვისა და ამიტომაც იგი, უკვე თავისი ბუნებითვე, არის არსება მბრძანებელი და გაბატონებული; მეორე, რადგან მას აქვს უნარი მართა თავისი ფიზიკური ძალ-ღონით შეასრულოს მიღებული მითითებანი, თავისი ბუნებით არის არსება ხელქვეითი და მონობაში მყოფი... ბარბაროსი და მონა თავისი ბუნებითვე შესატყვისი ცნებებია. უკვე უშუალოდ თითონ გაჩენის მომენტიდანვე ზოგიერთა არსება განიორჩევა იმ მხრივ, რომ ერთნი მათგანნი თითქოს წინდაწინვე განკუთვნილნი არიან ხელქვეითობა-მორჩილობისათვის, მეორენი — მბრძანებლობისათვის... ის ადამიანები, რომელნიც სხვა ადამიანებისგან ისევე განიორჩევიან. როგორც განსხვავდება სული სხულისგან, ხოლო ადამიანი ცხოველისგან..., აი ასეთი ადამიანები თავიანთი ბუნებითვე მონები არიან... ის სარგებლობა, რომელიც შინაურ ცხოველებს მოაქვთ, მცირედით თუ განსხვავდება იმ სარგებლობისგან, რომელიც მონებს მოაქვთ: ერთნიც და მეორენიც თავისი ფიზიკური ძალ-ღონით ჩვენ დახმარებას გვიწევენ ჩვენ არსებით მოთხოვნილება-საჭიროებათა დაკმაყოფილებაში. ბუნებამ ისე მოაწყო, რომ თავისუფალ ადამიანთა ფიზიკური ორგანიზაციაც კი განიორჩევა მონათა ფიზიკურ ორგანიზაციისგან; უკანასკნელებს სხეული აქვთ ძლიერი. ღონიერი, გამოსადეგი აუცილებელ ფიზიკურ შრომათა შესასრულებლად. გასაწევად. თავისუფალ ადამიანებს კი თავი სწორედ უქერიან და არ შესწევთ უნარი მსგავსი სამუშაოს შესრულებისა; სამაგიეროდ ისინი გამოსადეგნი არიან პოლიტიკური ცხოვრებისათვის...“ ჩვენ ვხედავთ აქ მწყობრად აგებულ თეორიას, რომელიც იმაზე დაფუძნებული, რომ არის ხალხი, „ბუნებითვე“ წინდაწინ განკუთვნილი მონობისათვის. ასეთ ხალხს წარმოადგენენ ყველა ბარბაროსები, ე. ი. არა-ბერძენები. ბერძენები კი „ბუნებითვე“ მოწოდებულნი არიან ბატონობისთვის.

ენგელსი აღნიშნავდა, რომ „ბერძნულ ფილოსოფიის მრავალსახოვან ფორმებში, როგორც ჩინასახი, როგორც ახლად გაჩენილი-რამ, მოცემულია მსოფლმხედველობის თითქმის ყველა გვიანდელი ტიპი“ (К. Маркс и Ф. Энгельс, соф. т. XIV, стр. 340), და, როცა ჩვენ თვალი გავადევნეთ და გადავავლოთ ანტიკური ფილოსოფიის ისტორიას, მისი განვითარების ყველა ეტაპებზე ვნახეთ იგივე ბრძოლა მსოფლმხედველობებისა, იგივე ბრძოლა პარტიებისა ფილოსოფიაში, ბრძოლა მატერიალიზმისა იდეალიზმთან, რომლითაც აღბეჭდილია ფილოსოფიის მთელი მომდევნო ისტორიაც კლასობრივ საზოგადოებაში.

მატერიალიზმი, რომელიც ანტიკურ ეპოქაში ყალიბდებოდა, წარმოადგენდა, როგორც ყოველთვის. პროგრესიული კლასის ან კლასის პროგრესიულ ფენათა რევოლუციონურ მსოფლმხედველობას და, წარმოადგენდა რა ამასთანავე დასასკეს მისი თანამედროვე მეცნიერებისას, მთლად გამსკვალული იყო მებრძოლი ათეიზმი.

იდეალიზმი კი წარმოადგენდა დრომოკმეული, რეაქციული კლასის ჯგუფთა ბრძოლის დროშას, და მან ძველს საბერძნეთში თავის უღარეს განვითარებას მიაღწია მონათმფლობელური საზოგადოების რღვევა-დაშლის დროს და იგი გვევლინება როგორც რელიგიის თეორიული დასაბუთება.

ამით ვათავებთ ანტიკური ფილოსოფიისა და კლასიკური პერიოდის მეცნიერების ჩვენს მოკლე მიმოხილვას.

გადავიდეთ ახლა იდეოლოგიის იმ დარგზე, სადაც ბერძნებს მგონი იმაზე ნაკლები არ გაუკეთებიათ, რაც ფილოსოფიაში: გადავიდეთ ხელოვნებაზე.

დავიწყოთ თეატრიდან. თეატრი ძველს საბერძნეთში არაჩვეულებრივად დიდ საზოგადოებრივ როლს თამაშობდა. თავდაპირველად იგი დაკავშირებული იყო სარწმუნოებასთან, მერე კი, როცა ეს კავშირი მარტო ფორმალური-და არსებობდა. თეატრი გადაიქცა ქალაქ-სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად.

ბერძნებმა შექმნეს თეატრალური სანახაობის ძირითადი ფორმები: დრამა (ტრაგედია) და კომედია.

ტრაგედიას და კომედიას ძირი ერთი აქვთ. ანტიკური თეატრის ასეთ ძირს წარმოადგენდა მეღვინეობის ღმერთის დიონისეს კულტი.

ეს კულტი საბერძნეთში პირველად შემოტანილ იქმნა თრაკიიდან. ალბათ VIII-VII საუკუნეებში. თავდაპირველად ის, როგორც ჩანს, არ ყოფილა უშუალოდ დაკავშირებული მეღვინეობასთან. თავისი პირვანდელი ფორმით დიონისეს კულტი იყო მხოლოდ და მარტო მიწათმოქმედებითი მაგიის განსაკუთრებული ფორმა, რომლის მიზანს შეადგენდა დედამიწის ნაყოფიერებაზე ზეგავლენის მოხდენა. დიონისეს კულტში უდადეს როლს თამაშობდა ევრეთსოდებული სქესობრივი მაგია. და ამიტომ მას ჰქონდა ექსტაზის ანუ ალტყინების ხასიათი. დაკავშირებული სქესობრივ თავაშვებულობასთან.

დიონისეს კულტის საბერძნეთში გავრცელების შემდეგ მას შერჩა ექსტაზური ხასიათი; როგორც ჩანს, ჯერ თრაკიაშივე. მერე კი საბერძნეთშიაც იგი მეღვინეობას უკავშირდება; ეს კავშირი საკესებით ბუნებრივი იყო. იმიტომ რომ ღვინო და მისით დათრება ადვილად ეწყობა ექსტაზურ ალტყინებას. VIII-VII საუკუნეებში დიონისეს კულტი საბერძნეთში არაჩვეულებრივ იყო პოპულარული, განსაკუთრებით გლეხობაში.

როცა ჩვენ ვილაპარაკებთ სარწმუნოებაზე. შევიჩრდებით ბერძნული რელიგიის ორ ძირითად ფორმაზე: გაბატონებული მდიდარი ზედაფენის რელიგიაზე და დაბალი ფენების, უმთავრესად გლეხობის. კულტებზე. დიონისეს კულტი, ელევსინის მისტერიებთან ერთად, თავდაპირველად იყო სწორედ ასეთი სამიწათმოქმედო, ქვედა ფენებისთვის განკუთვნილი და ერთგვარად „მწეა-

ღებულნი“ კულტი. მაგრამ ამ საკმაოდ ანარქულმა კულტმა ჩქარა აიყოლია და სულ იგდო კიდევ გაბატონებული ჯგუფები. მოხდა მისი დაკანონება, ლეგალიზაცია, დიონისე შეიყვანეს ოლიმპიელი ღმერთების წრეში და იგი გამოაცხადეს ზევსისა და მოკვდავ ქალის სემელას შვილად. ამრიგად, დიონისე, შეუერთეს ოლიმპიელთა დასს და ჩარიცხეს ოფიციალურ ბერძნულ პანთეონში. თითონ კულტსაც აგრეთვე ერთგვარი ზღუდე დაუდეს და ლაგამი ამოსდეს: დიონისესეული ორგანიზაციის ორგანიზაცია მარტო ერთი ადგილით, პარნასის მონადირეობით და ოლქით შემოიფარგლა და მის მოწიკობის ნებას იძლეოდნენ ორ წელიწადში ერთხელ მარტო.

დიონისეს კულტის ეს „გასახელმწიფოებრივობა“ ათენში დაამთავრა პისისტრატემ. როცა დიონისეს კულტი პისისტრატეს შემოჰქონდა ოფიციალურ რელიგიაში სახმარებლად, ის ამით ორ მიზანს აღწევდა: ერთი მხრით, ის ამას ჩადიოდა გლეხობის ინტერესებით აღძრული და გლეხურ კულტს ოფიციალურ კულტად ხდიდა. ხოლო მეორე მხრით ის ზღუდავდა და აწესრიგებდა მასობრივ გლეხურ მოძრაობას. რომელიც ამ კულტში გამოვლინდებოდა სოლმე.

ბერძნული თეატრი წარმოიქმნა დიონისეს კულტთან დაკავშირებით. კულტის ექსტაზური ხასიათი (ხოლო ეს ექსტაზური ხასიათი შერჩა კულტს რამოდენიმედ იმის მერეც, რაც მას სახელმწიფოებრივი ხასიათი მიეცა) გამოიხატებოდა იმაში, რომ მის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდნენ ალტყინებული „ორგები“, ამ დროს მოცეკვავეები, ბობღისა და ფლეტის გამაყრუებელი ხმების წყალობით და ციბრუტცივით ტრიალის გამო, ცეკვით რომ იყო გამოწვეული, უკიდურეს ექსტაზამდე, ალტყინების მდგომარეობამდე მიდიოდნენ. ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელი იყო სხვადასხვა რელიგიურ-მისტიკურ „მოვლენათა“ გაჩენისათვის. სწორედ ასეთ საკულტო მოქმედებებთან განჩნდა თეატრი.

არისტოტელი „პოეტიკაში“ ამბობს: „ტრაგედიათა თავისი დასაბაში მიიღო დითირამბის გამყივანებისგან. პირველის მოქმელთაგან“. „დითირამბა“ პიმნია დიონისეს სადიდებლად. ამ პიმნს მღეროდა გუნდი, რომელიც წარმოსახავდა დიონისეს თანამგზავრებს პირველის მოქმელის ანუ გამყივანის ნეტაურობით, ექსტაზის მდგომარეობაში რომ იმყოფებოდნენ.

დითირამბებში მონათხრობია მითები დიონისეს სხვადასხვა თავგადასავალზე. მის სახელთან დაკავშირებული იყო მდიდარ მითების მთელი ციკლი, რომელნიც მოგვითხრობენ იმას, თუ როგორ დაიპყრო თავისი ძლევამოსილი მსვლელობის დროს დიონისემ მთელი მსოფლიო. რადგან თითონ მთელ ხოროს მდგომარეობას და მთელ გარემოს ექსტაზური ხასიათი ჰქონდა, ამიტომ ბუნებრივიც იყო, რომ საკმე მარტო დიონისეს თავგადასავლის დამშვიდებული მონათხრობით არ იფარგლებოდა: მონათხრობს ეძლეოდა დრამატიზირებული ფორმა, პიროვნებათა და მოქმედებათა წარმოსახვის ფორმა. ასეთი იყო ბერძნული თეატრის დასაწყისი.

სიტყვა „ტრაგედია“ ბერძნულად ნიშნავს „თხების სიმღერას“ („ტრაგოს“ — თხა, „ოდე“ — სიმღერა). ასეთი სახელწოდება ტრაგედიათა იმიტომ მო-

იღო, რომ, მითის თანახმად, დიონისეს თანამგზავრები იყვნენ სატირები, ე. ი. ნახევრად ადამიანები და ნახევრად თხები, ტყის დაბალი ღვთაებანი. მისტერიების დროს ხოროს მონაწილეები ჩაცმულნი იყვნენ სატირების კოსტიუმებში, ე. ი. ღებები მათ თხის ტყავით ჰქონდათ შემოხვეული. აი აქედან წარმოსდგა სახელწოდება „თხების სიმღერა“, ტრაგედია.

უნდა აღინიშნოს, რომ დიონისეს მისტერიათა სარწმუნოებრივ ხასიათის შესაბამისად მის შესახებ მითის დრამატიზაციას ჰქონდა აღზევებული, სერიოზული ხასიათი, რამაც სათანადო დაღი დასვა აქედან გაჩენილ ტრაგედიასაც.

მაგრამ ამასთანავე ერთად შეღიწიების ზოგიერთ დღესასწაულს, მაგალითად, მაკრის ქაშნიკის გასინჯვის დღესასწაულს, რომელიც ბუნებრივად დაკავშირებული იყო დათრობასა და ღრეობასთან, სულ სხვა ხასიათი უნდა მიეცა მთელი ზეიმისათვის. აღმალლებულ „ტრაგიკულ“ პროცესიებთან და დიონისეს მისტერიებთან ერთად ალბათ არსებობდა სახუმარო, მხიარული პროცესიებიც: მათი მონაწილეები, სუროთი ან. ვაზით შემკულნი, შექეფიანებულები მხიარულად და მასხარაობით დაიარებოდნენ სოფელ-სოფელ, დაბა-დაბა, ქალაქებშიაც კი ჩადიოდნენ ხოლმე.

გარდა ამისა ბერძნულ ქალაქებში ძველითგანვე არსებობდა უხეში სახალხო ფორსი — „მიმი“. ეს იყო ხეპრული, ქუჩური პატარ-პატარა სცენები, ჭუჭური ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით (მათ წარმოადგენდნენ სოლმე ქუჩებსა და მოედნებზე), რომელთაც გაითამაშებდნენ ხოლმე შენიღბულები. მათი სიუჟეტი ამოღებული იყო ან რეალური ცხოვრებიდან ან კიდევ ბერძნულ ეპოსიდან, ამასთანავე ამ ეპოსს კარიკატურულ კილოს აძლევდნენ. მიმის ასეთი ენრი (როგორც ჩანს ათენში) გაერთიანდა დიონისეს დღესასწაულთა მხიარულ, მასხრულ პროცესიებთან და მათი შეერთებით წარმოიქმნა ერთი თეატრალური სანახაობა. დაიწყო მისი შეფარდება სოფლის ანუ მცირე დიონისიების საზამთრო დღესასწაულებთან და ლენეას ზამთრისავე უქმეებთან და მიიღო „კომედიას“ სახელწოდება (სიტყვა „კომოს“-ისგან, რაც ნიშნავს მხიარულ ბრბოს, მხიარულ პროცესიას და „ოდე“-სგან რაც ნიშნავს სიმღერას).

თუ ტრაგედიაში ასახულია დიონისეს მისტერიათა ექსტაზური, აღმალებული ხასიათი, სამაგიეროდ კომედიაში, იმის წყალობით, რომ იგი გაერთიანდა „მიმთან“ და აგრეთვე იმის გამო, რომ მასში ასახულია თითონ დღესასწაულის სულ სხვა მომენტი, სხვა საწარმოო მომენტი, შინაარსს მიეცა მასხრული, სასაცილოდ აგდების ხასიათი. ასე წარმოიშვა ტრაგედია და კომედია, როგორც თეატრალური სანახაობის ორი ფორმა, იმ სანახაობისა, რომელიც შემდეგში მოსწყდა უშუალო რელიგიურ მოქმედებას და ჩამოსცილდა მას. ტრაგედიამ თავისი დამოუკიდებელი სახე მიიღო პირველად ათენში VI ს. მეორე ნახევარში. კომედიის ლიტერატურული დამუშავება მოხდა უფრო გვიან და ემთხვევა უკვე V საუკუნეს.

ბერძნული თეატრის დამაარსებელი იყო თესპიდე, მთელი რიგი ტრაგედიების ავტორი. რომელთაგან ჩვენამდე არაფერს არ მოუღწევია, სახელწოდებითა გარდა. მათი მიხედვით თუ ვიშჯელებთ, თესპიდე თავის სიუჟეტებს იღებდა ბერძნულ საგმირო თქმულებათა დარგიდან.

რევოლუცია, რომელიც თესპიდემ მოახდინა, იმაში მდგომარეობდა, რომ მან მსახიობი გააჩინა თეატრში. ამრიგად, პირველის მთქმელთან ანუ მომყვანთან ერთად სამოქმედოდ შეყვანილია კიდევ ერთი პირი. ამ ახალმა საქმემ, ახლად შემოღებულმა ელემენტმა უდიდესი შესაძლებლობანი შექმნა დრამის შემდგომი განვითარებისათვის, იმიტომ რომ ორი მომქმედი პირისა და ხორის მონაწილეობამ შესაძლებელი გახდა ტრაგედიაში დიალოგის შეტანა.

VI საუკუნეში თეატრი, როგორც სტაციონარული მოედანი, ჯერ კიდევ არ იყო. სანახაობანი ეწყობოდა მოედნებზე და არავითარი მუდმივი ნაგებობანი არ ყოფილა. რადგანაც მსახიობი ერთი იყო, ამიტომ სხვადასხვა პირის წარმოდგენის დროს მას გადაცმა უხდებოდა. ამ მიზნისთვის იყენებდნენ კარავს (ბერძნულად „სკენე“-ს — აქედან წარმოსდგა ჩვენი სიტყვა „სცენა“), რომელიც იყო მოწყობილი მოედანზე უკანა მხარეს, სადაც იდგა ხორი (ამ პატარა მოედანს ეწოდებოდა „ორხესტრა“, საცეკვაო ადგილი, საიდანაც წარმომდგარა სიტყვა „ორკესტრი“).

ტრაგედიის განვითარებაში შემდგომი ნაბიჯი გადადგა მწერალმა ფრინიხმა. რომელიც ცხოვრობდა VI ს. ბოლოს და V ს. დასაწყისში. მან თავის ტრაგედიებისთვის სიუჟეტების აღება დაიწყო ნამდვილ ცხოვრებიდან. ჩვენ ვიცნობთ მის ორ ტრაგედიას: „მილეტის აღება“, რომელიც ეხება ირანელების მიერ 494 წ. მილეტის დანგრევა-აქლებას და „ფინიკიელი ქალები“; სადაც ლაპარაკი იყო სალამინის ბრძოლაზე.

ფრინიხის დროს ტრაგიკული მსახიობი უკვე ხმარობდა ნიღაბს. რატომ იყო ეს საჭირო. ამაზე ქვემოთ იქნება თქმული, როცა წარმოვადგენთ ბერძნული თეატრის ორგანიზაციის მიმოხილვას.

როგორც ჩანს, ფრინიხმა ქალის როლებიც შემოიღო. ამ როლებს ასრულებდა სულ იგივე ერთად-ერთი მსახიობი — მამაკაცი.

საბერძნეთის დიდმა ტრაგიკოსმა ესქილემ შემოიღო მეორე მსახიობიც. რამაც უფრო გაზარდა ტრაგედიის შესაძლებლობანი. მანვე, როგორც ჩანს, საბოლოოდ გააუმჯობესა ნიღბები, მისცა მათ უფრო მეტი გამომეტყველება. და მსახიობებისთვის შემოიღო კოთურნები, ე. ი. მაღალქუსლა და მაღალძირა ფეხსაცმელები. რადგანაც ბერძნული თეატრის სივრცე დიდი იყო, საჭირო გახდა მსახიობის სიმაღლის მომატებაც.

ესქილემ დაიწყო უმარტივესი, მეტად უბრალო დეკორაციებისა და აგრეთვე ზოგიერთი პრიმიტიული თეატრალური „მანქანის“ ხმარება, მაგალითად, შემოიღო ისეთი მოწყობილობა, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა ქება-ქუხრილი წარმოედგინათ, ან ღმერთი გაჩენილიყო ერთბაშად საიდანაც ზევიდან ან კიდევ გმირი მიწის ქვეშ ჩამძვრალიყო.

მეორე დიდმა ტრაგიკოსმა — სოფოკლემ — შემოიღო მესამე მსახიობი და დაიწყო დეკორაციების სისტემატურად ხმარება. ამით გათავდა ბერძნული თეატრის ტექნიკური განვითარება. სამ მსახიობზე იქით ანტიკური დრამა აღარ წასულა. ყველა როლებს ასრულებდა ეს სამი მსახიობი, რომელნიც საჭირო შემთხვევებში ტანისამოსს იცვლიდნენ სცენის უკან. ამრიგად, სცენაზე ერთდროულად არ შეიძლებოდა სამ მომქმედ პირზე მეტი ყოფილიყო.

სანამ ტრაგედიისა და კომედიის, როგორც გარკვეული ჟანრების, დახასიათებაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე სიტყვას ვიტყვი თეატრის მოწყობილობაზე.

ბერძნული თეატრი არ ჰგავდა თანამედროვე თეატრს. იგი წარმოადგენდა უშველებელ ამფითეატრს, ღია ცის ქვეშ მოწყობილს. დიონისეს თეატრი ათენში, რომელიც აგებული იქმნა V ს. დასაწყისში, მდებარეობდა აკროპოლისის სამხრეთ კალთაზე. მასში თავსდებოდა დაახლოებით 30 ათასამდე მაყურებელი. საბურავი იმ ადგილების თავზე, რომელნიც მაყურებელთათვის იყო განკუთვნილი, არ ყოფილა და მარტო თითონ სცენის თავზე ალბათ იქნებოდა სახელდახელო რამე გადახურული.

დაბლა, ამფითეატრის ცენტრში, იყო რგვალი პატარა მოედანი, სადაც იდგა დიონისეს სამსხვერპლო.

იქ, სადაც ახლა მოთავსებულია ორკესტრი, იყო ფიცარნაგი (ორხესტრა). აქ ზედ იდგა ხორო, რომელიც წარმოადგენდა ბერძნულ სასცენო მოქმედების უშუალოდ ელემენტს.

ხორო შესდგებოდა 12-20 კაცისგან, ესენი ჩაცმულნი იყვნენ განსაკუთრებულ კოსტიუმებში და წარმოადგენდნენ იდეალურ მაყურებლის მსგავს რაღაცას. ხორო გამოდიოდა როგორც კოლექტივი. გამოსთქვამდა გარკვეულ დამოკიდებულება-განწყობილებას იმისადმი, რაც სცენაზე ხდებოდა, ჰკიცხავდა, ჰკილაუდა, ერეოდა მოქმედების მსვლელობაში და ა. შ. ხორო თავის სიტყვებს წარმოსთქვამდა მღერით, უნისონით, ფლეიტაზე აყოლებით.

ორხესტრას იქით მდებარეობდა თეატრის ის ნაწილი, სადაც მსახიობები გამოდიოდნენ (სცენა) და რომელიც ორხესტრასთან შეერთებული იყო რამდენიმე საფეხურით. იგი იყოფოდა მთელ რიგ სექტორებად, რომელთაც განსაკუთრებული სახელები ჰქონდათ. სცენის უკანა ნაწილი წარმოადგენდა სასახლეს თავის კრებით, საიდანაც გამოდიოდნენ მსახიობები. აქვე იდგმებოდა დეკორაციები.

მიმიკას, რომელიც თანამედროვე თეატრში უდიდეს როლს თამაშობს. ბერძნულ თეატრში არ შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა: სულ ერთია შეუძლებელი იყო გარჩევა. ამიტომ საჭირო იყო რომელიღაც პირობითი სასცენო პირის შექმნა. ეს პირობითი პირი წარმოიქმნებოდა მის ტრაგიკული ან კომიკური ნიღაბის საშუალებით.

უმთავრესი შთაბეჭდილება, მთავარი ეფექტი წარმოიქმნებოდა მსახიობის ხმის წყალობით; მსახიობი, მეტადრე ტრაგედიაში. თავის სიტყვებს ავაჯით, გაგრძელებით წარმოსთქვამდა. ეს შეესაბამებოდა ტრაგედიის მაღალ ჟანრს და აგრეთვე ბერძნული თეატრის უშველებელ სივრცეს. ნიღაბი. როგორც რეზონატორი, უფრო აძლიერებდა ხმას. მსახიობის სიმალლეს ზრდიდა, როგორც დავინახეთ, მაღალქუსლა ფეხსაცმელი, კოთურნები.

ახლა გადავიდეთ ტრაგედიის დახასიათებაზე.

ბერძნული ტრაგედიის უფრო დიდ და თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ V ს. სამი ტრაგიკოსი — ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე.

ესქილე წარმოშობით იყო ელევსინიდან და ცხოვრობდა 525 და 457 წლებს შუა. მან 80-მდე ნაწარმოები დასწერა, ამათში ჩვენამდე მოვიდა მარტო 7 ტრაგედია: „აგამემნონი“, „სოეფორები“, „ირანელები“, „ევმენიდები“, „მთხოვნელი ქალები“, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ და „მიჯაჭვეული პრომეთე“. ესქილე ტრაგედიებს წერდა და დგამდა ტრილოგიის პრინციპის მიხედვით, ე. ი. სამ პიესას აერთიანებდა საერთო შინაარსით. ეს პრინციპი იმით აიხსნება, რომ ესქილეს ლიტერატურულ-სასცენო ტექნიკას ჯერ კიდევ ვერ დაეძლია მოქმედების განვითარება. ესქილეს ტრაგედიები არსებითად იძლევიან ცალკე სცენებს. ამიტომ, როცა სჭირდებოდა რაიმე სიუჟეტის წარმოდგენა, მას სიუჟეტი უნდა გაეშალა რამდენიმე ტრაგედიაში; რომ მიეღო ამბავთა მწყობრი და მთლიანი სურათი. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ანტიკური დრამა ცდილობდა მას ერთი სიუჟეტი ჰქონოდა, და მოქმედება გათამაშებულიყო ერთ დღეს (და ერთ ადგილას (ადგილის, დროისა და მოქმედების მთლიანობა-ერთიანობა)). ეს პრინციპი ხელს უშლიდა მოქმედების დინამიკას. ტრაგედიის ჯგუფ-ჯგუფად დადგმის პრინციპი კიდევ იმით აიხსნებოდა, რომ ათენში წარმოდგენები იმართებოდა ყოველდღე კი არა, არამედ რამდენჯერმე წელიწადში, დიონისეს დღე-სასწაულ-უქმებში.

ჩვეულებრივად საში ტრაგედიისგან შემდგარ ტრილოგიას ზედ მიჰყვებოდა ეგრეთწოდებული „სატირიკული დრამა“. ეს იყო ტრაგედიის მხიარული პაროდია და მას იგივე ავტორი სწერდა, რომელიც ტრილოგიისაც იყო. ამგვარად. ესქილეს დადგმები, სასტიკად და ზუსტად რომ ვთქვათ, ტეტრალიგიას წარმოადგენდნენ.

ესქილეს შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ტრილოგია „ორესტეა“, რომელიც სამ ტრაგედიას შეიცავს: „აგამემნონი“, „სოეფორები“ და „ევმენიდები“. ამ ტრილოგიის სიუჟეტი შემდეგია. მეფე ატრევსის გვარს მძიმე დანაშაულობანი აქვს ჩადენილი. თითონ ატრევსმა, რომელიც თავის ძმა თიესტეზე შურს იძიებდა მისი ცოლის შეცდენისათვის, მას აქამა ღვიძლი შვილების ხორცი. ატრევსის შვილი — აგამემნონი ბერძნების წინამძღოლია ტროას ომის დროს. როცა ის ტროასთან იბრძოდა, მისმა ცოლმა კლიტემნესტრამ დანაშაულობითი კავშირი დაიჭირა თიესტეს შვილ ეგისტესთან. როცა აგამემნონი სახლში დაბრუნდა ტროას ლაშქრობიდან, იგი მოჰკლეს მისმა ცოლმა და ცოლის საყვარელმა. ორესტი, აგამემნონის შვილი, მამის მოკვლისათვის შურს იძიებს და ჰკლავს თავის დედას კლიტემნესტრას. ამ მძიმე დანაშაულისათვის ევმენიდები, ე. ი. შურისძიების ქალღმერთები, სდევნიან ორესტს, შაგრამ აპოლონი და ათენა მას მხარს აძლევენ და მას გაამართლებენ სპეციალურად ამისთვის დაარსებულ არეოპაგის სხდომაზე.

თავისი მსოფლმხედველობით ესქილე ეკუთვნოდა არისტიდეს ტიპის ზომიერ კონსერვატორთა წრეს, რომელსაც იგი დიდი სიმპათიით ეკიდებოდა. ის არეოპაგის მომხრე იყო და ტყუილადაც არ იყო მის „ევმენიდებში“ არეოპაგი გამოყვანილი არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან და საპატიო როლში. ესქილე „ევმენიდებს“ მაშინ წერდა, როცა უკვე თავდასხმა და იერიშების მიტანა დაიწ-

ყოფიანის ძველ წარჩინებულთა ამ ორგანოზე. და ესქილემაც თავის პოლიტიკურ ვალად შერაცხა მის დასაცავად გამოსვლა. ესქილეს მსოფლმხედველება საკმაოდ პრიმიტიულია. ასე, ტრილოგია „ორესტეა“ აგებულია ჩაღვანელ დახამაშებისათვის სანაცვლოს მიზლის პრინციპზე. ესქილე ძველი ტრადიციებისა და ცხოვრების ძველი წყობის მომხრე იყო. მაგრამ ამასთანავე ერთად იგი იყო ინდივიდუალისტური მორალის პირველი მოციქული, იმ ინდივიდუალიზმის პირველი მახარობელი, რომელიც რამოდენიმედ ამაზე უფრო გვიან მკვეთრად გაიფურჩქნა ბერძნულ ხელოვნებაში.

ესქილეს ჰქონდა მეორე ტრილოგია, რომლის ორი მესამედა, საწყუსხარია. დაკარგულია. ესაა „პრომეთე“. იგი სამი ნაწილისაგან შესდგებაოდა: „პრომეთე ცეცხლოვანი“. „მიჯაჭული პრომეთე“ და „განთავისუფლებული პრომეთე“. ჩვენამდე მოაღწია მარტო მეორე ნაწილმა. „მიჯაჭულმა პრომეთემ“, ხოლო დანარჩენი ორი თითქმის მთლიანად დაკარგულია. ტრილოგია „პრომეთე“ აგებულია იმ ნახევრად ღმერთის შესახებ მითზე, რომელმაც ადამიანებს ააწვავა ცეცხლის ხმარება ასწავლა და ამრიგად შეიქმნა საკაცობრიო კულტურის დამაარსებელი. ამის გამო ზევსი ადამიანების მიმართ შურით აღობრა. რაკი მათ ცეცხლის ხმარება ისწავლეს და ამრიგად ღმერთების თანატოლნი შეიქმნენ. და პრომეთე კლდეზე მიაჯაჭვა.

მეორე ნაწილი წარმოგვიდგენს მიჯაჭულ პრომეთეს. პრომეთე გამოდის როგორც ადამიანის ნების მატარებელი. როგორც აშკარა ინდივიდუალიზმის წარმომადგენელი, გამოდის ღვთაების წინააღმდეგ, ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. პრომეთეს სახე ესაა ამბოხებული ინდივიდუალისტის ერთ-ერთი უაღრესად მკვეთრი გამოხატულება მთელს მსოფლიო ლიტერატურაში.

ტრილოგიის მესამე ნაწილში პრომეთე განთავისუფლებულ იქმნა პერაკლეს მიერ.

თუ ესქილე ჯერ ისევ ორი ეპოქის მიჯნაზე იდგა, რითაც აიხსნება მისი შემოქმედების ორმაგობა, სამაგიეროდ ძველი საბერძნეთის მეორე დიდი ტრაგიკოსის, სოფოკლეს მოღვაწეობაში გაცილებით უფრო მეტ შინაგან მთლიანობას ვხედავთ.

სოფოკლეს (495-405 წლები) შემოქმედება ემთხვევა აიენის აყვავება-გაფურჩქვნის ხანას. თავისი პოლიტიკური შეხედულებით იგი ეკუთვნოდა დემოკრატიის ზომიერ ფრთას და პერიკლეს სიმპათიას უცხადებდა. მას დაწერილი აქვს 120-მდე პიესა, რომელთაგან სრულად შენახულია მარტო „მედი ტრაგედია: „ანტიგონე“, „ტრაქინელი ქალები“, „აიანტი“, „ოიდიპოს მეფე“, „ელექტრა“, „ფილოკტეტე“ და „ოიდიპოსი კოლონიში“.

სოფოკლეს შემოქმედება წარმოადგენს ანტიკური ტრაგედიის, როგორც ასეთის, განვითარების უმაღლეს წერტილს.

სასცენო ტექნიკისა და საკომპოზიციო გაუმჯობესებამ და სრულყოფამ სოფოკლეს შეაძლებინა ხელი აეღო დაკავშირებულ ანუ გადაბმულ ტრილოგიათა პრინციპზე. თუმცა სოფოკლე ტრადიციით ისევ განაგრძობდა ტრილოგიების წერას, მაგრამ ისინი შინაარსით გაცილებით უფრო ნაკლებად არიან და-

კავშირებულ-გადაბმულნი. ვიდრე ესქილეს შემოქმედებაში ვხედავთ ამას, და მათი ცალკეული ნაწილები ხანდახან იწერებოდა და სცენაზე იდგმებოდა სხვა-დასხვა დროს.

სოფოკლეს შემოქმედებისთვის დამახასიათებელი და ნიშნობლივი ისაა, რომ ინდივიდუალიზმი შეერთებულია პოლისის კოლექტიურ ფსიქოლოგიის ელემენტთან.

ესქილეს ემჩნევა, რომ მასში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ძველი ტრადიციები. სისხლის აღების პრობლემა, სანაცვლოს მიზლის იდეა, წინაპართა ცოდვებისათვის წყევლა-კრულვა, რაც წითელი ზოლივით გატარებულია და გასდევს ესქილეს მთელ შემოქმედებას, სოფოკლეს შემოქმედებაში უკანა რიგში დგას.

სამაგიეროდ ის ელემენტები, რომელიც ესქილეს მარტო ჩანასახივით აქვს მოცემული, მაგალითად: ინდივიდუალიზმი, სოფოკლეს შემოქმედებაში სრულ ასახვას პოულობენ.

სოფოკლეს შემოქმედებაში პირველად სრულიად მკაფიოდ, გარკვეულად გამოსჩანს ის იდეა, რომელიც უფრო ტიპური ბერძნული ტრაგედიისთვის. ესაა ბედისწერის იდეა. ბერძნების წარმოდგენაში იგი ძალიან ადრე იჩენს თავს. მისი ჩანასახები არაა პომეროსის ებოსში. ბედისწერის კონცეფცია უფრო ცხადად ჩანს ესქილეს შემოქმედებაში. „პრომეთეში“ ის ამბობს, რომ თითონ ღმერთები, ზევსიც კი, ბედისწერის მოქმედებას ექვემდებარებიანო. მაგრამ სოფოკლემდე ეს მომენტი ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად გამოცალკევებული სარწმუნოებრივ წარმოდგენათა წყებიდან.

იმის დასახასიათებლად, თუ როგორ აქვს სოფოკლეს გამოხატული ბედისწერის იდეა, გავარჩიოთ მისი უფრო ტიპური ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“.

თებეს მეფეს ლაოსსა და მის მეუღლეს იოკასტეს ორაკულმა უწინასწარმეტყველა, რომ მათი შვილი მოჰკლავს მამას და ცოლად შეირთავს თავის დედას. რომ ეს ბედისწერა თავიდან აეშორებინა, ლაოსმა ბრძანა მისი ახლად დაბადებული ვაჟიშვილი მოეკლათ. მაგრამ მონას, რომელსაც მიეცა დავალება ბავშვი დაეგდო სადმე უდაბურ ადგილას, შეებრალა იგი და გადასცა კორინთელ მწყემსს. ამ უკანასკნელმა ეს მიგდებული ბავშვი მიჰგვარა კორინთოს უძეო მეფეს პოლიბეს. ოიდიპოსის სახელით ეს ბიჭი გაიზარდა სასახლეში, როგორც მეფის შვილი.

მაგრამ ერთხელ როგორღაც ლხინის დროს ერთ-ერთმა სტუმარმა, რომელიც ოიდიპოსზე განრისხდა, მას ნატყუარი შვილი“ უწოდა. ამ სიტყვებით აღუღებელი და პოლიბეს განმარტება-პასუხით დაუკმაყოფილებელი ოიდიპოსი მიემგზავრება დელფოს ორაკულთან, რომ მართალი შეიტყოს თავის მშობლების შესახებ. ორაკული იძიებებს თავის წინანდელ წინასწარმეტყველებას, რომ ის მოჰკლავს თავის მამას და ცოლად საკუთარ, ღვიძლ დედას შეირთავს. ოიდიპოსმა იფიქრა, რომ ეს თქმული ენებოდა კორინთოს მეფეს, რომელსაც იგი თავის მამად თვლიდა, გარბის კორინთოდან და მიდის სამოგზაუროდ. ერთხელ გზა-ჯვარედინზე თებეს ახლოს ის შეხვდება უცნობ ადამიანს, რომელსაც გარს

ამალა ჰყავს შემობზეული. შემთხვევითი ჩხუბის დროს ოიდიპოსი ჰკლავს მას და ყველა მის თანამგზავს ერთი მონის გარდა, რომელმაც გაქცევა მოახერხა. მოკლული იყო მისი მამა ლაოსი — თებეს მეფე. ამრიგად ნაწინასწარმეტყველების პირველი ნახევარი შესრულდა.

ამის შემდეგ ოიდიპოსი მივიდა თებეში, რომლის მოსახლეობა იმ დროს ბევრს იტანჯებოდა საშინელება-სფინქსისგან. სფინქსი იჯდა კლდეზე თებეს ახლოს და ყველა მგზავს ამოცანას აძლევდა („ვინაა, რომ დილით ოთხ ფეხზე დაიარება, დღისით ორზე, ხოლო საღამოთი სამზე“), რომლის ამოცნობა არავის არ შეეძლო და მათ ნოქამდა.

ოიდიპოსმა სფინქსის ამოცანა ამოხსნა და საშინელი ქმნილება კლდეზე გადაეარდა და დაიღუპა.

მადლიერი თებელები ოიდიპოსს სთავაზობენ სამეფო ტახტს და ცოლად იოკასტეს, იმ ლაოსის ქვრივს, რომელიც დაიღუპა, როგორც ფიქრობდნენ თებელები. ყაჩაღებისგან. ოიდიპოსი იკავებს მამის სამეფო ტახტს და ცოლად ირთავს დედას. ასე შესრულდა წინასწარმეტყველების მეორე ნახევარიც.

გადის მრავალი წელი და აპოლონი თებეს მოუვლენს კირს. მოსახლეობა წყდება და აი სწორედ მაშინ გამოძვლავნდება, რომ მომსერელი სენი თებეს მოველინა სასჯელად მათი მეფის ოიდიპოსის მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის. ოიდიპოსი შეიტყობს, რაც მოიმოქმედა; სასოწარკვეთილი დაითხრის თვალებს და მიდის ნებაყოფლობით ექსორიაში, ვით გაძევებული. მისი ცოლი და დედა იოკასტე კი თავს იკლავს.

ასეთია ტრაგედიის შინაარსი. მართალია, უფრო გვიან. შემდეგში, ტრაგედიაში „ოიდიპოსი კოლონი“; სოფოკლემ ნაწილობრივად შეარბილა ის საშინელება, რომელიც უხვად არის მოცემული „ოიდიპოს მეფეში“: ოიდიპოსს საშუალება ეძლევა მოკვდეს მის მიერ სურვილის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულ ნაპატიები. მაგრამ ტრაგედია „ოიდიპოსი კოლონი“ გაცილებით უფრო გვიან იყო დაწერილი, ვიდრე „ოიდიპოს მეფე“. ეს უკანასკნელი პიესა მოფიქრებულ და შესრულებულ იქმნა როგორც სრულიად დამოუკიდებელი რამ.

„ოიდიპოს მეფის“ მაგალითზე შეიძლება კარგად გამოვაჯინოთ ანტიკური ტრაგედიის არსი. იგი იმაში მდგომარეობს, რომ კეთილშობილი და გამოჩენილი პიროვნება, რომელსაც არავითარი ბრალი არ მიუძღვის და სრულიად უდანაშაულოა, ბედისწერას შეეჯახება და იღუპება. ამაშია ტრაგიკულობის დედაარსი მის უაღრესად განვითარებულ ფორმაში.

ბევრი რამ დაწერილია იმ თემაზე. თუ როგორ ჩაისახა და განვითარდა ბედისწერის იდეა, რომელიც ანტიკურ მსოფლმხედველობაში ასე მკაფიოდ არის გამოვლენილი. თუმცა ამათუიმ სახით ბედისწერის იდეა ძველი აღმოსავლეთის მსოფლმხედველობაშიაც გვხვდება და ახალ დროშიაც. მაგრამ ასეთი კლასიკური ფორმით პიროვნებისა და ბედისწერის კოლიზია არსად არ გამოსჩანს ისე, როგორც ანტიკურ სამყაროში.

ბედისწერის იდეის სოციალური წანამძღვრების საკითხი ჯერ კიდევ არაა სავსებით გამორკვეული. როგორცა ჩანს, ეს კონცეფცია ვითარდება მონათმფლო-

ბელური საზოგადოების პირობებში, რომელიც ძალიან პრემიტიულია, დაფუძნებულია დაბალ ტექნიკურ ბაზისზე და რომელიც ამიტომაც უკვე მწვავედ გაძნობს თავის დამოკიდებულებას ბუნების სტიქიურ ძალებზე. მეორე მხრით, ანტიკური საზოგადოება მეტად არამყარი და მერყევი იყო სოციალურადაც: ომები, კლასობრივი ბრძოლის მწვავე ფორმები, კრიზისები — ყოველივე ეს წარმოშობდა ძლიერ და ბრმა საზოგადოებრივ ძალთა ხელში ადამიანის სისუსტისა და უმწეობის შეგნებას. ამას ზედ ერთვოდა ანტიკური ბაზრის გავლენაც; ეს ბაზარი მეტად ზერელე და მერყევი იყო და დამოკიდებული იყო პოლიტიკურ-კონიუნქტურის სულ უმნიშვნელო რხევაზედაც კი. ასე წარმოიქმნება იმ ბრმა ბედისწერის წარმოდგენა, რომელიც ღმერთებზედაც და ადამიანებზედაც მაღლა დგას.

საბერძნეთის მესამე დიდი ტრაგედი იყო ევრიპიდე, რომელიც ცხოვრობდა 480 და 406 წლებს შუა. იგი დაიბადა კუნძულ სალამინზე და, როგორც ჩანს, წერილ მესაკუთრის ოჯახის შვილი იყო.

ევრიპიდეს მიერ დაწერილ დრამების რიცხვი 90-მდე აღიოდა, მაგრამ ჩვენამდე გადაჩა მარტო 18. ამათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია: „მედეა“, „იპოლიტე“, ორი „იფიგენია“ („იფიგენია აელიდაში და „იფიგენია ტავრიდაში“), „ბახუსის ქურუმ-ქალები“ და სხვანი.

ევრიპიდე მოღვაწეობდა სოფისტური განათლების განვითარების ხანაში. იგი ძალიან იყო დაინტერესებული სოფისტების მაშინდელ ახალი იდეებით — ბუნებრივი უფლება-სამართლის იდეით, პიროვნების განთავისუფლების იდეით. შემთხვევითი როდია, რომ ევრიპიდეს მისი თანამედროვენი უწოდებენ „სცენის ფილოსოფოსს“. მართლაც, თავის დრამებში მას ძალიან უყვარს სხვადასხვა ფილოსოფიური პრობლემის დაყენება, მწვავე კოლიზიების შექმნა, აგრეთვე რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობის შექმნა, ამასთანავე დამახასიათებელია ის, რომ ამ მწვავე საკითხებზე პასუხს ევრიპიდე არ იძლევა, როგორც საერთოდ მიღებული იყო ყველა ქემპარიტი, ნამდვილი სოფისტისათვის. იგი უკიდურეს ინდივიდუალისტი და სკეპტიკოსია:

თუმცა ევრიპიდეს დრამებში ტრადიციით ისევ მოქმედებენ ღმერთები, გმირები და მისთანანი, მაგრამ მათი სახით გამოდიან ადამიანები, რომელნიც იტანჯებიან, ჯანყდებიან, ექვდებიან. სასოწარკვეთილებას ეძლევიან. ევრიპიდესთვის დამახასიათებელია რეალიზმი.

თუ სოფოკლე და განსაკუთრებით კი ესქილე იძლევიან ადამიანის ხასიათის იდეალურ განხილვას, სამაგიეროდ ევრიპიდეს შემოქმედებაში ჩვენ ვხვდავთ ადამიანის რეალისტურ სახეს, რომელიც აღსაყვება ღირსებითა და ნაკლით, ადამიანს რომ თან ახლავს ხოლმე.

ევრიპიდეს შემოქმედებაში იცვლება თითონ ტრაგედიის ხასიათიც. ევრიპიდეს ტრაგედია უფრო ფსიქოლოგიური დრამაა, და მის ნაწერებში ჩვენ უკვე აღარ ვხვდავთ პიროვნების კონფლიქტს ბრმა და მის გარეშე მდგომ ძალებთან. როგორც ეს აქვს სოფოკლეს.

მოქმედება ვითარდება ადამიანის ნებათა შეხლის ნიადაგზე: ადამიანები თითონვე არიან დამნაშავენი თავიანთ ბედ-ილბალში და თუ ევრიპიდეს გმირები

მანც იღუპებინან, როგორც ეს სურთოდ მიღებულისა ტრაგედიაში, ამ და-
ლუპაში ბრალი მიუძღვის არა ბედისწერას, არამედ თითონ ადამიანებისვე ვნე-
ბათ. ევრიბადე იღებს ერთს რომელიმე მოქარბებულსა და გაბატონებულ გრძნო-
ბას — სიძულვილს, სიყვარულს და მისთანას — და ადამიანს ამოქმედებს, რო-
გორც შექტერის ამ გრძნობის მორჩილ არსებას. ლოგიკურად განვითარებული
გრძნობა ადამიანს ჩინამდე მიიყვანს და ამით აუცილებლად იწვევს მის და-
ლუპვას.

თავის ნაწარმოებებში ევრიბადე დიდ ნაბიჯს დგამს რეალისტური ფსიქო-
ლოგიური დრამის მიმართულებით. ოღონდ უნდა ხაზი გაესვას იმას, რომ თი-
თონ ვნების განხილვა ევრიბადეს დრამებში რამოდენიმედ მანც გვაგონებს
ბედისწერის კონცეფციას. იმ დროს, როცა სოფოკლეს ნაწერებში ბედისწერა
გამოდის როგორც გარეშე გარემოებათა დამთხვევა, ევრიბადეს შემოქმედებაში
ბედისწერას აქვს საბედისწერო ვნების ხასიათი, რომელსაც ადამიანი დალუპვის
პირამდე მიჰყავს. ასეთია ბედისწერის იდეის თავისებური რეალისტურ-ფსიქო-
ლოგიური მოდიფიკაცია. სოფოკლესეული „მოირა“ ევრიბადეს ნაწარმოებებში
გამოვლინებულია უფრო შებრალებული სახით, ფსიქოლოგიზმისა და რეა-
ლიზმის ელემენტებზე შეჯამებული ფორმით, იმ რამოდენიმედ უფრო გვიანდელი
ეპოქის შესაბამისად, რომელსაც ემთხვევა მისი შემოქმედების გაფურჩქვნა.

ევრიბადეს ნაწერებში მსახიობი გაცილებით უფრო მეტ როლს თამაშობს,
ვიდრე მის წინამორბედთა შემოქმედებაში. თუმცა ხორო კიდევ რჩება, რადგა-
ნაც იგი წარმოადგენდა ტრაგედიის აუცილებლივ საჭირო ფორმალურ კუთვნი-
ლებას, მაგრამ ის ეხლა თამაშობს სრულიად მეორე ხარისხოვან როლს. სიმძი-
მის ცენტრი გადატანილია მსახიობებზე. ეს სახეებით გასაგებიცაა ევრიბადეს
შემოქმედების რეალისტურ და ფსიქოლოგიურ ხასიათთან დაკავშირებით.

ასეთები არიან სამი დიდი ტრაგიკოსი, ის სამი მაღალი მწერვალი, რომ-
ლებსაც მიაღწია ანტიკურმა დრამამ.

მაგრამ ბერძნულ თეატრს ჰყავს კიდევ ერთი დიდი მწერალი, ესაა არის-
ტოფანე, კომედიების მთხვეელი, რომელმაც თავისი შემოქმედებით დაწრილა
ყველა თავისი წინამორბედნი.

არისტოფანე (დაახლ. 450-385 წლებში) ჩამომავლობით ეკუთვნოდა
წერილ მიწათმფლობელთა ოჯახს. V ს. დიდ სასცენო მწერლებს შორის ის
ყველაზე უფრო ახალგაზრდა იყო. მისი მოღვაწეობის გაფურჩქვნა ემთხვევა
პელოპონესის ომის ეპოქას.

არისტოფანესგან ჩვენამდე მოაღწია მთლად თერთმეტმა პიესამ (სულ მას
დაწერილი ჰქონდა ორმოცამდე): „კრაზანები“, „ლორუბლები“, „მხედრები“,
„ბაყაყები“, „აქარნეველი“, „ქალები სახალხო კრებაში“, „ზავი“, „ფრინველე-
ბი“, „ლისისტრატა“, „თესმოფორიასები“ („ქალები თესმოფორიას დღესას-
წაულზე“) და „სიმიდრე“.

არისტოფანე თავისი შემოქმედებით ავეირგვინებს ევრეთწოდებული
ძველი კომედიის განვითარებას. ატიკურმა კომედიათა თავის განვითარების პრო-
ცესში სამი ხანა თუ ეტაპი გაიარა: ძველი კომედიის ხანა, შუალა კომედიისა

და ახალი კომედიის ხანა. ძველი კომედიის აყვავება ეკუთვნის V ს. მეორე ნახევარსა და IV ს. დასაწყისს, შუა კომედიის გაფურჩქვნა ემთხვევა მეოთხე საუკუნახევარზე, ხოლო ახლისა IV ს. დასასრულსა და III ს. დასაწყისს. მაშასადამე, ახალი და ნაწილობრივ შუალა დროის კომედია მიეკუთვნება უკვე ელინისტურ ეპოქას.

არისტოფანეს გასაგებად საჭიროა აღინიშნოს ძველი კომედიის ერთი მხარე: შუალა და ახალი კომედიისგან იგი განირჩეოდა მით, რომ ის იყო წმინდა პოლიტიკური კომედია. ამაშია მისი უდიდესი მნიშვნელობა და სპეციფიკური მხარე.

შუალა და ახალი კომედიები ესაა ყოფა-ცხოვრების კომედიები, ზნე-ჩვეულების კომედიები. მათსა და ძველ კომედიას შორის მთელი უფსკრული ძეგს. ძველი კომედია, როგორც პოლიტიკური კომედია, დაიბადა თავისი პოლიტიკური ცხოვრების ფართო ფორმებით ცნობილი ანტიკური, კერძოდ ათენის, დემოკრატიის პირობებში. შემთხვევითი როდია, რომ ანტიკური დემოკრატიის დაცემას IV საუკ.-ში ემთხვევა პოლიტიკური კომედიის დაცემაც, როცა იგი იქცევა ზნე-ჩვეულებათა კომედიად, ყოფა-ცხოვრებით კომედიად.

ძველი კომედია საერთოდ და არისტოფანეს კომედია კი კერძოდ ამუშავებდა მხოლოდ და განსაკუთრებით პოლიტიკურ სიუჟეტებს. არისტოფანე თავისი პოლიტიკური შეხედულებით ეკუთვნოდა მიწათმომქმედთა კონსერვატორულ მიმდინარეობას. მას არ შეიძლება რეაქციონერი ვუწოდოთ ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. იგი არაა საერთოდ დემოკრატიის მტერი, მაგრამ ის სასტიკად ილაშქრებს იმ მისი ფორმის წინააღმდეგ, რომელიც ათენში ჩამოყალიბდა V ს. უკანასკნელ მეოთხედში.

არისტოფანე თავს ესმის არა მარტო ცალკე პოლიტიკურ მოღვაწეებს, მაგალითად, კლეონსა და ნიკიას, ის არ ზოგავენ აგრეთვე ათენის პოლიტიკური ცხოვრების არც ერთს მოვლენას. ის დასცინის ომსა და ომის მომხრე პარტიას ანუ სამხედრო პარტიას, სოფისტებს და სოფისტურ განათლებას (კომედიაში, „ღრუბლების“ სათაურით რომაა, მას გამოყვანილი ჰყავს სოფისტად სოკრატეც კი), ადვილად დამჯერებელ ათენის დემოსს, ათენელებში დაეის სიყვარულს, „კომუნისტურ“ თეორიებს, ევრიპიდეს და სხვას და სხვას.

მისი მახვილი და მოსწრებული დაცინვა არაფერს და არავის არ ინდობს. ამასთანავე ერთად საჭიროა ხაზი გაესვას არისტოფანეს კომედიის თავისებურ ხასიათს (რამოდენიმედ ეს საერთოა მთელი ძველი კომედიისათვის). ესაა შერწყმა, გაერთიანება ფანტასტიკისა და რეალიზმისა. ერთი მხრით, არისტოფანეს გამოჰყავს სავსებით რეალური პიროვნებანი, ოღონდ ულტრარეალური აქსესუარებით და ხშირად ზერეალურ გარემოსა და პირობებში. მეორე მხრით, ეს რეალური სამყარო მოქცეულია უაღრესად ფანტასტიკური სიუჟეტის ჩარჩოებში, წარმოდგენილია გრანდიოზული საოცარი გროტესკისა, შარჟისა, კარიკატურის სახით; მაგალითად, კომედიაში „ფრინველები“ გამოყვანილია ფრინველთა სამეფო, რომელიც სადღაც იმყოფება ცასა და დედამიწას შუა. თავის სხვა კომედიებშიც, უფრო რეალისტური შინაარსისა რომ არიან, არისტოფანეს

აღებულ აქვს უაღრესად ფანტასტიკური დებულებანი. ასეთია, მაგალითად, ქალების თავისებური გაფიცვა „ლისისტრატაში“, ასეთია სოკრატე: კალათაში რომ ზის „ღრუბლებში“ (კომედიის სახელია); და სხვა.

არისტოფანეს ენა არაჩვეულებრივ მკვეთრია, ნათელი, მახვილი, მარილიანი, წყლიანი. მას აქვს ზღვასავით გამოუღვეველი მარაგი გამოგონებისა, რომელიც სრულიად აკარბებს და აღმატება ყოველგვარ შესაძლებლობას. ხშირად მისი ხუმრობა უხეშია, იმდენად უხეშია, რომ ჩვენი სმენისთვის სავსებით მიუღებელია. ამიტომაც ძალიან ძნელია არა მარტო მისი დადგმა, არამედ თარგმნაც კი.

შეგჩერდეთ არისტოფანეს კომედიაზე „ქალები სახალხო კრებაზე“, რადგანაც იგი ძალიან ტიპიურია და ასახავს მისი დროის ზოგიერთ პოპულარულ იდეას.

ამ პიესის შინაარსი ასეთია.

სახელმწიფო საქმეებში მამაკაცების ბატონობამ ათენი დაღუპვის პირამდე მიიყვანა. მაშინ ძთენელი ქალები ლამით, ქმრების იღუპალად, მიდიან სახალხო კრებაში და გადასწყვეტენ მამაკაცები გადააყენონ სახელმწიფოს საქმეების მართვა-გემგეობისგან და ძალა-უფლება თითონვე აიღონ ხელში.

იგდეს თუ არა ხელთ ძალა-უფლება, ქალები სახელმწიფოში ამყარებენ სრულ „კომუნისმს“. ახალ ურთიერთობათა პროგრამას ავითარებს ამ ქალთა მოძრაობის მეთაური, პრაქსაგორა. აი როგორ ხატავს პრაქსაგორა შემდგომი მოქმედების პროგრამას:

„უწინარეს ყოვლისა, — ამბობს ეს ქალი, — ჩვენ საერთო და საყოველთაო გაეხადოთ მიწა-წყალი, ფული და ყოველნაირი ქონება. ჩვენ, ქალები, გაჰმეყთ და შეგმოსავთ თქვენ, მამაკაცებს, საერთო ქონებიდან, რომელსაც ჩვენ წესიერად და მომკირნედ განვაგებთ და ყველაფერში ანკარიშს ჩავაბარებთ. სიღარიბის გამო არავინ არ იქნება იძულებული იმუშაოს, — ყოველივე ხომ საერთო საკუთრება გახდება: პურიც, ხაჭაპურიც, ბოსტნეულიც, ხორციც თევზიც, ტანისამოსიც, ღვინოც, გვირგვინებიც, ქიშმიშიც და ნუშიც“.

ვინ-ღა იმუშავებს? ყოველნაირი შრომა უქმდება თავისუფალი ათენელისთვის:

„მინდორს, — ამბობს პრაქსაგორა, — ამუშავებენ მონები. შენ მარტო ერთი საქმე-ღა გრჩება: როცა ციფერბლატის ჩრდილი ათ ფუტს გიჩვენებს, კონტად გამოეწყე და წარემართე ლხინში“. მთელი სახელმწიფო აპარატი უქმდება: სასამართლოები, საარჩევნო სადგომები, ხაზინა, ბაზრები — ყოველივე ეს სასაღილოებად გადაკეთდება: „ყველა მხიარულად გაემართება იმ სასამართლო პალატაში, სადაც ამოღებული კენჭი მიუჩენს მას ადგილს სადილის მირთმევისათვის. მაუწყებელი (გზირი) აუწყებს ყველას, ვისაც ასო ბანი ამოუვათ. რომ ისინი ხაზინისკენ ვაემართენ; იმათ, ვისაც ასო თან, ამოუვათ, რომ ისინი წარემართენ ხაზინის მეზობლად მდებარე პორტიკში (თაღნარში იმათ, ვისაც ასო კანი შეხედებათ, რომ ისინი წავიდნენ სასაღილოდ იმ პორტიკში (თაღნარში), სადაც ახლა ალაფხანაა“.

სასადილოებში „ყველა სუფრა გაშლილია და რჩეულ საქმელების სიმბო-
მისაგან მაგიდები იზნიქება. საინახეები მორთულია ქეჩებით და ხალიჩებით; ავ-
სებენ ფიალებს. მომსახურე ქალები კეთილსურნელებით ხელში მაგიდებთან
ჩამწკრივებულნი არიან. ხრაყავენ თევზს, შამფურზე აგებენ კურდღლებს. ზე-
ლენ ხაჭაპურებს. გვირგვინებს სწნავენ, ამზადებენ ტკბილეულობას, ხარშავენ
მუხუდოს... მაშ, წადით რალა, სუფრა გაშლილია, დაიწყეთ ყბებით მუშაობა“.

მოხმარების კომუნიზმს აქაც ლოგიკურად მივეყვართ ცოლების ზიარო-
ბისკენ, საერთოობისკენ.

„თვითეთლი მიიღებს ყოველივეს სიუხვით და სახლში წავა შექვიფიანე-
ბული, ჩირაღდნითა და გვირგვინით. ხოლო მათ გამოეგებებიან ქალები და თა-
ვისთან შეიწვევენ მათ....“ მაგრამ მონების მდგომარეობა აქაც განსაკუთ-
რებულია: „უხამსობაა, — ამბობს პრაქსაგორა, — რომ გამოპრანქული მხე-
ვლები თავისუფალ ქალებს შეეცილონ სიყვარულის ტრფივალ-სიტკობებაში. მათ-
თვის ნება დართულია მარტო მონებთან დაწოლა და ძილი“.

ბოლოს და ბოლოს ქალების რევოლუცია, როგორც ჩანს, მარცხს განიც-
დის მთელ რიგ იმ დაბრკოლებათა მეოხებით, რომელნიც წამოიჭრება პრაქსა-
გორას პროგრამის პრაქტიკულად გატარების დროს.

ესაა არისტოფანეს კომედიებს შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტე-
რესო და გონება-მანვილიანი კომედია. იგი გვაძლევს ნათელ ნიმუშს იმ გათა-
ნაბრებით — მოხმარებით ტენდენციებისას, რომელნიც ყოველთვის იყო პო-
ლისში, მაგრამ რომელთაც უფრო მკვეთრი ფორმა მიიღეს მისი დაწყებული
და შლა-რღვევის ხანაში ლუმენ-პროლეტარიზაციის ინტენსიურ პროცესთან
დაკავშირებით. იცოცხლე და დასტკბი უსაქმურობით, — აი ასეთია ანტიკურ
პოლისის მოქალაქის იდეალი.

ჩვენ განზე ვტოვებთ ბერძნულ ეპოსსა და ლირიკას, რაზედაც უკვე ვი-
ლაპარაკეთ ზემოთ ჰომეროსთან და VII-VI საუკ. პოლიტიკურ ლირიკასთან და-
კავშირებით, და გადავდივართ არქიტექტურასა (ხუროთმოძღვრებასა) და სახ-
ვით ხელოვნებაზე. აქაც ბერძნებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის
კულტურაში.

დავიწყეთ არქიტექტურიდან.

უპირველეს ყოვლისა უნდა ხაზი გაესვას იმ სხვაობას, რომელიც იყო ძვე-
ლი საბერძნეთის კერძო ბინებსა და საზოგადოებრივ შენობათა შორის.

კერძო ბერძნული ბინა-სადგომები ყოველთვის ძალიან უბრალო და სადა
იყო; ამ მხრივ ისინი განსხვავდებოდნენ, მაგალითად, რომის გვიანა რესპუბლი-
კური და იმპერატორთა დროის ბინა-შენობებისგან, რომელთაც, გაცილებით
უფრო მდიდრული ხასიათი ჰქონდათ. ეს დამოკიდებული იყო საბერძნეთის
დემოკრატიულ ხასიათზე და იმ პარაზიტული კაპიტალის შედარებით სუსტ
განვითარებაზე; რაც ეგოდენ ტიპიური იყო რომისთვის.

ბერძნულმა არქიტექტურამ თავისი უფრო მკვეთრი და მკაფიო გამოხა-
ტულება ჰპოვა საზოგადოებრივ შენობათა ნაგებობაში, აქ მან მიაღწია კიდევ
თავის განვითარების მეტად მაღალ ხარისხს. დღემდე ხუროთმოძღვრებაში ფარ-

თოდ იყენებენ ანტიკურ საარქიტექტურო მოტივებს. ძველი ბერძნული არქიტექტურის ასეთი მაღალი განვითარება რამოდენიმედ აიხსნება წმინდა ტექნიკური მომენტებით, სახელდობრ, იმით, რომ საბერძნეთში მოიპოვებოდა მშვენიერი საამშენებლო მასალა ქვისა და მარმარილოს სახით და იმით, რომ იქ ნეტყე არ იშოვებოდა. ამიტომაც ძველი საბერძნეთის არქიტექტურა იყო ქვის არქიტექტურა ყველა თავისი სპეციფიკური ნიშნებით, რაც ახასიათებს და თანდაყოლილ თვისებას შეადგენს ხუროთმოძღვრების ამ ტიპისას.

მაგრამ ეს ოდნავაღაც არაა საკმარისი ბერძნული არქიტექტურის მაღალი განვითარებისა და მისი სპეციფიკური ხასიათის ახსნისათვის. საკმე ისაა, რომ აქ მთელი სიმძიმის ცენტრი იდო საზოგადოებრივი დანიშნულებისა და ხასიათის შენობათა შექმნაში. მთელი შემოქმედებითი ენერგია მიმართული იყო საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობისაკენ; ასეთები იყო: ტაძრები, თეატრები, ბაზრები ანუ ქულბაქები, მთავრობის დაწესებულებათა შენობები, შენობები გიმნასტიკურ ვარჯიშობისათვის, მუსიკალურ შეჯიბრებისათვის და სხვა ამგვარი. პოლისის (ქალაქ-სახელმწიფოს) ხასიათი, სათემო-სახელმწიფოებრივი ანტიკური საკუთრების ხასიათი აქ თავის დაღს უთუოდ აღბეჭდავდა.

უძველეს ბერძნულ საზოგადოებრივ ნაგებობათ წარმოადგენდნენ ტაძრები. ტაძრები ჩნდება არა უადრეს VIII საუკუნისა. პირველი ჩვენამდე მოღწეული ტაძრების ნაშთები ძნელია და შეუძლებელიცაა უფრო ადრინდელი დროით იქნეს დათარიღებული, ვიდრე V ს. დასასრულით. ბერძნული ტაძრის ტიპი — ოთხკუთხედი მოგრობა შენობის ტიპი, რომელსაც ირგვლივ შემოვლებული აქვს წვის სვეტნარი; — ერთბაშად როდი ვითარდება. კერძოდ, უძველეს ტაძრებს ჯერ ისევ ხის სვეტები ჰქონდა შემოვლებული. თიხის ბრტყელი სახურავის ანუ ბანის თუ ერდოს მაგიერ VII საუკ.-ში ჩნდება კრამიტის ორფერდა სახურავი. სახურავის ქიმებში ანუ კუთხეებში მართავენ სხვადასხვანაირ საარქიტექტურო სამკაულებს; რაიც კეთდება გამომწვარი თიხისგან. ფრონტონებზე აკეთებენ რთულ სკულპტურულ კომპოზიციებს. ტაძრის ცალკეულ ნაწილებს თანდათან შეფერადებას უწყებენ.

VI საუკუნისთვის საბოლოოდ ყალიბდება ორი ძირითადი საარქიტექტურო სტილი: დორიული (უფრო ადრეული) და იონიური (უფრო გვიანდელი). დორიული სტილის სამშობლო იყო პელოპონესი თავისი დორიული მოსახლეობით. იონიური სტილის სამშობლოს კი წარმოადგენდა იონია, ე. ი. მცირე აზიის საბერძნეთის შუალა ნაწილი. უფრო გვიან, V ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისში, თანდათან ყალიბდება მესამე სტილი — კორინთული.

დორიული სტილი ჯერ ისევ მძიმეა, მასიური, მაშინ როდესაც იონიური სტილი უფრო წერწყტია, აზიდულია; უფრო პროპორციულია და მოქნილი. ბერძნული არქიტექტურის ყველაზე უფრო სრულყოფილი ნაწარმოები — პართენონი — წარმოადგენს დორიულ და იონიურ სტილთა ელემენტების შენაერთს.

კორინთული სტილი — ესაა უნარჩევსი, რთული და მდიდარი სტილი, ის უკვე წარმოადგენს კლასიკური საბერძნეთის არქიტექტურის ერთგვარი დაქვეითების გამოხატულებას.

თავის უმაღლეს განვითარებას იგი, არქიტექტურა, აღწევს სწორედ V საუკ.-ში. ჩვენ ვიცით, რომ პერიკლეს ხანაში ათენში აგებულ იქმნა ანტიკური ხუროთმოძღვრების ყველაზე უფრო დიდი და სრულყოფილი ნაწარმოებნი. მენუთე საუკუნეშივე აგებულ იქმნა ოლიმპიაში სახელოვანთქმული ტაძარი ზენსის სახელობისა.

ბერძნული ხელოვნების საზოგადოებრივ ხასიათთან დაკავშირებით, რაც ასე მკაფიოდ გამოვლინდა თეატრსა და არქიტექტურაში, დგას აგრეთვე ბერძნული სკულპტურის ანუ მოქანდაკეობის უმაღლესი განვითარება.

ადრეულა, ეგრეთწოდებული არქაული სტადიის (VIII-VI საუკუნეები) სკულპტურა ჯერ კიდევ ძალიან პრიმიტიულია. პირველი ქანდაკებანი ალბათ ხისა იყო, თუმცა ჩვენამდე არც ერთს ხის ქანდაკებას არ მოუღწევია. უფრო გვიან, როცა ქანდაკებათა დასამზადებლად უკვე ქვას ხმარობდნენ, მერე კი მარმარილოსაც იყენებდნენ, ამ პირველ ქვის ქანდაკებებში გამოსჩანდა ჯერ ისევ ბრტყელი ხის სტილი.

V საუკუნეშიაც კი მოქანდაკეებს ჯერ კიდევ ვერ გამოუყენებიათ თეოსუფლად საქანდაკო მასალა. ფიგურები უძრავია, თმა და ტანისამოსის ნაკვეთები და ნაოკები პირობითად არის მოცემული. როცა ღიმილის გამოხატვა უნდათ, მაშინ ამას თავისებური ხერხით გადმოგვცემენ: ტუჩის კუთხეებს აგანიერებენ და რამოდენიმედ აღმატერად, ელამად უყენებენ თვალებს. ასეთი ხერხების გამოყენების გამო ვიღებთ თავისებურ „იღუმალ“, „საცნაურ“ ღიმილს არქაულ ქანდაკებებისას.

თავის სრულ განვითარებას ბერძნულმა სკულპტურამ მიაღწია მარტო V საუკ.-ში, როცა ყალიბდება მისი ორი ძირითადი სკოლა.

ერთი სკოლაა ათენის სკოლა; მისი უაღრესად ტიპიური წარმომადგენელი იყო ფიდიას; ეს იყო პერიკლეს ხელმძღვანელი ხელოვნების დარგში და მრჩეველი. მეორე სკოლა პელოპონესის სკოლაა; მის მეთაურად იყო პოლიკლეტე არგოსელი მოქანდაკე.

ფიდიას თავის შემოქმედებაში ძალიან ცხოვლად აქვს ასახული პერიკლეს ეპოქა, ანტიკური მსოფლმხედველობის ყველა ელემენტის იმ ჰარმონიული წონასწორობის ეპოქა, რომელიც შეესაბამება ათენის აყვავება-გაფორჩქნის უმაღლეს წერტილს. იგი აქანდაკებდა თითქმის მარტო ღმერთებს. ამბობენ, თითქოს მას მხოლოდ ერთი ქანდაკება ჰქონია ადამიანისა.

ფიდიას ნაწარმოებთ შორის განსაკუთრებით განთქმული იყო ორი მისი გრანდიოზული ქანდაკება. ერთი იყო ათენას ქანდაკება პართენონში, რომლის სიმაღლე 12 მეტრს უდრიდა და რომელიც ვაკეთებული იყო სპილოს ძვლისა და ოქროსგან, ეგრეთწოდებული ხრიზელეფანტინური ტექნიკის საშუალებით, როცა ხის ფუძეზე ჩამოჰქნიან ოქროს თხელ ფურცლებს და სპილოს ძვლს ფირფიტებს. მეორე ძეგლს წარმოადგენდა ტახტზე მჯდომ ზევსის ქანდაკება, რგი აღმართული იყო ოლიმპიას ტაძარში. მისი სიმაღლე უდრიდა დაახლოვებით 13 მეტრს. აქ ფიდიას სოციალური ხელოვნებით გადმოცემული აქვს ზევსის ღვთაებრივი სიდიადე. არც პირველი ქანდაკება და არც მეორე ჩვენამდე არ მოსულა.

ფიდიას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ყველა მისი ფიგურის ჰარმონიული სიმშვიდე. ამიტომაც იყო, რომ მას ძალიან ემარჯვებოდა ოლიმპიელების, ამ იდეალიზირებულ ადამიანთა, წარმოსახვა.

სულ სხვა მიმართულება ჰქონდა პოლიკლეტეს სკოლას. პოლიკლეტე იმითაა შესანიშნავი და ცნობილი, რომ ფაქიზ და დაკვირვებულ გამოკვლევათა საფუძველზე მან შექმნა ეგრეთწოდებული „კანონი“ ე. ი. ადამიანის სხეულის. ნორმალური პროპორციები. შემთხვევითი როდი იყო, რომ ეს პროპორციები შემუშავებულ იქმნა სწორედ პელოპონესში, სადაც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა სპარტა თავისი ფიზიკური ვარჯიშობა-გამოკაევით, ჯანმრთელი და ძლიერი სხეულის კულტით. პოლიკლეტეს ქანდაკებათა შორის განსაკუთრებით უფრო ცნობილი იყო „დორიფოროსი“ („მეშუბარი“. „შუბოსანი“) და „დიადუმენი“; ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ათლეტს, რომელიც შეჯიბრების წინ თავზე იხურავდა თავსაკრავს. ორივე ქანდაკება ჩვენთვის ცნობილია მარტო შემდგომი დროის პირების (კოპიოების) მიხედვით.

პოლიკლეტეს. პელოპონესური ხელოვნების საერთო ხასიათის შესაბამისად. ახასიათებს ფიგურების ერთგვარი დამძიმებულობა, ამიუხედავად მთელი მათი პროპორციულობა.

თუმცა ბერძულმა მოქანდაკებამ ანუ სკულპტურამ V საუკუნეში მიაღწია თავის განვითარების მეტად მაღალ საფეხურს, მაინც მან ვერ შესძლო საეხებით აესახა ადამიანის სხეულის დინამიკა. ეს იყო მომავლის ამოცანა. V ს. სკულპტურას, ფიდიას და პოლიკლეტეს დროის მოქანდაკობას, საქმე აქვს არსებითად მარტო სტატიკასთან. შეიძლება ითქვას, რომ ფიდა და პოლიკლეტე სკულპტურაში იმავე მსოფლმხედველობას ასახავენ, რომელიც წარმოდგენილი აქვს სოფოკლეს თავის ტრაგედიებში. მაგრამ უკვე V ს. ბოლო და IV ს. დასაწყისი პლასტიკაში იმავე რეალიზმსა და იმავე დინამიკას იძლევიან, როგორც ჩვენ ვხვდებით ტრაგედიაში ევრიპიდეს ნაწარმოებთა შორის.

აქ საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ ორ სკულპტორზე, რომელთა შემოქმედების სახით ანტიკური პლასტიკა აღწევს თავის აყვავება-გაფურჩქნის უმაღლეს წერტილს. ესაა ათენელი სკოპასი (IV ს. პირველი ნახევარი) და მისი უმცროსი თანამედროვე, ათენელი პრაქსიტელე. მათ ხელში პლასტიკა საბოლოოდ დაეუფლა ადამიანის გრძნობათა რთული გამის გამოთქმის მეთოდს, აგრეთვე ადამიანის სხეულის დინამიკის წარმოსახვისა და თავისი მასალის რეალისტურად დამუშავება-გამოვლენის ხერხს. მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ. რომ ეს რეალიზმი ძალიან შეფარდებითი, ძალიან შედარებითი იყო. სკოპასი და პრაქსიტელე ისევე, როგორც ბერძენ მოქანდაკეთა დიდი უმრავლესობა. აიდეალიზირებენ, იდეალურად წარმოსახავენ ადამიანის სხეულს და—ასე გასინჯეთ—რეალისტურად გადმოცემის დროსაც კი მაინც იმავე იდეალურ სახეებს ჰქმნიან და იძლევიან.

სკოპასის ნამდვილ ნაწარმოებთაგან ჩვენამდე მოაღწია ამ ნაწარმოებთა რამდენიმე ნამტკრევემ. ამათ შორის ყველაზე კარგად შენახულია ის რელიეფები, რომელნიც ამკობდნენ ერთ-ერთ მცირეაზიელ პატარა მეფის ანუ მე-

ფუკას მავსოლე ჰალიკარნასელის (აქედან წარმოსდგა სიტყვა „მავზოლეუმი“) საფლავის ძეგლს, მატურს. სკოპასის რელიეფები წარმოსახავენ ბერძნებს ბრძოლას ამორსლებთან. ფიგურები არაჩვეულებრივი ხელოვნებით გადმოგვცემენ მძაფრ მოქარობას და ბრძოლის პაწოსს. ძველ დროში ძალიან იყო სახელგანთქმული სკოპასის „ბახუსის ქურუმ-ქალი“, რომელიც წარმოდგენილია უკიდურეს ალტყინებისა და ექსტაზის მდგომარეობაში.

პრაქსიტელესგან ჩვენამდე მოაღწია, სამწუხაროდ, მარტო ერთმა, როგორც ჩანს ნამდვილმა ნაწარმოებმა, დედანმა. ეს არის ჰერმესი, რომელსაც ხელთ უბყრია პაწაწა დიონისე. დანარჩენ მის ნაწარმოებთა შესახებ ჩვენ ვიცით მარტო გვიანდელი დროის სუსტი მიბაძვების მიხედვით, ფულეზზე დაცულ გამოსახულებით და აგრეთვე ლიტერატურულ აღწერილობათა მიხედვით. პრაქსიტელეს ქანდაკებებს მნახველი განცვიფრება-აღტაცებაში მოჰყავდათ თავიანთი არაჩვეულებრივი ცხოველმყოფელობით, გრძნობიერი სილამაზით, სინარჩარით და ყველა ხაზის ჰარმონიულობით.

ბერძნულ სკულპტურაში გაბატონებულ გაიდეალებელ მიმდინარეობასთან ერთად, რომელიც სწგანს აიდეალებდა, იდეალურად წარმოსახავდა, იყო მეორე მიმდინარეობაც, რეალისტური მიმდინარეობა. მან ჩვენამდე თითქმის არ მოაღწია. ამ მიმდინარეობის ილუსტრაციებად შეიძლება გამოვიყენოთ კომიკურა მსახიობების ცალკე ფიგურები, მახინჯ და უსასურ დედაბრებისა და მონების ფიგურები.

ბერძნული რეალისტური ხელოვნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარდუვალად, აუცილებლივ გადაგვარდა კარიკატურაში, წარმოსახულის დაცინვაში.

ბერძნულ ფერწერას ჩვენ ვიცნობთ მარტო ლიტერატურულ აღწერილობებით და ცალკე სიუჟეტების (უმეტეს შემთხვევაში ხელოსნურ) რეპროდუქციებით ვაწებზე, თიხის ფირფიტებზე, სპილოს ძვლის ფირფიტებზე და მისთანაზე.

ნამდვილი ფერწერის ნაშთებმა (მაგალითად პორტრეტებმა) ჩვენამდე მოაღწიეს მარტო ელინისტური დროიდან.

ლიტერატურული ცნობების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ბერძნულმა ფერწერამაც ანუ მხატვრობამაც აგრეთვე განვითარების მაღალ ხარისხს მიაღწია.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ IV საუკუნემდე მხატვრობამ ძირითადად შეინარჩუნა მონუმენტალობის ხასიათი. ბერძენი მხატვრები არ ხატავდნენ განკერძოებულ, იზოლირებულ სურათებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი კედლისგან დაშორება. ისინი თავის სურათებს ხატავდნენ საზოგადოებრივ შენობათა კედლებზე დახატავდნენ ალბათ ფრესკების მეთოდით. ე. ი. სველ, ჯერ გაუმშრალ გალესილზე საღებავით ან კიდევ ხის ფიცრებზე. რომელთაც მერე კედლებში ატანდნენ. პირველი დიდი მხატვარი, რომელმაც შექმნა კედლის მონუმენტალური მხატვრობა, იყო ათენელი პოლიგნოტე, კომონის თანამედროვე (VI ს. 70-60-იანი წლები). ის წერდა სურათებს მითო-

ლოგიურ და ეპიკურ სიტუაცებზე: „თეზეოსის ბრძოლა ამორძლებთან“, „ტროას დანგრევა“ და სხვა. მათ ჰქონდათ სადეკორაციო ხასიათი. პერსპექტივა პოლიგნოტესთვის თითქმის უცნობი იყო, მის ნახატში არ მოიპოვებოდა აგრეთვე შუქ ჩრდილი.

პოლიგნოტეს სურათები ერთფეროვანი და სილუეტურია. მათ არა აქვთ სივრცე, სიღრმე; ჰაერი, ნათელი და ჩრდილი. მაგრამ სტილი, როგორც V ს. მთელი ბერძნული მხატვრობის სტილიც, მშვენივრად ეხამებოდა მის წინაშე მდგარ დეკორაციულ ამოცანებს.

გადატრიალება ბერძნულ მხატვრობაში დაკავშირებული იყო შუქ-ჩრდილის ხერხების გამოგონებასთან და პერსპექტივის კანონთა აღმოჩენასთან.

შესაძლებელია, რომ ახალ ტექნიკურ ხერხების გამოყენება პირველად დაიწყო თეატრალურ მხატვრობაში. ხოლო როდესაც აქედან ეს ხერხები გადაიტანეს მონუმენტალური ხელოვნების დარგში, იქ მათ მოახდინეს უდიდესი გადატრიალება. პერსპექტივა და შუქნათელი ვერ ეგუებოდნენ კედლის დეკორაციულ მხატვრობას. ამიტომაც იყო, რომ მათ წარმოშვეს „დაზვისებრი“ სურათი, რომელიც ინატება მოლბერტზე, იკიდება კედელზე და სადაც გინდა იქ ადვილად შეიძლება იქმნეს გადატანილი. სურათი აღარაა ახლა ორგანიულად დაკავშირებული კედელთან, მის სიბრტყესთან, ჰკარგავს თავის სადეკორაციო ხასიათს და რეალისტური ხდება. ამასთანავე ერთად იგი ჰკარგავს თავის საზოგადოებრივ დანიშნულებას და ინდივიდუალური მზერა-ჰერეტიკის და დატკობის მიზნების სამსახურს იწყებს. ყოველივე ეს ხდება მკიდროდ დაკავშირებული კოლექტიურ სათემო-სახელმწიფოებრივ საკუთრების დაშლა-რღვევასთან და ინდივიდუალიზმის განვითარებასთან.

ახალი მიმართულების პირველი ხელოვანი-მხატვარი იყო აპოლოდორე ათენელი (V ს. მეორე ნახევარი).

IV საუკუნეში შემოგვიანა ჩვენ სახელოვან დაზვისებრ მხატვრების — პარასიას, ზევქსისისა და ტიმანთეს სახელები. მათთვის დამახასიათებელი და ნიშნობლივია მიდრეკილება და მისწრაფება რეალიზმისა და ემოციურ გამოხატულებისაკენ.

დიდმა მხატვრობამ თავისი გავლენა იქონია მცირე ხელოვნებაზედაც, ე. ი. ეაზათა მხატვრობაზე. ამ უკანასკნელმა განიცადა დიდი ხელოვნების ტექნიკური ხერხების გავლენა და ასახა კიდევ ხელოვნების მსოფლმხედველობის საერთო ევოლუცია.

ბერძნული ვაზის მხატვრობა წარმოიშვება როგორც მიკენის ხელოვნების შემდგომი განვითარება. პირველ ათასეულ წლების დასაწყისში ჩნდება დიპილონის სტილი. რომელიც შემდეგში ვითარდება აღმოსავლეთის ზეგავლენით და წარმოაქმნის VI საუკუნის მთელ რიგ სტილებს: „მილოსისას“, „პროტო-კორინთოსას“, „მილეტოსას“, ადრეულა ატიკისას და სხვათ. ამათვის დამახასიათებელია მიკენის, დიპილონის და აღმოსავლურ ელემენტების შერწყმა.

ამ შერეული სტილებიდან შემდგომი განვითარების პროცესში გამოიყოფა ვაზის მხატვრობის ახალი სამხატვრო სტილი, ეგრეთწოდებული კლასიკური შავფიგუროვანი სტილი, რომელიც გაბატონებული იყო VI საუკუნეში.

შავფიგუროვანი მონასტულობის ტექნიკური ხერხები, როგორც ეს ზემოთ გვექონდა მოხსენებული, იმაში მდგომარეობდა, რომ თიხის მოწითალო-ყვითელ ფონს (ხანდახან მას აძლიერებდნენ მით, რომ თიხას სხვადასხვა ნარევებსაც უმატებდნენ) ზევიდან უსვამდნენ თიხის განსაკუთრებულ ხსნარს „სანდალოზ“ ანუ „ლაქს“). ამ ხსნარით ზედ გამოჰყავდათ სილუეტის ხასიათის სურათი. შეკვდეგ მასზე ხაზებს გაჰკაწრავდნენ და ცალკე საღებავიან ლაქას — ოქროსას, თეთრს — წასცხებდნენ ხოლმე. ასეთი ოპერაციის შემდეგ კურკელს სახმილში (ლუმელში) სდებდნენ და იქ გამოსწვავდნენ ხოლმე. ამის შედეგად თიხის ხსნარით მონასტულ ფიგურებს ეძლეოდა კრიალა შავი ფერი, რომელიც წარმოჰქმნის შავი ლაქის ანუ სანდალოზის შთაბეჭდილებას.

შავფიგუროვან ვაზათა სტილი ასახავს მხატვრული ტექნიკის ნაკულოვანება-უსრულობასაც და მის სადგეოროაციო ხასიათსაც. სურათს აქვს სილუეტის ხასიათი, პერსპექტივა მასში მოცემული არაა. თავს ჩვეულებრივად პროფილით ხატავდნენ, თვალს კი — ან-ფასით. სიუჟეტები უმთავრესად მათოლოგიური და ეპიურია. დამახასიათებელია, რომ VI ს. მრავალ კურკელზე შენახულია მათი დამამზადებელი ოსტატების ხელწერანი, მათ ზედ თავიანთი სახელებიც გამოუყვანიათ.

VI ს. დასასრულიდან მოკიდებული ვაზის მხატვრობის ტექნიკა იცვლება. ჩნდება ეგრეთწოდებული წითელფიგუროვანი სტილი. მაშინ როდესაც შავფიგუროვანი ტექნიკის დროს კურკელის ტანი თავის ბუნებრივ ფერს ინარჩუნებდა, ხოლო ფიგურები შავი საღებავით იხატებოდა, წითელფიგუროვან სტილში, პირიქით, კურკელის ტანი „სანდალოზით“ არის მოფენილ-მონასტული. ხოლო თითონ ფიგურა ღია, ნათელი, ე. ი. შეუღებავი რჩებოდა და გამოწვის დროს წითელ ფერ დაკრული გამოდიოდა.

ვაზის მხატვრობის შემდგომი განვითარება მიდის წითელფიგუროვანი სტილის განვითარების ხაზით და გაივლის მთელ რიგ საფეხურებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად რთულდება სურათი, შეღებვა, სიუჟეტის ხასიათი და მისთანა სხვა.

ხელოვნების ისტორიკოსები აქ ჩვეულებრივად სამ სტადიას აწესებენ: 1) სასტიკი სტილი. 2) ლამაზი და 3) მდიდრული. პირველი ორი სტადია თარიღდება V საუკუნით, უკანასკნელი — IV საუკუნით. ლამაზი სტილის ადრეულა კურკლებს ემჩნევა პოლიგონტეს გავლენა. ოსტატების ხელწერა უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება, რაც უკვე მოწმობს მათი წარმოების მასობრივ ხასიათს. დაზგისებრი მხატვრობის გაჩენა დაეტყო მდიდრულ სტილს, რომელსაც ახასიათებს მრავალი საღებავის ხმარება, კურკელის თეთრი ფონი ვარაყს. ოქროთი მოვარაყების ფართო გამოყენება და შუქ ნათელის ხმარება.

ამით გავათავებთ ბერძნული ვაზის მხატვრობის დახასიათებას და გადავალთ ამ თავის უკანასკნელ განყოფილებაზე — რელიგიაზე.

ჩვეულებრივად საბერძნეთის თუ ბერძნული იდეოლოგიის მიმოხილვას სარწმუნოებით, რელიგიით იწყებენ. ჩვენ კი პირუკუ მოვიქცეთ: დაიწყოთ ფილოსოფიით და ვათავებთ რელიგიით. და ეს შემთხვევითი როდია.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი და მალალი იყო ბერძნული რელიგიის განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ მითოლოგიამ დიდი გავლენა იქონია ხელოვნებაზე; კერძოდ — თეატრზე, მხატვრობაზე, სკულპტურაზე, — მაინც ბერძნების ცხოვრებასა და შეგნებაში რელიგია გაცილებით უფრო ნაკლებ როლს თამაშობდა, ვიდრე აღმოსავლეთის მონათმფლობელურ საზოგადოებაში და ასე გასინჯეთ — უფრო გვიანდელ, ფეოდალურ საზოგადოებაში. ბერძნული კულტურა უმთავრესად საერო კულტურა იყო.

რასაკვირველია აქ თქმული არ გამოირცხავს იმას, რომ ჩვეულებრივ-უბრალო ბერძენი პრიმიტიულად ღვთის მოშიში იყო და რომ მას ახასიათებდა ცრუმორწმუნეობის სხვადასხვა სახე — რწმენა სასწაულისა, მკითხაობა, მისნობა და სხვა ამგვარი, რასაც ფართოდ ჰქონდა ძირი ვადგმული უმთავრესად ძველი ბერძნული საზოგადოების დაბალ კლასებში. მაგრამ ნიშნობლივი და დამახასიათებელია, მაგალითად, ის, რომ ქურუმობას, როგორც კასტას, ცალკე წოდებას, ანტიკური საბერძნეთი თითქმის არ იცნობდა. ყველაზე უფრო ხშირად ქურუმები იყვნენ ჩვეულებრივი სამოქალაქო მოხელეები.

ჩვენ ამჟამად არა გვაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით შეეჩერდეთ ამ დიდსა და რთულ საკითხზე. ვიტყვით მარტო იმას, რომ ბერძნულ იდეოლოგიაში რელიგიის შედარებით სუსტი ხვედრითი წონა აიხსნება: 1) იმით, რომ საბერძნეთს არ ჰქონდა მიწათმოქმედებითი ხასიათი; 2) განვითარდა საგარეო ვაჭრობა, რაც იწვევდა ბერძენ-ვაჭრის ფართო მსოფლმხედველობას; 3) მწვავე იყო პოლიტიკური ბრძოლა, ხოლო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფორმები ვერ იყო გამძლე, მყარი, ურყევი; 4) არაჩვეულებრივ სწრაფი იყო განვითარების ტემპები; 5) ძლიერი იყო კრიტიკული ფილოსოფიური აზროვნება, რამაც მალე შეარყია და დაანგრია ინტელიგენტ ბერძნების შეგნებაში ტრადიციული სარწმუნოებრივი წარმოდგენანი.

ბერძნული რელიგია წარმოადგენს ანთროპომორფიზმის კლასიკურ ნიმუშს. მართალია, მასში მოიპოვებოდა ზომომორფიზმის გადანაშთებიც. ასე მაგალითად, ბუ ითვლებოდა ათენის საღვთო ფრინველად; ბერძნულ მითებში ჩვენ გხვდებით იმისთანა შემთხვევებს, როცა ღმერთები და ადამიანები ცხოველებად იქცევიან ხოლმე, მაგრამ ეს მარტო იმას მოწმობს, რომ ბერძნულ რელიგიას ისევე, როგორც ყოველ პრიმიტიულ სარწმუნოებას, ჰქონდა ტოტემური ძირი, ფესვი. ოღონდ ეს ძირ-ფესვები კლასიკურ ეპოქაში არსებობდნენ მხოლოდ როგორც სუსტი გადანაშთები.

ღმერთების წარმოსახვას ადამიანის სახით საბერძნეთში უალრესად განვითარებული და გავრცელებული ფორმა ჰქონდა. ვერც ერთს სხვა სარწმუნოებაში ჩვენ ვერ ვხედავთ, ვერ ვპოულობთ ანთროპომორფიზმის ამ ხარისხამდე განვითარებას. ბერძნული თუ საბერძნეთის ღვთაებანი წარმოადგენენ იდეალიზირებულ ადამიანებს, რომელთაც მოეპოვებათ ადამიანის ყველა სიკვლეუ. მაგრამ ამასთანავე აქვთ აგრეთვე ადამიანის ყოველნაირი სისუსტე და ნაკლი. მართალია, ღვთაების მანკს თუ ნაკლს აქვს განსაკუთრებული „ღვთაებრივი“ მასშტაბი, მაგრამ მაინც რაც უნდა იყოს ის ნაკლად რჩება ისევე. ჰომეროსის ღმერთები უკვდავნი არიან, ყოვლის შემძლენი, მაგრამ ისინი ისევე, რო-

გორც ადამიანები, სკამენ. სვამენ. ისევე იძინებენ. იტანჯებიან, ისევე უყვართ, ისევე სძულთ, ისევე იბრძვიან. ჰომეროსს ერთგან დაჭრილი ღმერთიც კი აქვს ნახსენები.

ბერძნების აზრით, მთავარი ღმერთები დამკვიდრებულნი იყვნენ ოლიმპოზე: ეს იყო საბერძნეთში ყველაზე უმაღლესი მწვერვალი, მუდმივი თოვლით დაფარული. იქ, ყინულის მიჯნის ზემოთ, ცხოვრობდა ადამიანის თვალისთვის მიუწვდომელი ოლიმპიელთა ოჯახი. ოლიმპიელი ღმერთები თავდაპირველად წარმოადგენდნენ ძალ-ღონისა და ბუნების მოვლენათა განსახიერებას (მათ ჰქონდათ კოსმიური ხასიათი). მთავარი ღმერთი ზევსი თავდაპირველად იყო მქექარე მენის მტყორცნელი ღმერთი, ღმერთი ელვა-ქუხილისა და შფოთიერი ცისა. მისი ძმები იყვნენ: პოსეიდონი — ზღვის ღმერთი და აიდი — მიწისქვეშეთის, ქვესკნელის ღმერთი.

ზევსის მეუღლე ჰერა თავდაპირველად ალბათ იყო ჰაერის ქალ-ღმერთი, ძირითადად ასეთივე კოსმიური ხასიათი ჰქონდათ ზევსის შვილებს: აფროდიტე თავდაპირველად იყო ნაყოფიერების ქალ-ღმერთი, შემდეგში კი სიყვარულისა და სილამაზის ქალ-ღმერთი, არტემიდე — ნადირისა და ნადირობის ქალ-ღმერთი, ათენა-პალადა, რომელიც ზევსისგან დაიბადა უღედოდ (იგი ზევსის თავიდან გამოვიდა სრული შეიარაღებით), იყო განსახიერება ელვისა, ქექა-ქუხილის ღრუბლებიდან რომ გამოდის, ჰეფესტე — ცეცხლის ღმერთი იყო. წმინდა კოსმიურ ღვთაებას წარმოადგენდა აგრეთვე ჰელიოსიც, მზის განსახიერება (მისი მეორადი იყო ფებ-აპოლონი).

ამ უმაღლეს ღმერთებთან ერთად არსებობდნენ დაბალი ღვთაებანიც — ნერეიდები, სატირები, ნაიალები, რომელნიც დამკვიდრებული იყვნენ მთელ ბუნებაში: ზღვაში, ტყეებში, მთებში, ნაკადულებში და მისთანაში.

მაგრამ ბერძნული სარწმუნოების განვითარების ამ კოსმიურ სტადიაშიაც მთელ რიგ ღმერთებს უკვე აქვთ სოციალური ფუნქციები. თუმცა შემდგომი განვითარების პროცესში ღმერთების თავდაპირველი კოსმიური ხასიათი იკარგება, მაგრამ მას მერე ზედ ერთვის სხვა — სოციალური — ნიშნები. ხდება არა მარტო ანთროპომორფიზაცია, არამედ ბერძნულ ღვთაებათა „სოციომორფიზაცია“. ბუნების ძალთა განმსახიერებელ არსებათაგან ისინი იქცევიან ისეთ ღმერთებად, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში და ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობენ კიდევ.

ასე, მაგალითად, ზევსი დარჩა მენის მტყორცნელ ღვთაებად. მაგრამ, ამასთანავე შეიქმნა უზენაეს ღმერთადაც, მსოფლიოს შემომქმედად და მფარველად, ხელშეკრულებათა და კანონთა მცველად და მოსარჩლედ, უმაღლესი ქემშარტება-სამართლიანობის მცველად. ჰერა, მისი მეუღლე, ჰაერის ქალ-ღმერთისგან გადაიქცა ოჯახის საწყისის, ოჯახის ერთგულების მცველად.

ათენა-პალადა გახდა საქალაქო ცხოვრების, ხელობის, ხელოსნობის და ამგვარის მფარველი.

ფებ-აპოლონი დარჩა ფიზიკური მზის ღმერთად. მაგრამ ამასთანავე იქცა „სულიერი ნათელის ღვთაებად, ხელოვნების, ორაკულების, მისნობის, წინასწარმეტყველების და მისთანის მფარველად.

ოლიმპიელ ღმერთების ოჯახი ასახავს ადამიანთა ურთიერთობა-დამოკიდებულებას და ტიპიურ პატრიარქალურ ოჯახს წარმოადგენს იმ დროის ბერძნუბისთვის, როცა ყალიბდება ბერძნული სარწმუნოების საფუძვლები. მაინც მრავალ მათში შეიძლება გამოვლინებულ იქნას განვითარების ამის უწინარეა პატრიარქალური სტადია.

უაღრესად საგულისხმეოა ბერძნულ მითოლოგიაში ორი ელემენტის, ორი მიმდინარეობის არსებობა: გაბატონებული მიმდინარეობისა და ოპოზიციურისა.

ოლიმპიელთა სარწმუნოება წარმოადგენს მონათმფლობელთა სარწმუნოებას, რომელიც ასახავს და აშუქებს მონათმფლობელური საზოგადოების ყოველგვარ ურთიერთობა-დამოკიდებულებას.

მაგრამ ოლიმპიელ ღმერთების კულტთან ერთად საბერძნეთის ისტორიის ადრეულა ხანაში, VIII-VII საუკუნეებში, არსებობდა დაბალი ფენების „მწვანელებლური“ ანუ „ერეტიკული“ კულტებიც. უმთავრესად გლახობაში რომ ვრცელდებოდა, რომლის მდგომარეობა VIII-VII საუკუნეებში, როგორც უკვე ვიცით, ძალიან სამძიმო იყო. ერთ-ერთი ასეთი კულტის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ეს გახლდათ დიონისეს მიწათმოქმედებითი კულტი. რომელსაც თავდაპირველად ჰქონდა სტიქიურ-ანარქიული ხასიათი. ჩვენ სრულიადაც არ ვიცით საკმარისად გლახობის იმ მასობრივი მოძრაობის მასშტაბი, რომელმაც საბერძნეთი მოიკცა მაშინ და რომლის ანარქელს წარმოადგენს დიონისეს „ორგიები“.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს დაბალი ფენების სარწმუნოებრივი მიმდინარეობა ბოლოს და ბოლოს ჩახშულ და ჩაქრობილ იქმნა. იგი შეიყვანეს ოფიციალურ კულტში სახმარებლად. დიონისე გამოაცხადეს ზევსისა და მომაკვდავი დედაკაცის შვილად და ოლიმპიელთა შორის ჩარიცხეს. გლახური სარწმუნოების დაკანონების ანუ „კანონიზაციის“ ეს პროცესი, რომელიც მომთავრდა ატიკაში პისისტრატეს დროს, იმან გააადვილა, რომ გლახობამ VII-VI საუკუნეთა რევოლუციის შედეგად მოიპოვა თავისთვის მოქალაქეობის უფლებანი.

ანალოგიური ევოლუცია განიცადა მეორე სამიწათმოქმედო კულტმაც, რომელიც დაკავშირებული იყო ელევსინის მისტერიებთან. იდეოლოგიურად ეს კულტი გაფორმდა დემეტრას იმ ქალის, პერსეფონეს ანუ კორეს, შესახებ მითით, აიღმა რომ მოიტაცა. წელიწადის მესამედ დროს პერსეფონე რჩება მიწისქვეშეთ ანუ ქვესკნელ სამეფოში, ხოლო გაზაფხულზე ის კვლავ უბრუნდება დედა-მიწას, თავის მშობელ დედას. მისი დაბრუნება მოასწავებს ბუნების აღდგომას, ბუნების გაღვიძებას ზამთრობით სიკვდილის შემდეგ. დემეტრე ამ მითში, როგორც ჩანს, განასახიერებდა პურის მინდორს, ხოლო პერსეფონე — მარცვალსა და თითონ მცენარეს. ამ კულტს ჰქონდა მისტიური ხასიათი, რომლის მიზანს შეადგენდა — განდობილნი ეზიარებინა მიწათმოქმედების საიდუმლოებას და ამასთანავე ერთად სიკვდილისა და სიკვდილის საიდუმლოებასაც. ელევსინის მისტერიებს, როგორც ჩანს, თავდაპირველად სახალხო ხასიათი ჰქონდათ და მხოლოდ შემდეგში მათ მიიღეს ოფიციალური სანქცია.

ახლა გადავიდეთ იმ საკითხზე, რომლითაც დავიწყეთ ეს თავი: როგორ, რა ნაირად შეეძლო ძველი საბერძნეთის შედარებით პრიმიტიულ ეკონომიურ ბაზისსა და პრიმიტიულ სოციალურ ურთიერთობას წარმოეშვა ეგოდენ მდიდარი და რთული სასულიერო ცხოვრება და სამყარო?

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავალში მარქსი აღნიშნავს:

ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი აყვავების პერიოდები სრულადაც არ შეეფარდება საზოგადოების საერთო განვითარებას. მაშასადამე, აგრეთვე მატერიალურ საფუძველს, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩონჩხს შეადგენს. მაგალითად, ბერძნები შედარებით თანამედროვე ხალხებთან ანდა აგრეთვე შექსპირი. (K. Маркс, К критике политическомъ экономии, Партиздат, 1933, стр. 35. შეადარე ქართული: მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ. ტფ., 1937, გვ. 50).

ეს სიტყვები ხაზს იმას უსვამენ, რომ არ შეიძლება ზედნაშენი უშუალოდ ბაზისისგან იქნას გამოყვანილი, მით უმეტეს ისეთი „ფაქიზი“ ზედნაშენი, როგორცაა ხელოვნება. მარქსი აქ აღნიშნავს, რომ ძველი ბერძნები ჩვენ გვაძლევენ არაჩვეულებრივ მაღალი ხელოვნების ნიმუშებს, იმ ხელოვნებისას, რომელიც არ შეესაბამებოდა ანტიკური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონეს. ხშირად სწორედ პრიმიტიული ბაზისი წარმოადგენს ხოლმე ხელოვნების ზოგიერთი დარგის უმაღლესი განვითარების წინამძღვარს.

მაშ რით-ღა იყო გამოწვეული ძველი ბერძნული საზოგადოების რთული იდეოლოგიური ზედნაშენი? ბერძნული იდეოლოგიის მაღალი აყვავება-გაფურჩქენის ძირითადი წინამძღვარი ის იყო, რომ მის სოციალურ ბაზისს წარმოადგენდა ანტიკური მონათმფლობელური პოლისი.

ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი მოქალაქეები თავისუფალნი იყვნენ ფიზიკური შრომისგან, ადამიანს რომ ძალ-ღონეს ულევს და უნთქამს მთელი დროსა და ზრუნვა ფიქრს. პრიმიტიული ანტიკური ტექნიკის პირობებში ფიზიკური შრომა შეიძლებოდა ყოფილიყო მარტო ისეთი შრომა, რომელიც ადამიანს სულს ართმევს და ასახიჩრებს. აქ იყო ჩამარხული მაღალი იდეოლოგიური შემოქმედების ერთ-ერთი წინამძღვარი. როცა ხალხის მასა, დაე თუნდაც „ხალხის მასა“ ამ სიტყვის ანტიკური, ე. ი. შეკვეცილ შეზღუდული გაგებით, განტვირთული იყო ფიზიკური შრომისგან და მას უშუალოდ არ უზრუნველყოფდა ლუკმა პურის შოვნაზე, აი მაშინ მის წინაშე იშლებოდა განვითარების ფართო შესაძლებლობანი.

პოლისის მოქალაქეებისთვის მონები მუშაობდნენ. ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ პოლისის ყველა მოქალაქეები უსაქმურები იყვნენ, რომ ანტიკურ საზოგადოებაში არ ყოფილა მშრომელი გლეხობა და თავისუფალი ხელოვნები. მშრომელი ელემენტები, რასაკვირველია, იყვნენ თავისუფალთა შორისაც. მაგრამ პოლისის განვითარების მბრძანებელი, გაბატონებული ტენდენ-

კუა იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ფიზიკური შრომა, მთელი მატერიალური წარმოება გადატანილი ყოფილიყო მონების ზურგსა და ძხრებზე.

მონათმფლობელური პოლისის წარმოადგენდა თანასწორობა რესპუბლიკას. ასეთი არქაული პოლისებიც კი, რომელთაც თან სდევდა არისტოკრატიზმის ძლიერი ელემენტები, აი თუნდაც როგორც სპარტა იყო, ისინიც კი თავისი ბუნებით დემოკრატიულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. პოლისის ნორმალური ტიპი იყო მონათმფლობელური დემოკრატია. ამრიგად იმ თავისუფალთა იდეოლოგიური შემოქმედება, რომელნიც განტვირთულ იყვნენ მატერიალურ წარმოებისგან, მიმდინარეობდა და ვლინდებოდა დემოკრატიულ გარემოში. და რა რიგ უბადრუკი და ცალმხრივი არ ყოფილიყო ანტიკური დემოკრატია იგი მაინც ავად თუ კარგად დემოკრატია იყო.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, რომ ანტიკური თეატრი მთლიანად წარმოადგენდა პოლისის ნაყოფს. განა შესაძლებელია იგი წარმოვიდგინოთ ანტიკური დემოკრატიის გარეშე, მისი ჩარჩოების გარეშე? განა შეიძლება ბერძნული სკულპტურა, ბერძნული მხატვრობა თავისი მონუმენტალური ხასიათით წარმოვიდგინოთ პოლისის ჩარჩოების გარეშე? აყვავების დროინდელი ბერძნული ხელოვნება იყო ხალხური ხელოვნება და ამაში არის ჩამარბული მისი მალალი განვითარებისა და კაცობრიობაზე ხანგრძლივი ზეგავლენისა და ზემოქმედების ერთ-ერთი საიდუმლოება.

ამხ. სტეციკმ მწერალთა ყრილობაზე გამოსვლის დროს თქვა: „და როცა ამ დღესასწაულზე („მწვანე თეატრში“. მოსკოვში რომაა კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში) დამსწრე მწერლებმა დაინახეს ათი ათასობით მაყურებელი. დაინახეს ეს უშველებელი ამფითეატრი ღია ცის ქვეშ, დაინახეს მჟავარე. ამფითეატრის თავზე ჩამოკიდებულიით რომ იყო, მაშინ მრავალს უნებურად აღედრა წარმოდგენაში ანტიკური საბერძნეთის დაუეიწყარი სურათები. სადაც ხელოვნება განუშორებლივ დაკავშირებული იყო ხალხთან... და არა გგონიათ თქვენ განა, რომ ეხლა ისტორიული განვითარების სხვა საფეხურზე. ელექტრონისა, რადიოს საუკუნეში, სოციალიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების საუკუნეში, ჩვენს ქვეყანაში ჩვენთან მოვდა, ჩვენთან დადგა ხელოვნების საუკეთესო დრონი, როცა ხალხი და ხელოვანი ერთს მთლიან ერთეულს წარმოადგენენ?“

ამრიგად ბერძნული იდეოლოგია განვითარდა დემოკრატიულ გარემოში. მაგრამ ეს გარემო ამასთანავე ერთად აღსავსე იყო დამძაფრებული კლასობრივი ბრძოლით. პოლისის ვიწრო ფარგლებში, მისი მჭიდროდ მოზინადრე მოსახლეობით, თავისუფლებისა და მონობის დაპირისპირებით. სიმდიდრისა და სიღატაკის კონტრასტით, კლასობრივ ბრძოლას ეძლეოდა არაჩვეულებრივი ინტენსივობა, რაც ჰქმნიდა ყველა საზოგადოებრივ ფორმის დინამიურობას.

ჰერაკლიტეს მოძღვრების გარჩევის დროს ჩვენ აღვნიშნეთ. რომ ჰერაკლიტეს დიალექტიკა და საერთოდ ბერძნული ფილოსოფიის დიალექტიკა არ შეიძლება გაგებულ იქმნას საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკის გარეშე.

უფრო მეტი ითქმის. თითონ ბერძნული ფილოსოფია შეიძლება დაგაჩნდეს. ნილსონი მარტო იმ დაპირისპირებათა და წინააღმდეგობათა გარემოში, რომელიც ჩნდებოდა კლასობრივი ბრძოლის პროცესში. რაიც ჩნდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფების შეხლა-შეტაკების შედეგად. ფილოსოფია ასახავდა იმ წინააღმდეგობათ, რაიც ადამიანის შეგნებაში არსებობდნენ. ხოლო ეს უკანასკნელი წინააღმდეგობანი იხადებოდა სოციალურ წინააღმდეგობებთან ერთად. და რაც უფრო მწვავე სახეს იღებდნენ ეს წინააღმდეგობანი კლასობრივი საზოგადოების განთიადისას, მით უფრო ხელსაყრელი იყო (სხვა თანასწორ ბრძოლებში) ფილოსოფიური შემოქმედებისათვის გარემო.

ბერძნული პოლისების უმეტესობა სავაჭრო პოლისებს წარმოადგენდა. არ უნდა გავაზვიადოთ ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის როლი ანტიკურ ხანაში. მაგრამ არც მათი შეუფასებლობაა. საკირო. ჩვენ ვიცით, რომ ანტიკური საზოგადოება თავისი ბუნებით წარმოადგენდა ნატურალურ საზოგადოებას; მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ანტიკური მონობა მისი ბერძნული ფორმით წარმოუდგენელი იყო გარეშე სყიდვა-გაყიდვის ფართოდ გავრცელებისა და განვითარებისა. ბერძნულ ვაჭრობას ჰქონდა ზერელე, ტერატორიულად შეზღუდული ხასიათი. იგი სრულიადაც არა ვრცელდებოდა მთელ საბერძნეთზე, იგი შეიცავდა მარტო სანაპიროს ვიწრო ზოლს. მაგრამ მთავარი იდეოლოგიური ღირებულებანი ხომ ბერძნული ხმელეთის არა ნატურალურ-კარჩაკეტილ ოლქში წარმოიქმნებოდა, არამედ ზღვის სანაპირო ზოლში, სადაც ფართოდ განვითარდა ვაჭრობა და ფუნქციონირებდა. იქ, სადაც ისევე, როგორც სპარტაში, ვაჭრობის დონე დაბალი იყო, სასულიერო ცხოვრებასაც მეტად პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა.

რაღა გავლენას ახდენდა ვაჭრობა ბერძნულ იდეოლოგიის განვითარებაზე? გავლენა იყო მრავალმხრივი და რთული. ფართო საგარეო ვაჭრობა უწინარეს ყოვლისა ბერძენ-ვაჭარს უქმნიდა ფართო თვალთახედვას, ხედვის არჩევანს, უფართოვებდა, უზრდიდა. ბერძნებმა გადასერეს მთელი ხმელთაშუა ზღვა და მის უზორეულეს კუთხეებსა და კუნძულებშიაც კი შეიარეს. იქ ისინი ხედებოდნენ სულ ნაირნაირ ხალხებსა და ტომებს, ხედავდნენ უცხო წინა-ჩვეულებებს, რაიც ოდნავადაც არ ემსგავსებოდა ბერძნულ ჩვეულებათ, აკვირდებოდნენ თავიანთთვის უცხო ბუნებას. ყოველივე ეს არაჩვეულებრივ აფართოვებდა ბერძენის ჰორიზონტს. განა შეიძლება ამას შევადაროთ ფერდალური საზოგადოებას ადამიანის შეზღუდული და ვიწრო ჰორიზონტი, რომელიც კარჩაკეტილი იყო იმ სოფლებსა და მამულებში, ქალაქებში, ვიწრო ადგილობრივ ბაზრებთან რომ იყვნენ დაკავშირებულნი? საგარეო ვაჭრობა ბერძნებში იწვევდა დაუღწეველ ცნობისმოყვარეობას, თავისუფლებას და აზრის მოქნილობას, ჰქმნიდა მათში თავისებურ კოსმოპოლიტიზმს. ვაჭრობა, დაბოლოს, ხელს უწყობდა აბსტრაქციის ნიჭისა და უნარის განვითარებას: უმახვილებდა უნარს სხვადასხვა ნივთ-საგნების შედარებისას და მათ შორის იმ საერთოსი იმ საყოველთაოს მონახვისას, რაც მათ ჰქონდათ, უნარს იმისას, რომ სამყაროს, მსოფლიოს მისდგომოდნენ ზომისა და რიცხვის თვალსაზრისით (აბსტრაქტულ-მათემატიკურ დისციპლინათა განვითარება).

ყოველივე ზემოთქმულს რომ მიეუმატოთ აღმოსავლური კულტურის დიდი განვითარება, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის კულტურული მემკვიდრეობის როლი ბერძნული კულტურის წარმოცენებაში, მაშინ ბერძნული იდეოლოგიის ამოცანა, „საბერძნეთის საკვირველება“ უკვე აღარ გვეჩვენება საკვირველებად და სასწაულად და იგი გადაიქცევა ისეთ ისტორიულ მოვლენად, რომელიც სასიკოცნლოდ აღძრეს გარკვეულმა ისტორიულმა მიზეზებმა.

XIII

მაკედონია და საბერძნეთი

მაკედონია მდებარეობს საბერძნეთის უკიდურეს ჩრდილოეთში (ეგეოსის აუზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. ქვემო მაკედონია ზღვას ემხრობოდა, ხოლო ზემო მაკედონია წარმოადგენდა მთა-გორიან ქვეყანას, რომელიც იყოფოდა მთელ რიგ მხარეებად: ლინკესტიდა, ორესტიდა და სხვ.; ზემო მაკედონიის ოლქები ვიდრე IV საუკუნემდე დამოუკიდებელი იყვნენ როგორც ერთი მეორისგან, ისე ქვემო მაკედონიისგან.

(მაკედონელები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ჩამორჩენილ ბერძნულ ტომს) მაკედონური სახელები და იქაურ ადგილთა სახელწოდებანი მიგვიჩვენებენ მათ ბერძნულ ხასიათზე. ბერძენ მწერალთა უმეტესობა მაკედონელებს თვლიდა ბერძნულ ტომად.

მაკედონიის სამხრეთით მდებარეობდა თესალია, დასავლეთით — ეპირი და ილირია; ჩრდილოეთით კი იყო თრაკია. თრაკიელებსა და ილირელებს ბერძენ-ბი ბარბაროსებად თვლიდნენ, ე. ი. არა ბერძენ ტომებად.

მაკედონიას V საუკ.-მდე თითქმის არ ჰქონია ზღვისკენ გასავალი, იმიტომ რომ სანაპირო ზოლი ნაწილობრივ ეკირა სხვა და სხვა წერილ ტომებს, ნაწილობრივ კი ბერძნულ ახალშენებს.

(მაკედონიის განმხოლოებული, იზოლირებული მდებარეობა და საბერძნეთის ისტორიული განვითარების ძირითად მაგისტრალზე დაშორებით ყოფნა — აი მისი ჩამორჩენილობის მიზეზები. IV საუკ.-მდე მაკედონიაში შერჩენილი იყო მეტად პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობანი.)

ქალაქები, როგორც სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები, თითქმის არ ყოფილა. მოსახლეობის უპირატეს საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მეჯოგეობა-მესაქონლეობა. ძირითადი მწარმოებლების — გლეხების — მასა თავისუფალი იყო. „სახელწოდებრივი წესწყობილება“ ძალიან წააგავდა ადრეულ ბერძნულ „პატრიარქალურ მონარქიას“.

უსაფუძვლოდ როდი ეძახიან IV ს. უწინარეს მაკედონიას ჰომეროსისეულ საზოგადოებას. სათემო-გვაროვნული ურთიერთობის დაცემა მაკედონიაში IV საუკ.-ზე ადრე არ მომხდარა. მაგრამ ეს პროცესი ოდნავადაც არ ყოფილა დათავებული, რადგანაც მაკედონიაში უფრო გვიანდელ ხანაშიაც კი მრავლად იყო დარჩენილი გვაროვნულ ურთიერთობათა გადანაწილები.

(V საუკ.-დან იწყება მაკედონიის გაერთიანება. თვითველ მის ოლქში იყვნენ თავადები, რომელნიც ბერძენ ბსილევებს წააგავდნენ) გვაროვნული ურ-

თიერთობის დაცემის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენდა მაკედონიის პოლიტიკური ცენტრალიზაციის პროცესი, რომელიც დაკავშირებული იყო კლასებისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარებასთან.

ქვემო მაკედონიის პირველ მეფედ იყო ალექსანდრე I-ლი, რომლის მმართველობა დასაბამი მისცა ამ გაერთიანების პროცესს; იგი მეფობდა ბერძენ-ირანელთა ომის დროს. ბერძენი მწერლები მას „ფილეტინს“ (ბერძენთა მეგობარს) ეძახიან, რადგან მან ძალიან ბევრი-რამ გააკეთა მაკედონიაში ბერძნული კულტურის გავრცელებისათვის. ალექსანდრე მარჯვედ და წარმატებით ებრძოდა მეზობლებს ზღვის სანაპირო ზოლის გამო და ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია ქვეყნის მთა-გორიანი ნაწილის დამოუკიდებელი მეფეები და თავადები.)

ამრიგად გაერთიანების ინიციატივა მოდიოდა ქვემო მაკედონიიდან და ეს ბუნებრივად იყო, მიტომ რომ ფულადი მეურნეობის განვითარებას უწინარეს ყოვლისა თავისი ძალა სწორედ აქ უნდა გამოეჩინა, ზღვის ახლოს და ბერძნულ მოვაჭრე ქალაქების მეზობლად. მათი მეშვეობით მონობა და ფულადი მეურნეობა ნელინელ შედიოდა ქვემო მაკედონიაში და აქ ამით სტიმულს აძლევდა კლასთა წარმოქმნის პროცესს. ალექსანდრე ფილეტინის მეფობის დროიდან იწყება მთელი საუკუნის განმავლობაში გავრცელებული პროცესი მაკედონიის გაერთიანებისათვის ბრძოლისა. ამ საუკუნის განმავლობაში წარმოებდა ქვემო მაკედონიის მეფეების მიერ თანდათანობითი დამორჩილება იმ მეფეებისა, რომელნიც სათავეში ედგნენ ზემო მაკედონიის დამოუკიდებელ ოლქებს.

ალექსანდრემ მომდევნო მოადგილეები განაგრძობენ მისი ელინიზაციის პოლიტიკასაც, ითვალისწინებდნენ რა სამართლიანად მაკედონიისათვის ბერძნული კულტურის დიდ მნიშვნელობას, და აგრეთვე ცენტრალიზაციის პოლიტიკასაც.

მათ შორის პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ალექსანდრეს შვილიშვილს, მეფე არქელაოსს, რომელიც მაკედონიას განაგებდა პელოპონესის ომის მეორე ნახევრის დროს. თუკიდიდე შენიშნავს, რომ „არქელაოსმა უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ყველა რვა, მის წინათ მყოფმა, მეფემ ერთად“.

არქელაოსმა დაიწყო სამხედრო საქმის რეფორმა, რომელიც შემდეგში დაამთავრა ფილიპემ; აგებდა ციხე-სიმაგრეებს; გაჰყავდა გზები და, თუკიდიდეს თქმისა არ იყოს, „ყოველივე წესრიგში მოიყვანა“.

ალექსანდრესავით არქელაოსიც თავის კარზე თავს უყრიდა ბერძნული კულტურის დიდ, თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ასე მავალითად. მის კარზე რამოდენიმე ხანს ცხოვრობდა ევრიპიდე, რომელმაც დასწერა ტრაგედია მაკედონიის ცხოვრებიდან „არქელაოსის“ სათაურით.

არქელაოსი თავის კარზე იზიდავდა ადგილობრივ მაკედონიის წარჩინებულებსაც და ამით ცდილობდა მათთვის დამოუკიდებლობის ჩამორთმევას.

არქელაოსის მეფობის დროს, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩვენის მწირი წყაროების მიხედვით, ფულადი მეურნეობა მაკედონიაში წინ მიდის. არქელაოსმა ჩაატარა ფულის ანუ მონეტის საქმის რეფორმა, რაიც იმაში გა-

მოიხატა, რომ ვერცხლის მონეტის წონა შეამცირა. მის დროს, როგორც ჩანს, იზრდება ფულის რაოდენობა და მაკედონიაში პირველად ჩნდება სპილენძის ფული.

ყოველ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაკედონიაში მდებარე ბერძნულ ახალშენების ძლიერი ზეგავლენით IV საუკ.-ში განვითარებას იწყებს ფულადი მეურნეობა და მონათმფლობელური სისტემა.

ცენტრალიზაციის ცდებს დიდი და ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა ოლქების სამეფო გვართა მხრივ და ადგილობრივ წარჩინებულთა მხრივაც, რომელნიც კიდევ დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ ქვემო მაკედონიის მეფეთა ყოველგვარ გამაერთიანებელ ღონისძიებათ.

არქელაოსის სიკვდილის შემდეგ, რომელიც ალბათ დაიღუპა შეთქმულთა ხელთ, დაიწყო რეაქცია; ერთი მხრით იგი მიმართული იყო ქვემო მაკედონიის მეფეთა ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით, — ბერძნული კულტურის წაგააღმდეგ, რათა შეენარჩუნებინათ ძველის ძველი მაკედონური წესები და ქვეყნებანი.

ამ რეაქციის მთავარი მატარებლები იყვნენ ზემო მაკედონიის წარჩინებული გვარები, რომელნიც ნაწილობრივ უკვე შედიოდნენ მაკედონიის მეფის კარის მსახურთა შემადგენლობაში, ნაწილობრივ კი კვლავინდებურად თავთავიანთ ადგილებზე ცხოვრებას განაგრძობდნენ; ისინი ძალიან გავლენიანები იყვნენ, რადგანაც ქვემო მაკედონიის მეფეებისთვის სამხედრო საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოეყვანათ თავისი ლაშქრები.

არქელაოსის სიკვდილის შემდეგ იწყება ძალა-უფლებისათვის სისხლის მღვრელი ბრძოლის ხანგრძლივი პერიოდი თავადურ გვართა წარმომადგენლებს შორის. ამ ბრძოლას მხარს აძლევდნენ მაკედონიის ბერძენი და არა ბერძენი მეზობლები, რომელთათვისაც ხელსაყრელი იყო მისი დასუსტება.

(მართო ფილიპე მეორემ შესძლო IV ს. ნახევარში მაკედონიის გაერთიანება და მაკედონიის სახელმწიფოს შექმნის პროცესის მომთავრება.)

იგი განაგებდა 359-დან 336 წლამდე მაკედონიის ჯერ როგორც მეურვე; თავის არასრულწლოვანი ძმისწულის ამინტასი. მაგრამ სულ მალე მან ჯარის დახმარებით ხელთ იგდო ძალა-უფლება და იგი შეფედაც იქმნა გამოცხადებულად.)

ფილიპე ძალიან თვალსაჩინო ფიგურა იყო.

ბერძენი ისტორიკოსი თუკიდამსე, მას თვლის ყველაზე უფრო დიდ და თვალსაჩინო მოღვაწედ, რომელთაც კი იცნობდა იმდროინდელი ევროპულ სამყარო.

თავისი ახალგაზრდობა ფილიპემ გაატარა საბერძნეთში, სადაც კარგად გაეცნო ბერძნულ კულტურას. გარდა ამისა, მან მშვენივრად შეისწავლა ბერძნულ სახელმწიფოთა მდგომარეობა, რამაც შემდეგში არამცირედი და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მაკედონიის საგარეო პოლიტიკაზე.

(ფილიპემ თავის მმართველობის პირველ წლებშივე მოახერხა ილირიელებისა და თრაკიელების მოგერიება, მოსპო სამეფო ტახტის მოცილე პრეტენდენტები და მთელი ძალა-უფლება ხელთ იგდო.)

ფილიპემ გაატარა მთელი რიგი დიდი რეფორმები. ერთი ასეთი უმნიშვნელოვანეს რეფორმათაგანი იყო მაკედონიის რეგულარული არმიის ორგანიზაციის მომთავრება, მომთავრება იმ ორგანიზაციისა, რაიც დაიწყო ჯერ კიდევ არქელაოსმა. ფილიპემ დაამთავრა მძიმედ შეიარაღებული ქვეითა ჯარის მოწყობა მით, რომ დააარსა სახელოვანი მაკედონური ფალანგა, იგი ბერძნული ფალანგისგან იმით განირჩეოდა, რომ მაკედონიის უფრო ხშირი გლეხური მოსახლეობის შესაბამისად წარმოადგენდა უფრო კომპაქტურსა და უფრო ღრმა რაზმულს. იგი ეწყობოდა სიღრმე 16 მწკრივამდე, ხანდახან მეტი მწკრივის მოცულობითაც.

ფალანგიტები შეიარაღებულნი იყვნენ დიდი ფარით. მახვილით და გრძელი მაკედონური შუბით (სარინსატი), სარისას სიგრძე 5 მეტრამდე ჰქონდა. ამიტომ უკანა მწკრივები სარინსებს აწყობდნენ წინა მწკრივების მხრებზე. ამრიგად პირველი რიგების სარისები გამოწვდილი იყო პირველი მწკრივების წინ და გამოდიოდა შუბ-აყრილი მასა. ეს მძიმედ შეიარაღებულ მეომართა შეპყრობებული უშველებელი მასა, დიდი ფარებით დაფარული, რომელიც მოძრაობდა როგორც ერთი მთლიანი რამ, მართლაც წარმოადგენდა არაჩვეულებრივ მრისხანე ძალას. თუ ადგილ-მდებარეობის პირობები მარჯვე და ხელსაყრელი იყო, თუ კი ადგილი სწორი ანუ ვაკე იყო, მაშინ ფალანგა უძლეველ ძალას წარმოადგენდა. რადგან მაშინდელი სამხედრო ტექნიკის პირობებში მისი გათეღვა ან ნაწილებად დაქსაქსვა არავითარ ძალას არ შეეძლო.

მაგრამ ყველა ამ თავის მაღალ საბრძოლო თვისება-ღირსებასთან ერთად მაკედონური ფალანგის ჰქონდა სერიოზული ნაკლიც. პირველ ყოვლისა, მას შეეძლო წარმატებით მოქმედება მარტო ვაკე სწორ ადგილას; მერე: ფალანგის არ შეეძლო წყობის შეცვლა, ეს წყობის შეცვლა დაუშვებელი იყო, რადგან იგი არ იყოფოდა უფრო წვრილ ტაქტიკურ ერთეულებად და მოქმედებდა როგორც ერთი მთლიანი რამ. ამიტომ ფალანგის საწინააღმდეგო ადგილებს წარმოადგენდნენ მისი ზურგი და ფალანგები ანუ ფრთები. მათი დაფარვისათვის და დასაცავად იყენებდნენ მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითა ჯარს. ამ უკანასკნელ ნაწილს ჯარისას, როგორც ჩანს, აგროვებდნენ გლეხობის უღარიბეს ფენებს შორის, მაშინ როდესაც მძიმედ შეიარაღებული ქვეითა ჯარი იყებოდა უფრო შეძლებული ელემენტებით.

მაკედონური არმიის სიამაყედ ითვლებოდა აგრეთვე მისი მძიმე ცხენოსანი ჯარი. რომელიც ჯაფშნოსან მხედრებისგან შესდგებოდა მის მოწყობას ის გარემოება აადვილებდა, რომ ჩრდილოეთი საბერძნეთი ძველითგანვე განთქმული იყო მეტებნეობით. (მძიმე ცხენოსანი ჯარში მსახურობდნენ მაკედონიის დიდკაცის შვილები, რომელთაც ეწოდებოდათ მეფის „ჰეტერები“, „ამხანაგები“ მძიმე ცხენოსანი ჯარის გარდა მაკედონიის არმიაში ფართოდ იყენებდნენ ნახევრად რეგულარულ ცხენოსან რაზმებსაც, რომელნიც გამოჰყავდათ ფილიპესაგან დამოკიდებულ თრაკიელებსა და ილირიელების ტომებს.

ფალანგის მოქმედება მძიმე და მსუბუქ ცხენოსანი ჯარის რაზმებთან ერთად იმდენად ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, რომ მას ვერ უძლიებდა

არა მარტო ბერძნული ლაშქარი, არამედ პროფესიონალურა მოჭირავენ არმიებიც კი.

მაკედონიის არმიის მაღალი მებრძოლი თვისება-ღირსებანი გარდა მისი ტაქტიკური წყობისა კიდევ იმით აიხსნებოდა, რომ მას ჰქონდა დიდი სიმკვრივე-მჭიდროობა და დისციპლინა. განსასხვავებლად ბერძნულ მოჭირავენ ჯარებისგან ფილიპეს არმია წარმოადგენდა, ასე ვთქვათ, „ნაციონალურ არმიას“: მას ძირითადად აგროვებდნენ მაკედონელ-გლეხობაში და წარჩინებულთა შორის. აქ დიდ პლიუსს შეადგენდა თითონ მაკედონიის საზოგადოებრივი წესწყობილების პრიმიტიულობა, სადაც ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია.

საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ ციხე-სიმაგრეების გარემოცვის დროს ფილიპემ დაიწყო სხვადასხვა მექანიკურ მოწყობილობათა ხმარება. რომელნიც შემდეგში არაჩვეულებრივ ფართოდ გაერცელდა სამხედრო საქმეში. ფილიპეს დროს დაარსდა აგრეთვე მაკედონური ფლოტიც.

ფილიპემ შესძლო ბოლომდე მიეყვანა მაკედონიის პოლიტიკური ცენტრალიზაცია. მის დროს, სამუდამოდ მოისპო ზემო მაკედონიის უკანასკნელი თავისუფალი ოლქის — ლინკესტიდას — დამოუკიდებლობა. ფილიპე ენერგიულად იყენებდა ადგილობრივ დიდკაცებს არმიის სამსახურში. და ითრევდა მათ თავის დედაქალაქის, ქალაქ პელას კარის ცხოვრებაში.)

არისტოკრატიული ახალგაზრდობა თავის სამსახურს კარზე იწყებდა „პაჟებარს“ თანამდებობით; ეს ახალგაზრდობა სხვადასხვა შოგაღვობას ასრულებდა მაკედონიის მეფის პიროვნების მომსახურეობისათვის. ეს პაჟები თანდათანობით შედიოდნენ უმაღლეს კარის წარჩინებულთა წრეში. მათგან სდგებოდა განსაკუთრებული რაზმი, მაკედონიის მეფის დამცველი; იმავე წრიდან ინიშნებოდნენ მაკედონიის დიპლომატიური წარმომადგენლები და მაკედონური არმიის უფროსი სარდლები. დასასრულს წარჩინებულთაგანვე იყო შემდგარი მაკედონიის უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, მეფის ჰეტერთა საბჭო.

ფილიპესი და მისი შვილის ალექსანდრეს მთავარ მოღვაწეთა უმრავლესობა ეკუთვნოდა მაკედონელ წარჩინებულთა წრეს, რომელნიც საბოლოოდ ჩააბეს გაერთიანებულ სახელმწიფოს ცხოვრებაში. და თანდათან დასცილდნენ თავიანთ ძველს ადგილობრივ ტრადიციებს. მაგრამ მაკედონიის ყველა ძველი დიდკაცი როდი შერჩებოდა მაკედონიის მეფეთა პოლიტიკას, რომელმაც მათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა წაართვა. ამ წარჩინებულთა ერთ ნაწილს კიდევ ჰქონდა შერჩენილი ძველი ტრადიციები, ძველი ოცნებანი დაკარგულ დამოუკიდებლობაზე. სწორედ ეს ნაწილი მაკედონიის დიდკაცობისა გადაიტაცა რეაქციის ბუდედ და საყრდენად, რომელმაც თავი იჩინა ფილიპეს მეფობის ბოლო ხანებში. მაგრამ ფილიპეს ყველა ჰეტერი როდი ეკუთვნოდა ძველ წარჩინებულთა წრეს, რაც მაკედონიის ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცის თვალსაზრისით დადებით ფაქტს წარმოადგენდა, მიტომ რომ სწორედ ჰეტერთა არაგვაროვნულ წარჩინებულებზე შეეძლოთ მაკედონის მეფეებს ადვილად დამყარება.

თეოპომპე ამბობს, რომ „მის (ე. ი. ფილიპეს. — ს. კ.) ჰეტერებად იყვნენ სხვადასხვა ადგილებიდან თავმოყრილი პირნი: ერთნი თითონ მაკედონიიდან.

მეორენი თესალიიდან, მესამენი დანარჩენი ელადიდან, და ამორჩეულნი იყვნენ ისინი არა დიდკაცობის მიხედვითო“. ამ შემთხვევაში თეოპომპე სცდება, იმიტომ რომ ჰეტერების თვალსაჩინო ნაწილი შესდგებოდა მაკედონელ წარჩინებულთაგან, მაკედონიის მეფეთა ბუნებრივ დასაყრდენს რომ წარმოადგენდნენ. მაგრამ ამასთანავე ერთად ისიც ექვს-გარეშეა, რომ მაკედონელი მეფეები, კერძოდ ფილიპე, ფართოდ იზიდავდნენ ჰეტერთა შემადგენლობაში ახალ პირებსაც — მაკედონელებსა და არამაკედონელებს. სწორედ ეს ჰეტერები, რომელნიც დაკავშირებულნი არ იყვნენ ძველ გეოგრაფიულ ბუდეებთან, ეს ახალი წარჩინებულნი, რომელთა წრე შექმნეს ფილიპემ და ალექსანდრემ, წარმოადგენდნენ მაკედონური ცენტრალიზმის მთავარ დასაყრდენ ძალას, მაშინ როდესაც ძველ წარჩინებულთა რიგებიდან ხშირად გამოდიოდა „ნაციონალურ“ — მაკედონური გეოგრაფიული რეაქცია, რომელთანაც საკმაოდ ბევრი ბრძოლა მოუხდათ ფილიპესა და ალექსანდრეს.

მაკედონური წარჩინებულების წრის ეკონომიურ ბაზისს წარმოადგენდა მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელიც აქ გაცილებით უფრო მსხვილი იყო, ვიდრე საბერძნეთში, რადგან თითონ ქვეყნის ხასიათი შესაძლებლობას იძლეოდა მიწების გაცილებით უფრო მეტი კონცენტრაციისას, ვიდრე ეს იყო საბერძნეთში.

იმავე თეოპომპესთან შემდეგ შენიშვნას ეპოულობთ:

„მე ვფიქრობ, რომ იმ დროს (ე. ი. ფილიპეს დროს, — ს. კ.) ჰეტერების რიცხვი 800-ზე მეტი არ იყო, ხოლო მიწა, რომლის შემოსავლითაც ისინი სარგებლობდნენ, იმაზე ნაკლები კი. არა ჰქონდათ; რაც გააჩნდა ათი ათას ბერძენს, რომელნიც ფლობდნენ საუკეთესო და ყველაზე უფრო ფართო მიწებს“ — ო.

ეს აბსოლუტური ციფრები მგონი რომ ნაკლებ სარწმუნოა, მაგრამ თითონ შედარება, თეოპომპე რომ იძლევა, ძალიან დამახასიათებელი და ნიშნობლივია, რადგან ხაზს უსვამს ჰეტერების მსხვილ მიწათმფლობელობას.

სამწუხაროდ, თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია მაკედონიაში უშუალო მწარმოებლების მდგომარეობის შესახებ ფილიპესა და ალექსანდრეს დროს. წყაროები ამაზე თითქმის არაფერს არ გვეუბნებიან, და მარტო ზოგიერთი არაპირდაპირი მითითებისა და ჩვენების მიხედვით თუ შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნის მიღება-გამოყვანა.

მაკედონიას მთელი თავისი ისტორიის სივრცეზე აგრარული ხასიათი ჰქონდა. წმინდა მაკედონურ ქალაქებს ჩვენ ძალიან ცოტას ვიცნობთ. ისინიც კი, რომელნიც მაკედონურ ქალაქებად ითვლებოდნენ (ეგი, პელა), უფრო საადმინისტრაციო ცენტრებს წარმოადგენდნენ, ვიდრე საეკონომიკურ-სამრეწველო ცენტრებს. დანარჩენი ქალაქები, რომელნიც შემდეგში მაკედონიაში შევიდნენ (პიდნა, ამფიპოლისი და სხვ.). ან ბერძნული ქალაქები იყვნენ. ფილიპემ რომ შემოიერთა, ან კიდევ წარმოადგენდნენ მის მიერ თრაკიაში დაარსებულ ახალ-შენებს.

მაკედონიის მოსახლეობის ძირითადი მასა, უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასა, როგორც ჩანს, შესდგებოდა წერილ მესაკუთრეებისგან, გლეხე-

ბისგან. მონებს მაკედონიაში წყაროები არ იხსენიებენ. რასაკვირველია, აქედან ის კი არ გამომდინარეობს, რომ მაკედონიაში მონობა სრულებით არ ყოფილა. აპრიორულად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ მაკედონიის განვითარება მიმართებოდა მონათმფლობელური სისტემის გზით. სხვანაირად არც შეიძლება და ყოფილიყო. თუ მხედველობაში მივიღებთ მონათმფლობელური საბერძნეთის სიახლოვეს. სრულიად დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მაკედონიაში, რომელსაც უმჭიდროესი ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთთან და რომელიც თავის ფარგლებში იქცეოდა ბერძნულ ახალშენებს, გაჩენილიყო საბერძნეთისგან განსხვავებული წარმოების წესი. მაგრამ რამდენად იყო მაკედონიაში მონობა განვითარებული ფილიპესა და ალექსანდრეს დროს, ამაზე არაფრის თქმა არ ძალგვიძს. როგორცა ჩანს, მონობა მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა ექსპლუატაციის გაბატონებული ფორმა.

გლახობა მასობრივად მაშინ ჯერ ისევ თავისუფალი იყო. ჩვენი წყაროები მაკედონელებს ჩვეულებრივად იხსენიებენ თავისუფალ ხალხად. მაგრამ ამ წყაროებში არის ერთგან ხსენებული მაკედონელი გლახების რაღაც პირადი ბეგარა-გადასახადები. ასეთ ცნობას ვხვდებით არიანეს, რომის უპოჭის გვიანდელი მწიგნობის ხაზრომში, რომელიც წარმოადგენს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიისათვის მთავარ წყაროს. არიანე მოგვიტყობს იმას, თუ როგორ ბრძანა ალექსანდრემ დაკრძალვა იმ ქვეითა ჯარისკაცებისა. რომელნიც მოიკლნენ გრანდკთან ბრძოლის დროს. მათი მშობლები და ბავშვები კი, — განაგრძობს იგი, — ალექსანდრემ განათავისუფლა საადგილ-მამულო გადასახადებისგან, აგრეთვე ყოველგვარ სხვა ბეგარისგან. ასევე ქონებრივ გადასახადებისგანაც. მაგრამ გლახების ეს პირადი ბეგარა-გადასახადები, როგორც ჩანს, უნდა გვესმოდეს. სახელმწიფო გადასახად-ბეგარის მნიშვნელობით და არიანეს ჩვენებაც არავითარ საფუძველს არ იძლევა იმის მტკიცებისათვის, რომ მაკედონიის გლახობის ძირითადი მასა რაიმე დამოკიდებულება-ურთიერთობაში ყოფილიყო მსხვილ მიწათმფლობელებისგან. ასეთი მტკიცების სისწორე კიდევ იმით დასტურდება, რომ ფილიპესა და ალექსანდრეს დროის მაკედონიის პოლიტიკური წესწყობილება არსებითად რჩებოდა იმ სამხედრო დემოკრატიის წესწყობილებად, რომელმაც მიიღო მხოლოდ მეტი ცენტრალიზმის იერი და ნიშნები.

ასე, მაგალითად, ფილიპესა და ალექსანდრეს დროს დიდი როლის თამაშს განაგრძობდა სახალხო კრება. იგი ისევე, როგორც ოდესღაც საბერძნეთში, გამოდიოდა სამხედრო ყრილობის სახით, შეიარაღებული ხალხის ყრილობის სახით. სახალხო კრებას არა მარტო შეფეები აჰყავდა ტახტზე, არამედ ჰქონდა აგრეთვე სასამართლო ფუნქციებიც: მის ხელთ იყო სამართალი სახელმწიფო დანაშაულის საქმეებისა. სახალხო კრების ასეთი მდგომარეობა ვერ შეეგუებოდა გლახობის ძირითადი მასის დამოკიდებულ მდგომარეობას.

მაკედონიაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰეტეროთა საბჭოს. მას უნდა განეხილა საგარეო და საშინაო პოლიტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები. ალექსანდრეც კი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს სწყვეტდა თავის ჰეტერებთან ერთად. ესეც აგრეთვე ლაპარაკობს მაკედონიის პოლიტიკურ წესწყობილების პრიმიტიულობაზე.

(ფილიპეს საშინაო ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს კიდევ ფულის რეფორმა. იგი მდგომარეობდა ბიმეტალიზმის სისტემაზე გადასვლაში საბერძნეთში არსებობდა ვერცხლის ვალუტა ისევე, როგორც მაკედონიაში ფილიპემდე, მაგრამ თრაკიაში მდინარე სტრიმონზე პანგეეს ოქროს მანდების ხელში ჩაგდებისა და ენერგიული დამუშავების შემდეგ, საიდანაც მაკედონიის ხაზინას წელიწადში 1000 ტალანტზე მეტი ოქრო შემოსდიოდა, ოქროს რაოდენობა მაკედონიასა და საბერძნეთში ძალიან გაიზარდა) ეს იყო აგრეთვე დაკავშირებული საბერძნეთში ირანის ოქროს დატრიალებასთანაც, რაც მოხდა ირანის არმიაში მომსახურე ბერძენ მოქირაუნების მეშვეობით (ოქროს მოპოვების გაზრდამ და ირანის ოქროს ფულის ადგილობრივად დატრიალებამ გამოიწვია ოქროს კურსის დაცემა.)

შეიძლება დავადგინოთ, რომ V საუკ.-ში ვერცხლის მიმართება ოქროსადმი გამოიხატებოდა ციფრებით 1:14, 1:13, ხოლო IV საუკ.-ში იგივე შეფარდება ასეთი პროპორციით არსებობდა: 1:12 და 1:11.

უკვე პელოპონესის ომის ხანაში ზოგიერთმა ბერძნულმა სახელმწიფომ დაიწყო ნაწილობრივად ბიმეტალიზმზე გადასვლა. ფილიპემ ეს პროცესი მოამთავრა. ის ტოვებს ძველ ვერცხლის ვალუტას და ოქროს ვალუტასაც აწესებს. ძირითადად ერთეულს წარმოადგენდა ათენური სტატერი (2 დრაქმა). ოქროსი რომ იჭრებოდა (ფალიპიკი). ამასთან ერთად მაკედონიაში დარჩა ვერცხლის ფულიც. ფილიპე ამ ფულს სჭრიდა როდოსის სისტემის მიხედვით. IV საუკ.-ში როდოსი წინაურდება როგორც მსხვილი საეპრო ცენტრი. და როდოსს ვერცხლის ვალუტა მეტოქეობას იწყებს ათენურ ვალუტასთან. ფილიპეს უნდოდა როდოსის ვალუტა გამოეყენებინა ათენთან ბრძოლაში და საფუძვლად უდებს არა ათენის ვერცხლის ვალუტას, არამედ როდოსისას და ვერცხლის ძირითად ერთეულად ხდება როდოსის ვერცხლის დრაქმა, რომელიც გაუთანაბრდა ფილიპიკის ერთ ოცდამეათედ ნაწილს. |

ალექსანდრეს დროს აზიის დაპყრობამ საბრუნავად იმდენად დიდ ძალი ოქრო გამოუშვა, რომ მისი ღირებულება კიდევ უფრო დაეცა. ოქროსა და ვერცხლის შორისი შეფარდება, ფილიპეს დროს რომ დაწესდა, ახლა დაირღვა, ამიტომ ალექსანდრემ ხელი აიღო ბიმეტალიზმზე და ისევ ვერცხლის ვალუტაზე გადავიდა.

(ფილიპეს შინაგანმა რეფორმებმა (პოლიტიკური ცენტრალიზაციის დამთავრებამ, ძლიერი არმიის შექმნამ, ფინანსების ორგანიზაციამ) მას შესაძლებლობა მისცეს არაჩვეულებრივად განეფითარებინა ენერგიული საგარეო პოლიტიკა.

იგი სამი მიმართულებით მიდიოდა.

პირველი მიმართულება წარმოადგენდა „ბარბაროსებთან“ -- ილირიებთან. თრაკიელებთან და სხვებთან -- ძველი ბრძოლის გაგრძელებას. ფილიპემ დაიწყო მათ წინააღმდეგ მთელი რიგი ლაშქრობანი და ძალიანაც გააფართოვა მაკედონიის საზღვრები ჩადილოუთიხუს-

მეორე მიმართულებაც ასევე ძველი ტრადიციის გაგრძელება იყო: ბრძოლა თრაკიის სანაპიროში არსებულ ბერძნულ ახალშენებთან.

მაგრამ იყო მესამეც: ახალი მიმართულება, რომელსაც ძალიან დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: ეს იყო მოძრაობა სამხრეთისკენ, ბრძოლა თესალიისათვის და საბერძნეთში შექრა.

დაწყებული 357-დან ვიდრე 348 წლამდე მთელი თრაკიის სანაპირო პინდიდან მოკიდებული ჰელესპონტომდე გადავიდა ფილიპეს ხელში, ხოლო პროპონტიდის ქალაქებთან კავშირი იქმნა დადებული.

ფილიპეს წარმატება ამ მიმართულებით აიხსნება არა მარტო მაკედონური არმიის სამხედრო უპირატესობით, არამედ მაკედონიის დიპლომატიის მუშაობათაც, რომელიც ძლიერი იყო თავისი ოქროთი. ტყუილად ჩოდი მიაწერდნენ ფილიპეს ამ ანდაზას: „არაა/ქალაქებს ისეთი მთავალი გალავანი, რომელსაც ვერ გადააბიჯებს ოქროთი დატვირთული ვიროც“. თრაკიის სანაპიროს დაპყრობაში არამცირედი როლი ითამაშა მოსყიდულობითა და ვაჭრობით. გათასსირებულ ვახრწნილ ბერძნულ გარემოში ოქროს მეოხებით ძალიან ბევრი-რამის გაკეთება შეიძლებოდა.

კუნდა ისიც აღინიშნოს, რომ ათენმა ვერ გაუწია საკმაოდ ენერგიული წინააღმდეგობა ფილიპეს, როცა ის თრაკიის სანაპიროს ქალაქებს ერთი მეორეზე იღებდა და ეპატრონებოდა. მართალია, ათენი ეომებოდა ფილიპეს, მაგრამ საბერძნეთის მდგომარეობა ამ ხანებში ისეთი იყო, რომ ენერგიული ბრძოლის გაშლა მაკედონიის მეფესთან ათენისთვის ძნელი საქმე იყო.

თრაკიის ხელში ჩაგდებასთან პარალელურად ხდება ფილიპეს ჩარევა ბერძნულ საქმეებში. ამ ჩარევას აქვს თავისი გრძელი და რთული ისტორია.

სამისოდ პირველ საბაბს წარმოადგენდა ეგრეთწოდებული სალდო ომი, იმ თებულების ომი ფოკიდასთან, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ დაევიწყნათ იმის წინათ ახლად დამსობილთა თავისი ჰეგემონია. მათ შორის ბრძოლა იმით დათავდა, რომ ფოკიდელებმა დაარბიეს და გაძარცვეს დელფოს ტაძრის საგანძური (356 წ.), ამ ფულით მშვენიერი ჯარი გაიჩინეს და აგრესიული პოლიტიკა გააჩაღეს შუა საბერძნეთსა და თესალიაში. თესალიის დიდებულებმა დახმარებისათვის მიმართეს ფილიპეს. თესალიის მოწოდება-მიმართვა ფილიპესთვის მარჯვე საბაბს წარმოადგენდა ბერძნულ საქმეებში ჩასარევეად. ის გამოცხადდა თესალიაში და 352 წ. დაამარცხა ფოკიდელები. ამ გამარჯვების შემდეგ ფილიპემ დაიმორჩილა თესალია და მაგრად მოიკიდა ფეხი ჩრდილო საბერძნეთში. ესეც კია, შემდგომი ნაბიჯის გადადგმა ველარ მოახერხა ფილიპემ. რადგანაც ათენელებმა, სპარტელებმა და აქეველებმა დაიპირეს თერმოპილის ვახვალი და ფილიპე აღარ შეუშვეს შუა საბერძნეთში.

346 წ. ფილიპესა და ათენს შორის დაიდო ეგრეთწოდებული ფილოკრატის ზავი (ათენის რწმუნებულის სახელის მიხედვით). ამ ზავის თანახმად ათენმა იცნო ფილიპეს ყველა ის დაპყრობანი, რაც კი მანამდე მომხდარიყო. ფილიპეს წარმატებამ ჩრდილოეთში და მისმა ჩარევამ ბერძნების საქმეებში არაჩვეულებრივად შეასხა ფრთები და იმედები გაუცხოველა მაკედონიის მიმართ ბერძენ მღიღარ მონათმფლობელებს; მათთვის მაკედონიის ძალი იყო, რომელიც ბოლოს მოუღებდა საბერძნეთის დაქუცმაცებასა და დაცემას. ისოკრატე წეროლებს უგზავნის ფილიპეს და არწმუნებს მას მიიღოს ის პროგრამა, რომელიც

წამოყენებული იყო 380 წელსვე „პანეგირიკში“. მაგრამ ისოკრატეს გარდა, რომელიც მაკედონური ორიენტაციის მთავარი იდეოლოგი იყო, იყვნენ კიდევ მთელი რიგი ათენის სხვა მოღვაწენი — მაკედონიის მომხრენი, მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა ბრწყინვალე ორატორს ესკინეს. ბოროტი ენები ლაპარაკობდნენ, რომ ის ფილაბეს მიერ მოქრთამულ-მოსყიდული იყო.

ესკინეს გარდა მაკედონიის მომხრე იყო სტრატეგოსი ფოკილი, რომელიც ეკუთვნოდა ათენის ერთ-ერთ უძველეს გვარს, ფინანსისტი ევბული და სხვები.

(ანტიმაკედონური პარტიის საყოველთაოდ ცნობილ მეთაურად ითვლებოდა დემოსთენე) მსხვილი მრეწველ-მონათმფლობელის შვილი იყო იგი და, როგორც ზემოთ დავინახეთ, მან ვერ მიიღო მამისგან დატოვებული მემკვიდრეობა, რომელიც მასმა მეურვეებმა გაფლანგეს, და იგიც იძულებული შეიქნა ეექილობისთვის მოეკიდა ხელი.

(დემოსთენე გახდა ათენის დემოკრატიის მეთაური და ფილაბეს მხურვალე მოწინააღმდეგე) დემოსთენეს პოზიციას ნაწილობრივ ასახავდა იმ ზოგიერთ მოვაკრე-მრეწველ ჯგუფების ინტერესებს, რომელთაც ჯერ კიდევ იმედი არ გადაეწევიდათ თავის ინტერესებისა და მიხედვით. ათენის დემოკრატიის გამოყენებისა; ნაწილობრივ კი დემოსთენე გამოიმხატველი იყო ათენის ლარბი მოსახლეობის ფართო წრეების ინტერესებისა, რომელსაც არ სურდა ხელი აეღო კმევა-კვებისა და გაცემა-დარიგებათა უკვე გამტკიცებულ სისტემაზე. მაკედონელი მეფის დიქტატურა კი, ცხადია, მომასწავებელი იქნებოდა ლუმპენ-პროლეტარიატის ძალა-უფლების აღსასრულისა.

ათენთან 346 წ. ზავის დადების შემდეგ ფილიპემ გაათავა „სალთო ომი“ თებელეზისა და თესალიელების დავალებით მან ფოკიდა დასაჯა და თავისა და თავის ჩამომავლობისათვის მოიპოვა ადგილი ამფიქტიონების საბჭოში და უფლება პითიის-ასპარტეზობის ხელმძღვანელობისა, დელფოს ამფიქტიონია წარმოადგენდა ბერძნულ სახელმწიფოთა ძალიან ძველ კავშირს და მისი პირვანდელი მიზანი იყო დელფოს ტაძრის დაცვა. ამფიქტიონიას განაგებდა საბჭო, რომელშიაც შედიოდნენ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები. დელფოს ამფიქტიონიამ IV საუკუნეში უკვე დაკარგა ჭავისი ძველი ხასიათი და ვადაიქცა სამედიატორო სასამართლოს მსგავს დაწესებულებად, შუა საბერძნეთის საქმეების გამრჩევ ორგანოდ; რეალურად ამფიქტიონიას დიდი ძალა არა ჰქონია, მაგრამ ამფიქტიონთა საბჭოს მორალური წონა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი იყო. აი რატომ იყო ფილიპესთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი აქ ხმის უფლების მოპოვება. ათენის დემოკრატიული პარტია ძალა-უნებფრად უნდა შერიგებოდა ფილიპეს ამ ჩარევას ბერძენთა საქმეებში.

344 წ. პელოპონესის ზოგიერთმა სახელმწიფომ ფილიპეს მიმართა და სთხოვა დახმარება სპარტის წინააღმდეგ; ამ საქმეშიც ფილიპეს შესაძლებლობა მისცა პელოპონესის საქმეში ჩარევისა. მართალია, დემოსთენე ხილათვე გაემგზავრა იკითონ სააგიტაციო მიზნით, უნდოდა როგორმე დაეთათბირებინა პელოპონესის სახელმწიფოები, რომ მათ ხელი აეღოთ მაკედონიის მეფის დახმარებაზე, უარ ეყოთ იგი, მაგრამ ეს გამგზავრება უშედეგო აღმოჩნდა.

342 წ. ფილიპემ ხელთ დაიხვია ანტიმაკედონური პარტიის ცდა ფესალიაში ამბოხების დაწყებისა და თესალია მაკედონიის პროვინციად აქცია)

ამასთანავე ერთად. ფილიპე ავრცელებს თავის გავლენას ეგებზე, ეპირსა და ეტოლიაზე. შედეგად ამისა მთელი ჩრდილო საბერძნეთი. მაკედონური პოლიტიკის სფეროში მოექცა. ფილიპეს წარმატებამ დააფრთხო შუა საბერძნეთი და იგი იძულებული გახდა რეალური ზომები მიეღო მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და იერიშების მოსაგერიებლად.

(მაკედონური პარტია ათენში დროებით ჰკარგავს პოპულარობას. დემოსთენე ფაქტიურად დიქტატორი ხდება. ამ დროს იწყება ახალი „საღეთო ომი“ ლოკრიდის ქალაქის ამფისას წინააღმდეგ, რომელმაც უკანონოდ დაიპყრო ქალაქ ერისას „საღეთო“ ტერიტორია. საბაბი აშკარად მოჩამახული იყო და, როგორც ჩანს, მთელი ომი ესქინეს პროვოკაციით იყო მოწყობილი; ესქინე ამფიქტიონთა საბჭოში. ათენის წარმომადგენლად ითვლებოდა და თანაც ფილიპეს მომხრე იყო. საბჭომ დაავალა ფილიპეს ომის წარმოება. 339-338 წლის ზამთარში ფილიპე შეიჭრა შუა საბერძნეთში, დაანგრია ამფისა და ძლიერი პოზიციები დაიკავა ქალაქ ელატეუს ახლოს ჩრდილო ფოკიდაში.

მაშინ ანტიმაკედონურ კავშირს უერთდება თებეც, რომელსაც სტრატეგიული პოზიციები, ფილიპემ რომ დაიჭირა შუა საბერძნეთში, საფრთხეს უქმნიდნენ.

ასე წარმოიქმნა ბერძნულ სახელმწიფოების ძლიერი ანტიმაკედონური კოალიცია ათენის მესვეურობით და იფეთქა უკანასკნელმა გადამწყვეტმა ომმა ამ კოალიციასა და მაკედონიას შორის.

338 წ. აგვისტოში ბეოტიაში ქერონეასთან მოხდა ბრძოლა. მოპირდაპირეთა ძალები დაახლოვებით თანასწორი იყო: ბერძენ მოკავშირე სახელმწიფოებს ჰყავდათ 30.000-მდე მეომარი, ფილიპესაც დაახლოვებით ამაღნივე ჰყავდა, ოღონდ მაკედონურმა ფალანგამ აქ თავისი ბრწყინვალე უნარიანობა გამოიჩინა და ბერძნებიც დამარცხებულ იქმნენ.)

ქერონეასთან ბრძოლას დროს მარცხენა ფრთას მაკედონური არმიისას სარდლობდა ფილიპეს ვაჟი ალექსანდრე, რომელიც მაშინ 18 წლისა იყო.

(ბერძნების შემუსვრა ქერონეასთან ნიშნავდა იმას, რომ მაკედონიის წინააღმდეგ საბერძნეთში რეალური სამხედრო ძალა აღარ არსებობდა.)

უპირველეს ყოვლისა ფილიპე თებეს ეკვეთა: კადმეა დაიკავა მაკედონურმა გარნიზონმა; თებეს კავშირი მოსპეს. (ათენი შეემზადა სასტიკი წინააღმდეგობის გასაწევად, რადგან მოელოდა, რომ მაკედონიის არმია ათენისკენ დაიძროდა. მაგრამ ფილიპემ, წინააღმდეგ ანტიმაკედონური პარტიის მოლოდინისა და ფიქრისა, ათენს მოულოდნელად შესთავაზა ზავი და კავშირი. ფილიპეს კარგად ესმოდა, რომ არ შეიძლებოდა ისე უბრალოდ და პირდაპირ აეღო ათენი. აკროპოლისში მაკედონური გარნიზონი ჩაეყენებინა და ამით საქმე გაეთავებინა. ის, რაც თებეს მიმართ შეიძლებოდა მაკედონიის მოემოქმედნა, ძნელი იყო ათენის მიმართ. ათენის აღება ფილიპესთვის პოლიტიკურად ხელსაყრე-

ლი არ იყო. მეტად დიდი იყო საბერძნეთში ათენის ავტორიტეტი, მიუხედავად ყველა იმ დამცილებისა, რომელიც ათენმა გამოიარა უკანასკნელ ხანებში.

ფილიპეს არ სურდა საბერძნეთში ისეთი საშიში მტერი გაეჩინა, როგორიც შეიძლება ათენი გამხდარიყო, მას რომ იგი გაესრისა და შეემუსრა. მან გადასწყვიტა ათენთან ზავის დადება იმ ვარაუდით, რომ ასეთი გზით, მაკედონურ პარტიასზე დამყარებული იგი შესძლებდა ყველა იმის გატარებას, რაც მას უნდოდა.

ათენის ანტიმაკედონურმა პარტიამ ალტაცებით მიიღო ფილიპეს წინადადება, რადგანაც მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და იგი ბედის მადლობელი უნდა ყოფილიყო, რომ ათენი ასე იოლად და იათად გადაარჩა. მაკედონურ პარტიასზე ხომ ლაპარაკი აღარ უნდა.

ეს ზავის მიხედვით ათენმა შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და აგრეთვე თავის საზღვაო სამფლობელოთა ნაწილიც. რაიც წარმოადგენდა ათენის მეორე საზღვაო კავშირის ნაშთს. ეს ნაშთი ფილიპემ დაუტოვა ათენს. ეს იყო კუნძულები-დელოსი, სამოსი, ლემნოსი, იმბროსი და სალამინი. მათი შენარჩუნება ფილიპესთვის საშიში არ იყო, ათენის თავმოყვარეობას კი ამით ასიამოვნებდა, ათენი ამით თავს მოიწონებდა.

შეგრამ სამაგიეროდ ათენმა დაქარგა თრაკიის ქერქონესში ამრეგად მან დაქარგა სრულტეებზე მბრძანებლობა.

ყველა ბერძნულ სახელმწიფოში ფილიპეს დახმარებით ხელისუფლება ჩაიდგინეს ხელთ მაკედონური ორიენტაციის საზოგადოებრივმა ჯგუფებმა; ეს უზრუნველყოფდა მაკედონიის მეფის ფაქტიურ გავლენას საბერძნეთის შინაურ საქმეებზე. საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები დაიკავეს მაკედონურმა გარნიზონებმა. ამის წყალობით ფილიპეს ყოველთვის, როცა კი მოისურვებდა, შეეძლო ჩაეჭრო ყოველგვარი ანტიმაკედონური მოძრაობა. თუ კი იგი საშიშ სახეს მიიღებდა.

საბერძნეთი დაემორჩილა საქმის ასეთ ვითარებას. მართო ერთმა სპარტამ განაცხადა უარი მაკედონიის ჰეგემონიის აღიარებაზე; მაშინ ფილიპემ აღმხედრა მას უახლოესი მეზობლები პელოპონესში, რომელნიც კარგა ხანია ექიშპებოდნენ სპარტას და მათ განადგურეს და აიკლეს მთელი სპარტის ტერიტორია.

338 წ. ბოლოს ფილიპემ კორინთოში მოიწვია პანელლური კონგრესი, ყველა ბერძნული სახელმწიფოს წარმომადგენელთა ყრილობა, რომ გაეთორმეზინა საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობა და საქმის ვითარება.

კორინთოს კონგრესზე იყვნენ ყველა ბერძნულ სახელმწიფოს წარმომადგენლები, გარდა სპარტასი, რომელიც მტკიცედ და შეუხრეველად წინააღმდეგი იყო სრულიად საბერძნეთის გაერთიანებაში შესვლისა.

ყრილობაზე მიიღეს მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთაც განსაზღვრეს საბერძნეთის განვითარება უახლოეს ათწლეულის მანძილზე. ეს გარდაწყვეტილებანი იმითაა საინტერესო, რომ ისინი წარმოადგენდნენ ისოკრატეს პოლიტიკური პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას.

სწრალობამ გაათორმა ყველა ბერძნულ სახელმწიფოს კავშირს/ კავშირის ძირითად ამოცანად აღიარებულ იქმნა სამოქალაქო ზავის დაცვა. საკავშირო საბჭოს თვალყური უნდა ედევნებინა იმისათვის, „რომ მოკავშირე სახელმწიფოებში არ მომხდარიყო გაძევებანი ან სიკვდილით დასჯა, არსებულ კანონთა წინააღმდეგ, აგრეთვე კონფისკაციები, ვალების პატიება, ქონებათა გაყოფა და მონათა განთავისუფლება გადატრიალების მიზნებითო“. ამგვარად, კავშირს ბოლო უნდა მოეღო სამოქალაქო ომის მდგომარეობისათვის, რაიც ტიპიური იყო IV საუკ.-ში ბერძნულ სახელმწიფოთა შინაგანი ცხოვრებისათვის.

შემდეგ, იკრძალებოდა კერძო ომები, ე. ი. ომები ცალკე სახელმწიფოებს შორის ელინთა ფედერაციის ფარგლებში.

ცხადდებოდა სამიმოსვლო გზებისა და ზღვაოსნობის თავისუფლება: „საზავო ხელშეკრულებაში მონაწილეებს შეუძლიანთ თავისუფლად იმგზავონ ზღვაზე და არაფინ ამაში მათ დაბრკოლება არ უნდა გაუწიოს; არც ხელთ იგდონ მათი ხომალდები“.

ორი უკანასკნელი დადგენილება მიმართული იყო იმ დაუსრულებელი ომების წინააღმდეგ, რომელთა გამოისობით შეუძლებელი ხდებოდა ვაჭრობა და ზღვაოსნობა.

კავშირში შემავალი ცალკეული სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ-დამოუკიდებლობას და თავისუფლებას რაიმე გადასახადების მათზე გაწერისას.

ამასთანავე ერთად მიღებულ იქმნა დადგენილება, რომლის ძალით არ შეიძლებოდა იმ სახელმწიფო დაწესებულებათა შეცვლა-გაკეთება, რომელნიც კი ბერძნულ ქალაქებში არსებობდნენ კავშირის შეკვრის მომენტისთვის. ამ დადგენილების აზრია — სტატუს ქველ-ს-სტაბილიზაცია; ე. ი. იმ შეძლებულ ზედადენის ხელისუფლების განმტკიცება, რომელიც მეგობრულად იყო განწყობილი მაკედონიის მთავრობის მიმართ. კონგრესის ყოველგვარ დადგენილებათა შესრულების მეთვალყურეობისათვის არსდებოდა საკავშირო საბჭო (სინოდი); რომელიც შესდგებოდა ყველა მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან. როგორც სასამართლო ორგანო სინოდი თვალყურს ადევნებდა ყოველივე იმას, რომ კონგრესის არც ერთი დადგენილება არ ყოფილიყო დარღვეული და მრღვევლებს ეპყრობოდნენ; როგორც დამნაშავეებსა და ბოროტმოქმედებს.

როგორ-ღა იყო გაფორმებული მათი ურთიერთობა მაკედონიის მიმართ? მიღებულ იქმნა ძალიან მოქნილი ფორმულა, რომელიც აკმაყოფილებდა ფილიპესაც, საბერძნეთის ფაქტიურ მფლობელს, და თავისუფლებას შეჩვეულ ბერძნულ სახელმწიფოებსაც.

ბერძნულ სახელმწიფოთა ფედერაციამ შეპკრა მაკედონიის მეფესთან „საუკუნო“ მოგერიებითი და შეტევითი კავშირი. მაკედონიის მეფეს მიენდო ელადის მთელი სამხედრო ძალების უმაღლესი სარდლობა, — თუმცა მხოლოდ გარკვეულ მიზნისთვის, ირანთან ომის საწარმოებლად.

კონგრესის უკანასკნელი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ირანისთვის ომის გამოცხადება. მას დასაბუთება წმინდა ისოკრა-

ჩრებური მიეცა: „რათა ირანელებს სანაცულო მიეზღას ყოველივე მათ მიერ ბერძნულ ტაძრების მიმართ ჩადენილ — შეურაცხყოფათა და მკრებელობისათვის“—ო. ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა. თუ ამ იდეოლოგიური ფორმულის ზურგს უკან, ისიც მთელი 150 წლით მოქველებული ფორმულის ზურგს უკან, რა რეალური მიზნებიც იმალებოდა.

კორინთოშივე განსაზღვრეს სამხედრო კონტინგენტები. რაიც ცალკე ბერძნულ სახელმწიფოებს უნდა გამოეყვანათ და მაკედონურ ჯარებისთვის შეეერთებინათ.

ირანისთვის ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით დადგენილი იყო — ბერძენთაგან ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო და სადაც არ უნდა ყოფილიყო ეგიპტოსა და სირიის მიმართ დადგომა სამსახურში მაკედონური მეფის წინააღმდეგ. ამ დადგენილებას მხედველობაში ჰყავდა ის უთვალავი ბერძენი მოქირავნეები; რომელიც იყვნენ ირანის მეფის სამსახურში...

336 წ. მაკედონური არმიის ავანგარდმა, ფილიპეს საუკეთესო სარდლის პარმენიონისა და ფილიპეს ნათესავის აგალის უფროსობით, გადალახა პელესპონტო და ფეხი შესდგა მცირე აზიის ტერიტორიაზე. ირანთან ომი დაიწყო.

მაგრამ ამ მომენტში ფილიპე მოკლულ იქმნა.

ამ ამბის გასაგებად საჭიროა მოკლედ გავეცნოთ მაკედონიის მეფის ოჯახურ საქმეებს. ფილიპეს თავის მეორე ცოლისგან ოლიმპიადასგან. რომელიც ეპირის მეფის ქალი იყო და თანაც მეტად უფლებსმოყვარული და სასტიკი დედაკაცი. 356 წელს ვფოლა ვაჟი ალექსანდრე.

ფილიპეს უნდოდა ალექსანდრესთვის საუკეთესო განათლება მიეცა და ორი წლის ფანაშელობაში (345-დან 343 წლამდე) მის აღმზრდელად ჰყავდა ბრისტოტელე. ამრიგად, ალექსანდრემ მიიღო წმინდა ბერძნული განათლება. იგი უფრო მეტად იყო ბერძენი, ვიდრე მისი მამა.

ფილიპე პატარაობიდანვე ასწავლიდა და წვრთნიდა ალექსანდრეს საომრად. ამზადებდა მისგან თავისთვის ღირსეულ მოადგილეს. თექვსმეტი წლიდან ალექსანდრე მონაწილეობას იღებდა ფილიპეს ლაშქრობაში და უკვე 18 წლისა ქერონეასთან ბრძოლის დროს სარდლობდა მაკედონური არმიის უაღრესად პასუხსაგებ მარცხენა ფრთას.

რომ კარგად გავიგოთ ის გარემო, რომელიც მაკედონიის მეფის კარზე მოეწყო IV ს. ნახევარში, საჭიროა აღინიშნოს, რომ იქ, ამ კარზე, განაგრძობდა არსებობას და ბრძოლას ორი დაჯგუფება, რომლებიც დიდი ხნის წინათ იყო ჩამოყალიბებული და რომელთაც პირობითად შეიძლება დაუძახოთ ბერძნული და მაკედონური პარტიები.

ბერძნულ პარტიას შეადგენდნენ უმთავრესად წერილ მომსახურე დიდკაცების წარმომადგენლები, ფილიპეს ის პეტერები; რომელიც არ შედიოდნენ ძველ გვაროვნულ დიდკაცობაში, თუმცა მათ შორის ისეთებიც ერივნენ, რომელიც ძველ წარჩინებულთა წარმომადგენლები იყვნენ და საესეებით და მთლიანად ფილიპეს მხარეზე იყვნენ გადასულები (მაკედონური ცენტრალიზმის თვალსაზრისზე იღვანენ). ბერძნულ პარტიაში ბევრი იყო არამაკედონური ელე-

მენტიც. მაკედონური პარტია შეიცავდა უმთავრესად ძველ მაკედონურ არისტოკრატიულ გვარების წარმომადგენლებს, რომელთა შორის მრავალს ეერ დავიწყნა თავისი ძველი დამოუკიდებლობა და იღუმალ გულისა ოცნებობდა აღედგინა იმ ცალკე ოლქების ოდინდელი თავისუფლება, რომელიც შევიდნენ გაერთიანებულ მაკედონიის ფარგლებში. ეს პარტია გამოდიოდა და ილაშქრებდა ბერძნული გავლენის წინააღმდეგ, უცხოურ ახალ-ახალ წამოწყებათა წინააღმდეგ, საერთოდ ბერძნული კულტურის წინააღმდეგ.

ფილიპეს მეფობის დროს მაკედონურ პარტიას თავდაპირველად დიდი წონა არა ჰქონდა. მაგრამ ფილიპეს საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით მისი მეფობის მეორე ნახევარში ძლიერდება მაკედონელ წარჩინებულთა წრის გავლენა.

ფილიპეს მეუფეარდა ერთი ახალგაზრდა ქალი ძველი მაკედონური გვარისა. ამ ქალს კლეოპატრა ერქვა. მისი ბიძა სწორედ ის ატალი იყო, რომელიც პარმენიონთან ერთად 336 წ. ფილიპემ გაგზავნა ირანელების წინააღმდეგ.

ფილიპე იმდენად სერიოზულად იყო გატაცებული კლეოპატრათი, რომ მან გადასწყვიტა ოლიმპიადასთან გაყრა. ამ ნიადაგზე მეუღლეებს შორის მოხდა საშინელი უთანხმოება. ალექსანდრემ დედას მისცა მხარი. ამის შედეგად ალექსანდრეც და ოლიმპიადაც იძულებული შეიქნენ მაკედონიიდან წასულიყვნენ.

ამასთან ერთად სახელმწიფოდან განდევნილ იყო მთელი რიგი ბერძნული პარტიის წარმომადგენლები, ალექსანდრეს მეგობრები, ალექსანდრესეული ეპოქის მომავალი მოღვაწენი. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ პტოლემე, ლაგეს შვილი, რომელიც შემდეგში შეიქმნა ეგვიპტეში პტოლემეების დინასტიის დამაარსებელი, ნეარქოსი, ალექსანდრეს ფლოტის მომავალი უფროსი, პარპალი და სხვები.

ალექსანდრე მალე დაბრუნდა მაკედონიაში, სადაც მოხდა კიდევ მისი მამასთან შერიგება. მაგრამ ოლიმპიადა კი ეპირში დარჩა თავის ძმასთან, ეპირის მეფესთან.

ალექსანდრეს დაბრუნების შემდეგ მაკედონიაში პარტიათა ბრძოლა სამეფო კარზე განახლდა, რადგანაც ალექსანდრეს იქ არყოფნის განმავლობაში ყველა გავლენიანი თანამდებობა მაკედონიის სამეფო კარზე დაექირათ ძველი მაკედონური წარჩინებული წრის წარმომადგენლებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა კლეოპატრაც. ამ მომენტში ფილიპე მოკლულ იქმნა.

ფილიპეს მიმართ მტრულად განწყობილი საზოგადოებრივი აზრი საბერძნეთისა და აგრეთვე მაკედონური საზოგადოების გარკვეული წრეები ფილიპეს მოკვლაში ბრალსა სდებდნენ ოლიმპიადას და ალექსანდრეს. ეს შეხედულება. ეს თვალსაზრისი ასახულია ჩვენს წყაროებშიც. პლოტარქოსი ალექსანდრეს ბიოგრაფიაში ამბობს, თითქოს ოლიმპიადამ და ალექსანდრემ იცოდნენ, რომ მკვლელობა მზადდებოდა და ამას ხელი არ შეუშალესო. ეს აზრი საკმაოდ დასაბუთებულ აზრად იყო მიჩნეული. ფილიპე განშორდა ოლიმპიადას, ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქალი, რომლისგანაც დღე-დღეზე ბავშვს მოელოდნენ. ეს ბავშვი რომ ვაჟი აღმოჩენილიყო, რაც სავსებით შესაძლებელ საქმეს წარ-

მაღვანელა. მაშინ ფილიპე წაართმევდა ალექსანდრეს სამეფო ტახტს და მემკვიდრედ გამოაცხადებდა კლეოპატრას ვაჟს. გამოდიოდა ისე, რომ ოლიმპიადა და ალექსანდრე უეჭველად დაინტერესებულნი იყვნენ იმაში, რომ ფილიპე გზიდან ჩამოეცილებინათ.

მაგრამ მთელი გარემოს ანალიზი იძულებულს გვეყოფს იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ არც ოლიმპიადამ და არც ალექსანდრემ არა იცოდნენ რა შეთქმულების შესახებ და მით უმეტეს მათ არ მიუღიათ ამ შეთქმულებაში მონაწილეობა. უკანასკნელ ხანებში ფილიპეს მოკვლამდე მამასა და ალექსანდრეს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა. ფილიპე, როგორც ჩანს, არ აპირებდა ვაჟი ფილისთვის სამეფო ტახტის წართმევას, მით უფრო რომ კლეოპატრას ქალი გაუჩნდა. ოლიმპიადასთან შერიგებაც კი მზადდებოდა.

შეთქმულების მთავარი მონაწილენი იყვნენ ზემო მაკედონიის ოლქის ლინკესტიდიდან თავადის გვარის წარმომადგენლები. შეთქმულებს ჰქონდათ გარკვეული გეგმა, იმაზე გამიზნული, რომ ფილიპეს მოკვლის შემდეგ მოხდებოდა მაკედონიის დანაწილება-დაქუცმაცება და რომ ისინი კვლავ მოიპოვებდნენ ძალა-უფლებას ლინკესტიდაში.

მაგრამ შესაძლებელია, რომ შეთქმულების ნამდვილი სულას ჩამდგმელი, ნამდვილი გული და ჯგუფური იყო ირანი; შეთქმულებას სუბსიდია ეძლეოდა ირანული ოქროთა და მხარს უჭერდა ირანისავე დიპლომატია. ირანისათვის სწორედ იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ფილიპე სწორედ ამ მომენტში ჩამოეცილებინა გზიდან. ალექსანდრე ახალგაზრდა იყო და ირანს იმედი ჰქონდა ფილიპეს მოკვლით თუ აღმოსავლურ ლაშქრობის საბოლოო ლიკვიდაციას ვერ მოახერხებდა, ყოველ შემთხვევაში მის გადადებას, ვადის გახანგრძლივებას მაინც შესძლებდა.

ირანელებმა გამოიყენეს უკმაყოფილება, ძველის-ძველ მაკედონურ წარჩინებულთა წრეში რომ იყო, და შეთქმულება მოაწყვეს. შემდეგ ხანებში ირანის მეფესთან ოფიციალურ მოლაპარაკების დროს ალექსანდრე პირდაპირ ბრალს სდებდა ირანის მთავრობას იმაში, რომ მან მოგზაუნა ფილიპეს მკვლელები. ფილიპეს უშუალო მკვლელი იყო ვინმე პაესანია, რომელმაც ეგაში (მაკედონიის ძველ სატახტო ქალაქში) 336 წ. დრესასწყაულის დროს განგმირა ფილიპე.

XIV.

ალექსანდრეს ლაშქრობა აღმოსავლეთში და „მსოფლიო მონარქია“.

ალექსანდრეს პიროვნებამ, ირანის დაპყრობამ და უშველელელი მონარქიის წარმოქმნამ, ყველა ამ აზებზეა. მთელი ანტიკური სამყარო რომ შესძრეს და შეაჩვიეს, არაჩვეულებრივ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე და წარმოშვა ურიცხვი ისტორიული ლიტერატურა, რომლის დიდი უმრავლესობა ჩვენამდე არ მოსულა. ალექსანდრეს ისტორიას ჩვენ ვიცნობთ გვიანდელი, მეტ შემთხვევაში რომის ეპოქის მეორეხარისხოვანი მწერლების საშუალებით. პირველი ადგილი აქ ჩვენ უნდა დაუთმოთ უკვე ზემოთ მოხსენებულ არიანეს მცირე აზიის ქალაქ ნიკომიდიიდან, რომაელ სენატორს, რომელსაც იმპერატორ ადრიანეს დროს (ჩვ. წელთაღ. II ს.) ეჭირა იმპერატორის ნაცვლის თუ მოადგილის თანამდებობა კაპადოკიაში. არიანემ კარგი წყაროების მიხედვით დასწერა ალექსანდრეს ლაშქრობის ისტორია („ანაბაზისი“ 7. წიგნად.) ბევრ მასალას ფილიპესა და ალექსანდრეს ისტორიისათვის იძლევა დიოდორეს XVI და XVII წიგნები. მრავალ საგულისხმეოროს, ოღონდ არა ყოველთვის სანდო ცნობებს გადმოგვცემს პლუტარქოსი ალექსანდრეს ბიოგრაფიაში. როგორც ჩანს, დიდი ღირებულება ჰქონდა ავგუსტოს დროის რომაელ ისტორიკოსის, პომპეუს ტროგეს, შრომას. სამწუხაროდ, მისი ძსოფლიო ისტორია არ მოსულა ჩვენამდე ორიგინალის სახით, მან მოაღწია მარტო ეინმე რიტორის იუსტინეს მიერ უნიკოდ გადამუშავებული ნაწარმოების სახით (იგი ცხოვრობდა ჩვ. წ. II თუ III საუკ.-ში). რამოდენიმედ მნიშვნელობა აქვს რომაელი ისტორიკოსის კურციუს რუფეს „ალექსანდრეს ისტორია“-საც (მისი ცხოვრების დრო არ ვიცით: როგორც ჩანს, იგი ცხოვრობდა ჩვ. წელთაღ. I ს. ბოლოს და II ს. დასაწყისში).

(ფილიპეს მოკვლამ არაჩვეულებრივ დაძაბული მდგომარეობა შექმნა არა მარტო თითონ მაკედონიაში, არამედ ყველგან, სადაც კი მისი, მაკედონიის, გავლენა იყო გავრცელებული.)

საფრთხე და საშიშროება უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ შეთქმულები ემზადებოდნენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის და ალექსანდრეს ჩამოცილებისათვის.

საბერძნეთში ფილიპეს მოკვლის შემდეგ თავი წამოჰყო ანტიმაკედონურმა პარტიამ. დემოსთენე საღღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი და გვირ-

გვინით თავზე გამოცხადდა ათენის საბჭოს სხდომაზე და დამსწრეებს მიულოცა „ტირანის“ დაღუპვის სასიხარულო ამბავი. „ხოლო აი ის ტუტრუსანა ალექსანდრე ჩვენთვის საშიში არ არისო“, დაუმატა მან.

საშიში მდგომარეობა შეიქმნა ბარბაროს ტომების (თრაქიელების ~~აღი-~~რიელების და სხვ.) საზღვარზე. მათ ძველი ანგარიშები ჰქონდათ ფილიპესთან.

უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა კლეოპატრას ბიძა ატალი, რომელიც მცირე აზიაში მაკედონურ ავანგარდს ედგა სათავეში. თუმცა ატალი ფილიპეს მომხრე იყო და შეთქმულთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, მაგრამ, როგორც კლეოპატრას ბიძა, დაინტერესებული იყო იმაში, რომ ალექსანდრე ხელისუფლებამდე არ მიეშვა.

ალექსანდრე იმან იხსნა, რომ მას მხარი მისცეს მაკედონური საზოგადოების ფართო ფენებმა, რომელთაც არ მოსწონდათ მაკედონელ დიდკაცობის ზრახვა-მისწრაფებანი. ჰეტერების უმეტესობა და ელიზების ძირითადი მასა მთლიანად ალექსანდრეს მხარეზე დადგა.

მათზე დამყარებულს ახალგაზრდა მეფეს დიდი შრომა არ დასჭირებია, რომ ყოველგვარი დაბრკოლება დაეძლია და მათი ლიკვიდაცია მოეხდინა.

უპირველეს ყოვლისა მიღებულ იყო ზომები, რომ ატალს ენება არ მოეტანა. მცირე აზიაში გაიგზავნა ალექსანდრეს ერთგული ადამიანი, რომელმაც ატალი მოჰკლა კიდევ, ხოლო პარმენიონმა სწრაფად დააწყენარა ჯადი, რომელსაც ატალი საამბოხოდ აქეზებდა.

საჭირო იყო საბერძნეთში ლაშქრობის აჩქარება, სანამ იქ რაიმე სერიოზული მოძრაობა დაიწყებოდა. (ალექსანდრე სწრაფად შეიქრა საბერძნეთში და განაახლა ხელშეკრულება ელიზურ კავშირთან, ფილიპეს დროს რომ იყო დადებული.)

ამის შემდეგ ის დაბრუნდა მაკედონიაში. იმ ხანებში ატალი მოკლულ იქმნა, ხოლო ოლიმპიადამ შეილის ადგილობრივად არყოფნის დროს მოსპოა ალექსანდრესადმი მტრულად განწყობილ დაჯგუფებათა ყველა წარმომადგენლები. სიკვდილით დასჯილ იქმნა ამინტა, ფილიპეს ძმისწული, რომელიც მან ხელისუფლებას ჩამოაშორა ჯერ კიდევ 359 წ. და ალექსანდრესთვის საშიში იყო როგორც სამეფო ტახტის კანონიერი პრეტენდენტი.

მოკლულ იქმნა კლეოპატრაც თავისი ქალით.

335 წ. ალექსანდრე ლაშქრობს ჩრდილოეთისკენ. მისი არმია აქ თვით დუნაიმდე მიაღწევს, ხოლო მერე ილირიისკენ გაემართება.)

ამ დროს საბერძნეთში ირანის ზეგავლენით კვლავ წამოჰყოფს თავს ანტიმაკედონური პარტია. ირანის დიპლომატებმა დემოსთენეს პირად განკარგულებაში გადასცეს 300 ტალანტი. ამ ფულს იგი ხარჯავს ანტიმაკედონური პარტიის ორგანიზაცია-მოწყობასა და განმტკიცებაზე, ამავე დროს მას მიწერა-მოწერა აქვს ირანის არმიის სარდლებთან.

ალექსანდრეს დიდი ხნით ყოფნამ ჩრდილოეთში ხელი შეუწყო ხმების გავრცელებას — ალექსანდრე დაიღუპა ილირიელებთან ბრძოლაშიო. ამ ხმებს დიდის გულმოდგინებით აერცვლებდნენ ანტიმაკედონური ელიმენტები და გვიან ხმები საბერძნეთში აჯანყების საბაბად გადაიქცა.

აჯანყების ნიშანი მისცა თებემ, სადაც მაკედონური გარნიზონი იმყოფებოდა. თებელები აჯანყდნენ და ალყა შემოარტყეს მაკედონელებს, რომელნიც კალპეაში ჩაიკეტნენ.

ალექსანდრემ. გაიგო თუ არა ეს. არაჩვეულებრივი სისწრაფით ვაღმრთა-რა ლირიიდან შუა საბერძნეთში. და თებელები, რომელთაც კადმეა ჰქონდათ გარემოცული, თ.თონვე ალყა-შემორტყმულთა მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. კალპე აღებულ იქმნა ორმხრივი დაკვრით: კადმეის მხრიდან და მინდერის მხრივ. ალექსანდრემ გადანაწყვიტა ბერძნებისთვის სიმტკიცის მაგალითი ეჩვენებინა: თებე მთლად საძირკველიანად იქმნა დანგრეული, ხოლო მოსახლეობა მოწეხად იყო გასყიდული.

თებეს განადგურებამ მშვიდობიანობა აღადგინა საბერძნეთში. ანტიმაკედონური პარტია უძლური აღმოჩნდა, ათენმა ვერ მოასწრო აჯანყება და. როცა ალექსანდრემ თებე აიღო, მას ელჩები გაუგზავნა და გამარჯვება მიულოცა. ალექსანდრე ათენისა და საერთოდ საბერძნეთის მიმართ განაგრძობდა დათმენის, ტოლერანტობის პოლიტიკას: მან ანტიმაკედონური პარტიის მეთაურთა გაცემაც კი არ მოითხოვა.

335 წ. შემოდგომაზე ალექსანდრე მაკედონიაში დაბრუნდა. ახლა მას შეეძლო დაეწყო ირანის ლაშქრობისთვის მზადება ამ ლაშქრობას ის ძალა იყო მოწადინებული, რადგან სურდა ბერძენი გმირების სახელი და ღირსება მოეხვეჭა, მეტადრე მისი საყვარელი აქილევსის სახელი.

335-334 წ. ზამთარმა სამზადისში გაიარა. (334 წ. გაზაფხულზე მაკედონიაში თავის მოადგილედ ალექსანდრემ დასტოვა ერთ-ერთი თავისი მეტად ერთგული მომხრე ანტიპატრე, მისცა მას ჯარი საკმაო რაოდენობით, რომ ზურგის მშვიდობიანობა უზრუნველყოფილიყო, თითონ კი მთავარი არმიით პელესპონტო გადალახა.)

ალექსანდრეს ჯარის რიცხვი ძალიან მცირე იყო. მის განკარგულებაში იყო ქვეითა ჯარი დაახლოებით 30.000-მდე, 5000-მდე ცხენოსანი ჯარი და 150-160 ხომალდი, რომელნიც არმიას თან მისდევდნენ სანაპიროს გაყოლებაზე და მაკედონიასთან კავშირს იჭერდნენ.

იმ სამხედრო ძალების მცირე რიცხოვნობამ, რომლითაც ალექსანდრემ თავისი ლაშქრობა დაიწყო, ერთი შეხედვით შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს და სამხედრო ავანტიურის შთაბეჭდილება შეჰქმნას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ბერძენი მოქირავენე ჯარისკაცი ირანის არმიაში 30,000-მდე იყო. ე. ი. იყო იმდენი, რამდენიც ალექსანდრეს სამხედრო ძალების თითქმის საერთო რაოდენობას შეადგენდა! ირანის ფლოტში ირიცხებოდა დაახლოებით 400-მდე მებრძოლი ერთეული, ასე რომ ალექსანდრეს ფლოტს ორნახევარჯერ აღემატებოდა იგი. ირანელები ზღვაზე გაბატონებულნი იყვნენ და ყოველ წუთს შეეძლოთ ალექსანდრესთვის მოეპრათ გზა თავის ბაზისკენ.

მაგრამ ალექსანდრემ და მისმა სარდლობამ მშვენიერად იცოდნენ, თუვისთან ჰქონდათ მათ საქმე. უკვე „ათი ათასთა“ ლაშქრობამ დაანახეა, რუ რა შეუძლია ვააკეთოს პატარას, მაგრამ კარგად დისციპლინირებულ ჯარს ირანის სახელმწიფოს ფხვიერ, ამორფულ მასაში. მერე: „ათი ათასის“ ლაშქრობის შე-

მდეგ ხომ ნასევეარსაუკუნეზე მეტმა ხანმა გაიარა. ამ დროის განმავლობაში ირანის რღვევა-დაშლის პროცესმა საკმაოდ დიდი ნაბიჯები გადალგვა კიდევ.

მართლაც, ირანი ყოველთვის წარმოადგენდა ცალკე ოლქების, ხალხების და სახელმწიფოთა კონფედერატს. მაგრამ მაინც კიროსისა და დარიოსის დროს იგი ჯერ კიდევ ძლიერი იყო იმ ახალგაზრდა ხალხის ენერჯით, რომელიც ის-ის იყო ახლა იწყებდა თავისი არსებობის სახელმწიფო პერიოდს.

მაგრამ კიროსისა და დარიოსის დროებამ დიდი ხანია რაც განელო და ირანიც ისევე, როგორც ყველა აღმოსავლურ მონათმფლობელური დესპოტია, გარდუვალად განწირული იყო თავისი სოციალური ბაზისის შემცირება-შეზღუდვაზე და დასალუპავად.

IV ს. ნახევრისთვის ირანის მშართელი ზედაფენის რღვევა-დაშლის პროცესმა და ირანში შემავალ ცალკე ხალხების რევოლუციურმა მოძრაობამ მიაღწიეს თავის საკულმინაციო წერტილს. სამშვიდრო-ბიუროკრატიული აპარატის გაბერვა, მისი მოქრთამეობა — გამსყიდველობა, დაუსრულებელი ინტროვები მეფის კარზე. გადასახადების სიმძაფრე და მჩავერელობა. დაუხოგავი სისასტიკე, რომელსაც იჩენდნენ ნაციონალურ მოძრაობათა ჩახშობის დროს, — ყოველივე ეს ირანის სახელმწიფოს ხელისუფლებას აუტანელად ხდიდა აღმოსავლეთის მოწინავე ნაწილებში — ეგვიპტეში, პატილონსა, მცირე აზიასა, ფინიკიაში. IV ს. ნახევარში ირანის მიერ დაპყრობილ ნაღმა რევოლუციურმა მოძრაობებმა მიაღწიეს უდიდეს განვითარებას და დაძაბულობას. ამ დროს ხდებოდა ეგვიპტეში თავისი მოცულობით მეტად დიდი და მედგარი ანტიირანული მოძრაობა, რომელიც დაკავშირებული იყო ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონის ნექტანების სახელთან, რამდენიმე წელიწადს რომ განაგებდა ეგვიპტეში.

ამავე დროს იყო აჯანყება სიდონში, კუნძულ კვიპროსზე და სხვა ადვილებში.

337 წ. მეფე არტაქსერქსე ოხის გარდაცვალების შემდეგ ირანის სამეფო კარზე მოხდა ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი ბრძოლა კარის სწვადასხვა დასს. შორის და საბოლოოდ სამეფო ტახტი შეხვდა დარიოს III-ის კოდომანს, აქეჰენიდების დინასტიის არაპირდაპირი ხაზის წარმომადგენელს. რომელსაც ბელმა არგუნა ალექსანდრესთან ომის დროს სამეფოს დაკარგვაც და სიცოცხლისაც.

ირანის ჯარი მაინც ჯერ დიდი იყო. ალექსანდრეს წინააღმდეგ ბრძოლებში. განსაკუთრებით მესამე — უკანასკნელ — ბრძოლაში გაეგამელდასთან. (331 წ.), დარიოსმა უშველებელი არმია გამოიყვანა ბრძოლის ველზე, რომელიც შრავალრიგ აღემატებოდა ბერძნულ ჯარს. მაგრამ ირანული აპარატის დეზორგანიზაციამ და სამხედრო ბიუროკრატიული ზედაფენის რღვევა-დაშლამ არმიაზედაც იქონია გავლენა.

იგი შესდგებოდა ბერძენ მოქირავენებისგან, ირანული გვარდიისა და იმ კონტინგენტებისგან, რაიც დამოკიდებულ ხალხებს გამოჰყავდათ. ადამიანთა ამ კრელი კონგლომერატის გამოყენება შეიძლებოდა მარტო იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო ორგანიზაცია იქნებოდა. ხოლო ასეთი ორგანიზაცია IV ს. ირანში უკვე აღარ არსებობდა.

(ალექსანდრესთვის ჰელესპონტოზე გადასვლა უკვე კარგი ნიშანი) იყო, კეთილს მოასწავებდა მისთვის. ჯერ კიდევ კაი ხნის წინათ, ვიდრე ეს მოხდებოდა, ირანის მეფემ ბრძანება გასცა ფინიკიისა და მცირე აზიის თემების მიმართ, რომ მათ მოემზადებინათ ფლოტი და ალექსანდრესთვის გადასვლის დროს ხელი შეეშალათ. მიუხედავად ამისა საჭირო მომენტისთვის ფლოტი მაინც მზად ვერ იყო. ამრიგად ბერძენ-მაკედონელთა არმია მშვიდობიანად გადავიდა ჰელესპონტოზე.

(მცირე აზიაში ალექსანდრეს დახვდა ირანული ჯარი, მცირე აზიის კონტინგენტებისგან მოგროვილი. ირანის სარდლებს შორის გამოირჩეოდა ბერძენ-მემნონი, რომელიც მეთაურობდა ბერძენ მოჭირავენთა რაზმს. მემნონი ერთადერთი დიდი ფიგურა იყო ირანის შტაბში; მან კარგად იცოდა სამხედრო საქმე და შეადგინა ერთად-ერთი რეალური გეგმა, რომელსაც შეეძლო ირანისკენ გადაეხარა სასწორო.)

მემნონის გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ მაკედონელებთან ბრძოლაში გაუსვლელად უკან დაეხიათ მცირე აზიაზე; თან გზადაგზა ყოველივე მოესპოთ. შეეტყუებინათ მაკედონელები რაც შეიძლება ღრმად თავიანთ ქვეყანაში, ამ დროის განმავლობაში თავი მოეყარათ დიდი ძალებისთვის და უკვე მერე გაესრისათ ალექსანდრეს არმია.)

მაგრამ მემნონის გეგმა უკუაგდეს მცირეაზიელმა სატრაპებმა, რადგან მათ არ სურდათ აკლეს-აოხრებისათვის განეწირათ მცირე აზია. (ირანის სარდლობა მეტად ბეცი აღმოჩნდა და არ გაიზიარა მემნონის კარგად მოფიქრებული სტრატეგიული გეგმა.)

პირველი შეხვედრა ალექსანდრეს არმიისა ირანელებთან მოხდა გრანიკთან) ეს იყო ჰეტრა მდინარე; პროპონტიდაში რომ ჩადის). მიუხედავად იმისა, რომ ირანელებს ეკავათ გრანიკის მარჯვენა მალალი ნაპირი, და ალექსანდრეს აჩქარებით მოუსდა მდინარის გადალახვა ირანელების შეუწებელი შეტევის ქვეშ. ეს გადასვლა ბრწყინვალედ იქმნა ჩატარებული მაკედონური ცხენოსანი ჯარის მდგარი და ჩქარი დარტყმა-შეტევის წყალობით.

იმ დროს როცა ალექსანდრეს ცხენოსანი ჯარი ელეტდა ირანის ქვეითა ჯარს. ნაპირი რომ ეკირა, ბერძენი მოჭირავენნი მონაწილეობის მიუღებლივ, რომ იტყვიან. გულხელდაკრეფილნი უცქეროდნენ ამ ხოცვა-ელეტას, რადგან ირანის სარდლობამ ვერ შესძლო მათი დროიანად ბრძოლაში ჩართვა. მაკედონელებმა ჯერ ირანელების ქვეითა ჯარი დაამარცხეს, ამის მერე კი ბერძენი მოჭირავენებიც.

(გრანიკთან ბრძოლის შემდეგ ირანისა და მცირე აზიის ცოცხალი ძალის ბეტი წილი მოსპობილ იქმნა) იქ დარჩა კიდევ გარნიზონები ქალაქებში, მაგრამ ეს ძალები არ იყო იმდენად დიდი, რომ ალექსანდრესთვის მედგარი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიით. (მაკედონელები თითქმის წინააღმდეგობის გაუწევენლად მიიმართებთან დასავლეთ სანაპიროს გაყოლებაზე, იკერენ სადღეს და ეფესოს და მიაღებთან მდღეს. ყველა ამ მცირე აზიის ქალაქებში, რომელნიც მან უბრძოლველად აიღო, ალექსანდრე სპობს ოლიგარქიულ ხელისუფ-

ლებას. ირანელებმა რომ დაადგინეს აქა, და მოსახლეობის დემოკრატიულ ელემენტებზე დამყარებული ყველგან ამკვიდრებს დემოკრაციას.

მილეტი ექირა ბერძენ მოქირავენების ძლიერ რაზმს. მათი იმედით ირანის სარდლობამ გადასწყვიტა ქალაქი მტრისთვის არ დაეთმო, მით უფრო რომ მილეტს საშველად უახლოვდებოდა ირანის ფლოტი, რომელმაც ბოლოს ძლივს მოახერხა საქმეში გარევა.

მაგრამ ალექსანდრეს ფლოტმა ირანელებს წინ გაუსწრო, დაიკავა პოზიცია მილეტის წინ კუნძულ ლადთან და ამრიგად ქალაქს გზა მოუჭრა ზღვის მხრიდან. სანამ ირანელები ამაოდ ცდილობდნენ ალექსანდრე საზღვაო ბრძოლაში ჩათოჩათ, მილეტს ალყა შემოარტყეს და იერიშით იგი აიღეს კიდევ.

მილეტის აღების შემდეგ ალექსანდრემ ფლოტის თვალსაზირო ნაწილი სახლში დაითხოვა. საისტორიო ლიტერატურაში დიდი დავაა იმანე, დაუშვა თუ არა მაკედონურმა სარდლობამ შეცდომა მით, რომ ამ მომენტში ფლოტი დაითხოვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეცდომა არ იყო დაშვებული. პირველ ყოვლისა, ზამთარი ახლოვდებოდა, როცა ფლოტის საქმიანობა საერთოდ წყდება და ზოლმე. მერე კიდევ, — ალექსანდრეს ფლოტს, რომელიც რიცხვის მიხედვით ირანისას ჩამოუვარდებოდა, არ შეეძლო გამარჯვების იმედით მას შემტოვრება და ღია ზღვაში და ამგვარად იგი უსარგებლო იყო ხმელეთის არმიისთვის. ალექსანდრის აღების შემდეგ ალექსანდრეს წინაშე წამოიჭრა საკითხი ჰალკარნასის დაპყრობისა; ეს იყო უკანასკნელი დიდი პუნქტი მცირე აზიაში ქალაქს ჰქონდა ძლიერი სიმაგრეები. ზღვის მხრიდან მას შეველოდა ფლოტი და გარემოცვა თითქოს მარცხით უნდა დამთავრებულყო. მაგრამ საალყო მოწყობილობათა მეოხებით, რომელნიც ალექსანდრეს არმიამ გამოიყენა. მალე მოახერხეს კედლების შენგრევა და როცა მემნონმა, თავდაცვას რომ ხელმძღვანელობდა; დაინახა რომ მდგომარეობა უნუგეშოა, მან თათონვე დაცალა ჰალკარნასი.

ამრიგად, 334 წ. შემოდგომისთვის მთელი მცირე აზიის საბაპირო გაწმენილი იქმნა ირანელებისგან.

334-333 წ. ზამთრის განმავლობაში ალექსანდრემ ისე, რომ მას გზად არა ვითარა დაბრუნლება არ ელოდებოდა წინ, დაიჭირა მცირე აზიის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლური ოლქები — კარია, ლიკია და ჰამფილია — და 333 წ. გაზაფხულისთვის იგი შეიჭრა შიგ შუა ნახევარკუნძულში. მივიდა და ანკარამდე, თურქეთის ახლანდელ სტატუსო ქალაქამდე.

შემდეგ ის სამხრეთისკენ დაეშვა და „კილიკიის კარიბჭეზე“ გავლით, ტავრის მთებში რომაა. გამოვიდა ქალაქ ტარსთან. გასავლელად ძნელს მთის გასავალს იცავდა ირანული რაზმი; მაგრამ, მიუახლოვდა თუ არა მას მაკედონური არმია, იგი ხელათვე გააფანტა. ტარსი ალბებულ იქმნა ისე, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ამავე დროს კი ირანის ფლოტი მემნონის სარდლობით ეგეოსის ზღვას იჭერდა.

ირანის დიპლომატია, სარგებლობს რა იმით, რომ ალექსანდრე მცირე აზიის სიღრმეში შეჭრილი, შორს იმყოფებოდა საბერძნეთისგან. კვლავ იწყებს თავის მხარეზე ანტიმაკედონური პარტიის ვადამირებას. მაკედონიისადმი

მტრულად განწყობილ დაჯგუფებათა გაძლიერება იმაში გამოიხატა, რომ ათენმა დარიოსს დესპანები გაუგზავნა: ამ დროს მოკვდა მემნონი. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო ირანისთვის, თუმცა ამას არსებითად არც შეუცვლია. მეომარ მხარეთა მდგომარეობა.

მაკედონელებისთვის მეტად სასიფათო და საშიში სიტუაცია იყო. ალექსანდრეს სულ უკნინესი მარცხი კი ხმელეთზე მთელი წამოწყებული საქმის დაღუპვა იქნებოდა. რადგან ეს გამოიწვევდა აჯანყებას საბერძნეთში, ირანის ფლოტი კი მას სამომავლო გზებს მოუჭრიდა.

ამიტომ ალექსანდრესთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ დაუყოვნებლივ მომხდარიყო მისთვის ძღვევამოსილი ბრძოლა.

ასეთ გარემოში მოხდა ბრძოლა ისოსთან.

იხ დროს, როცა ალექსანდრე მცოლველად აწინააღმდეგებდა, დარიოსი თავს უყრია თავის ჯარებს და 333 წ. ზაფხულში პაბილონიდან დაიძრა დიდი არმიით. შემოდგომისთვის მან ჩრდილო სირიას მიაღწია.

ალექსანდრე, რომელიც კელიკიაში იმყოფებოდა, გაიგო თუ არა ირანელების მოახლოების ამბავი, გამოვიდა ჩრდილო ფინიკიაში.

მაგრამ დარიოსმა ეშმაკობაში აჯობა მაკედონიის სარდლობას: მთის ბრლიკებით გადაიარა, ზურგში მოგვტყა მაკედონურ არმიას და დაიკავა ველის სანაპირო.

ალექსანდრეს მძიმე, ძნელი ამოცანის გადაწყვეტა უხდებოდა: მას თავისი არმია უნდა გადაეჯგუფებინა და უკან უნდა დაბრუნებულყო მეტისმეტად არახელწაყრელ პირობებში. ირანელებს რომ დაეჭირათ ის მთის გადასავალი, რომელიც ჩრდილო ფინიკიიდან ისოსკენ გადიოდა, მაშინ ალექსანდრეს მდგომარეობა კრიტიკული შეიქნებოდა. მაგრამ მათ ამის გაკეთება ვერ შესძლეს: მაკედონური არმია მშვიდობიანად გადაიჯგუფა და ისიც თავის მხრივ ისოსსკენ გავიდა.

დარიოსი ძალიან კმაყოფილი იყო, რომ მშვენიერი პოზიცია დაიკავა, და დამშვიდებული მოელოდა ალექსანდრეს მოსვლას მართლაც, ირანელების პოზიციები ისოსის ახლო-მახლო ვაკეზე მშვენიერი ჩანდა: მარცხნივ იყო მთები (ირანელების ფრონტი სამხრეთისკენ იყო მიქცეული), მარჯვნივ ზღვა მდებარეობდა, ფრონტს იცავდა მდინარე პინარი. მაგრამ ირანული პოზიციების სიმარჯვე და ხელსაყრელობა მარტო მოჩვენებითი იყო: ვაკე მეტად ვიწრო იყო (3-4 კილომეტრი) და ირანელებს საშუალება არ ჰქონდათ მთელი თავისი ძალები ფართოდ გაეშალათ. ამრიგად, მათ არ შეეძლოთ თავისი მთავარი უპირატესობა გამოეყენებინათ მაკედონური ფალანგის წინააღმდეგ. რაკი ირანელების სამხედრო ძალები თვალსაჩინოდ აღემატებოდნენ მტრისას, ასეთ პირობებში შეიძლებოდა დაემარცხებინათ ზურგიდან და ფრთების ანუ ფლანგების მხრივ შემომწყვდეული მაკედონური ფალანგა, მაგრამ ამისთვის ირანელებს უნდა ემოქმედათ გაშლილ ადგილას და არა ვიწრო ველში. შედგარი დარტყმით ალექსანდრემ გაარღვია ირანელების ფრონტი და ისინი სასტიკად იქმნენ მის მიერ დამარცხებულნი (333 წ. შემოდგომა).

ირანელთა არმია ისე საფუძვლიანად იქმნა განადგურებული, რომ დარჩი-
ლისი ცოტას გასწვდა ალექსანდრეს ხელში არ ჩაუვარდა: მისი ეტლი, სამეფო
მანტია (წამოსასხამი) და მშვილდი გამარჯვებულებს დარჩათ. (ირანის მეფემ
დიდი გაქირვებით შესძლო ეფერატს გაღმა გაქცევა გადარჩენილი ჯარის ნაშთე-
ბითურთ.) ირანელების უშველებელი ბარგი მაკედონელებს დარჩათ მთლიანად.
(ალექსანდრემ ხელთ ჩაიგდო დარიოსის მთელი ოჯახი: მისი დედა, ცოლი
და ქალები.)

ისოსთან გამარჯვების გავლენა უდიდესი იყო: მნიშვნელობა არა მარტო
ირანელთა არმიის მოსპობა-განადგურებას ჰქონდა, არამედ იმ ძლიერ მორა-
ლურ შთაბეჭდილებასაც, რომელიც მან საბერძნეთზე მოახდინა.

გარდა ამისა, ისოსთან ბრძოლის შემდეგ ალექსანდრეს გზა ეხსნებოდა
ფინიკიურ ქალაქებისკენ; და რადგანაც ირანული ფლოტი შესდებოდა ფინი-
კიურ ხომალდებისგან, ამიტომ ისოსთან ბრძოლის ბუნებრივი შედეგი იყო ირანუ-
ლი ფლოტის დაშლა: ფინიკიურ ხომალდებს შორის ზოგი ჩქარობდა მალე დანე-
ბებოდა ალექსანდრეს, ზოგი კი ვაბრუნდა თავის ქალაქების საშველად მაკე-
დონელების წინააღმდეგ. ამის შედეგად ეგეოსის ზღვაზე მბრძანებლობა-ბატონო-
ნობა კვლავ ალექსანდრეს ხელში გადავიდა.

მაკედონელები ახლა ფინიკიაში იმყოფებოდნენ. მთელი რიგი ფინიკიური
ქალაქები (არატი, ბიბლოსი, სიდონი, ქალაქები კუნძულ კვიპროსზე) ალექსანდ-
რეს დამორჩილდა წინააღმდეგობის გაუწევნელად. მარტო ერთმა ტვირტსმა,
რომელიც ამყობდა თავის მიუვალობით, განაცხადა, რომ იგი ნეიტრალური
რჩებოდა. რადგანაც ალექსანდრეს არ შეეძლო შეროგებოდა ასეთ ფორმალურ
ნეიტრალიტეტს, ამიტომ მან დაიწყო ტვიროსის გარემოცვა.

ქალაქის გარემოცვა არაჩვეულებრივ ძნელი იყო. იმიტომ რომ ტვიროსი,
კლდოვან კუნძულზე მდებარე, ხმელეთს დაშორებული იყო სრუტით. მაკე-
დონელებმა მიწისამოავეს ეს ეწრო სრუტე და ამ ადგილას სააღყო მანქა-
ნები გააწყეს. ფლოტმა ქალაქს ალყა შემოარტყა ზღვის მხრიდან და ამრიგად
ტვიროსი ყოველის მხრიდან ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. ალყამ ექვს თვეზე
მეტს ხანს გასტანა. 332 წ. ზაფხულში ქალაქი ალებულ იქმნა. ბერძნებმა და მა-
კედონელებმა იქ სასტიკი ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს, ხოლო თითონ ქალაქი დაანგ-
რიეს. ტვიროსის ალებამ, რომელიც მიუვალად ითვლებოდა და მანამდე არც
ერთი დამპყრობელის წინაშე ქედს არ იხრიდა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახ-
დინა არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ საბერძნეთშიაც.

ტვიროსის გარემოცვის დროს დარიოს მესამემ გამართა ალექსანდრესთან
მოლაპარაკება ზავის შესახებ. დარიოსის მიერ წამოყენებული პირობები ძირი-
თადად გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ალექსანდრეს უთმობდა მთელს ტერი-
ტორიას, რაც ეფერატის დასავლეთით მდებარეობდა. სხვა წყაროების მიხედვით,
დარიოსი ალექსანდრეს სთავაზობდა ტერიტორიას მდინარე პალისის დასავლე-
თით. განსხვავება საკმაოდ დიდია. იმიტომ რომ ტერიტორია ეფერატის დასავ-
ლეთით შეიცავდა ეგვიპტეს, ფინიკიას, სირიას და მთელ მცირე აზიას. ხოლო
ტერიტორია პალისის დასავლეთით — მარტო მცირე აზიას. ძნელია იმის თქმა,
თუ ამ ორ ვერსიაში რომელი უფრო ახლოს იდგა ქვეშაირიტება-სინამდვილეს-

თან: — როგორც ჩანს, მეორე უფრო, იმიტომ რომ საქმის ასეთ ვითარების დროს, როცა ირანის ძირითადი ძალები ჯერ კიდევ არ იყო დამარცხებული და ალექსანდრეც ფინიკიის იქით არ იყო წასული, დარიოსი ალექსანდრეს მგონი რომ მაზე მეტს ვერ შესთავაზებდა. რაც მას ფაქტიურად დაქერილი ჰქონდა.

გარდა ამისა, დარიოსმა ალექსანდრეს აღუთქვა და შესთავაზა 10000 ტალანტის რაოდენობით კონტრიბუცია. ერთ-ერთი თავის ქალის მითხოვება და საუკუნო ზავი და კავშირი.)

ივენი წყაროები მოგვითხრობენ. რომ როცა პეტერთა საბჭოში იხილავდნენ და ბეობდნენ დარიოსის საზავო წინადადებებს, მაშინ ~~პარმენონმა~~ ალექსანდრეს შტაბის უფროსმა, მის სარდლებს შორის ყველაზე უფრო გამოჩენილმა. თქვა — მე რომ ალექსანდრე ვიყო. ვამჯობინებდი. შემდგომისთვის რისკი რომ არ გამეწია. ამ პირობებში ომის გათავებასო. ალექსანდრემ ამაზე თითქოს უპასუხა — მე ასევე მოვიქცეოდი, პარმენონი რომ ცყოფილიყავიო. ასე იყო თუ ისე, დარიოსის წინადადება უარყოფილ იქმნა.

ალექსანდრე ამ მომენტში თავის თავს იმდენად ძლიერად გრძნობდა, რომ უკვე ეჭვი აღარ შეჰქონდა მთელი ექსპედიციის კეთილად დაგვირგვინებაში.

საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ დარიოსმა დაიწყო ჯარის შეგროვება უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლის მისაცემად.

ალექსანდრე ამ დროს ეგვიპტისკენ დაიძრა. სადაც ჩავიდა 332 წ. დეკემბერში. ირანის გარნიზონები დანებდნენ თითქმის წინააღმდეგობის გაუწყენელად ეგვიპტის საზოგადოების საკმაოდ ფართო წრეები ბერძნებსა და მაკედონელებს ისე შეხედნენ, როგორც ირანელების კირთებისგან მხსნელებს. ეგვიპტის ისტორია ირანის ბატონობის დროს წარმოადგენდა განუწყვეტელ ამბოხებათა ისტორიას. ბუნებრივია, რომ მქართველი ჯგუფები მზად იყვნენ ირანელების ხელისუფლება რომელიმე სხვა ხელისუფლებაზე გაეცვალათ. ეგვიპტეში მაკედონურ არმიას საკმაოდ ტაქტიკურად ეჭირა თავი სარწმუნოების. ადგილობრივ ჩვეულებათა და სხვა ამგვარის მიმართ. ალექსანდრემ ამის პირველი მაგალითი უჩვენა ყველას მით, რომ მსხვერპლი შესწირა ეგვიპტის ღმერთებს.

ალექსანდრემ მერე წამოიწყო ლაშქრობა სივას ოაზისში. რომელსც მდებარეობდა შორს ლივიის უდაბნოში. ეს ლაშქრობა მოაწყო იმისთვის, რომ იქ შეჰკითხებოდა ღმერთ ამონის სახელგანთქმულ ორაკულს. ~~ოაზისში რომ მოყოფებოდა. ორაკულს იმ ხანებში სახელი გავარდნილი ჰქონდა შორს. ეგვიპტის საზღვრებს იქითაც. ამიტომ ალექსანდრესთვის არაჩვეულებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მისგანაც მხარი ჰქონოდა გამაგრებულ.~~

ორაკულმა, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო. ალექსანდრე აღიარა „ამონის ძედ“, ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან ამით ეგვიპტელ ქურუმთა წრე ცნობდა ალექსანდრეს უფლებას ფარაონთა ტახტზე. შემდეგში ალექსანდრემ არა მარტო აღმოსავლეთში. არამედ საბერძნეთშიაც ფართოდ გამოიყენა ორაკულის 'სანქცია'; იგი მას ემყარებოდა ხოლმე, რომ დაედასტურებინა თავისი უფლებანი არა მარტო მსოფლიო ბატონობაზე, არამედ ღვთაებრივ პატივსა და განდიდებაზედაც.

ეგვიპტეში ალექსანდრეს ყოფნის დროს პაწაწა სოფლის რაკოტისის ადგილას, ნილოსის დასავლეთ ტოტის პირას, დაარსებულ იქმნა ქალაქი, ალექსანდრიად წოდებული. ადგილი ისე მოხერხებულად იყო ამორჩეული, რომ ალექსანდრია მალე გადაიქცა ელინიზმის ყველაზე უფრო მსხვილ ცენტრად.

332 წ. ზამთარი ალექსანდრემ ეგვიპტეში გაატარა, ხოლო 331 წ. გაზაფხულზე იქიდან წამოვიდა და ჩრდილოეთისკენ გაემართა პალესტინასა და სირიაზე. ზაფხულში მან გადალახა ეფფრატო, გადასჭრა ჩრდილო შუამდინარეთი ანუ მესოპოტამია. გადავიდა ტიგროსს და მერე სამხრეთით დაეშვა. აქ ნინევიის ნანგრევთა შორი-ახლოს, პატარა სოფელ-გავეგამელას მიდამოებში. მაკდონელები შეხვდნენ ირანელთა არმიას.

დარიოსმა ამ დროის განმავლობაში ჩაატარა მთელი თავისი სამხედრო რესურსების მობილიზაცია და მესოპოტამიაში თავი მოუყარა უშველებელ არმიას, რომელიც შესდგებოდა აღმოსავლურ-ოლქების კონტინგენტებისგან, იმიტომ რომ მისი ხელისუფლების ქვეშ მართო ეს ოლქები-ლა იმყოფებოდა. ირანის არმია ძალიან დიდი იყო. ჩვენი წყაროები ირანელთა რიცხვს 1000000-მდე ითვლიან, მაგრამ ეს რასაკვირველია, გაზვიადებულია; ყოველ შემთხვევაში, ბერძენ-მაკედონელთა ძალები თვალსაჩინოდ ჩამოუყვარდებოდნენ ირანელებსას. ალექსანდრეს არმია სულ დიდი-დიდი 50-60 ათას კაცს თუ შეადგენდა.

331 წ. 30 სექტემბერს მოხდა სახელოვანი ბრძოლა ალექსანდრეს შტაბმა ირანელების საუკეთესო ძალების მხრივ გარშემორტყმის საშიშროება თავიდან იმით აიცილინა. ამ საფრთხის პარალიზაცია იმით მოახდინა. რომ თავისი არმიის ზურგში დააყენა ძლიერი რეზერვი. თუ ფართო ველი ირანელებს საშუალებას აძლევდა ფართოდ გამოეყენებინათ თავიანთი ცხენოსანი ჯარი. იგივე ველი ალექსანდრესაც შესაძლებლობას ანიჭებდა გამოეყენებინა თავისი ფალანგის დაუფასებელი საბრძოლო თვისებანი.

(ირანელების არმია სასტიკად იქმნა დამარცხებული. დარიოსმა თავისი პატარა რაზმით ძლივს უშველა თავს მიდიაში გაქცევით. ეს იყო მესამე და უკანასკნელი დამარცხება ირანელებისა.)

გავეგამელასთან ბრძოლის მნიშვნელობა უდიდესი იყო. ამ ბრძოლაში შეიმუსრა ირანის სახელმწიფოს არმიათა ძირითადი მასა, ხოლო ახალი მობილიზაციისათვის დარიოსს ღონე აღარ შესწევდა.

მართლაც, გავეგამელასთან ბრძოლის შემდეგ მაკედონურ არმიას აღარ შეხვედრია ირანელების რამდენიმედ მაინც ძლიერი და ორგანიზებული წინააღმდეგობა.

(დარიოსის დამარცხების უშუალო შედეგი იყო ბაბილონის დანებება, სადაც მაკედონელებს ისევე მეგობრულად შეხვდნენ, როგორც ეგვიპტეში.)

შემდეგ ალექსანდრე იჭერს სუზას, აღმოსავლური კულტურის უძველეს ცენტრს, სადაც მას ხელთ ჩაუვარდა ირანის ხაზინის ნაწილი.)

წყაროები გადმოგვცემენ, რომ სუზაში მაკედონელებს შეხვდათ დაახლოებით 50 ათას ტალანტამდე.

(სუზადან ალექსანდრე დაიძრა ირანის ცენტრალურ ოლქ პერსიდაში, სადაც მდებარეობდა ირანის ძველი სატახტო ქალაქი, პერსეპოლისი.) სუზადან

პერსეპოლისში ლაშქრობის დროს ალექსანდრეს მოუხდა გამალებით აღება მთის გადასავლებინა; ეს გადასავლები ეკირათ ირანელებს და დამოუკიდებელ მთის ტომებს, რომელთაც არ უნდოდათ ეცნათ მისი ხელისუფლებას, ისევე როგორც არა ცნობდნენ ირანელთა ბატონობას.

პერსეპოლისი უბრალოდ იქმნა აღებული და მისი დაპყრობა ნიშნავდა ალექსანდრეს ხელში ირანის სახელმწიფოს (ცენტრის გადასვლას) (330 წ. დასაწყისი). აქ ხელთ იგდეს ირანის ხაზინის მთავარი ნაწილი, სადაც გადმოცემით იყო 120 ათასი ტალანტი.

პერსეპოლისი უბრალოდ იქმნა აღებული და მისი დაპყრობა ნიშნავდა ლოგიური ნაწილი: ძველი შეურაცხყოფის „სანაცვლოს მისახდაცად“ ალექსანდრემ ბრძანა მეფის სასახლის დაწვა.

ესეც კია, მეორე ვერსიის მიხედვით სასახლე შემთხვევით დაიწვა, იმ გრანდიოზული ქვიფ-ღრვობის დროს, რომელიც იქ ალექსანდრემ გამართა.

330 წ. გაზაფხულზე ალექსანდრემ მიდიისკენ გასწია და ეკბატინი დაიპყრო, ირანის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია.

ომის ყველაზე უფრო ძნელი ნაწილი მოთავებული იყო და ამიტომაც ალექსანდრემ ეკბატანიდან სახლში გაუშვა თავის მოკავშირეები — თესალიელები და ბერძნები, — გარდა იმათი, ვინც თავის ნებით მოისურვა ჯარში დარჩენა. დემობილიზებულებს უხვი საჩუქრები დაურთგდათ.

ეკბატანში ალექსანდრემ დასტოვა პარმენიონი ჯარის ერთი ნაწილით ნაძარცვ განძეულობის დასაცავად. რაკი შათი თან წაღება შეუძლებელი იყო. პარმენიონს დავალებული ჰქონდა აგრეთვე თვალყური დაეჭირა ზურგში მშვიდობიანობისათვის. ამის შერე ალექსანდრე ჩქარი ნაბიჯით, რომ იტყვიან, ჩქარი მარშით დაედევნა აღმოსავლეთისკენ მიმავალ დარიოსს.)

მაგრამ ამ ხანებში ირანის მეფე იყო მხოლოდ და მარტო ტყვე ბეისი, ბაქტრიის სატრაპისა, ხოლო ბაქტრია წარმოადგენდა ირანის ერთ-ერთს ძეგლს. ~~შერეულ აღმოსავლურ პროვინციას.~~

(330 წ. ივლისში ალექსანდრე თითქმის წამოეწია ლტოლვილებს კასპის ზღვის მიდამოებში.

როცა ბესამ და მის მომხრეთა ჯგუფმა ნახეს, რომ მაკედონელები მათ წამოეწინენ, აიღეს და მოჰკლეს დარიოსი, ასე რომ ალექსანდრეს ირანის მეფის მხოლოდ გვამი და დახვდა.)

ბევრს დავობენ იმაზე, თუ რატომ მოჰკლა დარიოსი ბესამ. ალბათ, საქმის გარემოება იმით აიხსნება, რომ დარიოსს ამ მომენტში უნდოდა ალექსანდრეს დანებებოდა: იგი საშინლად იყო სულით დაცემული თავის მარცხის გამო და იმედი გადაიწყვიტა შემდგომი ბრძოლის წარმოებისა. მაგრამ რადგან ბესა და მისი მომხრეები ჯერ კიდევ იმედს არა ჰკარგავდნენ და უნდოდათ დამპყრობელებთან ბრძოლის გაგრძელება, დარიოსი კი მათ მარტო ხელს უშლიდა, ამიტომ გადასწყვიტეს კიდევ მისი გზიდან ჩამოცილება.

ყოველ შემთხვევაში ალექსანდრე ბესას უნდა უმადლოდეს დარიოსის მოკვლისათვის. მართალია, ბევრით უფრო გვიან, შემდეგ ხანებში, როცა ბაქტრიელი სატრაპი მას ხელთ ჩაუვარდა, ალექსანდრემ იგი სიკვდილით დასაჯა იმი-

სათვის, რომ მან მოჰკლა თავისი მეფე (ალექსანდრეს უყვარდა კეთილშობილი რაინდის როლის გათამაშება). მაგრამ გულში კი ის, რასაკვირველია, კმაყოფილი იყო საქმის ასე გათავებისა. რა უნდა ექნა ალექსანდრეს, მას რომ დაროის ცოცხალი ჩავარდნოდა ხელში? მისი სიკვდილით დასჯა უხერხული იყო. მაგრამ დაროისის ცოცხლად დატოვებაც შეუძლებელი იქნებოდა. იმიტომ რომ იგი გადაიქცეოდა ირანული ნაციონალური ოპოზიციის სახიფათო და საშიშ ცენტრად.

ეხლა აქემენიდების სამეფო ტახტი განთავისუფლდა და მისი დაპყრობა შეეძლო მარტო ალექსანდრეს. დაროისის დამამარცხებელი, მისი მონარქიის დაპყრობი, ღეთის ძედ აღიარებული ალექსანდრე დაროისის სიკვდილის შემდეგ ყველაზე უფრო „კანონიერი“ მემკვიდრე იყო აქემენიდების ხელისუფლებსა.

შემდეგ ალექსანდრე გაემართა კიდევ იქით აღმოსავლეთისკენ) ლაშქრობის განგრძობა აბსოლუტურად აუცილებლივ საჭირო იყო. იმისდა მიუხედავად, ჰქონდა მაშინათვე ალექსანდრეს აზრი „მსოფლიო მონარქიისა“ თუ იგი მას უფრო გვიან დაებადა. (ღერ ხომ კიდევ დაუპყრობელი რჩებოდა დაროისის სამეფოს მთელი აღმოსავლური ნახევარი). მისი დაპყრობა აუცილებლივ საჭირო იყო თუნდაც იმისთვის, რომ მოეტეხა და კისერი მოეგრინა ნაციონალისტურად განწყობილ აღმოსავლელ და ბესას მინაგვარ სატრაპებისთვის. ვარდა აჰისა. საჭირო იყო სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის, ყველაზე უფრო მოუსვენარ და შუთთიერ საზღვრების განმტკიცება და გამაგრება.

(შაკედონურმა არმიამ დაიკავა პირთია, სადაც შემდეგში წარმოიქმნა პართიის ხამეფო, არია და არახოზია (თანამედროვე ავღანისტანი). ამ ორ უკანასკნელ ოლქში ალექსანდრემ დააარსა ორი ახალი ალექსანდრია, რომელნიც დღემდე არსებობენ ჰერატისა და ყანდაარის სახელით.

არახოზიაში ყოფნის დროს ალექსანდრეს პირველად მოუხდა დიდი ბრძოლის გადატანა ოპოზიციასთან არმიაში, რაიც მიმართული იყო როგორც პირადად მის წინააღმდეგ, ისე მისი პოლიტიკის წინააღმდეგ.

არახოზიიდან ჯარი გაემართა ჩრდილოეთისკენ) ოქსოსისა და იაქსარტის (მდინარეთა ამუ-დარიასა და სირ-დარიას) მიდამოებში. სანამ იქ შევიდოდა, საჭირო იყო ჯერ პარაპანისის (ჰინდუკუშის) უდიდეს უღელტეხილზე გადასვლა.

ჰინდუკუშზე გადასვლა მოხდა 329 წ. გაზაფხულზე. ამის შემდეგ ალექსანდრეს ჯარმა დაიპყრო ბაქტრია და სოგდიანა (ეხლანდელი ტაჯიკისტანი და უზბეკისტანი). ქალაქი მარაყანდა (ეხლანდელი სამარყანდი) იმ ორი წლის განმავლობაში, სანამ ალექსანდრე თურანის დაბლობში იმყოფებოდა, მისი შტაბის ბინას წარმოადგენდა. ორი წლით აქ დაყოვნება ალექსანდრეს იმიტომ მოუხდა, რომ აუცილებლივ საჭირო იყო ირანის იმ წარჩინებულთა მოძრაობის ლიკვიდაცია, რომელნიც აღმოსავლურ პროვინციათა სატრაპების ხელმძღვანელობით შეეცადნენ უკანასკნელი წინააღმდეგობა გაეწიათ ალექსანდრესთვის.

შაკედონელებთან საბრძოლველად ირანელებმა აამხედრეს მომთაბარე „სკვითის“ ტომები, რომელნიც გამუდმებით აწუხებდნენ ირანის სამეფოს ჩრდი-

ლოეთ საზღვრებს. ალექსანდრემ ორი წელიწადი შეაღია იმას. რომ ეს მოძრაობა მოეტეხა და მოესპო)

ჩრდილოეთისკენ ლაშქრობის დროს მაკედონიის მეფე მივიდა თითონ იაქსარტამდე (სირ-დარიამდე). აქ იყო დაარსებული ქალაქი შორეული ალექსანდრია (ეხლა ხოჯენტი), ბერძნების შექრის ყველაზე უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლური წერტილი. ბაქტრიისა და სოგდიანას დაუფლება განსაკუთრებით იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ თავდებოდა ჩინეთში მიმავალი სავაჭრო საქარავნო გზა („აბრეშუმის გზა“).

(აქედან ალექსანდრემ გადასწყვიტა ინდოეთში წასვლა. ამ ხანებში მაკედონელ დამპყრობელს უკვე დაეუფლა „მთაწილი მონარქიის“ იდეა.) რომელიც „დიდი ოკეანეს“ იმ წყლებამდე გადაიჭიმებოდა, დედამიწის კიდევებს რომ ებჯინებოდა.

327 წ: ალექსანდრე დაიძრა თურანიდან, კვლავ გადაიარა ჰინდუკუტში და მერე მდინარე კაბულის ხეობით ~~პენჯაბში შევიდა.~~

(ხუმდინარეთი მაშინ არ წარმოადგენდა ერთს მთლიან სახელმწიფოს. რგი შესდგებოდა რამდენიმე მონათმფლობელურ სახელმწიფოსგან, რომელთაც ერთმანეთში გამუდმებული ბტრობა და შუილი ჰქონდათ. ასეთმა მდგომარეობამ ალექსანდრეს შეუმსუბუქა ინდის ხეობის დაპყრობა. პენჯაბის ზოგიერთ მეფესთან შეკავშირებულმა ალექსანდრემ მეორენი დაამარცხა, ისარგებლარა მათ შორის არსებული შუილით. ყველაზე უფრო ძნელი იყო პენჯაბის მფლობელთა შორის უძლიერეს პორზე გამარჯვება. მაკედონელები და ბერძნები ინდოეთში პირველად შეხვდნენ საბრძოლო სპილოებს. ცხენები ფრთხებდნენ არა მარტო სპილოების დანახვაზე, მათ სუნზედაც კი გაათრებულ უშველებელ ცხოველთა გაბმული. მთლიანი ხაზი შიშის ზარსა სცემდა ამის შეუჩერებელ ადამიანებსაც. მართალია, სპილოები სახიფათო და საშიში შეიძლება თავიანთი არმიისთვისაც ყოფილიყვნენ: ისინი თუ დაფრთხებოდნენ, შეიძლება თავიანთებისკენაც ებრუნათ პირი. მაკედონელებმა ბოლოსდაბოლოს მაინც ისწავლეს სპილოებთან ბრძოლა — ან აფრთხობდნენ მათ ძლიერი ხმაურით ან კიდევ ფეხის ზრტილებს ვადუქრიდნენ ხოლმე. მაგრამ ყოველ შემთხვევაში: სანამ ამ მეთოდებს გამოიხატებდნენ, სპილოებმა საკმარისი შიში აკამეს მაკედონურ არმიას.

მედგარი ბრძოლის შემდეგ მაინც შესძლეს პორის დამარცხება პენჯაბში იცნო ალექსანდრეს ხელისუფლება (326 წ.)

მაგრამ ინდის ხეობის იქით მდებარეობდა განგის ხეობა, რომელიც მისგან გაყოფილი იყო ძნელად გასავლელი უდაბნოთი; განგის ხეობაზე ბევრს საზღაპროს და სასწაულებრივს ლაპარაკობდნენ. ალექსანდრემ გადასწყვიტა იქაც შესულიყო. მაგრამ როცა მაკედონური არმია მიაღება ბოლოდან მეორე მარცხენა შენაკადს ინდისას — მდინარე ჰიტასისს (ეხლა სეტლეჯი) და ბრძანებაც იქმნა გაცემული გაღმა გასელისა, არმიაში მღელეარება დაიწყო. მან უარი განაცხადა გზის გაგრძელებაზე და იქით წახვლაზე. რომ კარგად გაევიგოთ. ეს ინციდენტი რომელმაც გავლენა იქონია შემდგომ ამბებზე, საკიროა რამოდენიმედ მაინც

უკან დაებრუნდეთ, რომ დაეხასიათოთ მაკედონური ჯარის წინაგანი მდგომარეობა.

ლაშქრობის დაწყებისთანავე ალექსანდრესა და მის მახლობელ პირთა ერთი ნაწილის შუა დაიწყო შეხლა-შემოხლა. ბერძნული ორიენტაციის ახალი წარჩინებულნი, პტოლემესა და ნეარქოსის ტიპისა, ალექსანდრეს ერთგული იყვნენ ბოლომდე. მაგრამ მაკედონიის დიდგვარი შეიღთა წრეში, რომელიც ფილიპეს მხარეზე გადავიდა და დრომდე მის შვილსაც მხარს აძლევდა (პარმენიონი, მისი შვილი ფილოტა, ცხენოსანი ჯარის უფროსი და სხვანი), აი ამ წრეში იზრდებოდა ოპოზიციური განწყობილება იმისდა მიხედვით, რაც უფრო შორს მიდიოდა აღმოსავლეთისკენ ალექსანდრე. ამ განწყობილებამ თავდაპირველად ძალიან გაუბედავად იჩინა თავი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ როცა ალექსანდრე ბქობდა დაროსის საზავო წინადადებათა ირგვლივ, მაშინ პარმენიონი გამოვიდა ამ წინადადებათს მომხრედ. ალექსანდრესთან აზრთა ამ დაშორება-სხვაობაში ჯერ კიდევ განსაკუთრებული არა იყო რა, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე იჩინა თავი „ნაციონალურ“ მაკედონური პარტიის ტენდენციამ — დასჯერებოდნენ ირანის მონარქიის მარტო დასკვლეთი ნაწილის დაპყრობას და ძალიან შორს აღმოსავლეთისკენ აღარ წასულიყვნენ.

უფრო სერიოზული იყო შეტაკება ეგვიპტეში, როცა ფილოტა საკმაოდ უკმეხად გამოვიდა იმ კომედიის წინააღმდეგ. ალექსანდრემ რომ გაითამაშა ამონის ორაკულთან. მაინც ალექსანდრემ ამ შემთხვევაში აპატია-ფილოტას.

მაგრამ რაც უფრო შორს აღმოსავლეთისკენ მიიწევდა არმია, მით უფრო მეტად იზრდებოდა ოპოზიცია მაკედონელ წარჩინებულთა რიგებში. მისი ზრდა განსაკუთრებით იმან ააჩქარა, რომ ალექსანდრემ უფროდაუფრო მიჰყო თავის პოლიტიკის აღმოსავლურ ყაიდაზე გადახალისებას. უფროდაუფრო დაიწყო მისი „ორიენტალიზირება“, „გააღმოსავლურება“.

ეს ორიენტალიზაცია იმაში მდგომარეობდა, რომ მაკედონიის მეფემ თავის კართან დაახლოვება დაუწყო ირანელებს. ირანელი წარჩინებულების თავის მცველებს შორის ჩარიცხვას, თავის პეტერობად ჩაოცნვას უმარჯვენ. შან დაიწყო ირანელი ახალგაზრდობის თავმოყრა და მათთვის ბერძნული ენისა და მაკედონური სამხედრო წყობის სწავლება.

შემდეგ ალექსანდრეს შემოაქვს თავის კარზე აღმოსავლური ცერემონიალი: გამოდის ირანის მეფის ტიარით თავზე და მანტიით (წამოსასხამით), მოითხოვს თავის კარისკაცებისგან მიწამდე თავისდაცრას, თავიანისცემას. ყოველივე ეს აღმოსავლეთში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ბერძნებსა და მაკედონელებს, რომელნიც თავიანთ სამშობლოში დემოკრატიულ წესებს იყვნენ ჩვეულები, ეს ძალიან უხამსად ეჩვენებოდათ და ეხამუშებოდათ.

რით იყო გამოწვეული ასეთი ცვლილება ალექსანდრეს ყოფაქცევაში?

რასაკვირველია, ეს მარტო ალექსანდრეს აზრებით და მარტო გარეგანი ბრწყინვალეების მოწონებით როდი აიხსნება, არამედ მას ჰქონდა უფრო ღრმა ფესვები.

ალექსანდრეს პარტიას და თითონ ალექსანდრესაც ესმოდათ, რომ რაც უფრო მეტად ხდებოდა ახალი მონარქია „მსოფლიო მონარქიად“, ე. ი. აღმო-

სავლურ მონარქიად, მით უფრო მეტად ჰკარგავდა თავის ხვედრით წონას მის ბერძნულ-მაკედონური ნაწილი. საბერძნეთი და მაკედონია ხომ პაწაწინტელა ნაწილაკებს წარმოადგენდნენ აღმოსავლეთთან შედარებით. თუ კი ალექსანდრეს უნდოდა თავისი მონარქია მტკიცე სახელმწიფოდ ექცია, თუ კი მას უნდოდა იგი მტკიცე კავშირით შეედუღებინა (ხოლო ყოველივე იმის მიხედვით, რაც ჩვენ ვიცით ალექსანდრეს თაობაზე; შეიძლება ითქვას, რომ ის სწორედ ასე უდგებოდა საკითხს), მას უთუოდ უნდა გაეფართოვებინა თავისი სოციალური ბაზისი, ე. ი. მმართველ ზედაფენაში უნდა ჩაერიცხა აღმოსავლური ელიმენტებიც. მაკედონელები და ბერძნები მათ გვერდით თუ მეორე ხარისხოვან როლს არ ითამაშებდნენ, ყოველ შემთხვევაში მათ უნდა გაეზიარებინათ აღმოსავლელებისთვის თავიანთ უპირატესობათა ნაწილი მაინც.

აი ამ ნიადაგზე განვითარდა სწორედ ბერძნულ-მაკედონური „ნაციონალიზმი“ ოპოზიციას, რომელმაც პირველად მოიტყუა და ჩაითრია ალექსანდრეს მეთაურთა შემადგენლობის ზედაფენა, ის წრე, რომელიც მას უშუალოდ გარს ეხვია.

330 წ., როცა არმია აელანისტანში იმყოფებოდა, გამომქალაქებულ იქნა შეთქმულება ალექსანდრეს სიცოცხლის წინააღმდეგ, თანაც ამაში როგორც გარეული იყო ფილოტა. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად უშუალოდ მონაწილეობდა იგი შეთქმულებაში. მაგრამ ის კი ფაქტი იყო, რომ როცა ფილოტას მოახსენეს შეთქმულების შესახებ, მან ამაზე არაფერი უთხრა ალექსანდრეს. ამან ძალიან დიდი ჩრდილი მიაყენა მას და რადგან ფილოტა წინათაც ცნობილი იყო თავისი ოპოზიციური გამოსვლებით, ამიტომ ალექსანდრემ გადასწყვიტა ამ შემთხვევით ესარგებლნა, რომ ოპოზიციას გასწორებოდა.

ფილოტა მისცეს ჯარის სასამართლოს. მიუსაჯეს მას სიკვდილი და დასაჯეს კიდევ. რაც შეეხება პარმენიონს, იგი იმეამდ ჯერ ისევ ეკატანში იმყოფებოდა არმიის ნაწილით. წამოიჭრა საკითხი, რა უნდა ექმნათ მისთვის. მას რომ კვლავინდებურად ალექსანდრეს ზურგის დატევა დაჰკისრებოდა, იგი ძალიან სახიფათო ძალა შეიქნებოდა, რომ გაეგო შეილის სიკვდილი და მოესურვა ამისთვის შურისძიება. ამიტომაც, იმისდა მიუხედავად, მონაწილეობდა პარმენიონი შეთქმულებაში თუ არა, ალექსანდრესთვის აუცილებელიც საქრო იყო მისი მოშორება. დასაჯეს თუ არა სიკვდილით ფილოტა, ალექსანდრემ ხელათვე შესვა სწრაფად მსრბოლ აქლემებზე ერთი თავისი ერთგული მაკედონელი და გაგზავნა იგი ეკატანში წერილით არმიის უმცროს მეთაურების მიმართ. გაგზავნილი მაკედონელი დღე და ღამ შეუსვენებელიც მიდიოდა, რომ ჩაესწრო იმ ხმებისთვის, რაიც შეიძლებოდა პარმენიონის ყურამდე მანამდე მისულიყო. იგი გამოცხადდა ეკატანში, წარადგინა ალექსანდრეს წერილი და მეფის ერთგულმა უმცროსმა მეთაურებმაც მოჰკლეს პარმენიონი.

ეკატანის არმია რომ შეიტყო პარმენიონის მოკვლის ამბავი, იგი აჯანყდა, იმიტომ რომ პარმენიონი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაგრამ მკვლევლებმა მეომრებს ალექსანდრეს წერილი უჩვენეს, რომელშიაც იგი პარმენიონს ლალატში ბრალსა სდებდა.

ალექსანდრეს ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ჯარისკაცები ხელათ-
ვე დაშოშმინდნენ.

როცა არმია სამარყანდში იდგა, 328 წ. ზამთარში, დატრიალდა კატას-
ტროფა კლიტოსთან, მეფის „ძუძუს მტესთან“ (მისი გამდლის, ძიძის შეილთან),
რომელმაც მეფე სიკვდილს გადაარჩინა გრანიკთან. წინათ ალექსანდრე მასთან
კარგ დამოკიდებულებაში იყო. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მათ შორის უსია-
მოვნება დაიბადა, იმიტომ რომ კლიტოსი ყოველთვის გამოდიოდა ალექსანდ-
რეს აღმოსავლური პოლიტიკის წინააღმდეგ და ასახავდა ნატიონალურ-მაკე-
დონურ თვალსაზრისს.

ერთხელ ღრეობა-ქეიფის დროს, როცა კლიტოსი და ალექსანდრე მთვრა-
ლები იყვნენ, მათ შორის ატყდა ჩხუბი. კლიტოსმა დაუწყო მეფეს აუგად ხსე-
ნება, ამანაც აიღო და საკუთარი ხელით შუბით განგმირა იგი.

ამის მერე მალე გამომჟღავნდა ახალი შეთქმულება ალექსანდრეს სი-
ცოცხლის წინააღმდეგ. იგი მოეწყო მაკედონურ წარჩინებულ ახალგაზრდობას,
რომელიც სამეფო კარზე „პაყებად“ მსახურობდა. შეთქმულება შესდგა მიწად-
მდე თაყვანის ცემის მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, მეფემ რომ წაუყენა თა-
ვის მახლობლებს.

„პაყების“ შეთქმულების იდეური სულისჩამდგმელი იყო არისტოტელეს
ემისწული, ისტორიკოსი კალისტენე რომელიც სხვა მრავალ მსწავლულ პერ-
ძენტთან ერთად, ალექსანდრეს რომ გარს ეხეივნენ, მას თან გაჰყვა აღმოსავლეთ-
ში და იყო მეფის ერთგვარი კარის ისტორიოგრაფოსი. ლაშქრობის თანოვულ
პმბავს კალისტენე აღწერდა მეტად ხოტბითი კილოთი და მისი ისტორიის ცალ-
კე თავები დაუყოვნებლივ იგზავნებოდა საბერძნეთში. ამგვარად წარმოებდა
საბერძნეთის საზოგადოებრივი აზრის დამუშავება ალექსანდრეს სასარგებლოდ.
და აი მენხოტბე, პანეგირისტი კალისტენე შეიქმნა ახალი შეთქმულების იდეური
მესვეური. როცა შეთქმულება გამომჟღავნებულ იქმნა და საქმე გამოიძიეს, მა-
შინ გამორკვეულ იქმნა ისიც, რომ თუმცა კალისტენე პირდაპირ არ იღებდა
შეთქმულებაში მონაწილეობას, მაგრამ მის მონაწილეთა წინაშე არა ერთხელ
ის აზრი გაუტარებია, რომ თავისუფლებას ჰქელავს ახალი ტირანი ალექ-
სანდრეო.

შეთქმულების მონაწილენი სიკვდილით იქმნენ დასჯილნი, მაგრამ კა-
ლისტენეს მოკვლა ალექსანდრემ ვეღარ გაბედა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ
ანგარიშს უწყევდა საბერძნეთის საზოგადოებრივ აზრს. იგი დაპატიმრებულ იქმ-
ნა და პატიმრობაშივე გარდაიცვალა, ალბათ, ინდოეთში.

მაშასადამე, ოპოზიციურმა მოძრაობამ ჯერჯერობით მოიკვა მარტო მა-
კედონური არმიის ზედაფენა, ხოლო ქვეითა ჯარის ფართო მასაში, მაკედონუ-
რი გლეხობის მასაში იგი ჯერ შექრილი არ იყო.

მაგრამ როცა არმია ინდოეთში მოხვდა, მაშინ უკმაყოფილება მასასა-
დაეცა. მისი მთავარი მიზეზი იყო ლაშქრობის პირობები. ლაშქრობა ხომ უკ-
ვე რვა წელიწადი გრძელდებოდა. არმიის ძირითადი მაკედონური ბირთვი თი-
თქმის არ იცვლებოდა. იგი საშინლად მოიღალა ამ წლების განმავლობაში.

ინდოეთში ბერძნები და მაკედონელები აღმოჩნდნენ სრულიად მათთვის უცხო პირობებში. მოხვდნენ უდიდეს ქვეყანაში ტროპიკული ბუნებით. უშველზელი მდინარეებით და ტყეებით. მხეცები, შხამიანი გველები, საშინელი ტროპიკული ჰეჰა-ქუხილი და წვიმები — ყოველივე ეს მათ შიშს უნერგავდა.

ყოველივე ამის დასასრულს, ალექსანდრეს მოსდის თავში ახალი იდეა: მას აღარა ჰყოფნის ინდი, მას უნდა კიდევ განგის ხეობაში წასვლა! ამ უკახს-კნელი ქვეყნის შესახებ ჯარში სულ ფანტასტიკური ხმები დადიოდა: ამბობდნენ, რომ იქ ისეთი მეზობლი და მაშატი მოსახლეობა ცხოვრობს, რომელთანაც ბრძოლა შეუძლებელიაო. ამ ხმებს ხშირად ადგილობრივი მცხოვრებნი ხელოვნურად ავრცელებდნენ, ნაწილობრივ კი ეს ხმები თავისთავად იბადებოდა იმის გამო, რომ, როგორც იტყვიან, „შიშს დიდი თვალები აქვს“. ერთი სიტყვით, ყოველივე ამან ერთად ალებულმა შორიგ ქვეითა ჯარში ისეთი განწყობილება შექმნა, რომელიც აჯანყებას არ ჩამოუვარდებოდა.

როცა ალექსანდრე ჰიფასისთან მივიდა და ბრძანება გასცა გადასვლისა, ჯარმა განაცხადა, რომ იგი ამის იქით აღარ წავიდოდა. ალექსანდრე მიუხედავად თავის ტემპერამენტისა, რეალური პოლიტიკოსი იყო და მიხვდა, რომ ჯარის განწყობილებას ვერ მოდრეკდა და ველარ გადაახალისებდა, მიხვდა, რომ კიდევაც რომ თავის ბრძანებას არ გადასულიყო, საქმე მაინც აშკარა აჯანყებით გათავდებოდა. მოხდა მისნობა. მისნობამაც, როგორც ეს ისედაც მოსალოცნელო იყო. უჩვენა, რომ შემდგომი ლაშქრობა წარმატებითი არ იქნებო; ამან ალექსანდრეს გაუადვილა შექმნილ მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლა. გაიცა ბრძანება ჯარის შინ დაბრუნებისა.

(ეს იყო 326 წ. შემოდგომაზე. ინდზე ააგეს ფლოტი, ვინაიდან ალექსანდრეს უნდოდა უკან დაბრუნება არა ძველი გზით, არამედ ახალით: ჩასულიყვნენ არღით ოკეანესკენ და მერე ოკეანის ნაპირას გაყოლებაზე ევლოთ ტიგროსისა და ეფფრატის შესართავამდე. ეს გზა მაშინ უცნობი იყო და მარტო ბუნდოვნა წარმოადგენა ჰქონდათ იმაზე, რომ შეიძლებოდა ბაბილონში დაბრუნება წყლით)

ფლოტი დაიძრა მდ. ინდით. ჯარის ნაწილი მიიმართებოდა ინდის ნაპირით და სულ მედგარი ბრძოლების წარმოება უხდებოდა მეომარ მოსახლეობასთან.

ბოლოს, 325 წ. ზაფხულში ჯარმა მიაღწია ინდის შესართავს. ალექსანდრე გავიდა ოკეანეში, შესწირა ღმერთებს მსხვერპლი და დასავლეთისკენ გაუხვია. ფლოტი ნეარქოსის მეთაურობით დაიძრა ჰედროზისს (ეხლანდელი ბელუჯისტანის) ნაპირების გაყოლებაზე. ალექსანდრე კი ჯარის მეორე ნაწილით ნაპირ-ნაპირ წავიდა.

ხმელეთის ჯარი ცოტას გასწყდა არ დაიღუპა შიმშილისა და წყურვილისგან ჰედროზისის უნაყოფო უდაბნოში. ფლოტიც აგრეთვე დაზარალდა ქარიშხლისაგან ინდოეთის ოკეანეზე. მაგრამ მოგზაურობა მაინც კეთილად დამთავრდა და 324 წ. ადრე გაზაფხულზე არმიამ მიაღწია სუსანს

(ფლოტი ტიგროსისა და ეფფრატის შესართავით ბაბილონში ავიდა.)

ამრიგად დამთავრდა ლაშქრობა. რომელიც თითქმის ათ წელიწადს გრძელდებოდა და ამ დროის განმავლობაში ბერძენ-მაკედონელთა არმიამ გაიარა დაახლოებით 20.000 კილომეტრი.

ალექსანდრეს ლაშქრობის ისტორიული მნიშვნელობა დიდია. შექმნილ იქმნა ახალი მონარქია. ირანის მონარქიაზე უდიდესი. იმიტომ რომ იგი თავის ფარგლებში იტევდა ბალკანეთის ნახევარკუნძულსაც. ალექსანდრეს მონარქია გადაჭიმული იყო დუნაიდან ინდამდე.

მაგრამ საქმე ახალ სახელმწიფოს ფარგლებსა და მოცულობაში როდი იყო. მით უფრო რომ იგი აღმოჩნდა მეტად არამტკიცე და ჩქარაც დაიშალა.

მაკედონელთა ლაშქრობამ მოსპო ირანის დესპოტია, რომელიც უკვე IV საუკუნის პარაზიტად გადაიქცა აღმოსავლურ საზოგადოებათა სხეულზე. სასიცოცხლო ძალების ჩამოშლელი ირანის დესპოტია შეიქმნა შემდგომი განვითარების შემაფერხებელ და შემბოკველ მოვლენად. ეს პარაზიტული ზედაფენა ჩამოშორებულ და მოტეხილ იქმნა. ალექსანდრე მართალია ძალიან ცდილობდა ბერძნები და მაკედონელები აერია, აეთქვიფა აღმოსავლურ წარჩინებულ წრესთან. ცდილობდა სახელმწიფოს სათავეში დაეყენებინა რაღაც ნარევი ჯგუფი. მაგრამ ფაქტიურად მთელი ეს წამოწყებული საქმე იმით გადავდა, რომ ირანული ზედაფენის მაგიერ გაჩნდა ბერძენულ-მაკედონური ზედაფენა. რომელიც ბოლოსდაბოლოს ისეთივე პარაზიტი, ისეთივე მუქი და საზიარო გახდა. მაგრამ საბოლოოდ ეს მოხდებოდა, ნახევარსაუკუნემდე დრომ გაიარა მეტად ინტენსიური ისტორიული განვითარებისამ. აღმოსავლეთის საწარმოო ძალებმა, რომელთა ზრდა შეაჩერა ირანის დესპოტიამ. ახლა იგრძნეს დროებითი განთავისუფლება.

ალექსანდრეს ლაშქრობამ ბაზისი მისცა საძირკველი ჩაუყარა იმ ეკონომიურ და კულტურულ კავშირ-დამოკიდებულებას, რომელზედაც დაფუძნდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის შემდგომი განვითარება.

დიდი მნიშვნელობა. შავალითად. ჰქონდა მთელ რიგ ქალაქების დაარსებას. პოლტარქოსი ამბობს. რომ ალექსანდრემ სამოცდაათზე მეტი ქალაქი დააარსა აღმოსავლეთში. მართალია. მათი ნაწილი დაფუძნდა ალექსანდრეს მოადგილეების მიერ. მაგრამ ამით საქმე არ იცვლება.

ეს ახლად დაარსებული ქალაქები აღმოსავლეთში გადაიქცნენ ბერძენულ ცენტრებად. ალექსანდრეს ლაშქართან ერთად მიიმართებოდა სხვადასხვა ჯურის უამრავი ხალხიც საბერძენეთიდან და მაკედონიიდან. ადვილად ფულის მოგებისა და ქონების შექმნის მოყვარულები. ვაჭრები. ყოველნაირი სპეკულანტები მონათმფლობელები და მისთანანი. ისინი მკვიდრდებოდნენ ამ ახალ ქალაქებში. რომელნიც ამრიგად შეიქმნენ აღმოსავლეთში არა მარტო ბერძენების კულტურული გავრცელების ცენტრებად. არამედ ვაჭრობის ცენტრებადაც.

შავალითად, თურაში ბერძენების განმტკიცება საფუძვლად დაედო ჩინეთთან სააბრეშუმო ვაჭრობის განვითარებას. მყარდებოდა კავშირი და ურთიერთობა ინდოეთთან. თუმცა ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, გაიარა თუ არა ოცნა წელმა, ეს უკანასკნელი უკვე განუღვა და დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა. მაგრამ ის კავშირი, რომელიც მასთან იქმნა დამყარებული, რამო-

დენიმედ დარჩა შემდეგშიაც. პტოლემეთა ეგვიპტისა და სელევკიდების მონარქის ვაჭრობის დასაბამი ალექსანდრეს ლაშქრობის ხანას ემთხვევა.

ამრიგად, ეს ლაშქრობა გადაიქცა აღმოსავლური ეკონომიკის III საუკუნეში ახალი აღმავლობის საფუძვლად. არას ვიტყვით უკვე იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა ალექსანდრეს ლაშქრობას სწორად გეოგრაფიულ წარმოდგენათა გამოუმუშავების თვალსაზრისით, საბუნებისმეტყველო-საისტორიო ცოდნათა განვითარების თვალსაზრისით. ალექსანდრეს შტაბში ბრავლად იყვნენ მცოდნე და კულტურული ბერძნები, რომელნიც დაკვირვებით და გულისხმობით იკვლევდნენ აღმოსავლეთს, იკვლევდნენ მის საწარმოო ძალებს. დადებით ცოდნათა განვითარება-ზრდასაც. ელინიზმის ეპოქაში რომ იყო, თავის მეტად მნიშვნელოვან წინამძღვრად იგივე ალექსანდრეს ლაშქრობა ჰქონდა.

ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე განაგრძობს ორიენტალიზაციის პოლიტიკას. ჰიფასისის პირას მომხდარი ინციდენტი ზედმეტ ბიძგად გადაიქცა ამ მიმართულებით, იმიტომ რომ ალექსანდრემ შეიგნა, რომ მაკედონური ქვეითა ჯარის უკვე აღარ იყო მისი საიმედო დასაყრდენი.

ამიტომ ალექსანდრემ გადასწყვიტა მაკედონური ჯარი შეეცვალა ირანული-ჯარით თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში თვალსაჩინოდ მაინც. ჯერ წინათვე ალექსანდრემ თავი მოუყარა რამდენიმე ათას ირანელ ბიჭებს, ირანელ დიდუკეთა შეილებს, და დაუწყო მათ სწავლება და წვრთნა. მაგრამ ამაზე საქმე არ შეჩერებულა.

ალექსანდრემ ბრძანება გასცა არმიაში გაეწვიათ დაახლოვებით 30 ათასამდე ირანელი. ამასთან დაკავშირებით ალექსანდრემ აღმოსავლეთიდან დაბრუნების შემდეგ გადასწყვიტა დაეშალა და შინ დაებრუნებინა თავისი მაკედონელი ვეტერანები. როცა ჯარმა ეს გადაწყვეტილება შეიტყო, მაშინ ქალაქობისში, სამხედრო ბანაკში, შუა ტივრზე რომ ჰქონდა ბინა დადებული, იფეთქა მაკედონური ქვეითა ჯარის აჯანყებამ. იგი იმდენად სერიოზული იყო, რომ მის დასამშვიდებლად და ჩასაქრობად თითონ ალექსანდრე უნდა გამოსულიყო. ალექსანდრემ დააპატიმრა „მოთავეები“ და დაყვავება-დათათბირების საშუალებით დააწყნარა ჯარი. საქმე შერიგებით გათავდა. ალექსანდრემ სახლში მარტო ის ვეტერანები გაუშვა, ვისაც უნდოდა.

შინ-დათხოვნად ალექსანდრემ არაჩვეულებრივ უხვად დააჯილდოვა ხოლო ქვეითა ჯარის დარჩენილი ნაწილისგან შესდგა გვარდია, რომელსაც ალექსანდრეს დაპირებისამებრ, უნდა მასთან პირველი ადგილი სჭეროდა. ირანის ჯარებმა კი მეორე ადგილი დაიჭირეს.

ამასთანავე ურთად ხდება ალექსანდრეს გარშემო თავმოყრილ საზოგადოების ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა ორიენტალიზაცია. იგი ფიქრობდა, რომ ევროპისა და აზიის ერთმანეთში დაახლოვების ერთ-ერთი საშუალება იყო შეუღლება მაკედონელ ვაჟკაცებისა და ირანელ ქალებისა.

324 წ. დაბრუნდა თუ არა ლაშქრობიდან, ალექსანდრემ სუზაში ხელაფეთქ მოაწყო გრანდიოზული ქორწილი. ერთსა და იმავე დღეს 10 ათასმა მაკედონელმა ქორწინა 10 ათას ირანელ ქალზე, თანაც ამის მაგალითი თითონ ალექსანდრემვე უჩვენა. მან ჯერ წინათვე, როცა ბაქტრიაში იყო, ცოლად შეირთო

ბაქტრიის მეფის ასული როქსანა, ხოლო აქ ერთბაშად იქორწინა ირანის მეფის
ორ ასულზე, დარიუსის ქალებზე. ესეც კია, როცა ალექსანდრე გარდაიცვალა,
მაშინ მაკედონელების უმრავლესობა თავის ირანელ ქალებს ხელათვე გან-
შორდა.

იმავე წელს მან ბერძნულ ქალაქებს მოთხოვნილება გაუგზავნა, რომ მათ
იგი, ალექსანდრე, ღმერთად ეცნათ და მისთვის ღვთაებრივი პატივი და თაყვან-
ი ეცათ. საბერძნეთში ამას ირონიულად შეხედეს, მაგრამ თქვეს: „მაშ, რაკი
ალექსანდრეს უნდა, დაე ღმერთი იყოსო“. ყოველ შემთხვევაში მას ღვთაებრივი
პატივი სცეს და ზევსის ძედ აღიარეს.

რალა რეფორმები ჩაატარა ალექსანდრემ მსოფლიო მონარქიის შექმნის
შემდეგ? ამ მხრივ ცოტა რამ იყო გაკეთებული. დრო ინდოეთიდან დაბრუნ-
ებასა და მის სიკვდილს შორის იმდენად მოკლე, მცირე იყო, რომ დიდი რე-
ფორმების ჩატარება შეუძლებელი იყო.

ირანის სახელმწიფოში მიღებული დანაწილება სატრაპიებად ალექსანდ-
რეს მონარქიაშიაც იყო დარჩენილი, ცალკე შემთხვევებში ადგილობრივ დინას-
ტიების ხელისუფლებაც კი იქნა შენარჩუნებული (ინდოეთში — მეფე პორი).

აღმოსავლურ სატრაპებში მოადგილეების თუ ნაცვალთა უმრავლესობას
ალექსანდრეს დროს ირანელები შეადგენდნენ. ეს ძალიან ნიშნობრივი და და-
მანასათვლიელია მისი პოლიტიკისთვის. მაგრამ ~~ალექსანდრე ცდილობდა ირანულ-
ლი გავლენა შეენელებინა ბერძნულ-მაკედონური გავლენით. ერთით მეორის
პარალიზაცია მოეხდინა. აი რატომ იყო, რომ სატრაპიათა ჯარების უფროსე-
ბად უფრო ხშირად მაკედონელები იყვნენ. სატრაპიათა ფინანსებიც აგრეთვე
მაკედონელ ხაზინადრების ხელში იყო.~~

ალექსანდრეს ლაშქრობა ინდოეთში და მისი ცდა აღმოსავლეთში დიდ
ოკეანემდე ჩასულიყო ექვს გარეშეა იმას მოწმობს, რომ იგი აგებდა მსოფლიო
(ამ სიტყვის იმდროინდელი გაგებით) მონარქიის შექმნის გეგმას. აი რატომ
დაიწყო ალექსანდრემ ბაბილონში დაბრუნებისათანავე დაუყოვნებლივი დამუ-
შავება დასავლეთისკენ რომელიც ლაშქრობის გეგმისა.

ამ ლაშქრობის მზადებასთან დაკავშირებით ალექსანდრემ მთელი რიგი
ექსპედიციები გაგზავნა თავისი მონარქიის ცალკეული ნაწილების და საზღვრე-
ბის გამოსაკვლევად. ჩვენ ვიცით, რომ მოწყობილი იყო ექსპედიცია კასპიის
ზღვის სანაპიროს შესწავლა-გამოკვლევისათვის. საჭირო იყო გადაწყვეტა კით-
ხვისა, კასპიის ზღვა შინაგან ზღვას წარმოადგენდა თუ ოკეანეს ყურეს. რო-
გორცა ჩანს, კასპიის ექსპედიციას შედეგები არ გამოუღია.

სხვა ექსპედიციები უშუალოდ დაკავშირებული იყო უკვე იმ ლაშქრო-
ბასთან, რომელიც დასავლეთისკენ იყო განზრახული. ალექსანდრემ რამდენიმე
რაზმი გაგზავნა ირანის ყურის ნაპირებისა და არაბეთის სამხრეთ სანაპიროს
გამოსაკვლევად.

რისკენ მიიღტეოდა ალექსანდრე, რა ვწადა მას? ისტორიკოსები აშბობენ,
რომ მას ჰქონდა დასავლეთის, ე. ი. კართაგენისა და იტალიის დაპყრობის გეგ-
მებიო. პლინიუსის ცნობის მიხედვით. მასთან რომიდან იყვნენ ელჩები მის სიკ-
ვდილს წინა ხანებში; მაშასადამე, რალაც დიპლომატიური ურთიერთობა-კავ-

შირის დამყარება იყო განზრახული დასავლეთთან. მაგრამ ყოველივე ეს მოსაზრებანი - მძროინდელი სამყაროს დასავლეთი ნახევრა! ხელში ჩაგდების შესახებ მარტო ჰიპოთეზურია.

უეჭველია მარტო ერთი-რამ: ალექსანდრე თავის სიკვდილის წინა ხანებში რაღაც ლაშქრობას ამზადებდა დასავლეთისკენ.

323 წ. გაზაფხულზე ეფერატზე, ბაბილონის ახლოს იდგა დიდი ფლოტი და გამზადებული იყო, ნაწილობრივ ხომალდებში ჩასხმული კიდევ ჯარი. ალექსანდრემ უეცე ბრძანება გასცა ხომალდების გამგზავრებისა. მაგრამ ამ მომენტში ალექსანდრე ავად გახდა, როგორც მანსკ-მაღარიით. და რადგანაც მისი სხეული ძალიან იყო გაღაბული და მოუძღვრებელი უკანასკნელი წლების დაძაბული საქმიანობა-მოღვაწეობით და ყოველგვარი გარდამეტებულობით, ამიტომ იგი ავადმყოფობას ვეღარ გაუმკლავდა. ალექსანდრე მარტო „ფორმეტიოდდე“ ავადმყოფობდა და 323 წ. 13 ივნისს იგი გარდაიცვალა ბაბილონში დაბადებიდან 32 წლისა.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ხელათვე დაიწყეს მისი გაგმირება, ასეთი გაგმირება, გმირად დასახვა ალექსანდრესი აბსოლუტურად აუცილებლივ საჭირო იყო აღმოსავლეთში მყოფ მის მოადგილეებისთვის. საჭირო იყო აღმოსავლელი ხალხებისთვის ჩვენება იმისა, რომ ისინი დაიპყრო და დაიმორჩილა არა უბრალო ადამიანმა, არამედ თვით „ღმერთმა“ ალექსანდრემ. აი რატომ ეპირა თავი მტკიცედ ალექსანდრეს კულტს აღმოსავლეთში მთელი მომდევნო დროის განმავლობაში. ეს კულტი აისახა ანტიკურ ისტორიოგრაფიაშიც მაკედონელი დამპყრობელის პიროვნების უკიდურესი იდეალიზაციის სახით. ხოლო აქედან გადავიდა ახალი დროის ისტორიოგრაფიაშიც. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ვიდრე ჩვენ დრომდე კიდევ განაგრძობს ალექსანდრეს იდეალიზაციას, რადგანაც მისთვის იგი წარმოადგენს აღმოსავლეთის პირველ კლდინდ ზატორს და მისი სახელით მას უნდა გზა დაულოცოს ევროპული კაპიტალიზმის კოლონიურ ექსპანსიას.

ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ალექსანდრეს იდეალიზაციისა და შეგვიძლია მას სავსებით ობიექტურად მიუდგეთ. ჩვენ ვიცით, რომ ის დიდი ადამიანი იყო, ფართო ჰორიზონტით, რკინის ენერჯით და უდიდესი ტემპერამენტით. მაგრამ ისიც ვიცით, რომ მის მოღვაწეობაში არაფერი ყოფილა „ზეკატურა“ „ზეადამიანური“. ალექსანდრე ემყარებოდა დიდებულ სამხედრო აპარატს, რომელიც მას სამემკვიდრეოდ ფილიპემ დაუტოვა და ებრძოდა იგი არაჩვეულებრივ სუსტს მოწინააღმდეგეს. ალექსანდრეს საქმე ისტორიულად აუცილებლივ საჭირო და მშვენივრად შემზადებული იყო—აი რით აიხსნება მის დაპყრობათა სიდიადე და ის აურაცხელი შედეგები, რომელნიც ამ დაპყრობებმა წარმოშვეს.

ქველი საბაკანეთის ისტორიის ძრონოლოგია

კრეტე-მეცენის კულტურის დახასრული დაახლ. 1000 წ. ძვ. წ.

წლები ძველი
წელთაღრიცხვით

- დაახლ. 776—ოლიმპიის ასპარეზობაში გამარჯვებულთა ჩაწერის დახაწყისი.
- დაახლ. 720—მესენიის 1-ლი ომი.
- დაახლ. 650—620—ილოტების აჯანყება მესენიაში (მესენიის მე-2 ომი).
- დაახლ. 620—დრაკონის კოდიფიკაცია ათენში.
- წ. 594—სოლონის რეფორმა.
- 583—არქონტ დამასიას ცდა ხელისუფლების ხელში ჩაგდებასა.
- 560—პისისტრატეს მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება (პისისტრატე ტირანი—17 წელიწადი, გაძევებაში—16 წელიწადი).
- 527—პისისტრატეს სიკვდილი.
- 527—510—პისისტრატიდები.
- 514—შეთქმულება პისისტრატიდების წინააღმდეგ, ჰიპარქეს მოკვლა.
- 510—პიპიას გაძევება ათენიდან.
- დაახლ. 509—კლისთენეს რეფორმები.
- 500—494—მცირე აზიის ბერძნულ ქალაქების აჯანყება.
- 492—ირანელების პირველი ლაშქრობა (მარდონი).
- 490—დატისის და არტაფერნის ლაშქრობა. მარათონის ბრძოლა.
- 483—არისტოტიდეს გაძევება.
- 480—ქსერქსეს ლაშქრობა.
- 479—ბრძოლა პლატეასთან და მიკალეს კონცხთან.
- 477—ათენის პირველი საზღვაო კავშირის წარმოქმნა.
- დაახლ. 471—თემისტოკლეს გაძევება ათენიდან.
- 470—ირანელების დამარცხება ევრიმედონტთან.
- 464—ილოტების აჯანყება სპარტაში. კიმონის მიერ ექსპედიციის გაგზავნა სპარტის საშველად.
- 461—კიმონის გაძევება.
- 462—461—ეფიალტეს რეფორმები.
- 459—454—ათენელების ლაშქრობა ეგვიპტეში.
- 457—ეფიალტეს მოკვლა.

- 450 —ათენში მოქალაქეთა წმენდის კანონი.
- 449 —ბერძნების გამარჯვება ირანელებზე კუნძულ კეიპროსთან.
- 443 —ოსტრაკიზმით თუკიდიდეს, მელესიას შვილის, გაძევება.
- 445—430—პერიკლეს ხანა.
- 435—აჯანყება ეპიდამნში.
- 432—მეგარას ფსეფიზმა.
- 431—404—პელოპონესის ომი.
- 431—441—არქიდამეს ომი.
- 430 —პერიკლეს დაცემა.
- 429—პერიკლეს სიკვდილი.
- 428—მიტილენის განდგომა ათენისგან.
- 427—გადატრიალება კუნძულ კერკირაზე. ათენის პირველი ექსპედიცია სიცილიაში.
- 425—სფაქტერიის აღება.
- 423—დროებითი ზავი სპარტასთან ერთი წლის ვადით.
- 422—კლეონისა და ბრასიდის სიკვდილი ამფიპოლისთან.
- 421—ნიკიას ზავი.
- 417—ჰიპერბოლეს გაძევება.
- 415—413—სიცილიის მეორე ექსპედიცია.
- 413—ზავის დარღვევა სპარტის მიერ. 20000 ათენელი მონის სპარტის მხარეზე გადასვლა.
- 411—ოლიგარქიული გადატრიალება ათენში.
- 407—ათენის ფლოტის დამარცხება ნოტიონთან.
- 406—ათენის ფლოტის გამარჯვება არგინუზის კუნძულებთან.
- 405—ბრძოლა ეგოსპოტამოსთან. ათენის გარემოცვა. დიონისეს ტირანია სირაკუზში.
- 404—ათენის დანებება. ოცდაათის ოლიგარქია ათენში (კრიტია).
- 401—400—10000 ბერძნის ლაშქრობა ირანელების წინააღმდეგ.
- 399—სოკრატეს სიკვდილი. სპარტას ომი ირანთან (აგესილაოსი).
- 387—ანტალკიდას ზავი.
- 382—სპარტას მიერ კადმეას დაპყრობა.
- 379—რევოლუცია თებეში.
- 378—ათენის მეორე საზღვაო კავშირის წარმოქმნა.
- 371—ბრძოლა ლევეტრასთან.
- 370—არგოსის სკიუტალისმოსი.
- 369—ეპამინონდას შექრა ლაკონიკაში და პელოპონესის კავშირის დაშლა.
- 362—ბრძოლა მანტინეასთან.
- 359—336—ფილიპე II მაკედონელი.
- 356—ალექსანდრეს დაბადება.
- 346—ფილოკრატეს ზავი.
- 338—ბრძოლა ქერონეასთან.

338/337 — პანელინური კონგრესი კორინთოში.

336 — ირანთან ომის დასაწყისი. შეთქმულება ფილიპეს წინააღმდეგ. ფილიპეს ნოკვლა.

334 — ალექსანდრეს ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ. ბრძოლა გრანიკთან.

333 — ბრძოლა ისოსთან.

332 — ტვიროსის აღება. ეგვიპტური ალექსანდრიის დაარსება.

331 — ბრძოლა გაგამელასთან.

330 — პერსეპოლისის დაპყრობა. დარიოსის სიკვდილი.

327 — 326 — ლაშქრობა ინდოეთში.

325 — 324 — ალექსანდრეს აღმოსავლური ლაშქრობის დამთავრება.

323 — ალექსანდრეს სიკვდილი.